


780
1993

საქართველო

ქართული
ზოგადი ინფორმაცია

1993/5-6 სექტემბერი — დეკემბერი



საუნჯე

1993/5-6
 სამეცნიერო
 ჟურნალი
 გიგ. ლომიძის
 (13/85)



შინაარსი


პროზა და პოეზია

მიხეილ სპარკი, პოეტობაზე რაღაღი. მოთხრობა: ინგლისურიდან თარგმნა მანანა ამიხულაშვილმა	8
იაკონური დეტექტივი. მოთხრობები. თარგმნა გივი ციციშვილმა	32
ანგელუს სილაჟილი. მერაბიშვილი მოგზაური. გერმანულიდან თარგმნა მარია ქსოვრელია	109
ლევ ბოლტოი. კრისტეს მოკვება, გადმოცემული უმადვილუბიათვის. თარგმნა აკაკი გულოვანმა	124
თეოსოფილ გოტიე, გაგიჟებული მცველები. მოთხრობა. ფრანგულიდან თარგმნა ელდარ ქიქიაშვილმა	164
პერმან ვესე, დიმიტრი. მოთხრობა. გერმანულიდან თარგმნა მაია მირიანაშვილმა	185

წერილები

ანდრე შიფი. ჩემი „სსკპ.-დან დაბრუნების“ შესწორებები. თარგმნა ჯუმბერ თითქერიაშ	285
მამა სერგეი ბულბაკოვი, კროიჭი და მოსაბრძობა. თარგმნა ზეინაზ სარაძემ	305

საქართველოს მწერალთა კავშირი
მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური ჟურნალი



«САУНДЖЕ»
ДВУХМЕСЯЧНЫЙ ЖУРНАЛ ВСЕМИРНОЙ ЛИТЕРАТУРЫ

На грузинском языке

საუნჯე

1993 №5-6

СОЮЗ ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

მთავარი რედაქტორი:

შოთა ნიშნიანიძე

ვივი ძეგლაძე

(მთავარი რედაქტორის მოადგილე)

ნანა ჯარჩია

(პასუხისმგებელი მდივანი)

სარედაქციო კოლეგია:

ჯემალ აჯიაშვილი

მზია ბაქრაძე

ბაჩანა ბრეგვაძე

ბურაბ გოგიაშვილი

ნოდარ ბურაშიძე

მამალი თოდუა

ნოდარ კაკაბაძე

რენე კლანდია

გიორგი ნიშნიანიძე

დალი შანჯიძე

ნიკო ყიასაშვილი

დავით შერედიანი

მხატვარი ავთანდილ ვარტაგაძე. ტექნიკური რედაქტორი ნანა ბარტანია.

გარეკანზე: ფიქრდინანდ ბოდლერი. (1853—1918) იმენის სტუდენტთა გამოსვლება

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380026, ლესელიძის ქ. № 4. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის 93-38-10, რედაქციის — 99-73-41.

გად. წარ. 10. 09. 93 წ., ხელნაწ. დასაბუქდად მ. 01. 94 წ., ქაღალდის ზომა 70X108¹/₁₆.
საღრ. თ. 25,51. სასტ. თ. 28. ტირ. 3000. შეკვ. № 1377.

ფასი 25000 კუპონი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საშობლოს“ სტამბა,
380000, თბილისი, მ. კობტაყან 14.

მიურიელ სპარკი

პორტოგელო როული

მთხრობა

ინგლისურიდან თარგმნა მანანა ამისულაშვილა



20.2.21

ერთხელ შუა ზაფხულში, ჩემს ადრეულ სიყმაწვილეში, თივის ზეინზე რომ ვიჯექი ჩემს საყვარელ მეგობრებთან ერთად, უეცრად ჩემს არ წავაწყდი! უკვე რამდენიმე წელი იყო, რაღაც იღუმალი ხმა ძეუბნებოდა, რომ საერთო გზიდან განცალკევებით მიდიოდა ჩემი ბილიკი, და აი ამ უბრალო შემთხვევის წყალობით ეს ამბავი ჩემი მეგობრების — ჯორჯის, ქეთლინისა და სკინისთვისაც ნათელი შეიქნა. ცერი პირში ჩავიდე და გამოვიწოვე, რადგან შიგ შემესო ჩემსი, როცა უნებლიეთ თივაში ღრმად ჩავეყავი ხელი.

ჩოჩქოლი რომ შეეწყვიტეთ, ჯორჯმა თქვა: ჩაპყო თითი — ანოჰყვა თუთაო, და კვლავ უდარდელი ხარხარი ავტეხეთ.

ჩემსი კარგა ღრმად შემსობოდა ცერში და ერთი ციცქნა ნახვლეტიდან პატარა წითელი მდინარე მოედინებოდა. პოდა, მხიარულება რომ არ დამცხრალიყო, ჯორჯმა სასწრაფოდ დაუმატა:

— შორს ჩემი პერანგიდან შენი სისხლიანი ცერი!

ჩვენმა სიცალ-ხარხარმა და კივილმა ერთიანად შესძრა შუადლის ხვატი შოტლანდია-ინგლისის საზღვარზე. ვლუბნებით, ნამდვილად არ ვინდომებდი, კვლავ ისე გავყმაწვილებულიყავ გულით, ასე ვფიქრობ ყოველთვის, როცა ჩემს ძველ ქალღმებს ვქექავ და ამ სურათს წავაწყდები ხოლმე. სკინი, ქეთლინი და მე თივის ზეინზე ვართ, სკინიმ ეს-ესაა აგვიხსნა იმისი არსი, რაც შემემთხვა.

— ამას ჭკუით ვერ იხამ. შენ არცა გაქვს დიდი ჭკუა, უბრალოდ, ერთი პატარა იღბლიანი გოგო ხარ.

ყველა დაეთანხმა, თივაში ჩემსი პოვნას იღბალი უნდაო. ჯორჯმა დაატყო, რომ ჩვენი საუბარი მოსაწყენი ხდებოდა და, სურათს ვიღებთო, გვითხრა.

მე ცხვირსახოცით შევიხვავე ცერი და გავსწორდი. ჯორჯმა უცებ თითი გაიშვირა და იყვირა:

— ვაი, თაგვი.

ქეთლინმა შეჰკივლა, მეც შეჰკიველე, თუმცა ორივემ ძალიან კარგად ვიცოდით, რომ არსადაც არ იყო თაგვი. სამაგიეროდ, ერთხელ კიდე ვახელთვთ დრო, რათა წივილ-კივილი აგვეტეხა. ბოლოს სამივე დავეწყნარდით და მოვეწყვეთ სურათის გადასაღებად. ჩვენ ისეთი კარგები ვჩანვართ, დღეც ისეთი საუცხოო იყო, მაგრამ არ ვინდომებდი მის დაბრუნებას. მას შემდეგ ჩემსას მეძახდნენ.

ერთ შაბათს, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, პორტოგელო როულზე დავყიადობდი. მყიდველთა ბრბოში რომ მივიკვლევდი გზას ვიწრო ტროტუარზე, ქალს მოვკარი თვალი. შეძლებული ჩანდა, ზრუნვით შეწუხებული, დაღლილი,

საქართველო
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამხდარი იყო, მხოლოდ მკერდი ჰქონდა სავსე და მტრედით მალა აზიდული. თითქმის ხუთი წელი იყო არ მენახა, როგორ შეცვლილიყო! მაგრამ მე მაინც ვიცანი ქეთლინი, ჩემი მეგობარი; ლოყები ჩაცვივნოდა, ხოლო ცხვირი და ტუჩები წინ წამოშვროდა, როგორც ნადრევად დაბერებულ ადამიანებს ემართებათ. უკანასკნელად ხუთიოდე წლის წინ ვნახე. მაშინ ქეთლინი, თუმცა ოცდაათისაც ძლივს იქნებოდა, მითხრა:

ერწმუნული

— ძალიან გაეფუჭდი. ასეთი ჯიში გვაქვს. ქალაშვილებმა ჩვენსებში ვართ, მერე კი უცბად ვჭკნებით, ვმუქდებით და ცარიელა ცხვირილა ვრჩებით.

ჩუმად ვიდექი ხალხში და ვუთვალთვალედი. როგორც შემდეგ მახვლებით, მე არ შეშქლო ქეთლის დაკლაპარაკებოდი. ვუყურებდი, როგორ მიარღვევდა ბრბოს და ჩვეული სიხარბით გადადიოდა დახლიდან დახლთან. ყოველთვის გაუღებოდა ანტიკვარულ ნივთებზე, რომელთაც აქ იაფად იძენდა. გამიკვირდა, აქამდე ერთხელ მაინც როგორ ვერ შევხვდი-მეთქი პორტობელო როუდზე შაბათ დილას სეარნობისას. იგი თავისი გრძელი, კაუჭა თითებით დააცხრა ნეფრიტის ბეჭედს, რომელიც დახლზე დაყრილ ონიქსის, ოქროსა და მთვარის ქვის გულსაბნეებსა და საყურეებში გამოარჩია.

— როგორ მოგწონს? — იკითხა მან, და წამსვე მისი თანამგზავრაც დაუინახე. რამდენიხე ნაბიჯით უკან უშველებელი მამაკაცი მოჰყვებოდა, რომელსაც ახლად მივაქციე ყურადღება.

— მგონი, არა უშავს, — უთხრა მან. — რა ღირს?

— რა ღირს? — ჰკითხა ქეთლინმა მოვაჭრეს.

მე კარგად შევათვალეკრე ქეთლის თანხლები მამაკაცი. მისი ქმარი გახლდათ. მოშვებულ წვერს ძთლად შეეცვალა, მაგრამ მე მაინც მეცნო მისი ვეება პირი, ვნებიანი წითელი ტუჩები და მოჭარბებული გრძნობებისაგან მუდამ აწყლიანებული თვალები.

ქეთლინთან გამოლაპარაკება არ შეშქლო, თუმცა რაღაცამ მშვიდად მათქმევინა:

— გამარჯობა, ჯორჯ.

გოლიათი შემოტრიალდა, ძებნა დამიწყო. უამრავი ხალხი მეხვია ირგვლივ, მაგრამ ბოლოს მაინც დამინახა.

— გამარჯობა, ჯორჯ, — გაუიმეორე მე.

ქეთლინი უკვე ჩვეულებისამებრ ევაჭრებოდა ნეფრიტის ბეჭდის პატრონს. ჯორჯი ისევ მე მომშტერებოდა, დიდი პირი ოღნავ დაელო და ქერა წვერ-ულვაშში ჩაფლული წითელი ტუჩებიდან თეთრი კბილები მოუჩანდა.

— ღმერთო ჩემო! — აღმოხდა მას.

— რა იყო? — ჰკითხა ქეთლინმა.

— გამარჯობა, ჯორჯ! — კვლავ უთქვა, ამჯერად საკმაოდ ხმამაღლა და მხიარულად.

— ნახე! — თქვა ჯორჯმა. — ნახე, ვინ დგას იქ, ხილის დახლთან!

ქეთლინმა გამოიხედა, მაგრამ ვერაფერი დაინახა.

— ვინ? — მოუთმენლად ჰკითხა მან.

— ნემსა, — მიუგო ჯორჯმა. — გამარჯობაო, ჯორჯ, მითხრა.

— ნემსაო, — თქვა ქეთლინმა. — ვისზე მელაპარაკები? ამ ჩვენს ძველ მეგობარ ნემსაზე ხომ არა...

— ჰო, აგერ იქ დგას, ღმერთო ჩემო!

მკვდრისფერი ელო, თუძცა მე საკმაოდ ტკბილად ვუთხარი, გამარჯობა-მეთქი, ჯორჯ.

— იქ ვერავის ვხედავ, ოდნავადაც რომ ჰგავდეს ჩვენს საბრალო ნემსას, — უთხრა ქეთლინმა და შეშფოთებული მიაჩერდა.

ჯორჯმა პირდაპირ ჩემკენ გამოიშვირა თითი.

— შეხედე, გეუბნები, ნემსაა-მეთქი.

— შენ ცუდადა ხარ, ჯორჯ. ღმერთო ჩემო, ალბათ რაღაც მოგელანდა. მინ წავიდეთ, ნემსას აქ რა უნდა. შენ ჩემზე უკეთ იცი, რომ ნემსა მკვდარია.

უნდა ვითხრათ, რომ მე ხუთი წლას წინ გამოვესალმე სიცოცხლეს, თუმც წუთისოფელს მთლად არ გამოვსალმებოვარ. დამრჩა რაღაც-რაღაცები მოსაგვარებელი, რასაც ანდერძის ამსრულებელი ჩემს გემოზე ვერასოდეს მოაგვარებს. საბუთებიც გადასათვალთვალელებელი მაქვს, ზოგი ისეთიც კი, ანდერძის ამსრულებელს რომ უკვე დაუხვევია. სულ ესაქმიანობ, სულ რაღაცით ვარ დაკავებული, რა თქმა უნდა, ვარდა კვირა დღისა და საეკლესიო დღესასწაულებისა. აი, შაბათი დილას კი თავს ვირთობ. თუ წვიმიანი შაბათია, ვულვორთის სავაჭრო რიგებს ავუვლ-ჩავუვლი ხოლმე, როგორც ადრე ვიციოდი, როცა ახალგაზრდა და ხილული ვიყავი. დახლებზე თვალის გასახარი ნაირ-ნაირი წვრილმანია გამოფენილი, რომელსაც ჩემი აწინდელი ყოფისათვის შესაფერი თავშეკავებით ვუცქერი და ვათვალთვლებ. რა გინდათ, რომ აქ არ იყოს: ნელსაცხებლები, კბილის პასტა, სავარცხლები, ცხვირსახოცები, ნაჭრის ხელთათმანები, თხელი, ნაზი შარფები, საფოსტო ქაღალდი და ფერადი ფანქრები, ჭიქიანი ნაყინი და ფორთოხლის სასმელი, სახრაზნისები, ჭიკარტები, საღებავი, წებო თუ ხილფაფა თუნუქის ქილებით; ყოველთვის მიყვარდა დახლების თვალთვლება, ხოლო ახლა, როცა აღარაფერი მინდა, მით უფრო მეტად მიყვარს, როცა მზიანი დარია, ვულვორთის სავაჭრო რიგების ნაცვლად პორტობელო როუდზე მივდივარ, სადაც მე და ქეთლინი ერთად დავსერიზობდით უკვე მოწიფულები. მას შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა, დახლებზე იგივე საქონელი დევს გასაყიდად: ვამლი თუ ულაზათო ცისფერი და იისფერი ვისკოზის საცვლები, ვერცხლის თეფშები, ლანგრები და ჩაიდნები, რომლებიც რა ხანია ძველი პატრონების ხელიდან მოვაჭრეთა ხელში გადასულან და გაუთავებლად მოგზაურობენ, მაღაზიიდან ახლა სხვა ოჯახებში ხედებიან, ხშირად არასაიმედო პატრონსაც უვარდებიან ხელთ, ხოლო იქიდან კვლავ დახლსა და ვაჭარს უბრუნდებიან; ძველებური კოფრები, ბეჭდები, ფირუხისა და ოპალის საყურეები, ერთგულებისა და სიყვარულის სიმბოლური ნასკვით, ფრთაგამლილ პეპელას რომ ჰგავს; ხელოვნური ხალების შესანახი პატარა კოლოფები მანდილოსანთა მინიატურებით სპილოს ძვლის სახურავზე, ვერცხლის საბურნუთეები, შემკული შოტლანდიური კვამლისფერი თვლებით.

ხანდახან ჩემი მეგობარი ქეთლინი, რომელიც კათოლიკე გახლავთ, ჩემი სულის მოსახსენიებელ წირვას უკვეთავს, და მეც ეკლესიაში მივდივარ, როგორც უწინ, ჩემს სიცოცხლეში. მაგრამ შაბათობით უფრო ხშირად ქუჩაში მოხიმშიმე ხალხში ვავერევი ხოლმე, რაც დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ისინი უძიხნოდ დაეხეტებიან და ფიქრადაც არ მოსდით, რომ იქვე, სულ ახლოს, მარადიული ცხოვრებაა. მუჯღუგუნებით მიიკვლევენ გზას დახლებისა და ფარდულებისაკენ, ევაჭრებიან, ყიდულობენ, იპარავენ, ხელით სინჯავენ, გულით სწადიან, თვალს ვერ წყვეტენ საქონელს. მესმის საღაროების ჩხაკენი,



ეროვნული

ბეჭდბრუნე

ხურდა ფულის წკარუნნი, ენის გაუთავებელი ტარტარი და ბავშვების ხვეწნა-მუდარა — ხელი მომაკიდებინე რა, მიყიდე რა, მიყიდე...

აი ასე ამოყვავი თავი პორტობელი როუდზე იმ შაბათ დილაზე, როცა ჯორჯი და ქეთლინი ენახე. მაგრამ მე კრანტსაც ვერ დავძრავდი, რადგან ძალას რომ არ შთავეგონებინე. დიახ, ბევრ სხვა რამესთან ერთად, სხვა კაცს ლაპარაკი შემიძლია — არ შემიძლია ზემთაგონების გარეშე. უკვლავსე მსოფლიო კი ისაა, რომ იმ დილით, როცა დავილაპარაკე, ერთგვარად ხილულიც შევიქენი. ვფიქრობ, საბრალო ჯორჯს მოჩვენება ვეგონე, ხილის ურიკასთან მდგარი რომ დამინახა. გამარჯობა-მეთქი, ჯორჯ, რამდენჯერმე გაუუმეორე გულთბილად.

როცა ჩვენი ჩრდილოელი განათლება დასრულებულად ჩაითვადა, ყველანი სამხრეთისაკენ დავიძარიით. ზოგი გაგვაგზავნეს ლონდონს, ზოგსაც იქიდან შემოგვითვალეს, ჩამოდითო. ჯონ სკინერი, სკინის რომ ვეძახდით, არქეოლოგიის შესასწავლად გაემგზავრა, ჯორჯი — ბიძამისის თამბაქოს ფერმაში სამუშაოდ, ქეთლინი — თავის მდიდარ ნათესავებთან; ერთ-ერთ მათგანს ქუდის მაღაზია ჰქონდა შეიფერიში, სადაც ქეთლინი არცთუ დიდი ხალისით სწავლობდა ვაჭრობას, მოგვიანებით მეც ლონდონში ჩავედი, რათა ცხოვრება მეხილა; ჩემი მისწრაფება ხომ მწერლობა იყო, ამისათვის კი ჯერ ცხოვრებას უნდა გაეცნობოდი.

— ჩვენ ოთხნი განუყრელნი უნდა ვიყოთ, — ხშირად გვიმეორებდა ჯორჯი მუდარით. მუდამ იმის შიში ჰქონდა, მეგობრებისაგან გარიყული არ დარჩენილიყო. ჩვენ, როგორც ჩანდა, დავიქსაქსებოდით, და ჯორჯიც არ გვენდობოდა, ფიქრობდა, რომ დავივიწყებდით. რაც უფრო ახლოვდებოდა მისი გამგზავრების დრო აფრიკაში, ბიძამისის თამბაქოს ფერმაში, მით უფრო ხშირად გვეუბნებოდა:

— ჩვენ ოთხმა არ უნდა დავკარგოთ ერთმანეთი.

გამგზავრების წინ კი აღელვებულმა გვითხრა:

— მე ყოველთვის მოგწერთ, თვეში ერთხელ. წარსულის ხათრით უნდა შევინარჩუნოთ მეგობრობა.

სამ ცალად დაებეჭდა თივის ზვინზე გადაღებული სურათი, თითოეულისათვის უკან წაეწერა: ჯორჯმა ამ სურათზე აღბეჭდა ის დღე, როცა ნემსამ ნემსი იბოვავო, და სათითაოდ დაგვირიგა. მე მგონი, ყველანი ერთს ვნატრობდით: ჯორჯს ცოტა განელვებოდა გრძნობები.

სიცოცხლეში ერთი მოხეტიალე, მოუწესრიგებელი ადამიანი ვიყავი. მეგობრებს უჭირდათ თვალი მიედევნებინათ ჩემი ცხოვრებისათვის, ბუნებრივია, კაცს ეფიქრა, რომ შიმშილით სიკვდილი არ ამცდებოდა, თუმცა აქამდე არასოდეს მივსულვარ. რა თქმა უნდა, ვერ დავწერე ისეთი წიგნი ცხოვრებაზე, მე რომ მინდოდა. იქნებ ამიტომაც არ მასვენებს შთაგონება და ამ უჩვეულო ვითარებაშიც წერის სურვილი მაქვს.

კენსინგტონის კერძო სკოლაში თითქმის სამ თვეს ვიყავი მასწავლებლად, მთლად პატარებს ვასწავლიდი. არ ვიცოდი, რა მექნა, როგორ მოვქცეულიყავი ისე კი საზრუნავი არ მაკლდა, პატარა ბიჭებს საპირფარეშოში დავეყვებოდი, სადამდე მისვლასაც ძლივს ასწრებდნენ, ხოლო გოგონებს ცხვირსახოცის ხმარებას ვაჩვენებდი. მერე სკოლას თავი დავანებე და ის ზამთარი ლონდონში გავატარე. როცა მცირეოდენი დანაზოვი შემომეღია, ბრილიანტის სამაჯური ვი-

პოვე კინოში, რომლის პატრონმაც ორმოცდაათი გირვანქა სტერლინგით დამასაჩუქრა. ესეც რომ შემომეხარჯა, სარეკლამო სააგენტოში მოვეწვევე, სიტყვებსა და მოხსენებებს უწერდი საქმით დაკავებულ მრეწველებს, რის გამოც ციტატების ლექსიკონში მქონდა დღენიადავ თავი ჩარგული. ასე ვადიოდა დღეები. მე სკინიზე დავინიშნე, მაგრამ არ გასულა ამის შემდეგ დღეებში რომ პატარა მემკვიდრეობა მერგო, სრულიად საკმარისი, რათა თავი შერჩინა. ამან გამაბედვინა და სკინის ბეჭედი დავუბრუნე, მე ხომ არ მთავარდა იგი.

მაგრამ აფრიკაში მაინც სკინის მემკვიდრეობით ვავემგზავრე. იგი იყო არქეოლოგიურ ექსპედიციაში, რომელიც მეფე სოლომონის მადარობის გათხრას აპირებდა, იმ ძველთაძველი მადარობისა, რომელთა უსასრულო რიგიც იწყება უძველეს ნავსადგურ ოფირიდან, ახლა ბეირას რომ უწოდებენ, და გადაჭიმულია პორტუგალიის აღმოსავლეთ აფრიკისა და სამხრეთ როდეზიის სივრცეებზე ვიდრე ჯუნგლების დიად ქალაქ ზიმბაბვემდე, სადაც დღესაც დგას ძველი ტაძრის კედლები წმინდა მთის კალთაზე, ხოლო გარსმომდგარ როდეზიის უდაბნოში ბიძოფანტულია გარდასული ცივილიზაციის ნაშთი. მე მდივნად ვახლდი ექსპედიციას; თავდებად სკინი დამიდგა, ჩემი მგზავრობის ფულიც იმან გადაიხადა და ამით თითქოს სცნო ჩემი ფუქსავატური ცხოვრება, თუმცა შემთხვევას არ გაუშვებდა ხელიდან, რომ არ გაეკიცხა იგი. მე რომ ვცხოვრობდი, ისეთი ცხოვრება ბევრ ადამიანს აღიზიანებს; თვითონ ხომ ყოველდღე დადიან სამსახურში, რაღაცას ცოდვილობენ, განკარგულებებს იძლევიან, საბეჭდ მანქანას უკაკუნებენ, წელიწადში ორ-სამ კვირას ისვენებენ, პოლა, ღიზიანდებიან, როცა ხელავენ, რომ არის ვიღაც, ვინც არაფერზე არ ზრუნავს და მაინც როგორღაც გააქვს თავი, არ შიმშილობს, ერთი სიტყვით, ბედი სწყალობს. როცა ნიშნობა ჩავშალე, სკინიმ საყვედურებით ამავსო, მაგრამ აფრიკაში მაინც წამიყვანა, თუმცა იცოდა, რომ რამდენიმე თვეში იქიდან გამოვიქცეოდი.

როდეზიაში რომ ჩავედი, ერთი-ორი კვირის შემდეგ ჯორჯის ამბავიც ვიკითხეთ, რომელიც ჩრდილოეთით, ჩვენგან დაახლოებით ოთხასი მილის დაშორებით უძღვებოდა მეურნეობას. ჩვენ მისთვის არაფერი შეგვიტყობინებია.

— ჯორჯს რომ შევატყობინოთ, მანდ ჩამოვდივართო, პირველსავე კვირას დაგვადგება თავზე და ვეღარ მოვიშორებთ. ბოლოს და ბოლოს ჩვენ ხომ სამუშაოდ მივდივართ, — ამბობდა სკინი.

გამგზავრების წინ ქეთლინმა გვითხრა:

— გადაეცით ჯორჯს ჩემი მოკითხვა და უთხარი, ნუ მიგზავნის ეგეთ გადარეულ დეპეშებს, როცა პასუხს ვუგვიანებ წერილზე. უთხარი, რომ აუარება საქმე მაქვს მაღაზიაში, და საერთოდაც, აღარ ვიცი, რა ექნა, რამდენად გავიჭრა. ისე იქცევა, გეგონება, ჩემს მეტი მეგობარი არა ჰყავდეს ამქვეყნად.

ჩვენ ჯერ ფორტ ვიქტორიაში გაეჩერდით, ზიმბაბვეს ნანგრევებთან მდებარე უახლოეს პუნქტში; სწორედ აქედან უნდა გასდგომოდა გზას ჩვენი ექსპედიცია. აქვე გამოვიკითხეთ ჯორჯის ამბავიც. ამკარა იყო, მეგობარი ბევრი არ ჰყავდა. ძველი მოსახლეები, ჩანს, ღმობიერად უყურებდნენ მის კავშირს მულატ ქალთან, სამაგიეროდ ის ახალი მეთოდი აგულისებდათ, რომლითაც მას თამბაქო მოჰყავდა, — როგორც გამოირკვა, არაპროფესიული მეთოდი, რისი

დანერგვაც რატომღაც თეთრების ღალატი იყო თურმე, ჩვენ ვერაფრით ვერ გაგვევო, რატომ უნდა ყოფილიყო ეს ღალატი, მაგრამ ძველი მოსახლეები ამტკიცებდნენ, განდა თუ არა ასეაო, შედარებით ახლად ჩამოსახლებულნი კი მას უშუალოდ კაცად მიიჩნევდნენ. ჰოდა, თანაც რაკი შავკანიან ქალთან ცხოვრობდა, მასთან მისვლა-მოსვლაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო.

გამოგიტყდებით, ცოტა შევცბი, მულატი ქალის ამბავს რომ ვსვავ. მე საუნივერსიტეტო ქალაქში ვავიზარდე, სადაც ნაირ-ნაირი ფერისა თუ იერის სტუდენტები ჩამოსდიოდნენ ანდოეთიდან, აფრიკიდან და აზიიდან. თავიდანვე ჩანერგული მქონდა, რომ უნდა მოვრიდებოდი მათ, პატიოსან სახელს გაუფრთხილებოდი და რელიგიური მოსახრებებისათვის ანგარიში გამეწია. საკუთარი აღზრდის წინააღმდეგ წასვლა კი იოლი არ გახლავთ, თუ ბუნებით შეამბობხე არ ხარ.

ასეა თუ ისე, ბილოს მაინც ვესტუმრეთ ჯორჯს. ვისარგებლეთ იმით, რომ ჩრდილოეთისაკენ სანადიროდ მიმავალმა ჯგუფმა შემოგვთავაზა, წავიყვანთო, და ჩვენც დავეძგზავრეთ. ჯორჯს გაეგო ჩვენი ჩასვლის ამბავი როდესაც და თუშტა გაუხარდა, ღამის შვეპაც კი იგრძნო, ჩვენ რომ დაგვინახა, მაგრამ თავიდან მაინც პირქუშად შეგვხვდა.

— გვიხლოდა, მოულოდნელად გაგვეხარებინე, ჯორჯ.

— აბა, რა ვიცოდით, ჯორჯ, თუ ჩვენი ჩამოსვლის ამბავს გაიგებდი. ვტყობა, ახალი ამბები აქ სინათლის სისწრაფით ვრცელდება.

— ვფიქრობდით, მოულოდნელად დაგტყდომოდით თავს, ჯორჯ.

ვეფერებოდით, ჯორჯ, ჯორჯო, წარამარა ეუმეორებდით, სანამ ბილოს არ გვითხრა:

— რაც არის, არის, მაინც მესიამოვნა თქვენი ნახვა. კარგია, ქეთლინიც აქ იყო. ჩვენ ოთხმა არ უნდა დავეკარგოთ ერთმანეთი. ასეთ ადგილას რომ იცხოვრებ კაცი, მაშინღა გაიგებ ძველი მეგობრების ფასს.

მან თამბაქოს საშრობი ფარდულები დაგვათვალისწინებინა. გვიჩვენა შემოდობილი პატარა მდელოც, სადაც ცდას ატარებდა ულაყისა და ზებრას შესაჯვარებლად. ისინი ბედნიერად დანავარდობდნენ, მაგრამ თავ-თავისთვის; არც კეთილგანწყობას ამჟღავნებდნენ ერთმანეთისადმი და არც სიძულვილს.

— ასეთი ცდა ადრეც ჩამიტარებია, — თქვა ჯორჯმა, — მშვენიერი პირუტყვი გამოდის, ძლიერი, ჯორჯე უფრო გონიერი და ცხენზე უფრო გამძლე. მაგრამ ამ წყვილთან ვერაფერს გავხდი, ერთმანეთს ზუღაც არ უყურებენ.

ცოტა ხნის შემდეგ გვითხრა:

— წამო, მან შევიდეთ, რაღაც დავლით და მატყილდასაც გაგაცნობთ.

მუქი ყავისფერი ქალი იყო მატყილდა, ულაზაისო, საცოდავად მკერდჩავარდნილი და მხრებში მოხრილი, ფხუკიანი, სულ დაჰკიოდა მსახურ ბიჭებს. სანამ სადილად მიგვიპატიუებდნენ, ვერანდაზე ვისხედით და ვსვამდით. რანაირად არ ვცდილობდით გვესიამოვნებინა ჯორჯისთვის, მაგრამ მისა გულის მოგება ძნელი აღმოჩნდა. გამათხა იმისათვის, რომ ნიშნობა ჩავშალე და სკინის არ გაეყევი. ამბობდა, ძალიან უსინდისოდ მოიქეცი — ჩვენი კეთილად მოსაგონარი წარსული არაფრად ჩააგდეო. მე მატყილდას მივუბრუნდი: თქვენ აღბათ აქ ყოველ კუთხე-კუნჭულს იცნობთ-მეთქი.

— არა, — თქვა მატყილდამ, — ჩემი ცხოვრება პანსიონი ვიყავი. მე იმუშავეო არა. მე ადგილიდან ადგილი არ შეიძლებოდა წასვლა, როგორც სხვა

ჭუჭყიანი ვოგობი, — ლაპარაკისას მათილდა ყველა სიტყვას ერთნაირად უსვამდა მახვილს.

ჯორჯმა აგვიხსნა:

— მამამისი თეთრკანიანი მოხელე იყო, ნატალში მსახურობდა. მათილდა პანსიონში გაიზარდა სხვა ფერადკანიანებისაგან განსხვავებით, ხომ გასაგებია.

— მე ხო შეტუხა სუხანი არ არი, — თქვა მათილდამ, — არა, არა.

საერთოდ, ჯორჯი როგორც მოახლეს ისე ექცეოდა მას. ოთხი თვის ფეხმძიმე იყო უკვე, ჯორჯი კი აქეთ-იქით დაარბუნებდა. საპნის მოსატანად გააგზავნა. ჯორჯი თვითონ ხარშავდა საპონს, სიამაყით გვიჩვენა თავისი ნახელავი და რეცეპტიც კი გვითხრა, მაგრამ იმის დამახსოვრებით თავი დიდად არ შემეწუხებია. სანამ ცოცხალი ვაყავი, კარგი საპონი შევფარდა, ჯორჯისას კი ბრილიანტინის სუნი ასლიოდა და, ეტყობოდა, უმწოდოდ იგლისებოდა კანზე.

— თქვენ რუჯდები? — მკითხა მათილდამ.

ჯორჯმა მითხრა:

— გეკითხება, მზე კარგად თუ გეკიდებაო.

— არა, ჭორფულს მაყრის.

— მე მყავს რძალი რო ჭორფული აყრის.

მატილდას ამის მეტად სიტყვა არ უთქვამს არც სკინისთვის და არც ჩემთვის. მას შემდეგ ჩვენ აღარასოდეს გვიჩაჩავს იგი.

რამდენიმე თვის შემდეგ სკინის ვუთხარი, დამდალა-მეთქი თქვენთან ერთად თრევამ.

სულაც არ გაჰკვირვებია, ექსპედიციიდან წასვლას რომ ვაპირებდი, მაგრამ ჩემი უხეში სიტყვები არ მოეწონა. მკაცრად შემომხედა.

— ასე ნუ ლაპარაკობ. ინგლისში დაბრუნდები თუ აქ დარჩები?

— ჯერჯერობით აქ დავრჩები.

— კარგა. მთლად ნუ დაიკარგები მაინც.

ადგილობრივი ყოველკვირეული გაზეთის ძალიანი წრის ქრონიკებში გამოქვეყნებული წერილების პონორარით გამქონდა თავი, რაც, რა თქმა უნდა, სულაც არ შეესაბამებოდა ჩემს წარმოდგენას ნამდვილ მწერლობაზე. მას შემდეგ, რაც არქეოლოგთა კარნაკული ვიწრო წრე დაუტოვე, იმდენი მეგობარი გავიჩინე, ყველას ვერც ვწუდებოდი. მრავალს ეიზიდავდი, როგორც ინგლისიდან ახლად ჩამოსული ადამიანი, რომელსაც ცხოვრების გაცნობის სურვალი ჰქონდა. იმ უამრავ ყმაწვილ კაცთაგან და მოუსვენარ, დაუდეგარ ოჯახებიდან, რომლებთან ერთადაც მანქანით დაესერე მთელი როდეზია, შინ დაბრუნებულმა მხოლოდ ერთ ოჯახთან გავაგრძელე მეგობრობა, ვფიქრობ იმიტომ, რომ სრული განსახიერება იყო იქაური ოჯახებისა: იმ მხარის მცხოვრებნი ხომ წვეთი წყალივით ჰგვანან ერთმანეთს, ისევე როგორც როდეზიის უდაბნოში გაფანტული კერპები.

ჯორჯს ერთხელ კიდევ შეეხედი ბულავაიოს ერთ-ერთ სასტუმროში. ჩვენ სოდიან ვისკას ვსვამდით და თან ომზე ვლაპარაკობდით. სწორედ მაშინ სკინის ექსპედიციას უნდა გადაეწვევითა, დარჩენილიყო როდეზიაში თუ შინ დაბრუნებულყო. გათხრებს საინტერესო სტადიისათვის მიეღწია, და როცა კი შემთხვევა ჩამივარდებოდა ხელთ ზიმბაბვეში ჩავსულიყავი, სკინის ტაძრის ნან-

გრეგებთან მივყავდი მოვარიან ღამეში და ცდილობდა ჩემთვის ფინიკიელთა აზრდღილები დაენახვებინა, რომლებიც ხან იქვე ჩვენ წინ, ხან კი ტაძრის კედლებთან გაივლევებდნენ ხოლმე. მე მთლად არ გადამეფიქრებინა სკინიზე გათხოვება. ვფიქრობდი, სწავლა დაასრულოს და ენახოთ-მეთქი. ჯერ კი ყველას კარსმომდგარ ომზე ფიქრი ვვიფორიაქებდა სულს და მეც ამაზე ველაპარაკებოდი ჯორჯს, სასტუმროს კერანდაზე რომ ვისხედით იმ წამსვე მტკუნვარე, კაშკაშა აფრიკული ზამთრის დღეს. ჯორჯი დაუინებით შეკითხვობდა ჩემი და სკინის ურთიერთობის ამბავს. კაი ნახევარი საათი ცდილობდა რამე ეთქმევინებინა ჩემთვის. მაშინღა დამანება თავი, როცა ვუთხარი: ჯორჯ, ძალიან აბეზარი ხარ-მეთქი.

აფორიაქებული იყო:

— ომი გინდ დაიწყოს, გინდ არა, უნდა მოვეუსვა აქედან.

— სიცხისაგან რა არ მოუვა ადამიანს აზრად, — ვუთხარი მე.

— ასეა თუ ისე, უნდა ავიკრა გუდა-ნაბადი. დიდი ფული ჩავეყარე თამბაქოში. ბიძაჩემი ღამის გაგიჟდეს. შენ არ იცი, რა ვერაგები არიან აქაური პლანტატორები: ერთი თუ შემოგვყრნენ, აღარ გაგახარებენ.

— შერე მატლდას რაღას უპირებ? — ვკითხე მე.

— მატლდას არაფერი გაუჭირდება, ქვეყნის ნათესავები ჰყავს.

გაგონილი მქონდა, რომ ჯორჯს პატარა გოგონა ჰყავდა უკვე. ამბობდნენ, ნახშირით შავია, თორემ ისე ალი-კვალი ძამა არისო. იმასაც მოვკარი ყური, რომ მატლდა მეორეზე იყო ფეხმძიმედ.

— ბავშვზე მაინც არ ფიქრობ?

ამაზე არაფერი უბასუხია. ისევ შეუკვეთა ვისკი და, როცა მოგვიტანეს, დიდხანს ურედა წვირით. ბოლოს მითხრა:

— ოცდაერთის რომ გახდი, რატომ არ დამპატიე?

— დაბადების დღე არ გადამიხდია, ჯორჯ. ერთი-ორი ჭიქა დავლიეთ, ეგ იყო და ეგ. მხოლოდ სკინი იყო, ორი მოხუცი პროფესორი, მათი ცოლები და მე, ჯორჯ, სხვა არავინ გეყოლია.

— არ დამპატიე დაბადების დღეზე, — თქვა მან. — ქეთლინი კი ყოველთვის მწერს.

ტყუილს ამბობდა. ქეთლინი საკმაოდ ხშირად მწერდა, თან მაფრთხილებდა: არ უთხრა ჯორჯს, რომ გწერ, თორემ იმასაც ექნება მოლოდინი, მე კი ახლა მაგისტრის არა მცალიაო.

— სულ დაივიწყე ძველი მეგობრობა, — მითხრა ჯორჯმა, — შენც დაივიწყე და სკინიმაც.

— კარგი რა, ჯორჯ!

— გაიხსენე ძველი დრო, გაიხსენე ერთად გატარებული წლები, — ჯორჯს ცრემლით აევსო დიდი თაფლისფერი თვალები.

— ჩემი წასვლის დროა, — ვთქვი მე.

— სუ წახვალ, დარჩი ცოტა ხანს. რაღაც მინდა გითხრა.

— რამე კარგი? — ისე გავიღიმე, თითქოს მოუთმენლად ველოდი, რას მეტყოდა. ჯორჯს უყვარდა, როცა გადაჭარბებულ ყურადღებას გამოიჩენდი.

— შენ არ იცი, რა იღბლიანი ხარ, — მითხრა ჯორჯმა.

ნუსუ-მეთქი! ხანდახან აუტანელი ხდებოდა ამის მოსმენა. როცა ჩემთვის ვაცოდვილებდი კალამს, ბევრჯერ ის სიმწარეც მიგემნია, ბედის წყალობას

— არც სკინის ვუთხრა? ხომ იცი, რომ შენს ამბავს გულთან ახლოს მიიტანს, ჯორჯ.

— არაეის არ უთხრა, პირობა მომეცი, რომ საიდუმლოდ შეინახავ.

— პირობას გაძლევ; — ვუთხარი, ვხედებოდი, რომ ჯორჯს სურდა საიდუმლოთი ჩვენი დამაკავშირებელი ძაფები განემტკიცებინა. მეც ვიფიქრე, რაც არის, არის, ალბათ ეულად გრძნობს თავს, ამ საიდუმლოს შესწავლას არაფერი დაშავდება-მეთქი.

ინგლისში სკინის ექსპედიციასთან ერთად დაებრუნდი ომის დაწყების წინ.

ჯორჯი მეტად აღარ მინახავს, მხოლოდ ამ ხუთი წლის წინ შევხვდი ისევ, სწორედ ჩემი სიკვდილის დღეს.

ომის შემდეგ სკინი კვლავ სწავლას მიუბრუნდა, ორი გამოცდა ჰქონდა კიდევ, წელიწად-ნახევარში უნდა ჩაებარებინა, პოდა, ვფიქრობდი, გამოცდებს რომ მორჩება, იქნება მართლა გავყვე-მეთქი წოლად.

— მაღლობა თქვი, რომ ბედმა სკინის შეგახვედრა, — მეტყოდა ხოლმე ქეთლინი, შაბათ დილას ანტიკვარული მაღაზიებისა და ძველმანებით მოვაჭრეთა ფარდულებისაკენ რომ მივსვირჩობდი.

თვითონაც ასაკში შედიოდა, ჩვენი მოტლანდიელი ნათესავები უკვე წუხდნენ, დროა ოჯახს მოეკიდოთო. ქეთლინი ცოტა უმცროსი იყო ჩემზე, თუმცა ბევრად უფროსი ჩანდა. იცოდა, თანდათან უფრო გაუძნელებოდა გათხოვება, მაგრამ ეს ამბავი თითქოს დიდად არ აწუხებდა მასინ. ხოლო მე რაც შემეხება, სკინიზე გათხოვებას უმთავრესად მესობოტამიაში მოსალოდნელი ექსპედიციის გამო ვფიქრობდი, გათხოვების სურვილი რომ არ გამწელებოდა, გამუდმებით ვკითხულობდი წიგნებს ბაბილონსა და ასურეთზე, როგორც ჩანს, სკინი გრძნობდა ამას, რადგან წიგნებით ხომ მამარაგებდა და მამარაგებდა, თან ლურსმნული წარწერების გაშიფვრის ხელოვნებასაც მასწავლიდა.

ქეთლინა კი უფრო ბევრს ფიქრობდა გათხოვებაზე, ვიდრე მეგონა. ჩემი არ იყოს, არც მაგას დაპკლება სვირნობა ომის დროს, აშშ-ს სამხედრო საზღვაო ფლოტის ოფიცერზეც კი იყო დანიშნული, მაგრამ მოუკლეს, ახლა ქეთლინს ანტიკვარული მაღაზია ჰქონდა ლამბერტთან ახლოს და ძალიან კარგად მოუდიოდა საქმე, ცხოვრობდა ჩელსი-სკვერზე, მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ეტყობა, მაინც უნდოდა გათხოვება და შვილება. შეჩერდებოდა ხოლმე, რომ საბავშვო ეტლებში ჩაეხედა, რომლებსაც დედები მაღაზიის შესასვლელთან ან სადარბაზოებთან ტოვებდნენ.

— პოეტ სუინბერნს ჰქონდა ასეთი ჩვევა. — ვუთხარი ერთხელ.

— მართლა? შვილი უნდოდა?

— არა მგონია, უბრალოდ, ჩვილი ბავშვები უყვარდა.

პოლო გამოცდის წინ სკინი ავად გახდა და სანატორიუმში გაგზავნეს, შვეიცარიაში.

— მაინც ბედი გქონია, რომ არ გაპყევი, — მითხრა ქეთლინმა. — იქნება ჭლებიც შეგვროდა.

რა ბედნიერი ხარ, რა იღბლიანი ხარ... გაუთაყებლად ჩამჩიჩინებდნენ, თუმცა ამის მოსმენა მაღიზიანებდა, ვიცოდი, რომ სიმართლე იყო, ოღონდ არა ამ აზრით, რა აზრითაც მეუბნებოდნენ, თავს მართლაც იოლად ვირჩენდი: ხან

მე არაფერი ვთქვი ჯორჯის ქორწინებაზე, არც რაიმე მისი გულისხმადები გამომხელია, ბულავაიოს სასტუმროში რომ გამანდო. წლები გადიოდა და ჩვენ იშვიათადლა თუ ვახსენებდით მას, როგორც ადამიანს, რომელიც თითქმის აღარ არსებობდა ჩვენთვის.

ჯორჯის მოულოდნელად გამოჩენამ ქეთლინი ააფორიაქა. დაავიწყდა, თუ როგორ აღიზიანებდა იგი უწინ, და მითხრა:

– საოცრად გამიხარდა ჩვენი ძველი მეგობრის, ჯორჯის ნახვა. მეგობარი სჭირდება ყველასაგან მიუიწყებულსა და ვარიუულს.

– მაგას, მე მგონი, დედობრივი ზრუნვა სჭირდება.

ქეთლინმა ვერ შენიშნა ამ სიტყვებში გარეული გესლი და თქვა:

– მართლაც რომ ასეა. ჯორჯს ყოველთვის აკლდა დედობრივი ზრუნვა. მე ახლა ვხვდები ამას.

ეტყობა, მზად იყო ძირუესვიანად შეეცვალა აზრი ჯორჯზე. ჯორჯს დღით უკვე ეამბნა მისთვის თავის ონისდროინდელ ღამის კლუბზე ღურბანში, ეამბნა აგრეთვე მონადირეთა ექსპედიციებზე, რომლებშიც თვითონ მონაწილეობდა. ხოლო მათილდაზე, ცხადი იყო, სიტყვაც არ დაეძრა. ქეთლინმა მითხრა, გასუქებულა, მაგრამ ჯორჯს ეს შეენის კადეცო.

მაინტერესებდა განახლებული ჯორჯის ხილვა, მაგრამ მეორე დღეს შოტლანდიაში მიემგზავრებოდი და ვერ მოვახერხე, სექტემბერშილა ვიხილე იგი, სწორედ ჩემი სიკვდილის წინ.

წერილებიდან, რომლებსაც შოტლანდიაში მიგზავნიდა ქეთლინი, მივხვდი, რომ იგი ხშირად ხვდებოდა ჯორჯს, სიამოვნებდა მის გვერდით ყოფნა და მოუთმენლად ელოდა ყოველ ახალ შეხვედრას. „რომ ნახო, გაგიკვირდება, ისეა შეცვლილი“. ეტყობა, მთელი დღეები ქეთლინის მალაზიაში იყო ატუზული. „როცა აქ ტრიალებს, ასე ჰგონია, საჭირო ვარო“, დედობრივი სინაზით წერდა ქეთლინი. ჯორჯს მოხუცი ნათესავი ჰყოლოდა კენტში, რიქელსაც შაბათ-კვირას მოინახულებდა ხოლმე. ეს მოხუცი მანდილოსანი ქეთლინის დეიდისაგან რამდენიმე მილის დაშორებით ცხოვრობდა, რაც ძალზე მოსახერხებელი იყო ქეთლინისა და ჯორჯისათვის – ისინი ერთად მიემგზავრებოდნენ შაბათობით და ერთად დასეირნობდნენ ხოლმე სოფლის შემოგარენში.

– აი, ნახავ, ჯორჯი მთლად შეცვლილია, – მითხრა ქეთლინმა, როცა ლონდონში დავბრუნდა სექტემბერში. ჯორჯი იმ შაბათ საღამოს უნდა შენახა. ქეთლინის დეიდა საზღვარგარეთ იყო, მოახლე დაეთხოვათ და ქეთლინი დაცარიელებულ სახლში მართო რომ არ ყოფილიყო, მეც უნდა გავეყოლოდი.

ჯორჯი ერთი-ორი დღით ადრე წასულიყო კენტში. „გულდაგულ შეუდგა საქმეს. მოსავლის აღებაში ეხმარებათ,“ – სიყვარულით თქვა ქეთლინმა.

მე და ქეთლინი ერთად ვაპირებდით გამგზავრებას, მაგრამ შაბათს რაღაც მოულოდნელმა საქმემ დააბრკოლა ლონდონში. შევთანხმდით, რომ მე წინდაწინ ჩავიდოდი და საჭმელზე ვიზრუნებდი ჩვენი პატარა წვეულებისათვის; იმ საღამოს ქეთლინს ჯორჯი აკავდა დაპატიჟებული სადილად დეიდამისის სახლში.

– შვიდისთვის ჩამოვალ, – მითხრა მან. – ხომ არ გეფიქრება, სახლში რომ არავინაა? თვითონ მე არ მიყვარს დაცარიელებულ სახლში შესვლა.

არა-მეთქი, ვუთხარი, მე მიყვარს დაცარიელებული სახლი.

როცა ჩავედი, ვიგრძენი, რომ მართლაც ასე იყო. ასეთი სასიამოვნო ადრე არასოდეს მომხვეწებია ეს სახლი. ძველდღის საცხოვრებელი იყო—დიდი, მე-18 საუკუნეში აშენებული, დაახლოებით რვა აკრის ადგილ-მამულად, ოთახების უმრავლესობა დაკვეთილი იყო, აკეჯი შალითებგადაფარებული, და მთელ ამხელა სახლში ერთადერთი მოახლე ჰყავდათ. აღმოვაჩინე, რომ არსადაც არ ვიყავი საყადლებზე წასასვლელი; ქეთლინის დეიდას ბევრი გემრიელი და მკვრივი ნაჭებიანა ზედ მიმაგრებული პატარა ბარათებით: „სულ მკვრივთ“ ძალიან გთხოვთ, მაცივარშიც შეიხედეთ“, ანდა „სამ მშვიერ კაცს დაანაყრებს ნახვრეთვე 2 ბოთლი ღვინო სტუმრებისათვის სამხ შავ მაგიდაზე“, თითქოს განძს ვეძებდი, ბარათებში მითითებულ გრიდ, მეუღრო სათავსებს ისე ჩამოვუარე. სახლი, სადაც არ არიან ადამიანები — მაგრამ ყველაფერს ატყვია მათი ბინადრობის კვალი — საუცხოო წყნარი სავანეა. ადამიანები რომ უზომოდ დიდ ადგილს იკავებენ სახლში, უწინ რომ ჩამოვდიოდი, მეჩვენებოდა, ოთახებს ავსებდნენ ქეთლინი, დეიდამისი და მათი პატარა ჩასუქებული მოახლე, რომლებიც სულ დაფუსფუსებდნენ. როცა სახლის ის ნაწილი დავიარე, სადაც ცხოვრობდნენ, რომ ფანჯრები გამეღო და სექტემბრის მკრთალი ოქროსფერი პაერი შემომეშვა, მე, ნემსამ, ისეთი სიმსუბუქე ვიგრძენი, თითქოს უხორცო არსება ვიყავი, თითქოს სივრცეს არც ვიკავებდი.

ერთადერთი, რძე მქონდა მოსატანი. თინამდე მოვიცადე, რომ პროხები მოეწველათ, და ფერმისკენ გავექურე, რომელიც ხეხილის ბაღის უკან მდებარე ორი მინდვრის გაღალმა იყო. პოდა, სწორედ მაშინ, როცა ფერმის მუშა რძით სავსე ბოთლს მაწვდიდა, ჯორჯი დავანახე.

- გამარჯობა, ჯორჯ, — ვუთხარი მე.
- ნემსა! აქ რას აკეთებ? — მკითხა.
- რძეს ვყიდულობ, — ვუპასუხე.
- მეც რძეს ვყიდულობ. რა კარგია, რომ გნახე.

ფერმის მუშას ფული რომ გადაუხადეთ, ჯორჯმა თქვა:

— ცოტას გამოვივლი შენთან ერთად, ოღონდ სწრაფად ვიაროთ, ჩემი მოხუცი ბიძაშვილი რძეს ელოდება, რომ ჩაი დალიოს. ქეთლინს რა მოუვიდა?

— ღონღონში შეყოვნდა. მოგვიანებით ჩამოვა, ალბათ შვიდისთვის, როგორც თვითონ მითხრა.

ჩვენ პირველი მინდორი გადავიარეთ. აქ ჯორჯს მარცხნივ უნდა გადაეხვია და გზაზე გასულიყო.

- მაშ, ამ საღამოს მოხვალ, არა? — ვკითხე.
- ჰო, მოვალ, წარსული გავიხსენოთ.
- შესანიშნავია, — ვთქვი მე.

მაგრამ ჯორჯი მეორე მინდორზეც გადმოიყვა.

- მისმინე, — მითხრა, — შენთან ლაპარაკი მინდა.
- ამ საღამოს ვილაპარაკოთ, ჯორჯ, ნუღარ ალოდინებ შენს ბიძაშვილს, დროზე მიუტანე რძე, — შევამჩნიე, რომ ისე ველაპარაკებოდი, როგორც ბავშვს.
- არა, ცალკე მინდა გელაპარაკო, ამაზე უკეთესი შემთხვევა აღარ მომეცემა.

ჩვენ მეორე მინდორს დავადექით. იმედი მქონდა, კიდევ ერთ-ორ საათს მაინც მარტო ვაქნებოდი სახლში, ჩემს ნებაზე, ამიტომაც ვჩქარობდი.

- შეხედე, — მითხრა უცებ, — თივის ზეინა.

- პო, - უგულიყუროდ გავეპასუხე.
- ბოდი, დავსხდეთ იქ და ვილაპარაკოთ. მანდა კვლავ გიხილო თივის ზეინზე. მე ისევა მაქვს ის სურათი. გახსოვს...
- ნემსი რომ ვიპოვე. - სასწრაფოდ ვთქვა, რომ ბოლო მომეღო ამ ლაპარაკისთვის.



თუმცა დასვენება მაინც მესიამოვნა. თივის ზვინი ჩამოვლილ მოხერხებულად მოვკალაძით ზედ. რძის ბოთლი თივაში ჩავუფადლად ყოფილიყო, ჯორჯმა კი თივის ბოთლი ფრთხილად დადგა ზვინის ძირში.

- საწყალი ჩემი ბიძაშვილი ძალზე გონებადაფანტულია, რაღაც ჭკუაზე ვერ არის. ერთი ბეწო შეგრძნებაც აღარა აქვს დროისა. რომ ვუთხრა, მხოლოდ ათი წუთით ვიყავი-მეთქი გასული, დამიჯერებს.

მე ჩავიხითხითე და ჯორჯს შევხედე. სახე კიდევ უფრო გაფართოებოდა, ტუჩები კი საესე ჰქონდა, მსხვილი, მამაკაცისათვის შეუფერებლად წითელი. მასი თაფლისფერი თვალები უწინდებურად საესე იყო რაღაც უტყუო მუდარით.

- მაშ, ბოლოს და ბოლოს მიპყვები არა სკინის?
- დანამდვილებით არც ვიცი, ჯორჯ.
- კარგა ხანს კი ატყუე.
- ეგ შენი საქმე არ არის, მე ვიცი, რასაც ვაკეთებ.
- ნუ ყვირა, - მითხრა მან, - გაგეხუმრე. - ამის დასამტკიცებლად ბლუჯი აიღო თივა და სახეზე მომისვა.


- იცი რა, - მითხრა შემდეგ, - მე მგონი, შენ და სკინი მაინცდამაინც კარგად ვერ მომექეცით როდესაცააში.

- კარგი, რა, ჯორჯ, არ გვეცალა, მაშინ უფრო ახალგაზრდები ვიყავით, ბევრი რამ გვქონდა სანახავი და გასაკეთებელი. ბოლოს და ბოლოს შენი ნახვა ყოველთვის შეგვეძლო, ჯორჯ.

- ეგოისტები ხართ, - თქვა ჯორჯმა.
- უნდა წავიდე, ჯორჯ, - წამოვიწიე, რომ ზვინიდან ჩამოვსულიყავი. ჯორჯმა დაშქანა.
- მოიცა, რაღაც უნდა გითხრა.
- კარგი, ჯორჯ, მითხარი.
- იღონდ დამპირდი, რომ ქეთლინს არ ეტყვი. ჯორჯერობით საიდუმლოდ ინახავს ამ ამბავს. თვითონ უნდა გითხრას.
- კარგი, გპირდები.
- ქეთლინს ვირთავ.
- შენ ხომ გყავს ცოლი.

ხანდახან მატილდას ამბებს ერთი როდესიული ოჯახისგან ვიგებდი, რომელთანაც ჯერ კიდევ მქონდა მიმოწერა. ისინი მატილდას „ჯორჯის შავ-გვრემან ქალბატონის“ ეძახდნენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ იცოდნენ, რომ მისი ცოლი იყო. როგორც მწერდნენ, კვარიახად გაეოცქვნა ჯორჯი, სულ მორსულ-მოკაზმული დაბრძანდებოდა თურქე, მთელი დღე პრანჭვა-გრეხას უნდებოდა, თითს თითზე არ აკარებდა და მეზობლად მცხოვრებ ფერადკანიან წესიერ ქალაქვილებსაც თავგზას უბნევდა. ჩემი მეგობრების წერილებიდან ისეთი აზრი დამრჩა, რომ მატილდა იყო ცოცხალი მაგალითი იმ უგუნურებისა, რაც ჯორჯმა ჩაიღინა.

20.2.21



— მატილდა კონგოში შევიართე, — ამბობდა ჯორჯი.

— მაინც ორკოლიანობა იქნება, — ვუთხარი მე.

„ორკოლიანობის“ ხსენებაზე ჯორჯი გადაირია. თივა მობლუჯა და მომიღერა, თითქოს უნდა სახეში შემოეყარა, მაგრამ თავი შეაკავა და მხოლოდ მაშინ დასაწყისად დამიქნია, ვითომ მეხუჭრებოდა.

— არა მგონია, კონგოს ქორწინებას რაიმე ძალა ჰქონდეს, — განაგრძობ მან, — ყოველ შემთხვევაში მე არაფრად მიმაჩნია.

— ეს რა საკადრისია, — ვუთხარი.

— მე მჭირდება ქეთლინი. ის ისეთი კარგია, ისეთი კეთილი. ვფიქრობ, ერთმანეთისთვის ვართ გაჩენილი, ქეთლინი და მე.

— უნდა წავიდე, — ვთქვი.

მაგრამ ჯორჯმა მუხლი დამაჭირა ფეხებზე და ვეღარ გავინძერი. მორჩილად ვიჯექი და სადღაც შირს ვიციქირებოდი.

მან თივის ღერით მომიღიტინა სახეზე.

— გაიცინე, ნემსა, — მითხრა, — ძოღი, ძველებურად ვისაუბროთ.

— ჰოო?

— ჩვენ ორის გარდა არავინ იცის, რომ მატილდა ჩემი ცოლია.

— და კიდევ მატილდას გარდა, — ვუთხარი მე.

— კრინტსაც არ დასძრავს, სახამ ფულს უხდიან. ბიძაჩემმა ამისთვის დაუნიშნა ყოველწლიური რენტა, მისი ადვოკატები მიხედავენ ამ საქმეს.

— გამიშვი, ჯორჯ.

— შენ დამპირდი, რომ საიდუმლოს შეინახავდი, — მითხრა მან, — ხომ დამპირდი?

— კი, დამპირდი.

— ჰოდა, ახლა შენც რომ სკინის მისთხოვლები, ისე დაეწყვილდებით, როგორც წლების წინ უნდა დაეწყვილებულიყავით, უნდა დაეწყვილებულიყავით, მაგრამ ახალგაზრდობამ — ჩვენმა ახალგაზრდობამ! — შეგვიშალა ხელი, ასე არაა?

— ცხოვრებამ შეგვიშალა ხელი, — ვუთხარი მე.

— მაგრამ ახლა ყველაფერი კარგად იქნება. საიდუმლოს ხომ შემიხახავ? სიტყვა გაქვს მოცემული, — მან მუხლი მომაცილა. მე ოდნავ იქით გავჩოჩდი.

ვუთხარი:

— თუ ქეთლინი დააპირებს ცოლად გამოგყვეს, ვუთხარი, რომ ცოლიანი ხარ.

— შენ ასეთ სისამაგლეს არ ჩაიდენ ხომ, ნემსა? თავად ბედნიერი იქნები სკინისთან და ნურც ჩემს ბედნიერებას გაღე...

— გადაველობები. ქეთლინი ჩემი საუკეთესო მეგობარია, — აღარ დავამთავრებინე სათქმელი.

ისე შემომხედა, თითქოს მზად იყო მოუკალი, და მომკლა კიდევ. პირი თივით გამომიჩურთა, თან მუხლებით მაწვებოდა ზედ, რომ არ მეფართხალა, და ვეება მარცხენა ტორით ბლუჯავდა ჩემს მაჯებს. უკანასკნელად რაც დავინახე, იყო მისი სავსე წითელი ტუჩები და კბილების თეთრი ზოლი. ისე ჩამტუნა თივის ზვინში, კაცი არ გაჭაჭანებულა ახლომახლო: გააფთრებით გაქექა თივა, შიგ ჩემსიგრძე ღრმული გააკეთა და ბოლოს მშრალი, თბილი ბრელო წამაყარა ზემოდან. ეს სამალავი ისე ბუნებრივად იყო ამობურცული დაშლილ თივის

ზვინში, რომ ეჭვი არაფერში შეეპარებოდა ადამიანს. შემდეგ ჯორჯი ჩავიდა ზვინიდან, აიღო რძის ბოთლი და თავისი გზით წავიდა. ვფიქრობ, სწორედ ამიტომაც წახდა აგრე რიგად, როცა დაახლოებით ხუთი წლის შემდეგ პორტოგელი როულიზე დახლთან მდგარმა ხალისიანად დაუძახა: „გამარჯობა, ჯორჯ“



თივის ზვინზე მკვლელობა იმ წლის ერთ-ერთი გახმაურებული ამბავი იყო.

ჩემი მეგობრები ამბობდნენ: აა ვის უნდა დასცლოდა სიცოცხლე. როდესაც ოცი საათის ძეხვის შემდეგ ჩემს გვამს მოაგნეს, საღამოს გახეთქმა ქვეყანას აუწყეს: „იპოვეს „ნემსა“, თივის ზვინში.“

ქეთლინმა, ზოგისთვის უცხო კათოლიკური თვალსაზრისით რომ მსჯელობდა, თქვა: „სწორედ სიკვდილის წინა დღეს იყო აღსარებაზე – განა ბედნიერი არ არის?“

საბრალო ფერმის მუშას, რომელმაც რძე მოგვეყიდა, წარაშარა დაკითხვაზე იბარებდნენ ჯერ ადგილობრივ პოლიციაში, ხოლო მოგვიანებით სკოტლანდ-იარდში. ჯორჯსაც გაუთავებლად დაატარებდნენ დაკითხვებზე. გამოტყდა, რომ თივის ზვინამდე ერთად მივედით, მაგრამ უარს ამბობდა, იქ არ შევჩერებულვართო.

- თქვენ ხომ ათი წელი იყო არ გენახათ მეგობარი? – ჰკითხა ინსპექტორმა.
- მართალი ბრძანდებით, – უთხრა ჯორჯმა.
- მერე, საღაპარაკოდ არ შეჩერდით?
- არა. დავოქვეით, რომ მოგვიანებით სადილზე შევხვდებოდით ერთმანეთს.

ჩემი ბიძაშვილი რძეს ელოდებოდა და ვჩქარობდა.

მისმა ბიძაშვილმა, მოხუცმა ქალმა, რომელიც რამდენიმე თვეში გარდაიცვალა, დაიფიცა, სულ ათი წუთი იყო წახულია, და სიკვდილის დღემდე გულწრფელად სჯეროდა ეს. ჯორჯის პიჯაკზე, რასაკვირველია, აღმოჩნდა თვალთ უხილავი თივის ნაწილაკები, მაგრამ იმ ჩინებულ მოსავლიან წელს იმ მხარეში მცხოვრები რომელი მამაკაცის პიჯაკზე არ იყო ასეთი სამხილი. საუბედუროდ, ფერმის მუშას უფრო დიდი და ღონიერი ხელები ჰქონდა, ვიდრე ჯორჯს. როგორც ჩემი გვამის ლაბორატორიულმა გამოკვლევამ ცხადყო, სწორედ ასეთი ხელების ნაკვალები იყო აღბეჭდილი ჩემს მაჯებზე. მაგრამ ეს საკმარისი სამხილი არ გახლდათ, რათა ბრალი დაედოთ ან ერთისთვის ან მეორისთვის. ასე თქვეს, გრძელმკვლავებიანი ჯემპრი რომ არ სცმოდა, დაღურჯებული ადგილები შესაძლოა რომელიმეს თითებს ზუსტად მისადაგებოდათ.

რომ დაემტკიცებინა, ჯორჯს არავითარი მიზეზი არ ჰქონია მკვლელობისთვისო, ქეთლინმა პოლიციაში განაცხადა, მე და ჯორჯი დანიშნულები ვართო. ჯორჯმა ამისი თქმა, ცოტა არ იყოს, სისულელედ მიიჩნია. მართლაც დაინტერესდნენ მისი ცხოვრებით აფრიკაში და გამოჩხრიკეს, რომ მატელდასთან ჰქონდა ურთიერთობა, მაგრამ ქორწინება არ გამოაშკარავებულა – ვის მოუვიდოდა აზრად კონგოს არქივებში ქექვა? და კიდევაც რომ მოსვლიდა აზრად, განა რა მიზეზს აღმოაჩენდა მკვლელობისას. და მაინც ჯორჯმა შეუბით ამოისუნთქა, როდესაც გამოძიება დათავურდა და მისი ქორწინების ამბავი ყველასთვის საიდუმლოდ დარჩა. მან და ქეთლინმა დიდი სერვეულობა განიცადეს

ერთად, გონსაც ერთად მოეგნენ, და როცა იქორწინეს, პოლიციას, უკვე კარგა ხანი იყო, რაც გამოძიება ქეთლინის დეიდის სახლიდან ხუთი მილით დაშორებულ საპაერო-სამხედრო ძალების ყაზარმებში გადაეტანა. ამ გამოძიებას სხვა არაფერი მოჰყოლია, გარდა იმისა, რომ მფრინავეებმა სამშვიდო დაკარგეს და სასმელს წიქაღწენ, მკვლელობა თივის ზვიზზე იყო რომ წლის ერთ-ერთი გაუხსნელი დანაშაული.

მაღე ამ ამბების შემდეგ ყვერძის ბუშა კანადაში გადასახლდა, რომ თავიდან დაეწყო ცხოვრება. სკინის ებრალებოდა იგი და ხელი შეუწყო გამგზავრებაში.

იმ შაბათს ქეთლინმა პორტობელი როუდიდან რომ წაიყვანა ჯორჯი, გავიფიქრე, ალბათ კიდევ შევხვდები-მეთქი აქ, მომდევნო შაბათს გაფაციცებით ვეძებდი ბრბოში, ბილოს გამოხნდა კიდევ. ამჯერად ქეთლინი არ ახლდა, აღელვებული იყო, მაგრამ თან, ეტყობა, პატარა იმედიც ჰქონდა, ალბათ შევცდი, მომეხეენათ.

მე კი ყოველგვარი იმედი გადაუწურე. გამარჯობა-მეთქი, ჯორჯ! — დაუუძახე.

ერთი კი გამოიხედა ჩემკენ და აფრიაბულვებულ ქუჩაში, სავაჭროდ გამოფენილი ზღვა ხალხის შუაგულში გაშეშდა. გულში გავიფიქრე: თივით პირგამოტენილს არა ჰგავს-მეთქი. ეს აზრი, თვით ცხოვრებასაკვით მხიარული და ღირიკული, მისმა გაბურძვნილმა წვერ-ულვაშმა მიკარნახა, რომელშიც ჩაფლვოდა დიდი პირი.

— გამარჯობა, ჯორჯ! — კვლავ დაუუძახე.

ოქნებ სხვა სიტყვებაც მოაუგონებინა ჩემთვის იმ საამურ დილას, მაგრამ ჯორჯი ამას აღარ დალოდებია. შესახვევში შევარდა, იქიდან სხვა ქუჩაზე გავიდა, მერე იქიდან კიდევ სხვაზე... მიხვეულ-მოხვეული გზით გარბოდა, რაც შეიძლება შორს, რომ პორტობელი როუდს გასცლიდა.

მაგრამ ერთი კვირის შემდეგ ისევ მოვიდა. საბრალო ქეთლინმა მოიყვანა მანქანით. მან ქუჩის თავში დააყენა მანქანა, ჯორჯთან ერთად გადმოვიდა იქიდან და მკლავში ჩააფრინდა. დაკლონდი, როცა შევამჩნიე, რომ ქეთლინი არც კი იყურებოდა მიუღვარე დახლებისაკენ. ჩემდა თავად უკვე შეთვალეირებული მქონდა ბეტერსიული ტურფა ხარდახმა, მოლად მისი გემოვნებისა, და წყილი მომინანქრებული ვერცხლის საყურე. მაგრამ ქეთლინმა ყურადღებაც არ მიაქცია ამ ნაკეთობებს, ჯორჯს ჩაბლაუჭებოდა და ისე ცუდად გამოიყურებოდა საბრალო, რომ თქმაც კი მიმძიმს.

ჯორჯიც გამხდარიყო. თვალებს წკურავდა, თითქოს რაღაც სტკივაო. ბარბაციოთ მოიწვევდა ბრბოში, რომელიც მთელ ქუჩას მოსდებოდა, და მკლავში ჩაფრენილი ქეთლინიც ბარბაციოთ მოჰყვებოდა.

— ოჰ, ჯორჯ! — ვუთხარი მე. — რა ცუდად გამოიყურები, ჯორჯ?

— შეხედე! — თქვა ჯორჯმა. — აი იქ, რკინა-კავეულის დახლთან, ნეშადგას.

ქეთლინი ტიროდა.

— შინ წამოდი, გეხატვალე. — ეუბნებოდა.

— ოჰ, რა ცუდად გამოიყურები, ჯორჯ! — გავუძვორე.

ჯორჯი ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წაიყვანეს. იქ ძალიან მშვიდად იყო, წყნარად, მაგრამ შაბათი რომ გათენდებოდა, შავ დღეში ავდებდა ყველას — ძლივს აკავებდნენ, რომ პორტობელი როუდზე არ გაქცეულიყო.

მაგრამ ორივე თვის შემდეგ ძაინც გაექცათ. ეს იყო ორშაბათ დღეს.

პორტობელი როუდზე დაუწყეს ძებნა, ის კი კენტში გაპარულიყო, მკვლელობის ადგილიდან ახლომდებარე სოფელში. იქ პოლიციაში მისულიყო და ყველაფერი უღიარებინა, მაგრამ როგორც მისი ლაპარაკიდან გაჩვენდა, მთლად ჭკუაზე ვერ უნდა ყოფილიყო.

— სამჯერ ზედიზედ შაბათ დღეს პორტობელი როუდზე ვნახე ნემსა, — აუხსნა მან, — იმათ კი საგიჟეთში დამაწვიინეს, მაგრამ დრო ვახელთე და, როცა სანიტრები ახლომდებარე პაციენტს დასტრიალებდნენ თავს, გამოვიპარე. გეხსომებათ ნემსას მკვლელობა — ის მკვლელობა მე ჩავივინე. და რაკი თქვენ ახლა უკვე სიმართლე იცით, იქნებ იმ წყეულმა ნემსამ ენა ჩავივინოს.

მერე რა, რამდენ საბრალოს, რამდენ გაფხუვებულ უღიარებია, კაცი მოვკალიო. პოლიციამ სასწრაფო დახმარების მანქანა გამოიძახა და ჯორჯი საავადმყოფოში დააბრუნეს. მაგრამ იქ დიდხანს აღარ დარჩენილა, ქეთლინმა შინ წამოიყვანა. მან მალაზია გაყიდა და თავი მალაიანად ჯორჯის მოვლას შესწირა. მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ყოველი შაბათ დღეა მისთვის სატანჯველი იყო. ჯორჯი ჯიუტად მოიწვედა ჩემს სანახავად პორტობელი როუდზე და ისევ და დაჟინებით იმუორებდა, ნემსა მე მოვკალიო. ერთხელ მათილდას შესახებაც კი დააპირა რაღაცის თქმა, მაგრამ ქეთლინი ისეთი სინაზითა და გულსყურათ უსმენდა, რომ, მე მგონია, გამბედაობა აღარ ეყო სათქმელად.

მას შემდეგ, რაც მკვლელობა მოხდა, სკინი საკმაოდ ცივად ექცეოდა ჯორჯს, სამაგიეროდ ქეთლინისადმი იჩენდა გულისხმიერებას. სწორედ სკინიმ დაარწმუნა ისინი, კანადაში გადასულაყვნენ საცხოვრებლად, რათა ჯორჯი შორს ყოფილიყო პორტობელი როუდიდან.

ჯორჯი ცოტა გამოკეოდა კანადაში, მაგრამ, რა თქმა უნდა, უწინდელი ჯორჯი ვეღარასოდეს იქნება, როგორც ქეთლინი სწერს სკინის ერთ წერილში. „ტრაგედია თვის ზეინზე საბედისწერო აღმოჩნდა მისთვის, — განაგრძობს იგი, — და ხანდახან ჯორჯი უფრო მეტად მეცოდება, ვიდრე საბრალო ნემსა. მაგრამ მისი სულის მოსახსენებლად ხშირად ვაწირვინებ“.

არა მგონია, მე და ჯორჯი კვლავ შევხვდეთ ერთმანეთს პორტობელი როუდზე. ჩაფიქრებული დაჰყურებს ხოლმე იგი დაჰმუჭნილ ფოტოს, რომელიც თვის ზეინზე გადაგვიღო. ქეთლინს არ უყვარს ეს სურათი და არც არის გასაკვირი. მე თუ მკითხავთ, ძალზე მზიარული სურათია, მაგრამ, არა მგონია, სინამდვილეში ისეთი კარგები ყოფილიყავით, როგორებიც აქ ვჩანვართ. მწიფე პურის ყანებს გავცქერით: სკინი თავისი კომიკური გამომეტყველებით, მე—დარწმუნებული საკუთარ გამოჩენილობაში, ქეთლინი — კვლევად იდაყვზე დაფრდნობილი, და თითოეული ჩვენგანის სახეზე აღბეჭდილია ანარეკლი ამქვეყნიური მშვენიერების, რომელიც თითქოს წარუვალია.

იპონური ლაზაქვი

მოთხრობები

თარგმნა გივი იციანიშვილმა

საიტი მორიგურა



თოვლის ციხინათელა

1

სამი წლის წინათ შემოდგომის ერთ დღეს ეიკო იძუმიდამ პირველად აიღო ეჭვი, რომ მის ქმარს საყვარელი ჰყავდა. თვეში ერთხელ იოდო საქმეზე მიემგზავრებოდა ხოლმე — ხან სამა დღით, ხან მთელი კვირითაც.

მას ქალაქ ნ.-ში დიდი რესტორანი „ჩრდილოეთის ზღვა“ ჰქონდა, შემდეგ ქალაქ ს.-ში გახსნა კიდევ ორი ფილიალი, სადაც თვეში ერთხელ ჩადიოდა.

ეს რესტორანი შეიძის დროიდან¹ არსებობდა. ერთხელ, იქაურ ადგილებში მოგზაურობისას, მისი მონახულება თვით იმპერატორმაც კა ინება. სხვადასხვა გზამკვლევებში „ჩრდილოეთის ზღვით“ იწყებოდა სია საუკეთესო რესტორნებისა, სადაც ამზადებდნენ იაპონურ კერძებს. იოდოს კარგად მისდიოდა საქმე, და უკვე დაიწყო ფიქრი ტოკიოში ახალი ფილიალის გახსნაზე.

შვილები არ ჰყავდა. ექიმი, რომელმაც იოდო და მისი ცოლი გამოიკვლია, იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეს ეიკოს მიზეზით ხდებოდა.

რომ გაიგო, ცოლს არ შეეძლო მემკვიდრე ეჩუქებინა, იოდო ძალიან შეცვალა. თუ ადრე ყველა საქმეში სიფრთხილეს და წინდახედულობას იჩენდა, ახლა გაბედულად და გარკვეული რისკითაც აქცეოდა.

თავის რესტორანში, რომელიც ოდიოგანვე ეროვნულ ტრადიციებს მისდევდა, მოიწვია საფრანგეთიდან ახლახან დაბრუნებული მზარეული და იაპონურ კერძებს ევროპულიც დაუმატა. ამ საკმაოდ გაბედულმა ნაბიჯმა წარმატება მოუტანა. საქმე იფურჩქნებოდა, და იოდომ მოკლე ხანში გახსნა ორი ფილიალი თავის მშობლიურ ქალაქში და კიდევ ერთი — ს.-ში.

რამდენიმე წლის განმავლობაში იოდომ გაისამკეცა ქონება. ამას ხელს უწყობდა მის ჩანაფიქრთა სითამამე. მან გადაწყვიტა, რომ სიფრთხილე არაფრის მაქნისი იყო — მემკვიდრე მაინც არ ეყოლებოდა.

ჯერ კიდევ მამამისის დროს „ჩრდილოეთის ზღვის“ შემოსავალმა შემცირება იწყო. მამამ, და პირველ ხანებში იოდომაც, დროულად არ გაითვალისწინეს კონიუნქტურასა და ხშირ სტუმართა გემოვნებაში მომხდარი ცვლილებანი და წინანდებურად მისდევდნენ ძველ ტრადიციებს, ეს კი, როგორც მალე დარწმუნდნენ, უთუოდ გაკოტრებას უქადდათ. და აი, როცა იოდომ გაიგო, რომ თავის ქონებას მემკვიდრეობით ვერავის გადასცემდა, ბედის ირონიით მისმა რესტორანმა დიდ წარმატებას მიაღწია იმ სიახლეთა წყალობით, რომლებსაც მან სასოწარკვეთის გამო მიმართა.

1. ნიჟიის მმართველობის წლები, 1867-1912.

ახლა იოდოს არ ასვენებდა ფიქრი, რომ მისი სიკვდილის შემდეგ რესტორანის აყვავებას ბოლო მოეღებოდა.

— როგორ შენახება, რომ ჯერ კიდევ მეიძის წლებში დაწყებულ საქმეს ვერაფერს გააგრძელებს, — ჩიოდა იგი და თან საყვედურით უცქეროდა ეიკოს.

მაგრამ ეიკო ცდილობდა არ შეეძინია ქმრის გადაკრული სიტყვები. მართლაც ხომ არ ურჩიოს საყვარელი იოდოს, რათა ამ უკანასკნელს შეეძინა დრე შესძინოს? კანონიერი მეუღლისათვის ეს იგივეა, რომ უსიტყვო კანონულაციის თეთრი ალაში გამოვიდოს. ასეთ რამეს ეიკო არასოდეს იკისრებს. ამას ვაყრა სჯობს!

ეიკო ამაყი ქალი იყო... თანაც იცოდა, რომ იოდო არ გაეყრებოდა. იოდო ეჭვიანი და ცრუმორწმუნე კაცი გახლდათ. ეიკო ცოლად იმითომ აირჩია, რომ პირველი იეროგლიფების შეერთება ნიშნავდა სიტყვას „დიდებულება“, და, მაშასადამე, აყვავებას ჰპირდებოდა მის რესტორანს. და თუმცა იოდო მისგან ბავშვს ვერ მოეწრო, მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ რესტორანში საქმე სწორედ ეიკოზე დაქორწინების წყალობით წავიდა წინ, და პირიქით, ვაყრა დაამორიშორებდა მათ სახელებს, ეს კი კარგს არაფერს უქადდა იოდოს.

ჩანს, ფიქრობდა ეიკო, იოდომ მისგან ძალუღად მაინც გაიჩინა საყვარელი. იგი ძალ-ღონით სავსე კაცია და ორმოცდაოთხი წლის ასაკში დიანაც ძალუღს გააჩინოს ბავშვი, ხოლო რადგანაც იოდოს იძუმიდას ოჯახის მეძვედრის იმედი ჰქონდა, იგი პირველ შემხვედრს კი არ დაუკავშირდა, არამედ დიდხანს არჩევდა შესაფერის ქალს.

ეჭვობა, პირველი პირობა, რომელიც მან წამოაყენა, ის იყო, რომ ქალი ჯანმრთელი უნდა ყოფილიყო და ნათესავებში არც კუტი ჰყოლოდა, არც ბოროტმოქმედი, არც ფსიქიურად აშლილი. ქალს სათანადო განათლება და გარეგნული მიმზიდველობა უნდა ჰქონოდა. ეიკომ იცოდა, რამდენად მომთხოვნი და წუნია იოდო, როცა საქმე ქალს ეხებოდა, და თუ ამორჩეული ქალი მისი გემოვნების შესაფერისი არ აღმოჩნდებოდა, მასთან დაახლოებას ვერაფერს აძლებდა.

დიახ, იოდოსათვის ძნელი იყო აერჩია მეგობარი, რომელიც მის გემოვნებას შეეფეროდა. გარდა ამისა, თუ მას ქალი მოეწონა, ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ იგი, თავის მხრივ, დასთანხმდებოდა. ხოლო კარგი ოჯახიშვილი, ჩვეულებრივ, თავდაპირველად წინაღუდგებოდა არსიყობას.

რადაც დროიდან ეიკომ იგრძნო, რომ ქმარი სხვაგვარად ეპყრობოდა. მიუხედავად უშვილობისა, ინტიმურ ურთიერთობაში მათ სრული ჰარმონია ჰქონდათ, და გამგზავრების წინა ღამეს კვი აუცილებლად ქმრის ხვეწნაში ატარებდა. მაგრამ აგერ უკვე სამი წელი იყო, რაც ქმარი მორიგ გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე აღარ ასრულებდა თავის მოვალეობას. იგი უხეშად იმართლებდა თავს დადღილობით, დიაბეტის შეტევის და სხვა რამეების მომიზეზებით, რომელთა შესახებაც მიუღებელია ხმაამაღლა ლაპარაკი. მაგრამ ეიკო ხვდებოდა, რომ ქმარი ძალას იკრებდა საყვარელთან შეხვედრისათვის. მგზავრობიდან სიქაგაცლილი ბრუნდებოდა, რაგინდ ეცადო, ასეთ რამეს ვერ დამალავ. მით უმეტეს ვერ დაუმაღავ ეიკოს, ვისთვისაც განსაკუთრებული ალღო მოემადლებინა ბუნებას. გარდა ამისა, ქალმა შეამჩნია, რომ დაბრუნების შემდეგ იოდოს ქვედა საცვალს სხვისი სარეცხი ფხვნილის სუნი ახლიოდა.

ეიკოს ვარაუდით ქმარმა საყვარელი გაიჩინა ქალაქ ს.-ში, სადაც ხშირად

ჩადიოდა. ქალაქი ნ. სადაც იოძოს მთავარი რესტორანი იყო, დადი არ გახლდათ, თუმცა რაიონის ცენტრად ითვლებოდა. იქ სახით ყველანი იცნობდნენ ერთმანეთს, ასე რომ, მშობლიურ ქალაქში საყვარელი რომ გავიხსენებო, შეუმჩნეველი არ დარჩებოდა. ისიც საუბრობდა, რომ სადმე ახლოს ეცხიურა. — მაშინ იოძო ასე ხშირად არ გაემგზავრებოდა და ამდენ დროს არ დაჰყრდნობოდა.

უეჭველია, იოძოს საყვარელი ქალაქ ს.-ში ან მის მეგობრებს უნდა ესაუბროდა გადაწყვეილა ეიკომ.

როცა მიხვდა, ჩემს ქმარს საყვარელი ჰყავსო, ეიკოს გაუჩნდა დაუოკებელი სურვილი ენახა ის ქალი, ვაგვო, რას წარმოადგენდა იგი. მას ესმოდა: ქმარი არ ვაყვრებოდა, და მაინც იძულებული იყო ეღიარებინა — მის საკუთრებაზე მოხდა თავდასხმა.

ს. — დიდი ქალაქი მილიონიანი მოსახლეობით, მთელი პროვინციის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად ითვლება. ასეთ ქალაქში ამ ქალის პოვნა ცაში მცურავა ღრუბლის დაჭერას უდრის...

ერთხელ ეიკომ მგზავრობიდან დაბრუნებულ ქმარს კოსტიუმზე ერთი ბეწო თეთრი, ცვილის მსგავსი ნივთიერება შეამჩნია. იგი სუნითაც წააგავდა თაფლის სანთელს. ეიკომ გულდასმით დაათვალიერა კოსტიუნი და აღმოაჩინა პაწაწინა გასრეხილი მწერი. ეტყობა, ცვილის ეს ნამცეცია ამ მწერიდან იყო. მწერი სიგრძით ხუთ მილიმეტრზე მეტი არ იქნებოდა და ოთხი ვიწრო ფრთა ჰქონდა.

მას შემდეგ ეიკო ყოველთვის ათვალიერებდა ქმრის ტანისამოსს, როცა იგი მორიგი მგზავრობიდან ბრუნდებოდა. ცვილის ნამცეცებს შემოდგომაზე ნახულობდა, ზაფხულში კი არაერთხელ უპოვია კოსტიუმზე მიკრული მწერები — აღონდ უფროთ. მწერები იყვნენ მთავრო, თითქმის გამჭვირვალე თეთრი, ოდნავ მოყარდისფრო მუცლით.

უეჭველია, ქალი იმ ადგილების მახლობლად ცხოვრობს, სადაც ეს მწერები იცისო, გადაწყვეილა ეიკომ, როცა „ნივთიერი მტკიცება“ გულდასმით გასინჯა. ეიკომ მეზობლად მცხოვრებ ბიოლოგიის მასწავლებელს აჩვენა მწერები. მან ენტომოლოგიური ატლასის მიხედვით შეამოწმა, მაგრამ ანალოგიური მწერები ვერ აღმოაჩინა, და თქვა გამოსარკვევად გარკვეული დრო დამჭირდებაო.

რამდენიმე დღის შემდეგ ტელეფონით დაურეკა ეიკოს და უთხრა:

— ვიპოვე. ესაა ბუგრის ნაირსახეობა — არიმაკი, თეთრი ნივთიერება, რომელსაც მწერი გამოყოფს, — ნამდვილი ცვილი. ზაფხულიდან შემოდგომამდე არიმაკები ხის პარაზიტები არიან, გვიან შემოდგომაზე კი ხდება მათი მასობრივი გადასახლება. უამრავი მწერი ეშვება მიწაზე და მოგვაგონებენ თოვლის ფანტელებს, ხალხი მათ „თოვლის ციციანთელებს“ უწოდებს.

— თოვლის ციციანთელები? რა პოეტური სახელია! კი მაგრამ უფროთ მწერები რაღა არიან?

— იგივე არსებანი. ისინი, ასე ვთქვათ, წელიწადში ორჯერ იცვლიან ცხოვრების წესს, ისევე როგორც ის მცენარეები, რომლებითაც იკვებებიან; ამიტომაც ხდება მათი მასობრივი გადასახლება. გაზაფხულზე ისინი სურნელოვანი ზეთის ხის ფოთლების პარაზიტები არიან, ზაფხულში კი სოჭის ფესვებზე გადადიან და მიწის ქვეშ ცხოვრობენ. ზაფხულში, მასობრივი გამრავლების პერიოდში, კვერცხებიდან გამოჩევილ მდედრ არსებათაგან — მათ „დედებს“ უწოდებენ — იბადებიან მატლები; სწორედ ესენი არიან უფროთ მწერები. მამრი არსებანი კვერცხებს დებენ, მათგან გამოჩევილი მწერები კი შემდეგ გაზაფხულზე

იმეორებენ არასქესობრივი გამრავლების ციკლს. მაშ ასე, ივნისსა და ოქტომბერში მდებარე არსებებს ეზრდებათ ფრთები, რომლებიც აუცილებელია კვეთის სხვა წყაროებისაკენ მათი მასობრივი გადასახლებისათვის.

— ესე იგი, უფროს და ფრთიანი ბუგრები ერთი და იგივე მწერები არიან?

— უთუოდ, და ყოველ წელს, ზუსტად განსაზღვრულ დროს ხრუჭებულნი იქნებიან და იწყება მუშაობა.

— ვერ შეტყვიან, სად, რომელ რაიონში ბინადრობენ ეს მწერები?

სწორედ ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად შეაჩუხა ეიკომ ბიოლოგიის მასწავლებელი.

— ყველგან, სადაც არიან მცენარეები, რომლებსაც ეს პარაზიტები უზრუნველყოფენ. მსოფლიოში არსებობს ამ ბუგრის სამი ათასამდე ნაირსახეობა, მარტო იაპონიაში ისინი ორასზე მეტი არიან.

— ქალაქ ს.-ს მახლობლად თუ ბინადრობენ?

— კი, ს.-ს მიდამოები სავსეა ამ მწერებით.

— ნუთუ იქ ასე ბევრი არიან ისინი?

— ძალიან. იქ ტურისტებიც კი ჩამოდიან მათი ცქერით დასატკბობად. მგონი, ს.-ს მკვიდრმა პოეტმა შეთხზა მათზე ეს ზაიგუ:

ვით ნაპერწკლები,
ანთებული საღამოს მზით,
მოფრენენ თოვლის ციციანთელები.

თვითონაც ბევრჯერ დაემტკბარვარ თოვლის ციციანთელების ცქერით. საოცარი სანახავია, როცა საღამოს ცაზე მოცურავენ, გვეგონება, ბამბის მანათობელი ფანტელები არიანო, მართლაც ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ჩამავალ მზეს აუნთიანო ისინი.

2

ბიოლოგიის მასწავლებელთან მიღებულმა კონსულტაციამ საბოლოოდ დაარწმუნა ეიკო, რომ იოდოს საყვარელი ქალაქ ს.-ში ცხოვრობდა. თოვლის ციციანთელასავით, წელიწადში ორჯერ რომ იცვლის სახეს, წარდგება ხოლმე მისი ქმარი ამ ქალის წინაშე სხვა, მისთვის უცნობი იერით, გაიფიქრა უეტარი ეჭვით შეპყრობილმა ეიკომ. მისი გონების თვალთა წინაშე მოფრინავდა აუარებელი თოვლის ციციანთელი და აბნელებდა ცას. თუმცა ერთი ციციანთელას მიერ გამოხიზვებული სინათლე მიკროსკოპულად მცირე იყო და თითქოს ეს-ესაა ჩაქრებოდა, ასიათასობით, მილიონობით ციციანთელი საღამოს მზით ანთებული ალივით ბრიალებდა...

შურით ანთებული ფრენენ
ციციანთელები თოვლის...

ასე გადააკეთა ეიკომ ლექსის ნაწყვეტი, რომელიც ბიოლოგიის მასწავლებელმა წაუკითხა.

მამ ასე, ეიკომ განსაზღვრა, რომ იოდოს საყვარელი ქალაქ ს.-ში ან მის მიდამოებში ცხოვრობდა, მაგრამ მან არც სახელი იცოდა მისი და არც ის, თუ როგორ გამოიყურებოდა. ეს უპირატესობას აძლევდა საყვარელს და უსუსურს ხდიდა ეიკოს მის წინაშე.

უწინარეს ყოვლისა უნდა გარკვიოს მისი სახელი, უნდა ნახოს კიდეც ასე გადაწყვიტა ეიკომ, და ამასი ერთი გარემოება დაეხმარა მის მგზავრობიდან იოდოს დაბრუნების შემდეგ ეიკომ, მის კოსტიუმს რომ იხილა, შარვლის შიდა მხარეს შეამჩნია წარწერა: „მასუკავას კვარტალი, ქიმწმენდა. ქალბატონ ნეგისის“. ეიკოს სული შეუვებდა. უეჭველად ეს ნეგისი იოდოს საყვარელია. მან წაიღო მისი შარვალი უახლოეს ქიმწმენდაში. ეიკოს გაახსენდა, რომ ს.-ში სწორედ მასუკავას კვარტალში არის ქიმწმენდა „ჰაკუტა“. იქ იგი იოლად შეძლებს „ქალბატონ ნეგისის“ მისამართის გაგებას.

— აი ხომ დაგიჭირე, — წაიდუღუნა ეიკომ, ნიშნის მოგებით ჩაიცინა და მხვრინავი ქმრისკენ მიბრუნდა. ჩვეულებრივ, იოდო ცოლთან ზედმეტ უთანხმოებას ერიდებოდა და მგზავრობიდან დაბრუნებამდე ცდილობდა გაექრო ყველა ნაკვალევი, რომლებიც საყვარელთან მის შეხვედრას მოწმობდა, როგორც წესი, მეორე ხელი ტანისამოსი და საცვლები მიჰქონდა ხოლმე და კოსტიუმს ქიმწმენდაში არასოდეს აბარებდა. შარვალსაც კი ოტელში აუთოებდა.

ამჯერად ამკარა შეცდომა დაუშვა. ეტყობა, საყვარელთან სტუმრობისას შარვალი რაღაცით ძალიან დაესვარა და იძულებული შეიქნა მახლობელ ქიმწმენდაში მიეცა. საყვარელს კი წარწერისთვის ყურადღება არ მიუქცევია. მაგრამ მართლა ვერ შენიშნა იმ ქალმა წარწერა? — დაეჭვდა ეიკო. ვგებ განგებ მოიქცა ასე და ამით თავისებურად გამოიწვია ეიკო? მას არ გამოურიცხავს ასეთი შესაძლებლობა და გამოიტანა საკმაოდ მნიშვნელოვანი დასკვნა: ეტყობა, საყვარლის პოზიციები საგრძნობლად განმტკიცდა. ჩანს, იგი ბავშვს ელოდება — იოდოს შემკვიდრეს. თუ ასეა, მისთვის აუცილებელი არ იქნება ეიკოს დაემალის — ჰოდა, კიდეც მოიფიქრა იმ წარწერის ამბავი, რათა იოდოს კანონიერ ცოლს თავი შეახსენოს. ნამდვილად ასეა, ეს ამკარა გამოწვევაა. — გადაწყვიტა ეიკომ.

მაგრამ ნუთუ ასე დაიმკვიდრა ადგილი იმ ქალმა მისი ქმრის გულში? ამას რომ ჩაუფიქრდა, ეიკო თავისთვის კიდეც უფრო არასასიამოვნო დასკვნამდე მივიდა: საყვარელმა, რომელიც მოკლებულია იმ სოციალურ გარანტიებს, რომლებიც კანონიერ ცოლს აქვს, საეჭვოა გაბედოს ამკარა გამოწვევა მხოლოდ მამაკაცის სიყვარულზე დაყრდნობით. ამ შემთხვევაში...

— ჰოდა, ყველაფერი გარკვეულია, — წაიდუღუნა ეიკომ. — ესე იგი, მან ეს ნაბიჯი იმიტომ გადადგა, რომ იოდოსგან მიიღო სრული გარანტია, ესე იგი, შვილი, რომელსაც უკვე მუცლით ატარებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი გახდა სწორედ ის „დედა“ მემკვიდრისა, რომელსაც იძუმიდას ოჯახის მთელი ქონება უნდა გადაეცეს... ჰო, მისი პოზიცია უფრო მტკიცეა, ვიდრე კანონიერი ცოლისა, რომელსაც არ ძალუძს ბავშვი აჩუქოს ქმარს.

ახლა ყველაფერი ნათელია, გაიფიქრა ეიკომ. ის ქალი ფეხმძიმედაა, ამიტომაც მაცნობა თავისი არსებობა. ამკარად მიმანიშნა, რომ იოდოს ცოლს ამისთვის ანგარიშის გაწევა მოუხდება.

მას შემდეგ იოდოს საყვარელი სულ უფრო გამომწვევად და დაუფარავად იქცეოდა. წინათ, როცა ქმარი მგზავრობიდან ბრუნდებოდა, ისეთი არაფერი ჩა-

მოქონდა, რომელიც დაამტკიცებდა საყვარლის არსებობას, მაგრამ ქიმწმენდის შემთხვევის შემდეგ ეიკო მის ნივთებში ხან სხვის ცხვირსახოცს ნახულობდა, ხან ქალის სავარცხელს. ზოგჯერ დაბრუნებისას სხვა საცვალი ეცვა ხოლმე, პალსტუხისა და ფეხსაცმლის შერჩევის გემოვნებაც შეეცვალა... ტუალეტის ახალი საგნები გაუჩნდა, როგორსაც ეიკო მისთვის არ ყიდულობდა. თავის ეჭვებზე ეიკო ჯერ არაფერს ამბობდა, ხოლო იოდო, ეტყობა, ქალის როგორც ინდულგენციას, ისე დებულობდა და თავის მართლებასაც არ ცდილობდა.

იოდოს საყვარლის აქტიურობა ყოველდღიურად იზრდებოდა, და ცოლქმარიც სავსებით ოფიციალურად აღიარებდა მის არსებობას, თუმცა ამას ხმამაღლა არ ამბობდნენ. რაც უფრო მეტად ერყეოდა ეიკოს კანონიერი ცოლის ტახტი, მით უფრო უმწიფდებოდა ფიქრი მეტოქის მოკვლის შესახებ. ამ ფიქრს იგი გულში ელოლიავებოდა და შუბის წვერივით ლესავდა.

3

იოდო იშვიათად სადილობდა ხოლმე შინ. საღამოობით სხვადასხვა ბანკეტზე წაისაუზმებდა ან თავის რესტორანში შეჭამდა რამეს. შინ მხოლოდ მგზავრობიდან დაბრუნების შემდეგ ვახშმობდა. რადგან ეს არც ისე ხშირად ხდებოდა, ეიკო მოახლეს შინ გზავნიდა, თვითონ კი ქმრის საყვარელ კერძებს დიდი რუდუნებით ამზადებდა.

იმ საღამოს იოდო ერთკვირიანი მგზავრობის შემდეგ უნდა დაბრუნებულიყო ს.-დან, და ეიკომ სხვადასხვა დელიკატესების მომზადებას მიუძღვნა მთელი დღე. სულსა და გულს აქსოვდა-ხოლმე ამ საქმეში ერთგული ცოლი. ასეთ კერძს განსაკუთრებული გემო აქვს, სულაც არ ჰგავს იმ კერძებს, რომლებსაც ბანკეტებზე ან რესტორანში მიაართმევენ ხალხს.

იოდომ იბანავა და ნაირ-ნაირი კერძებით გაწყობილ სუფრას მიუჯდა.

— რა გემრიელი რამ იქნება! — შესძახა მან, რამდენჯერმე ჩაარჭო ჩხირები ერთ-ერთ თეფშში, სუფრიდან წამოდგა, ჩემოდნიდან ბენტოს¹ მოწნული კალათა ამოიღო და, ისე რომ ცოლისთვის, რომელმაც ვახშმის მომზადებაზე ამდენი ჯაფა გასწია, ბოდიშიც არ მოუხდია, შეუდგა კოლოფში ჩადებული საუზმის ჭამას.

— დოვლათს ხომ არ გავაფუჭებ! — წაიდუღუნა პირგამოტენილმა.

წამით ეიკოს მოეჩვენა, თითქოს ძარღვებში სისხლი გაეყინა და მერე ისევე დენა დაიწყო. არის კი ქვეყნად სხვა ქალი, რომლის შრომასაც ასე უგულვებელყოფდეს ვინმე? — გაიფიქრა განრისხებულმა.

იოდომ ცოლის მიერ სიყვარულით მომზადებულ კერძს საცოდავი ბენტო ამჯობინა, რომელიც, ეტყობა, იმ ქალმა მოართვა. ეს აღარ იყო უკვე დაბალხ გემოვნების ამბავი, აქ შელახული იყო ქალის სიამაყე. განა შეეძლო ეიკოს ამას შერიგებოდა?

ეიკოს ყოველად დაუფარავად მიანიშნეს, თუ რა დამცირებული მდგომარეობა ეკავა შექმნილ სამკუთხედში. სწორედ მაშინ გადაწყვიტა საბოლოოდ — მოეკლა მეტოქე.

1. ბენტო — კოლოფში ჩადებული საუზმე, რომელიც შინიდან მოაქვთ ან ყიდულობენ.

იოდომ ეიკოს მრისხანე მზერას ვერ გაუძლო და საჩქაროდ დახურა ბენტოს კოლოფი.

ეიკო ქმრისგან მალულად გაემგზავრა ერთ დღეს ს. ში. მასუკავას კვარტალი მდებარეობდა ქალაქის ჩრდილოეთ გარეუბანში, სადაც ამ ბოლო ხანს ახალი საცხოვრებელი მასივი აშენდა. ახლახან აქ სულ რაღაც და აქამდე სახლებს შორის შემორჩა პატარ-პატარა კორომები. აქა-იქ უშენი ადგილები მოჩანდა — საქმოსნებმა ქალაქის მომავალი განვითარება გაითვალისწინეს და თავის დროზე მიწის ნაკვეთები შეისყიდეს საწარმოებისათვის, მაგრამ რაღაც მიზეზების გამო აქამდე არ გამოუყენებიათ.

ქამწმენდა „პაკუტა“ საგანგებოდ იყო გახსნილი ამ რაიონის მცხოვრებთა მომსახურებისათვის. აქ ეიკომ სულ იოლად გაიგო ქალბატონ ნეგისის მისამართი. მალე იგი ბაღით შემოვლელი ორსართულიანი ცალკე სახლის წინ იდგა. სახლს პირი სამხრეთისკენ ჰქონდა მიქცეული და მზე ანათებდა. ყველაფერზე ეტყობოდა, რომ პატრონი ცდილიყო სახლი მყუდრო ბუდედ გადაექცია.

მეორე სართულზე გასამზერებლად იყო გაფენილი დია ფერის ლეიბები. გულში ეიკოს ახალი ძალით გაჰკრა ეჭვი, როცა ქმარი და მისი საყვარელი ამ ლეიბებზე ერთმანეთთან ჩახუტებული წარმოიდგინა.

სახლი საკმაოდ იყო დაშორებული გარშემო მდგარ სახლებს, რაც მას მუზობლების ცნობისმოყვარეობისაგან იცავდა. იგი იდეალურ ადგილს წარმოადგენდა საყვარელთან საიდუმლო შეხვედრებისათვის.

ეტყობა, იოდომ ორმოცდაათი თუ არა, ოცი მილიონი მაინც დახარჯა ამ სახლის შესაძენად, ეჭვით გაიფიქრა ეიკომ, რომელმაც თავდაპირველად იფიქრა, რომ იგი საყვარლისათვის ჩვეულებრივ ბინას ქირაობდა მრავალსართულიან სახლში. მსგავსი ფუფუნება კიდევ ერთხელ მოწმობდა, რომ იოდოს გაგიჟებით უყვარდა ეს ქალი.

სახლი რომ შეათვალიერა, ეიკომ შესასულელთან მიკრულ ფიცარს შეხედა და განცვიფრდა: მასზე შავი ტუშით გამოყვანილი იყო იეროგლიფები: „ეიკო ნეგისი“. მტკიცე ხელი ოდნავ ზეაწეული აეროგლიფებით ეცნო მას: კო, რა თქმა უნდა ეს წარწერა იოდომ გააკეთა. მაგრამ იგი სხვა რამემ განაცვიფრა: ქმრის საყვარელსაც ეიკო ერქვა!

აქამდე ეჭვი არ ეპარებოდა, ჩემი ცრუმორწმუნე ქმარი არ გამეყრება, თუმცა უშვილო ვარო, — მათი სახელების პირველ იეროგლიფთა შეერთება ხომ „დიდებულებას“ ნიშნავდა, ხილი იგი ნამდვილად შიშობდა, რომ ვაყრა მის გაკოტრებას გამოიწვევდა.

და აი ირკვევა, რომ მის საყვარელსაც ეიკო რქბევია. ესე იგი, ვაყრის ეს დაბრკოლებაც აცილებულია. წინანდელ ეიკოსთან ვაყრილი იოდო დაუყოვნებლივ შეძლებს ახალზე დაქორწინებას, და მისი საქმის „დიდებულება“ ოდნავაც არ დაზარალდება.

ეიკო მიხვდა: მისი მდგომარეობა უფრო მერყევი იყო, ვიდრე ვარაუდობდა; მისი ტახტი ისევე უიმედოა, როგორც გაზაფხულის სიფრიფანა ყინული მდინარეზე; იგი დღევანდელ მდგომარეობას ინარჩუნებს ან ამ ქალის სიბრალულის წყალობით, ანდა იმით, რომ იგი დარწმუნებულია, ადრე თუ გვიან დიასახლისის ადგილს დაუიჭვრო.

სანამ ეიკო გულის კანკალით ათვალიერებდა სახლის პატრონის ფირნიშს,

მეორე სართულზე ვერანდაზე გამავალი ფანჯარა გაიღო და ახალგაზრდა ქალს ხელები გაიწვდინა ლეიბისაკენ. მათი თვალები წამით შეხვდნენ ერთმანეთს. ეიკომ პირველად დაინახა იოდოს საყვარელი. მიუხედავად საკმაო მანძილისა, მან შეამჩნია მისი თანამედროვე იერი. სახის სასიამოვნო თვალი, ნებიერი ღია ნიკაბი. ქალის მოძრაობაც რამდენადმე შეხელებული, დუნე ეჩვენა.

მაგრამ მთავარი ეიკოსათვის პირველი შთაბეჭდილება კი არა, არა, არა, არა, რომ, როგორც იქნა, ნახა იოდოს საყვარელი. ეს გახლდათ, ასე ვთქვათ, მისი პირველი შეხვედრა. თუმცა, შესაძლოა, ადრეც ენახა იგი.

მაგრამ ამ ქალს გამოუმეტყველება არ შესცვლია. მან გულგრილად მოარიდა თვალი და ლეიბის ბერტყვა დაიწყო. როგორც ჩანს, ეიკო შემთხვევით გამვლელად მიიღო. ეიკო იქაურობას გაეცალა, მაგრამ მის ყურამდე დიდხანს აღწევდა ლეიბზე ჯოხის ბრაგუნა.

უკან გაშობრუნებისას მიხვდა: ქალის მოძრაობა იქ, აიკანზე, შეხელებული ამიტომ იყო, რომ იგი ფეხმძიმედაა. მაშინვე როგორ ვერ მიხვდა! მის შეცვლილ ტანადობაზე ერთი შეხედვაც კმაროდა იმის მისახვედრად, რომ იგი უკვე გემ-ვიდეს იუ არა, შეექვსე თვეში მაინც იქნებოდა გადამდგარი.

მაშ ასე, ეიკომ მოახერხა ენახა მეტოქე, მაგრამ ამან მხოლოდ გაუძლიერა საკუთარი მარცხის შეგრძნება.

4

ქალს ს.-ში ეიკოს განგზავრებიდან ორი კვირის შემდეგ მოულოდნელი რამ მოხდა. იმ საღამოს იოდოს თავისი წესის მიუხედავად შინ საუზმობდა. ჭამის დროს მუხლებზე ბრინჯიანი ფინჯანი დაუვარდა და შარვალი დაესვარა.

— სულ ბავშვივითა ხარ! — შესძახა ეიკომ, შარვალი გაუწმინდა და ბრინჯის ახალი ულუფა დაუღო.

მაგრამ იოდოს ისევ გაუვარდა ფინჯანი — ამჯერად წვნიანით — კიდეც უფრო დაესვარა შარვალი.

— რა დაგეძმართა? ასეთი რამ არასოდეს შემომჩნევია შენთვის, — გაიკვირვა ეიკომ.

— მაპატიე, შემთხვევით მომივიდა, — წარმოთქვა დაბნეულმა იოდომ.

— შინ ჭამას გადაეჩვიე და იმიტომაც გივარდება ხელიდან ყველაფერი, — დაცინვით ჩაილაპარაკა ეიკომ.

— მგონი, დღესთვის კმარა, — წაიდუღუნა იოდომ და ჩხარები გადაღო.

— ხომ არ გეწყინა? ჭამე, გეთაყვა, შენ ხომ არც კი გაგისინჯავს.

— გმადლობთ, მეყოფა. ამ ბოლო დროს რაღაც ვსუქდები — უფრო თავშეკვეებული უნდა ვიყო.

იმასთან ხომ ყველაფერს ჭამ, რასაც მოგართმევენო, უნდოდა ეთქვა ეიკოს, მაგრამ დროზე შეიკავა თავა, — მიხვდა: ეს სიტყვები კიდეც უფრო განაშორებდნენ ქმარს.

— დღეს რაღაც დავიდალე, წავალ, გეწვები, — წაიდუღუნა იოდომ და სუფრიდან წამოდგა.

კარისკენ მიმავალი, უცებ წაბარბაცდა, მაგრამ იმწამსვე წონასწორობა აღიდგინა და სააბაზანოსაკენ გასწია.

როცა ქმარი სუფრიდან დგება, ცოლი დიდხანს არ უნდა იჯდეს. ეიკოს

მალე მორჩა ვახშამს, მერე მოახლე კიით იხმო და ერთად შეუდგნენ სუფრის ალაგებას. ამ დროს სააბაზანოდან უცნაური ხმა მოისმა, თოქოს რაღაც მძიმე დავარდაო.

ეიკომ შიშით გადახედა კიითს და ქმარს გასძახა, მაგრამ მას არ უპასუხია — წავალ, ენახავ, — უთხრა მოახლემ, რომელიც მახვდა ქალბატონის განზრახვას.

სააბაზანოს კარი შეაღო და იქიდან ეიკოს მოესმა ^{ეროვნული} ~~შეშინებული~~ ყვირილი: — ქალბატონო! რაღაც დაემართა ჩვენს ბატონს!

ეიკო ფრთხილად მიუახლოვდა. იოდო იატაკზე გაშხლართულიყო. სახე წამოჭარხლებოდა, ტუჩის კიდიდან დუჟი მოსდიოდა.

— რა დაგემართა? — შეუძახა ქმარს, მხრებში სწვდა და შეანჯღრია.

იოდომ ჩუმად ამოიკენესა პასუხად, მერე უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ყელიდან დანაწევრებული ბგერები აღმოხდა. თვალები ფართოდ ჰქონდა გახეულილი, მაგრამ, ეტყობა, ვერაფერს ხედავდა. ხელ-ფეხი ეკრუნჩხებოდა.

— ქალბატონო, მგონი, ბატონს სისხლი ჩაექცა და ჯობს ადგილიდან არ დავძრათ, — წასჩურჩულა მოახლემ.

— სისხლი ჩაექცა?

— მახსოვს, როცა მამაჩემს სისხლი ჩაექცა, ყველაფერი ზუსტად ასე იყო. სასწრაფოდ ექიმს უნდა გამოვიძახოთ.

კიით ექიმის მოსაყვანად წავიდა. ექიმმა გასინჯა იოდო და მოახლის ვარაუდი დაადასტურა. იოდოს დიდი ხანია აწუხებდა მაღალი წნევა და ცოლისგან მალულად ღებულობდა ექიმის მიერ გამოწერილ აბებს. მას ჰქონდა შორს წასული პიპერტონის სიმპტომები: თავის ტკივილი, თავბრუ, კიდურების დაბუჟება.

იოდო სისტემატურად სვამდა წამლებს, მაგრამ დიეტას არ იკავდა — ბლომად და გემრიელ საჭმელებს მიირთმევდა, ამან კი სკლეროზის გაძლიერებას შეუწყო ხელი და ბოლოს სისხლის ჩაქცევა გამოიწვია.

ექიმმა სრული სიმშვიდე ურჩია. იოდო დააწვინეს, ბევრს ეცადნენ გრძნობაზე მოეყვანათ, მაგრამ არაფერმა გაჭრა და ოცდათორმეტი საათის შემდეგ გარდაიცვალა, ისე რომ გონს არ მოსულა. იოდოს სიკვდილი მოულოდნელი იყო ეიკოსათვის. ვერაფრით ვერ დაეჯერებინა, რომ იოდო ამქვეყნად აღარ იყო.

იოდო ადრეც ცდილობდა რაც შეიძლება მეტი დაესვენა, თავის ტკივილსა და თავბრუს უჩიოდა, მაგრამ ეიკო მის ჩივილს ყურად არ იღებდა, ფიქრობდა, უბრალოდ ძალ-ღონეს იკრებსო საყვარელთან მორიგი შეხვედრისათვის.

პიპერტონით დაავადებულთა შორის გვხვდება ბევრი ტანსრული ადამიანი. ცხიმისაგან კანი უბზინავთ და გარეგნულად აქტიური და სიცოცხლით სავსე ადამიანების შთაბეჭდილებას ტოვებენ. პოდა, იოდოც ერთი შეხედვით სრულიად ჯანმრთელი და ენერგიული ჩანდა. მიუხედავად ამისა, მის გარეგნულად ჯანსაღ სხეულს მრისხანე აკადმოფობა აცლიდა ძალ-ღონეს.

იოდო მიწის დიდი ნაკვეთებისა და სხვა უძრავი ქონების პატრონი იყო. თავისი კომერციული საქმიანობით ბევრად გაზარდა ქონება და მის შემკვიდრებს არავითარი მატერიალური ხელმოკლეობა არ უნდა განეცადათ. იოდოს მშობლები უკვე კარგა ხანია გარდაეცვალა, და ეიკო მისი ქონების ერთადერთ კანონიერ შემკვიდრედ რჩებოდა. ქმრის მოულოდნელმა სიკვდილმა მსხვილი საქმის სათავეში ჩააყენა ეიკო. მან შემკვიდრეობად მიიღო უზარმაზარი ქონება, რესტორა-

ნისა და მისი ხუთი ფილიალის ჩათვლით, რომელსაც მომსახურებას უწევდა ასორმოცდაათზე მეტი კაცი. მან შეინარჩუნა წინანდელი მხარეულები და სხვა მოსამსახურენი, ყველაფერი ისე დატოვა, როგორც იოძოს დროს იყო.

5



პირველ ხანებში ეიკოს ვერ გაეგო: სწყენოდა ქმრის სიკვდილი და დაკრძალვის სამზადისის, რესტორანისა და იძუმიდას სავაჭრო სახლის მართვასთან დაკავშირებული დაუსრულებელი თათბირების გამო თავისუფალი დრო აღარ რჩებოდა. მიუხედავად ამისა, ეს ყველაფერი ხელს უწყობდა ეიკოს მეტი ფხა გამოეჩინა საქმეში და ავტორიტეტი მოეხვეჭა. იგი რესტორან „ჩრდილოეთის ზღვისა“ და იძუმიდას ოჯახის მთელი ქონების სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი გახდა.

გარშემომყოფნი ახლა სულ სხვაგვარად უყურებდნენ ეიკოს, განსაკუთრებული პატივით ეკიდებოდნენ. თვით ეიკო ოდნავაც არ შეცვლილა, მაგრამ ქმრისგან გამომცემულმა მემკვიდრეობამ სხვა სოციალურ მდგომარეობაში ჩააყენა იგი.

ყოველივე ეს გუნებას არ უფუჭებდა ეიკოს, პირიქით, იგი მეცხრე ცაზე იყო იმ უპირატესობისაგან, რომელსაც განიცდიდა ერთ-ერთ მთის მწვერვალზე ასული კაცი, თანაც ისეთ მწვერვალზე, საიდანაც იშლება ფართო თეალსაწიერი, შორეული პორიზონტები.

ეიკოს უნარიანი ხელმძღვანელობით რესტორანი „ჩრდილოეთის ზღვა“ წინანდებურად ჰყვავდა, და მალე უნდა განხორციელებულიყო იოძოს სახუკვარი ოცნება — გახსნილიყო რესტორანის ფილიალი ტოკიოში.

ახლა ეიკოს გულში უხაროდა კიდევ ქმრის მოულოდნელი გარდაცვალება. იოძოს ცოცხალი რომ ყოფილიყო, ეიკო წინანდებურად მხოლოდ ფორმალურად იქნებოდა კანონიერი მემკვიდრე და ქმრის საყვარლის ზრახვებისადმი გამუდმებულ მიშში გაატარებდა დღეებს.

„რა კარგია, რომ იოძო ჩვენს გაყრამდე გარდაიცვალა“, — ფიქრობდა კმაყოფილი ეიკო.

და ეს მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ გასულიყო გლოვის დრო.

„საინტერესოა, რასა იქმს ახლა ის ქალი? ალბათ, მთლელ მოიშალა, მისი სიკვდილის ამბავი რომ გაიგო, იოძომ ხომ ფეხმძიმედ დატოვა იგი — მხიარული სიტუაციაა“, — ღვარძლიანად ფიქრობდა ეიკო.

მას გაახსენდა ს.-ში გამგზავრება იოძოს გარდაცვალებამდე ცოტა ადრე. ეიკომ ჯერ კიდევ მაშინ შეამჩნია, რომ ქმრის საყვარელი ფეხმძიმედ იყო და, ეტყობა, მალე უნდა ჰყოლოდა ბავშვი.

ეგებ იმშობიარა კიდევ?

მაგრამ ამას აღარ ჰქონდა მნიშვნელობა — იოძოს ხომ არ დაუტოვებია ანდერძი.

ეიკო ნახობდა, რომ თავის დროზე არ იძია შური იოძოს საყვარელზე — არადა, რამდენი დამცირება გადაუტანია! განა შეუძლია ვინმეს გაიგოს დამამცირებელი მდგომარეობა კანონიერი, მაგრამ უშვილო ცოლისა, რომელმაც იცის უპირატესობა ბედნიერი მეტოქისა, მის ქმარს რომ უყვარს? ვის გაანდოს ეს ამბავი? დამცირება ხომ ისეთი გრძნობაა, რომელსაც ვერავის ვერ გაუზიარებ!

იოძო ყოველთვის საყვარლის მხარეზე იყო, და ეიკოს უთანასწორო ბრძო-

და უხდებოდა ამ გაერთიანებულ არმიასთან. ეგებ გაყრა უფრო იოლი იყო? გაყრა ეიკოს სრულ კაპიტულაციას ნიშნავდა. მას კი არამც და არამც არ სურდა უკან დახევა. არა! ეიკო მზად იყო ნებისმიერი დამცირება აეტანა, თუნდაც კი ამ ქალისთვის ხელი შეეწყადა მისი, კანონიერი ცოლის, ადგილის დაგვივებაში. ახლა იოძოს გარდაცვალებამ ყველაფერი აუნაზღაურა — იგი სრულყოფილებიანა ქალბატონი გახდა იძუმიდას სახლში.

ერწმუნული

ერთხელ ეიკომ მოისმინა რესტორანში დიდი ხნის მამის მეგობარი ჯოჯოხიძის საუბარი. გვიანი საღამო იყო, მუშტრები უკვე სახლებში წავიდ-წამოვიდნენ, და ახლა ისინი გულახდილად ლაპარაკობდნენ, რადგან არ ეგონათ, რომ ვინმე მიაყურადებდათ:

— განსვენებულ ბატონს ხომ ქორწინების გარეშე ბავშვი ჰყავდა.

— მართალია, დადიოდა ხმა.

— იმ ბავშვის დედა გაბედული ქალი გამოდგა — ჩვენს ქალბატონთან მივიდა და მოსთხოვა მემკვიდრეობის კუთვნილი ნაწილი გამოეყო მისთვის.

— განა ეს შესაძლებელია?

— თუ ბატონმა ბავშვი თავისად ცნო, იგი მიიღებს უფლებას ქონების ნაწილზე.

— შერე, ცნო?

— არა.

— მაშ, ბავშვს არაფერი არ ერგება?

— როგორ ვითხრა! დედამისი ისეთია, უფროხილდი!

— კი მაგრამ როგორ მოითხოვს მემკვიდრეობას, თუკი განსვენებულმა ბატონმა ბავშვი თავისად არ ცნო?

— ამბობენ, ეს მამის სიკვდილის შემდეგაც შეიძლებაო.

— ნუთუ მართლა?

— ჰო, სასამართლოს მეშვეობით. თუ ზუსტ მტკიცებას წარადგენს, სასამართლოს შეუძლია მამის სიკვდილის შემდეგაც გამოიტანოს გადაწყვეტილება.

— დიდად გმადლობ, რახან მასწავლე. ახლა თუ კაცმა ბავშვი გამოიკეთა, წინასწარ მოვთხოვ ქალადს.

— რა ქალადს?

— აი ასეთს: ამა და ამ ოვის ამა და ამ რიცხვში გამოიკეთა ბავშვი.

— მაგრამ ერთსა და იმავე საღამოს ორ კაცს რომ დაუწვევ?

— ეგეთი გარყვნილიც არა ვარ...

მათ ხმას დაუწიეს და ჩურჩულით განაგრძეს:

— საანტერესოა, როგორ მოიტყვევა ახლა ჩვენი ქალბატონი?

— რას ვულისხმობ?

— იცი რა, მისი განსვენებული ქმარი ნამდვილი მუსუსი იყო — არც ერთ ქალს არ გაუშვებდა. და თუ მათ ბავშვი არ ჰყავდათ, ეს იმას არ ნიშნავს რომ სხვაგან არ გააჩინა, ხალხი ტყუილად კი არ ლაპარაკობს.

— შენ არაფერი ეკონია მასთან? ეგებ სწორედ შენ გავიკეთა ბავშვები?

— სამწუხაროდ, ეს არ მომხდარა, თორემ შენთან სულელური ლაპარაკით შევიქცევდი თავს? არხეინად ვიცხოვრებდი: მემკვიდრის დედა — ეს იცი... — ოფიციალტები უდარდელად ლაპარაკობდნენ, რა იცოდნენ, რომ ქალბატონი უსმენდათ! ეიკოსთვის კი მათი ყბულობა ისეთი ლახვარი იყო, რომელმაც სულის ხილრმემდე შეძრა.

მან არ იცოდა, რომ ბავშვის პირადობის მოწმობის მოთხოვნა მამის სიკვდილის შემდეგაც შეიძლებოდა. რა იქნება, თუ ეს ქალი მშვიდობიანად დაბადებს ყრმას და სასამართლოში წარადგენს უცილობელ მტკიცებებს.

მამინ ეიკოს განუყოფელი უფლება მემკვიდრეობაზე კვლავით გაქრება, და იძუმიდას ქონება გასაყოფი შეიქნება. „ჩრდილოეთის ზღვის“ უფლებასაც ხიფათი დაემუქრება.

ყურმოკრულმა საუბარმა აფიქრებინა რჩევისათვის ადვოკატთან წასულიყო. რა თქმა უნდა, თავისი სახელით არ უღაპარაკია, ნაცნობების რჩევით მიმართა. ადვოკატმა დაადასტურა მისი შიში.

— მაგრამ მემკვიდრის უფლება შეიძლება დადასტურდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე მამართავს სასამართლოს მამის გარდაცვალებიდან არა უგვიანეს სამი წლისა, — დასძინა მან.

— მაგრამ თუ სასამართლომ ბავშვის პირადობა დაამტკიცა?

— სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ძალაში შედის ნათესაური ურთიერთობა მშობელსა და შვილს შორის.

— რა სახესღებულობს ეს მემკვიდრეობის უფლების თვალსაზრისით?

— ბავშვის მატერიალური გარანტიის უზრუნველსაყოფად განიყოფა მემკვიდრეობის წილი. მაგრამ თუ სასამართლოს გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის ქონება უკვე გაყოფილია და ხელახალი გაყოფა რთულ პროცედურას წარმოადგენს, ბავშვს რჩება უფლება მოითხოვოს თავისი წილი ფულადი სახით.

— მოკლედ, მისი წილი ფულით უნდა იქნეს გადახდილი?

— დიახ, — ადვოკატმა დასტურის ნიშნად თავი დაუქნია.

— მემკვიდრეობის რამდენი პროცენტი ერგება ბავშვს?

— ეს მემკვიდრეთა რიცხვზე და განსვენებულთან ნათესაობის ხარისხზეა დამოკიდებული.

— მაგალითად, თუ ერთადერთი მემკვიდრე ცოლია, რამდენს მიიღებს ქორწინების გარეშე ბავშვი?

ეიკოს რაღაც დროით სიფხიზლე დაეკარგა, დაავიწყდა, რომ ადვოკატს პირადად თავისი სახელით არ უღაპარაკებოდა.

— ამ შემთხვევაში ბავშვი ნათესაობის პირველ ხარისხში ითვლება და მიიღებს მემკვიდრეობის ორ მესამედს, ხოლო ქვრივი ერთ მესამედს.

— ესე იგი, ქორწინების გარეშე ბავშვს ორი მესამედი ეკუთვნის?

— დიახ, იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში სხვა ბავშვები არ არიან. (პო, ახლა გასაგებია, რატომ არ ჩნდებოდა ეს ქალი იომოს გარდაცვალების შემდეგაც — იგი სავსებით დარწმუნებული იყო თავის უფლებებში, იცოდა, რომ დაბადებდა თუ არა ბავშვს, იგი დაუბრკოლებლად მიიღებდა მემკვიდრეობად ბავშვისთვის კუთვნილ ორ მესამედს. როგორც ჩანს, მტკიცებები, რომ ბავშვი იომოსაა, საკმარისზე მეტი აქვს. ამიტომ არ ჩქარობს — იცის, რომ დრო ბლომად აქვს: მთელი სამი წელიწადი. ამ ქალს ყველა კოზირი ხელთა აქვს, გააფიქრა საბოლოოდ გუნებაწამხდარმა ეიკომ. თითქოს ახლა მან და საყვარელმა ადგილები გატვალეს. არა, მგონი, თავიდანვეც ასე იყო. უბრალოდ, თავისი ვულუბრევილობის გამო პოზიციები მიუვალა ეჩვენებოდა)

„წარმოგიდგენია — მემკვიდრეობის ორი მესამედი! ვფიცავ, ერთ იენსაც არ დაუთმობ“, — დუდუნებდა თავისთვის ეიკო. ახლა უკვე ქმრისთვის კი არა, მემკვიდრეობით მიღებული „სამეფოსათვის“ იბრძოდა.

6



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეიკოს უკვე დიდი ხანია განზრახული ჰქონდა განსვენებული იოძოს საყვარლის მოკვლა, მაგრამ ეს გადაწყვეტილება საბოლოო მას შემდეგ გახდა, რაც ადვოკატმა განუმარტა, რომ იგი მემკვიდრეობის ორ მესამედს კარგავდა. ჯობს სახელმწიფოს შევწირო ანდა ქარს გაეატანო, ვიდრე ეს ფული იმ ქალს დაუთმო, ფიქრობდა ეიკო. იგი პირდაპირ ვალდებულად თვლიდა თავს მოეკლა ეს ნეგისი, რათა თავისი „სამეფო“ დაეცვა. თანაც ეს ბავშვის დაბადებამდე უნდა გაეკეთებინა, თორემ მერე გვიან იქნებოდა.

გამორიცხული არ არის, რომ დავაგვიანე კიდევ, შიშით ფიქრობდა ეიკო და, თითქოს ფეხებში აღძობებული ზეთი შეასხესო, ერთი სული ჰქონდა, როდის შეადგენდა თავის გეგმას. უწინარეს ყოვლისა გაიგო, რომ ნეგისის ჯერ ბავშვი არ ჰყავდა, თუმცა დღე-ღამეზე მოსალოგინებული იყო.

მაშ ასე, ჯერჯერობით ბედი სწყალობდა, მაგრამ საქმის დიდხანს გადადება აღარ შეიძლებოდა.

მკვლელობისათვის საგულდაგულოდ უნდა მომზადებულიყო, სულ მცირე დეტალიც კი არ უნდა გამორჩებოდა. უწინარეს ყოვლისა თავისი ალიბი უნდა უზრუნველყო. მასზე რომ ეჭვი აეღო ვინმეს, ხომ ყველაფერი წყალში ჩაყრებოდა.

საბედნიეროდ იოძო გულმოდგინედ უმაღავდა ყველას, და პირველ რიგში ცოლს, თავისი საყვარლის საცხოვრებელ ადგილს. ასე რომ ახლა შეუძლებელია ეჭვი შეჰპარვოდა ვინმეს, რომ ეიკოს და ნეგისის რაიმე კავშირი ჰქონოდათ ერთმანეთთან.

ასეთ ვითარებაში ვინ მიიტანს ეჭვს ცოლზე, რომელმაც საყვარლის არსებობაც არ იცის? ეიკო მაღლობას უხდიდა გულში ქმარს, რომელიც კუბოს კარამდე უმაღავდა ნეგისის ადგილსამყოფელს.

თუმცა გამორიცხული არ იყო საშიშროება, რომ იოძოს რომელიმე მოსამსახურესთან ან მეგობართან წამოსცდა რამე არც ამის ანგარიშგაუწევლობა შეიძლებოდა. მაგრამ ასეთი ვარაუდი ნაკლებ დამაჯერებელი ჩანდა: იოძოს არ უყვარდა გარეშე პირთათვის თავისი ინტიმური საქმეების გაზიარება. რესტორანის ზოგი მოსამსახურე ადრეც სიმპათიით ეპყრობოდა ეიკოს, იმ დღიდან კი, რაც იგი იძუმიდას სახლის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი გახდა, ბევრნი ეპირფერებოდნენ და მისი კეთილგანწყობილების დამსახურებას ცდილობდნენ. ასეთი მოსამსახურენი ჩვეულებრივ ყველაზე უკეთ ინფორმირებული არიან — ყურების მაგივრად ნამდვილი ლოკატორები აქვთ. ისინი მაშინვე მიუტანდნენ ენას, თუ იოძოს რამე წამოსცდებოდა. და რაკი დუმდნენ, მაშასადამე, არც ვინმემ იცოდა ნეგისის არსებობა. ეიკო დარწმუნებული იყო ამაში და მშვიდად შეუდგა თავისი გეგმის შესრულებას.

რაიონი, სადაც ნეგისი ცხოვრობდა, შედარებით ახალი იყო, აქ სახლობდა მუშა ხალხი, ამიტომ დღისით ყველანი სამსახურში იყვნენ და უქმად მოყიალეებიც იშვიათად ხელებოდნენ კაცს. გვიან საღამოს კი ყველა შინ იჯდა და რად-

გან გასართობი დაწესებულებანი იქ ჯერ არ აუშენებინათ, კანტიკუნტად შექმნილი დაგვიანებულ უსაქმურს.

ეს ყველაფერი ხელსაყრელ პირობებს უქმნიდა ჩანაფიქრის შესრულებას. რესტორანის ფილიალების საქმეზე ჩამოსული, იგი ათვალიერებდა იმ სახლის მიდამოებს, სადაც ნეგისი ცხოვრობდა, და თავისი გეგმის დეტალებს აზუსტებდა.

ეიკო იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მკვლელობისათვის ყველაზე შესაფერისი დრო საღამოს საათებია. ცოტა ადრე მიხვალ — შემთხვევით გამგებულს მისხვები თვალში, ცოტა გვიან — საპატრულო მანქანას გადაეყრები. ნეგისის განერებაზე ავტობუსით ჯობს მისვლა. ალბათ აჯობებს, ორი განერებით ადრე ჩამოხვიდე და დანარჩენი გზა ფეხით გაიარო. რაც მთავარია, არავინ შეამჩნიოს, როგორ შეეა... ეიკო სახლში. ნეგისის უეჭველად შეაშინებს ასე მოულოდნელი ვიზიტი, მაგრამ ალბათ შეუშვებს შინ, თუ ეტყვის, იოდოს ცოლი გახლავართო, მით უმეტეს, ნეგისი არ შეიძლება დაეჭვდეს, რომ ეიკო ასე საშინელი განზრახვით იქნება მისული. მაშინვე უნდა მოკლას. დაფოვნების ყოველი წუთი დაახლოვნებას გამბედაობას და გაზრდის ხიფათს.

ყველაზე რთული იქნება შემდეგ. ნეგისის სახლს რომ დატოვებს, არ უნდა გაიქცეს, შემთხვევითი გამვლელი რომ არ დააეჭვოს.

უკან გამობრუნებისას არამც და არამც არ უნდა ისარგებლოს ავტობუსით. ნახლების დაკითხვისას პოლიციას უეჭველად არ გამოჩნება მხედველობიდან მიმოსვლის საშუალებანა. ამიტომ მთელი გზა ფეხით უნდა გაიაროს, რომ პოლიციის პატრულს არ გადააწყდეს. ეიკოს ავტომანქანა არ ჰყავდა, არც ტარება იცოდა, ამიტომ დასახული გეგმა საუკეთესოდ ეჩვენებოდა.

ეიკომ უკვე შენიშნა, რომ რაიონში არ იყვნენ არც მოახლეები და არც ძაღლები. ქაღები კი შინ ჯდომას ამჯობინებდნენ და გარეთ მხოლოდ სურსათ-სანოვაგის საყიდლად გამოდიოდნენ.

7

ეიკო ავტობუსიდან ჩამოვიდა და ნეგისის სახლისკენ გაემართა. მან შენიშნა, რომ ტანისამოსზე წერილი თეთრი მარცვლები ეცემოდა. მალე აიხედა. მთელ სივრცეში სადამდეც თვალი მიუწვდებოდა, ციდან ნელ-ნელა ეშვებოდნენ უწერილესი, ბამბის მსგავსი ნამცეცები. ალბათ, თოვლიაო, გაიფიქრა ეიკომ და ტანისამოსიდან მარცვლების ჩამობერტყვა სცადა. მარცვლები წებოვანი აღმოჩნდა და არ სვალდებოდა. ხელისგული გადაუსვა. ისინი ცვილის წვეთებს წააგავდნენ.

ეტყობა, იგივე მწერებია, მიხვდა ბოლოს ეიკო. ამასობაში ფრთიანმა თეთრმა ბუგრმა მთელი სივრცე აავსო. მის ცქერაში უცებ ეიკომ იგრძნო, თითქოს თვითონაც ფრთები ესხმება და სადაცაა მათთან ერთად აფრინდებაო ცაში. ეს სწორედ ის მწერები იყვნენ, რომლებსაც ეიკო ამჩნევდა ხოლმე იოდოს ტანისამოსზე, როცა იგი მგზავრობიდან ბრუნდებოდა. სწორედ მათ უწოდა ბიოლოგიის მასწავლებელმა „თოვლის ციციხათელები“. ამ მანათობელ ღრუბელს რომ უცქეროდა, ეიკომ ჩურჩულით წარმოთქვა უნებურად თავში მოსული სამტაეპელი:

დაბლა ჩამოწოლილ ცაზე
მოცურავენ თოვლის ციციხათელები
და შურისგებით მინთებენ გულს.

მკვლევლობამ ეიკოს მთელი ენერჯია, მთელი ძალ-ღონე წაართვა. სრული გამოფიტვა ტყვიასავით დააწვა გულზე. ასე ეგონა, ფეხსაც ვერ გადადგამდა და ვერასოდეს დატოვებდა დანაშაულის ადგილს. მაგრამ უნდა ეჩქარა — მოთვარი ხომ ჯერ კიდევ წინ იყო.

ყოველი წვრილმანა, ყოველი შეცდომა სატუსაღოთი ემუქრებოდა. დანაშაულის შემთხვევით მოწმეს ნულამდე დაჰყავდა მისი ყველა ტრენსპორტი და ჩანაფიქრი.

მშვიდად, არ უნდა აღელდე, ეუბნებოდა თავის თავს, როცა უკანასკნელად ათვალიერებდა ოთახს. საწყენი იქნებოდა, რომ ასე ზუსტად გაანგარიშებული გეგმა დასაჩინო წვრილმანის გამო, როგორცაა გაუფრთხილებლად დატოვებული თითების ანაბეჭდი, თავიდან ჩამოვარცხნილი თმის ღერი თუ ნაკვალევი, სულმთლად ჩაფუშვოდა. არა, ასეთ დამამტკიცებელ საბუღს ახლა გამოუცდელი მძარცველებიც კი არ ტოვებენ. მაგრამ ადამიანი სრულიად მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო ებმება ხოლმე მახეში. ეიკომ შიში დაძლია და მთელი გულმიდგინებით შეამოწმა დანაშაულის ადგილი.

წახვლის დრო იყო. ასეთ დროს აქ ქალაქის უკაცურ უბანში, შეუძლებელია შემთხვევითი გამვლელი შეხვედეს. მაგრამ ჰეორე მხრივ, თუ ვინმე შეამჩნევს, აუცილებლად ჩარჩება მეხსიერებაში. ამიტომ უნდა ეცადოს გზის სახიფათო ნაწილი ისე გაიაროს, რომ ოვალში არავის მოხვედეს, მერე კი ხალხს შეერევა და მის ასაველ-დასაველს ვერავის გაივებს.

ეიკომ შიში დაძლია და გულანქროლებული გაძვრა ქუჩაში. ცა ღრუბლებს დაეფარა — ერთი ვარსკვლავიც არ ჩანდა. თოვლის ცაცინათელები უკვე გამქრალიყვნენ. დახურულ დარბაზებში აქა-იქ სინათლე გამოვროოდა. ეიკომ ყველაზე ბნელი ადგილები შეარჩია და იქაურობას გასცდა. საბედნიეროდ, გზაში არავინ შეხვედრია.

8

ნევისის სიკვდილის შესახებ გახეთქებში გამოქვეყნდა მოკლე ცნობა. როგორც ეიკო ვარაუდობდა, პოლიციამ მკვლევლობა მძარცველთა ბანდას მიაწერა. ოთახიდან გასულმა ეიკომ ზოგიერთი სივითი გააყოლა ხელს, რათა გამოძიებისათვის კვალი აერია, და, როგორც ჩანს, მოახერხა კიდევ.

ეიკო შიშობდა. თუ ნევისისა და ილიძის შორის კავშირი გამოირკვეოდა, მას პოლიციაში გამოიძახებდნენ დაკითხვაზე. მაგრამ ეს არ მომხდარა. ეტყობა, პოლიციელებმა გადაწყვიტეს ამ შემთხვევით სერიოზულად არ დაინტერესებულყვნენ.

რომელიღაც წიგნში წაიკითხა: თუ ოცი დღის გასვლის შემდეგ პოლიციამ კვალი ვერ აღმოაჩინა, დანაშაული, ჩვეულებრივ, გაუხსნელი რჩებაო.

როგორც ჩანს, ყველაფერი რიგზეა და მასზე ეჭვი არავის არ მიუტანია. ეიკო დამშვიდდა და პოლიციისა უკვე აღარ ეშინოდა. და ერთბაშად დაეუფლა დაღლილობა და სულიერი სიცარიელე ყველაზე ბოროტი, დაუშვებელი მოქმედების შემდეგ, რომელიც ჩაიღინა ადამიანმა თავისი მსგავსის წინაშე. მკვლევლობის შემდეგ ეიკოს არ უგრძნია სინდისის ქენჯნა. იმის რეალურა შეგრძნებაც არ აღძვრია, რომ მან ადამიანი მოკლა. მან, უბრალოდ, გზიდან ჩამოიცილა ქალი,

რომელიც მის „სამეფოს“ ემუქრებოდა. და იგი მზად იყო კვლავაც იგივე გაეკუთებინა თავდაცვის მიზნით.

ამასობაში რესტორანი „ჩრდილოეთის ზღვა“ წინანდებურად იფურქვებოდა. მისი საქმეები უფრო წარმატებითაც მიდიოდა, ვიდრე წინათ. რომის ტრაგიკული სიკვდილი, ნაღვლიანი სახე ეიკოსი, მიუხედავად ქმრის დაკარგვისა, მაინც რომ ჰპოვა ძალ-ღონე გაეგრძელებინა განსვენებულს. ყოველივე ეს რესტორანში იზიდავდა მუშტრებს. მათ ამოდრავდათ მოყვარეობა, რაც ესოდენ სჩვევიათ იაბონელებს.

ეიკო კმაყოფილებას განიცდიდა — გამარჯვებულის კმაყოფილებას. ერთხელ, ამ დღეებში, როცა იგი გამარჯვებით ტკბებოდა, მასთან მოვიდა უცნობი ქალი.

მდივანმა ქალმა მოახსენა, რომ მისი ნახეა სურს ვინმე სიმამურას.

— რა საქმეზე? — შეეკათხა ეიკო.

გვარი სიმამურა არაფერს ეუბნებოდა, თუმცა შეიძლება დაავიწყდა კიდევ. უკანასკნელ ხანს მას ხშირად აკითხავდნენ კომივოიაჟორები, ბანკის მოსამსახურენი და სადაზღვევო კომპანიათა აგენტები.

— თავისი ვიზიტის მიზეზი ზუსტად არ აუხსნია. მხოლოდ ის თქვა, რომ თქვენი განსვენებული ქმრის შესახებ სურს გესაუბროთ, — მიუგო მდივანმა.

— იომოს შესახებ? — ეიკო მოიღუშა. გულმა რაღაც ცუდი უგრძნო.

— რა ვუპასუხო ამ ქალბატონს?

— შევხვდები. სასტუმრო ოთახში გააცილე, სანამ არ ვიბრძანებ, ჩაის სე მიართმევ.

ეიკომ გადაწყვიტა მიეღო ეს ქალი, რადგან იფიქრა, რომ მისი ვიზიტი არაფრით არ იყო დაკავშირებული პოლიციასთან. იგი მისაღებში მოგვიანებით შევიდა, რათა მომსვლელისათვის ცოტა მოეცდევინებინა. მის შესახებ რად წამოდგა ელეგანტურად გამოწყობილი, ასე ოცდახუთი წლის ქალი, ნათელი, დიდი თვალები ჰქონდა. თავაზიანად მიესალმა. მთელ მის შესახებაობასა და ქცევაში იგრძნობოდა, რომ კარგად იყო აღზრდილი.

— იძუმიდა, — ციკად წარუდგა ეიკო და თავი ოდნავ დახარა.

ამ ქალს პირველად ხედავდა.

— სიმამურა, — მიუგო ქალმა. — ბოდიშს ვითხოვ ესოდენ მოულოდნელი ვიზიტისათვის...

— რა საქმეზე მობრძანდით?

— მაპატიეთ, მაგრამ ჩვენ უკვე შევხვდით ერთმანეთს, — დაიწყო სიმამურამ.

— შევხვდით? რაღაც არ მაგონდება, — შეესიტყვა ეიკო.

— შესაძლებელია თქვენ მაშინ ყურადღება არ მომაქციეთ...

— როდის იყო ეს?

— არც ისე დიდი ხნის წინათ.

სიმამურამ ჩაიციხა. ამ ჩაცმებაში რაღაცის მინიშნება იგრძნობოდა. ალბათ დაკრძალვაზე მოვიდა, ივარაუდა ეიკომ.

— მგონი, ჩემი განსვენებული ქმრის შესახებ ვინდობათ ველაპარაკათ, — შეახსენა მან.

— დიახ, ამასთან დაკავშირებით ნება მომეცით გკითხოთ: თქვენ იცნობთ ქალს, გვარად ნევისს?

სიმამურას ხმა მშვიდად ფლერდა, მაგრამ მის მიერ წარმოთქმული სიტყვები ხანჯალივით მოხვდა გულში ეიკოს. ვერც კი წარმოიდგენდა, რომ სიმა-

მურასთვის ცნობილი იყო მისი მსხვერპლის სახელი. დაბნეულმა მაშინვე ვერ უპასუხა და ამით თავი გასცა.

— ალბათ ნეგისის ამბავი პირველად არ გესმით, — სიმამურამ გაიღიმა.

— ვინ მოგახსენათ? გვარი ნეგისი ჩემთვის უცნობია, — ეიკო როგორც იქნა გონს მოვიდა, მაგრამ უკვე გვიან იყო.

— ვხედავ, გვარი ნეგისი თქვენთვის ნაცნობია, — დადუნებულმა გაიმეორა სიმამურამ.

— ხომ გითხარი: არავითარ ნეგისის მე არ ვიცნობ. აქ ათასი ვინმე მოდის, თანაც თავს ნებას აძლევენ ათასი რამ მოჩმახონ.

— შესაძლოა, ჩემი მხრიდან ცუდია ასეთი დაყინება, მაგრამ ნება მომეცით შევნიშნო, რომ გვარი ნეგისი თქვენთვის ცნობილია, სახელი კი იმავე იეროგლიფებით იწერება, რითაც თქვენი.

— ისეთი სახელი, როგორც ჩემია, რამდენიც გინდათ, იმდენია. მომიტევეთ, ძალიან მეჩქარება, და თუ თქვენ ჩემთან საქმე გაქვთ — მითხარი. ხოლო თუ თქვენ უბრალო ცნობისმოყვარეობამ მოგიყვანათ, მისამართი შეგშლიათ. გთხოვთ... — ეიკომ კარზე მიუთითა.

— მომისმინეთ, ერთხელ ოქტომბერში, — სიმამურამ დაასახელა რიცხვი, — თქვენ იყავით ეიკო ნეგისის სახლში, რომელიც ქალაქ ს.-ს მასუკავას კვარტალში მდებარეობს. ხომ ასეა?

ეიკო მეხდაცემულივით გაირინდა. სწორედ იმ დღეს განახორციელა მკვლელობის „გეგმა“.

— ახლავე გასწით აქედან, თორემ პოლიციას გამოვიძახებ, — წაისისინა მან, რადგან ამ ქალის აქ ყოფნა აღარ შეეძლო აეტანა.

როგორც ჩანს, მოსულმა რაღაცა იცის — რა თქმა უნდა, არსებითი არაფერი, მაგრამ რომელიღაც ძაფს ჩაეჭიდა და ახლა შანტაჟის მოწყობას აპირებს. ასეთ ვითარებაში სისუსტე არ უნდა გამოვიჩინო, თორემ — მორჩა! არა, გაბედულად, შეურიგებლად უნდა მოვიქცე, რომ მოწინააღმდეგეს საშუალება არ მივცე რაიმე ხვრელი ნახოსო. გაიფიქრა ეიკომ.

— კი ბატონო, გამოიძახეთ პოლიცია, თქვენთვის უარესი იქნება, — წყნარად შეესიტყვა სიმამურა.

— რა გინდათ ბოლოს და ბოლოს ჩემგან? — დაუყვირა ეიკომ.

მაშინვე მიხვდა, რომ ეს შეკითხვა ხელს აძლევდა სიმამურას.

— ოქტომბრის იმ საღამოს ნეგისი მოკლულ იქნა საკუთარ სახლში. პოლიციამ ივარაუდა, რომ მკვლელობა ჩაიდინა სახლში შემთხვევით შესულმა ქურდმა, და, ამ ვერსიიდან გამომდინარე, შეუდგა გამოძიებას. მე კი მიმაჩნია, რომ ნეგისი თქვენ მოჰკალით, — დაბეჯითებით განაცხადა სიმამურამ.

— რას ამბობთ! — შიშით შესძახა ეიკომ. მას ესმოდა, რომ ასეთი ბრალდება გადაჭრით უნდა უარეყო, მაგრამ სიმამურას გულდაჯერებულობამ განაცვიფრა იგი.

— თქვენ შესძელით კვალი აგერიათ პოლიციისათვის, მაგრამ მე ვერ მომატყუებთ — ზუსტად ვიცი, რომ მკვლელობა თქვენ ჩაიდინეთ.

— თქვენ ცრუობთ! თქვენ არავითარი მტკიცება არა გაქვთ.

— არა, მე არ ვცრუობ! თქვენი ქმრის გარდაცვალების შემდეგ გაიგეთ, რომ ნეგისი ბავშვს ელოდებოდა, და მემკვიდრეობის ერთპიროვნულად დაუფლების მიზნით მოჰკალით იგი. გამორჩეული არ არის, რომ ორსულობის შესახებ

თქვენ ჯერ კიდევ იოდოს გარდაცვალებამდე შეიტყვეთ, მაგრამ როცა დარწმუნდით, რომ მემკვიდრეობა მისი ბავშვისთვის უნდა გეწილადებინათ, საბოლოოდ გადაწყვიტეთ ნეგისის მოკვლა, — არადა, მისთვის ორი მესამედის მიცემა მოგაწევდათ. თქვენდა საბედნიეროდ, ნეგისის არსებობა არავინ იცოდა, ამიტომ თქვენ, დარწმუნებულმა, რომ დანაშაული არ გაიხსნებოდა, მოკვალით იგი.

— ჩემთვის გასაგებია, რომ ჩემს შანტაჟირებას ცდილობთ, მაგრამ თქვენ არის მტკიცებანი? — შეესიტყვა ეიკო.

და აქ კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა: თუ შენ უდანაშაულო ხარ, რა მიზეზით მოითხოვ მტკიცებას? დამამტკიცებელი საბუთების მოთხოვნა ნიშნავდა, რომ ეიკოს პირდაპირი კავშირი ჰქონდა ამ საქმესთან.

— რა თქმა უნდა, მე მაქვს დამამტკიცებელი საბუთები, აბა ისე აქ არ მოვიდოდი, მაგრამ მანამდე მინდა ზოგი რამ ვიამბოთ... თქვენ ხომ გსმენიათ თეთრი ბუგრის შესახებ? თვალეში გეტყობათ, რომ თქვენთვის ეს ცნობილია. თქვენ მას ნახულობდით ქმრის ტანისამოსზე, როცა მორიგი მგზავრობიდან ბრუნდებოდა. თქვენ დაინტერესდით ამ ბუგრით და შეეცადეთ მისი ბინადრობის ადგილი გაგერკვიათ. ასე არ არის?

ეს სიტყვები ისე მოულოდნელი იყო, რომ ეიკომ არ იცოდა, რა ეპასუხა. სიმამურამ კი განაგრძო:

— ამ მწერმა მოგაძებნინათ ნეგისი. ჩემთვის ცნობილი შეიქნა თქვენი საუბარი ბიოლოგიის მასწავლებელთან — ჩემს შორეულ ნათესავთან. და ჩემთვის ძნელი მისახვედრი არ იყო რისთვის გინდოდათ ეს. მაგრამ თქვენ შეცდით, როცა თქვენი ქმრის ერთ ქალთან სასიყვარულო კავშირზე აიღეთ ეჭვი. თქვენ არ გაგითვისდინებიათ ამ მწერთა საგანგაზო და საშემოდგომო გადასახლება, რის შესახებაც ჩემმა ნათესავმა ვიამბოთ. და არ შეგეძლოთ გევარაუდათ, რომ ზოგი მათგანი თქვენს ქმარს ჩემთან შეხვედრის შემდეგ მოჰქონდა.

ეიკომ მწარედ ამოიკვნესა. როგორც იქნა მიხვდა სიმამურას ნათქვამის ჭეშმარიტ აზრს. ინგრეოდა ყველაფერი, რაც ამდენი გარჯით მოიპოვა ქმრის სიკვდილის შემდეგ.

— მგონი, მიხვდით... დიახ, მეც ვიყავი თქვენი ქმრის საყვარელი. როცა თქვენ იოდოს ტანისამოსზე შემოდგომის ბუგრი ნახეთ და გაიგეთ, რომ იგი პერიოდულად გადასახლდება ხოლმე სხვა ადგილებში, უნდა მიმხვდარიყავით, რომ მას ორი ქალი ჰყავდა. თქვენ კი ჯიუტად მიგანხნდათ, რომ ერთი იყო, — სწორედ ესაა თქვენი შეცდომა. ახლა კი დავუბრუნდეთ ნეგისის მკვლელობას. იმ დღეს მეც მივედი თქვენთვის ცნობილ ცალკე სახლში, რათა მომეკლა ის ქალი. მაგრამ თქვენ დამასწარიით. როცა სახლში შევედი, იგი უსულოდ ეგლოძირს...

გრძნობები, რომლებსაც თქვენ განიცდით, ტკივილამდე ნაცნობი იყო ჩემთვის: ტანჯვა და დამცირება ქალისა, რომელსაც ნაბიჯ-ნაბიჯ, შესაშური სიჯიუტით ართმევენ ქმარს; ქმრის სიკვდილი და ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვის გამოჩენა მემკვიდრეობის ორი მესამედის უფლებით სწორედ იმ დროს, როცა თქვენ სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი გახდით... უეჭველია, თქვენ გადაწყვიტეთ არ დაგეშვათ თქვენი უფლებების ხელყოფა, გარდა იმისა, რომ ცდილობდნენ მეუღლეზე კანონიერი უფლებები წაერთმიათ თქვენთვის მის სიცოცხლეში, ახლა ურცხვად აპირებდნენ წაერთმიათ მემკვიდრეობა, რომელიც თქვენ კანონით მიიღეთ მისი გარდაცვალების შემდეგ. დიახ, მე მშვენივრად მესმის, რას გა-

ნიცდილით თქვენ. მე ხომ მეორე ვიყავი მისთვის თქვენს შემდეგ, მჯეროდა მისი. და უცებ გამოჩნდა მესამე და წამართვა მისი თავი ისევე, როგორც მე წავართვით თქვენ.

როცა თქვენი ქმარი შემოიყვარდა, თქვენ უკვე მისი ცოლი იყავით. მე ვიცოდი, რომ არ მავატოვებდი. ასე მოხდა, რომ მე მეორე აღმოვჩნდი, — და ამას არაფერი ემველებოდა. მაშინ ვუყიქრობდა, რომ სიყვარულში მნიშვნელობა არა აქვს, პირველი ხარ, მეორე თუ მესამე. თანაც მჯეროდა, რომ თუმცა მეორე ვიყავი, — სიყვარულში მე ვპირველობდი. მაგრამ აი, გამოჩნდა ნეგისი, და მე მეორე პლანზე გადავინაცვლე.

მაშინ კი საკუთარ ტყავზე გამოვცადე ტანჯვა და დამცირება, თქვენ რომ გქონდათ გადატანელი. როცა თვით აღმოვჩნდი მიტოვებული, მაშინ მიეხუდი ამ ტანჯვის სიღრმეს, რაც თქვენ გხვდათ წილად.

მაგრამ თქვენ, კანონიერი მეუღლე, ვერასოდეს გაიგებთ დამცირებას და ნაღველს მეორისას. მეორე ცოლს თავკამეტებით უყვარს მამაკაცი, არაფერმე ნამოუყვარდება კანონიერ ცოლს, მაგრამ საზოგადოება ამ სიყვარულს არასოდეს ცნობს, და იგი იძულებულია ეს სიყვარული დაუძალოს ხალხს.

მეორე ცოლი მუდამ იძულებულია მხოლოდ ის მცირედი იკმაროს, რასაც კანონიერ ცოლს გამოსტაცებს. კანონიერი ცოლი ყოველთვის კანონიერია, ნებისმიერ ვითარებაში. ამის ერთ-ერთი დამამტკიცებელი საბუთი — განსვენებულის ნეშტი მე კი არა, თქვენ გადმოგცეს. სწორედ თქვენა და არა ჩემი სახელით მიმდინარეობდა დაკრძალვის ცერემონია... შეგიძლიათ თუ არა გაიგოთ უიმედო სევდა საყვარლისა, რომელიც ქმარს აცილებს და ეკითხება: „როდის მოგვიანახულებთ შემდეგ?“ არა, თქვენ ამას ვერ გაიგებთ! კაცი იმიტომ ბრუნდება ოჯახში ცოლთან, რომ იქ ციხე-სიმაგრე, ცხოვრების სამარკველი ეგულება. საყვარელთან კი მხოლოდ გასართობად მიდის ხოლმე. ქალი ფიქრობს: არა უშავს — ოღონდაც მოვიდეს! მისი ცხოვრების მთელი არსი ხომ მოლოდინია, ის დღეები. როცა იგი მის ნახვას იწყებს. მეორე ცოლობისას ორ ცეცხლს შუა ვიყავი — იმ ქალის რისხვასა, რომელსაც ქმარი მოვტაცე, და ნეგისის ზიზღს შორის, რომელმაც ის ნარჩენებიც წამართვა, რომლებიც თქვენს შემდეგ მერგებოდა ხოლმე. მას შემდეგ, რაც ნეგისის არსებობა შევიტყვე, მიეხუდი, რა სიძულვილსაც განიცდიდა პირველი მეორის მიმართ. მაგრამ თქვენი შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ მეორედ თქვენ ნეგისი მიჩნით, თუმცა სინამდვილეში იგი მესამე იყო...

და კიდევ, ნება ნიბოძეთ მადლობა მოგახსენოთ. თქვენ იწყებთ ჩაგვლიანათ ის, რაც მე უნდა შექნა. მე მარტო იმიტომ როდი ვაპირებდი ნეგისის მოკვლას, რომ მან ის საცოდავი ნამცეცებიც კა წამართვა, რომელსაც თქვენი ქმარი იოძო იძუმიდა მითმობდა. ნეგისი რომ ცოცხალი დარჩენილიყო, ორივეს უფლებებს წავკვართმევდა — ღიმილით დაასკვნა სიმამურამ.

— ორივესო რატომ თქვიდა?

— სწორედ რომ ორივეს! ნუთუ არ შეგიძინევიათ ჩემი მუცელი? ეგებ გარეგნულად მაინცდამაინც არ მეტყობა, მაგრამ უკვე მეშვიდე თვეში ვარ გადამდგარი. და ეს იოძოს ბავშვია — ამის უტყუარა საბუთი არსებობს. საბედნიეროდ, ნეგისი ორი თვით ჩემზე ადრე დაირსულდა. ხოლო სასამართლოსთვის მიმართვა მამობის საცნობლად მხოლოდ ყრმის დაბადების შემდეგ შეიძლება. სწორედ ამით უნდა ეხარებებლა ნეგისის მშობიარობისთანავე. ასეა თუ ისე,

მას შეეძლო დაესწრო ჩემთვის, რა თქმა უნდა, შემდეგ, დამამტკიცებელი საბუ-
თის წარდგენისას, მეც შემიძლო პრეტენზია მქონოდა შემკვიდრების წილზე.
მაგრამ ბევრად უფრო მცირეზე. ხოლო ნეგისის რომ ბიჭი ჰყოლოდა, მე კი
გოგო, კიდევ უფრო ნაკლებს მივიღებდი. მაგრამ ნეგისი რომ მომეკვლია,
მასი ბავშვის კუთვნილი წილი მთლიანად ჩემზე გადმოვიდოდა. ის წილი ხორ
კაცმა რომ თქვას, თავიდანვე ჩვენ გვერგებოდა. და მე ვიფიქრებ, რა უნდა
ვქნა, რომ იოდოს შემკვიდრებიდან ამ ქალს გროში მაინც ერგოს-მეთქი! სწო-
რედ მაშინ გადავწყვიტე მომეკლა ნეგისი. იმავე დამეს გავეწიე მისკენ და კინაღამ
ერთმანეთს შევეფეთეთ, როცა თქვენ მასი სახლიდან მოდიოდით.

მაგრამ თქვენ შეცდით, თქვენ არ იცოდით, რომ მეც ვარსებობდი. მით უმე-
ტეს არ გეგონათ, რომ მეც ველოდებოდი ბავშვს. თქვენ რომ ეს გცოდნოდათ,
ნეგისის მოკვლას არ განიზრახავდით, რადგან ამას არაერთი აზრი არ ჰქონ-
და, ხოლო ის, რომ ნეგისიც გამოგესალმებინათ საცოცხლეს და მეც — მეტი-
შეტად სარისკო საქმე იყო. მართალია, მეც რისკი გავწიე, ნეგისის მოკვლა რომ
განვიზრახე, მაღლობა ღმერთს, ეს თქვენ იკისრეთ, და მეც ამიტომ შეგაწუხეთ
დღეს, რათა მაღლობა მომეხსენებინა ამისათვის. სიტყვამ მოიტანა და, თქვენ-
თვის ცნობლია რა შემთხვევაში ართმევენ ადამიანს შემკვიდრების უფლებას?
კანონში ნათქვამია: თუ შემკვიდრე მხილებულ იქნა იმ შემკვიდრის მოკვლის გან-
ზრახვაში, რომელსაც უპირატესი ან ანალოგიური უფლებები აქვს, მას ჩა-
მოერთმევა შემკვიდრების უფლება...

ჩვენი საუბარი უცხო პირთა დაუსწრებლად მოხდა, და იმას, რაც მე ვი-
ლაყბე ჩემს განზრახვაზე — მომეკლა ნეგისი — არავინ დაგიჯერებო. გთხოვთ,
ბოდიშებით, ამდენი დრო რომ წაგართვით. ძალე თქვენთან მობრძანდებიან
პოლიციელები და ჩემი ადვოკატი — მე მას მივანდე ჩაატაროს მოლაპარაკების
დელიკატური ნაწილი. მშვიდობით.

სიმამურა აუჩქარებლად წამოდგა, მოწიწებით დაუკრა თავი და კარისკენ
გაემართა.

შემცბარმა ეიკომ თვალი გააყილა, მისი წახვლის შემდეგ კიდევ დიდხანს
იდგა და უაზროდ იყურებოდა წინ.

უეცრად მის თვალთა წინაშე აირია უამრავი მწერი. მის გვერდით მოცუ-
რავდნენ ისევ ის თოვლის ციციანათელები. ქუფრი ცის ფონზე მათი ფრთები
შკაფით წერტილებად ენთნენ ჩამავალი მზის სხივებში. ეიკო დიდხანს შესც-
ქროდა მათ, ხანამ არ იგრძნო, რომ თვითონაც ფრთები შეესხა და მათ გაჰყვა.

ისინი მიფრინავდნენ, ხოლო ქუფრი ცა მძიმედ ჩამოწოლილიყო მიწაზე.
რომელიღაც წუთს ეიკო მიხვდა, რომ ცაში მფრინავ თოვლის ციციანათელებს
ფრთებით მიაქვთ ნაღველი და სასოწარკვეთა....

ტორუ მიიოსი

თვითმკვლელობა ბინკაჯი

ორმოცდაათ წელს გადაბიჯებული ნოიაძას თვალში მამებარი სავამოტო პირ-
წავარდნილი ლაწირაკი იყო.

ნოიაძა სავამოტოს დაყენებულ ჩაის სვამდა და დროდადრო გადახედავდა

თავის თანამოსამსახურეს, რომელიც წიგნის კითხვით გართულიყო, და თან იმაზე ფიქრობდა, როგორ დაეძვინა თავი მორიგეობიდან.

დღეს იგი მორიგეა და, ბუნებრივია, მთელ ღამეს სამორიგეოში უნდა იჯდეს. ყოველ წუთში ხომ შეიძლება რამე მოხდეს, ხოლო თუ გავეთვალისწინებთ, რომ ტერიტორიაზე, რომელსაც პოლიციის უბანი იცავს, მდებარეობს იაპონიის მთავარი ქუჩა გინმა, კაცს აქ უსაქმურობისაგან არ უნდა მისწვნდეს. ყოველ საღამოს ორი-სამი შემთხვევაა. თუმცა, მაძებარება ჩარევა მშხრად არც არის საჭირო. ღოთის დასაშოშმინებლად ან ქუჩაში მომხდარი შემთხვევის გასარკვევად პატრულებიც კმარა.

საღამოს ნოიამს დაურეკა ტომოკო კურაისიმ, პაწაწკინტელა ბარის პატრონმა, სადაც, ამ ქალის გარდა, კიდევ ორნი მუშაობდნენ: ბარმენი და კოსტესი, დახლთან კი ათიოდე მუშტარი თუ დაეტეოდა.

ზარი უდროოდ დროს გაისმა. მეზობელ მაგიდაზე საგამოძიებო განყოფილების გამგე ჰანაი ესაუბრებოდა უფროს პოლიციელს ისიას. ამიტომ ტომოკოსთან საუბარი მეტიმეტად მშრალი გამოვიდა. ქალს, რა თქმა უნდა, არ მოეწონა ეს.

— რა დაგემართათ? რაღაც უცნაური ხართ...

— როგორ გითხრათ... თუმცა, არა მგონია...

— დიახ, დიახ, უცნაური!

— რა მოხდა?

— მოხვალთ დღეს?

— ახლა არ შემიძლია გითხრათ...

— ძალიან ვთხოვთ! უსიამოვნება მაქვს, სასწრაფოდ მინდა გნახოთ...

ხმაზე ეტყობოდა, რომ მართლაც ძალიან უჭირდა.

ნოიამა უკვე რამდენჯერმე იყო სამყოფი ტომოკოსთან მორიგეობის დროს. მაგრამ არ მიაჩნდა, რომ ეს მუშაობას ენებდა. რა უცნაურადაც არ უნდა გეჩვენოთ ეს, ასეთ დროსტარებას გარკვეული სარგებლობა მოჰქონდა.

თავისი მოვალეობა რომ წარმატებით შეასრულოს, პოლიციელი ეალღებუ-ლია იცოდეს, რა ხდება მის ტერიტორიაზე. ტომოკო მნიშვნელოვანი ინფორმა-ციის შესანიშნავი წყარო გამოდგა. მაგალითად, მისი ბარის ერთ-ერთი ხშირი სტუმრის ლაყობის გამო შესაძლებელი გახდა ემხილებინათ დამნაშავე, რომელმაც გაფლანგა სახელმწიფო ფული. დაპატიმრებულ იქნა განგსტერი, რომელმაც შანტაჟი მოუწყო ერთ-ერთი მსხვილი ფირმის დირექტორს. ცნობი-ლია, რომ ალკოჰოლი ენას ამოადგმევიანებს ხოლმე კაცს..

— არ შეიძლება ხვალისთვის გადავიტანოთ? — ფრთხილად ჰკითხა ნოიამამ.

— ერთ ქალს სურს დღეს საღამოს შეგხვდეთ. კაბარეს პატრონია გინმა-ზე.

— კი მაგრამ, დღეს მორიგე რომ ვარ?

— მამაკაცი, რომელსაც ოდესღაც ხვდებოდა, ემუქრება, მოგკლავო...

— მოგკლავო?! — უნებლიეთ გაიმეორა ნოიამამ.

ჰანაიმ სწრაფად შეაკლო თვალი ნოიამას. ამ უკანასკნელმა მხრები აიჩეჩა: აქაოდა, ყურადღებას ნუ მიაქცევთო!

— დიახ, მოგკლავო!

— ალბათ უბრალო ჩხუბია. მალე შერიგდებიან. საქმეში ჩარევით მხოლოდ უსიამოვნებას გადაეყრებით.

— კი მაგრამ, ის ახლახან გამოვიდა ციხიდან...

— პო-ო! — ნოიამა დადინჯდა, სავსებით შესაძლებელია, რომ ამ საქმეში განხილვის ხელა ურევი.

— თქვენ არ გცალიათ? აბა, გთხოვთ. კვდება შიშით. მოუსმინეთ! როცა მისი კაბარე დაიკეტება, ის ჩემთან მოვა. ერთად ვივარდებით. აბა გთხოვთ! ვეღარ ვიცი კარგად იქნება, — დაყოლიებას ცდილობდა ტომოკო, თან აგრძობდა და, რომ ამაღამ თავისუფალი იყო.

ასეთ წინადადებაზე უარის თქმა ნოიამას არ შეეძლო. საგანგებოდ დაელოდა უპასუხებია, მაგრამ ეჭვობდა, რომ ტომოკოს „მფარველი“ ჰყავდა და დამლაშობით ყოველთვის არ იყო თავისუფალი. თანაც ნოიამა იმდენად თავდაჯერებული არ იყო, რომ ტომოკოს ერთადერთ მამაკაცად მიეჩნია თავი.

— მოდი, მოგვიანებით ვისაუბროთ ტელეფონით, — შესთავაზა ნოიამამ. როცა მათი საუბარი დამთავრდა, ჰანაი შეეკითხა:

— მოხდა რამე? შენ, მგონი, მკვლელთა ახსენე...

— არა, რაღაც სისულელეა. ყველა საუბარს რომ ყური დაუგდო, ორი სიცოცხლე არ გეყოფა, — მოიგერია ნოიამამ.

იერარქიულ კიბეზე უფროსი პოლიციელი ნოიამა ორი საფეხურით დაბლა იდგა განყოფილების გამგეზე — უფროს ინსპექტორ ჰანაიზე. მაგრამ პოლიციაში, ჩინის გარდა, არსებობს ისეთი ცნებაც, როგორც არის ავტორიტეტი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება მუშაობის სტაჟს და გულმოდგინე მუშაობისათვის მიღებულ ჯილდოთა რაოდენობას.

პოლიციელის კარიერა, როგორც წესი, გამოცდების წარმატებით ჩაბარებაზეა დამოკიდებული, რომ დააწინაურონ, ნოიამამ გამოცდა უნდა ჩააბაროს ინსპექტორის ჩინზე, ხოლო თუ კიდევ წინ წაწეკას მთინდომებს, უფროსი ინსპექტორის ჩინზე, შემდეგ კი პოლიციის კომისრის ჩინზე.

მაგრამ რამდენს არ ურჩევდნენ ამხანაგები, უფროსიც, ნოიამა გამოცდის ჩასაბარებლად არ მიდიოდა. ასე გამოთქვამდა თავის პროტესტს იმის წინააღმდეგ, რომ ადამიანის უნარი გამოცდების მეშვეობით შეეფასებინათ. განა ქაღალდით გაიგებ, რა შეუძლია პოლიციელს, განსაკუთრებით მაძებარს?

ძებნა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს უწინარეს ყოვლისა თავშეკავებულობა და შეუპოვრობაა. ვინც მას აწარმოებს, რკინის ნერვები უნდა ჰქონდეს. უნებისყოფო ადამიანისგან ნამდვილი მაძებარი არ დადგება, თუნდაც ყველანაირი გამოცდა ჩააბაროს. ჩაუდგე დამნაშავეს ძლივს შესამჩნევ კვალში, არ იცოდე დადლა, იჯდე მთელ ღამეს ჩასაფრებული ნებისმიერ ამინდში და სულგანაბული ელოდო.

მაგრამ გამოცდებისთვის რომ ემზადო, მაშინ სამუშაო უნდა დაივიწყო და სახელმძღვანელოებს ჩაუჯდე. ერთი სიტყვით, ახლანდელი წესებით ვერასოდეს განსაზღვრავ, აქვს თუ არა პოლიციელს აუცილებელი თვისებები.

ამას მარტო ნოიამა როდი ფიქრობდა. ამ ფიქრებს იზიარებდნენ მისი მეგობრები — პროფესიონალები. თანაც, თუ კაცი სამსახურებრივ კიბეზე წინსვლას უკუაგდებს, მას აღარაფრის აღარ ეშინია. ეს ყველაფერი ესმის უფროსს და ცდილობს არ შელახოს პროფესიონალთა ღირსება, ხოლო ისინიც, თავის მხრივ, საჭიროდ აღარ თვლიან სუბორდინაციის მკაცრად დაცვას.

არც ერთი უფროსი არ გამოიყენებს თავის მდგომარეობას და არ უბრძანებს მაძებარს, ისინი ამჯობინებენ სთხოვონ: „ეგებ მოჰკიდოთ ხელი ამ საქმეს?“

რა თქმა უნდა, თუ საქმე პირდაპირ შეჯახებასდე მივიდა, მაშინ წოდება სჯობნის. მაგრამ ეს ძალიან იშვიათად ხდება.

აი ახლაც — დაწვრილებით განმარტებებს რომ მივხართო, ტომიკოს შე-
სახებაც უნდა გაიშალოს.

ნოიამასა და ტომიკოს ურთიერთობა გამონაკლისი არ ყოფილა. უფრო
მეტად: გამოცდილ მაძებართა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც სინდისის
ქენჯნის გარეშე ნიშნავდნენ სამსახურებრივ თათბირებს პატარ-პატარა რესტო-
რნებში, რომლებიც მათ საყვარლებს ეკუთვნოდათ, — რათა მათთვის მსარგებლო
მაგრამ უფროსები თვალს ხუჭავდნენ მათ ოინებზე.

ნოიამა თავს ნებას არ აძლევდა, რომ ასე თვითნებურად მოქცეულიყო. საკ-
მარისია ნებადართულის საზღვრები გადალახო და გარშემო მყოფთა სიძულ-
ვილი დაიმსახურო, რომ სხვა სამუშაოზე გადავიხვეოდა. ბრძანების წინააღმდეგ
კი ვერ წახვალ. შეიძლება, რა თქმა უნდა, საერთოდ წახვიდე სამსახურიდან, მა-
გრამ ეს უკიდურესი რამაა: მაძებრის მუშაობა ხომ პოლიტიკის აპარატის მძლავრ
ძალაუფლებას ემყარება — ამაშია მთელი მისი სიკეთე. გადამდგარი მაძებრის
არავის ეშინია. თანაც ასე თუ ისე რიგთან სამუშაოსაც ვეღარ იშოვი.

ჰანაის სიტყვაც აღარ უთქვამს, ისე დატოვა სისხლის სამართლის სამსე-
როს ოთახი.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ტომიკომ ისევ დარეკა. ახლა ნოიამას
შექმლილ თავისუფლად ესაუბრა მასთან: თორმეტის ნახევრისთვის შეთანხმდნენ

2

— შენ ისევ სწავლობ? ყოჩაღ! ისწავლე, ისწავლე! — მიმართა ნოიამამ თა-
ვის თანამოსამსახურეს, სავამოტოს. — მე კი შემოვლაზე წავალ.

სავამოტო მაგიდას უჯდა და წიგნში თავი ჩაერგო. ალბათ ეს იყო სახელმძ-
ღვანელო იმართვის, ვინც ჩინის ასამაღლებლად აბარებს გამოცდებს.

— რა? — გაოცებით ასწია თავი ახალგაზრდა მაძებარმა.

— თუ საჭირო ვიქენი, პოკეტ-ბელით¹ გამომიძახე, — გააფრთხილა ნოი-
ამამ.

სავამოტო, ალბათ მიხვდა, რომ „შემოვლა“ მხოლოდ საბაბი იყო წასვ-
ლისათვის, მაგრამ ნოიამამ უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა.

— შესძის! — მიუგო სავამოტომ. ნოიამამ თავი დაუკრა და სამორიგეოდან
გავიდა. პოკეტ-ბელის მუდმივად ტარება წაინცდამაინც სასიამოვნო არ არის,
შეიძლება ყოველ წუთში გამოვიძახონ, მაგრამ რა გაეწყობა.

ტომიკო ნოიამასთან ფეხით წავიდა. მისი ბარი ვერცთ წოდებული „რეს-
ტორანთა კომპლექსის“ აოსართულიან შენობაში იყო მოთავსებული. ამ შენო-
ბის ყოველ სართულზე რამდენიმე რესტორანი, სასაუნო და ბარი იყო.

ყოველთვის, როცა აქ მოდიოდა, ნოიამას უკვირდა: „როგორ არიან შექუ-
რებული! და მაინც არ კოტრდებიან!..“ ამბობენ, გინძის რაიონში რვა ათასამდე
სხვადასხვა დაწესებულებააო. თუ, დავუშვათ, ყოველ საღამოს თითოეულს სა-
შუალოდ ორმოცი კლიენტი ეწვევა, გამოდის, რომ ყოველდღე გინძაზე მოდიანად
სამასი ათას კაცზე მეტი ერთობა.

სამასი ათასი მთელი ქალაქის მოსახლეობაა. ახლა ამას მივუმატოთ უამ-
რავი პოსტესი, ოფიციანტი, ბარმენი... ყოველ მათგანს თავისი ცხოვრება აქვს,

1. პოკეტ-ბელი (ინგლ.) — სიტყვასიტყვით „ჯიბის ხარი“, ელექტროგამოძახების მოწყო-
ბილობა. სიგნალის მიმღები მაშინვე რეკავს დათქმულ ადგილზე.

სამასი ათასზე მეტი ამბავი. ზოგიერთებს ბელი სწყალობთ, იფურჩქნებიან, ზოგი ჩამდვილად ბედნიერია, მაგრამ ნოიაძა დარწმუნებული იყო, რომ ასეთები ერთულები არიან. ადაშიანის ქცევა ხომ გაძორჩენის წადილით, ავხორცობითა და პატიმრობით არის ნაკარნახევი. ამას კი საბოლოოდ კატასტროფამდე მივყავს კაცი.

ტომოკოს ბარი მესამე სართულზე მდებარეობდა. ნოიაძამ შესასვლელის მხარეს შორებით მოიკალათა და ნახევრად ცარიელ ბარს მოაწვლია თვალი.

— რა კარგია, რომ მოხვედით! — მიესალმა ტომოკო.

— მე ლუდი მომეცით, — სთხოვა ნოიაძამ. მას აქ მხოლოდ ლუდის შეკვეთა ჰქონდა შემოღებული წესად და თითო ბოთლში ათას იენს იხდიდა, ესე იგი, იმაზე მეტს, რაც ღირს. თუმცა ტომოკო ყულზე უარს ამბობდა, მაგრამ ნოიაძა თავისას არ იშლიდა: უფასო სასმელი შეიძლება ძალიან ძვირად დაუჯდეს კაცს.

— როგორ არის საქმე? — ჰკითხა ნოიაძამ მისალმების მაგივრად.

— თვითონ ხედავთ! სულ ცარიელია. სხვებთან თითქოს საყვება, ჩემთან კი რაღაც არ შემოდის.

თითქოს მისი სიტყვების უარსაყოფად ზედიზედ იწყეს შემოსვლა კლიენტებმა, დახლის წინ მღვარი ყველა მაღალი სკამი შეივსო.

ტომოკო და მისი მომხმარე პოსტესი დახლის იქით ვიწრო სივრცეში ფუსფუსებდნენ.

თორმეტის ნახევრისთვის სტუმრებმა დაშლა იწყეს.

— შაპატიეთ, — თქვა ტომოკომ, რომელიც როგორც იქნა დაბრუნდა.

— ასეთი სიცარიელეა შენთან? რაღა იქნება სხვა დროს? წარმოადგენს კი ძნელია.

— ზოგჯერ სულ მთლად დაკავებულია. რას იზამ, სხვაგვარად ვერ იცხოვრებ! მე ხომ კიმი-ტიანივით იოლად არ მომდის ყველაფერი.

— ეინ არის კიმი-ტიანი?

— ჩემი დაქალი. ტელეფონით რომ გელაპარკეთ, ის კიმიო ტოკიტა. დიდებული კაბარე აქვს, „ნონესი“ პქვია.

ეს სახელი ნაცნობი იყო ნოიაძასათვის. მას უკვე მოსვლიდა ხმები ახლახან გახსნილი კაბარეს პატრონის — ლამაზი და საქმიანი ქალის — შესახებ. ყოველკვირული ჟურნალები ათასნაირად აღწერდნენ მის ურთიერთობას ახალგაზრდა ბიზნესმენებთან, პროფესიონალური ბეისბოლის ვარსკვლავებთან.

— იცნობთ?

— რაღაც გამიგონია... ეტყობა, კარგი ნაჭერია.

— ვისთვის როგორ...

— რატომ უწყობენ შანტაჟს?

— აბა რა ვიცი?

— შენ ახსენე კაცი, რომელიც ციხიდან გამოვიდა. განგსტერი ხომ არ არის? — ნოიაძამ სახეზე გაიხეა ხელი ნაიარევის მისანიშნებლად.


— რას ბრძანებთ! კისუკუ ნუნოკავა წესიერი კაცია. ასე, სამოცი წლისა იქნება. ადრე პატარა ფირმა ჰქონდა და საქმე კარგად მისდიოდა, მაგრამ რაც კიმი-ტიანს დაუკავშირდა, მთელი ფული მას დაახარჯა და ბოლოს სიყვალბეზე დაიჭირეს.

— რა ვაქვს საერთო იმ გათახსირებულთან? — კბილი გაჰკრა ნოიაძამ.

— როგორ ვითხრა... თქვენთანებისთვის კიმი-ტიანი მართლაც გათახსირე-

ბულია. სანამ კაბარეს შეიძენდა, მანამდე ხომ რამდენიმე მამაკაცი გააკოტრა. მაგრამ პირადად ჩემთვის ცუდი არაფერი გაუკეთებია.

- კაცების მტერი და ქალების მეგობარი... ასეა, ხომ?
- სავსებით სწორია.
- მაშინ არაფრის არ უნდა ეშინოდეს. დაე დაემუქროს...
- და მაინც... — წაიდუღუნა ტომოკომ და რაღაცა დაეძახა. თორმეტის ნახევარს გადასცილდა.
- რატომ არ არის?
- დაუურეკავ.



ტომოკო ტელეფონისკენ გაემართა. აქა-იქ შემორჩენილი მუშტრები წავიდნენ, ბარში მარტო ნოიამა დარჩა.

— თავისუფალი ხართ, — გაუშვა ტომოკომ კოსტესი და ბარმენი. ამის შემდეგ ნოიამას აცნობა: — ეტყობა, უკვე გამოვიდა. მალე მოვა.

- განვაგრძოთ: როდის გამოვიდა?
- ის ქალი? დაახლოებით თორმეტის ნახევარზე.
- არა! როდის გამოვიდა ციხიდან ის კაცი, რომელიც ემუქრება?
- წარმოდგენა არა მაქვს...
- შენ ოდესმე შეხვედრიხარ? როდის აძლევდა ფულს?
- როცა მე და კიმი-ტიანი ბარში ვმსახურობდით, მან რამდენჯერმე მივიპატიუა ვახშამზე. დაახლოებით ხუთი წლის წინ. სანამ ახლანდელს გახსნიდა, კიმი-ტიანს სხვა, უფრო პატარა კაბარე ჰქონდა. ფული მაშინ მუნოკავამ მისცა...
- როგორ დაემუქრა? კაბარეში მივიდა?
- მგონი, ტელეფონით დალაპარაკებია.
- ესე იგი, ბინის ტელეფონი იცის?
- ეცოდინება, ალბათ, როცა ადრინდელ ბინაში ცხოვრობდა, ახლა კი...
- რა, ბინა შეიცვალა მას შემდეგ, რაც ნუნოკავა აღარ არჩენს?
- მას შემდეგ სამჯერ შეიცვალა და ყოველთვის უკეთესში გადადიოდა.
- ახლა სად ცხოვრობს?
- დიდებული სახლია, აძაბუში.
- ესე იგი, ვილაცამ უყიდა, — შენიშნა ნოიამამ. ბინა თანამედროვე სახლში, თანაც პრესტიჟულ აძაბუს რაიონში, ორმოცდაათი — სამოცი მილიონი იენი მაინც ღირს. თურმე არიან ადამიანები, რომლებსაც ამდენი ფულის გადახდა შეუძლიათ.

ტომოკოს არც „პო“ უთქვამს, არც „არა“. თვითონ ცუკიძეში ერთ უბრალო ბინაში ცხოვრობს. ნოიამა სახლში არ ყოფილა მასთან, მხოლოდ მანქანით მიაცილა. ტომოკოს თქმით, მას დაქირავებული აქვს ორთაბიანი ბინა ძველი ოთხსართულიანი სახლის ბოლო სართულზე.

სავსებით შესაძლებელია, რომ ტომოკოს შურს კიმიიოსი ანდა სძულს კიდევ. ქალებს შორის მეგობრული დამოკიდებულება ამ შესაძლებლობას არ გამორიცხავს... კაცები სხვა საქმეა. მათ შორის კარგი მეგობრებიც გვხვდებიან.

- ნოიამამ სხვა მხრიდან შემოუარა.
- მის პირველ დაწესებულებასაც „ნოჩესი“ ერქვა?
- არა. მგონი, „სირინოზი“.
- სირინოზი?
- დიახ. მახსოვს, ნუნოკავამ უწოდა ასე.

— რა არის „სირინოზი“?

— ამბობენ, ასე უწოდებდნენ ღამაზ ქალებს ბერძნულ მითებში.

— „ნოჩეს“ რაღაა?

— ესპანურად, მგონი, „ღამე“.

ნოიამამ ჩაიცინა — ის რომ ბერძნული მითების ან ესპანურა ენის შესწავლაზე კარგავდეს დროს, მაძებარი არ დადგებოდა.

— მაინც იგვიანებს...

— დიახ... ეგებ მოხდა რამე?

შუაღამე გადავიდა.

პოკეტ-ბელი ღუძდა, მაშასადამე, პოლიციის უბანში უშფოთველი მყურთობა სუფევდა.

ნოიამა მოუთმენლად შეტოკდა. ეს ნიშნავდა, რომ მეტი ცდა აღარ შეეძლო. ამავე დროს თითქოს ეკითხებოდა ტომოკოს, როგორ მოქცეულიყო შემდეგ. ნოიამას ესმოდა, რომ აჯობებდა უბანში, სამორიგეოში დაბრუნებულიყო, მაგრამ ტომოკოსთან განშორება არ უნდოდა.

შესაძლოა, ის ქალი მართლაც ძალიან ღამაზია, იმათი მსგავსი, რომლებზედაც მითები გვიამბობენ, მაგრამ განა თვითონ არ დაიღუპა თავი? ფული გამოსტყუა ნუნოკავას, დაღუპა კაცი, ახლა კი მისი შურისგებისა ეშინია.

ნოიამას კიდევ შეეძლო გაეგო მისი სწრაფვა, თავი დაემკრინა „ბარში მონსახურე ქალიშვილის“ მდგომარეობიდან. სურვილი, რომ ადამიანმა შეიძინოს პაწაწკინტელა, მაგრამ საკუთარი დაწესებულება — დასაძრახისი როდია.

მაგრამ სხვა საქმეა, როცა შემდეგ ისევ მონახავენ მორიგ მიამიტ კაცს, ამავე ოინს გაუკეთებენ, კიდევ უფრო მალლა ააბიჯებენ და თავიანთ მსხვერპლთა სხეულებს საფეხურებად აქცევენ. არა, არავითარ სიბრალულს ეს ქალი არ იწვევდა მის გულში. „არ მოვისურვებდი, რომ მასთან საქმე მქონოდა“, — ვაიფიქრა ნოიამამ.

რა კარგ ვინმედ ეჩვენა ამ ქალთან შედარებით ტომოკო...

თითქოს ფიქრს მიუხედავ, ტომოკო წამოდგა:

— წაუიღეთ...

3

ნოიამა და ტომოკო ერთმანეთს ჩახუტებული იწვნენ. უეცრად ნოიამას მოეჩვენა, რომ ტახტზე მიგდებული პიჯაკის ზედა ჯიბეში რაღაცამ გაიწივლა.

— რა არის იქ?! — უკმაყოფილოდ წარმოთქვა ტომოკომ.

ნოიამამ მიაყურა. ნუთუ გამოძახებაა?

ნოიამა ლოგინიდან წამოდგა, პიჯაკი აიღო და უკვე აშკარად გაიგონა პოკეტ-შელის წივილი. ზუმერი გამართო და სასთუმალთან მდგარი ტელეფონით დარეკა სამსახურის სამორიგეო ოთახში.

სავამოტომ მაშინვე აიღო ყურმილი.

— შე ვარ, რა მოხდა?


— მაპატიეთ, თუ ღმერთი გწამთ, ეგებ სერიოზული არაფერია, მაგრამ ცენტრალური პულტიდან ცნობაა და... გადავწყვიტე თქვენთვის დამერეკა, — მობოდიშების კილოთი წარმოთქვა სავამოტომ. ყველაფერზე ეტყობოდა, რომ პუდებოდა, სად იყო და რას შერებოდა მისი კოლეგა.



— სერიოზული რამეა?

— არც კი ვიცი, მგონი, ორმაგი თვითმკვლელობაა. შენობის ღამის დარაჯი და ქალი, ეტყობა, პოსტესი გინძიდან.

— სად?

— ვინძის შესაძე კვარტალში. კინოთეატრის უკან  მდგარი შენობის ტუალეტში.

— ტუალეტში?

„კარგი ადგილი ამოურჩევია ამ წყვილს ცხოვრებასთან ანგარიშის გასასწორებლად“, — გაიფიქრა ნოიამამ. თუმცა ბევრი შემთხვევა იცოდა ამგვარი თვითმკვლელობისა ყველაზე წარმოუდგენელ ადგილებში. ადამიანი, რომელსაც სებაფოფლობით გადაუწყვეტია ცხოვრებადანი წასვლა, სხვანაირად ფიქრობს იმაზე, რა არის უცნაური და რა არა.

— დიახ, ტუალეტში, როგორც ჩანს, ორმაგი თვითმკვლელობაა. მამაკაცი დაეხმარა ქალს, რათა ცხოვრებასთან ანგარიში გაესწორებინა, შემდეგ კი თავი ჩამოიხრჩო.

— როდის ნახეს?

— დაახლოებით ორ საათზე.

ნოიამამ საათის დახედა. ესე იგი, დაახლოებით ნახევარი საათის წინ უნახავთ. საუბოტომ განაგრძო.

— სავაჭრო-ადმინისტრაციული შენობაა, საკმაოდ შეუხედავი, რა არ არის იქ — ათასნარი კანტორები, ოფისები, მივარდნილი ადგილები. პირველ სართულზე კაფეა, მეორეზე — მაჯანის¹ სათამაშო სალონი. გვამები უნახავთ მიწისქვეშა სართულზე, სადაც ადმინისტრატორის კაბინეტია. დღისათ იქ თვითონ ზის, ღამით კი დარაჯი მორიგეობს. სწორედ მას უქნია ყოველივე ეს. მას ჰქვია კისუკე ნუნოკავა. ქალის პიროვნება ჯერ არ დაუდგენიათ.

— აბა, ერთი გაიმეორე!

— კისუკე ნუნოკავა.

— ასაკი?

— ჯერჯერობით უცნობია. საპატრულო მანქანიდან გადმოსცეს, რომ დაახლოებით სამოცი წლისაა. სხვა არავითარი ცნობა. რა უნდა ვქნათ?

— უჩემოდ წადი. მე მალე მოვალ. — ნოიამამ ყურმილი დადო.

...მას შემდეგ, რაც ტომოკომ ბარი დაკეტა, ისინი ასაკასაკის სასტუმროსკენ გაემართნენ. რა თქმა უნდა, ტომოკომ ისევ მიაპატიჟა სახლში, მაგრამ ნოიამამ გადაწყვიტა, რომ სასტუმრო აჯობებდა. ნომერი, თანაც ცენტრალურ რაიონში, ძვირი ჯდება, მაგრამ სამაგიეროდ სიწყნარეა. სახლი, სადაც ტომოკო ცხოვრობს, ხომ მისი უბნის ტერიტორიაზე მდებარეობს და პატინკოს თამაშსაც კი სადმე უფრო შორს ამჯობინებდა. იგი ქვეცნობიერად ადევნებდა თავის თავსაც — რამდენად გაუჯდა სისხლსა და ხორცში მამებრის პროფესია...

— აი... ესღა მაკლდა... — უკმაყოფილოდ წარმოთქვა ტომოკომ, რომელმაც საწოლზე ჩამოიწია და არც ისე ახალგაზრდა მკერდი გამოაჩინა.

— ჰო, საწყენია... მაგრამ ახლა ამის დრო არ არის.

ნოიამა სწრაფად იცვამდა.

— მოხდა რამე?

¹ მაჯანი — ფართოდ გავრცელებული ჩინური თამაში კამათლებით.

— ვეგებ ჩემთან ერთად წამოხვიდე? — შესთავაზა მან. ტომოკო შეშინებული მოაკუნტა ზეწრის ქვეშ. — კარგი, ერთი! გეხუმრები...

— შეშანია!

— ჰო... ვერ არის სამხიარულო საქმე — თავი ჩამოიხრჩო სამოციოდე წელს კაცმა, ვინმე კისუკე ხუნიკავამ. ის ხომ არ არის, რომელზედაც მიახმე?

— ღმერთო! — უნებლიეთ შესძახა ტომოკომ.

— იმიტომ შემოგთავაზეთ თავიდან ჩემთან ერთად წამოსულხარა? — იცხადებდა ამოსაცნობად.

— არა, არა! ოღონდ ვე არა...

— ჰო, მართლაც არ ივარგებდა. იმის განმარტებაც მოგვიწვედა, თუ ვინა ხარ შენ.

ნოიამამ გაჩეხილი თმა გაისწორა.

— რაო? აქ დარჩები?

— სახლში წავალ. რა უნდა გაუაკეთო მარტომ...

— მერე შეიძლება დაგირეკო შინ?

ნოიამა სასტუმროდან გამოვიდა. ადგილამდე მისვლას თხუთმეტ წუთსაც არ მონდომებია.

საუაჭრო-ადმინისტრაციულ შენობასთან ორი საპატრულო მანქანა და „სასწრაფო დახმარება“ იდგა. მუნდარიანი პოლისმენი მაშინვე მიესალმა.

— სად არის?

— აქეთ მობრძანდით.

გვიანი იყო, მაგრამ შენობასთან საიდანღაც გაჩეხილი უქნარები იდგნენ. ნოიამამ ბაგირს გადააბიჯა და მაწისქვეშა ხართულზე ჩავიდა. ვიწრო შესახვევიდან მიაღგა გვერდით შესასვლელს — მთავარი წინანდებურად დაკეტილი იყო. მოგვიანებით სავამოტომ აუხსნა, რომ სადარბაზო შესასვლელი საღამოს თუთრმეტ საათზე იკეტება, რის შედეგადაც სამსახურებრივი შესასვლელით სარგებლობენ. იქიდან კიბე ჩადის ქვედა სართულზე. ჩახვალ, დარაჯის სამორიგოდან ლიფტებისკენ გახვალ, იქიდან კი ნებისმიერ სართულზე შეიძლება ასვლას. შენობიდან რომ გახვიდე, იგავე გზა უნდა გაიარო, ოღონდ, ბუნებრივია, საწინააღმდეგო მიმართულებით.

გვამები მაჯანის სათამაშო სალონის მოსამსახურებ ადმოაჩინა, მესამე სართულზე რომ არის. საერთოდ, სალონი თერთმეტზე იკეტება. მაგრამ მულმივი მუშტრები ხშირად თხოულობენ „ერთი-ორი“ პარტია კიდევ ითამაშონ. ხოლო რადგანაც ნებისმიერია საქმე მაღე ჩაიფუშება, თუ წესები მკაცრად იქნა დაცული, ჩვეულებრივ, მათ ნებას აძლევენ თუნდაც გათენებამდე ითამაშონ. არც სალონის მოსამსახურეები უწევენ მაინცდამაინც წინააღმდეგობას, რადგან უხვი გასამრჯელოს იმედი აქვთ.

იმ დამეს უკანასკნელი კლიენტები ორის ნახევარზე წავიდნენ.

კომორიმ, ვინც გვამები ადმოაჩინა, სალონი დააღაგა, დახვავებული ნამწვაკები გადაყარა, დარბაზი დაკეტა და ქვემოთ ჩავიდა, რათა დარაჯისთვის გასაღები ჩაეებარებინა.

ახალი კაცი იყო, თრ კვირასაც არ გაველო, რაც სამუშაოზე მოეწყო. წინამორბედებთან შედარებით თავის მოვალეობას ფრიად კეთილსინდისიერად ასრულებდა. ბოლი მათგანი ნაშუაღამევს დასასვენებელ ოთახში მიდიოდა ხოლმე დასაძინებლად და ღად უკმაყოფილებას გამოთქვამდა, როცა აღვიძებდნენ.

ამიტომ კომორი იძულებული იყო გასაღები ფანჯარაში შეეგდო და უბრალოდ წასულიყო, მაგრამ ახალი დარაჯი მუდამ ფხიზლობდა.

— ჰე, მეგობარო! — გასძახა კომორიმ.

სამორიგეო ოთახში არავინ გამოხმაურებია, კომორიმ გასაღები შეაგდო და ის იყო წასვლა დააპირა, რომ უცებ შეხერდა: „უცნაურია — ნუთუ ჩაეძინა?“

— ჰე, მეგობარო! — ისევ დაუძახა და სამორიგეოში შევიდა.

ტიხარს იქით იყო პატარა ოთახი საწოლითურთ, სადღაც დასვენება შეიძლებოდა, როცა შენობაში არავინ რჩებოდა, დარაჯს დასვენების ნება ჰქონდა, კომორიმ ტიხარს იქით შეიხედა.

საწოლზე იწვა საუცხოო კიბონიში გამოწყობილი ქალი. სახეზე ცხვირ-სახოცი ეფარა.

კომორი გაშეშდა.

სკამზე რაღაც ფურცელი ეგდო.

სადღაც ჯახუნი გაისმა.

სამორიგეოს პირდაპირ ტუალეტი მოჩანდა. კარი გამოეღო, შიგნით სინათლე ესო. კომორიმ ტუალეტში შეიხედა და დაინახა ჩამოკიდებული კაცი.

4

სავამოტოს რომ მოუსმინა, ნოიამამ თქვა:

— რაღაც შეთანხმებულ თვითმკვლელობას არ ჰგავს. გვამები ტუალეტსა და სამორიგეოში ნახეს. ისინი რომ ერთმანეთს შორის შეთანხმებულიყვნენ, ასეთი რამ არ მოხდებოდა. აუცილებლად ერთ ადგილას უნდა მომკვდარიყვნენ. ესე იგი, ჯერ კაცმა მოკლა ქალი, შემდეგ კი თავი ჩამოიხრჩო.

— მართალია.

— ვინ არის ის ქალი?

— არ ვიცი, ჩანთა არ აღმოაჩნდა.

— უცნაურია... — ნოიამამ გაოცებით დახარა თავი.

მან უკვე დაათვალიერა ქალის გვამი. კისერზე იმ თოკის კვალი აჩნდა, რომლითაც დაეხრჩოთ. ეტყობა, კაცსაც იგივე თოკი ეხმარა.

თუმცა, შესაძლებელია ჩანთა მოიპარეს. იქნებ მანამდე, სანამ სამორიგეოში კომორი შემოვიდოდა, იქ სხვა ვინმემ შეაღწია?

— ლამაზი ქალი იყო... — ამოიხრა სავამოტომ.

— მართლაც.

— ჩანს, რომელიღაც ბარას პოსტესია. მაგრამ ეს კაცი მისი შესაფერი არ არის. სულაც არ არის...

— ადამიანები სხვადასხვა მიზეზით უახლოვდებიან ერთმანეთს. ლამაზ ქალს ყოველთვის როდი ჰყავს ლამაზი საყვარელი. მაგრამ შენ მართალი ხარ — რაღაც მეტიმეტად ბევრი რამაა გაუგებარი.

— შეიძლება გაძარცვაც იყო.

— რა თქმა უნდა. მაგრამ არა მგონია...

— მაინც გაუგებარია, ჩანთა რომ არ ჩანს. იქნებ ვიღაც მითამაშემ შემოიხედა და ხელს გააყოლა.

— ასეც შეიძლება მომხდარიყო. მაგრამ მაინც ვერ გაბედავ — მეტიმეტად საშიშია. თანაც საღონიდან მარტო ვერ გამოვიდოდა.

— მაგრამ თუ ეს კაცი უთვალთვალედა მათ და შენობაში შევიდა? რომ დაინახა, ქალი მკვდარი იყო, ჩანთა მოიტაცა...

— გეამი თუ ნახე?

— ვნახე.

— ობის¹ ბალთაზე მსხვილი ნეფრიტი აქვს. ხელზე — დაახლოებით სამი კარატი ბრილიანტი.

— დალახვროს ეშმაკმა! თითოეული თვალი რამდენი მილიონადღე ფასობს. დამნაშავე ხელიდან არ გაუშვებდა ასეთ ნადავლს. ან რაში სჭირდებოდა ნივთები, მას მარტოოდენ ნაღდი ფული უნდა აეღო.

— უწინარეს ყოვლისა მისი პიროვნება უნდა დავადგინოთ.

— მე ვფიქრობ, რომ ბალთისა და ბეჭდის მიხედვით ჩვენ ამას შევძლებთ.

— მაგრამ ძალიან ბევრი დრო დაგვჭირდება. მოიცა, კომონოს სახელო² შე-
აწოწმე. ეგებ იქ ასანთი დევს.

სავამოტო სასწრაფოდ გავიდა და მალე დაბრუნდა. კიდევ ცოტაც, და გვამს ვასაკვეთად წაიღებდნენ.

— აი, სახელოში ვნახეთ. — სავამოტომ ასანთის კოლოფი გაუწოდა ნო-
იამას.

— მაინც „ნოჩეს“.. — ხმადაბლა წარმოთქვა მან. კოლოფმა დაადასტურა, რასაც ნოიამა წინასწარ გრძნობდა სწორედ იმ წუთიდან, ჩამოხრჩობილის გვარი რომ გაიგონა.

— მოხდა რამე?

— არაფერი.

ნოიამამ შეამოწმა კოლოფი. ასანთის რამდენიმე ღერი აკლდა.

— ეგებ ყოველი შემთხვევისთვის დაკურეკოთ? თუმცა უკვე გვიანაა, ალ-
ბათ, ყველანი წავიდნენ...

— მაინც დაურეკე! იქნებ ვინმე დარჩა, — მოითხოვა ნოიამამ. ოთხის ნახე-
ვარი იყო.

სავამოტომ პირდაპირ სამორიგეოდან დარეკა.

— ასეც ვფიქრობდი. კაციშვილი არ არის, — თქვა მან და ყურმილი დადო.

— დალახვროს ეშმაკმა! — ჩუმად შეიგინა ნოიამამ.

— რა მოხდა?

— ობის შიდა მხარე უნდა შეემოწმებინათ. ეგებ სავიზიტო ბარათი ეპო-
ვნათ.

— ეჰ, ვერ მოვიფიქრე, — დარცხვენით მოიქექა კეფა ახალგაზრდა მაძებარ-
მა.

— სკამზე რა ქალაღდი იღო?

— აი ის, — სავამოტომ გაუწოდა ვანილის პაკეტი, რომელშიც შეინახა ბარა-
თი, რათა ანაბეჭდი არ წაშლილიყო.

¹ ო ბ ი — განიერი, ჩვეულებრივ ლამაზად ნაქარგი ქამარი კომონოსათვის.

² კომონოს სახელოს განიერი ქვედა ნაწილი — ტომტო — შეიძლება გამოდგეს ჯიბედ, რომელშიც ქალები ინახავენ ცხვირსახოცს, საფულეს, ასანთს და სხვა წვრილ ნივთებს. კაფეს, ბარის, რესტორნის პატრონები ხშირად უფრთხილად საფიქრო ასანთს, რათა მომსვლელს არ და-
ავიწყდეს. სად იყო, და შემდგომაც მოვიდეს — ამ მიზნით კოლოფზე აღნიშნულია ტელეფონ-
ი, მისამართი და ადგილმდებარეობის გეგმაც კი.

ერთი პწკარი: „მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ“ და ქვემოთ ხელმოწერა: „ნუნოკავა“.

„მაინც მოაკვლევინა იმ ქალს თავი“, — გაიფიქრა ნოიამამ.

ქალი, რა თქმა უნდა, კიმილი იყო. ძვირფასი ქსოვალის საუცხოო კიმილი, ნეფრიტი და ბრილიანტი — ყოველვე ეს, უეჭველია, ეკუთვნოდა არა ბარში მომსახურე ქალიშვილს, არამედ მის პატრონს — „მადამს“ აშკარად ოცდაათს იქნებოდა გადაბიჯებული. მაგრამ ძალიან ლამაზი იქნებოდა.

ტომოვო რომ გამოიძახოს, იგი მაშინვე ამოიცნობს, მაგრამ ნოიამა ამას არ იზამს...

სამუშაოზე ჰანაის მოსვლისას დაღუპულის პიროვნება დადგინდა. ობის შიგნით მაინც იპოვეს სავიზიტო ბარათი.

როგორც ნოიამა ვარაუდობდა, ეს იყო კიმილი.

გასართობ და სასმელების დაწესებულებათა ლიცენზიების წიგნში მონახეს მისი მისამართი; მიიღეს კაბარეს სახანძრო უშიშროების პასუხისმგებლის ცნობებიც — ჩვეულებრივ, ეს იყო მეტრდოტელი. იგი აღმოჩნდა ვინმე მაცუი, რომელმაც ამოიცნო გვამი.

რაც შეეხება ნუნოკავას, იგი ამოიცნო შენობის მფლობელმა. დაახლოებით ორი კვირის წინათ მან დარაჯად აიყვანა, სახლის პატრონმა გამოძიებაზე ჩვენება მისცა:

— ოდესღაც ნუნოკავა ჩემი პარტნიორი იყო გოლფში. ათიოდე წლის წინათ მას სოლიდური საქმე ჰქონდა და ჩვენს წრეებში ნდობით სარგებლობდა. მაგრამ შემდეგ ერთ საძაგელ ქალს დაუკავშირდა. მალე მან გაყიდა პატარა ქარხანა, მიატოვა ცოლი, ვაჟიშვილი, ყველაფერი გავერანდა... ბოლოს, ფული რომ შემთავდა, ნუნოკავას საყალბისათვის ხუთი წელი მისცეს. შემთხვევით ვნახე — ახლახან გამოეშვათ. დავუძახე, მაგრამ შეგეშალათო, მითხრა. გატრიალდა და უნდადა გვერდი აეგლო. ეტყობა, რცხვენოდა. მე ხომ ვიცოდი, რომ იჯდა. მაშინვე მივხვდა, რომ იქადა პატიოსანი კაცი დაბრუნდა. როცა დავპირდი, სამუშაოს გამოეჩინებ-მეთქი. თვალზე ცრემლიც კი მოადგა. უნდა ითქვას, კეთილსინდისიერად მუშაობდა ჩემთან. მაგრამ, იცით, ის ქალი მაინც ვერ დაივიწყა.

მალე გამოირკვა, რომ ნუნოკავას ყოფილი ცოლი გაყრის შემდეგ მშობლებთან გაემგზავრა და ქალიშვილობის გვარი დაიბრუნა — კოკო მაკინო. შვილი კვისუკა უკვე ოცდაათი წლისაა, მაგრამ აქამდე ცოლი არ შეურთავს და დედასთან ცხოვრობს.

ყოფილი ქმრის სიკვდილის ამბავს კოკო ცივად შეხვდა. რასაკვირველია, მიყენებული შეურაცხყოფისა და გაყრის შემდეგ იგი სრულიად უცხო კაცად იქცა მისთვის. მის პატიებას კოკო აშკარად არ აპირებდა.

მაცუის წყალობით გაძარცვის ვერსია მოიხსნა. მისი თქმით, ჩანთა იმ საღამოს კაბარეში დარჩა, და წასვლისას მან სახლში წაიღო, რომ არ დაკარგულიყო.

მეტრდოტელი ნოიამამ დაკითხა.

— დაახლოებით როდის წავიდა კაბარედან?

— თორმეტი იყო დაწყებული.

— სად მივდივარო, არ უთქვამს?

— გამაფრთხილა, ოცი-ოცდათი წუთით გავალო, მაგრამ სად მიდიოდა, არ მიკითხავს.

— დაბრუნებას აპირებდა?

— მე მგონი, კი. ისე ჩანდას რატომ დატოვებდა. მერე, ჩვეულებრივ, ელოდებოდა ხოლმე, როდის წავიდოდა ბოლო სტუმარი, რის შემდეგაც ანგარიშს ხურავდა.

— ამონაგებს ამოწმებდა?

— სავსებით სწორია.

— წასვლისას განსაკუთრებული არაფერი შეგიმჩნევია?

— რას გულისხმობთ?

— იქნებ დელავდა ან შეშინებული იყო?

— როგორ ვითხრათ...

— ამბობენ, ემუქრებოდნენო.

— ტელეფონის ხარზე ამბობთ? — ჰკითხა მაცუიმ. — ჰო, ვიღაცამ დარეკა კაბარეში. — ნოიამამ გამამხნევებლად დაუქნია თავი, იგი ცდილობდა აელაპარაკებინა თანამოსაუბრე. — ჰო, ვიღაც მთვრალმა დარეკა. ბარის პატრონს ითხოვდა, უნდა „მივახვრიტო“, იმუქრებოდა.

— თვითონ მივიდა ტელეფონთან?

— არა, ოფიციანტი. ჯობდა გაჩუმებულიყო, მან კი ბარის პატრონს მოახსენა.

— ხშირად თუ რეკავენ ასე?

— ვერ ვიტყვი, ხშირად-მეოქი, მაგრამ ხდებოდა.

— ოფიციანტმა რა თქვა?

— მე შენიშვნა მივეცი.

— კიმიიომ გალანძლა?

— მგონი, არა...

— შენ იცნობდი ვინმე ნუნოკავას?

— არ ვიცნობდი.

— ვის არის ქალის ახლანდელი მფარველი?

— წარმოდგენა არა მაქვს.

— ეგებ დაქალი ჰყავდა? მეგობრობდა ვინმესთან? — შეეკითხა ნოიამა ყოველი შემთხვევისათვის. პასუხი უკვე იცოდა.

— თითქოს არ ჰყავდა, — მიუგო მაცუიმ.

ნოიამამ ჩაიწერა ოფიციანტის მისამართი და გვარი — კეიტი მაკიტა, იაფფასიანი სახლი ომორის რაიონში — და უბანში დაბრუნდა.

5

სადამოს, ოპერატიული თათბირის დამთავრების შემდეგ, ნოიამა ომორის რაიონში წავიდა, რათა ოფიციანტის ამბავი გაეგო. თერთმეტისთვის გინძაზე იყო და ტომოკოს შეუარა.

აღბათ, იმიტომ, რომ ნოიამამ წინასწარ არ შეატყობინა, მისმა მოსვლამ ტომოკო ამკარად დააბნია. ნოიამა განაპირა სკამზე დაჯდა დახლთან.

— ვისმენთ... — ტომოკოს ხმაში სიცოცხლე იგრძნობოდა.

ბარში ექვსი კლიენტი იყო. ნოიამამ ლუდი შეუკვეთა და ჩუმად შეათვა-

ლიერა ისინი. მზერა ორმოციოდე წლის დარბაისელ კაცზე შეაჩერა, რომელიც კუთხეში იჯდა. როცა ნოიამა შემოდოდა, ტომოკო მის გვერდით იყო.

— მე ძაღვ წავალ, — ჩუმად უთხრა ნოიამამ.

— რატომ?

— მგონი, უფროსი დროს მოვედი.

— რას ბრძანებთ?

— ღამით შევხვდებით?

ამაზე ტომოკომ გესლიანად შენიშნა:

— თქვენ ხომ წასულას აპირებდით.

— შენ რომ დაგინახე, გადავიფიქრე. ის მომინდა, რაც მაშინ ვერ მოვახერხე.

— მეც მომინდა, — მიუგო ტომოკომ.

— მართლა?

— მაგრამ დღეს ძალიან დავიღალე, თანაც გაცივებული ვარ.

— გარდაცვლილი დაქალისაგან განსხვავებით, შენ არ შეგიძლია ჩვენთანის მოტყუება.

ტომოკოს არაფერი უთქვამს.

— მაგრამ ეს უმჯობესია. დღეს მე წავალ. ოღონდ ერთი რამ მინდა გკითხო. პატიოსნად მიპასუხე.

— რა უნდა მკითხოთ? — შეშფოთებით კითხა ტომოკომ.

— დღეს ჩვენს თათბარზე გადაწყვიტეს დახურონ შენთვის ცნობილი საქმე. განსაზღვრეს როგორც შეყვარებულთა თვითმკვლელობა ერთ-ერთის იძულებით. მაგრამ მე არ მჯერა ეს.

— თქვენ მიგაჩნიათ, რომ მკვლელობა მოხდა?

— მე მგონი, კი. ყოველ შემთხვევაში, თუ იმას ვირწმუნებ, რაც შენ მიამბუ. ხომ ასეა?

— რა გიამბუთ მე?

— შენ მთხოვე, რომ მას შევხვედროდი. მე ვითხარი, მორიგეობისას ეს უხერხულია-მეთქი, მაგრამ არ დაიძალე.

— სწორია...

— იმ ქალმა მართლა მოგმართა შენ? — შეეკითხა ნოიამა. — თუ შემთხვევით გაგითავისუფლდა საღამო და უბრალოდ საბაბი გინდოდა, რომ გამოგეძახე? ასე იყო? — ნოიამას მოეჩვენა, რომ ჩუმად ლაპარაკობდა, მაგრამ ეტყობა, უნებლიეთ მისი ხმა საჭიროზე მაღლა აჟღერდა. კლიენტმა, რომელიც მისგან ერთი ცარიელი ადგილის გამოტოვებით იჯდა, მოხედა კიდევ.

— ეს მართალია. მან რჩევა მთხოვა, — ჩუმად წარმოთქვა ტომოკომ.

— ხოლო მისმა მეტრდოტელმა თქვა, დაქალი არ ჰყავდაო.

— კიმი-ტიანი არ ენდობოდა მას.

მეტრდოტელმა მისი ჩანთა შეინახა.

— შეუძლებელია!

— ეს მართალია. კაბარედან რომ გადიოდა, ჩანთა დატოვა და თქვა, ძაღვს დაუბრუნებო.

— ეს არ არის მართალი!

— რატომ?

— სადაც არ უნდა წასულიყო კიმი-ტიანი, ჩანთა მუდამ თან დაჰქონდა. შიგ



მუდამ რამდენიმე ასეული ათასი ედო. იმ საღამოს მართლაც აპირებდა თქვენთან ერთად სადილობას და რჩევის კითხვას, თუ როგორ მოქცეულიყო შემდგომ. თვითონაც მიკვირს, რატომ არ მოვიდა, როგორ მოხვდა იმ არასასიამოვნო შენობაში. ის, რაც გაზეთებში წავიკითხე, ძალიან უცნაურია.

— დალახვროს ეშმაკმა! — ბრაზით შესძახა ნოიამამ.

მისი ბოთლი უკვე დაცლილი იყო. ტომოკომ უხმოდ მოუტანა მუცლის ტკივილი.

ბარის კლიენტებმა დაშლა იწყეს. დარჩა მხოლოდ რომელიღაც წყვილი და მართოდ მჯდარი მამაკაცი.

— ერთ წუთს, — ტომოკო მიუახლოვდა ამ კაცს.

რაზე ლაპარაკობდნენ, ნოიამას არ გაუგონია. მაგრამ სტუმარი მალე წავიდა. მას მიჰყვნენ დანარჩენებაც.

ტომოკომ თანაშემწეები გაუშვა და კარი დაკეტა.

— არა უშავს, ასე რომ ვართ?

— არა უშავს. სამაგიეროდ საუბარს შევძლებთ.

— აქ ჯობია. მე ცოტა დრო მაქვს.

— გასაგებია...

„ის ტიპი, როგორც ჩანს, ბინაზე ელოდება, — გაიფიქრა ნოიამამ. — თუმცა სავსებით შესაძლებელია ჩვენი საუბრის შემდეგ ტომოკოს სიყვარულის თავი აღარ ექნება. უნდა მოვუსმინო, რას იტყვის“.

— მართლაც მინდოდა თქვენი ნახვა, მაგრამ მანაც მოხოვა შემეხვედრებინა თქვენთან.

— შექარებს ტელეფონით მხოლოდ ოფიციალტი ისმენდა, ხომ ასეა?

— სულ ერთი არ არის, ვინ მოდიოდა ყურმილთან?

— არა, სულ ერთი არ არის. თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში ძალიან ეშინოდა. როგორც ჩანს, ნუნოკავა აწუხებდა.

— ალბათ... გულკეთილი, პატიოსანი ადამიანი იყო.

— იმ საღამოს, როცა შენთან მოსვლას აპირებდა, საქმე ეხებოდა იმას, რომ სამივეს ერთად უნდა გვესაძილა, ხომ?

— ჰო, რა თქმა უნდა.

— უცნაურია. მაშ რა ეშმაკად წავიდა ნუნოკავასთან? ან კიდევ აი ერთი გამოცანა — როგორ გაიგო, სად იმყოფებოდა ის კაცი? ან თუ იცოდა, რატომ წავიდა ასეთ ადგილას მართლდმართლ?

ტომოკომ ვისკი და ყინული ერთმანეთში აურიო და დალია.

— შენ არ მოგიკლავს ის ქალი — ეს ზუსტად ასეა. აქ ჩემთან ერთად თერთმეტის ნახევრამდე იყავი. ორივენი დაახლოებით თორმეტ საათზე დაიხოცნენ...

— რა გინდათ სიტყვით?

— ის, რომ დაკითხვაზე სათამაშო სალონის მომსახურემ თქვა, თერთმეტზე ნუნოკავა გაკაფრახილე, თამაში, ალბათ, გათენებამდე გასტანსო. როცა აზარტული მოთამაშეები გამოჩნდებოდნენ ხოლმე, ნუნოკავას უფლება ჰქონდა სამორიგეოში დაეძინა. მაგრამ მოთამაშენი წაიჩხუბნენ და დაიწყეს იმის გარკვევა, თუ ვინ ითაღლითა, და იმის ნაცვლად, რომ მთელ ღამეს ეთამაშათ, ორის ნახევარზე დაიშალნენ. ამიტომ გვამები ღამის ორ საათზე იპოვეს. ნუნოკავას თვითმკვლელობა ეჭვს არ იწვევს. მან რომ თავის მოკვლა გადაწყვიტა, იმ დღი-

ურიდან ჩანს, რომელიც ჯიბეში უპოვნეს. ხელი აშკარად მისია, ასე რომ, გასარკვევი ის არის, თუ როგორ აღმოჩნდა იქ კიბილი.

ტომოკომ მხრები აიჩეჩა, ნოიამამ განაგრძო:

— ოფიციატს, რომელმაც ტელეფონით მოისმინა მუქარი, კეიტი მაკიტა პეკია. ნუნოკავას პყავდა ვაჟი, სახელად კეისუკე. ცოლ-ქმრის გაყრის შემდეგ შვილმა დედასთან ერთად უარი თქვა მამის გვარზე და კეისუკე მკაინო დაირქვა „ნოჩესში“ რომ მოეწყო სამუშაოდ, ოღნავ შვიტვალა გიანდო მუქარა. ასეთ რამ საკმაოდ ხშირად ხდება. ერთი-ორ იეროგლიფს ცვლიან მხოლოდ.

ტომოკომ ჭიქაში ვისკი ჩაუმატა. ნოიამამ სიბრაღულით შეხედა.

— შენ იცნობდი იმ ჭაბუკს?

— არა, არ ვიცნობდი. როცა კიბი-ტიანს კაბარეში დავურეკე, მომჩვენა, რომ ოფიციატს — ყურმილი მან აიღო — ნუნოკავას ხმა პქონდა. მაგრამ ცოცხალი ხმა — ის ხომ ისეთი არ არის, როგორც ტელეფონში, — შეიძლება ამიტომაც ვერ ხვდებოდა კიბი-ტიანი, რომ მასთან ნუნოკავას ვაჟი მუშაობდა. იცით, მე მგონია, რომ ყველა ეს გამონაგონი ტელეფონით ნუნოკავას მუქარის შესახებ ოფიციატისაგან მოდის...

— მაგრამ ის ჭაბუკი, კეიტი მაკიტა ან, უფრო სწორად, კეისუკე მაკინო-იყო თუ არა საქმის კურსში, რომ კიბილი მე და შენ უნდა შეგვხვედროდა?

— არ ვიცი. მაგრამ სავსებით შესაძლებელია, ის ხომ ყოველდღე მიდიოდა მასთან ოთახის დასალაგებლად, მსახურად პყავდა მას, თანაც უფასოდ! კიბი-ტიანი მუნწი და ძლიერი ნებისყოფის ქალი იყო, პოდა, როგორც უნდოდა, ისე ეპყრობოდა. მე თვალს ვადევნებდი ხოლმე ამ სურათს, როცა მასთან სტუმრად ვიყავი, როგორც დედოფალი პირის ფარეშს ისე ექცეოდა.

— აი როგორ შემოტრიალდა საქმე... — ამოიოხრა ნოიამამ.

ნოიამასთან დაკითხვაზე კეისუკემ გულწრფელად აღიარა ყველაფერი... იგი ყოველ საღამოს ურეკავდა ციხიდან გამოსულ მამას. შიშობდა, ვაითუ თავი მოიკლასო. „ნოჩესში“ გამოგონილი გვარით მოეწყო სამუშაოდ, რათა შური მიეგო ქალისთვის, რომელმაც ოჯახი დაუხვრია. მამა ათასნაირად ცდილობდა გადაეთქმევინებინა ეს განხრახვა.

იმ საღამოს კეისუკემ ტომოკოსთან საუბარი დაიმიწმა და კიბილს უთხრა, რომ პოლიციის დეტექტივი ელოდება მას არა ტომოკოსთან ბარში, არამედ სხვა ადგილას, სავაჭრო-აღმინასტრაციულ შენობაში. ეს შენობა სულ ახლოს „ნოჩესთან“ რამდენიმე წუთის სავალზე იდგა.

მაგრამ როცა კიბილი წავიდა, კეისუკემ რაღაცა მოიმიხეზა, კაბარედან გამოვიდა და მას აედევნა.

კიბილი სახლის წინ მიმოდიოდა და შესვლას ვერ ბედავდა. კეისუკემ ოთახში შეაცილა. მაგრამ, თავისდა გასაოცრად, მამა უკვე მკვდარი დახედა. კეისუკე არ მოელოდა საქმის ასეთ შემობრუნებას. მას ხომ მხოლოდ ის უნდოდა, რომ კიბილს ნუნოკავასათვის პატაება ეთხოვა, მაგრამ დაავიანა და...

კიბილიმ გაქცევა სცადა, მაგრამ კეისუკემ იქვე მიგდებული თოკით დაახრჩო იგი. მერე გვაში ისე დაღო, რომ იმგვარი შთაბეჭდლება შექმნილიყო, თითქოს ნუნოკავამ თავი მოაკვლევინა ქალს. მერე ჩანთას ხელი დაავლო და კაბარეში დაბრუნდა. იქ ჩანთა იმ ადგილას დაღო, სადაც კიბილი დებდა ხოლმე.

ჩვენება რომ დაამთავრა, კეისუკემ შვეებით ამოიხუნთქა და ნოთამას უთხრა:

— ოღონდ არ იფიქროთ, რომ ვინანიებ.



ბარში მომსახურე ძალიუპილის გვლელობა

1

მასუიამამ მახლობელი სასაუზმიდან მორთმეული ტენდონი¹ ზოათავა და სამორიგეოზო დაკიდებულ საათს შეხვდა. რვა საათი სრულდებოდა. შაბათი საღამო იყო, არადა, მორიგეობა უწყევდა! კიდევ კარგი, რომ თანაშემწე მაინც ჰყავდა — ახალგაზრდა მამებარი კოდა.

რვა საათზე მასუიამა უბხიდან ათესვას აპირებდა „პატრულირების“ საბაბით. მან პაემანი დაუნიშნა მიტიიოს, რომელიც სნეკ-ბარის — არცთუ მდიდრული სასაუზმის — პატრონი გახლდათ. შაბათობით, საღამოს შვიდ საათზე სასაუზმე უკვე იკეტებოდა. მიტიიოსთან შუაღამემდე დარჩება, შემდეგ კი უბანში დაბრუნდება. თუ რამე მოხდა, კოდა შეატყობინებს პოკეტ-ბელით. მაშინ მასუიამა მახლობელი ტელეფონით დაურეკავს სამსახურში.

მაგრამ, დალახვროს ეშმაკმა, მისი შეფი, საგამოძიებო განყოფილების უფროსი პანაი, ჯერ კიდევ სამუშაოზეა. დაახლოებით შვიდ საათზე მასთან ვილატა მოვიდა და აქამდე ფეხი არ მოუცვლია.

მასუიამამ ჭურჭელი ააღაგა, ხოლო კოდამ ამასობაში ჩაი მოიტანა. მასუიამამ ყლუპი მოსვა და თავის მსუბუქი მოძრაობით ანიშნა უფროსის კაბინეტზე.

— რატომღაც საუბარი გავრძელდა. ვინ არის იქ იმასთან, არ იცი?

— ტომონარი უმცროსი. საიუველირო მაღაზიის პატრონი. — მიუგო კოდამ. მასუიამას გავიხილი პქონდა საიუველირო მაღაზია „ტომონარიზე“, რომელიც ვინძის ერთ-ერთ უძველეს ფირმას ეკუთვნოდა. მაღაზია, რა თქმა უნდა, პატარა იყო, მაგრამ ძვირფასეულობით მოვაჭრე ფირმის სოლიდურობა ფართობით ხომ არ განისაზღვრება. მასობრივი მყიდველისათვის განკუთვნილი მაღაზია ხშირად ბევრად უფრო დიდია, იაფფასიან ნაკეთობებს ყიდის, იქ არასოლიდური, შემთხვევითი მყიდველები შედიან, მეტწილად ახალგაზრდები, ამიტომ მისი პატრონები იძულებული არიან უამრავი სხვადასხვაგვარი საქონელი გამოფინონ და უფრო დიდი დარბაზია საჭირო.

სხვა საქმეა მაღაზია, სადაც ვაჭრობენ ნაწარმით, თითოეული ათობით მილიონი იენი რომ ღირს. რადგან წვრილ-წვრილა ნივთები აქ არ იყიდება, ჯობს მცირე, მაგრამ მყუდრო დარბაზი. მაღაზიის პატრონებს მუდმივი კლიენტები ჰყავთ, ხოლო ძვირფასი ნივთები უფრო ხშირად მათთან პირდაპირ სახლში მიაქვთ.

მოკლედ, საიუველირო ფირმის „ტომონარის“ პატრონი — გოსუკე ტომონარი დიდი კაცია, ყველაფერ ამასთან ერთად იგი განლავთ დანაშაულის პროფილაქ-

1. ტენდონი — ბრინჯი შემწეარი თევზით.

ტიკაში პოლიციის ხელშემწყობი ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტიც. როცა ტომონარი უფროსს გულის შეტევა ჰქონდა და საავადმყოფოში დააწვინეს, თვითონ პოლიციის უფროსი პირადად ნახულობდა ხოლმე.

— რა საქმე აქვთ?

— ვინ იცის...

სანამ ჰანაი უბანშია ატუზული, მანამდე პატრული მუშაობდა...

იუველირს ალბათ რაიმე თაღლითობასთან ექნებოდა საქმე, თორემ ისე პოლიციაში პირადად არ გამოცხადდებოდა. სიტყვამ მოიტანა და, მასუიამამ ყური მოჰკრა: თუმცა ტომონარი უფროსი საავადმყოფოდან უკვე გამოვიდა, თავისი საქმე უფროს ვაჟს ეიტაროს გადასცა, თვითონ კი სამსახურს თავი დაანება...

ეგებ ნაკლებ გამოცდილმა ეიტარომ რაიმე შეცდომა დაუშვა?

ფიქრები მასუიამას ჰანაიმ შეაწყვეტინა, რომელმაც ოთახში შემოიხედა.

— მასუიამა-კუნ, შემოდი ჩემთან.

„დალაზვროს ეშმაკმა! როგორ არ მწყალობს ბედი“, — საბოლოოდ მოიშალა მამებარი და მორჩილად გაემართა უფროსის კაბინეტისაკენ.

ჰანაიმ ერთმანეთს წარუდგინა მამებარი და იუველირი.

— ჩვენი სტუმარია ბატონი ეიტარო ტომონარი ფირმიდან „ტომონარი“. ნება მომეცით წარმოგიდგინოთ: ჩვენი საუკეთესო დეტექტივი მასუიამა.

— სალამი... — საკმაოდ უბოდიშოდ წარმოთქვა მასუიამამ და ოდნავ დააქნია თავი.

— ეს საქმე მასუიამას დაევალოთ. ჩვენი საუბრის შინაარსს თვითონ გადავცემ. ჰოდა, თუ დამატებითი ცნობები დასჭირდა, ვფიქრობ, მაღაზიაში ან შინ შემოგივლით, — თქვა ჰანაიმ.

— თქვენი იმედი მაქვს, — ტომონარი წამოძვრა.

ჰანაიმ მოწიწებით გააცილა, მერე, კაბინეტში დაბრუნებულმა, ეშმაკურად შეხედა მამებარს.

— ვინდა, გამოვიცნობ, რაზე ფიქრობ?

— სცადეთ!

— „როგორ არ მწყალობს ბედი“... გამოვიცანი? — თავისი თავით კმაყოფილმა ჰანაიმ გადაიხარხარა, — მართლაც, თითქოს მის გულში იჯდა.

— რატომ... უფრო პირიქითაა. — თვითონ უფროსმა მომაქცია ყურადღება...

მდგომარეობით ჰანაი მასუიამაზე ძალდა დგას, მაგრამ ასაკით მასზე პატარაა. სამაგიეროდ მასუიამა უფრო მეტი ხანია მუშაობს პოლიციაში. ასე აქვთ წესად — თუ პოლიციაში ერთი დღით ადრე მივიდეს, მეტ პატივს გცემენ. რა თქმა უნდა, წოდება წოდებად რჩება, მაგრამ პირად ურთიერთობაში ცდილობენ იერარქიაზე არ იფიქრონ. თუმცა, უფროსთან ლაპარაკი ასეთი სახუმარო ტონით მართლაც მამებარს შეუძლია, ეს მისი პრივილეგიაა: გამოცდილი დეტექტივი იშვიათია, უმაღლესი კვალიფიკაციაა! მართლმოდუნ წოდებით საქმეს წინ ვერ წასწევ. ამიტომ უფროსმაც უპირატესად ისე უნდა მისცეს დავალება ხელქვეითს, რომ მან საუკეთესოდ შესრულება მოისურვოს. თუ, ვთქვათ, უნივერსიტეტის დიპლომიანი ახალგაზრდა ხელმძღვანელი გამოიძახებს ვეტერან მამებარს და უბრძანებს: აბა ეს გააკეთეო, — აქედან სასიკეთო არაფერი გამოვა.

რა თქმა უნდა, თუ ბრძანება ამგვარად იქნა გაცემული, გამოცდილი მამე

ბარა არც კი შეიმჩნევს, თითქოს რამით იყოს უკმაყოფილო, ფორმალურად უფროსის სიტყვა კანონია. მაგრამ ამ შემთხვევაში გამოძიება ერთი ნაბიჯითაც არ წაიწევა წინ. ხოლო ამის შედეგად მაძებარი კი არ დაზარალდება, არამედ მისი უფროსი. წარუმატებლობისათვის ხომ მთელი პასუხისმგებლობა თანამდებობით უფროსს ეკისრება. ამიტომ პოლიციაში გაურბიან ბრძანებით კილოს და მას ხდობის კილოს ამჯობინებენ.

მაგრამ ჰანაისთან სხვაგვარად იყო საქმე — შეფი თავის კარიერას მართლ თავის თავს უმაღლოდა. ამ ჭკვიანმა კაცმა წარმატებით ჩააბარა უძნელესი გამოცდები და შემდეგ გახდა უფროსი ინსპექტორი. ამიტომ მასუიამა და დანარჩენები დიდი პატივით ეპყრობიან ჰანაის.

— დიდი ძნელი საქმე არაა... მაგრამ ახალგაზრდას ვერ დაავალებ... — ამოიხრა ჰანაიმ.

— რა მოხდა?

— ახალგაზრდა ტომონარი ამბობს, რომ შანტაუს უწყობს ეილაც ტიპი, რომელიც მის საყვარულთანაა დაკავშირებული. ჩვენც ვაღიარებთ ვართ გავერკვიოთ. უფროსი გვაწვება.

ჰანაი დროდადრო იხედებოდა მაგიდაზე დადებულ ბლიკნოტში და ამასობაში ყველაფერი უაძბო. ტომონარის ჰყავს საყვარელი: ჰოსტესი¹, რომელიც მსახურობს ფეშენებელურ ბარში „ელისეს მინდვრები“, გინძის შექვესე კვარტალში. კვიკო ტაკამორი ჰქვია.

— ოცდახუთი წლისა ვარო, ამბობს, მაგრამ სინამდვილეში რამდენისაა, ბუნებრივია, არავინ იცის. ცხოვრობს ცუკიძიში, საუცხოო სახლში, აი იცი, სადაც ძალიან დიდ გირაოს სთხოვენ ბინაში. ეიტაროს რვა მილიონი აქვს გადახდილი. ორი წლის შემდეგ შეუძლია ან თანხის ოთხმოცდაათი პროცენტით უკან დაიბრუნოს.

— მაშასადამე, ეს სიამოვნება წელიწადში თითო მილიონი ჯდება. ხომ ასეა?

— სინამდვილეში ორჯერ მეტი. ოცი მილიონი ვადიანი ანაბარი რომ შეიტანო, ორ წელიწადში პროცენტები გაიზრდება.

— ჩანს, ძალიან გაუტაცია იმ ქალწულს...

— ეტყობა... თავდაპირველად ქალიშვილმა თითქოს უარი უთხრა, მაგრამ ტომონარიმ ძალით დაიმორჩილა. იცი, მეტაქე ჰყავდა და გადაწყვიტა მისთვის დაესწრო, თუნდაც ასეთი გზით. ახლა კი ქალი ეშუქრება, სასამართლოში გიჩივლებ, რომ გამაუპატიურეო.

— კი მაგრამ, მან ხომ ძვირფასი ბინა დაუქირავა, მაშასადამე, მათი ურთიერთობა გრძელდებოდა.

— მგონი, აგრეა.

— მაშინ გაუპატიურების მუხლში არ მოხვდება...

— მაგრამ პირველად ეიტარომ ძილის წამალი დააღუევინა, — შენიშნა ჰანაიმ.

სისხლის სამართლის 177-ე კოდექსი გაუპატიურებას განმარტავს როგორც ცამეტ წელზე მეტი ასაკის ქალის ან ქალწულის იძულებას სქესობრივი კავშირისადმი ძალის ან მუქარის საშუალებით და ისჯება ორი და მეტი წლის პატიმ-

1. ჰოსტესი — ქალიშვილი, რომელიც ემსახურება მომსვლელებს დამის კლუბებში, ბარებში, რესტორნებში და სხვ. (ინგლ.).

რობით. ძილის წამლის გამოყენება დანაშაულად არ ითვლება, მაგრამ შექმნილი 178-ე მუხლი გაუპატიურებას განმარტავს როგორც „სქესობრივ კავშირს დანაშაულებულის გრძნობის დაკარგვის ან უმწეო მდგომარეობის გამოყენებით“.

— უცნაურია! სოლიდური ფირმის შემკვიდრე და ასეთი საქმე! მას ხომ შეეძლო რამდენიმე უნდოდა, იმდენი ქალი ჰყოლოდა!

— რა თქმა უნდა. სიტყვამ მოიტანა და, გასათვალისწინებელია, ქართული თეორია კიდევ რომ გაგრძელებულიყო, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ გაუპატიურების დანაშაული თავისთავად იხსნება.

— როდის მოხდა ეს?

— ხუთი თვის წინათ. კიდევ ერთი თვე რჩება.

გაუპატიურების საქმე აღიძრება დანაშაულებულის ოფიციალური საჩივრით მიმართვის მხოლოდ ექვსი თვის განმავლობაში. ამ ვადის შემდეგ სასხლის სამართლის პასუხისმგებლობა წყდება.

— რას მოითხოვს ქალიშვილი მისგან?

— ამჟამად არაფერს. მხოლოდ ეუბნება, სასამართლოში გიჩივლებო.

— იგი, რა თქმა უნდა, ეშმაკობს. ცდილობს გამოძალვის ბრალდებას თავა არიდოს. უცდის, როდის დაუსახელებს ეიტარო თანხას.

— მან უკვე დაუსახელა. ჯერჯერობით ათი მილიონი. მაგრამ ქალი გაიძახის, საქმე ფული როდიაო.

— ხომ გითხარი, ეშმაკობს-მეთქი! ამას თვითონ ვერ მოიფიქრებდა. უეჭველია მის უკან ვიღაცა დგას.

— ჰოდა, ჩვენც გვინდა ყველაფერი გამოვარკვიოთ....

„რა თქმა უნდა, ეიტაროს შეეძლო რომელიმე კერძო დეტექტიური სააგენტოსთვის მიემართა, მაგრამ ის სარგებლობს იმით, რომ მამამისი პოლიციის ხელშემწყობი ასოციაციის გავლენიანი წევრია. თანაც, რაკი კაცმა ჩვენ მოგვმართა, აუცილებელია დავეხმაროთ“, — გაიფიქრა ჰანაიმ, მაგრამ ხმამაღლა არაფერი უთქვამს.

2

მის ადგილას სამძებრო სააგენტოს თანამშრომელი ან კერძო დეტექტივი სრულიად მშვიდად გასწევდა ბარში, სადაც კეიტო მსახურობდა, თავს კლიენტად მოაჩვენებდა და ქალიშვილს დააკვირდებოდა, ანგარიშს კი, თუნდაც რამდენიმე ათეულ ათას იენს, დამჭირავებელი გადაიხდიდა. მაგრამ პოლიციის დეტექტივისათვის ამგვარი ხარჯები, სამწუხაროდ, გათვალისწინებული არ არის.

თანაც მასუიამას უბრალოდ არ უნდოდა ასეთი ხერხისთვის მიემართა. არც ბარის მომსახურე ქალიშვილებისთვის ღირდა ეკითხა რამე მის შესახებ. თავისი მოწმობაც შეეძლო ეჩვენებინა, მაგრამ ეს მხოლოდ დამაბავდა ყველას.

მასუიამამ კოდას უთხრა, ძალე მოვალე, უბნიდან გამოვიდა და მიტიიოსკენ გაემართა.

— ცოტა არ იყოს გვიანაა... — შენიშნა მიტიიომ და სნეკ-ბარის სიდრმეში მდებარე პატარა, მილაგებულ იაპონური სტილის ოთახში გაიყვანა.

— მეც მომცეს რა საქმე! პირდაპირ ბრაზი მომდის!

— რა მოხდა? — ჰკითხა მიტიიომ და ვისკი და ყინული ერთმანეთში აურია. მასუიამამ რამდენიმე ყლუპი მოსვა და საქმეზე მოუყვა.

ჩვეულებრივ, მასუიაბა მიტიოსთან სამსახურზე ლაპარაკს ერიდებოდა. მაგრამ ამჯერად თავის პრინციპს უღალატა — სანამ საკუთარ დაწესებულებას გახსნიდა, მანამდე ხომ მიტიოსი პოსტესად მსახურობდა გინძაზე და შესანიშნავად ერკვეოდა გარეშე თვალისთვის დაფარულ ამ სამყაროში. მასუიაბა არასოდეს ყოფილა გინძის პირველხარისხოვან ბარებში. ამიტომ იგი უსაფუძვლოდ როდი იმედოვნებდა, რომ მიტიოსგან მიეღო მისი საქმისათვის რეკომენდებული ცნობები. მიტიოსმ მოუსმინა მასუიაბას და უარის ნიშნად გაქსნა.

— ნუთუ იმ ქალს გამოძალვაში შეიძლება დასდო ბრალი? არადა, რა არამზადა ყოფილა — ქალი დაამინა, რათა გაეუპატიურებინა!

— არა, გამოძალვის მუხლი მაგას არ ეხება. კიდევ რომ წარმოვიდგინოთ, რომ ქალმა ფული მოსთხოვა, მაშინაც კი შეიძლება ჩვეულებრივ კომპენსაციად დავიყვანოთ.

— რატომ უნდა გამოესარჩლო ასეთ არამზადას?

— იცი რა, თუ ის ქალი არ შეიძლება პასუხისმგებელი მისცე გამოძალვისათვის, ეს შეიძლება მის სუტენერს გაუკეთო. რა უნდა ჩვენგან ახალგაზრდა ტომონარის? რათა დავადგინოთ, ხომ არ დგას ამ ქალის უკან სუტენერი? მას მიაჩნია, რომ ასეთი ადამიანი არის, და სურს, რომ ჩვენ გაეაუვნებლოთ იგი. ამკარად ვერ მოითხოვს პოლიციისგან, ამიტომ გადაწყვიტა ჩვენი უფროსის მხარდაჭერით ისარგებლოს.

— პოლიციას კი, რა თქმა უნდა, მამამისთან და ასოციაციასთან ჩხუბი არ სურს?

— აბა, რატომ ამბობ აგრე? უბრალოდ, შეფს ესმის, რომ თუ შეძლებს ტომონარის დაეხმაროს, იგი უფროსის ქებასაც დაიმსახურებს და პოლიციას ხელშემწყობი ასოციაციისაც.

— ძნელი დასაჯერებელია, რომ „ელისეს მინდვრების“ პოსტესი... იქ ასე თუ ისე წესიერი ქალიშვილები მუშაობენ. ეს კი გათახსირებული უინმე ყოფილა!

— ეგებ „ელისეს მინდვრებში“ იცნობ ვინმეს?

— ერთ წუთს მაღროვეთ.

და მიტიოსი თავისი ოთახიდან ბარში გავიდა. რამდენჯერმე დარეკა სადღაც და შემდეგ დაბრუნდა.

— რაო?

— არის ერთი — ჯერ კიდევ წინა თვეში მუშაობდა „ელისეს მინდვრებში“, ახლა კი პატარა ბარი გაუხსნია. მუგობარმა მითხრა... წავადეო.

— სად არის?

— მესამე კვარტალში. აქედან ხუთი წუთის სავალია.

— რომელ საათამდე მუშაობს? — მასუიაბამ საათს დახედა.

წამოსვლის წინ კოდა გააფრთხილა, უფროსის დავალებით მიედიეარო. მიუხედავად ამისა, შუალამისთვის მაინც უნდა დაბრუნდეს. ახლა რომ იმ ქალთან წავიდეს, მაშინ მიტიოსთან ვეღარ დარჩება.

— გირჩევნიათ იმასთან დღეს მიხვიდეთ, — მიტიოსი ამკარად მიუხვდა ფიქრს.

— სამუშაო შეიძლება გადავდო.

— მაგრამ მე გავაფრთხილე, რომ ახლა შეუვლით.

— მართლა?

— რა თქმა უნდა.

— რა გაეწყობა, წაუღ, — მასუიამა უხალისოდ წამოდგა. დასანანია, მაგრამ იმ ტომონარის გულისთვის მიტიიოს ვეღარ შეხვდება.

— შენ დაძელოდე, ძალე დაებრუნდები.

— მე წამოგყვები.

— არა, აგრე არ ივარგებს.

— რატომ?

— ეგლა მაკლია ილაყბონ, რომ ქალი მივიყვანე.

— რად უნდა უთხრაო, რომ პოლიციიდან ხართ. კერძო დეტექტივად გაცანით თავი.

— ეს წესებს ეწინააღმდეგება, — ბრაზით წარმოთქვა მასუიამამ. მან მიტიიოსგან გაიგო, რომ ბარს „ვარდი“ ჰქვია, და იქით გაემართა.

მისი პატრონი — რეიკო ხოდე ოცდათხუთმეტი წლისა იქნებოდა, „ელისეს მინდვრებში“ ათიოდე წელიწადს მუშაობდა.

რეიკოს სიტყვით, კვიკო იქ ერთი წელიც არ იყო, რაც გამოჩნდა, მაგრამ კლიენტებს შორის ძალე მოიპოვა პოპულარობა.

— ლამაზი ქალიაო, ვერ იტყვი, მაგრამ აქვს რაღაც ისეთი, რაც მამაკაცებს იზიდავს, — უჩვეულო ქალურობა, მგონი. სტუმრებს ხშირად უჩხუბიათ მის გამო.

— ყოფილა თუ არა მასთან საიუველირო ძალაზიის „ტომონარის“ პატრონი?

— დიახ... — მოიღუშა რეიკო.

— რაღაც სხვაგვარადაა საქმე?

— მაპატიეთ, მაგრამ, უბრალოდ...

— არ მოგწონთ! ცუდი სახელი აქვს?

— უარესი არ არსებობს.

— მაგრამ ის ხომ კვიკო-ტიანის მფარველია. მისთვის საუცხოო ბინა აქვს დაქირავებული ცუკიძის რაიონში...

— კვიკო-ტიანზე ადრე ტომონარის სხვა ქალი ჰყავდა „ელისეს მინდვრებში“, იმ ქალმა რომ გაიგო, ტომონარი კვიკოს გადაეკიდაო, თავი მოიკლა. ხოლო კვიკო-ტიანმა, ეტყობა, არ იცოდა ეს და იმავე ბინაში დასახლდა, სადაც ტომონარის ადრინდელი საყვარელი ცხოვრობდა.

— უყურე შენ!

— კვიკოს ჰყავდა ძმა, განგსტერს ჩამოჰგავდა, ამბობენ, ტომონარის ფული მოჰპარაო.

— როდის?

— დაახლოებით ერთი წლის წინათ.

— ეგებ კვიკოს ჰყავს ვინმე, ტომონარის გარდა?

— არ ვიცი.

რეიკომ ჩვეულა მოძრაობით გახსნა ლუდის ბოთლი და თვითონვე დალია. „კვიკოს მაინც ჰყავს ვიღაცა, — გაიფიქრა მასუიამამ. — რეიკომ ეს იცის, მაგრამ არ უნდა გათქვას“.

— მაინც რას აკეთებს ის კაცი?

— ხომ ვითხარით, არ ვიცი-მეთქი.

მასუიამამ გადაწყვიტა ტაქტიკა შეეცვალა. ქალს, რომელსაც რესტორნებსა

და ბარებში ათა წელი უმუშავია, აგრე ადვილად ვერ გამოიჭერ. მის წინაშე პოლიციელია, მას კი ოდნავაც არ ეშინია.



— აგრე რატომ შეიძულეთ ტომონარი?
 — ენატარტარაა და იძიტომ!
 — მაინც რაზე ლაყობს?
 — ყველაფერზე. ვისთან ეძინა, ვისთან ისიამოვნა და ვისთან რჩებოდა წინაშე მისწონს, როცა მეგობრები „პოსტესების რისხეს“ ეძახიან. ნამდვილი ნადირალაა!

— მაგრამ ზოგიერთებს ეგეთი ნადირალები მოსწონთ...
 — სულელები ვართ ქალები... — ნაღვლიანად წარმოთქვა რეიკომ.
 მასუიამას თავში გაუქვლა, რომ ტომონარი ალბათ მის თანამოსაუბრესაც გაეარშიყა, თუ ასეა, მისი ნაამბობი არ უნდა ირწმუნოს.
 მასუიამას ის იყო შემდეგი შეკითხვა უნდოდა მიეცა, რომ უეცრად პოკეტ-ბული აწკარუნდა. იქვე მდგარი აპარატით დაურეკა კოდას.

— რა ხდება შენთან?
 — სეცუკო ტომონარიმ დარეკა... ახალგაზრდა ტომონარის მეუღლემ.
 — რა უნდა?
 — სურს სასწრაფოდ შეხვდეს განყოფილების უფროსს და ქმრის შესახებ ელაპარაკოს. მაგრამ თუ იგი არ არის, მის რომელიმე მოადგილეს... თერთმეტი სრულდებოდა.
 — ხად არის ახლა?
 — მალაზიის მახლობელი ავტომატიდან რეკავს.
 — კარგი, უბანში მოვიდეს. მე მალე მოვალ. — მასუიამამ ყურმილი დადო და გამოცლილი ბითლის ფული უნდოდა გადაეხადა, მაგრამ რეიკომ არ გამოართვა.

— არა, აგრე არ არის მიღებული, — არ იშლიდა მასუიამა. — ათასი იენი მაინც აიღეთ.
 — ჩაითაც ვერ გაგიმასპინძლით...
 — მაინც დაგიტოვებთ ფულს. ეგებ ცოტაა?.. — მასუიამამ საღაროსთან ათასიენიანი ქაღალდი დადო და გასასვლელისკენ გაემართა.

ავტომატიდან მიტაიის დაურეკა.
 — შენთან მოსვლას ვაპირებდი, მაგრამ ისევ შემეშალა ხელი. რა გაეწყობა, უბანში ებრუნდები.
 — მე კი რა ხანია გელოდებით...
 „თვითონ გამგზავნა საქმეზე, მაგრამ როცა ისე მოხდა, რომ ვერ მივედი, დიდხანს გელოდიო, მეუბნება. მოდი და გაუკე ამ ქალებს...“ — გულში აღშფოთდა მასუიამა.

3

სეცუკო ტომონარი ასე ოცდაშვილი წლის ლამაზი ქალი გამოდგა. ძვირფას ელეგანტურ კიმონოში გამოწყობილი, მკვეთრად გამოირჩეოდა უბადრუკი სამორიველს ფონზე.
 — მაპატიეთ, ასე გვიან რომ... — მოიბოდიშა სეცუკომ.
 — როგორ გეკადრებათ!

– ნება მომეცით კიდევ ერთი რამ გკითხოთ, ყოველი შემთხვევისათვის: ვითხრათ თუ არა თქვენმა ქმარმა, რომ მას შანტაჟს უწყობენ?

– არა, – მიუგო სეცუკომ.

მასუიამა მოელოდა ასეთ პასუხს.

– მაშ როგორ გაიგეთ ამის შესახებ? რაღაც უცნაურია...

– ერთმა კაცმა მითხრა.

– ვინ?

– ნუ მკითხავენ, თუ შეიძლება. – სეცუკომ უხერხულად დახარა თავი.

შემდგომ გამოკითხვას არავითარი აზრი არ ჰქონდა. ბოლოს და ბოლოს მის წინაშე ეჭვმიტანილი ადამიანი როდია. არც რაიმე საძრახი ჩაუდენია.

– გასაგებია. რაც მიაძებთ, ყველაფერს გადაეცემ უფროსს. თუ რამე მოხდა, გვაცნობეთ, გეთაყვა. – უთხრა გამომძიებლებისას მასუიამამ და წამოდგა, რათა სეცუკო გაეცილებინა.

მეორე დღეს ყველაფერა დაწვრილებით მოახსენა ჰანაის.

– ოჰო! საინტერესოა. მაშ გუშინ დიდი ჯაფა დაგადგა, – დაასკვნა ჰანაიმ და საყვარელი ჩიბუხიდან ფერფლი გულმოდგინედ გამობურტყა.

– და მაინც, შეფ, ზოგი რამ მაშფოთებს...

– მაინც რა?

– რაღაც არ მჯერა, რომ ეიტარო ტომონარი მძიმედ იყოს ავად.

– არის რაიმე საფუძველი საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად?

– ბარში მომსახურე ქალიშვილებს სძულთ იგი. ხან ერთს აცდუნებს, ხან მეორეს და შემდეგ ტრაბახით იკლებს იქაურობას.

– ვერაფერს იტყვი – ბინძური ტიპია. შენ გინდა თქვა, რომ მაგისტანებს ხერხებმა არ შეიძლება უმტყუნოს?

– თქვენ მუდამ ძირისძირში იყურებით, შეფ.

– ხუმრობ? საერთოდ კი შენს სიტყვებში რაღაც არის... მაგრამ აი შეკითხვა – რატომ მოვადა მისი ცოლი? რა მიზნით გესაუბრებოდა? – ჰანაიმ ჩაფიქრებით დაიკრიფა გულხელი.

– ამ შეკითხვაზე მასუიამას არ ჰქონდა რამდენადმე დამაკმაყოფილებელი პასუხი.

– კვიკო ტაკამორის მიუხედავ და გამოვარკვევთ, მართლაც ცუდ დღეშია აუ რაღაც სხვა რამეა.

– ჰოდა, ცოტა გაერთო კიდევ – სულ ქურდებსა და ბანდიტებს კი არ უნდა სდიო, ზოგჯერ ღამაზმანებსაც უნდა შეხედო, – ჩაიციხა ჰანაიმ და გაუწიდა ფურცელი, რომელზედაც ცუკიძის სახლის ნომერი ეწერა. მასუიამამ გაიღიმა და კაბინეტი დატოვა.

აუჩქარებლად გაიპარსა, უბნიდან გამოვიდა და მეზობელ კაფეში ყავა და შემწვარი პური შეუკვეთა.

განძული ქალიშვილი ჯერ ლოგინშია, ასე რომ, საჩქარო არაფერი აქვს. მასუიამამ მშვიდად ისაუბრა და საიუველარო მაღაზია „ტომონარისკენ“ გასწია, შიგ არ შეხუდა, ვიტრინასთან გაჩერდა. მაღაზიაში ორი გამყიდველი მუშაობდა – კაცი და ქალი. არც ეიტარო, არც სეცუკო არ ჩანდნენ.

შემდეგ მასუიამა იქვე გვერდით ფეხსაცმლის მაღაზიაში შევიდა. გამყიდველს მოწმობა აჩვენა და უთხრა, დირექტორთან შეხვედრა მიხდაო.



მაშინვე შეუძღვნენ კაბინეტში. დირექტორი ორმოცი წლისა იქნებოდა. პირველ ყოვლისა მასუიამა შეეცადა მისთვის შიში გაეფანტა:

— ნუ აღელდებით, მე მეზობლების თაობაზე მოვედი, მინდა ზოგი რამ გამოვარკვიო.

— ვის გულისხმობთ?

— ტომონარის... უმცროსს.

— ეიტაროს ხომ არაფერი დაემართა?

— თქვენ მას მეგობრობთ?

— რა თქმა უნდა, ჩვენ ხომ მეზობლები ვართ.

— სადმე ყოფილხართ მასთან ერთად? დასალევად, მაგალითად.

— მე არ ვსვამ.

— იცით რა, იმედია, ეს ჩვენ შორის დარჩება. ტომონარის ბარის მომსახურე ერთ ქალიშვილთან უსიამოვნება აქვს.

— გასაგებია, — წარმოთქვა დირექტორმა. მის კილოზე მასუიამამ იგრძნო, რომ ტომონარის სასიყვარულო ამბები მისთვის კარგად იყო ცნობილი.

— მართალია, რომ „პოსტესების რისხვას“ ეძახიან?

— მე მაგისტანა დაწესებულებებში არ დავდივარ, მაგრამ ხმები ჩემამდე მოდიოდა, რა ვუყოთ, ახალგაზრდაა, მდიდარი...

— თქვენ არ შეგიძინებიათ ამ ბოლო დროს მის ძალაზიასთან ვინმე საეჭვო ჭაბუკი?

— არა, თითქოს არ შემიძინებია. ნუთუ ეიტარო-კუნი ცუდ ქალს გადაეკიდა? ხათაბაღლაში გაეზა? — ჰკითხა დირექტორმა.

მასუიამა ბუნდოვანი პასუხით დაკმაყოფილდა, კიდევ რამდენიმე შეკითხვა მისცა, მაგრამ არსებითი ვერაფერი გაიგო.

4

მასუიამამ კიდევ რამდენიმე ძალაზია შემოიარა თითქმის ასევე უშედეგოდ და ცუკიძისკენ გაემართა.

რვასართულიანი სახლის პირველ სართულზე მეკარის პატარა ოთახი იყო. აქ მასუიამამ გაიგო, რომ ოცი მილიონი იენი ეიტარო ტომონარიმ თითქმის ორი წლის წინათ შეიტანა. ხოლო კეიკოს ერთი წელიც არ არის, რაც იცნობს. ესე იგი, კეიკოზე ადრე აქ სხვა ცხოვრობდა.

— გამიგონია, რომ აქ ცხოვრობდა პოსტესი, რომელიც სადღაც გინძაზე მუშაობდა.

— ავრე უნდა იყოს, — მიუგო მეკარემ.

— ამბობენ, იმ ქალმა თავი მოიკლაო.

— არა, არა, არაფერი ამის მსგავსი. ქალი სადღაც გადავიდა. ეგებ თავიც მოიკლა. მაგრამ აქ არა... — აღელდა მეკარე.

— ახლა რომ ცხოვრობს თქვენსა, იმასთან ვინ მოდის ხოლმე?

— მე შევიდამდე ვმუშაობ, შემდეგ რა ხდება — არ ვიცი, ვკეტავ კარს და ფანჯარასაც. ყოველ მდგმურს თავისი გასაღებები აქვს შემოსასვლელი კარისა, სტუმრები კი შიდა ტელეფონით რეკავენ და მათ კნობის დაჭერით უღებენ ბინიდან.

— გასაღები რამდენია?

- ყოველ დამქირავებელს ორს ვაძლევთ.
- ამ შემთხვევაში დამქირავებელი ეიტარო ტომონარო ბრძანდება?
- სრული სიმართლეა.
- გასაღები როგორია?



მეკარემ აჩვენა უჩვეულო ფორმის გასაღები — უკბილო, სწორი. მისი სიტყვით, სახლში დაყენებულია ელექტრონული საკეტი, რომელსაც კონსტრუქტორებმა ვერაფრით ვერ მიურგებ.

მაშასადამე, დამით ბინაში იყვნენ მარტო ტომონარი და კეიკო, დანარჩენებს შემოსვლა შეეძლოთ მხოლოდ იმ პირობით, თუ შიგნიდან ვიღაცა გაუღებდა კარს.

მეკარის გამოკითხვის შემდეგ მასუიამა ხუთას თხუთმეტ ნომერ ოთახში ავიდა, რადგან საქმე დღისით მოხდა, შესასვლელი კარი, ბუნებრივია, ღია იყო.

დარეკა. არავინ გამოეპასუხა. სახლში, ეტყობა, არავინაა.

წასვლა დააპირა, მაგრამ ყოველი შემთხვევისთვის სახელური ჩამოსწია. სახელური ადვილად დაემორჩილა — კარი დაკეტილი არ აღმოჩნდა.

შესასვლელთან თვალში მოხვდა ქალის ფეხსაცმელი. აკურატულად კი არ დაეწყოთ, ამკარად მიეყარათ, გულში გაივლო მასუიამამ.

— თუ შეიძლება... — წარმოთქვა მან.

პასუხი არ იყო.

ფარდა გადასწია და სასტუმრო ოთახში შევიდა. ბინის სიღრმეში მოჩანდა კიდევ ორი ოთახი, ევროპულ ყაიდაზე მოწყობილი. კარი ღია დახვდა. იატაკზე იწვა ქალი. მკვდარი იყო.

მასუიამა ფრთხილად მიუახლოვდა. სახეზე დაფარებული ცხვირსახოცი მოხსნა. როგორც ჩანს, ეს იყო კეიკო ტაკამორი. კისერზე თოკის ნაკვალევი აჩნდა.

მასუიამამ სწრაფად ჩაიცვა ხელთათმანები, რათა ანაბეჭდები არ დაეტოვებინა, და დერეფანში გამოვიდა.

მეკარის ოთახიდან დაურეკა ჰანაის და მომხდარი ამბის შესახებ მოახსენა.

მკვლელობათა განხილვებრივ პოლიციის სამმართველოს საგამომიებო განყოფილების საქმეა. მასუიამა და მისი კოლეგები სარაიონო უბნებიდან ასეთ შემთხვევებში ეხმარებიან მას. რა თქმა უნდა, საწყენია, მაგრამ რა გაეწეობა.

საგამომიებო განყოფილება ქმნის რვა კაცისაგან შემდგარ ჯგუფს. ზუსტად ამდენ კაცს გამოყოფს პოლიციის უბანი, რომლის ტერიტორიაზეც მოხდა მკვლელობა. მუშაობა წყვილ-წყვილად მიმდინარეობს. ამჯერად მასუიამას პარტნიორი გამოდგა უფროსი მაძებარი სადა: ოდესღაც უკვე ემუშავათ ერთად და, უნდა ითქვას, კარგადაც შეწყობოდნენ ერთმანეთს...

დადგინდა, რომ სიკვდილი წინაღლით დაზღვარიყო, დაახლოებით საღამოს ცხრა საათზე. კეიკო უბრალოდ დაეხრჩოთ ზონარის მსგავსი რაღაცით, რომელიც უკანიდან გადაეგდოთ თავზე. მაგრამ რაიმე საეჭვო თოკი ან ზონარი, დანაშაულის იარაღად რომ შეიძლება გამოეყენებინათ, ვერ იპოვეს.

ბინაში სრული წესრიგი სუფევდა. მხოლოდ სამზარეულოს ბაკანში იდო ერთადერთი ფინჯანი და კონიაკის პატარა ჭიქა.

თითების ანაბეჭდები ყველგან იყო. მათი უმრავლესობა კეიკოს ეკუთვნოდა, თუმცა ზოგიერთი, შესაძლოა, ვიღაც მამაკაცს დაეტოვებინა.

როცა ტომონარი დაკითხეს, არც დაფიქრებულა, ისე უპასუხა, რომ იმ საღამოს დაახლოებით ცხრა საათზე შინ იყო. რვა საათისთვის ჰანაისთან ტელეფონით საუბრის შემდეგ პირდაპირ სახლში, ბინაში წავიდა თავისი მანქანით და იქიდან აღარ გამოსულა. მისი მალაზია ვინძაზე რვა საათამდე მუშაობს, ამიტომ იქ წასვლას არავითარი აზრი არ ჰქონდა.

სახლიდან ტომონარიმ მალაზიაში დარეკა და ცოლს, მცნობა, მად იყო. სეცუკომ გააფრთხილა ქმარი, ცოტა შემაგვიანდება, სამუშაოებს დაუბრუნდება დაუბრუნდება უნდა მოვასწერიგო.

თორმეტი იყო დაწყებული, სეცუკო შინ რომ დაბრუნდა. ეს შეესაბამებოდა საპოლიციო უბნიდან მისი წასვლის დროს.

„ელისეს მინდვრების“ მეტროლოტელმა ჩვენება მასცა, რომ კეიკომ ხუთ საათზე დარეკა და განაცხადა, გაცივებული ვარ და სამსახურში ვერ გამოვალ. თუმცა, წინააღმდეგობა სრულიად ჯანმრთელი მივიდა ბარში, როგორც ჩანს, ეს მხოლოდ საბაბი იყო შინ დასარჩენად.

კეიკოსა და ტომონარის ურთიერთობაზე, მეტროლოტელის სიტყვით, ბევრმა იცოდა. ისიც თქვა, რომ ეიტარო არასოდეს მიდიოდა ბარში, როცა კეიკო არ იყო.

— ჰყავდა კიდევ ვინმე ტომონარის გარდა?

— ეგებ ჰყავდა კიდევ, მაგრამ მაგის შესახებ არაფერი ვიცი. საერთოდ ისეთი ქალი არ იყო, რომ ყველას აჰკვიდებოდა.

— სუტენერი თუ ჰყავდა?

— არა მგონია. ზოგჯერ ბარში ურეკავდნენ, მაგრამ სხვა პოსტესებსაც ურეკავდნენ ხოლმე. ჩვენი კლიენტები არიან, კეიკო ბევრს მოსწონდა, — ამოიოხრა მეტროლოტელმა.

როგორც გამოირკვა, თითების ანაბეჭდები კეიკოს ოთახში ტომონარის ეკრთებოდა, მაგრამ ეს არ იძლეოდა საკმარის საფუძველს, რომ მას მკვლელობაში დასდებოდა ბრალი. თვით ტომონარი ხომ არ უარყოფდა, რომ კვირაში სამჯერ ნახულობდა კეიკოს.

— რატომ მოდიოდი მასთან, მაშინ როცა სასამართლოში ჩივილს ვიპირებდათ? თითების ანაბეჭდები ხომ სულ ახალია.

— როგორმე რომ მომეგვარებინა ეს საქმე... მოვლავარაკებოდი. მხოლოდ ამისთვის...

— არ ცრუობთ, მართლა შანტაჟს ვიწყობდნენ?

— არა, ეს მართალია! ვშიშობდი, ვაითუ სახლში ან მალაზიაში მოვიდეს-მეთქი. არ მინდოდა გახმაურებულიყო ეს ამბავი. ამიტომაც თვითონ დავდიოდი.

— დღისით თუ ღამით?

— ზოგჯერ დღისით, ხანდახან ღამითაც. რაღაცაში, რა თქმა უნდა, დამნაშავე ვიყავი მის წინაშე... ერთი სიტყვით, არ შემეძლო უარი მეთქვა, როცა მეძახდა, — ლულულულებდა ტომონარი.

კეიკოს მეგობარ-ნაცნობებიც დაკითხეს.

სხვა პოსტესების მოწმობით, მათ არ გაეგონათ, რომ კეიკოს კიდევ ვინმე ჰყოლიდეს. მფარველის არსებობას კი ვერ უარყოფს კაცი.

თითქმის ყველა ქალიშვილმა იცოდა კეიკოსა და ტომონარის ურთიერთ-

1. საბა — ტოკოს ერთ-ერთი რაიონი.

ბის ამბავი, მაგრამ არავისთვის არ იყო ცნობილი, რომ თავდაპირველად მან მი-
ლის წამალი მისცა. ეტყობა, კეიკოს ეს არავისთვის უთქვამს. ისე კი შესაძლე-
ბელია სხვა ვერსიაც: კეიკოს მუქარა — მიემართა სასამართლოსთვის — მხოლოდ
ტომონარის ფანტაზიის ნაყოფია...

5



ეროვნული
ბიბლიოთეკა

— როგორ ფიქრობთ, სადა-სან, იყო თუ არა აქ შანტაჟი?.. — შეეკითხა მა-
სეიამა თავის კოლეგას, როცა ისინი კეიკოს ძეზობლების გამოკითხვის შემ-
დეგ სასადალოდ შევიდნენ რესტორანში, სადაც ჩინური ატრია მოართვეს.

— ვფიქრობ, იყო. სწორედ, ამიტომ მოვიდა ტომონარის ცოლი ჰანაისთან.

— მაშ რატომ ამტკიცებს ქალი, რომ არავითარი შანტაჟი არ ყოფილა?

— უბრალოდ ცდილობდა ქმარს გამოსარჩლებოდა.

— გამოსარჩლებოდა?!

— ჰო, ნერვულ ავადმყოფად წარმოადგინა. ეს ფრიად ხელსაყრელია მის-
თვის. სასამართლომ შეიძლება ბრალი არ დასდოს, თუ ფსიქიური აშლილობა
დადგინდა.

— ესე იგი, ცოლს ეშინოდა, რომ ტომონარის შეიძლებოდა დანაშაული
ჩაედინა. საუჭვოდ არ გეჩვენებათ ეს?

— კიდევ რომ არ სცოდნოდა, რომ დანაშაული იმავე საღამოს მოხდებოდა,
ყოველ შემთხვევაში ხვდებოდა მაინც რომელ საათზე მოვიდა თქვენთან?

— მე ადგილზე ვიყავი. უფროსმა გამომიძახა პოკეტ-ბელით ათი საათის
შემდეგ.

— მაშინ შესაძლოა, თქვენთან რომ მოვიდა, უკვე იცოდა დანაშაულის შე-
სახებ. ხოლო ტომონარი პოლიციის მონახულების შემდეგ სახლში კი არა, კე-
იკოსთან წავიდა: უნდოდა ურთიერთობა გაერკვია და, განრისხებულმა მოკლა
იგი. შემდეგ კი სახლში დაბრუნდა...

— ცოლს როდისღა დაურეკა მაღაზიაში?

— ის ამბობს, ტომონარიმ ცხრის ნახევარსა და ცხრას შორის დამირეკაო.
ცუკიმიდან სიბამდე რამდენიმე წუთში მიხვალ და ტელეფონით დარეკვასაც მო-
ასწრებ. სამხილიც არის — კონიაკის ჭიქა სამზარეულოს ბაკანში! — დასძინა
საღამ. ფინჯანს კეიკოს თითების ანაბეჭდი აჩნდა, ჭიქაზე კი ვერაფერი იპოვეს.

ტომონარიმ თავისი კვალი წამალა და ჭიქა ბაკანში ჩადო. უფრო გამო-
ცდილი რომ ყოფილიყო, ჭურჭელს გარეცხავდა და განჯინაში შედგამდა. მოთ-
მინება არ ეყო. მაგრამ თუ გამოჩნდა მოწმე, რომელმაც დაინახა ტომონარი ან
მისი მანქანა დაახლოებით ცხრაზე საღამე ცუკიმის რაიონში, მისი საქმე დამ-
თავრებულა...

— ერთ რამეში არ გეთანხმებით — არ მჯერა, რომ მისმა ცოლმა ყველაფე-
რი იცოდეს.

— ჰო-ო, აქ შეიძლებოდა შემდეგი რამ მომხდარიყო. ვთქვათ, იგი საბუხჰალტ-
რი დაუთრებით ათ საათამდე არ მჯდარა. გამყიდველები ცხრის ნახევარზე წა-
ვიდნენ, მან კი თავისი საქმე დაახლოებით ცხრაზე დაამთავრა. შემდეგ — ათის
ნახევარზე დაბრუნდა სახლში, დაინახა, რომ ქმარი რაღაც ვერ იყო კარგად, და
დაუწყო გამოკითხვა.

— ბოლოს კაცი ყველაფერში გამოუტყდა, და ცოლიც მაშინვე წავიდა პო-
ლიციაში. ასეა თუ არა?

— ხუსტად აგრეთა! და კიდევ ეს ცხვირსახოცი დამხრჩვალ კეიკოს სახეზე, აშკარა საბუთი იმისა, რომ დამნაშავე იცნობდა მას! — თავდაჯერებულად თქვა სადამ.

ასეთი ვარაუდის უარყოფა მეტიხმეტად ძნელი იყო. კრიმინალისტიკის ისტორიაში ასეთი შემთხვევები ერთხელ და ორჯერ როდია აღწერილი.

სავსებით შესაძლებელია, რომ კეიკოს დახრჩობის შემდეგ ტომონარი, ისევე როგორც მის მდგომარეობაში ჩავარდნილი ბევრი ადამიანი, ინსტინქტურად დაუფარავდა სახეს. მაგრამ ცხვირსახოცი ხომ კაცისა იყო, თეთრი, თუმცა ასეთი ცხვირსახოცი ყველგან შეიძლება იყიდო, თანაც ის არაერთხელ იყო გარეცხილი. ასე რომ იმის გარკვევა, თუ ვის ეკუთვნის ცხვირსახოცი, ფუჭი გარჯაა.

მაშასადამე, ყველაზე სერიოზული ეჭვი ტომონარიზე იქნა მიტანილი, მაგრამ პოლიციამ მაინც ვერ გადაწყვიტა მისი დაპატიმრება.

რა თქმა უნდა, ტომონარის ჰქონდა საკმაო მიზეზები თავიდან მოეშორებინა კეიკო, მაგრამ იგი ამას არც ძალავდა. უფრო მეტიც, ტომონარი თვითონ მოვიდა ჰანაისტან და ყველაფერი უამბო. მას რომ რამე დაემალა და მერე ეს ცნობილი გამხდარიყო, მისი დაპატიმრების ორდერი დაუყოვნებლივ გაიცემოდა.

მაგრამ იქნებ ტომონარიმ იუშმაკა და, სანამ დანაშაულს ჩაიდენდა, ჰანაისტან განზრახ გამოცხადდა? და მხოლოდ შემდეგ გაემგზავრა კეიკოსთან? მაგრამ ამგვარი ვერსია იოლად იქნა უარყოფილი. ეს ხომ იმას ნიშნავდა, რომ ტომონარი ცუკიშიში წინასწარ მოფიქრებული განზრახვით მივიდა. ამ შემთხვევაში მას გულგრილად უნდა შეენახა განჯინაში კონიაკის ჭიქა, ანდა უკეთ მოეფიქრებინა თავისი ალიბი.

ერთი კვირის შემდეგ მასუიამამ სადასგან მოულოდნელი რამ შეიტყო.

— მაინც იმწამსვე უნდა დაგვეკავებინა. ახლა თურმე საავადმყოფოში დაუწვევნიათ სერიოზული ნერვული აშლილობით, — სინანულით აცნობა მან.

რა თქმა უნდა, ჰოსპიტალიზაცია არ გამორიცხავს დაპატიმრების შესაძლებლობას. მაგრამ აქ იმდენი პრობლემაა, რომ ფრთხილად უნდა იყოს კაცი! ტომონარის ადვოკატი მოჰყვება ლაყბობას მოქალაქეთა უფლებებზე, მთითხოვს ფსიქიატრების მიერ გამოკვლევას.

— უყურე შენ, მაშასადამე, საავადმყოფოშია... — წაიდუღუნა მასუიამამ.

— შეფი ცოფებს ყრის, მე ხომ საშინელ ყოფაში ვარ ჩავარდნილი, — დაჩივლა სადამ.

სადამოს, მორიგი თათბირის შემდეგ, მასუიამა მიტიიოსთან გაემგზავრა, პირველად იმ ნავსი მორიგეობის შემდეგ.

საწოლზე გაიშხლართა და ამოიოხრა:

— ძალიან დავიღალე!

მიტიიომ ლუდი დაუსხა.

— ვერა და ვერ ჩასვით მკვლელი, არ ხერხდება?

— არა. ჩვენ, რა თქმა უნდა, სულელები არა ვართ, მაგრამ გაიძვერა ტომონარიმ გაგვაცურა! საავადმყოფოში დაწვა, ნერვული აშლილობა აქვს, გესმით?

— მთელი სიცოცხლე?

— არა, რა თქმა უნდა. ოღონდ ვაჭრობას თავი უნდა გაანებოს: არაქმედუნარიანად გამოაცხადებენ ან რაღაც ამდაგვარი.

— რას ნიშნავს „არაქმედუნარიანი“?

— რას და, არანორმალურს. სასამართლო ჩამოართმევს ქონების განკარგვის

უფლებას. ჩვეულებრივ ასეთი თხოვნით სასამართლოს მიმართავს ოჯახი, მაგრამ შეიძლება ეს პროკურორმაც გააკეთოს.

— როგორ იქნება ფირმის საქმე?

— გამგებლობა ცოლის ხელში გადავა. სულ ერთი არ არის?..

— შესანიშნავია!

— შესანიშნავიათ, ამბობ?

— რა თქმა უნდა — ქმარს საქმე ჩამოერთმევა, ფირმა ქალის ხელში აღმო-

ჩნდება.

— მერე რით არის კარგი, თუ ქმარი ჭკუაზე შეიშალა? ახლა იმისი მოვლა-პატრონობა...

— ეგეცაა, თუმცა ჩემს დაქალს კი შურს მისი.

— შესაშური რა არის?

— აბა რა?! მუსუსი ქმრისგან განთავისუფლდება. მთელ ქონებას დაეპატრონება. ამაზე კარგი რა უნდა იყოს?

— რა სისულელეა! იმ ქალს არ იცნობს და ამიტომ ლაყბობს ასე. წარმოიდგინე თავი იმის მაგივრად — ვერაფერი შესაშური ამბავია.

— ის კი ამბობს, ვიცნობო!

— ვინ, შენი დაქალი?!

— ჰო! სანამ გათხოვდებოდა, თურმე ერთად მუშაობდნენ.

— ნუთუ ისიც ჰოსტესი იყო?

— ავრე გამოდის.

— ეშმაკმა დალახეროს! — შუბლზე მიირტყა ხელი მასუიამამ.

დილით, სანამ უბანში გამოცხადდებოდა, სიბაში წავიდა.

კარი სეცუკომ გაუღო. იგი რამდენჯერმე გამოეძახათ პოლიციაში, მაგრამ დაკითხვას სხვა თანამშრომელი აწარმოებდა.

მიუხედავად ამისა, სეცუკომ მაშინვე იცნო მასუიამა.

— თ, ჩვენ ერთმანეთს შეგხვედრივართ. დიდად გმადლობთ...

— თქვენთან შეკითხვა მაქვს, — მიმართა ძაძებარმა.

— რა?

— ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ კვიკო ტაკამორი იმ საღამოს სამუშაოზე არ მისულა, მაგრამ ეს გაცივების გამო როდი მოხდა, საქმე სხვა რამეში მდგომარეობს.

— მაგას ჩემთან რა კავშირი აქვს? — გულგრილად იკითხა სეცუკომ. მასუიამას იხტიბარი დაეკარგა. ამ ქალს ვერ გააბრიყვებ. მაგრამ მაინც უნდა სინჯოს.

— იმ საღამოს კვიკომ სახლიდან დაურეკა დაქალს და აცნობა, რომ თქვენ უნდა შეგხვედროდათ, და სთხოვა, თუ საჭირო იქნებოდა, რჩევა მიეცა მისთვის. მათი საუბრის დროს თქვენ ქვემოდან დაურეკეთ შიდა ტელეფონით და სთხოვეთ კარი გაეღო. კვიკომ შესძახა: „ის უკვე აქ არის. მერე დავამთავროთ!“ და ყურმილი დადო, დაქალმა ჩვენება მომცა.

სეცუკუ გაფითრდა. მაინც მოიკრიბა ძალ-ღონე, რომ წარმოეთქვა:

— ეგ არ არის მართალი!

— რატომ? რა საფუძველი გაქვთ...

— იმიტომ რომ არაერთი დაქალი მას არ ჰყავდა, არ შეიძლებოდა ჰყოლოდა.

— და ერთი მაინც გამოჩნდა! — შეეპასუხა მასუიამა.

ის უკვე მზად იყო ბოდიში მოეხადა. მეტიმეტად კადნიერი იყო მისი ექსპერიმენტ!

უეტრად სეცუკოს მზრები აუცახცახდა და ცრემლები წასკდა. მასუიამამ არ იცოდა, რა ექნა, იგი საკუთარ თვალს არ უჯერებდა.

— ოდესმე ეს მაინც გამჟღავნდებოდა, მაგრამ... ახეყრუფუფუცხო ხმით წაილაპარაკა სეცუკომ.

— მაშ რატომ.. — წამოსცდა მამებარს, მაგრამ ენაზე იკბინა „არა, ქალისას მაინც ვერაფერს გაიგებ“, — გადაწყვიტა გულში. „ასინი სულაც არ უიქრობენ ისე, როგორც კაცები. სხვა ახსნას ამას ვერ მოუძებნა“.

— დამელოდებით, სანამ მოვემზადები? — შეუკითხა სეცუკო. მასუიამამ თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა. ყელში რაღაც მოაწვა. დარწმუნებული იყო, რომ ქალი ცხოვრებასთან ანგარიშის გასასწორებლად გამოიყენებდა ამ დროს...

საინტიმო მაცუომტო

შემთხვევა ნიკოში

1

ამ შემთხვევის შესახებ მოკლე ცნობა დაიბეჭდა ჟურნალში „სისხლის სამართლის სამძებრო“, რომელსაც პოლიცია გამოსცემს. რა თქმა უნდა, ყოველ ნომერში აუცილებლად ათავსებდნენ მრავალრიცხოვან ცნობებს სისხლის სამართლის საქმეებზე, რომლებიც მეტწილად ნაკლებ საინტერესო იყო, მაგრამ რატომღაც სწორედ ამ შემთხვევამ მიიპყრო ჩემი ყურადღება.

სტატიის ავტორი იყო კ. — ტოკოს მახლობლად ერთ-ერთი პრეფექტურის სისხლის სამართლის სამძებროს საგამომიებო განყოფილების უფროსი.

შარშან გვიან შემოდგომაზე ჩემი ნაცნობის რეკომენდაციით მოლაპარაკება მქონდა კ.-სთან შეხვედრის შესახებ. სანამ მის პრეფექტურაში მოვხვდებოდი, საათზე ნაკლებს მოკუნდი ელექტრომატარებლით. შეხვედრა შედგა ძველ რესტორანში, სადაც აუნქარებლად ვსაუბრობდით და თან მდინარის თევზს შევექცეოდით.

იქვე, რესტორანთან ახლოს, გადაჭიმულიყო გუბურა, სადაც გარკვეულ საფასურად შეიძლებოდა თევზის დაჭერა. მას მუქ წყალში წამდაუწუმ გაიელვებდნენ ხოლმე ივასის პატარა ქარაცნები. გუბურაზე გადმოშვებულიყვნენ ხურმის ტოტები მოწითალო ნარინჯისფერი ნაყოფებით. ირგვლივ, სადამდეც თვალი გასწვდებოდა, გადაშლილიყო მოტიტვლებული მღუმარე ვაკე. აქა-იქ მდგარი სახლებით. მხოლოდ ხანდახან გაისმოდა ჩაკლილი ელექტრომატარებლის გრიალი.

კ. წითური და სქელლოყება ორმოცდახუთიოდე წლის კაცი იყო. — სულ იცინოდა და თეთრ კბილებს აჩენდა. ჩვენთან ერთად იჯდა ასე ოცდათხუთმეტი წლის მალალი, ხმელ-ხმელი კაცი.

— აი ვინ იყო დაკავებული უშუალოდ ამ საქმით. აბა, იოსიდა-კუნ, მო-

პევი — მიმართა კ.-მ თავის ხელქვეითს, რომელიც პოლიციის უფროსი ინსპექტორი გამოდგა.

უფიქრობ, მკითხველი მაპატიებს მცარულად გადახვევას. საერთოდ დიდი ხანია, რაც თავიანს ვცემ „მაძებარ ჰანსიტის უბის წიგნაკებს“, რომლებიც კედო თეატრის კალამს ეკუთვნის. ჰანსიტის მოთხრობებზე უკეთესი დეტექტიურ ჟანრში, მე მგონი, არაფერი წამიკათხავს. განსაკუთრებით მსმენელს მსმენელის ჰანსიტის აუჩქარებელი „დასაწყისები“. გადაუშლის რა მკითხველს უფრო ედოს დეტალურ სურათებს, ჰანსიტი განაგრძობს:

„როგორც ყოველთვის, ჩემი მოთხრობა შეიძლება გაჭიანურებული და დამქანცველი გეჩვენოთ, მაგრამ რა ვქნა, ასეთი ჩვეულება მაქვს. თქვენ შეგიძლიათ ერთ ყურში შეუშვათ და მეორეში გაუშვათ ჩემი ლაყბობა. ეს ამბავი კა კაუის ეპოქის² მეექვსე წლის მეორეხეტე თვის დასაწყისში მოხდა...“

მე მუდამ მშურდა ამ დიდებული მოთხრობის ოსტატობა...

და აი სწორედ გვიან შემოდგომაზე ვისხედით რესტორანის ცივ ოთახში. როგორ მინდოდა მიეფიცებოდით მაყალს. ისეთ გრძნობას განვიცდიდი, თითქოს ავერ ახლა დაიწყებდა თავის მოთხრობას ჰანსიტი. რა თქმა უნდა, საქმე შეეხებოდა სულ სხვა ამბავს, მაგრამ ჩხირებით რომ ვიღებდი თევზს, ასე მეგონა, თითქოს იმ საყვარელ ნაწარმოების ვითარებაში ვიძირებოდით.

ბ-ნ კ.-ს მითითებისთანავე უფროსმა ინსპექტორმა იოსიდამ თავისი საქაღალდე გახსნა...

— ეს მოხდა სიოვას³ ოცდამეათე წლის ზაფხულში. ჩვენი პრეფექტურის ერთ პატარა ქალაქში სამმა დამნაშავემ მოახდინა ძარცვა, რომელიც დამძიმებული იყო მკვლელობით. ჩემდამი დაქვემდებარებულ პოლიციის უბანში, რომელსაც კუკი ერქვა, შევქმენით ჯგუფი. ჯგუფი შეუდგა საქმეს, — ასე დაიწყო თხრობა იოსიდამ. — ბანდის მეთაური აღმოჩნდა არაი სირო — მეტად საშიში რეციდივისტი, რომლის ანგარიშზეც იყო ათზე მეტი ძარცვა, მკვლელობა და გაუპატიურება.

ბევრი მსმენია ამ საქმის შესახებ — ამაზე გაზეთებშიც იტყობინებოდნენ... გამოძიების დროს არაიმ აღიარა აგრეთვე ქალების სამი გაუპატიურება და მკვლელობა, ათი წლის წინათ რომ ჩაიდინა. ერთი მათგანი — მეძავი, რომელიც სინძიუკეში შეხვდა, არაიმ სიაკუძიის საქმენებლო მოედანზე შეიყვანა, მოკლა და მიწაში ჩაწარხა. ჩვენ ეს აღვიღო გავთხარეთ და მართლაც ვიპოვეთ ქალის გახრწნილი გვამი. საშინელი არამზადა!

ჩვენსავე პრეფექტურაში მან მოკლა ქალიშვილი და მისი უმცროსი ძმა, შემდეგ ცეცხლი წაუკიდა მათ სახლს და მიიძალა. დანაშაული ჩადენილ იქნა 1946 წელს და მრავალი წლის განმავლობაში გაუხსნელი რჩებოდა. მაგრამ 1955 წელს გაძარცვისას დაზარალებულს დაამახსოვრდა დამნაშავეთა ნიშნები და ჩვენება მოგვცა, რომ ერთი მათგანი ოდესღაც მათ ოჯახში მოჯამაგირედ

¹ კედო თეატრი (1872—1939) — დრამატურგი და მწერალი. უველანე უფრო ცნობილია მისი „მაძებარ ჰანსიტის უბის წიგნაკები“ („ჰანსიტი ტორიმონტიო“). ესაა 68-წლიანი დეტექტიური რომანი, რომლის მოთხრობა მოქმედი პირია ჩაფარი ჰანსიტი, რომელიც დამნაშავეებს ეჭერდა ედოში.

² კაუის ეპოქა — 1848—1854, კაუის მე-6 წელია 1853 წ.

³ სიოვას 30-ე წელი — 1955 წ.

მუშაობდა. ამ ძაფმა საბოლოოდ არაის დაპატიმრებამდე მიგვიყვანა. მაშინ კი აღიარა, რომ დისა და ძმის მკვლელობის ცოდვაც მას ეწვა კისერზე.

ერთი სიტყვით, არაა საშინელი არამზადა აღმოჩნდა და საკვირველი არაფერია, რომ მასზე ამდენს წერდნენ გაზეთებში. და აი ერთხელ ჩვენთან მოვიდა ბერი.

უფროსმა ინსპექტორმა იოსილამ დოკუმენტებიან სასტარო ბუღალტერი ჩაიხედა.

— აი აქ მიწერია მისი მონაცემები: რიუგენ კასიმა, ^{სტარო ბუღალტერი} ტაძრის წინამძღვარი ქალაქ ნიკკოში. ბერმა გვამცნო, რომ მაშინვე მოვიდა, როგორც კი გაზეთში წაიკითხა სტატია სირო არაის დანაშაულობათა შესახებ. და აი რა ჩვენება მოგვცა მან. 1946 წლის მაისში მისმა ნათესავმა გენიტი ასიომ, რომელსაც ქალაქში სასტუმრო და სამიკიტნო ჰქონდა ტიუგუსის კვარტალში, ნაჯახით დახოცა თავისი ოჯახის ხუთი წევრი, მერე სახლს ცეცხლი წაუკიდა და თავი მოიკლა. ადგილობრივმა პოლიციამ საქმე დახურა, მიიჩნია რა იგი „მთელი ოჯახის თვითმკვლელობად ოჯახის უფროსის იძულებით“. მაგრამ მას არამც და არამც არ შეუძლია დაეთანხმოს ასეთ დასკვნას. კარგად იცნობდა რა ასიოს, თავის ნათესავს, ტაძრის წინამძღვრის აზრით, მას არ შეეძლო ასეთი რამ მოემოქმედა. თავის დროზე მან არაერთხელ მიმართა პოლიციის უბანს თხოვნით, რომ დამატებითი გამოძიება ჩაეტარებინა, უთხრა, რომ ასიოს „თვითმკვლელობის“ არაერთარი საფუძველი არ ჰქონდა, რომ დანაშაული ამკარად ჩაიდინეს იმ ადამიანებმა, რომლებიც სახლში შეიჭრნენ. მით უმეტეს, რომ მათ ქალაქში სულ დადიოდა ხმა, ეს იყო განზრახ მკვლელობა და სახლის გადაწვაო. მაგრამ პოლიციაში არ მოუსმინეს ბერს და დაუინებით იცავდნენ თავის ვერსიას. ბერი დღემდე წყევლით იგონებს იმ დღეს, როცა პოლიციაში მოვიდა.

„პოლიციის მოქმედებით იმედგაცრუებული, შეუუღებო მასალების დამოუკიდებლად შეგროვებას, და ყოველი ახალი წვრილმანი მიმტკიცებდა რწმენას, რომ ეს თვითმკვლელობა არ იყო“, — თქვა ბერმა.

თავისი მოსაზრებები ქალაქში რომ ჩამოაყალიბა, განცხადება გაუგზავნა ოლქ უ.-ს პროკურატურას. მაგრამ არც პროკურატურას დაუკმაყოფილებია მისი თხოვნა ხელახლა გამოძიების შესახებ. ასე რომ, ათი წელია ვერა და ვერ დამშვიდებულა.

ახლა კი გაზეთებმა გამოაქვეყნეს ცნობა, რომ სირო არაიმ თავი დამნაშავედ ცნო და-ძმის მკვლელობასა და სახლის გადაწვაში — ესე იგი დანაშაულში, რომელიც ამავე ხანებში მოხდა ჩვენს პრეფექტურაში და აქამდე გაუხსნელი რჩებოდა. ამასთან ხერხი, რომელიც გამოიყენეს, ძალიან ჰგავს დანაშაულს ბერის ნათესავების წინააღმდეგ, და საქმეც ასევე „ადგილობრივ თვითმკვლელობად“ მიიჩნიეს და დახურეს. „ხომ არ იყო ეს არაის კიდევ ერთი დანაშაული?“ — ვარაუდი გამოთქვა ტაძრის წინამძღვარმა რიუგენ კასიმამ და გვთხოვა გამოძიება ჩავეტარებინა.

ძალიან ჯიუტი გამოდგა ბერი. მე ოლქის პროკურატურის არქივში წავედი და იქ აღმოვაჩინე ძველი დოკუმენტების შეკვრა, სადაც ვიპოვე წინამძღვრის მიერ პროკურატორის სახელზე დაწერილი განცხადება. გულდასმით წავიკითხე და მივხვდი, რომ ბერი მართალი იყო: ნიკკოში მომხდარი შემთხვევა სულაც არა ჰგავს ოჯახურ თვითმკვლელობას. სწორედ მაშინ გადაწყდა, რომ ამ საქმის თაობაზე დაგვეკითხა სირო არაი.

— მერე, ისევ არაი გამოდგა დამნაშავე? — ვკითხე უფროს ინსპექტორს.

— თავდაპირველად რაღაც ძალიან იოლად ცნო თავი დამნაშავედ. თქვა, რომ კორეელ კანეკოსთან ერთად ჩაიდინა დანაშაული. მაგრამ დაკითხვისას მის ჩვენებებში საექვო მომენტმა იჩინა თავი. ზოგი რამ, მაგალითად, ეძიებოდა დანაშაულის ადგილის აღწერას, მაგრამ იყო ბევრი განსხვავება. წერილობრივად დახუსტებასთან ერთად მის ჩვენებებში აღმოჩნდა სულ უფრო მეტი შეუსაბამობანი. ბოლოს და ბოლოს იმ დასკვნამდე მივედით, რომ მისი ჩვენებები ეტეობა, ცრუ იყო.

— კი მაგრამ, რატომ გააკეთა ეს?

— საკანში ხანგრძლივმა და ერთფეროვანმა ყოფნამ ფიზიკურად და სულაურად დაქანცა, — „გამოსაცოცხლებლად“ პირთან მორიგი ფინჯანი საკეპიტანა კ.-მ და საუბარში ჩაურია, — თანაც მის ანგარიშზე არიცხებოდა სამი ძარცვა მკვლელობითურთ და იცოდა, რომ მაინც სიკვდილით დასჯა ელოდა. ერთი სიტყვით, ჩვენთან წათამაშება მოიწადინა. თუმცა, უნდა ითქვას, ადრეც არაერთხელ წამოვგებულვართ დამნაშავეთა ანკესზე, რომლებსაც დასაკარგი არაფერი მქონდათ.

— ამ შემთხვევაში არაის დაკითხვას ამ საქმესთან დაკავშირებით აზრი არ მქონდა?

— რატომ, რაღაც სარგებლობა მოიტანა. ჩვენ მიება აღუძარიტ ტაძრის წინამძღვრის განცხადების მიხედვით, დაეიწყეთ იმ „ოჯახური თვითმკვლელობის“ საქმის გამოძიება, რომელიც ათი წლის წინათ მოხდა, და მაშინ მისი ჩვენებები გამოგვადგა. აი მომისმინეთ... — უფროსმა ინსპექტორმა იოსილამ ტუჩები გაიღო და გრძელი ამბის სათხრობად მოემზადა.

2

1946 წლის ოთხ მაისს, დაახლოებით დამის ოთხის ნახევარზე ტაკეძო სეკიას გაეღვიდა და ის იყო საპირფარეშოში უნდა გასულიყო, რომ მეზობლის — სასტუმროს პატრონის გენიტი ასიოს — სახლში გაიგონა რაღაც ხმაური და უმცროსი, თერთმეტი წლის ვაჟის გენიტის შეძახილები: „ბიძიკო, არ გინდა, არ გინდა!“

ტაკეძო სეკიამ იცოდა, რომ ბიჭუნას ხშირად ლანძღავდნენ იმის გამო, რომ ძილში იფსამდა, იფიქრა, ალბათ, ახლაც ამგვარი რამ მოხდაო, და მშვიდად დაიძინა.

მალე მის შემდეგ გაეღვიდა სეკიას თხუთმეტი წლის ვაჟს და ისიც საპირფარეშოში გავიდა. ფანჯარაში რომ გაიხედა, დაინახა: აბანო ცეცხლის აღში იყო გახვეული. შეეშინდა და მაშინვე მამა გააღვიდა.

1 მეორე მსოფლიო ომის დროს ათასობით კორეელი გადმოყვანილი იყო კორეიდან, იაპონიის ყოფილი კოლონიიდან, იაპონიის კუნძულებზე და გამოიყენებოდნენ იმულებით სამუშაოებზე უმცირეს პირობებში — ქვანახშირის მალაროებში, რკინიგზის მშენებლობაზე, სამხედრო საწარმოებში. კორეელები ცხოვრობდნენ ჭურღნულებში, განიცდიდნენ ათასნაირ შეურაცხყოფას და დისკრიმინაციას. მაგრამ იაპონელი ხელისუფალნი აძლევდნენ კორეელებს იაპონურ გვარებს და სახელებს. რიცხვით ისინი ბევრნი არ იყვნენ, ამიტომ განსაკუთრებულ სიძნელეს არ წარმოადგენდა მათი ეროვნების გარკვევა. განსაკუთრებით ხშირად იხმარებოდა იერთგლიფი „კანე“ (ფული), რომელიც შეესაბამებოდა კორეულ გვარს „კიმ“.

სეკია ეზოში გამოვარდა. კარის ღრიჭოდან შეამჩნია, რომ სასტუმრო „ასი-
ოიას“ ცეცხლი მოსდებოდა. „ხანძარი! ხანძარი!“ — შესძახა სეკიამ და მოჰყ-
ვა სასტუმროს გარეთა კარზე ბრაზუნს, მაგრამ კარი არავის გაუღია. შემინული
ტიხრიდან მაინც შეძლო შეეღწია, მაგრამ უკვე ვიანი იყო — სასტუმრო ცეცხ-
ლის ზღვას დაშვანებოდა.

სეკია დიდის ვაი-ვაგლახით გამოძვრა გარეთ და შეუდგა ხანძრის ჩაქრობას.

საბედნიეროდ, ცეცხლი სასტუმროს არ გასცდენია. მაგრამ მისი ჩაქრობის
შემდეგ ნახანძრალზე იპოვეს ექვსი ადამიანის დამწვარი გვაძი. ცეცხლში დაა-
ღუბა მთელი ოჯახი — გენიტი ასიო, ორმოცდაცხრა წლის, მისი ცოლი სუგი,
ორმოცდათორი წლის, თერთმეტი წლის ვაჟი ბუნიტი, ორი ქალიშვილი: რვა
წლის იოსიკო და ხუთი წლის ფუმიკო, აგრეთვე სიმამრი — სუგის მამა — იოსი-
ვატო კავასაკი, სამოცდათორმეტი წლის.

„ასიოიას“ ას ორმოცამდე კვადრატული მეტრი ფართობის ორსართული-
ანი ხის შენობა იდგა ვხანზე, რომელიც მიემართებოდა ნიკკოს სადგურ აკვიტი-
დაირადან ტიუძენძის ტბის მახლობელი იუნოტოს ცხელი წყაროებისაკენ. მისგან
დასავლეთით ას მეტრზე მდებარეობდა სინტოისტური ტაძარი ფუტარასანი.
ფასადით სასტუმრო მიქცეული იყო სამხრეთით ტიუძენძის ტბისკენ; გაივლი-
დი თუ არა ოცდაათი მეტრს ჩრდილოეთით, იწყებოდა ტყე, რომლის სიღ-
რმეში ყაყისფერი ლოდით აღმართულიყო ნანტასანის მთა. ეს იყო ყველაზე
უფრო თვალწარმტაც ადგილები. სასტუმროს ორივე მხარეს გადაშლილიყო
ათასნაირი რესტორნები და სასუვენირო ღუქნები.

როცა ხანძარი ჩააქრეს, შედარებით დიდ ოთახში, რომელიც კიბის ქვეშ
მდებარეობდა და საწოლი ოთახი უნდა ყოფილიყო, იპოვეს თავით აღმოსავლეთ-
თისკენ მიქცეული სუგის, იოსიკოს, თერთმეტი ოჯახის უფროსის გენიტის გვა-
ძები; უფრო პატარა ოთახში იწვა ყველაზე უმცროსი გოგონა — ფუმიკო, ვაჟი
ბუნიტი, მეორე სართულის პატარა ოთახში კი ეგდო იოსიტარო კავასაკის გვა-
ძი. ყველანი ისე დამწვარიყვნენ, საზარელ სანახაობას წარმოადგენდნენ.

დამწვრობის გარდა, ექვსივეს ღრმა ჭრილობები აჩნდა. გენიტის ერთ-ერთ-
თი ჭრილობა ექვსიოდე სანტიმეტრზე ნამგალა მთვარესავით გასდევდა თხე-
მიდან კეფამდე. ჭრილობები აღმოაჩნდა კისრის მარჯვენა მხარეს და მარცხენა
წინამხარზე. ისინი მიყენებული იყო რაღაც ბასრი საგნით. სუგის კისრის მარ-
ჯვენა მხარე ჰქონდა გახვრეტილი ოთხი სანტიმეტრის დიამეტრით. ბუნიტისა და
იოსიკოს გვაძები ისე იყო დანახშირებული, ვერც იცნობდა კაცი, თუმცა ძნელი
მისახვედრი არ იყო, რომ ვერც ისინი გაექცეოდნენ თავიანთი მშობლების ხვედრს.
ფუმიკოს თხემზე ორ ადგილას გაარჩევდით ნაჩვევტ ჭრილობას. მოხუცი
იოსიტაროს გვაძი ძალზე იყო დამწვარი, მაგრამ ალბათ არც ის იყო დაღუპული
ცეცხლისაგან.

მრავალრიცხოვანი ჭრილობების, ლეიბებზე დამჩნეული სისხლისა და
გვაძების მდგომარეობით განვსაზღვრეთ, რომ მთელი ოჯახის სიკვდილის მი-
ზეზი ყოფილა არა ხანძარი, არამედ მანამდე ბასრი საგნით მიყენებული ჭრი-
ლობები. დასკვნა დაადასტურა ორმა სამხილმა — ხორცის ასაქნელმა დანებმა —
დიდმა და პატარამ, რომლებიც ბალიშქვეშ ვიპოვეთ.

ამგვარად, ნიკკოს პოლიცია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გენიტი ასიომ და-
ნით დახოცა ოჯახის წევრები და ცეცხლი წაუკიდა სახლს სადაც სააბაზანო

თახის ახლოს, რის შემდეგაც სამზარეულო დანით გამოიღაძრა ყელი და ასე მოიკლა თავი. ასეთი ოჯახური თვითმკვლელობის ორგანიზებაში ეჭვმიტანილად გამოვაცხადეთ და იმავე წლის ათ ივლისს მისი საქმე გადაეგზავნეთ უ.-ს ოლქის პროკურატურაში. ოქმებში ჩაწერილ იქნა, რომ „იმ დამეს სასტუმროში მღმურები არ ყოფილან. გულფიცხმა ასიომ ცოლთან ჩხუბის შემდეგ ოჯახის წველა წვერი დახოცა, გადაწვა სახლი და თავი მოიკლა“.

მაგრამ აი რა იყო საეჭვო — ნიკკოში მომხდარ შემთხვევამდე ^{ეროვნულმა} ^{გენერალმა} ^{ხიფათულად} ადრე რეორგანიზაცია უყვეს სახანძრო რაზმს, და ქალაქის გამგეობამ ბატონ უტოს — მეექვსე რაზმის ბრანდმაისტერს — გამოუწერა რუკას ოთხმოცი იენის¹ ჩეკი, ქალაქ ასიკაგის ბანკის მეშვეობით რომ გადაეხადათ მეხანძრეებისათვის კომპენსაციის სახით, რადგან ჩეკი წინასწარ იქნა გაცემული, როცა ბანკის ანბრები გაყინული იყო, ბრანდმაისტერმა რაღაც მოსაზრებებით ჩეკი დროებით შესანახად გადასცა ასიოს.

ტრაგედიის შემდეგ ბრანდმაისტერმა გადაწყვიტა, ჩეკი, ალბათ, დაიწვალ. თუ ივლისს მან დუბლიკატის მისაღებად მიაკითხა ასიკაგის ბანკს. უნდა გენახათ მისი გაოცება, როცა შეიტყო, რომ ცხრამეტ ივლისს მისი ჩეკით ბანკ „მიცუბისის“ ჰანდის ფილიალში, ტოკიოს ომორის რაიონში რომ მდებარეობს, ფული უკვე მიღებული იყო. ბრანდმაისტერმა მაშინვე განაცხადა ეს თავისი ქალაქის ნიკკოს პოლიციაში, მაგრამ იქ ურჩიეს განუმეზულიყო. უკვე შემდეგ, სექტემბერში, პოლიციის უბნის უფროსმა ინტერვიუში განაცხადა, რომ, მისი აზრით, ფული ჩეკით კიდევ უფრო ადრე მიითვისა სასტუმროს პატრონმა გენიტი ასიომ.

რიუენმის ტაძრის წინამძღვარი რიუგენ კასიმა, როგორც უკვე ვიცით, აღშფოთებული იყო ადგილობრივი პოლიციის გადაწყვეტილებით — დაეხურათ საქმე. იგი ეწყარებოდა იმას, რომ გენიტი ასიოს, მის ცოლისძმას, უბრალოდ არც კაცის მოკვლა შეეძლო და არც სახლის დაწვა. ფიცხი კაცი კი იყო, მაგრამ, ცხადია, არა იმდენად, რომ ცოლქმრულ ჩხუბში ყოველგვარი წონასწორობა დაეკარგა და დანაშაული ჩაედინა. წინამძღვარს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ნიკკოს პოლიცია აშკარად მცდარ გზას დაადგა, როცა ივარაუდა, რომ საქმე ოჯახურ თვითმკვლელობას ეხებოდა. წინასწარ შექმნილი აზრი ხომ ცუდი მრჩეველია!

და აი ბერი თვითონ შეუდგა ინფორმაციის შეგროვებას, არაერთხელ ცდილა დაეყოლიებინა პოლიციის უფროსი, რათა დამატებითი გამოძიება ჩაეტარებინა. მაგრამ მან თითი თითს არ დააკარა და კვლავ ამტკიცებდა, რომ ყოველგვარი აუცილებელი უკვე გაკეთებული იყო. უფრო მეტიც, სექტემბრის გაზეთებში გამოქვეყნდა მისი ინტერვიუ, რომელშიც ამტკიცებდა, რომ გენიტი ასიოს, როგორც ეტყობა, სხვისი ჩეკით აეღო ფული. ვინც შეძლებულად მცხოვრებ ასიოს ოდნავ მაინც იცნობდა, ძნელად დაიჯერებდა, რომ იგი ამას იკადრებდა. ბუნებრივია, რიუგენ კასიმა გულგრილი არ დარჩენილა პოლიციის მოქმედების მიმართ, რომელმაც არათუ ბრალი დასდო მის ნათესავს, მკვლელობასა და სახლის გადაწვაში, არამედ მფლანგველადაც კი გამოიყვანა.

აღშფოთებული ბერი ნიკკოდან დედაქალაქში გაემგზავრა, ბანკ „მიცუბისის“ ფილიალში, სადაც თარსი ჩეკი იყო განადგებული. ბანკში განუცხადეს, რომ

¹ ონის შემდგომ პირველ წლებში ეს საქმეოდ სოლიდური თანხა იყო.

ომორის უბნის პოლიციელი უკვე ირკვევდა ამ ჩეკის საქმეს, ასე რომ, სრული ინფორმაცია სწორედ იქ შეიძლებოდა მიეღო. ბერი, ბუნებრივია, ომორის უბანში წავიდა და საგამომიებო განყოფილების უფროსს შეხვდა.

აი რა უამბო განყოფილების უფროსმა:

„ჩეკის საქმე გამოიძია ნიკოლან ჩამოსულმა პოლიციელმა. ჩეკზე იყო კორეული ჩონ ჩე იონის ხელმოწერა. ეს კაცი ცხოვრობდა მისამართზე: ომორის რაიონი, ომორის ქუჩა, სახლი №...“ ამ მისამართზე მასულ პოლიციელს ჩონი შინ არ დაუხვდა. ჩონის ცოლმა უთხრა, რომ მისმა ქმარმა ფული მიიღო კიმ ჰაკუს თხოვნით, რომელიც ცხოვრობს ქალაქ ხატიოდის რომელიღაც რაიონში. მან სხვა არაფერი იცოდა. ჩვენმა ნიკოელმა კოლეგამ გვთხოვა, თუ კიმ ჰაკუ გამოჩნდებოდა, გვეცნობებინა. ეს იყო და ეს. ჩეკმა, როგორც ჩანს, რამდენიმე ხელში გაიარა. მაგრამ რაკი მაინც გამოჩნდა, მაშასადამე, საკმაოდ დამაჯერებელი საფუძველია ვიფიქროთ, რომ გენიტი ასით მოკლულ იქნა. ასე რომ ნიკოს პოლიციის უბანს უნდა მიემართა პრეფექტურის პოლიციის მეშვეობით პოლიციის სამმართველოში და მასთან ერთად ჩაეტარებინა დამატებითი გამოძიება. მაშინ მკვლელის დაპატიმრებაც არ აღმოჩნდებოდა ასე ძნელი“.

ამ განმარტებამ, ტაძრის წინამძღვარს ომორიში რომ მისცეს, გაამხნევა იგი. მან მაშინვე ყველაფერი აცნობა ნიკოს პოლიციას, მაგრამ იქაურმა უფროსმა უკმაყოფილოდ ჩაიქნია ხელი და განაცხადა, ჩეკის უერსიაც განვიხილოთ, ისე რომ ყოვლად უსაფუძველოა საეჭვოდ მივიჩნიოთ ის ამბავი, თითქოს ასიომ ჩეკი მიითვისა და ვილაცის მიერ გამოგზავნილ პირს გადასცაო.

3

ათი წლის შემდეგ, 1955 წლის აგვისტოს ცხელ დღეს, რიუგენ კასიმა ნიკოლან ჩამოვიდა კუკის პოლიციის უბანში, სადაც შემდგარი იყო სირო არაის საქმის გამოძიების ჯგუფი, და შეხვდა კ.-ს, რომელც მაშინ პრეფექტურის პოლიციის საგამომიებო განყოფილების უფროსად მუშაობდა.

ტაძრის წინამძღვარმა გაოფლილი შუბლის წმენდით დაწვრილებით ჩამოაყალიბა თავისი მოსაზრებანი ცოლისძმის საქმეზე, რომელიც ათი წლის წინათ დახურეს, როგორც ოჯახური თვითმკვლელობა, და დასძინა, როგორც ჩანს, ამ საქმეში პატიმრობაში მყოფ სირო არაის ურევია ხელი, რადგან, გაზუთების მიხედვით, ორივე დანაშაულის ხელწერა ძალიან ჰგავს ერთმანეთს. კ.-ს, რომელმაც გულდასმით მოუსმინა ბერს, არ შეეძლო მის ზოგიერთ საბუთს არ დასთანხმებოდა.

ბერის წასვლის შემდეგ კ.-მ პროკურატურიდან გამოძიების მასალები გამოითხოვა. საქალაქის ბოლოში იპოვა რიუგენ კასიმას განცხადება პროკურორის სახელზე – სწორედ ის დოკუმენტი, რომელიც ბერმა ათი წლის წინათ გაგზავნა ოლქის პროკურატურაში, თავისი შინაარსით იგი მთლიანად ემთხვეოდა იმას, რაც ბერმა უამბო. განსაკუთრებული ყურადღება დოკუმენტში გამახვილებული იყო საეჭვო გარემოებებზე:

1) ვიცოდი რა გენიტისა და მისი ცოლის სუგის ხასიათი, „ოჯახის ერთობლივი თვითმკვლელობა მისი უფროსის დაძალებით“ სავსებით დაუჯერებლად მიმაჩნია. კეფაზე გენიტის აღმოჩნდა ჭრილობა, რომელსაც თვითონ ვერ მიაყენებდა თავის თავს.

2) ნიკოს პოლიციამ ამტკიცებს, რომ იმ დამეს „ასიოიაში“ მდგომარეობა არ ყოფილან. მაგრამ მეზობლად მცხოვრებმა ადამიანებმა მეორე ხართულზე, შუა ოთახში, რომლის ფანჯრები ქუჩას გადაჰყურებდა, დაინახეს სინათლე. იმ წლებში ელექტრონათურები საკმარისი არ იყო, და მდგომარეობს საამოვნებით მოქმედებდათ თვითონ. ასე რომ „ასიოიის“ პატრონები სტუმრების წახელის შემდეგ მაშინვე აძრობდნენ ნათურებს. ამიტომ დაცარიელებულ ნომრებში ბნელდება ხოლმე. ხოლო რაკი იმ დამეს ერთ-ერთ ოთახში სინათლე ენთო, მდგომარეობა ცხოვრობდნენ. გარდა ამისა, ნახანძრალზე იპოვეს სტუმრებისთვის კანკუთხილი ლეიბი.

3) გვამების ახლოს ნახეს ორი დანა სისხლის ნაკვალევით. ერთი დანა იყო სამხარეულო, ხორცის საჭრელი, მეორე — მოკლეპირიანი მომრგვალებული ბოლოთი, უტარო, ზედ დახვეული ჩვრით, — ასეთი დანა სასტუმრო „ასიოიაში“ მანამდე არ უნახავთ.

4) რადგან ასიოს ოჯახიდან გარეთ არავინ გამოვარდნილა, მეხანძრეებმა სამართლიანად გადაწყვიტეს, რომ ყველანი ცეცხლმოღებულ სახლში იყვნენ. ამიტომ უწინარეს ყოვლისა მეხანძრეებმა სასტუმროს წყალი მიასხეს. ამის შედეგად კარალებში შენახული ტანისამოსი ცეცხლისგან სრულიად არ დაზიანებულა.

ასიოს ცოლს სუგის ხომ ტანისამოსში ფულის შენახვა სჩვეოდა. იქ კი ზურდა ფულიც ვერ იპოვეს. როცა კასიმას მეუღლე სუგის ესტუმრა, ამ უკანასკნელმა აჩვენა ფული, რომელსაც კარადაში ინახავდა. სუგის სიტყვით, მას მოეგროვებინა ასი იენი სულ ვერცხლის მონეტებით, ორმოცდაათ-ორმოცდაათი სენი.¹ ტრაგედიის დროისათვის ფული კიდევ უფრო მეტი უნდა ყოფილიყო. დამნაშავეებმა ამკარად იცოდნენ ამ ფულის ამბავი და მოიპარეს.

5) ხანძრამდე რამდენიმე დღის წინ ბევრმა შენიშნა საეჭვო ტიპები, რომლებიც სასტუმროს წინ დაეხეტებოდნენ. ვილაცას გაახსენდა, რომ სამ მაისს საღამოს ისინი სამიკიტნოში შევიდნენ და იქ სუამდნენ. იმავე საღამოს რვა საათზე იქ შეგროვდა ხუთი-ექვსი კაცი. საკმაოდ საეჭვო ფაქტია, რადგან ვერავითარი ტრანსპორტით ნიკომდე ამ დროს ვერ ჩააღწევ. არც იუმბოტოს ცხელ წყაროებამდე დაღის რამე საღამოს...

6) მეზობლად მცხოვრებლები ერთმანეთში ამბობდნენ, რომ „ასიოიაში“ მოხდა ნამდვილი მკვლელობა და არა ოჯახური დრამა.

7) ჩეკის ეპიზოდი. საყურადღებოა აზრი, რომელიც გამოთქვა ტოკიოს ომორის უბნის საგამომიებო განყოფილების უფროსმა.

ბერის განცხადებას რომ გაეცნო. კ. შეუდგა გამოძიების იმ მასალების შესწავლას, რომელიც ნიკოს პოლიციამ უ.—ოლქის პროკურატურაში წარადგინა. განსაცვიფრებელი იყო, რომ არავინ ცდილა აეხსნა ფაქტები, რომლებიც კასიმას თავის განცხადებაში ჰქონდა მოყვანილი. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ასიოს ნათესავეები და მეზობლები შემთხვევის ადგილის დათვალიერებაში მონაწილეობდნენ და გადარჩენილ ნივთებს აწვობდნენ, გამოძიებას არც კი მიაფიქრდა, რომ ისინი დაეკითხა. კ.-სთვის ცხადი შეიქნა, რომ ბერი მართა-

¹ ს ე ნ ი — ფულის ერთეული, ერთი ნეასედი იენი, მიმოქცევაში იყო მეორე მსოფლიო ომამდე. შემდგომ გაუქმდა ინფლაციის გამო.

ლი იყო, როცა თქვა, გამოძიება თავდაპირველად ოჯახურ თვითმკვლელობის ვერსიიდან გამოდიოდა და თავის ხანს ჯიუტად იცავდაო.

კ-მ გამოძახა იოსიდა, რომელიც მაშინ უბრალო ინსპექტორად მუშაობდა, და აჩვენა როგორც ბერის განცხადება, ისე ნიკოს პოლიციის დირექტორს მასალა, —

— პა, როგორ მოგწონს ყოველივე ეს? — დაინტერესდა იგი.

— აქ დაშვებულია აშკარა შეცდომა, მიკერძოებულია წინამძღვარს ყველა საფუძველი ჰქონდა, რომ ასე მიეჩნია. *სინამდვილე*

— უკებ პოლიციის უფროსმა მაინც იგრძნო, რომ ცდება, მაგრამ მუნდარის ღირსებამ უფლება არ მისცა შეცდომა ეღიარებინა. ასეც ხდება... შეხედე, როგორ ასაბუთებს პროკურორის წინაშე გადაწყვეტილებას, რათა შეწყვიტოს საქმე — საბუთები კი მცირეა. ხოლო ყველაფერი, რაც ამ გადაწყვეტილებას ეწინააღმდეგება, როგორც ჩანს, საქმიდან ამოღებულია.

— წინამძღვარი ირწმუნება, დანაშაულის ჩადენის ხერხი ძალიან ჰგავს იმას, რომლითაც მოქმედებდა სირო არაი. უნდა მოვხიზოთ ეს არაი. მოქიდე ხელს მის საქმეს?

— უნდა ვცადო! — უფიქრელად მიუგო ინსპექტორმა იოსიდამ.

ძალე გამოირკვა, რომ არაი არაერთხელ ყოფილა ნიკოში. „აშკარად ის არის!“ — გადაწყვიტეს პოლიციაში და შეუდგნენ სხვა საქმეზე დაპატიმრებული არაის დაკითხვას. არაი მყისვე გამოტყდა...

არაის ჩვენებები ზოგადად ემთხვეოდა პროკურატურიდან გამოთხოვილი ოქმების მონაცემებს, — საკმაოდ ზუსტად დაასახელა დანაშაულის ადგილი, დაზარალებულთა პროფესია, მოკლულთა რაოდენობა, დანაშაულის ჩადენის ხერხი — სამზარეულო დანის თავში ჩართვმა. მაგრამ ამასთანავე არაის ჩვენებებში ძალიან ბევრი იყო საეჭვო — მას სიტყვაც არ უთქვამს სახლისათვის ცეცხლის წაკიდებაზე, დანაშაულის დროსაც სხვადასხვაგვარად ასახელებდა, ლაპარაკობდა დანაშაულის მხოლოდ ერთ იარაღზე — დანა კი ორა იყო. მეზობელ სეკიას მოწმობით, მან ხანძრამდე ცოტა ხნით ადრე საღვაც საპირფარეშოსთან გაიგონა სასტუმროს პატრონის მცირეწლოვანი ვაჟის ბუნიტის შეძახილები და გაქცეულთა ფეხის ხმა, — არაის კი ამაზე სიტყვაც არ დაუძრავს. ბოლოს ეჭვმიტანილი ამტკიცებდა, რომ ასიოს ოჯახის ექვსივე წევრს ერთ ოთახში ეძინა, ეს კი აშკარად არ შეესაბამებოდა სინამდვილეს.

როცა ინსპექტორმა იოსიდამ ძალა დაატახა არაის, მან აღიარა:

— ჩემთან იყო ერთი ჩემიანი, კორეელი, გვარად კანეკო. ნაკაპავარას რაიონში — ქალაქ უცუნომიაში — იგი საქონელს კლავდა, არაყს ხდიდა... სწორედ იმან მიმანიშნა სასტუმროზე. ორი დღის შემდეგ კი ნაკაპავარაში შევხვდი. მითხრა, ტოკიოში წასვლას ვაპირებო. მერე აღარ მინახავს.

დაკითხვა კიდევ რამდენიმე დღეს გრძელდებოდა, და არაი სულ ცვლიდა და ცვლიდა თავის ჩვენებებს. ლაპარაკობდა გაურკვეველად, იფარგლებოდა ზოგადი ფრაზებით. ბოლოს კი დაიწინა: „ათასი წელი გავიდა, წვრილმანები აღარ მახსოვს“.

არაის აღიარება გენიტი ასიოს საქმესთან დაკავშირებით ისევე არადამაჯერებელი იყო, როგორც მეძავის მკვლელობის შემთხვევაში. დაიწყეს მისი თანამონაწილის კანეკოს ძებნა. მაგრამ ასეთი გვარის მქონე კორეელს არაის მიერ დასახელებულ უცუნომიის რაიონში, ყოველ შემთხვევაში 1946 წლიდან არ უცხოვრია.

არას ჩვენებებში თანდათან უფრო გვეპარებოდა ეჭვი, მაგრამ თვითონ კვლავ დაჟინებით ამტკიცებდა, რომ დანაშაული კანკისთან ერთად ჩაიდინა, აშკარა იყო, რომ დაკითხვის გაგრძელება გამოძიებას წინ ვერ წასწევდა. უნდა დავლოდებოდით, როდის ინებებდა რამის თქმას. ნოემბრის შუა რიცხვებში არაი წინასწარი პატიმრობის სიუნიდან ტოლიტამის ციხეში გადაიყვანეს.

ამასობაში ნიკოში აცივდა, მიიწურა ნეკერჩხლის წითელი ფიჭოვანული ღრო, ტურისტთა რიცხვი საგრძნობლად შემცირდა... ბიზლიჩიშვილი

— რა გაეწყობა, უნდა ვეძებოთ მისი თანამონაწილე კანკისი, — უთხრა კ.-მ იოსიდას. — როგორც ჩანს, უბრალო საქმე არ გახლავთ. — ინსპექტორმა თავი დააქნია. ამ დღიდან გამოძიების ჯგუფი პირველი განყოფილების განკარგულებაში გადავიდა.

4

რატომ უგულვებელყოფდა ნიკოს პოლიცია ასე დაჟინებით რიუკუნ კასიმას განცხადებას? და შეიძლებოდა თუ არა მისი ჩიობა? საერთოდ ნებისმიერი დასკვნის გამოტანა აუცილებელია წინდახედულად, განმცხადებლის პიროვნებისა და მომხდარის ხასიათის, აგრეთვე მიუღი რიგი სხვა გარემოებების გათვალისწინებით. მოცემულ შემთხვევაში განცხადება მომდინარეობდა დახარალებულის ნათესავისგან, ხოლო მისი შინაარსი კონკრეტული ხასიათისა იყო და ჩიობას იმსახურებდა. მაშ რატომ უარყვეს იგი?

უნდა ვივარაუდოთ, რომ მაშინდელ უფროსს, რომელმაც გარკვეული დასკვნა გამოიტანა, აღარ უნდოდა მისი უარყოფა. სავსებით შესაძლებელია, გამოძიების მსვლელობისას იგი მიხვდა, რომ მცდარი გზით მდიოდა, მაგრამ პრესტიჟის მოსაზრებანი მისთვის ჭეშმარიტებაზე მალლა აღმოჩნდნენ. ალბათ, არ სურდა, რომ ხელქვეითთა თვალში მისი ავტორიტეტი დაცემულიყო.

ნიკოს პოლიციის უფროსი, რომელიც ისწრაფოდა თავის უცდომლობაში დაერწმუნებინა ყველა, გამალებით აგროვებდა საჭირო მტკიცებებს, ხოლო სხვა ყველაფერს, რაც მის ვერსიას ეწინააღმდეგებოდა, გადაჭრით უარყოფდა.

საოლქო პროკურატურას ხომ თითოც არ გაუნძრევია, რათა გზა მიეცა რიუკუნ კასიმას განცხადებისათვის, და პოლიციის უბნის ანგარიში ირწმუნა. ადვილი წარმოსადგენია, რა აგდებულად კითხულობდა პროკურორი ბერის ურცელ განცხადებას — თუკი, რა თქმა უნდა, კიბულობდა.

ეტყობა, არც ნიკოს პოლიციის უფროსს უნდოდა მაინცდამაინც შეეწუხებინა თავი. დიახაც არ სურდა წამოეწყო ახალი, ფრიად სამძიმო გამოძიება. საქმე დაიხურა, როგორც ოჯახური ავითმკვლელობა, ამ დროს კი გამოჩნდა კვლავ მოყვარული მამებარი, და ახლა თავიდან დაიწყო ყველაფერი! ეს ხომ აშკარა შელახვაა პოლიციის პრესტიჟისა! რა თქმა უნდა, იგი მტკიცედ დადგა საუწყებო ღირსების სადარაჯოზე. თუმცა, ის კაცი უკვე აღარ არის ცოცხალი...

მაშ ასე, საგამოძიებო განყოფილების უფროსმა გადაწყვიტა ათი წლის წინანდელი ამბების ხელახლა გამოძიებას შესდგომოდა. ხელმძღვანელობა თვითონ იკისრა, უშუალო შესრულება კი ინსპექტორ იოსიდასა და სერჟანტ ფუკუსიმას დაავალა. ინსპექტორი ახალგაზრდა იყო, მაშინ როცა ორმოცდაათი წლის სერჟანტი ტაკაპირა ფუკუსიმა გამოცდილ მუშაკად ითვლებოდა.

მას შემდეგ, რაც არაი ტოლიტამის ციხეში გადაიყვანეს, მამებრები შეუდგ-

ნენ მის მიერ დასახლებული თანამონაწილის, გვარად კანეკოს ძებნას. ისინი ყოველდღე აწარმოებდნენ იმ პრეფექტურის მოსახლეობის გამოკითხვას. მაგრამ კანეკოს კვალი არა და არ ჩანდა. იმავე დასახლებულ პუნქტში, რომელიც არაბ ახსენა, 1946 წელს სკოლა არ იქნებოდა არც ერთ კორეულს. სწრაფად გაფრინდა თვე.

— ნუთუ სირი არაბი მოიგონა კანეკოს ამბავი? — უკვირდნენ კ. და ინსპექტორი იოსიდა.

— არა მგონია, რომ არაბის დაუფიქრებლად ელაპარაკა, — თქვა საგამომიებო განყოფილების გამგემ. — რა თქმა უნდა, მის ჩვენებებში ბევრი რამ არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. მაგრამ არის დამოხვევებიც. შესაძლოა მას არც მიუღია მონაწილეობა ამ დანაშაულში, მაგრამ იცნობს კანეკოს, რომელიც არის კიდევ ნამდვილი დამნაშავე.

— მე მგონია, არაი რაღაცას მალავს. ეგებ ღირს ხელახლა დაკითხოთ იგი? — შესთავაზა ინსპექტორმა იოსიდამ.

— ეფიქრობ, ამაო იქნება, — მიუგო შეფმა. — არაი ახლა საპატიმროშია, თავის უამრავ დანაშაულზე შემუარებს წერს. ალბათ, ნიკკოზეც დაწერს, მაგრამ მას მაინცდამაინც არ ვენდობი. ახალს არაფერს იტყვის, თანაც მან არ იცის, რას აკეთებს ახლა კანეკო. მაშ, მოდი ჯერ ხელს ნუ ვახლებთ არაბის და კანეკოს ძებნა განვაგრძოთ.

ამ სიტყვებით დაშორდნენ კ. დიციელები ერთმანეთს. შეთანხმებით კი შეთანხმდნენ, მაგრამ სინამდვილეში კანეკოს პოვნა უფრო ძნელი იყო, ვიდრე ნებისა თვის ზვინში: კანეკოს რაიმე ნიშნებისა და მისი ნამდვილი სახელის ცოდნის გარეშე. კორეელები რომლებიც თავისთავს კანეკოს უწოდებენ, იაპონიაში ათიათასობით არიან. დღე დღეს მისდევდა, გამოძიება კი თითქოს ჩახში მოექცა.

და აი ერთხელ კ. გამოყოფილი დიმილით შეხვდა სამმართველოში მოსულ ინსპექტორ იოსიდას.

— მომისმანე, ერთი შესანიშნავი იდეა მაქვს!

— მაინც რა!

— აბა შეხედე!

შეფმა საბუთებიანი საქალაქად გაუწოდა. მასში იყო რიუგენ კასიმას მიერ ათი წლის წინათ დაწერილი განცხადება. კ.-მ ფრჩხილით გახაზა ის ადგილი, სადაც ბერი აღწერდა თავის საუბარს ჩეკზე რომლის უბნის საგამომიებო განყოფილების უფროსთან:

„...განყოფილებას უფროსის სიტყვით, ადამიანმა, რომელმაც პანელის ბანკ „მიცუბისის“ განყოფილებაში წარადგინა ჩეკი, ჩონ ჩე იონად დაასახელა თავი. ხოლო უკანასკნელმა ჩეკი მაილი ვინმე კანესიროსგან, რომელიც ცხოვრობს ქალაქ ხატიოძის რაიონში...“

ბერს აკურატული ხელი ჰქონოდა, რადგან ყოველი იეროგლიფი საოცრად მკაფიოდ იყო გამოყვანილი.

— ხომ არ გეჩვენება, რომ კანესირო ეს მისი კორეული გვარია, იაპონურად კი თავის თავს კანეკოს უწოდებს? — თვალები გაუბრწყინდა კ.-ს.

— კანეკო და კანესირო? ემშაკმა წაადლოს! მართლაც ჰგავს.

თუმცა, როდესაც კორეელები იაპონურ გვარს ირქმევენ, ისინი უფრო ხშირად

ამჯერად საქმე უნდა მოგვარებულიყო — ცნობები ასე თუ ისე კონკრეტული ხასიათისა იყო. პოლიციელები ტოკიოს სენძიუს კვარტალისაკენ გაემართნენ და იკითხეს „კორეელი, რომელიც 1949-50 წლებში ოთხი მილის კვარტალში ამზადებდა საფუარს“. მათ ადგილობრივი პოლიციაც დაეხმარა. ამის შედეგად მიიღეს მონაცემები კანეკოს შესახებ: „ადრინდელი საცხოვრებელი ადგილი — ტოკიო, ადატას რაიონი, სენძიუს კვარტალი... კანეკო, იგივე ინ ტონ ჰანი — შინვე შეამოწმეს კარტოთეკის მიხედვით უცხოელთა რეგისტრაციებში, სადაც აღნიშნული იყო: „ინ ტონ ჰანი 37 წლისა, ანტიკვარიატით მოვაჭრე, დაიბადა კორეაში, პროვინცია კიონსან-პუკტო, ანტონის მაზრა, მისი მისამართია — ჰოკაიდო, ქალაქი ვაკანაი, უტიჰამის ქუჩა, ჰაგაო ფუკურიუს სახლი“.

უკვე ახალ წელს, იანვრის მჭირე ნახევარში ძლიუძლივობით იშოვეს ინის ფოტოსურათი, სადაც ინი გამოიყურებოდა როგორც ლამაზი მაძაკაცი. ჰქონდა ჩამოგრძელებული სახე და შუაზე გაყოფილი ხშირი თმა.

ოცდაექვს იანვარს, ცივ წვიმიან დღეს ინსპექტორი იოსიდა კვლავ გაემგზავრა ტოკიოს, რათა სირი არაისტვის ფოტოსურათი ეჩვენებინა. არაი ერთხანს ჩაფიქრდა და თქვა:

— „ო, ჩემი ამფსონაა, კანეკო. შეგიძლიათ ახლავუ დაიჭიროთ.

„ჩვენ მაშინ ყურდალება არ მიგვიქცევია, რა ღვარძლიანად წარმოთქვა ეს სიტყვები“, — შენიშნა მოხრობელმა.

მაღუ გამოირკვა, რომ ინ ტონ ჰანს წარსულში არც ერთი ნასამართლობა თუ შავი ლაქა არ ჰქონია, ხნეკეთილი ადამიანი იყო, ერთი სიტყვით, ისეთი ვინმე არ ვახლდათ, ვისაც შეუძლია მშუიდად გაძარცვოს ან მოკლას კაცი. თანაც არაის აღიარება ამ საქმესთან დაკავშირებით არ წარმოადგენდა უცილობელ მტკიცებას. მის ჩვენებაში ბევრი რამ საეჭვო იყო. მოკლედ, არავითარი განსაკუთრებული საფუძველი არ არსებობს არაისი გერწმუნათ და ინი დაგეპატიმრებინათ.

— რა ვქნათ ახლა? — შეეკითხა ინსპექტორი იოსიდა კ.-ს.

— უკეთ უნდა გავერკვეთ ჩეკის ამბავში. გავიგოთ, მოპარულია თუ არა იგი. თუ დავრწმუნდით, რომ ჩეკი მოპარულია, და დაუადგინეთ, რომ კანეკოს არაისტთან ურთიერთობა ჰქონდა, მაშინ დავაპატიმროთ.

იოსიდა დაეთანხმა შეფის აზრს. მას შემდეგ, რაც ყველაფერზე შეთანხმდნენ, მან გამოთქვა თავისი მოსაზრებანი:

— სავსებით შესაძლებელია, რომ არაის არავითარი კავშირი არა აქვს ამ საქმესთან. მისი აღიარება ერთობ საეჭვოა. მაგრამ თუ არაი მონაწილე არ არის, მაშინ გამოდის, რომ დანაშაული ძარტო კანეკოს ჩაუდენია. მაგრამ თუ დანაშაულის ადგილის დათვალიერებისას შედგენილი ოქმის მიხედვით ვიმსჯელებთ. ასეთი დანაშაულის ჩადენა ერთ კაცს არ ძალუძს, ორი ან უფრო მეტი კაცი იყო. თუ არაი არა, მაშ ვინ იქნებოდა?

— მეც აგრე ვფიქრობ, — დაეთანხმა საგამომიებო განყოფილების უფროსი, — ამის გამორკვევა კი შენი ამოცანაა.

ინსპექტორი იოსიდა მორიგი მივლინებით გაემგზავრა დედაქალაქში. ამჯერად იგი გაემართა ჰანედის „მიცუბისის“ ბანკის განყოფილებაში და შეხვდა მმართველს. ინსპექტორის ვარაუდით, თავის დროზე თანხა ჩეკის მიხედვით ჩარიცხული იყო ჩონ ჩე იონის საანგარიშსწორებო ანგარიშზე. ამიტომ მან სთხო-

ვა მმართველს ვჩვენებინა მისთვის აუცილებელი საბუთები. აიღეს ძველი საბუ-
ხკალტრო დავითრება და იქ იპოვეს საანგარიშსწორების ანგარიში ჩონ ჩე იონ-
ნას სახელზე. მასში იყო შემდეგი ჩანაწერები:

**ანგარიშის ანგარიშთა შიგნით
კანადის ბანკ „მიცუბისის“ განყოფილებაში**



1946 წ.		მოღებულია	შეტანილია	შეიწინა
თვე	რიცხვი			
3	22	რუბრი	10 რუბრი	გახსნილია ანგარიში ჩეკი ასიგაციდან ტოდა
4	5	1900	3485	
4	30	900		ზეკი ნიკოს ასიგაციის ბანკი განყოფილებიდან შემთავსებული ჩეკი ასიგაციის ბანკის თხოვნით გაეჭმდა
5	28			
6	16	880	880	
8	14			

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1946 წლის 16 ივნისს ანგარიშზე ჩარიცხულ იქნა 880 იური ჩეკით, რომელიც გასცა ნიკოს ასიგაციის ბანკის განყოფილებამ, ხოლო 14 აგვისტოს ამავე ბანკის თხოვნით თანხა გაუქმდა. ეს მოხდა შემდეგნაირად: ნიკოს ბრანდმანსტერმა იფიქრა, რომ გენტი ასიგაციის შესანახად მიცემული ჩეკი ხანძრის დროს დაიწვა, და ასიგაციის ბანკს მიმართა განცხადებით — გაეცა დუბლიკატი. მაგრამ ბანკმა უპასუხა, რომ ჩეკი წარდგენილია მისაღებად ბანკ „მიცუბისის“ განყოფილებაში ქანედში. განცვიფრებულმა ბრანდმანსტერმა ათხოვა ჩეკით ფულის გადახდა შეეჩერებინათ, და მისი განცხადების საფუძველზე ასიგაციის ბანკმა შესთავაზა ბანკ „მიცუბისის“ გაუქმებინა შეტანილი თანხა. ამგვარად, ნათელი გაჩდა, რომ ჩეკი გატაცებული იყო.

ახლა ინსპექტორმა იოსიდაძემ ბოლოს და ბოლოს იგრძნო, რომ აუცილებელია შეზღუდეს ჩეკის წარმდგენს — ჩონ ჩე იონს. ომორის პოლიციის უბანში გაეცნო მის დოხიეს — ჩონს ჰქონდა რამდენიმე ნასამართლობა: აზარტული თამაშებისათვის, სასურსათო მომარაგების კონტროლის შესახებ კანონის დარღვევისათვის და ა. შ. და იყო მოურჯულეღბელი თაღლითი, რომელიც ომისშემდგომ პირველ წელს მოქმედებდა ცხელ წყაროებში. მაგრამ საუბროს ნიკოში მომხდარ შემთხვევასთან ყოფილიყო დაკავშირებული. მამ ვისი თხოვნით წარადგინა ბანკში ის თარსი ჩეკი? — ინსპექტორს უშუალოდ ჩონისგან უნდოდა მოესმინა ამის შესახებ.

ჩონი ცხოვრობდა ომორის რაიონში, ეგრეთ წოდებულ „არყის სახლელ დაბაში“. წინა ჩამოსვლაზე ადგილობრივი პოლიციის რჩევით იოსიდა იძულებული შეიქნა არ წასულიყო დაბაში, მაგრამ ახლა ხელცარიელი დაბრუნება შეუძლებელი იყო. ინსპექტორი იოსიდა ფუკუსიძისთან ერთად შეუპოვრად გაუდგა გზას.

მართლაც დვთისაგან მივიწყებული დაბის ავისმომასწავებელ ეითარებას აღრმავებდა საღორეების სიმყრალე და არყის სახლელი საფუერის სუნა. ისინი ყოველი წხრიდან გრძნობდნენ მტრულ მზერას, მაგრამ ყოველივე ამას ხელი არ შეუძლია მათთვის — ენახათ ჩონ ჩე იონი, რომელიც ერთ-ერთ ბარაკ-

ში ცხოვრობდა. ჩონი ოცდათვრამეტი წლის თავდაჯერებული სახეწითელი ახმახი აღმოჩნდა.

— ორმოცდაექვს წელს მე მიმოუდიოდი მოულ ქვეყანაში, ვთამაშობდი ბასქოს, შინ იშვიათად ვიყავი, თვეში ორ-სამ დღეს. ამისთვის არ მეცალა ბასქოს ანატრები არ მახსოვს, შესაძლოა იყო კიდევ. ჩემის ამბავი პირველად მესმის, — სქელი ტუჩების პლაკუნით მაუგია ჩონმა. როცა ინსპექტორმა ჩემს წინაშე მის წარწერის ფოტოსურათი აჩვენა, ჩონმა გულდასმით შეათვალიერა.

— ხელი თითქოს ჩემია. ეგებ ჩემმა ყოფილმა ცოლმა ჰიდევო კუგინომ იცოდეს რამე.

შეკითხვაზე, სად არის ახლა ჰიდევო, ჩონმა უკმეხად მიუგო: „აბა საიდან მეცოდინება — გაყრილება ვართ“.

მთელი თავისი იერით ჩონი თითქოს ამბობდა: „ჩქარა გასწით აქედან!“ ბარაკის კართან ხალხი შეგროვდა. ზოგიერთები მუქარით აღსავეს მხერით იხედებოდნენ შიგნით.

ინსპექტორი იოსიდა სასწრაფოდ დაბრუნდა ომორის პოლიციის უბანში, მაგრამ იმით მაინც იყო კმაყოფილი, რომ ჰიდევო სუგინოს, ჩონის ყოფილი ცოლის, არსებობის ამბავი გაიგო. იმისდა მიხედვით, თუ როგორ იქცეოდა ჩონი, შეიძლებოდა გეფიქრათ, რომ იგი არ ცრუობდა.

მაშინ გამოიძახეს კიმ კიონ სიკი, რომელიც ადგილობრივ პოლიციასთან თანამშრომლობდა, და ჰიდევო კუგინოს ამბავი ჰკითხეს. კიმმა მიუგო:

— ეს ქალი დაახლოებით ორმოცდარვა წელს წაეჩხუბა ჩონ ჩე იონს და გაექცა. მერე სადღაც გაემგზავრა, მგონი, ჰატიოში... ხუთიადე წლის წინათ ოკატი-მატის კვარტალში ნახეს ძველმანების ბაზარში. მეტი ამ ქალზე არაფერი ვიცი.

პოლიციელები დადონდნენ — ეს ჩვენება მეტისმეტად არასანდო იყო.

6

ამ დროს სერჟანტმა ფუკუსიმამ, თითქოს რაღაც გაახსენდაო, უნცრად ჰკითხა კიმ კიონ სიკს:

— შვილები თუ ჰყავს ჩონ ჩე იონს?

— ჰყავს, — მიუგო კიმმა.

— რამდენი წლისანი არიან?

— ვაჟი — თორმეტი-ცამეტის.

სერჟანტს თვალები გაუბრწყინდა. რაკი თორმეტი-ცამეტი წლისაა, ესე იგი, აქაურ დაწყებით სკოლაში სწავლობს. მისი პოვნა განსაკუთრებულ სიძნელეს არ წარმოადგენს.

სკოლის გზაზე ინსპექტორმა იოსიდამ სერჟანტ ფუკუსიმას ჰკითხა:

— მაინც როგორ მიხვდი?

— სამი შვილი დამიღის სკოლაში, — დარცხვენით მიუგო ფოკუსიმამ.

სკოლაში ინსპექტორმა დირექტორს სთხოვა მოსწავლეთა სიები ეჩვენებინა. სიები გრძელი იყო, მაგრამ საჭარო სახელის პოვნა მაინცდამაინც არ გასჭირვებიათ მას შემდეგ, რაც კორეული გვარები გამოარჩიეს. ნახეს მოსწავლე, რომლის მამა იყო ჩონ ჩე იონი. გრაფაში „მშობლები“ აღნიშნული იყო დედის სახელი — პაკ კიონ სუნი... ასეთი იყო ჰიდევო სუგინოს ნამდვილი სახელი.

ორივე პოლიციელი საიმიგრაციო ბიუროში გაქანდა. იქ უცხოელთა სარი-

ვისტრაციო სიებში ნახეს საჭირო გვარი: „პაკ კიონ სუნი, 29 წლისა, დაიბადა კორეაში, ქალაქ პუსანში. ცხოვრობს მისამართზე: კოფუ. ისე-მატის ქუჩა.“ ინსპექტორმა წიგნაკში გადმოიწერა მონაცემები.

დაბრუნებულებმა, მაშინვე ჰკითხეს იამანასის პრეფექტურის პოლიციის სამმართველოს — ცხოვრობს თუ არა ძებნილი პაკი აღნიშნულ მისამართზე. მეორე დღეს მოვიდა პასუხა:

„პაკი ნამდვილად ცხოვრობდა მოცემულ მისამართზე, ლეიდას, რესტორანის პატრონის, სახლში, მაგრამ შარშან, დაახლოებით ნოემბრის დამლევს სახლიდან წავიდა და, მიუხედავად დეიდის წინააღმდეგობისა, მისახოვდა კორეელს, რომელიც ცხოვრობს ქალაქ მაცუმოტოში, ნაგანოს პრეფექტურაში... რადგანაც მას ვაცხადება არ შეუტანია საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის თაობაზე და არ ჩაწერილა როგორც უცხოელი ახალ მისამართზე, ამიტომ იმას ცნობება, თუ სად არის იგი ამჟამად, შეუძლებლად მიგვაჩნია“.

ასეთი პასუხი, ცხადია, არ დააკმაყოფილებდა ინსპექტორს, ამიტომ მან გაიმეორა თავისი შეკითხვა. იამანასის პრეფექტურის პოლიციამაც წინანდებურად უპასუხა, რომ „პაკის ადგილ-სამყოფელი უცნობი რჩება“.

— მო, მისამართებში ასე ადვილად ვერ გაერკვევა კაცი. — ჩაიცინა განყოფილების უფროსმა კ.-მა. — რაღაც ისე სწრაფად ვერ მიდის ჩვენი საქმეები, როგორც საჭიროა. მაგრამ სხვა პრეფექტურის პოლიციაზე ძალიან დიდ იმედებს ვერ დავამყარებთ. მგონი, ჯობს თვითონ გაემგზავრო კოფუს.

— მესმის! — მიუგო ინსპექტორმა იოსიდამ და სერჟანტ ფუკუსიძასთან ერთად კოფუს გაემგზავრა. იმ დღეს თოქდა.

საღამოვდებოდა, როცა ისე-მატის რესტორანის ზღურბლს გადააბიჯეს. დეიდა, ასე ორმოცდათხუთმეტი წლის კორეელი, როგორც კი პაკ კიონ სუნის სახელი გაიგონა, იმწამსვე მოიღუშა.

— უკვე მომაკითხეს პოლიციელებმა. მე და ჩემი დისშვილი წაუჩიხუბეთ და იგი სახლიდან წავიდა. აბა რა ვიცი, სად არის? — მკვახედ მიუგო მან, ამკარად არ სურდა საუბრის განგრძობა. მაგრამ ინსპექტორი იოსიდა შეეცადა ჩუვონებინა, რომ პოლიციასთან ჩხუბს აზრი არ ჰქონდა. ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ უხალისოდ გაიქნია ფანჯრისკენ თავი.

— ხედავთ ჭაბუკს. ქურთუკი რომ აცვია, პატინკოს! რომ ათამაშებს. აი ის ეხმარებოდა ბარგის გატანაში. იმას ჰკითხეთ...

ინსპექტორი მივიდა ჭაბუკთან, რომელიც გატაცებით აჩხაკუნებდა ავტომატის ბერკეტს, და ზურგს უკან დაუდგა.

ჭაბუკს თავი რომ გააცნო, შესთავაზა ჯერ დახალევედ შეეველოთ სადმე: „მე ვპატივებ, შენ კი რაღაც-რაღაცებს მეტყვი“. „მე მართო არა ვარ“, — პირობა წაუყენა ჭაბუკმა. თავისი სამი მეგობრის მსგავსად, ისაც კორეელი იყო.

მაგიდას ექვსნი მიუსხდნენ. ინსპექტორი დელავდა, იცოდა, რომ ჭაბუკა მეგობრების თანდასწრებით არაფერს ეტყოდა, და ხელსაგრულ შემთხვევას ელოდა. როგორც კი ჭაბუკი საპირფარეშოში გავიდა, ინსპექტორიც გაჰყვა.

— პაკ კიონ სუნი სადღაც გაემგზავრა. შენ ვეცოდინება, სად.

ჭაბუკმა ინსპექტორს შეხედა, მაგრამ პასუხის გაცემა ვერ მოახწრო, რადგან მეგობრები მოადგნენ და იმულებული შეიქნა ადგილზე დაბრუნებულიყო.

1 პ ა ტ ი ნ კ ი — სათანაშო ავტომატი, რუღუტის ნაირსახეობა.

როგორც კი წამით მაინც მარტოდ დარჩნენ, ჭაბუკმა სხაპასხუპით წასწურნულა:

— მაგას კორუელთა დაბაშა გაიგებთ, სადგურ მაცუმოტოდან ორ კილომეტრზე. — სხეა არაფერია უთქვამს.

ინსპექტორი და სერჟანტი სასტუმროში გვიან საღამოს დაბრუნდნენ და დასაძინებლად დაწვნენ, ხოლო როცა დილით გაიღვიძეს, არემარე ყურადღებულად ფარა, მთელ დამეს მოდიოდა თოვლი. სულ ახლოს მოჩანდა ფუჭის — ქსქსქსქსქსქს თოვლიანი მწვერვალი...

სადგურ მაცუმოტოში გაიგეს, რომ ორ კილომეტრზე მართლაც იყო კორუელთა სოფელი, და იქითკენ გაჰყვნენ თოვლით დაფარულ გზას, რომელზედაც ავტობუსებიც კი ვერ დადიოდნენ.

პაკ კიონ სუნი ერთ უბადრუკ ქოხში ნახეს, მარტოდმარტო. მისი ახალი ქმარი, ასენიზატორი, სამუშაოზე იყო.

ინსპექტორმა იოსილამ ჩეკის ფოტოასლი აჩვენა და ჰკითხა:
— თქვენ ეს ჩეკი მიიღეთ ორმოცდაექვსი წლის ზაფხულში, როცა ჩონ ჩე იონთან ცხოვრობდით, არა? ვინ მოგცათ?

ქალმა ფოტოს დახედა და თავი დააქნია:
— ათი წლის წინათ... არ მახსოვს.
— მაგრამ ჩონ ჩე იონი ამბობს, რომ თქვენ გეცოდინებათ.

ამ სიტყვებზე პაკ კიონ სუნი გაცეცხლდა.
— თქვენც ენდეთ, რაღა! თაღლითი, მუსუსი, მატყუარა, არამზადა! — ისე ლანძღავდა თავის ყოფილ ქმარს, თითქოს ამ ათ წელს არ გაეველოს.

— მაინც გთხოვთ გაიხსენოთ, ვინ მოგცათ ჩეკი. თქვენ გგონიათ, ადვილი იყო თქვენი მოგნება?..

— რახან ვითხარით, არ ვიცო-მეთქი, ესე იგი, არ ვიცო! — ყურის წამლებად შეჰყვირა ქალმა და დაგროვილი ბოლმის ნარჩენებიც გადმოაწოხნია.

ისევე, როგორც ჩონ ჩენ იონთან, აქაც ამაო გამოდგა საუბარი. ისინი დათოვლილი გზით მოჩანჩალებდნენ სადგურისკენ, და თითქოს ალპების მწვერვალებიც დასციხოდნენ მათ უიღბლობას.

შინ დაბრუნებულმა ინსპექტორმა იოსილამ თავის უფროსს კ.-ს მოახსენა მგზავრობის შედეგები.

— არც ჩონ ჩე იონმა და არც მისმა ყოფილმა ცოლმა არაფერი იციან. ხელჩასაჭიდი არაფერი გვაქვს... — დაფიქრებით წარმოთქვა კ.-მ.

— რომელიმე მათგანს მაინც ეცოდინება — ან ჩონ ჩე იონს, ან მის ყოფილ ცოლს, — შეესიტყვა იოსილამ.

— მეც ასე მგონია. პო, დამაეიწყდა მეთქვა — ომორის უბნიდან ცნობა მოვიდა. ექსპერტიზა ჩაუტარებიათ, ჩეკზე გაკეივებული გადაცემის ხელმოწერა ჩონის ხელწერისათვის შეუდარებიათ და მისი არ გამოძღვარა, — თქვა საგამომიებო განყოფილების უფროსმა.

— ესე იგი, სხვისი ხელია... გამოდის, რომ ჩონს კი არ მოუწერია ხელი, არამედ ვიღაც სხვას. მისი ხელწერის ბეჭედი უთხოვებიათ. სწორედ იმ კაცმა მოკლა ექვსი ადამიანი ნიკკოში ანდა თანამონაწილე იყო, და ჩონმა იცის, ვინ არის იგი. იცის, მაგრამ არ ამბობს!

ინსპექტორს რომ მოუსმინა, კ.-მ საფერფლეში ჩაავლო ბოლომდე მოწეული სიგარეტი.

— შესანიშნავია! მაქვს კარგი იდეა. — საგამოძიებო განყოფილების უფროსმა სკამიდან წამოიწია და მაგიდიდან საქალაქე აიღო.

— რა იდეა?

— ჩეკზე მუშაობა უნდა განვაგრძოთ. ესაა ერთადერთი გზა, სხვა არაფერია დაგვრჩენია. ახლა კი ერთხელ კიდევ შევამოწმოთ ჩონ ჩე იონის ანაბარი.

კ.-მ საქალაქე გახსნა იმ ადგილას, სადაც ჩაკერებულნი მანუელის „მიცუბისის“ ბანკის განყოფილებაში ჩონ ჩე იონის ანგარიშს და დოკუმენტს ჩაამტერდა.

— აგერ, შეხედე! — მიუთითა გრაფაზე: „5 აპრილი, 1946 წ. ვადარიცხულია საიტამიდან, ტოდა, 3485 იენი“ (უწყისში ჯვრით არის აღნიშნული). — მოდი შევამოწმოთ, ვინ გამოწერა ჩეკი და ვის ხელში მოხუდა. ბოლოს და ბოლოს აუცილებლად მივაღებთ კაცს, ვინც ჩეკი გადასცა ჩონს ან მის ნაცნობს. მოკლედ, უნდა გამოვარკვიოთ, ვინ გამოწერა ჩეკი, მერე კი თვალი მივაღვენთ მისი მოქმედების მთელ ჯაჭვს. ჩეკმა, რომლითაც თავდაპირველად ეყვანო და კავებული, ასევე გაიარა რამდენიმე ხელი. ეგებ ვინმეს სახელი დაემთხვეს პირველ ჯაჭვს.

— შესანიშნავი იდეაა! — დაეთანხმა ინსპექტორი იოსიდა და კვლავ გაეჩართა „მიცუბისის“ ბანკის განყოფილებაში. მისი თხოვნით, არქივიდან გადმოიღეს ძველი საქალაქეები, და იოსიდამ 1956 წლის აპრილის დოკუმენტების ფურცვლა დაიწყო. და აი ბოლოს საძიებელი ჩეკი: „ვადარიცხულია საიტამიდან, ტოდა, 3485 იენი“, გამოწერილია წარმომდგენის სახელზე ოც მარტს ჰარუკი ტაბეის მიერ, ლითონის ჩარჩოების წარმოება, რომელიც ცხოვრობს პრეფექტურა საიატამაში, კიტა-ასიკაგის მაზრა, ქალაქი ტოდა, სიმი-ტოდა, ნომერი...“ ინსპექტორმა გულდასმით შეათვალიერა გაყვითლებული ქალაქი და თვალები იმედით გაუბრწყინდა. საქმე ისაა, რომ ჩეკის წინა მხარეზე კუთხეში შეამჩნია ფანქრით მინაწერი: „კანეამას საზღაური ალუმინის ნაკეთობის დამზადებისათვის“.

გვარის მიხედვით კანეამა უფრო კორეელი უნდა იყოს. როგორც ჩანს, ჰარუკი ტაბეიმ გაანაღდა ვინმე კანეამას ანგარიში, რის შემდეგაც ჩეკმა რამდენიმე ხელი გაიარა და ბოლოს ჩონ ჩე იონთან მოხუდა.

ინსპექტორი ჩაეიდა ტოდაში, საიატამას პრეფექტურაში და იქ შეხვდა ჰარუკი ტაბეის — კოლეების საწინააღმდეგო ბადიანი ჩარჩოების დამამზადებელი საწარმოს მფლობელს.

— ათი წლის წინანდელი გარიგებაა და ბევრი შუამავლის მეშვეობით წარმოებდა... კანეამა? არ მახსოვს, აბსოლუტურად!

ჰარუკი ტაბეის პასუხმა იმედები ძალიან გაუცრუა ინსპექტორს. მაშინ მან სთხოვა ჰარუკის დაესახელებინა ის მაკლერება, რომლებიც ახსოვდა. ჰარუკიმ უკმაყოფილოდ გამოცრა რამდენიმე სახელი.

ამის შემდეგ შეუდგნენ სიის მიხედვით მაკლერების რიგრიგობით შემოწმებას. ყოველ მათგანს, ვისაც პოულობდნენ, კანეამას შესახებ ეკითხებოდნენ. მაგრამ ეს გვარი ფრიად გავრცელებულია კორეელებს შორის, გარიგების შემდეგ კი მრავალმა წელმა განვლო. ასე რომ გამოძიება ადგილიდან არ დაძრულა.

მაგრამ აი ორი კვირის შემდეგ, როგორც იქნა, შეძლეს გამოერკვიათ კანეამას პიროვნება. რადგან საქმე ეხებოდა ალუმინის გაყიდვას, ყველა გამოკითხეს, ვისაც რაიმე კავშირი ჰქონდა ლითონის ნაწარმთან. ერთი სიტყვით, მი-

დგნენ მაკლერს, რომელიც ფოლადზე მუშაობდა, — მასათ კანეიძას, ანუ იმავე კიმ მან იონს, მცხოვრებს ოტის რაიონში, ომორის კვარტალში.

როცა ინსპექტორი იოსიდა და სერუანტი ომორიში აღნიშნულ მისამართზე ჩავიდნენ, მათდა გასაოცრად აღმოჩნდა, რომ კანეიძა ცხოვრობდა ჩინ ჩე ათნისაგან ორი სახლის მოშორებით, იმავე ყბადალებულ „არყის სახლელ და-საში“.

გამოძახებაზე კიმ მან იონი მორჩილად გამოცხადდა, ომორის უბანში. ხმელ-ხმელი კორუელი, ასე ორმოცდათი წლისა, სახევეითელი.

— ალუმინს კავაგუტელი საქმოსნებისგან ვყიდულობდი, ტოდის ფაბრიკანტებთან კი არავითარი გარიგება არ მქონია. კაცი, რომელსაც ჰარუკი ჰქვია, ჩემთვის უცნობია. ჩეკის ამბავი არ მახსოვს, — დაბნეულად მოუგო კიმ მან იონმა, რაც არ უნდა ეკითხათ, ყველაფერზე უპასუხებდა: „არ მახსოვს“. ალბათ, არ გრუობდა — მას შემდეგ ხომ ამდენმა ხანმა გაიარა!

როგორც კი კიმ მან იონი გავიდა, ინსპექტორმა და სერუანტმა ერთმანეთს გადახედეს. შეწუხებულნი და გულდამძიმებულნი იყვნენ: ორ თვეზე მეტი ტყუილუბრალოდ შემოეფლანგათ. გამოძიება ჩიხში მოექცა.

7

— გულის გატეხა ადრეა. ჩვენ ხომ ვიცით, რომ მკვლელობაა, მამასადამე, ცოტა კიდევ უნდა მივეძალოთ, თუნდაც ყველაფერი თავიდან დავიწყოთ, — საგამოძიებო განყოფილების უფროსი ცდილობდა გაემხნეებინა ინსპექტორი იოსიდა, რომელსაც სულ მიღად დაეკარგა იმედი.

ყველაფერი ხელახლა დაიწყო. თანაც ისევ ჩეკს დაუბრუნდნენ. ოპერატიულ თათბირზე კ.-მ გამოთქვა თავისი მოსაზრებანი შემდგომი გამოძიების თაობაზე:

— ტრაგედიიდან ათი წელი გავიდა. ჩვენს გამოძიებაში არის რაღაც ხარვეზა. მიაქციეთ ყურადღება, როცა ყოველივე ეს მოხდა, ნიკკოს პოლიციამ ჩონ ჩე იონთან ჩეკის შესამოწმებლად გაგზავნა თავისი თანამშრომელი. აუცილებელია გავესაუბროთ ამ პოლიციელს. პოდა, მერე ვნახავთ.

იფიქრეთ, გამოძიება დაიწყო ათი წლის წინათ, და რა ზუსტადაც არ უნდა გველო დროის მიერ თითქმის წაშლილ კვალზე, პატარ-პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ფაქტები არ შეიძლება შეუმჩნეველი დარჩენილიყო. თუმცა, არჩეულია ვერსია ხელს აძლევდა ნიკკოს პოლიციის მაშინდელ უფროსს, მაგრამ მისი ხელქვეითნი, რომლებიც დახაშაულს იძიებდნენ, ფაქტებს აგროვებდნენ. თანაც ისინი მოქმედებდნენ შემთხვევის მოხდენისთანავე! ამიტომ ჩვენ ვაღდეგბული ყარა გავიგოთ ყველაფერი, როგორც ეს პირველად მოხდა.

შემთხვევის ადგილის აღწერისას იძულებული ვიყავით დავყრდნობოდით მაშინდელ შედგენილ ოქმს, ამიტომ, ჩეკზე მუშაობის გარდა, სხვა არაფერი ვერჩებოდა. გაგზავნილ შეკითხვაზე ნიკკოდან გვაცნობეს, რომ მაშინ ჩეკის ამბის გასარკვევად ტოკიოს ომორის უბანში შივლინებული იყო ორი დეტექტივი — სიმოძაეა და უეხარა, რომლებიც ამჟამად ქალაქ კანუმის პოლიციაში მსახურობენ.

სწორედ მათთან სასაუბროდ გაემართნენ იქ ინსპექტორი იოსიდა და სერუანტი ფუკუსიმა, ორივე დეტექტივი რიგრიგობით უპასუხებდა მათ შეკითხვებს.

— ეს ამბავი, მგონი, 1946 წლის ზაფხულში მოხდა. ომორის ბანკში აღმოჩნდა ჩეკი, რომელიც გამოწერალი იყო ასიკავას ბანკზე და წინათ შესანახად ჰქონდა გადაცემული გენიტი ასიოს, რომელიც ხანძრის დროს დაიწვა პოლიციის უფროსმა გვიბრძანა ომორის რაიონში წავსულიყავით თავდაპირველად გვინდოდა გვენახა ჩონ ჩე იონი, ვისი ხელმოწერაც იყო ჩეკზე. ყველანი ერთად უნდა მივსულიყავით, ადგილობრივ პოლიციელთა დახმარებით, პისტოლეტებით შეიარაღებულნი, მაგრამ შემდეგ გადავიფიქრეთ — რაც მეტი ვიქნებოდით, მით უფრო მეტი ხმაური ატყდებოდა. მარტო სიმოძავა წავიდა, ვითომც ბანკის მოსამსახურე იყო. მას შეხვდა ქალი, როგორც ჩანს, ჩონ ჩე იონის ცოლი, და უთხრა, ქმარი კანსაის გაემგზავრა და იქ კარგა ხანს დარჩება, ხოლო მისი ჩეკი მოხოვა ამა და ამ ბანკში შემენახაო (და მან დაასახელა კაცი, რომელიც პოლიციელებმა ვერა და ვერ გაიხსენეს). ომორის პოლიციის უბანში რომ დავბრუნდით, დავადგინეთ, რომ კაცი, რომელიც იმ ქალმა დაასახელა, რეალური პიროვნებაა, მაგრამ ვერც მისი საცხოვრებელი ადგილი დავადგინეთ და ვერც შევხვდით. მალე პოლიციელები „მიცუბისის“ ბანკში მივიდნენ და სახოვეს, როგორც კი ჩონ ჩე იონი გამოჩნდება, გვაცნობეთო. ამ ინფორმაციით დაბრუნდნენ თავის პრეფექტურაში. მათი მოხსენება რომ მოისმინა, ნიკოს პოლიციის უფროსმა განაცხადა, ეტყობა, ჩეკი გენიტი ასიოსთვის მიუციათ, შემდეგ კი ხელიდან ხელში გადადიოდა, სანამ კორუელთან მოხვდებოდაო.

— კი, მაგრამ პოლიციელთაგან არავინ ყოფილა პოლიციის უფროსის აზრის წინააღმდეგი? — შეეკითხა ინსპექტორი იოსიდა სიმოძავას.

— როგორ არა, ზოგს უცნაური ეჩვენა. პოლიციელი უვა, რომელიც ტიუგუსის კვარტალში მსახურობდა, მაგალითად, კარგად იცნობდა გენიტი ასიოს — იქაური სასტუმროს პატრონს. მან საიდუმლოდ მითხრა, ასეთი რამის გაკეთება მას არ შეეძლო, მაგრამ უფროსის, განსაკუთრებით პოლიციის უფროსის აზრი იმ დროს კანონი იყო და მისთვის წინააღმდეგობის გაწევას ვერავინ გაბედავდა.

— გასაგებია... ახლა კი მომისმინეთ: როცა ჩონ ჩე იონის ცოლმა დაასახელა კაცი, რომელმაც ჩეკი გადასცა, თქვენ ხომ ამკარად გაიგონეთ მისი სახელი?

— დიახ, რა თქმა უნდა! მაგრამ ახლა ვერ გამოიხსენებია.

— მაგრამ კანესიროს გვარი არაფერს გეუბნებაო?

სიმოძავა ერთხანს ჩაფიქრდა, მერე ცოტა არ იყოს დაბნეულად მიუგო:

— ჰგავს! ძალიან ჰგავს, მაგრამ უფრო ზუსტად ვერ გეტყვით.

მიუხედავად ამისა, ინსპექტორმა გადაწყვიტა, რომ ჩონის ცოლმა სწორედ კანესირო წარმოთქვა. ის ხომ ახლახან ესაუბრა კიმ კიონ სიკს, რომელმაც თქვა, რომ 1946 წლის ზაფხულში დაინახა, როგორ შევიდა ჩონ ჩე იონის სახლში მამებარი იბარაკიდან თუ რომელიღაც მეზობელი პრეფექტურიდან. ეს მამებარი უთუოდ სიმოძავა იყო.

მაშ ასე, მამებარმა სიმოძავამ ჩონ ჩე იონის ცოლისგან შეიტყო, რომ ჩეკი მიიღო კანესიროსაგან. იგი მაშინვე გაემართა ომორის პოლიციის უბანში, რათა დაწვრილებით გაეგო კანესიროს თაობაზე. მათ უპასუხეს, რომ ამ კაცს იცნობენ, მაგრამ ამჟამად სად არის, თქმა უჭირთ. შემდეგ ომორის საგამომიებო განყოფილების უფროსმა, რომელსაც მამებარმა სთხოვა ეცნობებინა ჩონ ჩე იონის ამბავი, ჟურნალში გამოაქვეყნა სპეციალური ჩანაწერი საუბრის შესახებ. და როცა მასთან მოვიდა რიუგენ კასიმა და ჰკითხა ამ შემთხვევის ამბავი, კა-

ხეაროს გვარიც ამოტივტივდა. მაგრამ რადგან განყოფილების გამგემ მარტო გვარა წარმოთქვა, ბერმა შეცდომით გადაწყვიტა, რომ ეს გვარი იწერება იერო-გლიფებით „ფული“ და „თეთრი“.¹ ეს უნებური შეცდომა აისახა კიდევ პოლიციაში წარდგენილ მის განცხადებაში.

სწორედ ასეთი ვერსია ეჩვენებოდა ინსპექტორს ყველაზე უფრო დამაკვირვებლად — ამ შემთხვევაში, როგორც იტყვიან, თავს ბოლო ებმებოდა და წინააღმდეგობა აღწერილი ამკარა ხდებოდა. კანესირო საქმის მთავარი მამოძრავებელი ხანდა.

ამ დროისათვის პოლიციის უკანაში იტყვიან, იმავე ინ ტონს ჰქონდა, რომელიც თავის თანამონაწილედ დაასახელა ხირო არაიმ, ალიბა დაიმტყაცა და ეჭვმიუტანელი აღმოჩნდა. ეს ვარაუდები მხოლოდ ერთს ადასტურებდა: არა იმგვარი მომხდარი დანაშაულის მონაწილე არ იყო.

მაშ ვინ არის კანესირო?

ამ დროს ინსპექტორ იოსიდას გაახსენდა პოლისმენი უვა, რომლის გამგებლობაშიც იყო ტიუგუსის კვარტალი.

— სად მსახურობს ახლა უვა? — იკითხა მან ადგილობრივ პოლიციაში.

— წინანდებურად ჩვენს უბანში, საპატრულო სამსახურის უფროსია, — უთხრეს პასუხად.

— ბედი გვექონია! — გაუხარდა ინსპექტორს. — მართლაც ვის ეცოდინება ამ შემთხვევის შესახებ, თუ არა უვას! მასთან საუბარში შეჭველად რაღაცას ვა-ვარკვევთ! — გამხსენებელი ინსპექტორი თანამემწესთან ერთად გაეშურა უვას სახლიაკენ. იგი მორიგეობის შემდეგ ისვენებდა.

უვას, უკვე უფროს პოლიციელს, კოტაცუს გვერდით ეძინა. იგი ხალისიანად მიესალმა ინსპექტორსა და მის თანამემწეს, გასათბობად მიიპატიჟა და საამონებით უბახუხა მათ შეკითხვებს.

— „ასილიაში“ მომხდარი შემთხვევის შემდეგ ადგილობრივ მცხოვრებთა შორის ხმა გავრცელდა, რომ სასტუმროში მკვლელობა მოხდა. თქვეს, წინა-დღით ქალაქში კორეელები დაინახესო.

ერთ-ერთმა ადგილობრივმა ფოტოგრაფმა ყოველი შემთხვევისათვის მომიტანა საეჭვო პირთა რამდენიმე სურათი. ხომ იცით, ტიუძენძის ტბაზე ყველა სეზონზე უამრავი ფოტოგრაფი ჩამოდის, რომლებიც თავიანთ სამსახურს სთავაზობენ ტურისტებს. დაუყოვნებლივ მოვახსენე უბანში ყველაფრის შესახებ, მაგრამ ფოტოსურათები დამიბრუნეს. ესენი არ გამოგვადგება, რადგანაც თვით-მკვლელობა მოხდაო.


ჯაკრით ნაკუწებად ვაქციე ფოტოსურათები — ასეთი სერიოზული სამ-ხილები იშოვო და როგორც ნაკავი უკან დაგიბრუნონ! ეს არავითარი თვით-მკვლელობა არ იყო. ბატონ ასიოს კარგად ვიცნობდი, მის მეზობლად ვცხოვრო-ბდი — არავითარი საამისო მიზეზი არ ჰქონია. მაგრამ თვითმკვლელობის ვერ-სიას დაჟინებით ირწმუნებოდნენ პოლიციის უფროსი, მაღალი თანამდებობის პირნი. ჩვენ უკმაყოფილო ვიყავით, მაგრამ ურჩობა ვერ გაუბედეთ.


თქვენ ყოჩაღები ხართ — არ მეგონა, რომ ათი წლის შემდეგ პოლიცია ხელს მოჰკიდებდა ამ საქმეს, თანაც სხვა პრეფექტურიდან.

¹ იეროგლიფი „თეთრი“ ისევე ეწერს, როგორც იეროგლიფი „კოშკი“ — „სირო“.

² კოტაცუს — თბილისის გასათბობი მაყალი.

— დასანანია, სურათები რომ გაგინადგურებიათ. ნუთუ ერთიც არ დაგიტოვებიათ? — ოდნავი საყვედურით ჰკითხა ინსპექტორმა. უვამ ხელები შუბლზე მიიღო და ჩაფიქრდა...

— დაიცადეთ! ერთი სურათი, მგონი, დაკითხვე. მაგრამ  ათი წელი გავიდა, ვიპოვი კი?..

უკა გაბედულად წამოდგა, დაბამბული კომონო გაფიქრებული კომონოს სახელოები დაიკაპიწა და კედლის კარადაში  შექექა.

8

მთელი საათი იქექებოდა უჯრებში, რა არ გადმოყარა აქიდან, თან ლანძღვა-განებით იკლებდა ცოლს, სანამ არ დაიდრიალა: „აგერ!“ და ფოტოსურათის ქსევით გამოვიდა სტუმრებთან.

ტიუმენძის ტბისა და ხაგზათ ნიშნის „ნიკო-ტიუგუსის“ ფონზე იდგა ორი ჭაბუკი, თითოეული ოცა წლის იქნებოდა. ერთი მათგანი ვიწრო სახისა იყო, საყვლოვანხსნილი პერანგი მოუჩანდა პიჯაკში. ორივენი პირდაპირ ფოტოაპარატის ობიექტივს უყურებდნენ. მათ უკან მოჩანდა მთები და ტბა, რომლის ნაპირას არც ნავი იყო და არც ადამიანი. სადღაც კუთხეში საჩაიუ ჩანდა, მაგრამ ისიც უკაცური. და კიდევ ორი ფოთოლგაცვენილი ხე...

ინსპექტორი ყურადღებით ათვალიერებდა ფოტოსურათს და ვერაფრით ვერ გადაეწყვიტა, ჰქონდათ თუ არა რაიმე კავშირი ამ კორეულსახელებიან ჭაბუკებს ნიკოში მომხდარ შემთხვევასთან.

— სამახსოვროდ გადაუღიათ... ფოტოგრაფი ვინაა? — ჰკითხა უფროს პოლიციელს. ჩაფიქრებულმა უვამ თავი მოიქექა.

— აი რაც არ ვიცი, არ ვიცი... მაშინ რამდენიმე კაცის მიერ გადაღებული ფოტოსურათები მომიტანეს. მათ დაკითხვას მოგვიანებით ვაპირებდი, როცა სურათებს ნივთიერ მტკიცებუებად მიიღებდნენ. უფროსებმა კი უკან დამიბრუნეს, ამიტომ ფოტოგრაფებს აღარ მივებრუნებოვარ. ახლა უკვე ვეღარ გამოვარკვევთ ვისი გადაღებულია სურათები.

ინსპექტორი ჩაფიქრდა. ტურისტებს შორის, რომლებიც ნიკოს ცქერი დასატკობად მოდიოდნენ, ბევრია კორეელი, ამიტომ იმის მტკიცება, რომ მათზე გამოსახული ადამიანები აუცილებლად შემთხვევის მონაწილენი იყვნენ, უბრალოდ უაზრო იქნებოდა. ამასთან ორი ამბავი იწვევდა საფუძვლიან ეჭვს. ჯერ ერთი, ისინი, ვინც მძიმე დანაშაული ჩაიდინა, დატოვებდნენ კია ისეთ სამხილს, როგორიცაა ფოტოსურათი? მეორე, ერთადერთი სურათით ძნელია განსაზღვრო, გადაღებულია თუ არა იგი დანაშაულის ჩადენის თარიღის, ესე იგი 1946 წლის ოთხი მაისის შემდეგ ან მცირე ხნით ადრე. მით უფრო, რომ ფოტოგრაფის პოვნა მეტისმეტად ძნელია.

— ფოტოსურათის მიხედვით, იგი გადაღებულია ან ადრეან გაზაფხულზე, ანდა გვიან შემოდგომაზე, — ვარაუდი გამოთქვა იოსიამ. — ხეები ფოთოლგაცვენილი ღვანან, არ ჩანს არც ერთი ტურისტი.

უვამ სურათს დახედა და თქვა:

— მგონი, მართლაც შემოდგომაა. ერთი მათგანი საყვლოვანხსნილი პერანგითაა. — ...თუ ეს შემოდგომაა, საკითხი თავისთავად მოხსნილია. დანაშაული ჩადენილია ოთხ მაისს, როცა ამ მხარეში ხეები ეს-ესაა იმოსებიან მწვანით.

- მაინც მაოხოვეთ ეგ ფოტოსურათი.
- კი, ბატონო, მიჩუქებია, - გაუღიმა უვამ.

ინსპექტორმა მადლობა გადაუხადა პოლიციელს და ფოტოსურათი ჯიბეში ჩაიღო.

შინ დაბრუნებულმა ფოტოსურათი კ-ს აჩვენა. მან თვალი შეაუღო და განსაკუთრებული ენთუზიაზმის გარეშე თქვა:

- არ ვიცი, გამოგვადგება თუ არა. შეინახე მაინც ფოტო და ვის. - და დაამატა: - ეგებ ერთხელ კიდევ გაემგზავრო ტოკიოს, ომორის რაიონში და კიმ კიონ სიკს ესაუბრო. გესმის - კანესიროს ჩამოუგდო სიტყვა. ტყუილად როდი ახსენეს მისი სახელი იმათ, ვინც ამ საქმეზე მუშაობდა. ვახსოვთ, რა უპასუხეს იქ ჩაკოელ პოლიციელებს? „კანესიროს გვარის კაცი ნადვილად არსებობს, მაგრამ სად არის ახლა, არავინ იცის“. თუ გინდა, დაგვნიძლავები, რომ ეს ცნობები მათ კიმ კიონ სიკისგან მიიღეს.

- რა ვიცი, ეგებ აგრეც იყო... - უნდილად დაეთანხმა ინსპექტორი იოსიდა. - მაშ ხვალ წავალ ომორიში და კიმს გავესაუბრები. მართლაც შესაძლებელია, რომ იგი რაღაც-რაღაცებს შალავს.

დაძაბულმა ძეგნამ ძლიერ დაღალა იოსიდა; გრძნობდა, რომ ქანცი ეღუოდა, როგორც მოცურავეს გრძელი დისტანციის ბოლოს. კიმ კიონ სიკიონ საუბრიდანაც ბევრი არაფერი იყო მოსალოდნელი.

მეორე დღეც ცივი გამოდგა. ინსპექტორი იოსიდა და სერჟანტი ფუკუსიმა შევლინებით გაემგზავრნენ ტოკიოს. ვინ იცის, მერამდენე იყო ეს მივლინება. სად გაქრა სულის ის სიმჩნევე, რომლითაც წინათ მიემგზავრებოდნენ დედაქალაქში! ინსპექტორმა უნებლიეთ შეხედა ვაგონის ფანჯარასთან მიყუფულ ფუკუსიმას და დაინახა, როგორ ჩაცვენიოდა ლოყები, შესაჩნეველ მომატებოდა ნაოჭები.

ომორის უბანში გამოძახებული, გზაში გათიშული კიმ კიონ სიკი მოძლიდნენ პოლიციელებს წარუდგა. როცა ჰკითხეს, კანესიროს იცნობ თუ არაო, კიმმა უპასუხა:

- კანესიროს გვარის კაცი იყო იმათ შორის, ვინც ხშირად მიდიოდა ჩონ ჩე იონთან. იგი რამდენჯერმე ენახე მასთან სახლში, მაგრამ სად არის ახლა - არ ვიცი. მართლაც, კარგა ხანია არ ჩანს.

ეტყობა, კიმს ამაზე მეტი სათქმელი არ ჰქონდა. მისმა პასუხმა ინსპექტორი იოსიდა დაარწმუნა, რომ ჩონ ჩე იონს უნდა სცნობოდა კანესირო. მაგრამ რადგანაც ადრე დაეინებით უარყოფდა თავის მონაწილეობას ჩეკის საქმეში, კანესიროს შესახებ რომ შეკვითხოდნენ ახლა, უფრო იმას უპასუხებდა, რომ არ ვიცნობო. ჩონი კერკეტი კაკალი იყო და მისი გატეხა მხოლოდ უცაღლობელი მტკიცებებით შეიძლებოდა.

მაშინ ინსპექტორს თავში გაუელვა: „რა იქნება, კიმს რომ ფოტოსურათი ვაჩვენო?“ ჯიბიდან სურათი ამოიღო და კორეელს გაუწოდა.

- სიტყვამ მოიტანა და, ამ ჭაბუკებს არ იცნობ?

კიმ კიონ სიკმა უხალისოდ გამოართვა ფოტოსურათი, თითქოსდა ეს საუბარი უკვე მოხეზრდა, მაგრამ დახედა თუ არა სურათის, ვაკვარკებისაგან ვიწრო თვალები დაუმრგვალდა და კინაღამ ფოსოებიდან გადმოუცვივდა.

- კანესირო! როგორ იპოვეთ, ბატონო ინსპექტორო?! - ვაკვარვებით შესძახა კიმ კიონ სიკმა. ინსპექტორმა ყურებს არ დაუჯერა.

— მაშ კანესიროლო, სთქვი?! — შეჰყვირა ინსპექტორმა. — სად არის კანესიროლო? რომელია?

კიმა ფართოსახიან ჭაბუკზე მიუთითა, ტბის პირას რომ იდგა.

— აგერ! ეს არის კანესიროლო!

ინსპექტორი იოსიდას და სერჟანტ ფუკუსიძეს მოეჩვენათ, თითქოსდა მათ ფეხქვეშ მიწა შექანდა.

— ეს ვინაა? — ძლივს ამოთქვა სულშეგუბრულმა ინსპექტორმა.

— მაგას არ ვიცნობ, არასოდეს არ მინახავს, აი ეს კი ზუსტად კანესიროლოა. ეგ კარგად მახსოვს, აქ ცოტა რეტუსით შეუსწორებიათ, თორემ სინამდვილეში ბევრად უფრო საშინელია, პირწავეარდნილი ბანდიტია! — მტკიცედ წარმოთქვა კიმა.

პრეფექტურული პოლიციის საგამოძიებო განყოფილების მთელი პირადა შემადგენლობა შეუდგა ექვმიტანილთა ძეხვას: მაძებრებმა დაჰკითხეს ტოკიოს სამი გარეუბნის — ომოროს, კაძატისა და კავასაკის მოსახლეობა.

ხოლო ინსპექტორი იოსიდა სერჟანტ ფუკუსიძეს თანხლებით მეორე დღეს გაემგზავრა ნიკკოში: ძალზე ციოდა, ქარბუქი მძვინვარებდა. უმაგაესეში საბაგირო გზით გაემართნენ სადაც, მათ გარდა მგზავრი არ აღმოჩნდა.

მიუხედავად საძაგელი ამინდისა, ინსპექტორი თავს ბუნდვრად გრძნობდა. ახლა მათთვის ცნობილია, როგორ გამოიყურება კანესიროლო, როგორც იქნა, იპოვეს კავშირი ძასა და ნიკკოს, დანაშაულის ადგილს შორის. მთავარი დამნაშავე, როგორც ჩანს, კანესიროლო... სურათზე მეორე ჭაბუკი აშკარად თანამონაწილეა, თუმცა კიმ კიონ სიკი ამტკიცებს, რომ მას არ იცნობს.

გამოსაცნობი იყო კიდევ ერთი — სურათის გადაღების თარიღი. თუ სურათის ოთხ მაისთან დაკავშირება მოხერხდა, როცა ეს ყველაფერი მოხდა, მაშინ იგი უცილობელი სამხილი იქნება. ინსპექტორი ნიკკოში იმიტომ მიდიოდა, რომ ფოტოგრაფის სახელი დაედგინა, მაგრამ ძალიან აწუხებდა ის ამბავი, რომ ამ ათ წელიწადში შეიძლება ბევრი ცვლილება მომხდარიყო. ეგებ ფოტოგრაფი აღარ ცხოვრობს ნიკკოში ან საერთოდ გარდაიცვალა? კიდევ რომ იპოვოს, შეძლებს კი იმ კაცის ცნობას, რომელიც რამდენიმე წლის წინათ ნახა.

ისინი ტიუძენძის სადგურიდან ტუგუსისკენ მიმავალ გზას მიჰყვებოდნენ, ქარბუქი კი სულ უფრო ძლიერდებოდა. ოთვლი უკსებდათ თვალებს. ტბიდან მონაბერი ძლიერი ქარი სუნთქვას უკრავდათ, ორი პოლიციელი წელში წახრილი მიჩანჩალებდა, გზად ხან ერთ ფოტოატელიეში შეივლიდნენ, ხან მეორეში.

ოთხმა ფოტოგრაფმა, რომლებიც მოინახულეს, ქალაქის, გადაღების ტექნიკისა და იმ ადგილის მიხედვით, სადაც სურათი იქნა გადაღებული, ვარაუდი გამოთქვა, რომ სურათს გადაიღებდა ომურა-სანი, რომელიც ტაიგუსის მიღმა ცხოვრობდა. დარჩენილი გზა პოლიციელებმა ქარბუქში თითქმის ფორთხით გაიარეს.

ომურა ხანში შესული, ასე სამოცი წლის კაცი გამოდგა. სურათს რომ დახედა, თქვა, რომ მართლაც იხმარა ასეთი ქალაქი, მაგრამ სხვა ევრაფერი გაიხსენა. „ეგებ ცოლმა იცოდეს...“ — ივარაუდა მან.

— ათი წლის წინათ, როცა ქმარი ავად იყო, მართლაც ვმუშაობდი ამ ადგილას. შესაძლოა, მე გადავიღე, მაგრამ ეს ისე დიდი ხნის ამბავია, რომ, რა თქმა უნდა, არ მაგონდება, რა დროს გადავიღე, — თავი გააქნია ფოტოგრაფს ცოლმა.

ნეგატივი რომ მოვიკითხეთ, გადავადგო, თქვა. მოკლედ, არავითარი ხელ-
ჩასაჭიდი არ აღმოჩნდა. მართალია, გამოვარკვიეთ, რომ მაისში ამ ადგილებში
ჯერ კიდევ საკმაოდ ცივა; ამიტომ სურათზე აღბეჭდილი უკაცური პეიზაჟი საქ-
სებით შესაძლებელია გაზაფხულისა იყოს. სერჟანტი ფუკუსიმა ამშვიდებდა
ინსპექტორს:

— რაკი ჩამოვედით, მოდი, ჩამოვუაროთ ხალხს, მოვუსმინოთ, რაკობენ ამ შემთხვევაზე... ეგებ საინტერესო რამ გავიგოთ...

ორივე პოლიციელი კვლავ გაჰყვა დათოვლილ გზას.

მათ ორი დღე დაჰყვეს ადგილობრივი მოსახლეობის გამოსაკითხად, ღამეს
სასტუმროში ათევდნენ. უმრავლესობას, ვისაც ისინი შეხვდნენ, ახლაც მიაჩნდა,
რომ ეს მკვლელობა იყო. ადვილი წარმოსადგენია, რა საშინელი ხმები გავრ-
ცელდებოდა „ასიოიაში“ დანაშაულის ჩადენისთანავე.

ამ ამბების მიზეზი, როგორც გამოირკვა, ის ამბავი იყო, რომ იმ დღეს სას-
ტუმროს ახლოს უსაქმოდ მოხეტიალე უცნობი ადამიანები უნახავთ. თუმცა,
ვერავინ ვერ თქვა, მაინც ვინ ნახა ისინი, მაგრამ პოლიციელები არ ისვენებ-
დნენ. როგორც ხშირ ბარდებში, ისე დაძვრებოდნენ და სხვადასხვა ხმების
წყაროს ეძებდნენ.

მხოლოდ მესამე დღეს მიაღწენ სუმიკო იანაგიჰარას, ქმრიან ქალს,
რომელიც 1946 წელს ჩეიდმეტოდე წლისა იყო. აი რა უამბო მან:

— წინაღობით, საღამოს შვიდ საათზე, როცა საბავირო გზის უკანასკნე-
ლი ვაკონი გავიდა, ტრაქტორ „ასიოიაში“ ორი კაცი შევნიშნე, ასე ოცდა-
ხუთი წლისანი, რომლებიც მაგიდასთან საკვს სვამდნენ. გვერდით რომ ჩავუარე,
შემომიჩნდნენ და ათასნაირ სისაძაგლეს მეუბნებოდნენ.

შემდეგ „ასიოიაში“ მთელი ოჯახი დაიწვა. პოლიცია ამტკიცებდა, რომ
მათ თავი მოკლეს, მაგრამ ქალაქში დაჟინებით ამბობდნენ, ეს მკვლელობააო.
მაშინ გამახსენდა ის ორი კაცი, რომლებიც მეტისმეტად საეჭვოდ მეჩვენენ, და
მათ შესახებ მშობლებს ვუამბე. სწორედ ამიტომ დამამახსოვრდნენ კარგად.

სუმიკოს რომ მოუსმინა, ინსპექტორმა ფოტოსურათი აჩვენა მას.

— ეს ჭაბუკები თუ გინახავს ოდესმე?

თვალი შეავლო თუ არა სურათს, ქალმა შესძახა:

— აი ეს არის! მაშინვე ვიცანი, რა საშინელი ვინმეა! ო, ნამდვილად ის
არის.

სუმიკომ კანესიროზე მიუთითა.

9

— ამგვარად, როგორც იქნა, მივიღეთ მტკიცება, რომ იმ დღეს კანესირო შემ-
თხვევის ადგილას იყო. ბევრი ვიწყალებთ. სანამ მას მივაკვლევდით. თუმცა
ტყუილუბრალოდ არ გავრჯილვართ. — თქვა კმაყოფილმა უფროსმა ინსპექ-
ტორმა იოსიდამ. მისი ვრცელი თხრობის დროს საგამომძიებო განყოფილების
უფროსი კ. გვარიანად გამოთვრა საკვს სმით, მაგრამ ეს სულაც არ უშლიდა
ხელს მშვიდად ესმინა თავისი ხელქვეითისათვის.

— მაშ გამოვარკვიეთ დამნაშავეის პიროვნება? — ვკითხე მე.

— გამოვარკვიეთ, — მიპასუხა უფროსმა ინსპექტორმა და საქალაქში
ჩაიხედა: — კანესიროს ნამდვილი სახელია პაკ იოლ კინი. ბნელი წარსულის
მქონე კაცია. 1946 წლიდან შეიღჯერ იყო დაპატიმრებული სხვადასხვა დანა-

შაულისათვის — პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა, ხულიგნობა, გამოძალ-
ვა, ნარკოტიკები... ხმა დადიოდა, რომ სადღაც კავასაკიში ცხოვრობდა.

ასევე დადგინდა სურათზე გამოსახული მეორე ჭაბუკის სახელი. იგი გა-
მოდგა ვინმე ტაკაიამა. 1946 წელს ოთახი ჰქონდა დაქირავებული ჩონ ჩე იონის
მახლობლად მდგარ სახლში და პროდუქტებით სპეკულაციას ეწეოდა.

მოსახლეობის გამოკითხვით გაირკვა, რომ ასე ხუთი წლის წინათ ტაკაიამა
პოდოგაიამა¹ ენახათ. იქ ჩატარებული საიდუმლო შეხვედრის შედეგად ცნობი-
ლი შეიქნა მისი ნამდვილი სახელი — ცოი კი ჩხე; თურმე სამი ნასამართლობა
ჰქონია.

— რა თქმა უნდა, მაშინვე დააპატიმრეთ?

— რას ბრძანებთ, ჯერ ხომ უნდა გვეპოვნა. გამოვაცხადეთ ძებნა: გამოი-
კვა, რომ 1953 წლის დეკემბერში, წელიწად-ნახევრის ვადის მოხდის შემდეგ
ცოი გაათავისუფლეს კუნძულ პოკაიდოზე მდებარე ობიჰიროს საპატიმროდან.
კერძო რეწვის ადგილობრივ ასოციაციაში შეკადა და მუშაობდა მშენებლობაზე.
1954 წლის გაზაფხულზე ასოციაციაში მიიღო ფული საგზაო ხარჯებისათვის,
რათა გამგზავრებულიყო ასიიოროში² და ემუშავა მშენებლობაზე. მას შემდეგ
ცოის შესახებ არავის სმენია რამე.

ცოი ვეძებთ კავასაკიში, გულდასმით შევამოწმეთ დედაქალაქის რაიონები
იტაბასი და სინძიუკუ, მაგრამ მისი იქ ყოფნის კვალი ვერ აღმოუჩინეთ. ბოლოს
და ბოლოს მიუვლით დასკვნამდე, რომ ცოის, შესაძლოა, საერთოდ არ დაუტო-
ვებია პოკაიდო.

— მერე?

— ზუსტად მაზანში მოვახვედრეთ. ცოი კოკაის რაიონში დაეხეტებოდა
და ადგილობრივმა პოლიციამ დააკავა.

— კი მაგრამ, კანესირო?

— მას შემდეგი რამ გადახდა თავს, ძებნას არავითარი შედეგი არ მოჰყო-
ლია. დადგა გაზაფხული, მერე ზაფხული მოვიდა. ჩვენ თითქოს ბევრი რამ
ვიცოდით დამნაშავეის შესახებ, თქითონ კი ვერაფრით ვერ ვიპოვეთ. ფეხება
დაგვაწყდა. ისეთი ვერსიაც კი გაჩნდა, თითქოს იგი სამშობლოში დაბრუნდა.

ერთხელ მორიგი მივლინებით ხელცარიელი ვბრუნდებოდი ტოკიოდან.
ელექტრომატარებელში ჩაუჯექი, რათა შემდეგ უენოს მატარებელში გადავმჯ-
დარიყავი. ახლახან ნაყიდა საღამოს გაზეთი გავშალე და იმწამსვე მივაქციე
ყურადღება შენიშვნას პოლიციელთა მიერ კავასაკიში ბანდიტების წინააღმდეგ
ჩატარებული ოპერაციის შესახებ. ვკითხულობ და თვალს არ ეუჯერებ — და-
პატიმრებულთა სიაში წერია გვარი კანესირო (იგივე პაკ იოლ კინი). დაუყოვნ-
ებლივ გავემურე კავასაკიში. ასე რომ, ეს გაზეთი რომ არ მომხვედროდა თვა-
ლში, დამნაშავეის ძებნა კიდევ დიდხანს გასტანდა.

— კანესირო ჩქარა გამოტყდა?

— სულაც არა. როცა დაკითხვაზე სთხოვეს დაწერილებით მოეთხრო ბი-
ოგრაფია, ათასნაირად მაღავედა ომორიში თავისი ცხოვრების ამბავს. ხოლო მე-
გობრების ჩამოთვლისას კანესიროს არც მოუხსენებია ტაკაიამა. შემდეგ ნიკ-
კოს შესახებ ჰკითხეს. მან უარყო, რომ იქ იყო ნამყოფი.

¹ პოდოგაიამა — იოკოჰამის სამრეწველო რაიონი.

² ასიიორო — პატარა ქალაქი კუნძულ პოკაიდოს აღმოსავლეთით.

პირველ დღეს დაკითხვა ამაზე შეწყვიტეს და აქტი შეადგინეს. მაგრამ რომ ვაკვირდებოდი, რა გულმოდგინედ უვლიდა გვერდს ეჭვიმიტანილი ყველაფერს, რასაც კავშირი ჰქონდა ნიკკოსთან, სულ უფრო მიმტკაცდებოდა აზრი, რომ ჩემ წინ მთავარი დამნაშავე იდგა.

მეორე დღეს მას ნამდვილი დაკითხვა დაუწყეს. კანესირო თავდაპირველად მკვირცხლად უპასუხებდა შეკითხვებზე, მაგრამ რაც უფრო ვუახლოვდებოდი, მით უფრო იბნეოდა, მერე თავი ჩაღუნა და საერთოდ შეწყვიტა ლაპარაკი.

მამინ ძე ვუთხარი: „ჩვენ ხელთა გვაქვს ყველა სამხილი“, და ვაჩვენე ფოტოსურათი, სადაც თავის მეგობართან ერთად იყო გამოსახული ტიუძენძის ტბის პირას. მოულოდნელობისაგან კანესირო გაფითრდა — არაფრით არ ფიქრობდა, რომ ამ სურათს ჩვენს ხელში ნახავდა. მამინეუ მიხედა, რა ყოფაშიც ჩავარდა. აქამდე ხომ დაყინებით იმეორებდა, ნიკკოში არასოდეს არ ვყოფილვარო.

— ახლა ხომ მაინც უნდა ეღიარებინა?!

— ასეთი თავზარდამცემი დარტყმის შემდეგ ძნელია არ გატყდეს კაცი. ჩვენ კარგა მაგრად ვისაუბრეთ, და საღამოს ოფელში გახვალქული კანესირო ყველაფერში გამოტყდა.

— რა თქმა უნდა, გამარცხა?

— ცხადია. კანესირო და ტაკაიაძა დიდი ხნის მეგობრები იყვნენ. 1946 წლის აპრილის დამლევს ვაბუჯებმა ვიდაციის ძროხა დაკლეს და ხორცის დუქანს მიჰყიდეს. მათ მხილება ემუქრებოდათ, ამიტომ ერთად გაიქცნენ. ორ მაისს ისინი ნიკკოში ჩამოვიდნენ, რაღაც უნდა დასჯდომოდით, უნდოდით ერთხელ მაინც ჩამოსულიყვნენ ამ თვალწარმტაც ადგილებში.

მათ ნიკკოში დამე გაათიეს, სამ მაისს ისეირნეს ტიუძენძის ტბის პირას. ფოტოგრაფი ოძურას მუღღღემ ისინი დაითანხმა სამახსოვრო სურათი გადაეღოთ. მათაც გადაიღეს, რადგან არაფერი ჰქონდათ განზრახული. ჩვენ ხომ თავდაპირველად უცნაური გვეჩვენა, დამნაშავეებმა სურათის გადაღება რომ გადაწყვიტეს. ახლა კი ყველაფერი ნათელია.

სურათი საღამოს შხად უნდა ყოფილიყო, მაგრამ „ტურისტებს“ აღარ შეუვლიათ მისთვის, თუმცა შეპირდნენ. ასე დარჩა სურათი ფოტოატელიეში.

სასადილოდ ბანდიტები სასტუმრო „ასილიაში“ შევიდნენ. იქ მათი ყურადღება მიიპყრო საკასო აპარატმა, რადგან ფული ცოტალა დარჩენილათ, მოილაპარაკეს, რომ დამე სასტუმროში გაეთიათ და ფინანსების საქმე აქვე გაეუმჯობესებინათ.

სასადილევს იუმოტოს ცხელ წყაროებზე გაემგზავრნენ, იქ აბაზანებში გათბნენ, საღამოს, ვითომც აქ არაფერი, ისევ მოვიდნენ სასტუმროში და მეორე სართულზე ოთახი დაიქირავეს. სწორედ მაშინ ჩახრახნა სასტუმროს პატრონმა ნათურა მათ ნომერში.

ღამის ორი საათი დაიწყო, დანაშაულისთვის მზადებას შეუდგნენ და მოილაპარაკეს: თუ ვინმემ დაგვაბეზლა, მამინეუ გავასაღოთო. პირველი კიბეზე დაეშვა კანესირო, მას მიჰყვა ტაკაიაძა. სამზარეულოში გავიდნენ და თაროდან ხორცის საჭრელი დანები აიღეს, ასე თხუთმეტი სანტიმეტრი სიგრძისა... შემდეგ ფეხაკრეფით გავიდნენ სამზარეულოდან.

— და რომელიღაც შინაურს გაეღვიძა?

— როცა საკასო აპარატის გამოშიგენას შეუდგნენ, მან მოულოდნელად გა-

იწკარუნა. ტაკაიამას შეეშინდა და ერთბაშად გაუშვა ხელი. საწოლ ოთახში ხმაური გაისმა — ვიღაცას გაელეიდა. მძარცველებმა გადაწყვიტეს, შეგვნიშნოსო, ოთახში შეცვივდნენ და ზედიზედ ამოხოცეს გენიტის ოჯახის წევრები.

მარტო თერთმეტი წლის ბუნიტიმ შეძლო ოთახიდან გაძრწევა და სირბილით გაჰყვა დერეფანს, თან ყვიროდა: „ნუ იხამ, ბიძიკო, ნუ იხამ!“ მძარცველები ბიჭს გამოუდგნენ. ტაკაიამა უკნიდან სწვდა ორჯერ ხელში, ხოლო კანესირომ ერთი მოქნევით გამოლაღრა ყელი. მერე იპოვეს ტყვიის ფული, ტანისამოსი და დანაშაულის კვალის დასაფარავად ცეცხლს მისცეს სახლი. „ასითია“ აღში გაეხვია. ყოველი მხრიდან მოცვივდნენ ადამიანები; ამიტომ ბანდიტები ბურქებში ჩასხდნენ და ელოდნენ, როდის მიწყნარდებოდა იქაურობა. საბაგირო გზის გაყოლებით ხეობას ჩაჰყვნენ, დილით კი ნიკკოს სადგურზე მატარებელში ჩასხდნენ და კურორტ ატამისკენ გაემგზავრნენ...

— ჩეკს რაღა უყვებს?

— მრავალი ადგილის შეცვლის შემდეგ დამნაშავენი ერთმანეთს დამორდნენ. ხოლო ორი თვის შემდეგ კანესირო ტოკიოში დაბრუნდა, სადაც გადაწყვიტა ჩეკის ფული აეღო. მან ამის გაკეთება სთხოვა თავისი მეგობრის კანეიამას ცოლს — კიმ მან იონს, რომელიც ჩონ ჩე იონის მეზობლად ცხოვრობდა. ქალმა, თავის მხრივ, ჩეკის რეალიზება ჩონის ცოლს პაკ კიონ სუნს სთხოვა.

— ოჰო! ახლა გასაგებია... ეღონდ, დასანანია, რომ, მიაღუქით რა კანეიამას და გქონდათ ისეთი ხელჩასაჭიდი, როგორიცაა წარწერა: „ბატონ კანეიამას საზღაური ალუმინის ნამზადისათვის“, თქვენ ვერ შესძელით გამოგვეყენებინათ ეს შანსი...

— აქ შეცდომა დაუშვით. თუმცა, მოიცათ! თვითონ კანეიამამ არაფერი იცოდა ჩეკზე, ყველაფერი ცოლმა მოიმოქმედა მის მაგიერად. კანეიამასა და ჩონ ჩე იონის ოჯახები ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობდნენ, მათი ცოლები მეგობრები იყვნენ, პოდა, შეთანხმდნენ კიდევ და მაინც, კანეიამა სათანადოდ რომ დაგვეკითხა, მის ცოლს მივადგებოდით. ჩვენ კი ზერულე დაკითხვა ჩავატარეთ და დავისაჯეთ კიდევ: შორი გზით გავწიეთ მიზნისაკენ.

— მაშ, ჩონ ჩე იონის ყოფილმა ცოლმა — პაკ კიონ სუნმა — იცოდა ჩეკის ამბავი, თუმცა უარყო ეს?

— რა თქმა უნდა, იცოდა. ქალს რომ იგი საბუღალველი ქმრისგან, ჩონ ჩე იონისგან მიეღო, აუცილებლად გვეტყოდა. მაგრამ საქმე სწორედ ისაა, რომ ჩეკი მას გადასცა მეზობელმა ქალმა, კანეიამას ცოლმა, ამიტომ მოგვატყუა, მეგობარი არ გასცა. მის გამო მთელი ექვსი თვე დაკარგეთ.

— მაშ სირო არაიმ რატომღა გამოიგონა თავისი თანამონაწილე, კანეკო, და ცრუ აღიარებასაც კი მიმართა? — ვკითხე შემცბარმა.

— მე უკვე ვიქვი, რომ არაის მობეზრდა სატუსალოში დიდხანს ყოფნა, პოდა გადაწყვიტა, „გართობილიყო“. ნიკკოში მომხდარ მკვლელობაზე არაიმ ადრინდელი თანამესაკნისგან გაიგო. როცა საამისო დრო დადგა, გაახსენდა, ნიკკოში მომხდარი შემთხვევის ამბავი და დანაშაული თვითონ დაიბრაღა, თან სიმართლე და გამოწავონი, თავისი ნამდვილი და წარმოსახვითი დანაშაული ერთმანეთში აურიოა.

ხოლო კანეკო, მისი ნათქვამის მიხედვით, თავის თანამონაწილედ გაასაღა, რადგან ოდესღაც ქალის გულისთვის წაეჩხუბა და გადაწყვიტა პოლიციის

მეშვეობით მასზე შური ეძია. მას ეგონა, რომ კანეკოს დავაპატიმრებდით. წარმოვიდგენიათ, კინალამ ამ არამზადის ანკესზე არ წამოვეგეთ!

— თუ იმაზე ვილაპარაკებთ, ვინ დაუშვა შეცდომა, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ნიკკოს პოლიციის უფროსი. იგი მხოლოდ იმაზე ზრუნავდა, რომ თავისი რენომე შეენარჩუნებინა. ვითომ ხშირად ხდება ასეთი რამ? — ვკითხე მე.

აქ კი საუბარში ჩაერია კ. და ოდნავ მოღუშულმა მიპასუხა:
— სამწუხაროდ, ასეთი რამ მომხდარა ხოლმე, მაგრამ მომავალში უკვე მომხდეს უბის მეცნიერული მეთოდების განვითარებასთან ერთად, ვფიქრობ, იშვიათად შეგვხვდება.

ეტყობა, ოპტიმისტური პასუხის გაცემა კ.-ს საკმაოდ გაუძნელდა. გამომძიებელი ღმერთი არ არის და, არც შეცდომისგანაა დაზღვეული. მაგრამ საქმე სულ სხვა რამეს ეხება: ბოროტების ფესვი მაკნე ამბიციებშია, ხოლო პოლიციის ზრუნვას თავისი სახელის შენარჩუნებაზე გამოძიება ხშირად გაუყვანია ცრუ გზაზე. განსაკუთრებით პროვინციაში. ერთი სიტყვით, მე სკეპტიკურად მოვეკიდე კ.-ს ნათქვამს.

— და მაინც აუცილებელია ვაღიაროთ, რომ თქვენ ცუდად არ გიმოქმედათ, — წარმოვთქვი მე. კ.-მ, რომელიც ამ საქმისათვის პოლიციის სამმართველოს პრემიით დააჯილდოეს და დააწინაურეს, ინსპექტორ იოსიდას გადახედა და შემცბარი ღიმილით თქვა:

— რას ბრძანებთ, დაუდევრად ვმოქმედებდით — მთელი ყურადღება ჩეკზე გადავიტანეთ და თვალს ვადევნებდით, როგორ გადადიოდა ეს ქალაქი ხელიდან ხელში. მთავარი მაინც ფოტოსურათი აღმოჩნდა, რაზეც ჩვენ არც ვკვიფდით. თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენი იოსიდას შეუპოვრობა რომ არა...

— ჰო, ბლომა ოფლი ვღვარეთ. ერთ წელიწადზე მეტი მივახარჯეთ ამ საქმეს. მერედა, როგორ გაგვეხარდა, როცა ყველაფერს მოვრჩით, — მაშინვე დაგვავიწყდა, რა ფასად დაგვიჯდა ყოველივე ეს. ისეთი გრძნობა გვქონდა, თითქოს დაღუპულთა სულები მიგვიძლოდნენ მიზნისაკენ.

ასე დამთავრდა ნიკკოში მომხდარი დანაშაულის ამბავი, უფროსმა ინსპექტორმა იოსიდამ დახურა საქალაქი.

სანამ მის ვრცელ თხრობას ვუსმენდი, შებინდდა. გუბურის მოსარკულ ზედაპირზე საღამოს ღრუბელთა ჩრდილები გამოჩნდნენ, რესტორანში სინათლე აინთო, დაბერა ქარმა. მე მაგიდიდან წამოვდექი.

„იყო კიდევ ერთი კაცი, რომელიც დაეხმარა თავისი შეუპოვრობით, — ვავიფიქრე, როცა უკან ვბრუნდებოდი, — ჰო, ბერი რომ არ ყოფილიყო“...



ანგელუს სილუზიელი

ქერუბიმული მოგზაური

ლიქსად ტქმული მანვილგონივრული



ქართული
ბიბლიოთეკა

გერმანულიდან

თარგმნა მარია ისოვრელია

გერმანელი ნისტიკოსი პოეტი ანგელუს სილუზიელი (1624-1677) რელიგიური შინაარსის ორტაქტიანი ლექსის ოსტატია. — ამ სახელით გახდა ცნობილი იოჰანეს შეფლერი, რაც ლათინურად აიღვხიელ მოციქულს ნიშნავს.

1657 წელს ანგელუს სილუზიელი აქვეყნებს ლექსების კრებულს „ლექსად ტქმული ნახვილგონივრული აზრები“. ეს წიგნი ლიტერატურის ისტორიაში შესულია „ქერუბიმული მოგზაურის“ სახელით, რომელსაც დიდი აღიარება მოჰყვა და სხვადასხვა ენებზედაც ითარგმნა.

„ქერუბიმული მოგზაური“ ტრაქტატის ხასიათს ატარებს. ლექსებში გატარებული ურთიერთაწინააღმდეგო აზრების გამო მკითხველი სიძნელეება აწყდება: ანის ნიადაგზე იზადება ფრიად ავეკვო და საკამათო შეხედულებები... სამყაროსა და ადამიანის ურთიერთკავშირი, უფილთან შეერთება, ღვთაებრივი მსგავსება, გაღმერთება, თითოეული ადამიანის ღირსების აღიარება, აი, ეს იქნება, რომლებიც საეკლესიო დოქტრინება ერთგვარად სცილდება და ნის თავისუფალ პოეზიაში წაიშობინდება.

„ქერუბიმული მოგზაურის“ ექვსი წიგნიდან ჩვენ მიერ წარმოდგენილია პირველი წიგნი, რომლის გაცნობა ქართველი მკითხველისათვის, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება.

მთარგმნელი ანგან

რანიც არს წმინდა, იგი არს უკვდავ

სუფთა, ვით ბაჯალლო, მტკიცე, ვით კლდე სალი,
წმინდა, ვით კრისტალი, იყავნ სული შენი.

მუშდრო სავანე, მარადიული

ზრუნავს მავანი თვისის თავის დამარხვაზედა,
სურინ შეუშკონ სარკოფაგი ძეგლით მდიდრულით.
მე კი არ ვიღვწევა ამქვეყნიურ სიღიაღისთვის: საფლავსა ჩემსა,
ღვაწლსა ჩემსა და ტანტრევეანდსა,
სად საუკუნოდ განვისვენებ, უნდა ეწოდოს იესოს გული.

მთელი არსებით ღვთიურნი იყვენენ

უფალო, მე არა მკმარის შენსა მიმართ მსახურება ანგელოსური,
ვყვავილოვნდები ღვთაებრივი სრულქმნილებით მარტოდენ შენთვის:
ძლიერ ცუდად ვარ, სულით ვმწირდები:
რომელსა უნდეს ჭეშმარიტად შენ გემსახუროს, ღვთიური იყოს
მთელი არსებით.

არა უწყინან, რანი არიან

არ ვუწყვი, ვინ ვარ. მე ის არა ვარ, ვუწყვი მე რაიც:
 ექნებ რაიმე საგანი ვარ, ან ისიც არა. — არცა წერტილი და
 არცა წრეი.



იმაღ უნდა გარდაიქცე, რაიც არს ღმერთი

ოდეს შთავწვდები ჩემსა აღსასრულს და პირველ საწყისს,
 ღმერთში შევალ და ღმერთი ჩემში დაისადგურებს.
 იმაღ ვიქმნებით, არს იგი რაიც: ნათელი ნათელში,
 სიტყვა სიტყვაში და ღმერთი ღმერთში.

ღვთისა უცნობის წყურვილი კალავდით

სად ვეძიო სამყოფელი ჩემი? ნეტავი სად ვიმყოფები,
 ან შენ სად სუფევ?
 სად არის ჩემი დასასრული, რომელშიც უნდა შევიდე ბოლოს?
 მივალ საიტკენ? იტიკენ აღბათ, სად ვერვის კპოვებთ.
 ღვთისა წყურვილით მეუდაბნოდ გავიმართოვებ.

მე არასოდეს მტოვებს უფალი

ვიცი, წამითაც არ დამტოვებს ჩემი უფალი,
 არარაობად ოდეს ვიქცევი, მე, შეჭირვებულს, სულს შთამბერავს,
 აღმომაცენებს.

მე ღვთით მეძლავა და ღმერთსა ჩემგნით

რამეთუ ღმერთი ნეტარი არს და სუფევს იგი თავისდათავად,
 ჩემგნით მიითვლის მხოლოდ იმას, რასაც თვით მაძლევს.

ვარ ვით უფალი, და არს უფალი ვით მე

რა დიადი ვარ, ვითარცა ღმერთი: და რა მცირე არს იგი ჩემსავით,
 არ ძალუძს ყოფნა მას ჩემს გარეშე და უმისობა არ ძალმიძს არც მე.

უგმოსულია ჩემში უფალი და მე მასში ვარ

ცეცხლივით იგი ჩემში გიზგიზებს, მე ვნათობ მასში:
 არა ვართ ერთნი ჩვენ შინაგანად?

ადგილისა და დროის უგზრძნება

ადამიანო, როს სული შენი დროსა და ადგილს ზედ დასტრიალებს,
 ამა ზედვითა შენ შევიძლია, რომ შეუერთდე მარადისობას.

ქე აღამისა არს მარადიული

მე თავად ვარ მარადიული, როდესაც მე დროს გადავაბიჯებ,
დაისადგურებს ჩემში უფალი და მე უფალში დავემკვიდრები.

არს ქრისტიანი ისე მდიდარი, ვითარცა უფალი

მდიდარი არის საუფლო ჩემი, ვითარცა ღმერთის,
მტვრის ნაწილაკშიც ღვთიურს ვხედავ (მერწმუნე, კაცო).

ღვთის თაობაზედ

თუკი რამ თქმულა ღმრთისა მიმართ, იგი არ მკმარის:
ღმერთზედ ღაღადებს ცხოვრება და სინათლე ჩემი.

სიყვარული მორჩილებს უფალს

არ უნდა უფალს, რომ შემაცნოს თავისი თავი,
ამიტომაც მსურს, რომ მას მხოლოდ ღრმა სიყვარულით
დავემორჩილო.

ქრისტიანი არს ქეი უფლისა

მეც უფლის ძე ვარ და მჯდომარე გვერდითა მამის:
და სული მისი, ხორცი მისი და სისხლი მისი განკაცდა
ჩემთვის ღვთის სადიდებლად.

მე ღვთისა ღარად ვაკეთებ ამას

თავს ვურჩევნივარ მე ჩემს უფალს, მეც თავვანსა ვცემ მის ღიღებას
ჩემს თავზედ მეტად:
და მეც იმდენსვე მივაგებ ღმერთსა, რამდენსაც იგი მე მიწყალობებს.

იგი არს ღმერთი, რაიც მას სურინ

არს საოცრება ღმერთი ჩვენი: არს იგი ისა, სურინ მას რაიც,
და სურს მას იგი, რაიც არს თავად: დაუსაბამო და უსასრულო, —
არ უწყის ზღვარი.

თავად არ იცის უფალმან ზღვარი

უფალი არის უსასრულო, თვალშეუდგამი (ირწმუნე, კაცო), სცანი
გონებით,
იგიც თვის სასრულს, სასრულს ღვთაებრივს ვეროდეს ჰპოვებს.

როგორ მკვიდრდება უფალი ჩვენში

ღმერთი მკვიდრდება საძირკვლის და ფუძის გარეშე, საზომი მისი
არს მარტოდენ უსაზღვროება.

და თუ შენც სული ხარ უფალი ღმერთის თანმდევი, ამას მიხედები,
ადამიანო.

შეუცნობლადაც უხვართ კაცთ ღმერთი



მიყვარს მხოლოდ, ის ერთადერთი და არა ვუწყვი, რაი არს ეგვიპტის
რადგან არ ვუწყვი, რაი არს იგი, ამოვირჩიე ამიტომ იგი. გიგლიძისთვის

და წარმავალის სიხვარული უარჰყო კაცთა

შენ რაიც ვიყვარს, ადამიანო, ამ ქვეყანაზე, არ არს მუდმივი
და წარუვალი,
ეს სიყვარული არ არს ღვთიური, მაშ, დაივიწყე და დაუტევე
იგი ყოველი, რასაც შენ ეტრფი.

შეუძლებელი შესაძლებელი

ვინც არას ნატრობს, არარაი აქვს, არარა უწყის, უყვარს არარა,
არ სურინ არც რა.
მას აქვს, მან უწყია და უსასრულოდ უყვარს მას იგი.

უაზრობა

ვარ სულიერი საგანი ერთი, თუმც ძალმიძს ვიყო მე უაზრობაც.
ის, რაც აქ არის, ყველასათვის გასაგები კი არა და მდაბიო რამედ,
ჩვეულებრივად გარდაიქცევა.

დროება არის მარადისობა

დრო მარადისი არის მარადის და მარადისი არის დროება.
თუ არ მოძებნი ამათ შორის სხვაობას შენვე, დრო არს
უსრულ — მარადისობა.

ტაძარი ღვთის და საკურთხეველი

უფალი თვით არის შეწირული მსხვერპლი ღვთისათვის:
და ყოველ წამსა
მე ვარ უფლის ტაძარი და საკურთხეველი, და ოდეს მიძინავს,
განისვენებს უფალი ჩემში.

სიმშვიდე არის უმაღლესი სახიერება

სიმშვიდე არის უმაღლესი სახიერება: რომ არ ყოფილიყო უფალი
მშვიდი,
მე თვალს ვერც კი გავახელდი.

ღვთის ტახტკვანი

შენ ეკითხები ჩემს მაცხოვარს, სად მოუჩინა ღმერთმა თვისი
 საბრძანებელი.
 იგი არს იქა, სად მეუფემ მხოლოდშობილი ძეი თვისი დაბადა შენში.

მსგავსება ღვთისა

ვინაც მუდმივად სიზარულშია, აუტანია ვნებათაღელვას ან
 ტკივილში შთება,
 ის ვერასოდეს ვერ შეიძლებს, რომ მიემსგავსოს უფალსა ღმერთსა.

სულიერი მდოგვის მარცვალი

მდოგვის მარცვალი არს სული ჩემი, და მას დანათის თავს
 მზეი თვისი,
 და სული ჩემი უფლისა მსგავსად ხარობს, ნეტარობს.

სიმშვიდესი არის სიქველე

ადამიანო, როს კეთილ საქმეს მხოლოდ შრომით და გარჯით აკეთებ,
 სიქველისაგან შენ ჯერ შორსა ხარ, ისწრაფვი.

სიქველე სრული

სიქველე უნდა თავად ვიყო, და არ ვეძებდე შემთხვევას,
 როდის ვაკეთო ქველი საქმენი.

ჩვენში არს წყარო

არა გაქვს ნება ევედრო უფალს, რამეთუ წყარო მაცოცხლებელი
 მან ამთავითვე შენში დაბადა.
 და თუ სათავეს არ ჩაუკეტავ, იდენს მარადის.

უნდოგლობა შეურაცხუფს უფალს

თუ უფალს უნდოდ მოეკიდები, და შენზედ ზრუნვას მას არ მიანდობ,
 ნუ იფიქრებ, რომ ამით უფალს არ შეურაცხყოფ.

უპლურებაში უფალი მოიპოვება

ვინაც არს კოჭლი, ვინაც არს ბრმაი,
 იგი მოიქცეს უნდა იმგვარად, რომ მოიპოვოს უფლისა მადლი.

საკუთარი ძიება

თუ უფალს ეძებ მხოლოდ შენი სიმშვიდისათვის, მაშინ მართადა
 არ იქნები.
 შენ შენ თავს ეძებ და არა უფალს, ბავშვი ხომ არ ხარ,
 შენ ხარ მსახური.

სხეული, სამშვიდველი და ღვთაებრიობა

სამშვიდველი არის კრისტალი, ღვთაებრიობა მისი მანათობელი,
ხოლო სხეული, რომელშიც შენი სული დგას, არის ქურჭელი
სულია და ღვთაებრიობა.



უფალი შენს გულში უნდა იშვას

თუნდაც ათასგზის დაიბადოს ქრისტე ბეთლემში
და არა შენში, შენ საუკუნოდ დაკარგული ხარ.

და გარეგნული ვერ იხსნის შენს სულს

ვერ მოგაშორებს ბოროტების ჯვარი გოლგოთის,
თუ იგი შენშიც არ აღიმართა.

შენაც აღსდები მკვდრებით

მე გეუბნები, შენ არ გიშველის მხოლოდ აღდგომა მკვდრებით
ქრისტესი.
თუ ცოდვის მორევს თავს ვერ დააღწევ, ვერ დაეხსნები სიკვდილი,
ბორკილს.

სულიერი ყანა

უფალი იგი არის ყანისა მთესველი, ხოლო მარცვალი მარადიული
სიტყვა იმისი,
ხნული სულია მისი უკვდავი და გული ჩემი ჩასათესი ალაგი მისი.

სილატაკე არს ღვთაებრივი

უღარიბესი არის უფალი, სულ მარტოდმარტო, თავისუფალი:
მართლაც განვსჯი, როდესაც ვამბობ, რომ სილატაკე
არს ღვთაებრივი.

გული ჩემი არს უფლის კერია

თუ უფალი არს ცეცხლი მარადი, მაშინ ეს გული არს კერია
მისი უქრობი,
სად ქედმაღლობის შეშასა სწვავს უფალი ჩემი.

დედას მოუხმობს ქაჩუთა ბავშვი

ვითარცა ჩვილი დედას ძუძუს სთხოვს,
ეგრეთვე სული უფალს მოუხმობს, უფალსა მხოლოდ.

და სიღრმეები უხმობენ ერთუროს

ღვთის სიღრმეს უხმობს ჩემი სულის სიღრმე ნიადაგ,
ამ ორთა შორის რომელია უფრო უღრმესი?

ღვინიანი რძე კაცს აძლიერებს

კაცობრიობა რძის მსგავსია, ღვთაებრიობა ღვინისა მსგავსი-
მაშ, შერეული შესვი რძე ღვინით, თუ ვსურს რომ ~~გახდე~~
უფრო ძლიერი.

სიყვარული

ეროვნული
ზიზღიერება

სიყვარული არს უფალი ჩვენი, და სიყვარულით არის მსუფვევი,
ნეტარ იქნება იგი მარადის, ვინ სიყვარულით ივსება მიწყევ.

წარმოადგენდე უნდა არსებას

რომ მოიბოვო სიყვარული, მრავალი ტანჯვა უნდა დასძლიო,
ჩვენ მხოლოდ კი არ უნდა გვიყვარდეს,
არამედ თავად სიყვარულად უნდა გარდვიქცეთ.

როგორ ვპრებენ ღმერთს?

უფალი სუფევს ნათელსა შინა, მისკენ მიმსვლელი ნათელი
გზა არს გაკვალული.
და ვინაც თავად არ გახდება, ვითარც სინათლე, უფლის დანახვის
ვერასოდეს გახდება ღარსი.

უფალთან თანამკვიდრობა

ოდეს რალაცად ვიქცეოდი, უფალთან თანამკვიდრობდი.
და ამიტომაც მებოძა უფლის წყალობა მარადის.

დასაბამს უნდა დაუბრუნდნენ

სულის წყალობით ჩემს არსებაში სუნთქავს უფალი,
და ამიტომაც მიწყევ ღმერთში უნდა ვმყოფობდე.

ზენი კერპი, ლტოლვა ზენი

შენ თუ მიეღებ უფალთან ერთად კიდევ სხვა რამეს,
დაუფარავად მიგიითიებ, ვითარი წმიდაც უნდა იყო,
რომ ეს გიქცევია კერპად.

უსურველობა უფლის მსგავსად გვემნის

მარად მშვიდი არს უფალი ჩვენი, არც რას ეძიებს, სწადის არც რაი:
შენც თუ მის დარად არარა ვსურინ, მაშინ გახდება უფლის
მფლობელი.

არსებანი უმჯობენი არიან

რა პატარაა ადამიანი ღიადი საგნის შესაფასებლად.
თვის თავს თუ არ სძლევს, ვით დაიმკვიდრებს ღვთის
საბრძანებელს.

არსება არის უჩინარი წერტილი

უფლის ქმნილ დიად სამყაროში რა მცირედია სული ჩემი,
მე უჩინარეს წერტილად ვჩანვარ ღვთის საუფლოში.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

უფალი უფლოვს ნაყოფთა სრულქმნილთ

რომელსა სურინ დამიმტკიცოს, რომ სრულქმნილება არ არსებობს
ღვთაებრივ,
იგი ჩამომტეხს უფლის ვენახში ამოსული ვაზის რქისაგან.

ხარობს ყოველი თავის გუდაში

ელტვის ფრთოსანი ლაქვარდს, ნავარდობს, ქვა შიშაზღდა
მოსვენებულს.
წყალში მრავლდება ყველა თევზი და ჩემი სული კი უფლის ხელშია.

რბოთა თვისთაგან ჰჰვავის უფალი

თუ უფალმან გშვა, მაშინ უფალი შენშივე ხარობს,
მადლი უფლისა გასაზრდოებს და დაგამშვიდებს.

შენში არს ზეცა

რად ძრწინხარ, დადექ. ზეცა არს შენში:
თუ უფალს ეძებ გარეშე შენსა, მას მოაკლდები სამარადისოდ.

ვით შეიძლება ტაგობა უფლითა

ერთადერთია უფალი ღმერთი, და ვისაც სურინ ღმრთეებრი ტკობა,
მიემსგავსოს თავად უფალსა, რათა შეერწყას.

როგორ ემსგავსებიან უფალს

სურინ რომელსა ედაროს უფალს, განირჩეოდეს უნდა ყოველისგან,
სულ განმარტოვდეს, ეულად იქმნეს და საღმობათგან
განთავისუფლდეს.

ვითარ ისმენ სიტყვას უფლისას?

თუ გსურს ისმენდე მარადიულ სიტყვას უფლისას და მეტყველებდე
ამა სიტყვებით:
უპირველესად მიატოვე შფოთიანობა.

მე დიადი ვარ უფლისა დარად

მე დიადი ვარ უფლისა დარად, არარას ძალუძს ამ ევეყანაზე,
(ო, საოცრებავე,) რომ მე დამიპყროს და შემომსაზღვროს.

ქვაკუთხედში ქვეს საბანძური

ყველა საღმობა განიკურნება: ქვაკუთხედშია ჩაკირული
სიმრთელე, ოქრო და ყოველგვარი ხელოვნება.



აღამიანი მოიცავს ყოველს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვით შეიძლება მოითხოვდე რაიმეს, კაცო,
ოდეს შენში არს უფალი თავად და ყოველივეს შენვე მოიცავ.

სული არს უფლისა მსგავსი

რამეთუ სული ჩემი მკვიდრობა უფლის წიაღში ადგილისა
და დროის გარეშე,
მაშინ ეს სული უნდა ემსგავსოს ადგილსა და სიტყვას უცვლელსა.

ღვთაებრიობა არის სიმწვანე

ღვთაებრიობა არს სასმელი ჩემი: ის, რაიც ჩემგნით
მწვანოვნილდება და ჩემში ჰყვავის,
ესე არს მისი სული წმინდა, რითაც ვნებანი დაშრტებიან.

ყოველივესთვის ვმადლოვდეთ უფალს

ოჲ შენ ღმერთს წირავ დიდ მადლობას მცირედის გამო,
სისუსტე ესე შენი ჩამოიშორე.

ვინაც სრულად ღვთიური იქნა

ვინაც იხეა, თითქოს არ იყოს და არც აროდეს იქნება არც რა,
ო, ნეტარებაე! იგი გახდება სრულად ღვთიური.

საკუთარ თავში იხმენენ სიტყვას

ვინაც სუფევს თავის თავაა შინა, იმ ისმენს სიტყვას,
სიტყვას უფლისას,
თუნდაც უარჰყო ყოველივე და გამორიცხო დრო და ადგილი,
მაინც მოისმენს.

მორჩილება

მორჩილება არს საძირკველი, სახურავი და თანაც ზანდუკი,
რომელიც ამოვსებულია ქველ საქმეებით პირთაძლე და დახურულია.

უმანკობა

ღვთის მეოხებით ოდეს ვიქმნები უმანკობად,
მაშინ მე უკვე აღარ დავუწყებ უფალს ძებნასა.

**უფალთან უაერთიგული გამოიხსნება მარადიული
სატანჯველისგან**

ვინც უფალს ერთვის, მას უფალი აღარ შერისხავს,
აღსასრულის ჟამს ღმერთი მისი შემწე იტნება და გამოიხსნის
ცეცხლის აღისგან.



მკვლარი ნება ხელმოწერას

რაკილა ნება ჩემი არს დათრგუნვილი, მაშინ ის უნდა უფალს
ჩემთვის, რაიც მე მსურინ.
და ამიტომაც თავად ვაჩვენებ უფალს ჩემს სახეს და მიზანსწრაფვას.

უფოთველოვა ნიუნავს უფლის მიხსბავსებასა

ჩემს უფალს ვაძლევ მე ჩემს ნებასა, და ჩემი ნების დათრგუნვისას
მას სურს ტკივილი მომაყენოს.
ყველაფერ ამას, მსურს, სიხარულით მივეგებო ღვთის გულისათვის.

ქრისტე

ისმინეთ საოცრება! ქრისტე კრავია და მწყემსი ცხოვართა,
ოჲ ღმერთი ჩემში კაცსა დაჰბადებს.

სულიერი აღკვირება

ტყვია ბაჯალლოდ მხოლოდ მაშინ გარდაიქმნების.
უფლით აღვსალი უფლის წყალობით ოდეს უფალში გარდავიქცევი.

იგივეზე თქმული

მე თავად ვარ ლითონი, სული არს ცეცხლი და კერია.
მეაია წყაროა ცხოვრების, სულ-სხეულ გაბრწყინებული.

კვლავ მასზე თქმული

რაც უფრო მალე გადამადნობს, უფლისა ცეცხლი,
მით უფრო მალე ამოტვიფრავს ღმერთი ჩემში თვის არსებასა.

ღვთის ხატი

ვქმნილვარ ღვთის ხატად: ოდეს უფალი მოისურვებს თვის თავს
შეხედოს,
მას ძალუძს თვისისახის ხილვა ჩემს არსებაში.

თანაარსებობა

უფლის გარეშე მე არ ვარსებობ, უფალიც მუდამ ჩემზე
მზრუნველობს,
ბრწყინვალეა და შუქი მისი ვარ, იგი არს ჩემი შემამკობელი.

უველაფერი უფალშია

ყოველი ქმნილება ღმერთის ხელით არის შექმნილი.
და როგორ ფიქრობ, ვით ეყოლება ეს ქმნილებანი თავის წიაღში?



ვარდი

ვარდი, რომელსაც შენ თვალთ ხედავ,
მარადიულად იშლება ღმერთში.

არსებანი

რამეთუ კაცი უფლის სიტყვაში სუფევენ მხოლოდ:
ვით შეიძლება არარად იქცნენ და ჩაიკარგნენ?

ძიება არსებისა

დასაბამიდან დღემდე არს ასე:
არრას ეძიებს კაცი, თუ არ სიმშვიდეს შემოქმედისას.

ნებარებაა მზის გულში ყოფნა

ვინ დაემკვიდრა მზესა შინა, ჰფენია შუქი,
დანთქმულ არს იგი, ვის თვალდაშრეტილს გზა აჰანევა.

უფალი მზე არს

კვალში მისდრე ნათელს მზისასა: მზე არს უფალი,
ის ასხივოსნებს სულსა ჩემსა და ანეტარებს.

მზე არს მთავარი

ვის მზე უნათის, მზე საკუთარი,
ის აღარ ეძებს შუქსა მთვარისას და სხვა ვარსკვლავებს
აღარ შენატრის.

შენ თავად უნდა გარდაიქცეო მზეად

მე თავად უნდა ვიქცე მზეად და ჩემი სხივებით
ღვთაებრიობის უფრო ზღვა გავასხივოსნო.

ცვარი

ცვარი ციური მდელის აცოცხლებს, მან გული ჩემი
უნდა ახაროს,
და ცვარი იგი ზეციით ნაყური ქრისტეს გულითგან უნდა
მეპყროს.

არაფერი არს ღმერთზე უტკბენი

ტკბება რომელიც ამქვეყნიურ ამოვებით და საყვარული მას
 რისამე კვალადვე აბურობს,
 მან ჯერ არ იცის სიტკბოებაი იმ უხილავის, რაიც არს ღმერთი.



თავისუფალი რჩება სული მარადის

ოჟგინდ ათასი რკინის სალტით მჭიდროდ შემკარი,
 დავრჩები მაინც ხელგახსნილი, თავისუფალი.

გზამ დასაბამთან უნდა მივიშვანოს

ყოველი წყარო სათავეში არის ანკარა, იცოდეთ კაცო,
 მან, დაეწაფე წმინდა წყაროს და ყოველ საფრთხეს ვანეშორება.

ცვარტაგან იშვის მარგალიტები

ვითა ნიჭარა ცვარსა ისრუტავს, მე ქრისტეს სისხლსა დავეწაფები.
 ორივე ჯამსა კეთილშობილი თვლები იშვება.

ადამიანურიდან ღვთიურობამდე

თუ მოპოვება გასურს ზეციურ მარგალიტების,
 ღელვის გარეშე უნდა ზრუნვიდე ადამიანურ ყოველ გრძნობებზე.

ბანჯვა მოჰყვება მგრძნობელობასა

თუ თვალის ბროლი ვერ გარდატეხს მზისა სინათლეს,
 დაბრმავებული თავის თავსაც ვერ დაინახავს.

ღმერთი მოელის თვისსა სასქლოსა

გლოვობს დედა გვრიტი, როს გულის სწორს კარგავს,
 შენ კი უფალმა ამოგირჩია სამარადისოდ სიკვდილის შემდეგ.

უნე უნდა ისევ საფუძის უფერთო

შენთვის განკაცდა უფალი ღმერთი, და კვლავ თუ მასთან
 არ დაბრუნდები.
 გამობ დაბადებას, სძრაბავ სიკვდილსაც.

უფლის მსგავსება განაპარკვებს ყოველგვარ ბანჯვას

ვინც ყოველივეს ღვთისა დარად ქვრეტს, აღარ მჰმუნვარებს,
 თუნდ ჯოჯოხეთის ღრმა უფსკრულებში ჩავარდნილიყოს.

ღბოლვა უფლისკენ მტკიცე იყო

ადამიანო, ოდეს გწყურია და კვლავ მიილტვი მამა ღმერთისკენ,
 მაშინ ჯერ არ ხარ მთლად მოცული მისი არსებით.

ღმერთისთვის ერთი არის უოველი

არანაირი განსხვავება ღმერთმა არ იცის, თანასწორი მისთვის
ერთგვარად ჰპოვებს ის საერთოს მწერთან და ^{ყოველ} _{კაცთან}

გორობი უნებნით მოდის

მხოლოდ სიკეთე არის ჩვენი მამა-უფალი. წყევლა და კრულვა,
ტანჯვა, სიკვდილი
და რაც ბოროტად წოდებულია. შენში ეძიე, ადამიანო.

მეზობს მარტოგა უფალსა უინა

ო, რა ნეტარად განისვენებს სული ღმრთისა წიაღში!
ღმერთი და ყოვლი არსებანი, იმესი ქმნილნი, არიან მარტოდ.

სამოთხე არს ტანჯვაში

ადამიანო, თუ უფალზედ ხარ მიხედობილი და მხოლოდ მასზე
იმედოვნებ,
მაშინ სამოთხედ გარდაგეგმება ხველა ტკივილი.

დაცულნი უნდა იძვნენ

ადამიანო, სამოთხეში დაუცველნი როდი შედიან.
უნდა შეხვიდე ცეცხლით, მახვილით.

ღმერთი მარადიულობაა

მარადიული თუ არს უფალი, მაშ რაღა გოცვირს?
განა არ ძალუძს მას ყოფნა ჩემში და ყველა კაცში?

არასრული გარდაცვალება

ოდეს ვერ კიდევ ზრუნავ მიწიერი საქმეებისთვის.
მაშინ მთლიანად ვერ შეგიცვნია უფალი ჩვენი და ისე
ჩახვალ შენ საპარტში.

მხოლოდ ღმერთთან არს ძეი მისა

მე კაცისა არს შობილი ღვთისაგან: ღმერთის ღვთაებრივ
საკუთარბეველთან
ვერვინ დადგება მხოლოდშობილი მაცხოვრის გარნა.

ვით განისვენებს უფალი ჩემში

შენ უნდა იყო სრული სიწმინდე, და უნდა იყო ყოველ წამს მზადა,
რათა უფალმან შენში იმზიროს და უტკბილესი შეება შეიგრძნოს.

უფალი არვის უაჩვენებს

რად ჰყვედრი უფალს? თავად წყევლი საკუთარ თავსა:
მას სულ არ უნდა ამისი ქმნა, მერწმუნე, მენდე.

**რაც უფრო მეტად ეძლევი უფალს, მით უფრო მეტად
შემოვა შენში**

რაც უფრო მეტად უძღვნი თავს უფალს, ელტვი, ესწრაფვი,
მით უფრო მეტად აგავსებს ღმერთი ენეტარული ღვთაებობით.



სიტყვა, რომელიც მე მომიცავს, მას მეც მოვიცავ ეროვნული
ბიბლიოთეკა

სიტყვა, რომელიც შენ მოგიცავს, მე მომიცავს და მოიცავს ყოველს.
მას მეც მოვიცავ სამარადისოდ და დავიმარხავ.

კაცი მოიცავს საგანს ყოველსა

კაცი მოიცავს საგანს ყოველსა: და თუ ამ საგნებს მოაკლდება
ერთი მათგანი,
მაშინ ის სრულად ვერ შეიცნობს სიმდიდრეს თვისას.

არსებობს ათასობით მზე

შენ მეუბნები, რომ ცის თაღზე ერთი მზე ჰნათობს,
მაგრამ მე გეტყვი, რომ არსებობს ათასობით მზე.

**რაც უფრო მეტად მიეცევი უფალსა შენსა, მით უფრო
მეტად შეგიხვარავს უფალი შენი.**

მაშ, რატომ უყვარს სერაფიმი ღმერთს მწერზე მეტად?
მხოლოდ იმიტომ, რომ სერაფიმა უფალს ეძლევა სხვებზე
უფროსს.

თვითნებობა არის კრული

რადგან სატანა თვითნებობით დადის ყოველგან,
რე გაოცებ, თუ მას ამეაქად ღვთის ტანტრუვანთან პირისპირ ნახავ.

მარტოდენ ძალუძს ეს შემოქმედსა

ჰგონებ, დაითვლი გუნდებს ვარსკვლავთა? —
მარტოდენ ძალუძს ეს შემოქმედსა.

შენშია იგი, რაიც შენ გსურინ

ცაი არს შენში და ტანჯვის წყაროც შენში არს თავად.
რასაც აირჩევ და მოისურვებ, ეს ყველაფერი ყველგანა ჰგიებს.

გარნა ქრისტესი სხვა არავინ უხვარს უფალსა

უფალს ძლიერად უყვარს ის სული, ვინც შეიმოსა ქრისტეს ნათელი.
ხოლო არ უყვარს იგი უფალსა, რომელიც იტყვის უარს ქრისტეზე

ერთარსი სამეგისა

სამშენველი, სული და საიტყვა გვაუწყებს ცხადად და ნათლად,
(თუ შეგიძლია ამას ჩასწვდე), თუ ვითარ არის ღმერთი ერთობა
სამის.

მარადიული უში

მე ვარ შეუქი მარადიული, უწყვეტად ვნათობ, აროდეს ვქრები:
ეს სული ჩემი არის ლამპარი და საწვავს მაძლევს თავად უფალი.



მოიკოვება ღვთისა შვილობას

თუ გსურს უწოდო ღმერთსა უმაღლესს მამაი შენი,
მაშინ ჯერ თავად უნდა შეიცნო შენივე თავი უფლისა შვილად.

კაცობრიობა უნდა უყვარდეთ

სწორად იქცევი, კაცთა სიყვარულს რომ არ ეძლევი,
კაცობრიობა იგი არს მუდამ, რაიც რომ უნდა კაცში უყვარდეთ.

ღმერთს უფოთველად შეჰყურებენ

გზნებით უცქერის ანგელოსი უფალსა თვისსა,
მე უფრო მეტი გგზნებარებით უნდა ვუმზერდე, რათა აღვივლო
მთლიანად უფლით.

სიბრძნე

სიბრძნე იქ ჰპოვებს თავსა თვისსა ნეტარებითა,
სად შეილნი მისნი იმყოფებიან,
იკითხავ თუ რად? (ო, საოცრებავ!) სიბრძნე ხომ
თავადვე არის შეილი.

სარკე სიბრძნისა

თავის სარკეში იცქირება ნიადაგ სიბრძნე,
ვინ არის ესა? ეს არის სიბრძნე და არის იგიც,
რომელსაც ძალუძს, რომ სიბრძნედ იქცეს.

**რაც უფრო ახლოს მიხვალ უფალთან, მით უფრო
მეტად შემოვა შენში**

რაც უფრო შედის სული უფალში, მით უფრო სუფევს მასში
უფალი, —
არცა მეტად და არცა ნაკლებად გახდება იგი შენი.

ქრისტე ყველაზე

ო, საოცრებავ! ქრისტე არს ჭეშმარიტება და სიტყვა,
შუქი, ცხოვრება, საზრდო, სასმელი, გზა, მლოცველობა,
კარიბჭე და ადგილი წმინდა.

უფრუხველობა არს ნებაჩება

უფლის სიმშვიდით შეიმოსნენ წმინდანნი იმად,
და ნეტარებაც იმადა ჰპოვეს, რომ არასოდეს არას ითხოვენ.

არცა მალალი, არც უძირო არის უფალი

არცა მალალი, არცა უძირო არის უფალი, ვინაც ამაზე
სხვაგვარად ფიქრობს,
ცუდად უცვნია ჭეშმარიტება.



ღმერთს მოიპოვებენ არას მძევლებული

ღმერთი არ არის არც აქ, არც იქა, ვინაც მიიღტვის შინა მოძიებად,
იბოჭავს ხელოფებს, სხეულს და სულსა.

ღმერთი უკვე ხელავს, ვიდრე უნე გაიფიქრებ

თუ ღმერთს არ ძალუძს თვის საუფლოდან დაინახოს აზრები შენი,
მაშინ ღვთის უწინარეს ყოფილხარ შენა, ის წერტილია და შენ კი
მისა საზღვრის დამდები.

მარტო პურიტა ვერ ცოცხლობს კაცი

შენ მარტო პური ვერ გასაზრდობს: იგი, რასაც კი პურით
ღებულობ,
არს უფლის სიტყვა მარადიული, არის ცხოვრება და არის სული.

სამომკვარი არ არს უფალი

ვინაც უფალს სთხოვს რამ საბომკვარსა, ის ღმერთს ვერ ხედავს,
ის ეგედრება, შესთხოვს არსებას, არა შემოქმედს.

ქვი კაცისა არს უმთავრესი

ქვი არს სიტყვა უსაყვარლესი, და ამ სიტყვითა ლაბარაკობს
უფალი ჩემთან,
უბნობს ის ასე: არა, არ მკმარის სამყარო და არც თავი ჩემი,
მე მსურინ ქვი.

ერთი ვითარცა მეორე

ჯოჯოხეთი გარდაიქცევა ზეცის საუფლოდ აქვე, მიწაზედ,
თუმცა ის უფრო საოცარია, თდეს ზეცასა ჯოჯოხეთად ძალუძს
გარდიქცეს.

ქირითადად ყველაფერი ერთია

ლაბარაკობენ დროზე, ადგილზე, საწუთროსა და მარადისობაზე,
განა დროება ანდა ადგილი, საწუთროი და მარადისობა
განსხვავდებიან ერთურთისაგან?

ბრალი უნე მიზიქვინ

მზის ბრწყინვაში სახე შენი რომ იკარგება,
ბრალია შენი თვალუბისა და არა დიდი სინათლის შუქის.

ღვთიური წყარო

რამეთუ ჩემგნით უნდა იდინოს ნაკადმა ღვთისამ:
მე თავად უნდა ვიყო წყარო, რათა არ დაშრტეს მდინარება იგი

ღვთაურად.



ქართული
ნიგლიცოთეკა

პრისტა არის ეკლესია და უველაფერი

რაი ვარ მაინც? უნდა გადვიქცე ტაძრად და ქვადა,
ქადაგად ღვთის და ვემსხვერპლო უფალს.

ძალისხმევა არს საჭირო

ვინც არ მიელტვის მაღალი ღმერთის სანატრელ ყრმასა,
ის იმ ბოსელში დარჩება მუდამ, სადაც პირუტყენი და მეჯოგენი
ბინადრობენ.

ძენი არ იღვვის გასამრჯელოსთვის

თუ შენ უფალსა ემსახურები სამაგიერო სიკეთიანა, ნეტარებისა
და გასამრჯელოსთვის:
მაშინ, იცოდე, ქრისტესმიერი სიყვარული არა გქონია მეუფის
შენის.

საიდუმლო ქორწინება

განა არსებობს ამის მეტი სხვა სიხარული ღმერთი მაცხოვარს
სასძლოსა თვითას მიანდობს თვის მარადიულ სიტყვითა და
თვისსავე სულით.

ჩემთვის იგი არს ღმერთი, რაიც მე მსურინ

არს მეუფეა არგანი ჩემი, სინათლე ჩემი, გზაი ჩემი, მიზანი ჩემი,
საქმეი ჩემი,
მამაჩემი, ძმაი ჩემი, შვილი ჩემი და ყოველივე, რაიც მე მსურინ.

ადგილი არს თავად უენში

შენ არა მკვიდრობ ადგილსა ზედა, შენში არს იგი:
და თუ ამ ადგილს შენ თავს დააღწევ, მარადსობას შეუერთდები.

მარადიული სიბრძნის სახლი

მარადიული სიბრძნე შენდება: მე საძირკველად გარდავიტყევი,
როდესაც მე და სიბრძნეი იგი ერთურთში ვბოვებთ მოსვენებასა.

სიღიაღე სულისა

ჩემთვის სამყარო ძალზედ მცირეა, და ცაი არის ძალზედ პატარა:
მაშ, სად ვეძიო სივრცე დიადი ჩემი სულისთვის?

დრო და მარადისობა

შენ ამბობ: დროიდან მარადისობაში გადავდივართო;
არის კი რამე სხვადასხვაობა მარადისობას და დროსა შორის.



ადამიანი თავად ჰმნის დროსა

დროს თავად შენ ჰმნი: და შექანიზმი საათისა კარგად
ოდეს შეგიპყრობს მოუსვენრობა, გისხლტება დროი.

ერთფეროვნება

შე არა ვუწყვი, რა უნდა ვიყო, სულ ერთი არის ჩემთვის ყოველი:
ადგილიცა და უადგილობაც, მარადისობაც, დრო წარმავალიც,
ღამეც და დღეც, ჭირიც და ლხინიც.

ვინაც უფლის ხილვა სურს, იგი უნდა იჰმნას ყოველი

ვინც თვით არ არის ყოველივე, იგი არს მცირე,
მოგიხილავდეს შენ, უფალო, და მოიხილოს ყოველივე, რაიც შენა
ჰქმენ.

ვინც ჰეზმარითად განმდროტობილია

ადამიანო, უწინარესად თუკი გახდები ყველა საგანი,
შთაწვდები სიტყვას, დაემკვიდრები საღვთო კრებულში.

ღვთისა ჰმნილება არს მართლაც ღმერთში

ღვთისა ჰმნილება უფროისად უფალში ჰგებებს, მერმე თვის თავში:
თუ ის ჰმნილება უარს იტყვის საკუთარ თავზედ, მაშინ უფალში
დაიმკვიდრებს სამარადეთამოდ.

რა ხარ შენ ღვთისა მიმართ?

ადამიანო, შენა სთვლი, რომ მხოლოდ საქმენი არა ჰმარის შენი
უფლისთვის,
რამეთუ წმინდა საქმე უფლისა მიმართ გართობა არის და
სხვა არარა.

სინათლე არს ცეცხლში

სინათლე აძლევს ყველაფერს ძალას, თავად მეუფე დავანებულა
ნათელსა შინა:
ის რომ არ იყოს ცეცხლი გიზგიზა, მყის ყოველივე არარაობად
გარდიქცეოდა.

სულიერი კიდობანი და ციური მანანას დოქი

ადამიანო, თუ გული შენი არს თქრო წმინდა და სული შენი უბიწოი,
მაშინ შენ ძალგისს გადაიქცე კიდობნად და მანანის დოქად.

სრულქმნილება ღვთით არის

ღმერთი რომ ყოველად ძლიერია, ამას იგი არ დაიჭერებს,
ვინაც უარყოფს სრულყოფილებას, ვითარცა წადილა უფლიასა.

სიტყვა ცეცხლსა ჰგავს

ცეცხლი სულს ბერავს ყოველ საგანს და თვით კი
უძრავი დარჩება მანცხელიყოთჲსა
ასე არს სიტყვაც მარადიული, რომელიც ზე სწევს ყოველივეს
და ამოძრავებს.



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ღმერთი ქმნილების გარდა

გასწი იქითკენ, არ ძალგიძს სადაც: იმზირე იქით, სადაც ვერ ხედავ:
ყური მიაპყარ იმა ადგილსა, სად არაფერი არა ხმიანობს,
და მაშინ უკვე იქ აღმოჩნდები, სად ღმერთი უბნობს.

ღმერთი არ არის ქმნილი

მართლაც, არ არის ღმერთი ქმნილი, და რადგან ის არის,
იგი ისე სუფევს ჩემში, ვითარცა მან მე ამომირჩია.

რატომ იზვა ღმერთი

გაუგებრობავ! იმად დაივიწყა ღმერთმა თვისი თავი,
რომ ჩემში ისევ ახლიდან იშვას.

უმაღლესი ღირსება

ო, უმაღლესო ღირსებავ! ტახტრევანიდან დგება უფალი
და თავის საყვარელ ძეში ადგილს მიმკვიდრებს.

მუდამ იზივა

ვაქეცო იმად, რაიც მე ვიყავ, და კვლავ იგი ვარ, რაიც ვიყავი,
და მე დავრჩები მარადიული, თუ სული ჩემი და ხორცი ჩემი
ღვთისგან მიიღებს განკურნებასა.

●
ნუ შეჩერდები, მეგობარო, თუ წარმოადგენ უკვე რალაცას:
გახსოვდეს, ერთი სინათლის ქვეყნით რომ მეორეში უნდა შეხვიდე.

●
გონებას უხმე, ადამიანო, რამეთუ ოდეს გახვალ ამ ქვეყნით,
შემდგომ ამისა ცხოვრებას აგრძელებს არსება შენი.

●
სამყაროს შექმნა წიგნი არს ვრცელი: ვინც ამ წიგნს
ბრძნულად იკითხავს,
იგი შემოქმედს უცილობლად შეიცნობს ნათლად.

- მიზეზთა გამო არ ხარობს ვარდი, იგი ყვავილობს,
 რამეთუ მას სურს ყვავილება.
 იგი თავის თავს ყურს სულ არ უგდებს, ხედვენ თუ არა.
 ის არ ყრუბოლობს.
 ერეკლე
 გიგლიძე
- დრო არის მარადისობა და მარადისობა კი არის დროი,
 მაშინ შენ თვითონ ხუდარ ანახვავებ ერთმინუთისგან.
- ზეცა ეშვება, მოემართება და დედამიწად გარდაიქცევა.
 მაშ, დედამიწა ნეტავ როდისღა ამაღლდება ზეცასა შინა?
- ადამიანო, არარაი არს არასრულქმნილი, თუ გინდა ხრეში
 შეადარე თვალსა ლალისას;
 ბაყაყიცი ხომ ისეთივე მშვენიერია, ვით ანგელოზი სერაფიმი.
- როს სიყვარული ჩაისახება, დულს მაჭარივით,
 რაც უფრო მეტად დაძველდება, მით უფრო მეტად დაწდება
 და დამყუდროვდება.
- ორი თვალი აქვს სულსა: ერთი დროებაში იცქირება,
 მეორე განკვრეტს მარადისობას.
- იგი, რაიც შენ გამოძრავებს, არის მარადი, თავად შენა ხარ ბორბალი,
 და ბორბალი იგი შენგნითვე ბრუნავს შეუსვენებლივ.
- ოდეს ბრძენკაცი სტოვებს ამ სოფელს, თვალს არ მიაბყრობს
 აროდეს ცასა,
 იგი მანამდეც ხედავს ზეცასა, სანამ მის გული შეჩერდებოდეს.
- არაფერია ამ ქვეყანაზე ისე დიადი და ფასეული,
 ვიდრე ის კაცნი, რომელნიც დეაწლით გააღდიდებისკენ არ მიილტვიან.
- ო, კეთილშობილო თავისუფლებავ, ვინაც არ გიძღვნა თავი თავისი,
 მან არა უწყის, ვინ არს ის კაცი, რომელსა უყვარს თავისუფლება.
- კაცსა რომელსაც შეუძლია მართოს გრძნობა და ძალა თავისი,
 იგი ღირსია, ატარებდეს მეფის სახელსა.

ქალწულობა არს ღირსეული, მაგრამ ჭობია, შეიცვალოს
დედობრიობად,
ოჲ არაღა, იგი დარჩება, ვითარცა მიწა უნაყოფოი.



ქართული
ბიბლიოთეკა

შენ ამბობ, არ შეიძლება იყოს დიდი პატარაშიო,
ვერ ჩასტევენო ზეტას მიწაში.

შოდი, შეხედუ ღვთისმშობლის ყრმასა, შენ დაინახავ აკვანში
მწოლარ
ცაა, დედამიწას, და ვარსკვლავებზე უმრავლეს სამყაროებსა.

ცოდვილო, დადუმდი, ნუ ამუნათებ ადამს და ევას,
თუ ევა ცოდვით არ დაეცემოდა, შენ ჩაიდენდი იმ ცოდვას
უცილოდ.

ადამიანო, შენ ღვთისგან ითხოვე მთელ მის საუფლოს:
არსობის პურსა ითხოვდე, თორემ დამღიერდება და ჩამოჭკნები.

ვრსაც კი ძალუბა თვის თავს შეხედოს,
მას შეუძლია იგალობოს ანგელოზებთან.

ვაი, რომ კაცნი ვერ ვედრებით ტყისა ფრინველთა,
ყველანი ერთად სიხარულით გალობენ მუდამ.

ყველაზე დიდი საოცრება მაინც კაცია,
მა შეუძლია ღმრთის მსგავსი გახდეს, ან მიემსგავსოს თავად
სატანას.

ლევ ტოლსტოი

ქრისტეს მოძღვრება, გადმოცემული ყმაწვილებსთვის

თარგმნა აკაკი ბელოვანაძე



გასულ წელს მე გავხსენი გლეხთა ყმაწვილებისათვის პატარა სკოლა, რომელშიაც ვღებულობდი ათიდან ცამეტ წლამდე ასაკის ბავშვებს. ჩემი სურვილი იყო ამეხსნა ქრისტეს მოძღვრება ისე, რომ მათთვის გასაგები ყოფილიყო და ზეგავლენა ჰქონოდა მათ ცხოვრებაზე. ამისათვის ჩემი სიტყვებით მოკუთხრობდი იმ ცალკეულ ადგილებს ოთხივე სახარებიდან, რომელნიც წიმამანდა ყველაზე უფრო გასაგებად და თანაც დასკირდებოდათ შემდგომ ცხოვრებაში, როგორც ზნეობრივი საბელმძღვანელო.

რაც უფრო მეტად ვეწეოდი ასეთ მუშაობას, მით უფრო ცხადი ხდებოდა, — ბავშვთა მონათხრობიდან და მათი კითხვებიდან გამომდინარე — რა უფრო იზიდავდა მათ და რას აღიქვამდნენ ყველაზე იოლად.

ამით ვახელმძღვანელობდი და ასე შედგა ეს პატარა წიგნი. ვფიქრობ, მისი კითხვა თავების მიხედვით, სათანადო განმარტებებთან ერთად ამ მარადიულ ქეშმარიტებათა ცხოვრებაში გამოყენების აუცილებლობაზე, შეუძლებელია კეთილისმყოფელ ზეგავლენას არ ახდენდეს ბავშვებზე, რომელნიც, მატოვრის თქმით, გასსაკუთრებით გრძნობიერნი არიან ციური სასუფეველის ამხსნელი მოძღვრების მიმართ.

ლევ ტოლსტოი

17 ივლისი, 1908 წელი

I

იესო ქრისტემ თავისი მოძღვრებითა და ცხოვრებით ხალხს ის ასწავლა, რომ ყოველ ადამიანში ცოცხლობს სული ღვთისა. იესო ქრისტეს მოძღვრებით ადამიანთა ყველა უბედურება შედგება იმისა, რომ ისინი თავიანთ ცხოვრებას აგებენ არა ღვთიურ სულზე, არამედ თავიანთ ხორციელ სურვილებზე. ამის გამო ემტერებიან ერთიმეორეს, ამის გამო იტანჯებიან სულიერად, ამიტომ ეშინიათ სიკვდილისა.

სული უფლისა — ესაა სიყვარული. ეს სიყვარული ყოველ ადამიანში ცოცხლობს, მის სულშია დავანებული.

დაამყარონ თავიანთი ცხოვრება უფლის სულზე — სიყვარულზე, და აღარ იქნება არც მტრობა, არც სულიერი ტანჯვა, არც სიკვდილის შიში.

ყოველ ადამიანს თავისთვის სიკეთე უნდა. ქრისტეს მოძღვრება გვასწავლის იმას, რომ ეს სიკეთე მათ ეძლევათ სიყვარულით და ყოველ ადამიანს შეუძლია ეს სიკეთე ჰქონდეს. ამიტომაც ეწოდება ქრისტეს მოძღვრებას ევანგელი: ევ-კარ-გი, კეთილი, ხოლო ანგელიონ — ცნობა, სიკეთის ხარება.

იოანეს პირველი ეპისტოლე, 4, 7, 12, 16.

2

იესო დაიბადა 1908 წლის წინ. დედამისი იყო მარიამი, მისების ცოლი. 30 წლამდე იესო ცხოვრობდა ნაზარეთში დედ-მამასთან და ძმებთან და, როდესაც წამოიზარდა, მამას ეხმარებოდა ხელოსნობაში (იოსები ხურო იყო).

30 წლის იესომ გაიგო, რომ ხალხი წმინდა მეუღლებს იოანეს ქადაგებდას მოსასმენად დადის. იესოც ხალხს გაჰყვა უდაბნოში იოანეს ქადაგებდას მსმენად. იოანე ამბობდა, რომ მოვიდა ჟამი უფლისა, ჟამი, როცა ხალხი გაიგებს, რომ ყველა თანასწორია უფლის წინაშე, რომ არ არის არცა დიდი, არცა მცირე, ყველა მოვალეა ერთიმეორეში თანხმობითა და სიყვარულით იცხოვროს. ამბობდა, რომ ეს დრო მოახლოვდა, მაგრამ სრულად მოვა მაშინ, როცა ადამიანები უსამართლო მოქმედებას შეწყვეტენ.

როცა უბრალო ადამიანები იოანეს ეკითხებოდნენ: როგორ მოვიქცეთო, ის პასუხობდა: ვისაც ორი ხელი სამოსი აქვს, ერთი სხვას, არმქონეს უნდა მისცეს. ასევე, ვისაც საჭმელი აქვს, უნდა გაუზიაროს მას, ვისაც არა აქვს. მდიდრებს კი იოანე უქადაგებდა, ხალხს ნუ მარცვათო; ჯარისკაცებს ასწავლიდა, ნუ ავაზაკობთო, იკმარეთ ის, რასაც გაძლევენ, და ნუ ავსიტყვაობთო. ფარისეულებს, სადუკეველებსა და მეკანონეებს ეუბნებოდა, რომ შეეცვალოთ ცხოვრების წესი და ცოდვები მოენანიებინათ. — ნუ გგონიათ, რომ თქვენ განსაკუთრებული ადამიანები ხართ. შეიცვალეთ ცხოვრების წესი და შეიცვალეთ ისე, რომ ჩანდეს თქვენი საქმეებით, რომ შეიცვალეთ. ხოლო თუ არ შეიცვლებით, არ აგცდებათ ის, რაც მოუვა ხეხილს, რომელიც ხილს არ მოისხამს. თუ ხე ნაყოფს არ ისხამს, მას ჭრიან და შეშად ჩეხავენ. იგივე მოგივათ თქვენც, თუ კეთილ საქმეებს არ გააკეთებთ. თუ ცხოვრების წესს არ შეიცვლით, წაიწყმადებით, — აი, რას უქადაგებდა ხალხს იოანე. ის ყველას მოუწოდებდა, რომ აყენენ მოწყალენი, სამართლიანნი, სათნონი. ყველას, ვინც პირობას იძლეოდა, რომ გამოსწორდებოდა, იოანე იორდანეს წყალში აბანავებდა. წყალს ასხამდა და ეუბნებოდა: — მე გწმენდ წყალში, მაგრამ სრული განწმენდა შეუძლია მხოლოდ უფლის სულს, თქვენს არსებაში დაკანებულის.

იოანეს სიტყვები, — ადამიანებმა ცხოვრების წესი უნდა შეიცვალონ, რათა უფლის სასუფეველს ეზიარონ; მათ განწმენდს მხოლოდ სული უფლისა, — იესოს გულში ჩაენერგა. იმისათვის, რომ სრულიად გაეაზრებინა იოანეს ნათქვამი, იესო შინ კი არ დაბრუნდა, არამედ უდაბნოში დარჩა. იქ ცხოვრობდა მრავალი და მრავალი დღე, თან სულ ფიქრობდა იმაზე, რაც იოანემ ხალხს უთხრა.

(მათე 1, 18; ლუკა 2, 51; 3, 23; მათე 3, 1-13; ლუკა 3, 3-14, მათე 4, 1-2)

3

იოანე ქადაგებდა: იმისათვის, რომ დადგეს სასუფეველი უფლისა, ადამიანი უნდა განიწმინდოს სულით უფლისა.

რას უნდა ნიშნავდეს უფლის სულით განწმენდა? — ფიქრობდა იესო. სულით რომ განიწმინდოს, ამისათვის ადამიანმა უნდა იცხოვროს არა თავისი ხორცი-სათვის, არამედ უფლის სულისათვის, — ფიქრობდა იესო. — ამისათვის უნდა

მოვიდეს სასუფეველი უფლისა, და ის მოვა, თუ ადამიანები იცხოვრებენ უფლას სულისათვის, რადგან სული უფლისა ყოველი ადამიანისათვის ერთია. თუ ყოველი ადამიანი სულისათვის იცხოვრებს, ყველა ერთიანი იქნება, და დადგება უში უფლის მეუფებისა. მაგრამ ადამიანს არ შეუძლია მარტო სულისათვის იცხოვროს, ხოლო თუ იცხოვრებს ხორცისთვის, იხრუნებს მხოლოდ ხორციელი სხეულისათვის, მაშინ ყველა ცალ-ცალკე იქნება, როგორც ახლა ვრძიან, და სასუფეველი უფლისა არასოდეს არ მოვა. მაშ როგორ მოვიქცეთ, რა ვქნათ? — ფიქრობდა ქრისტე. — მხოლოდ სულიერად ცხოვრება შეუძლებელია, ხოლო ცხოვრება მარტოდენ ხორცისათვის, როგორც ახლა საერონი ცხოვრობენ, ცუდი იქნება. ასე ყველა თავთავისთვის იქნება და არასოდეს მოვა სასუფეველი უფლისა. მაშ როგორ იყვნენ? თავისი თავის ჩაკვლა სხეულში არ შეიძლება, ფიქრობდა იესო, რადგან სული ცხოვრობს სხეულში, ასეთია ნება უფლისა თავის მოკვლა არ შეიძლება, რადგან ეს იქნება უფლის ნების უარყოფა. ასე ფიქრობდა იესო და ბოლოს თავისთვის თქვა: როგორც ჩანს, არ შეიძლება მარტოდენ სულით ცხოვრება, რადგან სული სხეულში ცხოვრობს, არ შეიძლება ცხოვრება არც მარტო სხეულით, როგორც ყველანი ცხოვრობენ ამჟამად. არ შეიძლება არც სხეულისაგან სრულიად განთავისუფლება, სხეულის მოკვლა. რადგან სული სხეულში ცხოვრობს და ესაა უფლის ნება. მაშ რა შეიძლება? შეიძლება მხოლოდ ეს: იცხოვრო სხეულში, როგორც უფალი ბრძანებს, მაგრამ იცხოვრო ისე, რომ ემსახურო ღმერთს და არა სხეულს.

ასე განსაჯა იესომ. უდაბნო მიატოვა, ქალაქ-სოფლებში დაიწყო სიარული და თავის მოძღვრებას ქადაგებდა.

(მათე 4, 3-10; ლუკა 4, 3-15)

4

და გაეარდა ხმა მთელ იმ მხარეში იესოზე, მრავალმა დაიწყო მასთან სიარული. მიჰყვებოდნენ და უსმენდნენ.

— აი, თქვენ მიდიხართ უდაბნოში და იოანეს უსმენთ. — ეუბნებოდა იგი ხალხს, — რისთვის დადიხართ მასთან? დადიხართ მდიდრულად ჩაცმული ხალხის საყურებლად. მაგრამ ისინი სასახლეებში ცხოვრობენ, უდაბნოში მათ ვერ ნახავთ. მაშ რისთვის დადიხართ უდაბნოში იოანესთან? თქვენ მიდიხართ მასთან, ვინც კეთილ ცხოვრებას გასწავლიდათ. ის როგორღა გასწავლიდათ? ის გასწავლიდათ, რომ უნდა მოვიდეს სასუფეველი უფლისა. მაგრამ იმისათვის, რათა ის მოვიდეს, რათა არ იყოს ქვეყნად ბოროტება, საჭიროა ადამიანები არ გაითიშონ, არამედ იყვნენ ერთად, ყველას უფვარდეს ერთიმეორე. ამრიგად, იმისათვის, რომ მოვიდეს სუფევა უფლისა, უწინარეს ყოვლისა უნდა შეიცვალოს ცხოვრების წესი. სუფევა უფლისა თავისთავად კი არ მოვა, უფალი თავად არ მოაწყობს მას, არამედ თქვენ თვითონ უნდა მოაწყოთ ეს სუფევა, ხოლო მას მოაწყობთ და დაამკვიდრებთ მაშინ, როცა ცხოვრებას შეიცვლით.

არ იფიქროთ, რომ სუფევა უფლისა მოგვევლინებათ ხილული სახით. უფლის სუფევის ხილვა შეუძლებელია. ხოლო თუ გეტყვიან: ის აქ, ან იქ არის, არ დაიჯეროთ და არ წახვიდეთ. სუფევა უფლისა არ იქნება დროში ან რომელსამე ადგილზე. ის ყველგანაა და არსადაა, რამეთუ ის თქვენშია, თქვენს სულშია.

(მათე 11, 7-12; ლუკა 16, 16; 17, 20-24)

სულ უფრო და უფრო ნათლად ხსნიდა იესო თავის მოძღვრებას. ერთხელ, როცა მასთან ბევრი მსმენელი მოვროვდა, დაიწყო ხალხის წინაშე ქადაგება. მან, თუ როგორ უნდა იცხოვროს, რათა მოვიდეს სასუფეველი უფლისა.

— მეუფება უფლისა სულ სხვაა, ვიდრე საერო, — ამბობდა იესო. სასუფეველში ვერ შევლენ მდიდარნი და ქედმაღალნი. მდიდარნი და ქედმაღალნი ამჟამად მეფობენ. დღეს ისინი ნადიმობენ და ყველა აქებს, ყველა პატივს სცემს მათ. მაგრამ ვიდრე იქნებიან მდიდარნი და ქედმაღალნი, ვიდრე მათ სულში არ იქნება მეუფება უფლისა, ისინი სასუფეველში ვერ შევლენ. უფლის სასუფეველში შევლენ არა ქედმაღალნი, არამედ მორჩილნი, არა მდიდარნი, არამედ ღატაკნი. მაგრამ სასუფეველში უფლისა შევლენ მორჩილნი და ღატაკნი მხოლოდ მაშინ, როცა მორჩილნი და ღატაკნი ღირსნი იქნებიან, არა იმიხათვის, რომ ვერ გახდნენ მდიდარნი და სახელოვანნი, არამედ იმიხათვის, რომ არ ისურვეს გამხდარიყვნენ სახელოვანნი და მდიდარნი შეცოდებათა ვხით, თუ თქვენ ღარიბნი გახდით მხოლოდ იმის გამო, რომ ვერ შესძელით გამდიდრება, მაშინ უმარილო მარილს ემსგავსებით. მარილი მხოლოდ მაშინაა საჭირო, როცა ის მარილიანია, ხოლო თუ ის უმარილოა, ყოვლად გამოუსადეგარია და მას ყრიან.

ასევე თქვენ, თუ ღარიბნი ხართ მხოლოდ იმის გამო, რომ ვერ შესძელით გამდიდრება, არც თქვენ ვარგებულხართ, — არც მდიდრებად, არც ღარიბებად.

ამიტომაც ქვეყნად ერთი რამ არის საჭირო: იყოთ უფლის სასუფეველში. ემათ უფლის სასუფეველი და მისი სიძაროდენი, მაშინ რასაც ისურვებთ, ყველაფერი გექნებათ.

არ იფიქროთ, რომ რაიმე ახალს გასწავლით. მე გასწავლით იმასვე, რასაც გასწავლიდნენ ყველა ბრძენი და წმინდა ადამიანები. მე გასწავლით მხოლოდ იმას, თუ როგორ უნდა შეასრულოთ ყველაფერი, რასაც ისინი გასწავლიდნენ. საჭიროა, რომ შეასრულოთ უფლის მცნებანი, არა მარტო ილაპარაკოთ მათზე, როგორც ცრუ მოძღვრებებზე ლაპარაკობენ, არამედ საქმით შეასრულოთ ყოველივე ეს, რადგან მხოლოდ ისინი მოხვდებიან სასუფეველში უფლისა, რომელნიც ასრულებენ უფლის მცნებებს და მაგალითს აძლევენ სხვებს.

(მათე 1-20; ლუკა 6, 6-26)

და იესომ თქვა:

პირველი მცნება ისაა, რაც ძველ კანონშია ნათქვამი; არა კაც კლა! და რომ ცოდვილია ის, ვინც კაცი მოკლა.

მე კი გეუბნებით თქვენ: თუ კაცი გაბრაზებულია ძმაზე, მან უკვე შესცოდა უფლის წინაშე; კიდევ უფრო მძიმედ შესცოდა, თუ ძმას უთხრა მწარე, სალანძღავი სიტყვა. ასე რომ, თუ შენ დაიწყე ლოცვა და მოგავიწყდა, რომ ძმაზე გამწარალი ხარ, ჯერ წადი და შეურიგდი მას და თუ რაიმე მიზეზით ეს არ შეგიძლია, შენ შენს გულში მაინც ჩაიკალა ძმისადმი წყენა.

ასეთია ერთი მცნება.

მეორე მცნებაა ის, რაც ძველ, მოსეს კანონში წერია: არა იძრუშო, და თუ ცოლს გაეყარე, გაყრის წერილიც მიეცი.

მე კი გეუბნებით, რომ კაცმა არა მარტო არ უნდა იმრუშოს, არამედ თუ ის უყურებს ქალს ცუდი ზრახვით, ამით მან უკვე შესცოდა უფლის წინაშე. განქორწინებაზე კი ამას გეტყვით: ვინც ცოლს გაყვრება, ის უკვე მრუშობს და აბუღებს ცოლსაც იმრუშოს, ასევე იმას, ვინც მის ცოლს ითხოვს, ცოლვაში აუღებს.

ესაა მეორე მცნება.

მესამე მცნებაა ის, რაც თქვენს ძველ კანონში წერია: არ გატეხო ფიცი, არამედ შეასრულე შენი ფიცი უფლის წინაშე.

მე კი გეუბნებით თქვენ, რომ ფიცილი სულაც არაა საჭირო. ხოლო თუ რამეს გეკითხებიან, უპასუხე: ჰო, თუ ასეა, და არა, თუ ასე არაა. ფიცით დადასტურება კი არ ვინდა. არაფერი არ უნდა დაიფიცო. ადამიანი მთლიანად უფლის გამგებლობაშია, ამიტომ მას არ შეუძლია წინასწარ იმის დაპირება, რომ შეასრულებს იმას, რაც დაიფიცა.

ასეთია მესამე მცნება.

მეოთხე მცნება ისაა, რაც ძველ კანონში წერია: თვალი თვალის წილ, კბილი კბილისა წილ.

მე კი გეუბნებით: არ უნდა გადაუხადოთ ბიროტს ბიროტით, და არც თვალი თვალის წილ, არც კბილი კბილის წილ. თუ ვინმე ღოყაზე გაგარტყამს, შენ მეორე მიუშვირე, და არა ის, რომ დარტყმას დარტყმითვე უპასუხო. ხოლო თუ ვინმემ მოიწადინა შენი პერანგის წაღება, მიეცი ხიფთანიც, ვინემ ძმას ჩხუბი უტეხო და სცემო. ნუ გადაუხდი ბიროტს ბიროტით.

ასეთია მეოთხე მცნება.

თქვენს ძველ კანონში წერია: გიყვარდეს კაცნი შენი ხალხისა და გძულდეს უცხოთა თესლი.

მე კი გეუბნებით, რომ უნდა გიყვარდეთ ყველა. თუ ადამიანები მტრებად გევიანებიან, სძულხართ, გწყევლიან, თავს გესზმიან, თქვენ მაინც გიყვარდეთ ისინი და სიკეთე უქენით. ყოველი ადამიანი ერთი მამაზეციერის შვილია. ყველა ძმად და ამიტომ ერთნაირად უნდა გიყვარდეთ ყოველი ადამიანი.

ესაა მეხუთე და უკანასკნელი მცნება.

(მათე 5, 21-48).

7

შემდეგ იესომ თავის მსმენელებს უთხრა, რა იქნება მაშინ, თუ მის ყველა მცნებას შეასრულებენ.

— არ გეგონოთ, — განაგრძო მან, — თუ რომ ადამიანებზე არ გაბრაზდებით, ყველაფერს შეურიგდებით. იცხოვრებთ ერთ ცოლთან და შვილებთან, არ დაიფიცებთ, არ დაიცავთ თავს მათგან, ვინც გაწყენინათ, გასცემთ ყველაფერს, რასაც ვთხოვენ, თუ შეიყვარეთ მტერი თქვენი, — არ გეგონოთ, რომ თუ ასე იცხოვრებთ, თქვენი ცხოვრება იქნება უარესი, ვიდრე ახლაა. პირიქით, თქვენ ბევრად უკეთესად იქნებით, ვიდრე ახლა ხართ. ჩვენმა მამაზეციერმა კანონი მოგვცა არა იმისათვის, რომ ჩვენი ცხოვრება უარესი გახდეს, არამედ იმისათვის, რომ ჭეშმარიტი ცხოვრებას ვხას დავადგეთ.

იცხოვრეთ ამ მოძღვრების მიხედვით და მოვა სასუფეველი უფლისა. რაც ვინდათ, ის ყველაფერი გექნებათ.

ფრინველებს და ცხოველებს ღმერთმა თავისი კანონი მისცა, და როცა ისინი იმ კანონის მიხედვით ცხოვრობენ, თავს კარგად გრძნობენ. თქვენც კარგად იქნებით, თუ უფლის კანონებს შეასრულებთ. რასაც მე ვამბობ, ჩემგან კი არ გეუბნებით, არამედ ესაა კანონი უფლისა, და ეს კანონი ჩაწერილია ყველას გულში. ეს კანონი რომ ყველას სიკეთეს არ უბოძებდეს, ღმერთი ამ კანონს არ მისცემდა.

კანონი მოკლედ ისაა, რომ გვიყვარდეს ღმერთი და მოყვასი, როგორც საკუთარი თავი ჩვენი. ვინც ამ კანონს შეასრულებს, ის მოექცევა ყველას ისე, როგორც თვითონ სურს მას მოექცნენ.

ამიტომ ყველა, ვინც მე მისმენს და ჩემს ნათქვამს ასრულებს კიდევ, იქცევა ისე, როგორც კაცი, რომელიც სახლს ქვაზე აშენებს: ასეთ კაცს არ ეშინია არც წვიმის, არც წყალდიდობის, არც ქარიშხლისა, რადგან მისი სახლი ქვაზეა აშენებული. ხოლო ის, ვინც ჩემს სიტყვებს ისმენს და არ ასრულებს, იქცევა განუსჯელი კაცივით, რომელიც სახლს ქვიშაზე აშენებს. ასეთი სახლი ვერ გაუძლებს ვერც წვიმას, ვერც ქარიშხალს და დაიქცევა.

როცა იესომ ქადაგება დაასრულა, მთაზე თავმოყრილი ხალხი გაოცებული დარჩა მისი მოძღვრებით.

(მათე, 6, 26-33; 7, 24-28)

8

ამის შემდეგ იესომ ხალხს იგავებით დაუწყო იმისი განმარტება, თუ როგორ უნდა ესმოდეო სასუფეველი უფლისა.

პირველი იგავი ასეთი იყო:

როცა კაცი თესლს თესავს თავის ყანაში, ამაზე აღარ ფიქრობს. იმინებს ღამით, ღვება დღით და აკეთებს თავის საქმეს, არ ზრუნავს იმაზე, თუ როგორ ამოვა თესლი და როგორ გაიზრდება. თესლი თავისთავად გაღვივდება, აღმოცენდება, წვრილი მილივით წამოიზრდება და თავთავს გაიკეთებს. მხოლოდ მაშინ, როცა დამწიფდება, მომკვლევს აგზავნის, რათა მოშკან და მოსავალი მოიწიონ.

ასევე, ღმერთიც არ უდგენს თავისი ძალისხმევით ადამიანებს სასუფეველს უფლისას, არამედ თვითონ ადამიანებს აცლის, ეს თვითონ გააკეთონ.

მეორე იგავი იესოსი იმაზეა, რომ თუ ადამიანს თავის სულში არა აქვს სასუფეველი უფლისა, ღმერთი მას არ მიიღებს თავის სასუფეველში, არამედ დატოვებს ქვეყნად მანამდე, ვიდრე თვითონვე გახდება ღირსი სასუფეველისა.

მან თქვა:

— სასუფეველი უფლისა იმას ჰგავს, მეთევზე რომ ბადეს გადაავლებს და ყველანაირ თევზს დაიჭერს. შემდეგ დაჭერალ თევზს გაარჩევს, დაიტოვებს გამოსადევს და გამოუსადეგარს კი ისევ წყალში გაუშვებს.

ამაზე თქვა კიდევ მესამე იგავი:

— დათესა ყანის პატრონმა ყანაში კარგი თესლი. თესლი გაღვივდა, წამოიზარდა და ხორბალთან ერთად დაიწყო ზრდა სარეველამაც. აი, მოვიდნენ პატრონთან მუშები და ეუბნებიან: იქნებ ცუდი თესლი დათესე? ყანაში ბევრი სარეველა ამოსულა. გვიბრძანე და გაუმარგლაოთ. ყანის პატრონი კი ეუბნება: არ ვინდათ, თორემ სარეველას ამოძირკვის დროს ხორბალსაც გათელაოთ. აცალეთ,

იზარდონ ერთად. მოვა მკის დროც, მუშებს კუბრძანებ, ხორბალი აიღონ, სარეველა კი გადაყარონ.

ასევე ღმერთი არ აძლევს ნებას ადამიანებს ჩაერიონ სხვათა ცხოვრებაში და არც თვითონ ერევა. ყოველ ადამიანს მხოლოდ საკუთარი ძალებით შეუძლია ღმერთთან მისვლა.

ეროვნული
(მარკ. 4, 27-29; მათე 13, 47-48; 24-30)

9

ამ იგავების გარდა იესომ თქვა კიდევ სხვა იგავი ციურ სასუფეველზე.

მან თქვა: როცა მინდურად თესლსა თესავენ, ყველა თესლი ერთნაირად არ ამოდის. თესლის ამბავი ასეა: ზოგა მოხვდება გზაზე, მოფრინდებიან ჩიტები და აკენკავენ; არის თესლი, რომელიც ქვიან მიწაში მოხვდება და ისიც ამოდის, მაგრამ დიდხანს ვერ იხარებს: ნიადაგი რომ არა აქვს, ღერო მალე ხმება; არის თესლი, რომელიც შამბში მოხვდება და შამბი მას მალე ამთობს. მაგრამ არის თესლი, რომელიც კარგ მიწაში მოხვდება, იზრდება და ერთი მარცვალი 30-60 მარცვალს იძლევა.

ასევე არიან ადამიანები, რომლებიც არ იღებენ ციურ სასუფეველს, გულიან არ იკარებენ, მოდის ხორციელი ცთუნება და ნაყოფს იტაცებს, — ეგაა გზაზე დაყრილი თესლი. ქვიან მიწაში მოხვედრილი თესლის მსგავსნი არიან ადამიანები, რომელნიც პირველად ხალისით იღებენ ახალ მოძღვრებას, მაგრამ მერე, როცა შეხვდებათ წყენა, ღუენა და მუქარა, უარს ამბობენ ახალ მოძღვრებაზე.

შამბში მოხვედრილი თესლი ესაა, როცა ადამიანებმა შეიცნეს სასუფეველი უფლისა, მაგრამ ყოველდღიური მიწიერი საზრუნავი და სიხარბე მათში კლავს მოძღვრების აზრს. კარგ მიწაში მოხვედრილი თესლი — ეს ის ხალხია, რომელიც იღებს ახალ მოძღვრებას და გულით ატარებს. ასეთი ხალხი იძლევა კეთილ ნაყოფს, ერთზე 30, 60 და ასმაგსაც. ამრიგად, მას, ვინც შეინარჩუნა ის, რაც მიიღო, ბევრიც ეძლევა, ხოლო ვინც ვერ შეინარჩუნა, მცირესაც კარგავს. ამიტომ მთელი ძალით შეეცადეთ მიიღოთ სასუფეველი უფლისა. ნურაფერს დაზოგავთ იმისათვის, რომ იქ მოხვდეთ.

მოიქცეთ ისე, როგორც მოიქცა კაცი, რომელმაც შეიტყო, სადაა ჩაფლული დიდი განძი, გაყიდა ყველაფერი. იყიდა მიწის ის ნაკვეთი და გამდიდრდა. ასე მოიმოქმედეთ თქვენც.

გახსოვდეთ, მცირე მონდომება ციური სასუფეველისა იძლევა დიდ ნაყოფს, ისევე როგორც პატარა თესლიდან დიდი ხე იზრდება.

ყოველ კაცს შეუძლია მხოლოდ საკუთარი ძალებით შევიდეს ციურ სასუფეველში, რადგან სასუფეველი უფლისა ჩვენშივეა.

(მათე 13, 3-8, 12, 19-23, 31, 44-46; ლუკა 16, 16)

10

ეს სიტყვები რომ მოისმინა, ერთმა ფარისეველმა, სახელად ნიკოდემოსმა ჰკითხა: როგორ გავიგოთ ის, რომ სასუფეველი უფლისა ჩვენშივეა?

იესომ მიუგო:

სასუფეველი უფლისა რომ ჩვენშია, ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი კაცი, რომელაც უფლის სასუფეველში უნდა შევიდეს, ხელახლა უნდა დაიბადოს.

ნიკოდემოსმა კითხა:

— როგორ შეიძლება ადამიანი მეორედ დაიბადოს? ხომ არ შეუძლია ხელ-
მეორედ შევიდეს დედის საშობი და კვლავ დაიბადოს?

იესომ მიუგო:

ხელახლა დაბადება არ ნიშნავს ხორციელ დაბადებას, როგორც დაბადება დედისაგან, არამედ სულიერ შობას. სულით დაბადება კი ნიშნავს გაცემას, რომ სული უფლისა ცოცხლობს ადამიანში, და გარდა იმისა, რომ ადამიანი დედისგან იშობა, იშობა აგრეთვე ღმერთის სულისგან. ხორცისგან შობილი — ხორცია, სხეულია, იგი იტანჯება და კვდება, სულისგან შობილი კი თავისთავად ცოცხლობს, არ შეუძლია არც ტანჯვა და არც სიკვდილი.

ღმერთმა ადამიანს თავისი სული ჩაჰბერა არა იმისთვის, რომ იწვალოს და მოკვდეს, არამედ იმისთვის, რომ ჰქონდეს სიცოცხლე სასიხარულო და მარადიული. ყოველ ადამიანს შეუძლია ჰქონდეს ასეთი ცხოვრება. აი, ასეთი ცხოვრება არის სასუფეველი უფლისა.

ამიტომ სასუფეველი უფლისა უნდა გავიგოთ არა ისე, რომ ყოველი ადამიანისათვის ნებისმიერ დროსა და ადგილზე მოვა სასუფეველი უფლისა, არამედ ისე, რომ თუ ადამიანი თავის თავში აღიარებს სასუფეველს უფლისა და იცხოვრებს ამ რწმენით, მაშინ ასეთი ადამიანები შევლენ ციურ სასუფეველში და არც დაიტანჯებიან, არც მოკვდებიან. ხოლო თუ ადამიანები არ ცნობენ სულს და იცოცხლებენ მხოლოდ სხეულისათვის, ასეთი ადამიანები იტანჯებიან და იღუპებიან.

(იოანე 3, 1-21)

11

სულ მეტი და მეტი ხალხი მიდიოდა იესოსთან და უსმენდა, ეცნობოდა მის მოძღვრებას. ფარისეველებს ეს არ მოსწონდათ და დაიწყეს ფიქრი იმაზე, თუ როგორ დაედოთ ბრალი იესოსთვის ხალხის წინაშე.

ერთხელ იესო თავისი მოწაფეების თანხლებით ყანაში მიდიოდა. შაბათი ღღე იყო. მოწაფეები გზადაგზა წყვეტდნენ პურის თავთავეებს, სრესდნენ ხელში და იმით იკლავდნენ შიმშილს. ებრაელთა მოძღვრებით კი ღმერთმა მოსეს დაუდგინა კანონი, რომლის თანახმადაც შაბათ ღღეს კაცმა არაფერი არ უნდა აკეთოს, მხოლოდ ილიცოს ღმერთის წინაშე. ფარისეველებმა ნახეს, როგორ სრესდნენ ქრისტეს მოწაფეები თავთავეებს, შეაჩერეს და უთხრეს: — ღღეს შაბათია. მუშაობა არ შეიძლება, თქვენ კი თავთავეებს სრესთ. კანონში წერია, რომ ვინც შაბათს იმუშავებს, სიკვდილის თანამდებია.

იესომ ეს გაიგონა და ფარისეველებს მიუგო:

— წინასწარმეტყველმა თქვა, რომ ღმერთს უნდა სიყვარული და არა მსხვერპლი. ეს რომ გცოდნოდათ, ჩემს მოწაფეებს ასე არ განსჯიდით. ადამიანი შაბათზე უფრო მნიშვნელოვანია.

ფარისეველებმა აღარ ეცოდნენ, რა პასუხი გაეცათ ამაზე, და გაჩუბდნენ.

მეორედ ფარისეველებმა ნახეს, რომ იესო შევიდა ხარკის ამკრეფ მათესთან და მთელ ოჯახთან ერთად პურს ჭამდა. ისინი კი ურწმუნოებად ითვლებო-

დნენ. ფარისევლებმა იესო გაამტყუნეს და უსაყვედურეს: ურჯულოებთან პურის ჭამა უკანონობა არისო.

იესომ მიუგო: — მე ვასწავლი ჭეშმარიტებას ყველას, ვისაც ჭეშმარიტების ცოდნა სურს. თქვენ თავს თვლით მორწმუნეებად და გგონიათ, რომ იცით ჭეშმარიტება, ამიტომ თქვენ აღარაფერი გესწავლებათ. სწავლება ესაჭიროებათ ურწმუნოებს. როგორღა ისწავლიან ჭეშმარიტებას, თუ ახლამს მათ უსაყვედურებით?

ამაზეც ფარისევლებმა ვერაფერი უპასუხეს და მის მოწაფეებს მიუბრუნდნენ ასეთი საყვედურით: ხელდაუბანელნი რატომ ჭამთო პურს? თვითონ კი მკაცრად იცავდნენ გადმოცემულ წესს, თუ როგორ დაებანათ ხელები და გაერეცხათ ჭურჭელი.

ამაზე იესომ უთხრა: — თქვენ გვსაყვედურობთ, ხელს რატომ არ იბანთო ჭამის დროს, მაგრამ ადამიანის წაბილწვა არ შეუძლია იმას, რაც გარედან შედის. ადამიანს ბილწავს ის, რაც სულიდან გამოდის, რადგან ადამიანის სულიდან გამოდის ბოროტი ზრახვანი, მრუშობანი, კაცის კვლანი, პარვანი, უკეთურობა, ყოველნაირი სიცრუე, შური, თავხედობა, ცილისწამება და ყოველი სიავადიანხ, ყოველნაირი ბოროტება გამოდის ადამიანის სულიდან და მხოლოდ ბოროტება ბილწავს ადამიანს. დე, იყოს თქვენს სულში მოყვასის სიყვარული და მაშინ ყველაფერი კეთილად იქნება.

(მათე 12, 1-8; 9, 9-13; მარკ. 7, 1-5, 14, 23)

12

ერთხელ იესო მოწაფეებს ჩამოშორდა და ლოცვა დაიწყო. როცა დაასრულა, მოწაფეები მივიდნენ და უთხრეს: მასწავლებულო, გვასწავლე ლოცვა.

იესომ მიუგო:

— უწინარეს ყოვლისა, ლოცვა უნდა არა იმისათვის, როგორც ხშირად ხდება, რომ ადამიანებმა დაინახონ და დაგიწიონ ქება: ლოცულობსო. თუ ასე აკეთებთ, მაშინ თქვენ ლოცულობთ ხალხის საჩვენებლად და ხალხიც ამისათვის გაქებთ. მაგრამ სულისათვის ასეთ ლოცვას სარგებლობა არ მოაქვს. თუ მართლა ლოცვა გინდათ, შედით ისეთ ადგილას, სადაც არავინ დაგინახავთ, და იქ ილოცეთ თქვენი მამისათვის, მაშა თქვენი კი მოგცემთ იმას, რაც თქვენს სულს ესაჭიროება.

როცა ლოცულობთ, ზედმეტს ნურაფერს იტყვით. მამაზეც იერმა იცის, რაც გესაჭიროებათ, და თუნდაც ყველაფერი ვერ თქვათ, ის მოგცემთ ყველაფერს, რაც თქვენს სულს სჭირდება.

ლოცვა უწინარეს ყოვლისა საჭიროა იმაზე, რომ წმიდა იყოს თქვენში სული უფლისა, რომ თქვენზე გადმოვიდეს სასუფეველი უფლისა, რათა ვიცხოვროთ არა საკუთარი ნებით, არამედ უფლის ნებით; რომ არ ვისურვოთ ზედმეტი რამ, ვიკმაროთ პური ჩვენი არსობისა, ღუკმა ყოველდღიური; რომ წეგვეწიოს უფალი ჩვენი, მიუტყვეოს მისატყვევებელი ჩვენს ძმებს, გვიხსნას ჩვენ შეცოდებისა და ყოველი განსაცდელისაგან.

თქვენი ლოცვა იყოს ასეთი: მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა. პური ჩვენი არსობისა მოგვეცე ჩვენ დღეს, და მოგვიტყვე ჩვენ ცოდვანი ჩვენნი, რადგან ჩვენც მიუუტყვევებ ყველა

ჩვენს მოვალეს, და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში, არამედ გვიხსენ ბოროტსაგან.

ლოცვა ასე უნდა, მაგრამ თუ ლოცვა გინდათ, უწინარეს ყოვლისა იმაზე აფიქრეთ, ხომ არა გაქვთ გულში ვინმეს მიმართ ბოროტი განზრახვა. თუ გაქვთ ვინმესადმი წყენა, ჯერ წადით და შეურიგდით მას, ვისზეც გაბრაზებული ხართ, ხოლო თუ იმ კაცის პოვნა არ შეგიძლიათ, მაშინ თქვენს გულში ამოიგდეთ მისდამი ბოროტი, მხოლოდ ამის შემდეგ ილოცეთ. მხოლოდ მაშინ გარგებთ თქვენი ლოცვა.

(ლუკა 11, 1; მათე 6, 5-13; მარკ. 11, 25-26; მათე 5, 23-24).

13

ერთხელ იესო ფარისეველმა მიიპატიჟა და ერთად ისადილეს. როცა სადილობდნენ, იქ ერთი ქალაქელი ქალი შევიდა. ეს ქალი ცოდვილი იყო. ნელსაცხებელი მოიტანა ალუბასტრის მუშით. იესოს ფერხთით დაინოქა და ატირდა. ცრემლებით უსველებდა ფეხებს, შემდეგ კი საკუთარი თმით უმშრალებდა. ალუბასტრი გატეხა, სუნამოთი დაუნამა ფეხები.

ამისი მხილველი ფარისეველი დაეჭვდა და იესოზე გაიფიქრა: ეს რომ მართლა წინასწარმეტყველი ყოფილიყო, მიხვდებოდა, რომ ეს ქალი ცოდვილია და მეძავი, ამიტომ არ მისცემდა შეხების ნებასო.

იესო მიხვდა, რასაც ფიქრობდა ფარისეველი, და მასპინძელს მიუბრუნდა:

- ვითხრა, რასაც ვფიქრობ?
- თქვი, - მიუგო ფარისეველმა.

იესომ უთხრა:

- აი, რას: ორი კაცი ერთი მდიდრის მოვალე იყო. ერთს ემართა ხუთასი მანეთი, მეორეს ორმოცდაათი, მაგრამ არც ერთს არ გააჩნდა იმდენი ფული, რომ ვალი გაესტუმრებინა. მდიდარმა ორივეს აპატია. ახლა მითხარი, რომელ მათგანს უფრო ეყვარება მდიდარი, რომელმაც ვალი აპატია? რომელი დარჩებოდა უფრო მადლიერი?

ფარისეველმა მიუგო:

- რასაკვირველია, ის, ვისაც მეტი ემართა.

იესომ ქალზე მიუთითა და უთხრა:

- ასეა შენი და ამ ქალის ამბავი. შენ თავს თვლი მართლმორწმუნედ და ამიტომ ნაკლებად მოგეთხოვება ვალი უფლის წინაშე. ეს ქალი თავს თვლის ცოდვილად და ამიტომ მისი ფიქრით მეტიც მოეთხოვება. შენ მომიწვიე, მე მოვედი შენთან სახლში და შენ წყალიც არ მომეცი ფეხების დასაბანად. არც ზეთი გაიმეტე, რომ თავზე წამეცხო, ეს ქალი კი ძვირფასი სურნელოვანი სითხით მბანს ფეხებს. ის თავს დიდ ცოდვილად თვლის და ამიტომ ადამიანებს იოლად შეიყვარებს. შენ კი თავი მართლმორწმუნე გვონია და ამიტომ ძნელად ვინმეს შეიყვარებ. ხოლო ვისაც დიდი სიყვარული შეუძლია, ყველაფერი ეპატიება.

(ლუკა 7, 36-48)

მეორედ იესოს სამარიაზე უნდა გაეკვლო. გზაში დაიღალა და ჭასთან ჩამოჯდა. მოწაფეები ქალაქში წავიდნენ პურის საშოვნელად. ერთი სოფელში ქალი მივიდა ჭასთან. იესომ სთხოვა, წყალი დამალეუინეო. ქალმა უთხრა:

— თქვენ, იუდეველო, სამარიაელებთან საერთო არაფერი გაქვთ, აბა, როგორა მთხოვ წყალს?

იესომ მიუგო:

— რომ იცოდე, ეინა ვარ და რას ვასწავლი, წყალს შემასმევდი, უარს არ მეტყოდი. სამაგიეროდ მე სიცოცხლის წყალს ვასმევდი.

ქალმა ვერ გაუგო და უთხრა:

— საიდან მოიტან აქ სხვა წყალს? ამ არემარეში წყალი მხოლოდ ამ ჭაშა და ეს მამანვენს იაკობს ეკუთვნის.

— ეინც შენს წყალს დალევს, მეორედაც მოსწყურდება, ხოლო ვინც ჩემს წყალს შესვამს, ყოველთვის კმაყოფილი იქნება და სხვებსაც კი გაუზიარებს თავის წყალს.

ქალი მიხვდა, რომ ღვთაებრივ საგანზე ელაპარაკებიან, და უთხრა:

— მე სამარიაელი ვარ და შენ იუდეველი. ამიტომ შენ მე ვერ მასწავლი. ჩვენები აგერ იმ მთაზე ღოცულობენ, ხოლო თქვენ, იუდეველნი, კი ამტკიცებთ, რომ მხოლოდ იერუსალიმშია სახლი უფლისა.

იესომ უთხრა:

— ეს იყო უწინ. ამიერიდან კი ადამიანები ილოცებენ არა ამ მთაზე და არა იერუსალიმში; აღიდეგენ ციურ მამას არა სადმე გარკვეულ ადგილას, არამედ სულში და ჭეშმარიტებაში. ღმერთი—სულია, და მისი თაყვანისცემა გემართებს სულში და ჭეშმარიტებაში.

ქალმა ვერ გაიგო, რა უთხრა ამ კაცმა, და ასე უპასუხა:

— გამიგონია, უფლის მოვლიხებული მოვა და მაშინ ის ყველაფერს აგვიხსნის.

იესომ კი უთხრა:

— გაიგე, ქალო, რაც ვითხარი, და სხვას ჩემგან ნუღარაფერს ელოდები.

(იოანე 4, 4-26)

იესო თავისი ფეხით დადიოდა ქალაქ-სოფლებში, ამასთან მოწაფეებიც გაავზავნა იქ, სადაც თვითონ სურდა წასვლა, და ასე დაარიგა:

— მრავალმა არ იცის ნამდვილი ცხოვრებას სიკეთე. ყველა მეცოდება და ყველას მინდა განვუმართო ის, რაც მე ვიცი. როგორც ყანის პატრონს არ შეუძლია მართლმ მოუაროს ნახნავ-ნათესს და მუშებს იწვევს, რათა მოსავალი მოიწიონ, ასე ვარ მეც. წადით, მოიარეთ ქალაქები და სოფლები, გაავრცელეთ ყველგან უფლის სასუფეველის მოძღვრება. უთხარით ხალხს მცნებანი ღვთისა და თვითონაც შეასრულეთ ყოველი მცნება.

მე თქვენ გაგზავნით ისე, როგორც ცხვრებს მგლებთან. იყავით ბრძენნი, ვითარცა გველნი, და უმანკონი, ვითარცა მტრედნი. ყველაზე მთავარია, არ იქო-

ნათ არაფერი საკუთარი, არაფერი წაიღოთ თან: არც ჩანთა, არც პური, არც ფული, მხოლოდ სამოსი ტანზე და ფეხსაცმელი ფეხზე, სხვა არა გინდათ რა.

და ნუ გაარჩევთ ადამიანებს, არ შეარჩიოთ მასპინძელი, თუ ვისთან უნდა შეხვიდეთ. რომელ სახლშიც პირველად შეხვალთ, იქვე დარჩით. როცა სახლში შეხვალთ, მასპინძელს მიესალმეთ. თუ მიგიღებთ, შედით და, თუ არ მიგიღებენ, წადით სხვა სახლში.

ეროვნული

ხალხი შეგიძლებთ იმისათვის, რასაც ქადაგებთ, თავს დაგესხმან და გმადლობენ ერთი ადგილიდან მეორეში, მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ. თუ ერთი სოფლიდან გაგაძევებენ, მეორეში შედით, ხოლო თუ არც იქ გაგაჩერებენ, შესამელოფელს მიმართეთ. ბევრგან დაგიწყებენ დევნას, როგორც მგლები ცხვრებს, მაგრამ ნუ შედრკებით. სამართალშიც მიგცემენ, შოლტითაც გცემენ, უფროსებთან წაგიყვანენ და გიჩივლებენ; ნუ იფიქრებთ სათქმელზე, იცოდეთ, რომ თქვენშია სული უფლისა და ის ეტყვის, რაც სათქმელია.

ადამიანებს შეუძლიათ მოკლან თქვენი ხორცი, მაგრამ თქვენს სულს ვერაფერს ავნებენ, ამიტომ ნუ შეგეშინდებათ ადამიანებისა, გეშინოდეთ მხოლოდ იმისა, რომ სული თქვენი არ დაიღუპოს თქვენს ხორციდან ერთად, თუ მამის ნებას გადაუხვევთ, — აი, რისი უნდა გეშინოდეთ. არც ერთი ბელურა ჩიტი არ დაიღუპება მამის ნების გარეშე, მისი ნების გარეშე თმის ღერიც არ დავარდება თავიდან. თუ თქვენ უფლის განგება გფარავთ, სხვა რაღა გინდათ?

(ლუკა 10, 1-7; მათე 10, 7-12, 16-31)

16

გაგზავნილი მოწაფეები ერთ მხარეს წავიდნენ, იესო და სხვა მოწაფეები კი სხვა მხარის ქალაქებსა და სოფლებში. ერთხელაც ერთ სოფელში მოუხდა შესვლა. ერთმა ქალმა, სახელად მართამ, თავის სახლში შეიპატიჟა. იქ დაჯდა და დაიწყო ლაპარაკი, ხოლო მართას და მარიამი მის ფერხთით დაჯდა და უსმენდა. მართა კი სადილის თადარიგს შეუდგა.

მართამ ნახა, რომ მარიამი ზის იესოს ფერხთით და გულმოდგინედ უსმენს სტუმარს. მივიდა იესოსთან და უთხრა:

— მე მართო ვსაქმიანობ ოჯახში, ჩემი და კი შენს ფერხთით მოკალათებულა და ვისმენს. უთხარი დამეხმაროს.

იესომ უთხრა:

— მართა, მართა! წვალობ და ჯახირობ მრავალ საქმეზე, საჭიროა კი მხოლოდ ერთი საქმე. მარიამმა ამოიჩინა ეს ერთი საქმე და ვერაფერს წაართმევს მას. ჭეშმარიტი ცხოვრებისათვის საჭიროა სულიერი საზრდო და არა ხორციელი.

ამაზე იესომ ასეთი იგავიც თქვა:

— ერთმა კაცმა პურის უხვი მოსავალი მოიწია. ამ კაცმა გაიფიქრა: ახლა დავარდევ ჩემს ბედელს. ავაშენებ უფრო დიდს და იქ მოვათავსებ ამ ჭირნახულს. ჩემს სულს ვეტყვი: აი, ჩემო სულო, ყველაფერი უხვად გებოძა, ახლა დაისვენე, ჭამე, სვი და ისიამოვნე. დმერთმა კი უთხრა: უგუნურო, ამ დამეს შენს სულს ამოვართმევ და შენს მონაგარს სხვანი გაიტაცებენ.

ასე მოუვა ყველას, ვინც მხოლოდ ხორციელი ცხოვრებისათვის ზრუნავს და არა სულისთვის.

ჭეშმარიტი ცხოვრებით მხოლოდ ის ცხოვრობს, ვინც თავის ნებაზე უარს იტყვის და ყოველ წუთს მზად არის დეთის ნება შეასრულოს. ხოლო ვინც მხოლოდ ხორცისთვის ზრუნავს, ჭეშმარიტ ცხოვრებას დუბავს.

(ლუკა 10, 38-42; მათე 23, 23-25)
 ზიზღილიყიყი

ერთხელ იესომ ხალხის ლაპარაკს მოჰკრა ყური: პილატემ გალილეველნი დახოცაო, თქვეს, და კიდევ: კოშკი ჩამოიქცა, 18 ადამიანი გასრისაო. ამაზე იესომ ხალხს უთხრა: როგორ ფიქრობთ, იყვნენ რაიმეში დაღუპულები დამნაშავენი? ხომ ვიცით, რომ ისინი ჩვენზე უარესები სულაც არ იქნებოდნენ. რაც იმათ შეემთხვათ, ის შეიძლებოდა ყოველ ჩვენთაგანს შემთხვეოდა. ჩვენც დღეს თუ არა, ხვალ მოვკვდებით. სიკვდილს ვერანაირად ვერ გავექცევით. ამიტომ ტყუილად ვუფროთხილდებით ჩვენს ხორციელ სიცოცხლეს. ყველამ ვიცით, რომ ის მალე დასრულდება.

ამაზე იესომ ასეთი იგავი თქვა:

— ერთ კაცს ბაღში უნაყოფო ვაშლის ხე ედგა. ბაღის პატრონი მებაღეს ეუბნება: აი, სამი წელია აქ დავდივარ და ამ ხეს ნაყოფი არ ასხია. უნდა მოიჭრას, რადგან ფუჭად იკავეს ადგილს.

მებაღემ მიუგო: დავიცადოთ კიდევ, ბატონო. მოდი, დავბაროთ, მოვრწყათ, დავაყრი ნაკელს და იქნებ გაის ზაფხულისათვის ნაყოფი მოგეცესო. ხოლო თუ არც გაისად მოისხა, მაშინ მოვჭრაო.

ჩვენი საქმეც ასეა. მხოლოდ ხორციელად ვცხოვრობთ და სულისათვის სარგებლობა არ მოგვაქვს. პატრონი არა გვჭრის, არა გვკლავს, რადგან ელის ჩვენგან სასარგებლო ნაყოფს — სულიერ ცხოვრებას. მაგრამ თუ ნაყოფს არ გამოვიღებთ, დაღუპვა არ აგვცდება. ამის გაგებას არავითარი სიბრძნე არ უნდა. ყველა ხედავს, რომ რაც ჩვენს ოჯახურ საქმეებში თუ გარეშე, საქვეყნო საქმეებში ხდება, იმის მიხედვით ვსჯით და ვწინასწარმეტყველებთ. თუ დასავლეთის ქარი ქრის, ვამბობთ, რომ წვიმის ნიშანია, და მართლაც გაწვიმდება ხოლმე. სამხრეთის ქარი გვალვის ნიშანი გვგონია და ასედაც არის. როგორ, ამინდის გამოცნობა შეგვიძლია და იმას ვეღარა ვხვდებით, რომ ყველანი სიკვდილის შვილები ვართ და უნდა გავუფროთხილდეთ არა მოკვდავ სხეულს, არამედ უკვდავ სულს?

(ლუკა 13, 1-9; 12, 54-57)

მეორედ იესომ ხალხს უთხრა იგავი იმაზე, თუ რისი მსგავსია ადამიანის სიცოცხლე:

— იყო ერთი მდიდარი კაცი. ერთხელ თავისი სახლიდან წასვლა მოუხდა. წასვლის წინ მონები მოიხშო და ჩააბარა ათი გირვანქა ვერცხლი, ყველას თითო გირვანქა, თან უთხრა: ივაჭრეთ ყველამ იმით, რაც მოგეცით, ჩემს დაბრუნე-

ბაბლეო. თქვა და წავიდა. როცა ბატონი წასული იყო, მონებმა თავისუფლება ჯერძეს და ისე ცხოვრობდნენ, როგორც სურდათ. ჰოდა, როცა ის მდიდარი კაცი თავის სახლში დაბრუნდა, დაიბარა მონები და ჰკითხა, ვინ როგორ გამოეყენათ ჩემი ვერცხლი. მოვიდა პირველი და უთხრა: აი, ბატონო, შენი ერთი ვერცხლიდან ათი მოვიგეო. ბატონი კმაყოფილი დარჩა: შენ მცირეშია ვერცხლი იყავი და ახლაც ჩემი სიმდიდრის მოხიარუ იქნებიო.

მოვიდა მეორე მონა და უთხრა: აი, შენი ერთი ვერცხლით ხუთმოცი მოვიგეო. ბატონმა მიუგო: კარგი, კეთილი მონა ყოფილხარ, შენც ჩემი სიმდიდრის მოხიარუ იქნებიო. მოვიდა მესამე მონა და უთხრა: აი, ბატონო, შენი ვერცხლი-ტილოში შევახვიე და შეგინახე, რადგანაც კარგად გიცნობ: სასტიკი კაცი ხარ, იღებ იქ, სადაც არა დაგიდგია რა, იმკი იქ, სადაც არ ვითესია, და მეშინოდა შენი რისხვისაო. ბატონმა უთხრა: სულელი მონავ, შენი სიტყვით განიკითხება: შენ ამბობ, რომ ჩემი შიშით ვერცხლისთვის ხელი არ გიხლია და არ გიმუშავია? თუ სასტიკი კაცი ვარ და ვიღებ იქ, სადაც არა დამიდგია რა, მაშინ რატომ არ გააკეთე ის, რაც ვითხარი? შენ რომ ჩემი ვერცხლი ბრუნვაში გაგეშვა, მოივებდი, ჩემი მამულიც იმატებდა და შენც ისარგებლებდი. შენ კი არ გამოიყენე ჩემი ვერცხლი ისე, როგორც ვითხარი, ამიტომ შენ ვერ იქნები მისი მფლობელი.

ამის შემდეგ ბატონმა ბრძანა: წაართვით ვერცხლი მას, ვისაც უბარა, და მიეცით იმას, ვისაც მეტი აქვსო, ვინც იმუშავა და მოიგოო. მაშინ მონებმა უთხრეს: ბატონო, იმათ ისედაც ბევრი აქვთო. ბატონმა კი მიუგო: მიეცით იმათ, რომელთაც მეტი იმუშავეს, რადგან ვინც იყენებს იმას, რაც ეძლევა, ემატება, ხოლო ვინც უმოქმედია, იმას ისიც წაერთმევა, რაც აქვს.

ასეთივეა ადამიანების ცხოვრება, თქვა იესომ. მდიდარი პატრონი — ესაა მამა, მისი მონები — ადამიანები. ვერცხლი — ესაა სული უფლისა ადამიანებში. როგორც ქონების მკმატრონი თვითონ კი არ მუშაობს, არამედ მონებს ამუშავებს და უბრძანებს გამოიყენონ ის, რაც მიეცათ, ასევე მამაზეციური აძლევს ადამიანებს თავის სულს იმისათვის, რომ თავის თავში გაამდიდრონ, გაზარდონ, აღუმაონ იმაზე, რაც მიეცათ. ვინიერმა ხალხმა იცის, სული უფლისა იმისათვის ეძლევათ, რათა მამის ნებას ემსახურონ, ადამიანებიც ზრდიან თავიანთ თავში სულს და ხლებიან მამის ცხოვრების მოხიარუნი. უგუნური კი, მსგავსად სულელი მონისა, შიშობენ არ დაკარგონ თავიანთი ხორციელი ცხოვრება და ასრულებენ მხოლოდ თავიანთ ნებას, არა მამის ნებას, ამიტომაც კარგავენ ჭეშმარიტ ცხოვრებას.

ასეთი ადამიანები კარგავენ იმას, რაც ყველაზე უფრო ძვირფასია — სულის ცხოვრებას. ამიტომ არ არსებობს ადამიანებისათვის იმაზე უფრო ძვირე შეცდომა, რომ აღიარო მხოლოდ ხორციელი ცხოვრება, არა სულიერი. კაცი სრულ თანხმობაში უნდა იყოს სულიერ ცხოვრებასთან, ვინც მასთან არაა, მისი მიწინააღმდეგეა. უნდა ემსახურო ცხოვრების სულს და არა ხორცს.

(ლუკა 19, 11-26; მათე 25, 14-30; ლუკა 11, 23)

ერთხელ იესოს ბავშვები მიუყვანეს. მოწაფეებმა მათი გარეკვა სცადეს. იესომ ნახა ეს და უთხრა: ნუ უშლით ყრმებს ჩემთან მოსვლას, ბავშვები კი არ უნდა გაყაროთ, უნდა ისწავლით მათგან, რადგან ისინი უფრო ახლოს არიან

ციურ სასუფეველთან, ვიდრე მოზრდილნი. ბავშვები არ იგინებიან, არ აფარავენ გულში ბოროტებას, არ მრუშობენ, არ იფიცებიან, არავისთან მართავენ დაეას, არ იციან გარჩევა თავისი და უცხო ხალხისა. ყრმები უფრო ახლო არიან ციურ სასუფეველთან. კი არ უნდა გარეკოთ ყრმები, არამედ უნდა იზრუნოთ იმისათვის, რომ არ აცდუნონ.

ცდუნება ღუპავს ადამიანებს იმით, რომ სიკეთისა და უკეთესობის განწყობილების ნიღბით ადამიანებს ითრევენ უსაძაგლეს ამბებში. ადამიანი მიენდოს ცდუნებას და ამით უკვე ღუპავს თავის ხორცსაც და სულსაც. ამიტომ ჯობს ხორციით დაიტანჯო, ვიდრე ცდუნებას აჰყვე. როგორც ხაფანგში გაბმული ქელია გადაიდრღნის საკუთარ ფეხს, რათა იხსნას მთელი დანარჩენი სხეული, ასე ყოველ ადამიანს ერჩიოს დაიტანჯოს ხორციით, ვიდრე მიეცეს ცდუნებას. ჯობს დაკარგოს ხელი, ფეხი, მთელი სხეულიც, ოღონდ არ შეიყვაროს ბოროტება და არ მიეჩვიოს მას. ვაი წუთისოფელს ცდუნებებისაგან. ცდუნებით შემოდის ქვეყნად ყველა ბოროტება.

(მათე 19, 13, 14; 18, 2, 9; ლუკა 18, 17)

20

კიდევ ისა თქვა იესომ, რომ ყველა ცდუნებიდან ყველაზე უფრო საზიანოა რისხვის ცდუნება. ადამიანი ბრაზობს ძმაზე მისი ცოდვებისათვის და ჰგონია, რომ ამ რისხვით გამოასწორებს თავის გზასამცდარ ძმას, მაგრამ ავიწყდება, რომ არავის არა აქვს ნება განსაჯოს თავისი ძმა, რადგან ყოველი ჩვენგანი საუსეა ცოდვებით, და ვიდრე ძმას გამოასწორებ, ჯერ შენი თავი უნდა გამოასწორო. თორემ ჩვენ უხედავთ ბეწვს ძმის თვალში და ვერ ვამჩნევთ ღირეს საკუთარ თვალში. ამიტომ, თუ დარწმუნებული ხარ, რომ ძმა შენი ცუდად იქცევა, წადი მასთან. დრო შეუჩინე, რომ მარტოს დაელაპარაკო, და თვითონვე აუხსენი, თუ რა გაქვს მისი საწინააღმდეგო. თუ დაგიჯერა, შენი მეგობარი იქნება და არა მტერი. თუ არ დაგიჯერა, შეიცოდე მხოლოდ და ნუღარ დაიჭერ მასთან საქმეს.

ერთმა მოწაფემ ჰკითხა:

— მაგრამ თუ არ მომიძმინა და ისევ განაგრძო ჩემი განაწყენება? თუ ისევ და ისევ უსამართლოდ მომექცა მესამედ, მეოთხედაც, შვიდჯერაც, მაინც უნდა ვაპატიო?

იესომ მიუგო:

— არათუ შვიდგზის, არამედ სამოცდაათგზის და შვიდჯერაც, უსასრულოდ უნდა აპატიო, რადგან ისევე, როგორც ღმერთი მოკვიტეებს ყველა შეცოდებას, თუ მოვიჩინეთ, ასევე უნდა მივუტევოთ ჩვენს ძმებს მათი ცოდვები.

(მათე 7, 1-5; 18, 15-22)

21

ამაზედაც თქვა იესომ ერთი იგავი:

— ერთმა მდიდარმა თავის მოვალეებს უჩივლა. მიჰგვარეს ერთი მოვალე, რომელსაც მისი ათასი მანეთი ემართა. იმ კაცს არაფერი გააჩნდა, რომ მიეტა. ამისათვის მდიდარს შეეძლო გაეყიდა მისი მამული, სახლ-კარი, ცოლ-შვილი და თვითონ ისიც. მაგრამ მოვალე შეევედრა, ვალი მაპატიეო. მდიდარს შეეცოდა და

მთელი ვალი აპატიო. ახლა მივიდა ამ ღარიბთან მისი ღატაკი მოვალე და დაუწყო ხვეწნა, მაპატიეო, მაგრამ ნაპატიებმა ღარიბმა უარი ახალა, დაუყოვლებლივ მომეციო ვალი, უთხრა. ბევრი ეხვეწა და ემუდარა, მაინც არ შეიწყადა ღარიბმა კაცმა ღარიბი მოვალე, უჩივლა და ციხეში უკრა თავი. ხალხმა ეს დაინახა, მივიდნენ მდიდართან და უთხრეს, რაც გააკეთა ამ კაცმა. მაშინ მდიდარმა დაიბარა მოვალე და უთხრა: „მე მთელი ვალი გაპატიე, რადგან შემეწყალებს.“ მან ასე უნდა შეგეწყალებინა შენი მოვალე, იმის გამო, რომ მე შეგეწყალებს. შენ კი რა გააკეთე?“ — და იმანაც სასამართლოში უჩივლა თავის მოვალეს.

ასე მოგვივა ჩვენ ყველას, თუ მთელი გულით არ მივუტევებთ ყველას, ვინც ჩვენ წინაშე დამნაშავეა. ყოველი წახუბება ძმასთან გვბოჭავს ჩვენ და გვაშორებს ზეციურ მამას. ამიტომ ამისათვის, რომ ღმერთს არ განვეშორეთ, უნდა შევუნდეთ ძმებს ჩვენსას, ვიყიოთ მათთან მშვიდობითა და სიყვარულით.

(მათე 18, 23-35, 18, 19)

22

ერთხელ იესოსთან ფარისეულები მივიდნენ და დაუწყეს გამოცდა: შეიძლება თუ არა კაცმა ერთი ცოლი მიატოვოს და მეორე შეირთოსო? ამაზე იესომ მიუგო:

— თქვენ იცით, რომ ბავშვები შეიძლება იშვან ძხოლოდ ერთი დედისა და ერთი მამისაგან. ასე დააწესა უფალმა. ამიტომ ადამიანმა არ უნდა დაარღვიოს ის, რაც ღმერთმა დააწესა. ხოლო თუ კაცი გაუშვებს ერთ ცოლს და მოიყვანს მეორეს, ამით დაარღვევს უფლის კანონს და ჩაიდუნს სამსაგ ცოდვას: თავისი თავის, ცოლისა და სხვა ადამიანების წინაშე. თავის თავს ავნებს იმით, რომ ეჩვევა გარყვნილებას. ცოლთან სცოდავს იმით, რომ სტოვებს და ცოდვაში აგლებს. სხვა ადამიანების წინაშე სცოდავს იმით, რომ აძლევს მათ გარყვნილების მაგალითს და მრუშობის გზაზე აყენებს.

იესოს მოწაფეებმა უთხრეს: ძალიან ძნელიაო ერთ ცოლთან ცხოვრება. თუ კაცმა მთელი თავისი ცხოვრება სიკვდილამდე ერთ ქალთან გაატარა, მაშინ ჯობია სულაც არ შეირთოს ცოლი.

ამაზე იესომ უპასუხა:
— შეიძლება არც დაქორწინდეს, ოღონდ ასეთი კაცი უნდა დარჩეს სუფთა და აღარ იფიქროს საერთოდ ქალებზე. კარგია, თუ კაცი ასე ბოლომდე სუფთა იქნება, მაგრამ ვისაც ასე ცხოვრება არ შეუძლია, ის უნდა დაქორწინდეს, სიკვდილამდე იცხოვროს მასთან, ვინც შეირთო, და არ შევიდეს სხვა ქალებთან.

(მათე 19, 3-12)

23

ერთხელ ხარკის ამკრეფნი მივიდნენ პეტრესთან ტაძარში და ჰკითხეს:
— გადაიხდის თქვენი მოძღვარი იმას, რაც ევალება?
პეტრემ მიუგო, გადაიხდისო. ეს შემოესმა იესოს და პეტრეს უთხრა:
— როგორ ფიქრობ, პეტრე, ვისგან იღებს ხარკს მეფე — თავისი შვილებისა თუ უცხოებისგან?
— უცხოებისგან, — მიუგო პეტრემ.

— ჰოდა, ჩვენ თუ ღვთის შვილები ვართ, არაფერი არა გვაქვს გადასახდელი, მაგრამ მიეცი, რომ არ ვაცდუნოთ, ოღონდ არა იმისათვის, რომ გადახდა გვმართებს, არამედ იმისათვის, რომ ცოდვაში არავინ ჩავაყენოთ.

როცა მეორედ ფარისევლებმა პირა შეკრეს მეფის მოხელესთან, იესოსთან მივიდნენ, რომ სიტყვაზე გამოეჭირათ, და ჰკითხეს:

— აი, შენ ყველას ასწავლი ჭეშმარიტებას. გვითხარი, ~~უფრო უფრო~~ კეისარს ხარკი თუ არა?

იესომ მიუგო:

— მაჩვენეთ, რა ფულით უხდით კეისარს ხარკს, — ფარისევლებმა დინარი უჩვენეს. ზედ გამოსახული იყო კეისრის სურათი. იესომ მიუთითა ამ გამოსახულებაზე და უთხრა: — მიეცით კეისარსა კეისრისა და ღვთისა ღმერთს, ხოლო სული ღვთისა არავის მისცეთ, ღმერთის ვარდა. — ფული, ქონება, ნაშრომი, ყველაფერი მიეცით იმას, ვინც ითხოვოს, მაგრამ არავისთვის გააკეთოთ ის, რაც უფლის კანონს ეწინააღმდეგება.

(მათე 17, 24-27, 22, 15-22)

24

მოხდა ისე, რომ იესოს მოწაფეები ერთ სოფელში შევიდნენ და ღამის სადგომი ითხოვეს. მაგრამ ისინი არავინ შეუშვა. მივიდნენ მოწაფეები იესოსთან და შესჩივლეს, ასე მოხდაო, და დასძინეს: — ასეთი ცუდი ადამიანები იმის ღირსნი არიან, რომ მეხმა განგძიროს.

ეს იესოს ეწყინა და თქვა:

— არავის ესმის, რომელი სულისანი ხართ. მე ვასწავლი არა სულების წაწყმელას, არამედ გადარჩენას, ადამიანების ხსნას. განა შეიძლება მოყვასისათვის ბოროტი განვიზრახოთ? ყოველ მათგანშიც იგივე სული უფლისა ცოცხლობს, როგორც თქვენშია, ამიტომ არ უნდა ისურვოთ ბოროტი იმისათვის, რაც თქვენშივეა.

მეორედ ფარისევლებმა და მწიგნობრებმა იესოს მიუყვანეს მრუშობაში გამოჭერილი დედაკაცი, წინ დაუყენეს და უთხრეს:

— მოძღვარო, ეს ქალი მრუშობაზეა გამოჭერილი, მოსეს კანონით კი ასეთები უნდა ჩაექოლოთ. რას იტყვი ამაზე?

ამას რომ ეუბნებოდნენ, ქრისტეს ცთუნება უნდოდათ: თუ იტყოდა, ჩაქოლეთო, ამით დაარღვევდა საკუთარ მოძღვრებას ყველასადმი სიყვარულზე, ხოლო თუ იტყოდა, არ ჩაქოლეთო, ამით მოსეს კანონს დაარღვევდა. იესომ არაფერი უპასუხა, მხოლოდ ძირს დაიხარა და ტაძრის იატაკზე წერა განავრძო.

მაშინ ხელახლა ჰკითხეს იგივე, იესო წამოიძარტა და უთხრა:

— თქვენ ამბობთ, რომ კანონით ეს დედაკაცი უნდა ჩაიქოლოს. ჩაქოლეთ, ოღონდ პირველი ქვა იმან ესროლოს, რომელიც თვითონ უცოდველია.

თქვა ეს და იესო დაიხარა, განავრძო წერა. ბრალმდებლებმა კი ქვები დააგდეს და სათითაოდ გაიკრიფნენ. იესო იმ ქალთან მარტო დარჩა.

თავი ასწია, მაგრამ ქალის მეტი რომ ვერავინ იხილა, ასე უთხრა:

— ჩანს, არავინ განსაჯა შენი საქმე?

– არავინ, უფალო, – მიუგო ქალმა.

– არც მე გღებ მსჯავრს, – უთხრა იესომ. – წადი და ამიერიდან ნულარ მსცოდნავ.

(ლუკა 9, 52–56; იოანე 8, 3–11)

იესო ასწავლიდა ხალხს, რომ ყოველი ადამიანი ერთი მამის შვილია, ამიტომ მამადმერთის მთელი კანონი ღმერთისა და მოყვასის სიყვარულია.

ერთმა მეკანონემ, ვინც ეს იცოდა, სცადა იესოს სიტყვაზე გამოჭერა და დამტკიცება იმისა, რომ ყოველი ადამიანი ერთნაირი არაა და სხვადასხვა ხალხი ვრ იქნება ერთნაირად უფლის შვილები. ახლა მან ჰკითხა იესოს:

– შენ ქადაგებ, მოყვასი უნდა გაყვარდეთო, მაგრამ ვინაა ჩემი მოყვასი?

იესომ ამაზე იგავით უპასუხა:

– იყო ერთი მდიდარი იუდეველი. მოხდა ისე, რომ როცა ეს იუდეველი მან ბრუნდებოდა, გზაზე ავაზაკები დახვდნენ, გაპარცვეს, სცემეს და ასე მიატოვეს გზაში. გამოიარა იუდეველმა მღვდელმა, ნახა ეს ნაცემი კაცი, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია და გზა განაგრძო. გამოიარა მეორე იუდეველმა, ლევი-ხელმა, იმანაც ზედ არ შეხედა, თავისი გზა განაგრძო. გამონდა ერთი სხვა, უბო კაცი, სამარიელი, დაინახა ეს ნაცემი კაცი, არ მიაქცია ყურადღება იმას, რომ იუდეველები სამარიელებს უცხო ხალხად და მტრებად თვლიდნენ, მივიდა, წამოაყენა, თავის სახედარზე შესვა, მიიყვანა სასტუმროში, ჭრილობები მობა-
და, შეუხვია, სასტუმროს მეპატრონეს ფული გადაუხადა მისი მოვლისათვის და მხოლოდ მაშინ წავიდა, როცა ნაცემ კაცს მისი პატრონობა აღარ ესაჭიროებოდა.

– შენ მეკითხები, რომელიაო მოყვასი? – მიმართა იესომ მეკანონეს. – უსაფრთხოდ გულში სიყვარული აქვს, ყველას, რომელ ხალხსაც არ უნდა ეკუთვნოდეს, მოყვასად თვლის.

(ლუკა 10, 25–37)

იესოს მოძღვრება სულ უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდებოდა, ამასთან სულ უფრო და უფრო ბოროტდებოდნენ მასზე ფარისევლები. ისინი ხალხს ეუბნებოდნენ: – ნუ უსმენთ მას, ის გატყუებთ თქვენ. თუ მისი მოძღვრების თანახმად იცხოვრებთ, მეტი ბოროტება იქნება, ვიდრე ახლაა.

იესომაც გაიგონა ეს და თქვა:

– თქვენ ამბობთ, რომ რაკი მე ხალხს ვასწავლი არ ეძიონ სიმდიდრე, ეხივონ ღარიბულად, არ გაბოროტდნენ, არ გადაუხადონ კბილი კბილისა წილ, თვალი თვალისა წილ, ყველას შეუნდონ, ყველა უყვარდეთ, და თუ ისინი მამ მოძღვრებას იწამებენ, მათი ცხოვრება უფრო მძიმე იქნება, ვიდრე უწინ იყო. თქვენ ამბობთ, რომ ძველი ბოროტების ნაცვლად დამკვიდრდება ახალი ბოროტება. მაგრამ ეს არაა სწორი. მე ვი არა ვცვლი ერთ ბოროტებას მეორით, რამედ თქვენ ღვენით ბოროტს ბოროტით. თქვენ ღვენით ბოროტებას მექარით, სხვლებით, ფიცით, მკვლელობით, მაგრამ ბოროტება მაინც არ ისპობა. არც მოძღვრება ის მოისპოს, რადგან ვერავითარი ბოროტება ვერ მოსპობს საკუთარ

თავს. მე ბოროტებას ვღევნი არა ისე, როგორც თქვენ. მე ვღევნი ბოროტებას სიკეთით. მე ვღევნი ბოროტს იმით, რომ ვქადაგებ შეასრულონ ის მცნებანი, რომელნიც მათ იხსნის ბოროტისაგან.



(მათე 12, 24-28)

ქართული
ბიბლიოთეკა

ერთხელ იესოსთან მივიდნენ მასი ღელა და ძმები, მაგრამ მასთან ვერ მი-
აღწიეს, იმდენი ხალხი იყო მის გარშემო. ერთმა კაცმა მიაქცია მათ ყურადღება,
შევიდა იესოსთან და უთხრა:

— შენი ძაღლობები გაახლენ, ღელა და ძმები, გარეთ დგანან და ვერ შე-
მოდიან, რომ გნახონ.

იესომ მიუგო: — ჩემი ღელა და ძმები არიან ისინი, რომელთაც იციან უფ-
ლის ნება და ასრულებენ მას.

ყოველი ადამიანისათვის უფლის ნება უნდა ნიშნავდეს მეტს, ვიდრე ღელ-
მამა, ცოლ-შვილი, და-ძმები, მისი ქონება და საკუთარი ხორციელი ცხოვრება.

აკი თავის საერო ცხოვრებაშიც ყოველი ადამიანი რაიმე საქმის დაწყების
წინ ჯერ განსჯის, იქნება თუ არა ეს საქმე ხელსაყრელი, და თუ მიაჩნია ხელ-
საყრელად, დაიწყებს, თუ არადა, მიატოვებს. ვისაც სახლის ამენება უნდა, ჯერ
დაჯდება და გაიანგარიშებს: რამდენი ფული დასჭირდება, რამდენი აქვს, ეყოფა
თუ არა ეს, და მერე დაიწყებს შენებას, რომ ისე არ მოხდეს, შენება დაიწყოს,
დასრულება კი ვერ შესძლოს, ტყუილად დახარჯოს დრო და ძალა. ყოველი მე-
ფე, თუ ომს აპირებს, ჯერ განსჯის, შეუძლია თუ არა 10 000 კაცით 20 000
მეომარზე გაილაშქროს. თუ შეატყო, რომ საქმეს წააგებს, ომს აღარ გამართავს,
ელჩებს გააგზავნის და შეეცდება სადავო საქმე მშვიდობიანი მოლაპარაკებით
გადაწყვიტოს, დახავებას შეეცდება.

ასევე ყოველმა კაცმა უნდა შეიგნოს, რომ რაც გააჩნია: ოჯახი, მამული,
თვით ხორციელი ცხოვრება დღესა თუ ხვალ ხელიდან გამოეცლება, მხოლოდ
ერთი რამ, რაც არასოდეს წაერთმევა, ესაა მისი სულიერი ცხოვრება. ამიტომ
პირველ რიგში თავისი სულიერი ცხოვრებისათვის უნდა იზრუნოს.

ყოველივე ეს რომ მოისმინა, ერთმა კაცმა უთხრა: კარგია, როცა სულიერი
ცხოვრებაა, მაგრამ როგორ იქნება, ყველაფერი რომ შევწიროთ და სულიერი
ცხოვრება მაინც არ იყოს, ვერ ვეწიოთ მას?

ამაზე იესომ მიუგო:

— ყველამ იცის, რომ სულის ცხოვრება არსებობს და მხოლოდ ის არ
კვდება. თქვენ ეს ყველამ იცით, მაგრამ არ აკეთებთ იმას, რაც იცით. არ აკე-
თებთ არა იმიტომ, რომ გვეჭკვებათ, არამედ იმიტომ, რომ ჭეშმარიტ ცხოვრებას
ივიწყებთ, ცრუ ზრუნვას აპყობიხართ.

ამაზე ერთი იგავი თქვა:

— ერთმა ბატონმა სანადიმო სუფრა გამოაწყო და მუშებს უბრძანა,
სტუმრებს მოუხმეთო. მაგრამ სტუმრებმა მასთან მისვლაზე უარი განაცხადეს.
ერთმა თქვა: მიწა ვიყიდე და დასახედავად უნდა წავიდეთ. მეორემ თქვა: ხარები
ვიყიდე და ყანა უნდა მოვხნაო. მესამემ თქვა: ცოლი მომყავს, ქორწილი მაქვსო.
მობრუნდნენ მუშები და თქვეს: არავინ არ მოდისო. მაშინ ბატონმა მათხოვრე-
ბის დაპატიჟება უბრძანა. გლახაკები მოვიდნენ და სუფრას მიუსხდნენ. ამაზე

იტყვიან: ბევრია წვეული, ცოტაა რჩეულიო. მასპინძელი ვერ იყო კარგი კაცი და ამიტომ არაეინ ისურვა მასთან მისვლა.

ასე იციან ადამიანებმა სულიერი ცხოვრება მხოლოდ მაშინ, როცა ხორციელი საქმეები აღარ აწუხებთ.

(ლუკა 6, 19-21; მათე 12, 46-50; ლუკა 14, 26-33)



საქართველოს
საგარეო ურთიერთობების
სამსახური

28

ერთხელ იესოსთან ერთი კაცი მივიდა, დაუნოქა და უთხრა:

— კეთილო მოძღვარო, ძიოხარო, როგორ მოვიქცე, რომ საუკუნო ცხოვრებას ვეზიარო?

იესომ მიუგო:

— რატომ მიწოდებ კეთილს? კეთილი არაეინაა, ღმერთის გარდა. ხომ იცი მცნებანი. შეასრულე.

კაცმა თქვა: — მცნება მრავალია, რომელი შევასრულო?

იესომ თქვა: — კაცი არ მოკლა, არ იმრუშო, არ იცრუო, არ მოიძარო, არ აწყენინო არავის, პატივი ეცი დედას და მამას.

კაცმა თქვა: — ამ ცნებებს სიყრმიდან ვიცავ.

იესომ შეხედა, მოეწონა და უთხრა:

— ერთი რამ გაკლია: წაღი და რაც გაბადია, გაყიდე, გლახაკებს დაურიგე. კაცი შეცბუნდა და უხმოდ წავიდა, რადგან დიდი მამული ჰქონდა.

მაშინ იესომ მოწაფეებს უთხრა:

— აი, ხომ ხედავთ, რარიგ ძნელია მდიდრისთვის სასუფეველში შესვლა! — მოწაფეები ამან შეაძრწუნა და იესომ ისევ გაუმეორა: — დიახ, შვილებო, ძნელია, ძნელია მდიდარი კაცისათვის უფლის სასუფეველში შესვლა. აქლემი უფრო ადვილად გაძვრება ნემსის ყუნწში, ვიდრე მდიდარი შევა სასუფეველში უფლისა. — მოციქულებს კიდევ უფრო შეეშინდათ და ერთიმეორეს გადაულაპარაკეს: — თუ არაფერი გექნება, მერე როგორ უნდა იცხოვრო? გაიყინები, შიმშილით მოკვდები.

ქრისტემ თქვა:

— ამისი მხოლოდ ხორციელ ადამიანს ეშინია, სულიერს კი არ გაუჭირდება. ვინც ამას გამოცდის, მიხვდება, რომ სიმართლეა.

(მარკოზი 10, 17-27)

29

კიდევ ასე თქვა იესომ:

— არ შეიძლება ერთდროულად ემსახურო ორ ბატონს: ღმერთსა და სიმდიდრეს, მამის ნებას და საკუთარ ნებას. ორიდან ერთია ასარჩევი: ან ერთს უნდა ემსახურო, ან მეორეს.

ეს გაიგონეს ფარისეულებმა, ფარისეულებს სიმდიდრე უყვარდათ და იესოს ამ სიტყვებზე გაიცინეს. იესომ მათ უთხრა:

— თქვენ ფიქრობთ, რომ ხალხი სიმდიდრისათვის გცემთ პატივს, რომ მართლა საპატიონი ხართ. არა, ღმერთი გარეგნობით არ სჯის, ჩვენს გულში

იხედება. ის, რაც ადამიანთა თვალში მალაღია, უფლის თვალში სიბილწეა. უფლის სასუფეველში შედიან არა მდიდრები, არამედ ღატაკნი.

იესომ იცოდა, რომ ფარისეულებს სწამდათ: სიკვდილის შემდეგ ზოგი ჯოჯოხეთში შევა, ზოგი სამოთხეში, და უთხრა მათ ასეთი იგავი.

— იყო ერთი კაცი, ძალიან მდიდარი. ყოველდღე მოკაზმული დადიოდა და ქეიფობდა. მის სიახლოვეს ცხოვრობდა ერთი ღატაკი და დაწვეულზე უფლებული კაცი, სახელად ლაზარე. მივიდოდა მდიდრის სახლში, იქნებ ნასუფრალი დარჩათ. მაგრამ მასთვის არც ნასუფრალი რჩებოდა. მდიდრის ძაღლები ჭამდნენ და თან ღატაკს წყლულებს ულოკავდნენ. გავიდა ხანი და ორივე ბოკედა—ლაზარეც და მდიდარიც. ჯოჯოხეთში მდიდარმა დაინახა შორს მღვარი აბრაამი, მის გვერდით კი დაწვეულზე უფლებული ლაზარე. მდიდარი ეუბნება აბრაამს:— მამაო აბრაამ, შენს შეწუხებას ვერ გავბედავ, მაგრამ ვხედავ, შენ გვერდით ზის დაწვეულზე უფლებული ღატაკი, რომელიც ჩემს ღობესთან ეგდო. გამომიგზავნე, იქნებ თითი ჩაყოს წყალში და ყელი გამიგრილოს, რადგან ცეცხლში ვიწვი. აბრაამი პასუხობს: რისთვის უნდა გამოგიგზავნო ცეცხლში ეს ღატაკი კაცი? შენ იმ ქვეყნად ყველაფერი გქონდა, რასაც იხებებდი, მას კი მწუხარების გარდა არაფერი უნახავს. სურვილს აგისრულებდი, მაგრამ არ შეიძლება. არ არის კავშირი ჩვენსა და თქვენ შორის. მდიდარი ეუბნება: რაკი ასეა, გააგზავნე ლაზარე ჩემს სახლში. ხუთი ძმა დამრჩა, მეცოდებიან. უთხრას, რა უბედურებაც მოაქვს სიმდიდრეს, ნუ ჩავარდებიან ჩემსავით სატანჯველში. აბრაამი კი ეუბნება: ეს მათ ისედაც იციან. მოსეც ამას ამბობდა და ყველა წინასწარმეტყველიც. ხოლო მდიდარი ეუბნება: კარგი იქნებოდა ვინმე მკვდართაგანი აღდგებოდეს, მივიდოდეს მათთან, ასე უფრო უკეთ მოეგებოდნენ გონს. აბრაამი კი ეუბნება: რაკი მოსეს და წინასწარმეტყველებს არ დაუჯერეს, მკვრელით ამდგარს როგორღა დაუჯერებენ.

(ლუკა 16, 13-15, 19-31)

30

ამას შემდეგ იესო წავიდა გალილეაში და იქ ცხოვრობდა თავის მშობლიურ ოჯახში. როცა მოახლოვდა იუდეველთა დღესასწაული კარვობა, ძმები იქ წასასვლელად მოემზადნენ და იესოსაც მოუხმეს. მათ არ სჯეროდათ მისი მოძღვრება, ასე ეუბნებოდნენ: — აი, შენ ამბობ, რომ იუდეველთა ღვთისმსახურება არასწორია და რომ შენ იცი, სინამდვილეში როგორ ემსახუროთ ღმერთს. თუ შენ ნამდვილად ფიქრობ, რომ იცი ის, რაც შენ გარდა არავინ იცის, წამოდი ებრაელთა დღესასწაულზე. იქ ურიცხვი ხალხი იქნება და დაუმტკიცე, რომ შენი მოძღვრება მართალია. თუ ყველა დაგიჯერებს, მაშინ შენს მოწაფეებსაც ეცოდინებით, რომ მართალი ხარ. თორემ რას იმალები? შენ ამბობ, რომ ჩვენ ღმერთს არასწორად ვემსახურებით, ვკვძვართ, შენ კი არ გეშლება, და მამ დაუმტკიცე ეს ყველას.

იესომ მათ უთხრა: — ყოველ საქმეს თავისი დრო აქვს. წავალ, როცა სამასო დრო დადგება. — ამრიგად, ძმები წავიდნენ, თვითონ კი დარჩა.

დღესასწაულზე უამრავი ხალხი იყო. დავობდნენ იესოს მოძღვრებაზე. ერთნი ამბობდნენ, რომ ის ჭეშმარიტია. სხვები ამტკიცებდნენ, რომ ის მხოლოდ აფორიაქებს ხალხს. შუა დღესასწაულზე იესოც მოვიდა და ტაძარში შევიდა. ტაძ-

რის კარიბჭეში პირუტყვი ჰყავდათ: ძროხები, ხარები, ვერძები, მტრედებიც კი. იქვე ისხდნენ ფულის გადამხურდავებლები და თავიანთ საქმეს აკეთებდნენ. ყველაფერი იმისათვის ხდებოდა, რომ უფლისათვის მსხვერპლი შეეწირათ. უსო რომ ტაძარში შევიდა, ჯერ საქონელი გამორეკა, მტრედები გამოუშვა, გადამხურდავებლებს ფულები მიმოუბნია, შემდეგ კი ყველას გამოუცხადა:

— წინასწარმეტყველმა ესაიამ თქვა: „უფლის სახლია არა ტაძარი, არა მღვდლის სალიმისა, არამედ უფლის ხალხთა მოელი სამყარო“. წინასწარმეტყველმა იერემიამ კიდევ თქვა: „არ დაიჯეროთ ცრუ სიტყვები, რომ აქ მარადიულის სახლია, არ დაიჯეროთ ეს, არამედ გარდაქმენით ცხოვრება თქვენი, ნუ განსჯით სიცრუით, ნუ ტანჯავთ ყარიბებს, ქვრივ-ობლებს, ნუ დაღვრით უმანკო სისხლს, ნუ მოხვალთ უფლის სახლში და ნუ იტყვიით: ახლა შეგვიძლია თავისუფლად ვაკეთოთ ბოროტი. ნუ გახდით სახლს ჩემსას ავაზაკთა ბუნაგად. მე, ღმერთს, არ მახარებს თქვენი მსხვერპლი, მახარებს თქვენი საყვარული ურთიერთისა“. გაიგეთ, რას ნიშნავს წინასწარმეტყველის სიტყვები: ცოცხალი ტაძარი ესაა სამყარო ადამიანებისა, როცა ადამიანებს ერთიმეორე უყვართ. ღმერთს უნდა მსახუროთ არა ტაძარში, არამედ სულიერი ცხოვრებით და კეთილი საქმეებით.

ყველა უსმენდა და ყველას უკვირდა, საიდან იცის ამდენი რამე, მას ხომ არ უბწავლიაო! იესომ ყური მოჰკრა, ყველას რომ უკვირდა მისი სიტყვები, და თქვა: — ჩემი მოძღვრება ჩემი კი არ არის, არამედ ჩემი მომავლინებლისაა. ვინაიდან ვინც თავის სათქმელს ქადაგებს, ის ხალხში პატივს ეძებს, ხოლო ვინც ეძებს იმას, რაც იმას უნდა, ვინც გამოგზავნა, ის სამართლიანია და მასში უსამართლობა არ არის. მე თქვენგან ვითხოვ მხოლოდ იმას, რომ მამის ნება დასრულოთ. თუ ამ ნების შესრულებას დაიწყებთ, შეიცნობთ, რომ მე არ ვიგონებ იმას, რასაც გასწავლით, არამედ ესაა ღმერთის მოძღვრება.

და ბევრმა თქვა: — ზოგიერთები იტყვიან, ცრუ წინასწარმეტყველიაო, ის კი აკერ ყველას ამკარად უქადაგებს ჭეშმარიტებას და ვერავინ ვერაფერს პასუხობს, ვერავინ ედავება. მხოლოდ ერთი რამის დაჯერება არ შეიძლება, რომ ის არის მესია, უფლის მოვლინებული — ეს იმიტომ, რომ ნათქვამია: როცა უფლის დესპანი მოვა, არავის ეცოდინება, საიდან მოვიდა, ჩვენ კი ვიცით, ვიცნობთ მას და მის მშობლებს.

მაშინ იესომ მათ უთხრა:

— თქვენ იცით, საიდან ვარ ზორციელად, მაგრამ არ იცით, ვისი ხულისაგან ვარ მოვლინებული. ეს კი უნდა იცოდეთ, ვინმემ რომ გათხრათ, მესია არისო, დაუჯერებდით, თუმცა მე კაცისა ვარ, ხოლო არ გჯერათ მამაზეციერისა, რომელიც ჩემშიცაა და თქვენშიც. უნდა გჯეროდეთ მხოლოდ მამისა.

(იოანე 7, 1-29; 2, 13-16; მათე 21, 13; 12, 7)

31

ხალხში ბევრმა ნახა და მოისმინა მისი სიტყვა. ნამდვილი წინასწარმეტყველიაო, თქვეს. სხვები კი ამბობდნენ, მესია არისო, ხოლო ზოგმა ეჭვი გამოთქვა: განა შეიძლება გალილეიდან მესია გამოვადესო? წერილში ხომ ნათქვამია, მესია მოვა ბეთლემიდან, საიდანაც დავითია, დავითის მოდგმისა იქნებაო.

დაიწყო დავა, მითქმა-მოთქმა, მღელვარება.

მაშინ მღვდელმთავრებმა მსახურები გაგზავნეს, შეიპყართო, მაგრამ მსა-

ხურებმა მისი შეპყრობა ვერ გაბედეს. როცა მღვდელმთავრებთან და ფარისევლებთან დაბრუნდნენ, ფარისევლებმა უთხრეს:

— რატომ არ მოიფიქრეთ ის კაცი?

მათ უპასუხეს:

— არასოდეს კაცს არ ულაპარაკნია ისე, როგორც ის ლაპარაკობს.

ფარისევლებმა მიუგეს:

— თქვენც გაცდუნათ? ხომ არავინ იწამა მისი მოძღვრება უფროსთა და ფარისევლთაგან? მხოლოდ ხალხმა იწამა წყეულმა. ხალხი კი კანონში უპიჯია. შემდეგ ყველანი სახლებში წავიდ-წამოვიდნენ.

იესო კი ზეთისხილის მთაზე ავიდა და ღამე იქ გაათია მოწაფეებთან ერთად. დილით კი ისევ მივიდა ტაძარში, ისევ პრავალი ხალხი უსმენდა. ისევ ისე ასწავლიდა. ეუბნებოდა:

— ჩემი მოძღვრება ნათელია ქვეყნისა. ვინც გამოძევება, სიბნელეში აღარ ივლის, ნათლად დაინახავს, რა არის კარგი და რა არის ცუდი. მე ვასწავლი იმას, რასაც ასწავლის მამა, სული ჩემი, ვინც გამომაგზავნა.

— სად არის მამაშენი? — ჰკითხეს.

— მე რომ მიცნობდეთ, ისიც გეცოდინებათ, სადაა და ვინაა მამაჩემი.

— ვინა ხარ? — ჰკითხეს.

— მე ვარ ის სული, რომელსაც არა აქვს ხაწყისი და არ ექნება სასრული. მე ვარ მე კაცისა, მაგრამ მამად ვაღიარებ სულს უფლისას. როცა თქვენში განდიდებთ ძეს კაცისას, მაშინ გაიგებთ, ვინა ვარ მე, და დარწმუნდებით, რომ არაფერს არ ვაკეთებ და არ ვამბობ ჩემგან, არამედ ვაკეთებ და ვქადაგებ იმას, რაც მამაჩემმა მასწავლა.

(იოანე 7, 40—49, 53; 8, 12—29)

32

იუდეველები გარს შემოეხვივნენ და უთხრეს:

— ყველაფერი, რასაც შენ ამბობ, ძნელი გასაგებია და ეწინააღმდეგება ჩვენს წერილს. ნუ გვაწვალებ და პარდაპირ გვითხარი: შენ ხომ არა ხარ ის მესია, რომელიც ჩვენი წერილის თანახმად უნდა მოვლენილიყო?

იესომ მიუგო:

— მე უკვე გითხარი, ვინცა ვარ, თქვენ კი არ გჯერათ. გააკეთეთ ის, რასაც გასწავლით, და მაშინ დარწმუნდებით, ვინცა ვარ და რისთვისაც მოვედი.

ვინც მოძევება და აკეთებს იმას, რასაც ვუბნები, ვისაც ესმის ჩემი მოძღვრება, ისაა ჩემთან და მამაჩემთან.

მე და მამა ერთნი ვართ.

იუდეველებმა ამ ლაპარაკით თავი შეურაცხყოფილად იგრძნეს და ხელში ქვები აიღეს, რათა იესო ჩაექოლათ.

მან კი ჰკითხა: — რისთვის გინდათ მომკლათ?

მათ უპასუხეს:

— გვინდა მოგკლათ იმისათვის, რომ შენ, კაცს, თავი ღმერთად მოგაქვს.

იესომ მიუგო:

— მე ვთქვი, რომ ღმერთის ძე ვარ და ვუერთდები მამას, როცა მის ნებას ვასრულებ, ვინც თავის თავს ღვთის ძედ თვლის, ის მონა აღარ არის და ეზი-

რება უკვდავ სიცოცხლეს. და როგორც მონა ბატონის სახლში მუდამ არ ცხოვრობს, ხოლო ბატონის შეილი მუდამ სახლშია, ასეა ადამიანიც, როცა სულით ცოცხლობს, უერთდება მამას და მარად იცოცხლებს.

ჭეშმარიტად გეუბნებით: ვინც ჩემს სიტყვას დაიცავს და მომყვება, სი-
ვლილი არასოდეს არ მოეღოს.



მაშინ იუდეველებმა უთხრეს:

— ახლა კი გავიგეთ, რომ შენში ეშმაკია. აბრაამი მოკვდა და წინასწარ-მეტყველები მოკვდნენ, შენ კი ამბობ, რომ ვინც შენს სიტყვას დაიცავს, ის არასოდეს მოკვდება. ნუთუ შენ ჩვენს მამა აბრაამზე დიდი ხარ? აბრაამი მოკვდა და წინასწარმეტყველნი მოკვდნენ, ხოლო შენი მიმდევრები თურმე მარად იცოცხლებენ!

იესომ უთხრა:

— ჭეშმარიტად, ჭეშმარიტად გეუბნებით მე: ვიდრე იქნებოდა აბრაამი, ვი-
ყავ მე.

იესო ლაპარაკობდა იმ უფლის სულზე, რომელიც მასში ცოცხლობდა და ცოცხლობს ყოველ ადამიანში და რასაც არა აქვს არც საწყისი, არც სასრული. მაგრამ ხალხს ეს არ ესმოდა.

იუდეველებმა აღარ იციოდნენ, რა უნდა ეყოს ამ კაცისათვის, არც განსჯა შეუძლიათ მისი. თავი მიანებეს და ის წავიდა იორდანეს გაღმა, იქ დარჩა.

(იოანე 10, 24-38; 8, 34-59)

33

ერთხელ, როცა იესო იერუსალიმში ბრუნდებოდა, ორი მისი მოწაფე, აკობი და იოანე, მიუიღნენ მასთან და ეუბნებიან:

— მოძღვართ, დაგვიბრდი, რომ ავკისრულებ, რასაც ახლა გთხოვთ.

— რა გინდათ? — ჰკითხა.

— რომ შენი თანასწორნი ვიყოთ. — უპასუხეს.

იესომ უპასუხა:

— თვითონვე არ იცით, რასა მთხოვთ. ყოველ ადამიანს შეუძლია თავისი ცდით მოხედეს ზეციურ სასუფეველში, მაგრამ არავის არ შეუძლია ეს გააკეთოს სხვისთვის.

შემდეგ სხვა მოწაფეებსაც მოუხმო და უთხრა:

— საერო ადამიანები, მეფეები და უფროსები ერთიმეორეში არკვევენ, რომელი სად დაჯდეს, ვინ უფროსია და ვინ უმცროსი. თქვენ შორის კი არავინ არ უნდა იყოს არც უფროსი, არც უმცროსი. თქვენ შორის ყველაზე უფროსი ის იქნება, ვინც ყველას მსახური იქნება. თქვენგან ვინც პირველობას ისურვებს, ის იქნება უკანასკნელი, რადგან უზენაესი მამის ნებით მე კაცისა იმისათვის კი არ ცხოვრობს, მას ემსახურონ, არამედ იმისათვის, თვითონ ემსახუროს ყველას და ხორციელი ცხოვრება დათმოს სულისათვის.

(მარკ. 10, 35-45)

ამაზედაც თქვა იესომ ერთი იგავი:

— მამულის პატრონა კაცი ადრიახად გავიდა, რათა ვენახში სამუშაოდ მუშები დაექირავებინა. ნახა, მოურიგდა, დღეში თითო დინარს მიიღებთო, და ვენახში გაუშვა. შემდეგ, საუზმობის ჟამს კიდევ გავიდა, მონახა უკმაოდ მდგომი სხვა მუშები, უთხრა, წადით ჩემს ვენახში, ამდენს დაგაძლენს მყოფებითო. წავიდნენ. ახლა ნასადილეკსაც გავიდა. ნახა სხვა მუშები და ისინიც დაიქირავა. ბოლოს, უკვე საღამოს, კიდევ ნახა მუშები და უთხრა: აქ რას უღვეხართ მთელი დღე, წადით ჩემს ვენახში და გასამრჯელოს მიიღებთო.

როცა ანგარიშის გასწორების დრო დადგა, ეს კაცი თავის მოურავს ეუბნება: დაუძახე მუშებს, თანაბრად მიეცი გასამრჯელო პირველებიდან მოყოლებული უკანასკნელამდე. საღამოს მოსულებმა თითო დინარი მიიღეს, ვინც პირველი მივიდა, ეგონა, მეტს მომცემნო, მაგრამ მათაც იგივე მიიღეს.

ახლა ამ პირველებმა ყვედრება დაუწყეს ვენახის პატრონს: ვინც ერთი საათი იმუშავა, იმასაც დინარი ერგო, და ვინც მთელი დღე ვიმუშავეთ, იმათაც, ყველა ჩვენ გაგვითანაბრეო!

ვენახის პატრონმა კი უთხრა: ტყუილად დრტვინავთ: განა თვითონ არ მომირიგდით თითო დინარზე? აიღეთ, რაც გერგებათ, და წადით. ხოლო თუ უკანასკნელსაც იმდენს მივცემ, რამდენსაც თქვენ, განა ჩემი ნება არ არის, ვის რამდენს მივცემ? თქვენ გწყინო, რომ ასე კეთილი ვარ, და გშურთ მოძმისა. ეს ცუდია.

ასეა ადამიანი. ადრე თუ გვიან ის შეასრულებს იმას, რაც მისგან ღმერთს სურს. ყველას თანაბრად ერგება: რაც პირველთ, ის უკანასკნელთაც.

(მათე 20, 1-16)

ამაზეც თქვა იესომ იგავი:

— ერთ კაცს ორი ძე ჰყავდა, უმცროსმა გამოყოფა ისურვა და თქვა: მამა, მომეცი ჩემი წილიო. მამამ სურვილი შეუსრულა. გავიდა უმცროსმა შეიღმა თავისი წილი ქონება და უცხო მხარეში გაემგზავრა. იქ, უცხო მხარეში გაფლანგა მთელი თავისი აკლა-დიდება და ძალიან გაუჭირდა. იმდენად დაგლახაკდა, რომ უცხო კაცს ღორების მწყემსად დაუდგა. თავს იმით ირჩენდა, რომ რკოსა და ღორების სალაფავს ჭამდა. ერთხელ დაუფიქრდა თავის ბედს და გადაწყვიტა: მოდი, ისევ დავბრუნდები მამასთან. მამას ბევრი ქონება აქვს, მასთან მოჯამაგირეებიც მაძღრისად ჭამენ, მე კი აქ ღორების სალაფავსა ვჭამ. მივალ, დავიჩოქებ მამის წინაშე და ვეტყვი: დამნაშავე ვარ, მამა, შენ წინაშე, აღარა მაქვს უფლება ეიწოდებოდე შენს ძედ. ამიყვანე თუნდაც მოჯამაგირედ-თქო.

ასე იფიქრა და წავიდა მამასთან. როგორც კი მის სახლთან მისული ჩამოძონძილი შვილი ნახა, მამა გამოეგება, გულში ჩაიკრა და აკოცა.

შვილმა უთხრა: დამნაშავე ვარ შენ წინაშე, მამა. არა ვარ ღირსი შენი ძე მერქვას. — მამამ ამაზე არაფერი უპასუხა, მხოლოდ მსახურებს უბრძანა გამოეტანათ საუკეთესო ტანისამოსი, ახალი ფეხსაცმელი, უბრძანა, გამოეცვალა ყველაფერი და კარგად გამოწყობილიყო. შემდეგ მსახურებს უბრძანა, დაეკლათ

ნასუქი ხბო. როცა ყველაფერი მზად იყო, მამამ თავისიანებს უთხრა: ეს ჩემი შვილი მკვდარი იყო და დღეს გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა. ვი-
ზიმიოთ ეს დღე.

როცა ყველა სუფრას მიუჯდა, ყანიდან უფროსი ძეც მოვიდა და ნახა, რომ შინ რაღაც ნადიმია. მოჯამაგირეს დაუძახა და ჰკითხა: რას ზეიმობენო? მოჯამაგირემ მიუგო: განა არ გავიგია? შენი ძმა დაბრუნდა და მამა გახარებულადაა. უფროსი ძმა გაბრაზდა და სახლში არ შევიდა. მამა გამოვიდა და დაუწყო ძახალი. უფროსი შვილი არ მივიდა და შორიდან უთხრა: ამდენი წელი ვშრომობ და შენს ბრძანებას არ ვარღვევ, შენ კი ჩემთვის ერთხელაც არ დაგიკლავს ნასუქი ხბო. უმცროსი ძმა კი წავიდა, ღოთებთან გაფლანგა ქონება და შენ მას კვიფს უმართავ.

მამამ უთხრა უფროს შვილს: შენ ყოველთვის ჩემთან ხარ და ყველაფერი ჩემი შენია. არ უნდა გეწყინოს, უნდა გიხაროდეს, რომ შენი დაკარგული ძმა მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა.

ასევე ექცევა ღმერთი ყველას, ვინც აღრე თუ გვიან მამას დაუბრუნდება და უფლის სასუფეველშია შევა.

(ლუკა 15, 11–32)

36

ერთხელ იესომ თავის მოწაფეებს ჰკითხა:

– მითხარით, როგორ იღებენ, როგორ ესმით ადამიანებს ჩემი მოძღვრება?

– ზოგს ისე ესმის, რომ შენ იმასვე ასწავლი, რასაც იოანე ასწავლიდა, — უპასუხეს, — სხვები ამბობენ, რომ შენ იმას ასწავლი, რასაც ესაია. არიან ისეთებიც, რომელნიც ფიქრობენ, რომ შენ იერემიასავით ქადაგებ, რომ შენ ხარ წინასწარმეტყველი.

– კარგი, — თქვა იესომ. — თქვენ როგორღა გესმით ჩემი მოძღვრება?

სიმონ პეტრემ მიუგო:

– ჩემი აზრით, შენ ხაღხს ასწავლი, რომ ყოველ ადამიანში ცოცხლობს სული უფლისა და რომ ამის გამო ყოველი ადამიანი ძეა უფლისა.

იესომ უთხრა:

– ბედნიერი ხარ, სიმონ, რომ შენ ეს გესმის. ადამიანი ამას ვერ ჩაგაგონებდა, შენ ეს გაიგე იმიტომ, რომ სული უფლისა ცოცხლობს შენში. მე კი არ ვაგაცხადებ ეს, არამედ ღმერთმა, მამაჩემმა ვაგაცხადათ ეს.

ამასთან იესომ თავის მოწაფეებს უთხრა, რომ მას არ ასცდებია იერუსალიმში თავდასხმა და შეურაცხყოფა მათგან, ვინც არ იწამა მისი მოძღვრება, და თუ მოკლავენ კიდევ, მოკლავენ მის ხორცს, ხოლო სულს კი უფლისას ვერ მოკლავენ, რადგან იგი მის სხეულში ცოცხლობს.

ეს რომ პეტრემ გაიგონა, ძლიერ შეწუხდა, ხელი მოჰკიდა და უთხრა:

– ნუ წახვალ იერუსალიმში.

იესომ კი მიუგო:

– ამას ნუ იტყვი: თუ შენ გაშინებს ჩემი წამება და სიკვდილი, ეს ნიშნავს, რომ შენ არ ფიქრობ ღვთაებრივზე, ფიქრობ ადამიანურზე. ამ წუთისოფელში ადამიანმა უნდა იტანჯოს, თუ ცხოვრობს სასუფეველისათვის უფლისა, რამეთუ

საერო ცხოვრებას უყვარს თავისიანი, ღვთისანი კი სძულს. ყოველთვის ასე იყო. საერონა ტანჯაედნენ იმას, ვინც ასრულებდა ნებას უფლისას.

იესომ ხალხსა და მოწაფეებს ერთად მოუხმო და უთხრა:

— ვისაც სურს ჩემი მოძღვრების თანახმად იცხოვროს, მან დათმოს ხორციელი ცხოვრება და მზად იყოს ყოველნაირი ტანჯვისათვის, რადგან ვისაც უშინია ხორციელი ცხოვრების დათმობისა, ის დაღუპავს მკვებურ ცხოვრებას. ხოლო ვინც დათმობს ხორციელ ცხოვრებას, ამით იხსნის მკვებურ ცხოვრებას. ვისაც სურს შეასრულოს ჩემი მოძღვრება, შეასრულოს ის საქმით და არა სიტყვით.

ამაზე თქვა იგავი:

— ერთ კაცს ჰყავდა ორი ძე. მამამ პირველს უთხრა: წადი, ჩემს ბაღში იმუშავე. ძემ თქვა, არ მინდაო, თუმცა მერე იხანა და წავიდა. მამა მეორე ძესთან მივიდა და იგივე უთხრა: ძემ მიუგო: კი, ახლავე წავალ, და არ წავიდა. რომელმა შეასრულა ამ ორიდან მამის ნება?

— პირველმა, — მიუგეს მოწაფეებმა.

იესომ განუმარტა: — ასეა, ხარკის ამკრეფნი და მეძაენი უმაღ შეველენ უფლის სასუფეველში, ვიდრე ისინი, რომელნიც ამბობენ და არ ასრულებენ.

(მათე 16, 13-17, 21-25; 21, 28-31)

37

მაშინ მოწაფეებმა უთხრეს იესოს: ძნელია შენი მოძღვრება. განამტკიცე ჩვენში რწმენა, რომ კარგი იქნება, თუ შენი მოძღვრების თანახმად ვიცხოვრებთო.

იესო მიხვდა, რომ მათ სურთ გაიგონ, რა საზღაურს მიიღებენ კეთილი ცხოვრებისათვის, და ასე უთხრა:

— რწმენა ის კი არ არის, რომ საზღაური იწამო, არამედ რწმენა ისაა, რომ ნათლად გესმოდეს, რაში მდგომარეობს ცხოვრება. თუ შენ ნათლად გესმის, რომ შენი ცხოვრება უფლის თანახმააა, მაშინ გასამრჯელოს არ დაელოდები. უფროსი არ ეტყვის მუშაკს მადლობას იმისათვის, რომ ის გააკეთა, რაც უნდა გაეკეთებინა. თუ მუშაკმა იცის, რომ ისაა მუშაკი, ამას არ იწყენს, არამედ იმუშავეს, და იცის, რომ მიიღებს იმას, რაც უნდა მიიღოს.

ასევე, თქვენ შეასრულეთ უფლის ნება და იცოდეთ, რომ ხართ მუშაკნი. ხოლო თუ გააკეთეთ ის, რაც საჭირო იყო, ნუ ელოდებით საზღაურს, იკმარეთ ის, რასაც მიიღებთ. იმაზე კი არ უნდა იზრუნოთ, რომ გასამრჯელო მიიღოთ, არამედ იზრუნეთ იმაზე, რომ არ დაღუპოთ ის ცხოვრება, რაც გეძლევათ, შეასრულოთ მამის ნება. ამიტომ იფავეთ მუდამ მზად, როგორც მუშაკნი, რომელნიც უფროსს ელიან. მსახურებმა არ იციან, როდის დაბრუნდება ის, ადრე თუ გვიან, და ყოველთვის მზად უნდა იყოს.

ასეა ცხოვრებაშიც. ყოველთვის, ყოველ წუთს უნდა ასრულებდეთ მამის ნებას და არ იმსჯელოთ იმაზე ამ დროს, თუ იქ ამას და ამას გავაკეთებთ.

ამრიგად, ყოველთვის იცხოვრეთ სულისათვის აწმყოში, სულის ცხოვრებისათვის დროის გარჩევა არ არსებობს. თავს გაუფროთხილდით, რომ არ დანისლოთ ლოთობით, ზედმეტი ჭამით, უსარგებლო საზრუნავეებით, რათა სული უფლისა შეუფებდეს მარად თქვენს სხეულზე.

(ლუკა 17, 5-10; 12, 36-40; 21, 34)

ჰოდა, იესომ თქვა კიდევ ერთი იგავი, თუ როგორ უნდა იცხოვრონ ადამიანებმა:

— კაცმა ბალი გააშენა, მოაწყო და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ბაღს რაც შეიძლება მეტი ხილი მოეცა. მერე ბაღში მუშები გააგზავნა, რომ ემუშავათ, დაეკრიფათ ხილი და პირობის თანახმად ეძლიათ პატრონისათვის ხარკი. თავის დროზე პატრონმა ბაღში ხარკის მისაღებად მონა გაგზავნა. მაგრამ ბაღის მუშებმა დაივიწყეს, რომ ბაღი მათი არ იყო, პატრონმა გააშენა და თვითონ მზამზარეულზე მოვიდნენ. ამიტომ მონა არ გაიკარეს, სცემეს კიდევ და გაუშვეს ხელცარიელი, თვითონ კი განაგრძეს არხეინად ცხოვრება, თითქოს ყველაფერი მათი საკუთრება იყო, თითქოს პატრონის წყალობით სულაც არ ცხოვრობდნენ იქ. მაშინ პატრონმა უფროსი გზირი გაგზავნა ხარკის ასაღებად და თავისი კუთვნილი ხილი მოითხოვა. მუშებმა გზირიც გააგდეს. ახლა პატრონმა შვილი გაგზავნა. მიმთვისებლებმა იფიქრეს, რომ თუ შვილს მოკლავენ, მაშინ სამუდამოდ თავს დაანებებდნენ. თქვეს და მოკლეს კიდევ.

რა დარჩენოდა ბაღის პატრონს? უმადური მუშების გაძევება და სხვების დაქირავება.

მებაღე—მამაა, ბაღი — ქვეყნიერება, მუშები — ხალხია, ხარკი — სულიერი ცხოვრება. პატრონის გაგზავნილები — წმინდა ხალხია, ყველას მოაგონებენ, რომ საჭიროა ცხოვრება სულისთვის და არა სხეულისათვის.

შემცდარ ადამიანებს ჰგონიათ, რომ ცხოვრება გვებოძა ხორციელი სიამისათვის, არა მამის ნების შესასრულებლად, სულის ცხოვრებას თავიანთ თავში კლავენ და ამით იღუპავენ საკუთარ ცხოვრებას.

(მარკოზი 12, 1-9)

ამის შემდეგ იესო ისევ ჩავიდა იერუსალიმში და ტაძარში დაიწყო ქადაგება ფარისეველთა უღირს ცხოვრებაზე. ასე ამბობდა:

— მოერიდეთ სწავლულ მწიგნობრებს, თვითმარქვია მართლმორწმუნე მოძღვრებს. მოერიდეთ, რადგან მათ დაიკავეს ადგილი ჭეშმარიტ მოძღვართა, წინასწარმეტყველთა, თვითნებურად აიღეს ხელში ძალაუფლება, რათა იქადაგონ ხალხში უფლის ნება. ისინი მხოლოდ ლაპარაკობენ, მაგრამ არ ასრულებენ საქმით იმას, რასაც ამბობენ. მოძღვრობას იჩემებენ და მხოლოდ თავის გამოჩენას ლამობენ: გამოეწყობიან, დიდგულობენ და საქმით არაფერს აკეთებენ. არ დაუჯეროთ მათ. იცოდეთ, არავინ არ უნდა უწოდებდეს თავის თავს მოძღვარს.

ეს თვითმარქვია მართლმორწმუნე მოძღვარნი ფიქრობენ, რომ შეიძლება უფალთან მისვლა გარეგნული წეს-მსახურებით, ფიცით, და არ იციან, რომ გარეგნული მხარე არაფერს ნიშნავს, რომ ყველაფერი ადამიანის სულშია. ისინი აკეთებენ უადვილესს, გარეგნულს, ხოლო რაც საჭიროა და ძნელია — სიყვარული, სიმართლე — დაივიწყებულა. მათ ოღონდ გარეგნულად მიიღონ კანონიერის სახე და სხვებიც გარეგნულად მიიყვანონ კანონთან. ამის გამო ისინი არიან, ვითარცა კუბოები შეღებილნი: გარედან სუფთა გეჩვენებათ, შიგნით კი სიმყრალეა.

გარეგნულად ისინი წმინდანებს, მოწამეებსაც პატივსაც სცემენ, ხოლო სინამდვილეში სწორედ ასეთები იყვნენ, რომ აწამებდნენ და კლავდნენ იმ წმინდანებს. უწინაც და დღესაც ისინი ყოველა სიკეთის მტრები არიან. მათგან მოდის ყოველი ბოროტება ქვეყანაზე, რადგან ჩქმაღლავენ სიკეთეს და ბოროტებას არქმევენ სიკეთეს. ამისი კი ყველაზე მეტად უნდა გვეშინოდეს, რადგან თავად იცით, ყოველნაირი შეცდომის გამოსწორება შეუძლებელია, თუ ადამიანებს უმღებთ სიკეთის გაგება, ამისი გამოსწორება შეუძლებელია. სწორედ ამას აკეთებენ ეს თვითმარქვია მწყემსები

ამის შემდეგ იესომ თქვა:

— მინდოდა აქ, იერუსალიმში შექვეყნებინა ყველა ადამიანი ისე, რომ აქ ეცხოვრათ ერთიმეორის სიყვარულით, ერთიმეორის სამსახური, მაგრამ აქაურ მესვეურებს მხოლოდ ადამიანთა, სიკეთის მოძღვართა დასჯა ემარჯვებოდა.

ამის შემდეგ იესო ტაძრიდან წავიდა.

და თქვა იესომ:

— ნამდვილს გეუბნებით, ეს ტაძარი და მთელი მისი შემკულობა დაინგრევა და აქედან აღარაფერი დარჩება. არის მხოლოდ ერთი ტაძარი უფლისა — ადამიანთა გულები, როცა მათ ერთმანეთი უყვართ.

— როდის იქნება ასეთი ტაძარი? — ჰკითხეს იესოს.

— მალე არ იქნება, — მიუგო იესომ. — კიდევ დიდხანს მოატყუებენ ადამიანებს ჩემი მოძღვრებით. ამაზე ატყდება ომები და იქნება მღელვარება. იქნება დიდი უკანონობა და იქნება ცოტა სიყვარული.

მაგრამ როცა ყველა გაიგებს ჭეშმარიტ მოძღვრებას, მაშინ იქნება დასასრული ბოროტებისა და ცდუნებათა.

(ლუკა 20, 46; მათე 23, 1-39; მარკ. 3, 28-29; მათე 24, 1-14)

ყოველი ღონით ლამობდნენ მწიგნობარნი და ფარისეველნი იესოს დაღუპვას. მათ შეკრიბეს სინედრიონი და გამართეს ბჭობა, თუ როგორ მოეხერხებინათ ეს. ისინი ამბობდნენ:

— ეს კაცი უნდა შევაჩეროთ, თუ დავაცალეთ, ყველა იწამებს და მიატოვებს ჩვენს სარწმუნოებას. ახლაც უკვე ნახევარი ხალხი მის მხარეზეა. თუ ყველა მას დაუჯერებს და იწამებს მის მოძღვრებას იმაზე, რომ ყველა ერთი ღმერთის შეილია და ყველანი ძმები არიან, რომ არაფრით გამორჩეული არაა ებრაელი ხალხი, მაშინ მოვლენ რომაელები, წაგვიყვანენ და აღარ იქნება ებრაელთა სამეფო.

დიდხანს თათბირობდნენ მწიგნობარნი და ფარისეველნი, უნდოდათ მოეკლათ იესო და მოეშორებინათ თავიდან, მაგრამ ამკარად ამას ვერ აკეთებდნენ, რადგან ხალხისა ეშინოდათ.

მაშინ მათმა მღვდელმთავარმა, სახელად კაიაფამ თქვა:

— ტყუილად შიშობთ. საჭიროა ერთი კაცის მოკვლა, რომ არ დაიღუპოს მთელი ხალხი. ასეა ახლაც. თუ ეს კაცი არ შევაჩერეთ, მთელი ხალხი დაიღუპება. თუნდაც დაღუპვით არ დაიღუპოს, ისე გაიფანტება, ჩვენს ჭეშმარიტ ერთიან სარწმუნოებას ზურგს აქცევენ. ამიტომ არ უნდა შევშინდეთ და იესო უნდა მოკვდეს.

კაიაფამ ეს რომ თქვა, ყველამ მოუსმინა და ყველა დაეთანხმა, გადაწვიტეს,

რომ იესო მოეკლათ. ახლავე სტაცებდნენ ხელს და მოკლავდნენ, მაგრამ იესო იერუსალიმში არ იყო და არც იცოდნენ, სად უნდა ყოფილიყო.

როცა პასექის დღესასწაული მოახლოვდა, მღვდლებმა გადაწყვიტეს, რომ ხალხთან ერთად უთუოდ იესოც ჩამოვიდოდა, და თავიანთ მსახურებს დაავალეს: თუ ვინმე ნახავთ, შეიპყარიო და მოგვაყვანო.

მართლაც, პასექამდე ექვსი დღით ადრე, იესომ თავის მოწაფეებს უთხრა: — ახლა წავიდეთ იერუსალიმში.

მაგრამ მოწაფეებმა იცოდნენ, რომ მას მოკვლას უპირებდნენ და დაუწყეს ხვეწნა, ნუ წახვალთ იერუსალიმში: მღვდელმთაერებს შენი ჩაქოლვა უნდაო და უთუოდ მოგკლავნო.

იესომ კი უპასუხა:

— ბორძიკობს და ეცემა ძხოლოდ ის, ვინც ბნელში დადის. ხოლო თუ კაცი დღისით-მზისით დაიარება, არ წაბორძიკდება. კაცი არ შეცდება, თუ ის უფლის ნების ნათელით მოქმედებს და აკეთებს იმას, რაც ღმერთს სურს. ასეთ კაცს არაფრისა არ უნდა ეშინოდეს. წავიდეთ იერუსალიმში.

მოემზადნენ და წავიდნენ.

(იოანე 11, 47-57, 7-10)

41

როცა გაიგეს, იესო იერუსალიმში მოდისო, ხალხი შესახვედრად გაეშურა. გარს შემოეხვივნენ, შესვეს ჩოჩორზე, გზა მწვანით მოფინეს, ადამიანები წინ გარბოდნენ, ხეებიდან ტოტებს ტყებდნენ, გზაზე უფენდნენ და გაიძახოდნენ:

— აი ჩვენი ჭეშმარიტი მეფე! მან გვასწავლა ჭეშმარიტი ღმერთის რწმენა. „ოსანა!“ — და ასე ზეიმით შევიდა იესო იერუსალიმში. ხალხი კითხულობდა: „ვინ არის ეს?“ ხოლო ვინც იცნობდა, ამბობდა: „ესაა იესო, წინასწარმეტყველი გალილეის ნაზარეთიდან“.

როცა იესო ტაძართან მივიდა, სახედრედან ჩამოხდა, შევიდა ტაძარში და დაიწყო ხალხში ქადაგება. ფარისეულები და არქიელები ამას ყველაფერს ხელავდნენ და ერთიმეორეს ეუბნებოდნენ: „შეხედეთ, რას აკეთებს ეს კაცი. მთელი ხალხი მას მიჰყვება“.

თუნდაც ახლავე შეიპყრობდნენ, მაგრამ ვერ ბელავდნენ, ხალხისა ეშინოდათ. სულ იმის ფიქრში აყვნენ, როგორმე ისე შეეპყროთ, ხალხი არ გაელიზინებინათ.

იესო კი სრულიად თავისუფლად ქადაგებდა ტაძარში, ასწავლიდა ხალხს. იქებრაელების გარდა იყვნენ წარმართნიც, ბერძნებიც. ბერძნებს გაგონილი ჰქონდათ, იესოს მოძღვრება მართო ებრაელებისათვის კი არა, ყველასათვის არისო, და სურდათ მისი მოსმენა. ეს ფილიპეს უთხრეს, ფილიპემ კი ანდრიას უთხრა. აქ იყვნენ სხვა მოციქულებიც.

მოწაფეებს ეშინოდათ იესოს შეხვედრისა ბერძნებთან. ვაითუ ხალხი განრისხდეს იმის გამო, რომ იესო არ ცნობს განსხვავებას ებრაელებსა და სხვა ხალხებს შორის. ამიტომ ჯერ არ უნდოდათ გაენდოთ მისთვის ბერძენთა სურვალი, მაგრამ შემდეგ მაინც უთხრეს.

როცა იესომ გაიგო, რომ ბერძნებს სურთ მისი მოწაფეობა, პირველად შეყოყმანდა. იცოდა, რომ თუ იუდეველებს და წარმართებს შორის განსხვავებას

უარყოფს, ამით ხალხს განარისხებს, მაგრამ მაშინვე შეწყვეტა ამაზე ფიქრი და თქვა:

— არ არის განსხვავება იუდეველებსა და წარმართებს შორის, ყოველ ადამიანში ერთნაირად ზის უფლის შეილი, ძე კაცისა. შეიძლება ამის გამო მე დავიღუპო, მაგრამ მოვიდა დრო ვაღიაროთ ძე კაცისა, ერთიანი სული უფლისა ყოველ კაცში. პურის მარცვალი მხოლოდ მაშინ გამოიღვება ჩვენთვის, როცა ის ცვითონ კვდება. ასევე ადამიანი მაშინ ხდება ნაყოფიერი, როცა სიცოცხლეს დათმობს უფლის ნების აღსასრულებლად. ვისაც მეტი სმეტად უყვარს თავისი ხორციელი ცხოვრება, ის ამით ამცრობს თავის სულიერ ცხოვრებას, ხოლო ვინც თავის სხეულს თმობს, ის მოიპოვებს სულიერ ცხოვრებას.

სული ჩემი ბორგავს ახლა, მივენდო წარმავალ ცხოვრებას თუ აღვასრულო მამის ნება? ნუთუ ახლა, როცა დადგა საათი იმისი აღსრულებისა, რისთვისაც ვარ მოკლენილი ამა ქვეყნად, შევდრკები და ასე ვიტყვი: მამაო, დამიხსენ იმისგან, რაც უნდა გავაკეთო? არ შემძლია ამისი თქმა, და ვამბობ ერთს: მამაო, მომეველინე ჩემს სულში ისე, რომ შევძლო განვადიდო ძე კაცისა და გავაერთიანო ყველა ხალხი.

ამ სიტყვებზე იუდეველებმა უთხრეს: — ჩვენ ვიცით, რომ უნდა მოვიდეს ქრისტე, მაგრამ არ ვიცით, რას ნიშნავს, რომ აამაღლო ძე კაცისა!

იესომ აუხსნა:

— ადამიანის შვილის განდიდება ნიშნავს სულიერი ნათელით ცხოვრებას. სულის ნათელი კი ყოველ ჩვენგანშია. ძე კაცისა რომ ავამაღლოთ მიწიურზე, ეს ნიშნავს, რომ უფლის სული ცხოვრობს ყოველ კაცში. ვისაც სწამს ჩემი მოძღვრება, ის მე კი არ მიწამებს, არამედ უფლის სულს. ხოლო უფლის სული სიცოცხლეს ანიჭებს ქვეყნიერებას და ცოცხლობს ყოველ ჩვენგანში. ვისაც ესმის ჩემი მოძღვრება, ის იცნობს ამ სულს, რადგან ის მასში ცოცხლობს და აცოცხლებს ქვეყანას. ხოლო ვისაც ესმის ჩემი სიტყვა და არ სწამს მისი, ბრალს არა ედებ, რადგან მოვედი არა ბრალდების, არამედ ხსნის მიზნით. ვისაც ჩემი სიტყვები არ ესმის, მას არ სწამს უფლის სული, რადგან რასაც მე ვამბობ, ჩემგან კი არ ვამბობ, არამედ მამის სულისგან, მამის სული კი ჩემში ცოცხლობს. რასაც მე ვამბობ, ეს ისაა, რაც იმ სულმა მითხრა.

ასე ილაპარაკა იესომ და შემდეგ წავიდა, ისევ დაემალა მღვდელმთავრებს.

(მათე 21, 7-12; იოანე 12, 19-36, 44-50)

მათგან, ვინც იესოს მოუსმინა, მრავალმა ძლიერმა და მდიდარმა კაცმა იწამა იესოს მოძღვრება, მაგრამ ხმამაღლა თქმას ვერ ბედავდნენ, რადგან ფარისეველთაგან ერთმაც არაეინ აღიარა იესოს მოძღვრება. მათ არ იწამეს ჭეშმარიტება, რადგან მიჩვეული იყვნენ ადამიანურ და არა ღვთაებრივ მოძღვრებას. მალე ისევ შეიკრიბნენ კაიაფას სახლში მღვდელმთავრები და მწიგნობრები. ისევ იმაზე დაიწყეს თათბირი, როგორ შეეპყრათ და მოეკლათ იესო ხალხისგან ფარულად. ამკარად შეპყრობის ეშინოდათ. ამ თათბირზე მათთან მივიდა იესოს ერთ-ერთი პირველი მოწაფეთაგანი, იუდა ისკარიოტელი, და უთხრა: — თუ საჯაროდ იესოს შეპყრობისა გეშინიათ, მე შევარჩევ ისეთ ადგილს, სადაც მასთან ცოტა ხალხი იქნება, ვიჩვენებთ, რომელია, და მაშინ დაიჭირეთ. რას მომცემთ

ამისათვის? — მღვდელმთავრებმა ოცდაათი ვერცხლი აღუთქვეს. იუდა დათან-
ხნდა და ამის შემდეგ დაიწყო დროისა და ადგილის შერჩევა, რომ მღვდელ-
მთავრები მისი შემწეობით იესოს მოულოდნელად დასხმოდნენ თავს და შეეპყროთ.

ამასობაში იესო ისევ გავიდა იერუსალიმიდან, თან მხოლოდ მოწაფეები
იხლდა. ხოლო როცა მოვიდა უფუარობის (ხშიადების) დღესასწაულის დღე,
მოწაფეებმა იესოს უთხრეს: „სად შევხედებით პასექს?“ იესომ მიუგო: „სად
სოფელში, შედით პირველსავე სახლში და უთხარით, რომ დროს გეძებთ“
პასექის მომზადებისა და სთხოვეთ შეგიშვან სახლში პასექის დღესასწაულზე
საზეიმოდ“. მოწაფეები ასეც მოიქცნენ, შევიდნენ სოფელში, ითხოვეს პირ-
ველსავე სახლში შემება და სახლის პატრონმა ისინა შეუშვა. თორმეტ მო-
წაფეს შორის იყო იუდა ისკარიოტელიც. იესომ იცოდა, რომ იუდა უკვე მოე-
ლაპარაკა ფარისევლებს და მღვდელმთავრებს და გასცემდა მოძღვარს. მაგრამ
იესოს არ უნდოდა ბოროტებაზე ბოროტებით მიეხლო, არ ისურვა მოწაფე-
ბის წინაშე მისი მხილება და, როგორც მთელი სიცოცხლის განმავლობაში
მხოლოდ სიყვარულს ქადაგებდა, ახლაც უნდოდა სიყვარულით მოეღბო იუდას
კული.

და აი, როცა უკვე დაიწყო საიდუმლო სერობა, იესო და მისი თორმეტი
მოწაფე სუფრასთან ისხდნენ. იესომ აიღო პური, გატეხა თორმეტ ნაწილად და
ყოველ მოციქულს თითო ნატეხი მიაწოდა. ბოლოს უთხრა: „ეს ჩემი ხორცია,
აიღეთ და შეჭამეთ“. შემდეგ ფიალაში ღვინო დაასხა და მოწაფეებს უთხრა:
„ყველამ შესვით ამ ფიალიდან. ეს ჩემი სისხლია“.

როცა ფიალიდან ერთიმეორის მიყოლებით შესვა ყველამ თავისი წილი
ღვინო, იესომ თქვა:

— დიახ, ესაა ჩემი სისხლი, დაღვრილი ამა ქვეყნის ცოდვების გამოსასყი-
დად, — თქვა ესა, წამოდგა, მოსასხამი გაიხადა, შემოიკრა წელზე პირსახოცი,
აიღო დოქით წყალი და მოწაფეებს მიმართა: ახლა ყველას ფეხი უნდა დაგბა-
ნოთო. პირველად პეტრესთან მიუადა, მაგრამ პეტრემ განზე გაიწია და თქვა:
„განა შეიძლება მასწავლებელმა მოწაფეებს ფეხი დაბანოს?“ იესომ კი მიუ-
გო: — „შენ გიკვირს, რომ ფეხი უნდა დაგბანო, მაგრამ ახლავე გაიგებ, რისთვისაც
ვაკეთებ ამას. ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ თქვენ სუფთანი ხართ, მაგრამ არა
ყველა“.

იესო იუდას გულისხმობდა.

„თუ არ დაგბან, ჩემთან არ გექნება წილი“. და ყველა მოწაფეს
დაბანა ფეხები, მათ შორის იუდასაც. როცა ეს საქმე დაასრულა, მოსასხამი მო-
იხადა და დაჯდა. ყველა მოწაფეს მიუბრუნდა და უთხრა:

— ახლა გაიგეთ, რისთვისაც ვაკეთებ ეს? ეს ვაკეთებ იმისათვის, რომ
ყოველი თქვენგანა ასე მოექცეთ ერთიმეორეს. მე, თქვენი მასწავლებელი, ამას
ვაკეთებ იმის სამაგალითოდ, თუ როგორ უნდა მოექცეთ მათ, რომელნიც თქვენ
ბოროტად მოგექცევიან. თუ ამას მიხვდებით და გააკეთებთ ყოველივეს, მუდამ
კარგად იქნებით.

აქ იესო დაღონდა და თქვა:

— დიახ, ერთი თქვენგანი, ვისაც ფეხები დაგბანე, გამცემს მე.

მოწაფეებმა ერთიმეორეს გადახედეს: ვისზე ამბობსო? ერთი მოწაფე იესოს
გვერდით იჯდა. სიმონ პეტრემ მას თავით ანიშნა: რომელ ჩვენგანზე თქვაო?
იმანაც ჰკითხა. იესომ მიუგო:

— ეს ისაა, რომელსაც ახლა პურის ნატეხს მივცემო, — და ღვინოში ამოვ-
ლებული პურის ნატეხი მიაწოდა იუდა ისკარიოტელს, თანაც უთხრა: — ადექა
და რისი ვაკეთებაც გინდა, გააკეთეო. სხვებმა ჯერ ვერ გაიგეს, რაზე ეუბნე-
ბოდა, იუდა კი მიუხვდა, პური გამოართვა, მაშინვე ადგა და გავიდა ბნელში.

მაშინ მოწაფეებიც მიხვდნენ, მაგრამ გვიან იყო და ვერ დაეღვენენ, რადგან
ღამე იყო წყვედიადი.

როცა იუდა გავიდა, იესომ თქვა:

— შვილებო, დიდი დრო აღარ დამრჩენია თქვენ შორის ყოფნისა. ნუ და-
იწყებთ ზედმეტ პიეტრობას ფარისეველთა წინაშე, არამედ გააკეთეთ ის, რა-
საც მე ვაკეთებდი. გაძღვეთ ერთ ახალ მცნებას: როგორც მე ბოლომდე მიყვარდი
ყველანი, ასევე თქვენ მუდამ და ბოლომდე გიყვარდეთ ერთიმეორე და ყველა
სხვაც. ამ მცნებაშია მთელი ჩემი მოძღვრება. ჩემი მოწაფეები მხოლოდ მაშინ
იქნებით, როცა ამ მცნებას შეასრულებთ. გიყვარდეთ ერთმანეთი და ყოველი
მოყვასი თქვენი.

(იოანე 12, 42, 43; მათე 26, 3-5, 14-28; იოანე 13, 2-35)

43

ესეც უთხრა იესომ მოწაფეებს:

— ცხოვრება იმას ნიშნავს, რომ სულ უფრო ვუახლოვდებოდეთ ღმერთის
სრულყოფილობას. ესაა გზა. მე მივდივარ ამ გზით. თქვენ ეს იცით.

მაშინ თომამ უთხრა:

— არა, ჩვენ არ ვიცით, საით მიდიხარ, ამიტომ გზა საიდან გვეცოდინება.
იესომ მიუგო:

— მე მივდივარ მამისკენ, და ჩემი მოძღვრება არის გზა მისკენ. არ შეიძ-
ლება მამასთან მიახლოება, თუ ჩემს მოძღვრებას არ მიჰყვები. შეასრულეთ ჩემი
მოძღვრება სიყვარულისა და თქვენ მიხვალთ მამასთან.

ფილიპემ უთხრა:

— გვიჩვენე მამა და ჩვენთვის საკმარისი იქნება.

იესომ უპასუხა:

— როგორ არ იცი მამა? ჩემი მოძღვრება იმაში მდგომარეობს, რომ მე
მამაში ვარ და მამა ჩემშია. ვინც ჩემი მოძღვრების თანახმად იცხოვრებს და
შეასრულებს ჩემს მცნებებს, ის შეიცნობს მამას. მე მოვკვდები და საერონი ვე-
ღარ მნახავენ, მაგრამ ჩემი სული არ მოკვდება და თქვენ მისი რწმენით იცხოვ-
რებთ. მაშინ გაიგებთ, რომ მამა ჩემშია და მე მამაში ვარ.

მაშინ უთხრა იუდას — არა ისკარიოტელმა:

— რატომ შემოვა შენი სული მხოლოდ ჩვენში და არა ყველა სხვაში?

ამაზე იესომ უპასუხა:

— ვინც შეასრულებს ჩემს ცნებებს, ის ეყვარება მამას და იმ ჩემს მოძღვ-
რებაშია სული ჩემი. ხოლო ვინც არ შეასრულებს ჩემს მოძღვრებას, ის არ ეყ-
ვარება მამაჩემს, და უფლის სული არ არის მასში. ჩემი მოძღვრება მამაჩემისაა
და არა ჩემი.

აი ყველაფერი, რისი თქმაც ახლა შემიძლია. მაგრამ სული ჩემი, სული
ჭეშმარიტებისა თქვენში ჩემ შემდეგ ჩასახლდება, ის გაგიცხადებთ ყვე-
ლაფერს და მაშინ გაიხსენებთ ბევრ რამეს იქიდან, რასაც გეუბნებოდით, ხოლო

როცა ამას მიხედვით, იქნებით მშვიდნი, თლონდ არა საერო სიმშვიდით, როგორც არიან საერონი, არამედ სულის სიმშვიდით, ისე რომ აღარაფრისა შეგეშინდებათ. თქვენ ტყუილად გწყდებათ გული იმაზე, რომ თქვენგან მივდივარ. მე მივდივარ მამასთან, და მისგან, როგორც სული ჭეშმარიტებისა, ისე დაგირუნდებათ, ჩავსახლდები თქვენს გულებში, თქვენ კი არ უნდა დალონდეთ, უნდა გიხაროდეთ ჩემი სიკვდილი, რადგან ჩემ ნაცვლად, ჩემი სხეულის მსგავსად თქვენში იქნება სული ჩემი, თქვენს გულებში გადასული, და ეს თქვენთვის უკეთესია.

(იოანე 14, 1-28)

44

თუ თქვენ იცხოვრებთ ჩემი სიყვარულის მცნებით და შეასრულებთ მას, გაქნებათ ყველაფერი, რასაც ისურვებთ, რადგან მამის ნება ისაა, რომ თქვენ ჰქონდეთ ის, რასაც ისურვებთ. როგორც მამამ მოძცა სიკეთე, ასე მეც თქვენ კაძლევთ ამ სიკეთეს. თუ ჩემს მცნებებს შეასრულებთ ისე, როგორც მე ვასრულებ მამის მცნებას, ნეტარნი იქნებით. ჩემი მცნება ხომ ის არის, რომ გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე მიყვარდით თქვენ, ისე რომ სიყვარულისთვის დათმობთ თქვენი ზორციელი ცხოვრება. თუ შეასრულებთ იმას, რაც გიქადაგეთ, ამით ჩემი თანასწორნი იქნებით. მე გასწავლეთ ეს. არ გთვლით თქვენ მონებად, არამედ მიმანხიხართ ჩემს მეგობრებად. რადგან უკვე ყველაფერი ავიხსენით, რაც მამამ მასწავლა, და შეგიძლიათ იგივე მოიმოქმედოთ, რასაც მე ვაკეთებდი. მე თქვენ მოგეცით ჭეშმარიტი მოძღვრება. ეს მოძღვრება ჭეშმარიტი ერთიანი სიკეთის წყაროა.

მთელი მოძღვრება ისაა, რომ გიყვარდეთ ერთმანეთი. თუ ქვეყანა შეგიძულებთ და გაგაძევეთ. ეს არ უნდა გაგიკვირდეთ — ქვეყანას სძულს ჩემი მოძღვრება. თუ ქვეყანას შეუთანხმდებით, მათაც ეყვარებით. მაგრამ მე გამოგარჩიეთ ქვეყნისაგან, ამიტომ შეგიძულებენ და დაგიწყებენ დევნას. თუ მე მდევნიდნენ, თქვენც დევნილნი იქნებით მათგან. მათ არ შეუძლიათ სხვაგვარად მოქცევა, რადგან არ იცნობენ მამას. მე ავუხსენი მათ, ვინ არის მამა, მაგრამ მათ არ ისურვეს ჩემი მოსმენა. მათ ვერ გაიგეს ჩემი მოძღვრება, რადგან ვერ გაიგეს ის, რასაც მამაზე ვუბნებოდი. ამისათვის უფრო მეტად შემიძულეს.

კიდევ ბევრ რამეს გეტყოდით, მაგრამ ახლა გაგიჭირდებათ გაგება. ხოლო როცა თქვენში ჩასახლდება სული ჭეშმარიტებისა, ის გიჩვენებთ მთელ სიმართლეს, რადგან ის გეტყვით არა ახალს, თავისას, არამედ იმას, რაც დეთვისგან მოდის და ცხოვრების ყველა შემთხვევაში გიჩვენებთ გზას. ეს სული თქვენსავე გეტყვით იმას, რასაც მე ვუბნებოდი.

(იოანე 15, 7-26, 16, 12-15)

45

ამის შემდეგ იესომ თვალნი ცად აღაპყრო და თქვა:

— მამაო ჩემო, შენ მიანიჭე შენს ძეს სიცოცხლის თავისუფლება, რათა მიეღო ცხოვრება ჭეშმარიტი. ჭეშმარიტი ცხოვრება — ესაა ჭეშმარიტი ღმერთის ცნობა. მე გავაცანი ხალხს შენა თავი. მე გავაკეთე ის, რაც შენ მიბრძანე. ადამიანები უწინაც შენი იყვნენ, მაგრამ მე შენი ნებით მათ ავუხსენი ის ჭეშმარიტება, რომ შენ მათში ხარ, და მათ გიცნეს შენ. სცნეს, რომ ყოველივე,

რაც ჩემშია, მათშიც არის, და ყოველივე ეს მხოლოდ შენგანაა. სცნეს, რომ ყველაფერი ჩემი — შენშია და ყველაფერი შენი — ჩემშია, მე აღარა ვარ ქვეყნად, მოედევარ შენთან, მაგრამ ისინი რჩებიან ქვეყნად და ამიტომ ვთხოვ, მამაო, ამყოფე ისინი ჭეშმარიტებაში. იმას კი არა ვთხოვ, რომ ამქვეყნიდან წაიყვანოს, არამედ იმას, რომ იხსნა ისინი სიცრუისაგან, განუმტკიცო შენი ჭეშმარიტების რწმენა. რომ ისინი იყონ ერთიანნი, როგორც მე ვარ შენში და შენ ხარ ჩემში, ასევე ჩვენში ისინიც ერთნი იყონ, რომ ერთ არსებად შეიკრას და გაიგონ, რომ თავად კი არ შობილან, არამედ გაჩენილან შენმა სიყვარულმა მოავლინა ისინი ქვეყნად, ისევე როგორც მე მომავლინე.

მამაო მართალა! ქვეყანამ ჯერ ვერ შეგიცნო, მაგრამ მე შეგიცანი და ჩემგან მათ გიცნეს შენც. მე ავუხსენი, რომ შენ სიყვარულით მიანიჭე მათ სიცოცხლე იმით, რომ შენი სიყვარული მათდამი შენთან მობრუნდეს მათგან.

(იოანე 17, 1-26)

46

ამის შემდეგ იესო წამოდგა და მოწაფეების თანხლებით ავიდა ზეთისხილის მთაზე. გზად მიმავალმა ასე უთხრა მათ:

— დიახ, დადგა ჟამი, როცა, როგორც წმინდა წერილშია ნათქვამი, მოკლანენ მწყემსს და განიბნევიან ცხვრები. ასე მოვივით თქვენც. მე შემაპყრობენ და თქვენ განიბნევიან.

— არა, მე არ ვაგიქცევო, — თქვა პეტრემ. — თუნდაც ყველა გაიქცეს, მე მაინც არ მიგატოვებ. შენთან ერთად მზად ვარ ყველაფრისათვის, ციხე იქნება თუ სიკვდილი.

იესომ კი უთხრა:

— წინასწარ ნუ იტრაბახებ, თუ რას გააკეთებ. შეიძლება დღესვე, მამლის ყივილამდე, ერთხელ კი არა, სამჯერ უარმყო.

— ეს არ მოხდება არასოდეს, — მიუგო პეტრემ. ასე თქვეს სხვებმაც.

ასე მივიდნენ გეთსიმანიის ბაღში და აქ იესომ უთხრა: — ცოტა დამოცადეთ, მიხდა ვიდლოცო. — თან წაიყვანა მხოლოდ პეტრე და ორი სხვა — ხებუდეს ორი მე. მათ უთხრა: — რაღაც მიძძიმს, იყავით ჩემთან.

შემდეგ ცოტა იქით გავიდა, მიწაზე დაემხი და დაიწყო ლოცვა.

— მამაო ჩემო, — თქვა, — თუ შესაძლებელია, განმარიდე ის, რაც მომეღლის. — მცირე ხნით გაჩუმდა, და მერე თქვა: — და მაინც ნუ იქნება ჩემი ნება, არამედ იყოს ნება შენი. მოხდეს არა ისე, როგორც მე მინდა, არამედ ისე, როგორც შენ გინდა.

შემდეგ აღგა და მოწაფეებთან მივიდა. მოწაფეებს კი ეძინათ. იესომ ისინა გააღვიძა და უთხრა: — სულთ გამაგრდით, მხოლოდ სულაა ძლიერი, ხორცა სუსტია.

ისევ გაშორდა და დაიწყო ლოცვა: — მამაო ჩემო! დე, იყოს ნება შენი. ნუ იქნება ჩემი ნება, არამედ იყოს ნება შენი.

თქვა ეს, ისევ მივიდა მოწაფეებთან და ნახა, ისევ ეძინათ... მესამედაც გავიდა, ალოცა და თქვა: — მამაო ჩემო, დე იყოს ნება შენი და არა ჩემი.

ისევ მობრუნდა მოწაფეებთან და უთხრა:

— ახლა წავიდეთ. მე ვბარდება საერთო კაცებს.

(მათე 26, 30-46)

როგორც კი ეს სიტყვები თქვა, გამოჩნდა იუდა ისკარიოტელი, შეიარაღებული ჯარისკაცებისა და მღვდელმთავრების მსახურთა თანხლებით, თან ფრანკულალებით. იუდა მაშინვე მივიდა იესოსთან და უთხრა: „ვიხაროდეს, მოძღვრარო!“ — და ეამბორა.

იესომ ჰკითხა: „მეგობარო, რისთვის მოხვედი?“

მაშინვე მისცვივდნენ ჯარისკაცები, ხელი სტაცეს და შეიპყრეს იესო. პეტრემ დანა იშიშვლა და მღვდელმთავრის მსახურს მარჯვენა ყური ჩამოათალა. ეს რომ დაინახა, იესომ თქვა: „პეტრე, ჩააგე მახვილი ქარქაშში. ყველა, ვინც ააღებს მახვილს, მახვილითვე დაიღუპება“.

შემდეგ იესო მიუბრუნდა მის დასაჭერად მოსულ ხალხს და უთხრა:

— რატომ მოსულხართ იარაღით, როგორც ავაზაკის შესაპყრობად მიდიან? მე ხომ ყოველდღე თქვენთან ვიყავი ტაძარში და გასწავლიდით, მაშინ რატომ არ დამიჭირეთ?

მაშინ უფროსმა ჯარისკაცებს უბრძანა შეეხოჯათ იესო. იმათაც შეკრეს და პირველად კაიაფასთან მიიყვანეს. ეს სწორედ ის კაიაფა იყო, რომელმაც ცოტა ხნის წინ ფარისევლებს უთხრა: ჯობს შევიპყრაო და დავსაჯოთ ერთი კაცი, ვიდრე დაიღუპოს მთელი ხალხიო. იესო მისი სასახლის ეზოში შეიყვანეს.

იესოს მოწაფეები კი აქეთ-იქით გაიქცნენ. მხოლოდ პეტრე მიჰყვებოდა შორიახლო მასწავლებელს და თვალს ადევნებდა, საით წაიყვანდნენ.

როცა იესო მღვდელმთავრის ეზოში შეიყვანეს, პეტრეს იქ შევიდა, რათა გაეგო, რა მოხდებოდა შემდეგ. ეზოში ის ერთმა ქალმა დაინახა და თქვა: „შენც ხომ თან ახლდი იესო გალილეელს?“ პეტრეს შეეშინდა, მეც არ დამიჭირონო, და დედაკაცს უთხრა: „არ ვიცი, რაზე ლაპარაკობ“.

მერე იესო შეიყვანეს სახლში და პეტრეს ხალხთან ერთად შეჰყვა წინკარში. იქ ცეცხლი ენთო და სხვა ქალი თბებოდა ცეცხლითან. შეხედა პეტრეს და თქვა: „მე მგონია, ეს კაციც ახლდა იესო ნაზარეულს“. პეტრეს უფრო მეტად შეეშინდა და დაიწყო ფიცით მტკიცება, რომ არასოდეს არ ხლებია იესოს და არც იცის, რა კაცია ის.

ცოტა ხნის შემდეგ პეტრესთან უცნობები მივიდნენ და უთხრეს: — მაინც ყველაფრით ჩანს, რომ შენც შეამბოხე იქნები. კილოზე გეტყობა, რომ გალილეელი ხარ. — პეტრემ ისევ დაიფიცა, არასოდეს არ მინახავსო იესო. როგორც კი ბიტყვა დაამთავრა, მაძალმაც იყივლა. მაშინ პეტრეს გაახსენდა მასწავლებლის ნათქვამი: შესაძლოა დღეს მამლის ყიეილამდე ერთხელ კი არა, სამჯერ მიღალატო. გაიხსენა ეს პეტრემ, ეზოდან გავიდა და ატირდა.

(მათე 26, 47—58; იოანე 18, 12—14; მათე 26, 69—75)

მაშინ მოიყარეს თავი მღვდელმთავართან უხუცესებმა და მწიგნობრებმა. როცა ყველა მოგროვდა, შემოიყვანეს იესო და მღვდელმთავარმა ჰკითხა. როგორია შენი მოძღვრება და ვინ არიანო შენი მოწაფეები?

იესომ თქვა:

— მე ყოველთვის ყველას გასავონად ვლაპარაკობდი და არავის წინაშე

არაფერს ვფარავდი. მაშ რაზე მეკითხები? ჰკითხე იმათ, რომელნიც მისმენდნენ და რომელთაც გაიგეს ჩემი მოძღვრება, ისინი გეტყვიან.

როცა იესო ამას ამბობდა, ერთმა მსახურმა სახეში სილა გაართვა და მიაძახა: — ვისთან ლაპარაკობ? განა ასე პასუხობენ მღვდელმთავარს?

იესომ თქვა: — თუ მე ცუდად ვთქვი, მითხარი, რა იყო ცუდად ნათქვამი. ხოლო თუ ცუდად არა ვთქვი, რატომ მცემ? ერქვენული

მღვდელმთავარი და უხუცესნი ყოველნაირად ლაპარაკობდნენ და ედოთ იესოსათვის, მაგრამ ისეთი ვერაფერი იპოვეს, რომ გაესამართლებინათ. მაშინ გამონახეს ორი ცრუ მოწმე და იმათ განაცხადეს, თითქოს იესოს ეთქვას, შემიძლია იერუსალიმის ტაძარი დაკანგრიო და სამ დღეში აღვადგინო ხელახლად. მღვდელმთავარმა იესოს ჰკითხა: რას გვეტყვი ამაზე? — იესომ არაფერი უპასუხა. მაშინ ისევ მღვდელმთავარმა ჰკითხა: „მაშინ თქვი, ქრისტე ხომ არა ხარ, მე ღვთისა?“ „დიახ, მე ვარ მე ღვთისა“.

მაშინ მღვდელმთავარმა შეჰყვირა: „შენ ღმერთს გმობ! კიდევ რა სამხილი გვინდა? თქვენ ყველამ გაიგონეთ, როგორ დაგმო უფალი. — მღვდელმთავარი კრებას მიუბრუნდა და თქვა: — აგერ თვითონვე მოისმინეთ, რომ ის ღმერთსა გმობს. რას მიუსჯით ამისათვის?“

— სიკვდილს! — ერთხმად შესძახა ყველამ.

მაშინ უკვე მთელი ხალხი მიეჭრა იესოს, დაუწყეს სახეში ფურთხება, ცემა. თვალებზე ხელს უჭერდნენ, სახეში სცემდნენ და ეკითხებოდნენ: — აბა, ძეო ღვთისავ, გამოიცანი, რომელმა გცემა? — იესო კი ღუმდა.

(მარკოზი 14, 53; იოანე 18, 19-23; მათე 26, 59-68)

49

ამის შემდეგ შებოჭილა იესო წაიყვანეს რომაელ მმართველ პონტიო პილატესთან. როცა პილატესთან მიიყვანეს, პილატე თვითონ გამოვიდა აივანზე და ჰკითხა იმათ, რომელთაც იესო მიჰგვარეს: „რაში სდებთ ბრალს ამ კაცს?“ მას უპასუხეს: „ბოროტმოქმედია და ამიტომ მოგიყვანეთ განსასჯელად“.

— თუ ბოროტმოქმედია, თვითონვე გაასამართლეთ თქვენი კანონის თანახმად, — თქვა პილატემ.

— ჩვენ არა გვაქვს მოკვლის ნება, — უპასუხეს. — აქ იმისათვის მოვიყვანეთ, რომ შენ დასაჯო, ჩვენ კი უფლება არა გვაქვს სიკვდილის განაჩენის გამოტანისა.

მაშინ პილატემ ისევ იკითხა, რას აბრალებთ ამ კაცს. მათ უპასუხეს, ხალხს ამხედრებს, უკრძალავს ხარკის გადახდას კეისრის ხაზინისათვის და თავის თავს იუდეველთა მეფედ აცხადებსო.

პილატემ მათ მოუსმინა და ბრძანა იესოს მიყვანა მასთან პრეტორიუმში.

როცა იესო შევიდა, პილატემ ჰკითხა:

— შენ ხარ იუდეველთა მეფე?

იესომ მიუგო:

— შენგან მეკითხები თუ იმას იმეორებ, რაც ვითხრეს?

პილატემ უთხრა:

— მე იუდეველი არა ვარ, აქ თქვენებმა მოგიყვანეს და მითხრეს, რომ შენს თავს მეფეს უწოდებ.

იესომ უპასუხა:

– დიახ, მე მეფე ვარ, მაგრამ ჩემი სამეფო არ არის მიწიერი. მე რომ მიწიერი მეფე ვიყო, ჩემი ხალხი ჩემთვის იბრძოდებდა და არავინ გადამცემდა იუდეველთა ხელში. ახლა კი ხომ ხედავ, რა მიქნეს. ჩემი სამეფო არ არის მიწიერი. მაშინ პილატემ უთხრა:

– და მაინც მეფედ რაცხ შენს თავს? იესომ მიუგო:

– მე ვასწავლი ხალხს ზეციურა სასუფეველას ჭეშმარიტებას, და ვინც ჭეშმარიტებით ცხოვრობს, ის არის მეფე.

– ჭეშმარიტებით? – ჩაეკითხა პილატე. – რა არის ჭეშმარიტება?

პილატემ ზურგი აქცია იესოს, გამოვიდა ისევ იუდეველებთან და უთხრა:

– მე ვერ ვხედავ ბრალს ამ კაცში. ვფიქრობ, მას ცუდი არაფერი ჩაუღენია და სიკვდილს არ იმსახურებს.

მაგრამ მღვდელმთავრები თავისას გაიძახოდნენ: მაგან ბევრი სიბოროტე კაკეთა, ხალხს ამბოხებისაკენ მოუწოდებს და ამხედრა მთელი იუდეაო.

მაშინ პილატემ უკვე მღვდელმთავართა თვალწინ დაუწყო ისევ გამოკითხვა იესოს და უთხრა:

– ხომ ხედავ, როგორ გამტყუნებენ და ბრალს გდებენ? თავს რატომ არ იმართლებ?

იესო ღუმდა. სიტყვა აღარ უთქვამს, რითაც პილატე დიდად გააოცა.

უცებ პილატეს გაახსენდა, რომ გალილეა მეფე ჰეროდეს საბრძანებელია, და იესოს ჰკითხა, გალილეელი ხომ არა ხარო? მას უპასუხეს, გალილეელიაო. მაშინ პილატემ თქვა:

– რაკი გალილეელია, მაშინ ის ჰეროდეს ქვეშევრდომია, – თქვა ეს და იესო მეფე ჰეროდეს გაუგზავნა, რომ იუდეველნი თავიდან მოეშორებინა.

(იოანე 18, 28–38; ლუკა 23, 2–7; მარკ. 15, 3–5)

50

ასე მიჰგვარეს იესო ჰეროდეს. მას ბევრი სმენოდა იესოზე და გაუხარდა, რომ მიუყვანეს. ჰეროდემ იესოს თავისთან მოუხმო და დაუწყო ყველაფრის გამოკითხვა, რისი ვაგებაც უნდოდა. მაგრამ იესოს მის კითხვებზე არავითარი პასუხი არ გაუცია. ხოლო მწიგნობრები და მღვდელმთავრები აქაც ყოველნაირად ცდილობდნენ მისთვის ბრალი დაედით. შეამბოხედ გამოეყვანათ იესო. მაგრამ ჰეროდემ იესო უბრალოდ ქარაფშუტა კაცად ჩათვალა, გაამასხრა, ბრძანა წითელი სამოსით შეემოსათ და ასე მასხარასავით გააგზავნა უკანვე, პილატესთან.

როცა იესო მეორედ მიჰგვარეს პილატეს, მან დაიბარა იუდეველთა წინამძღვრები და უთხრა:

– თქვენ ეს კაცი მეორედ მოიყვანეთ ჩემთან და მიმტკიცებთ, რომ ის შფოთისთავია, ხალხს ამხედრებს. მე ის დავკითხე და ვერ დავიჯერებ, რომ შეამბოხება. მაშინ თქვენთან ერთად ჰეროდესთან გავაგზავნე და ხომ ნახეთ, რომ ჰეროდემაც ვერაფერი დანაშაული ვერ მოუძებნა. ვფიქრობ, სიკვდილის თანაღება ის არ არის. ხომ არ აჯობებს, რომ უბრალოდ გავწკეპლოთ და გავუშვათ?

ეს რომ გაიგონეს, ყველა ერთხმად აყვირდა: – არა, დასაჯე ის რომაელთა წესით, ჯვარს აცვი!

პილატემ მოუსმინა და თქვა:

— კარგი. თღონდ ძველი წესია: პასექის დღესასწაულზე ერთ დამნაშავეს მიუტევენ ხოლმე. ერთი ბოროტმოქმედი ბარაბა უკვე გვეყავს შეპყრობილი. ესეც მეორე. რომელს გაათავისუფლებთ: იესოს თუ ბარაბას?

პილატეს უნდოდა იესოს დახსნა, მაგრამ მღვდელმთავრებს ხალხი გადმო ბირებული ჰყავდათ, ასე რომ, ყველამ ერთხმად შესძახებულებას, ბარაბას! მაშინ პილატემ იკითხა: იესოს რაღა ვუყოთ? ხალხმა კმაყოფილებად იხუვლა:

— ჯვარს აცვი! ჯვარს აცვი რომაელთა წესით!

პილატეს მაინც არ ემეტებოდა იესო დასასჯელად და შეეცადა მღვდელმთავრების დაყოლიებას, რომ ის გაეშვათ. რა დაგიშავათ ასეთი ამ კაცმა? — ეუბნებოდა. — არასოდეს დანაშაული არ ჩაუდენია და არც საფუძველი გაქვთ მოკლათ.

მაგრამ მღვდელმთავრებმა და მსახურებმა ისევ ერთხმად შესძახეს: — ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი იგი რომაელთა წესით!

მაშინ პილატემ თქვა: — რაკი ასეა, თვითონ წაიყვანეთ და ჯვარს აცვიოთ, მე მის დანაშაულს ვერ ვხედავ.

მღვდელმთავრებმა უთხრეს: — ჩვენ ვითხოვთ იმას, რის ნებასაც იძლევა კანონი. კანონი ნებას ვკადლევს დაესაჯოთ იმისათვის, რომ თავის თავს ძეს ღვთისას უწოდებს.

პილატემ რომ ეს სიტყვა გაიგონა, დაიბნა, რადგან არ იყო იმის დასაჯების უფლება.

თავის საბრძანებელში დაბრუნდა, ისევ დაიბარა იესო და ისევ ჰკითხა:

— ვინა ხარ და საიდან ხარ?

იესომ არ უპასუხა.

— რატომ არ მაძლევ პასუხს? — ჰკითხა პილატემ. — განა ვერ ხედავ რომ ხელმწიფება ჯვარს გაცვა ან გაათავისუფლო?

მაშინ იესომ მიუგო:

— არა, შენ არა გაქვს ჩემზე არავითარი ხელმწიფება. ეს ხელმწიფება მხოლოდ ზეციდან არის.

(ლუკა 23, 8-16, 18; მათე 27, 15-23; იოანე 19, 6-11).

51

პილატეს ისე ეწადა იესოს განთავისუფლება, რომ ერთხელ კიდევ მიმართა ხალხს და უთხრა: — ვერ გამოგია, რატომ გინდათ თქვენი მეფის ჯვარცმა?

მაგრამ იუდეველებმა უპასუხეს: — თუ შენ გაათავისუფლებ იესოს, ამით დაამტკიცებ, რომ კეისრის ერთგული მსახური არ ყოფილხარ. ჩვენ გვეყავს ერთი კეისარი, ეს მეორე კი ჯვარს უნდა ვაცვათ.

ეს რომ მოისმინა, პილატე დარწმუნდა, იესოს დასჯა არ ახდებოდა, დადგა ხალხის წინ, მოატანინა ტაშტი, ხელები დაიბანა და თქვა:


— თქვენ იცით, მე კი ხელი დამიბანია ამ უბრალო კაცის სისხლისგან.

მაშინ ხალხმა შეჰყვირა: ჩვენზე იყოს მაგისი სისხლი და ჩვენს შთამომავლობაზე.

მაშინ პილატემ ბრძანა, ჯერ გაემათრახებინათ იესო. როცა იესო გაამათრახეს, იმავე ჯარისკაცებმა, რომელთაც მას სცემეს, თავზე ეკლის გვირა

გვინი დაადგეს, ხელში ჯობი მისცეს, ზურგზე წითელი მოსასხამი მოასხეს და დაუწყეს გამასხარავება. დაცინვით უჩოქებდნენ ფეხებთან და ამბობდნენ:

— ხარობდე, იუდეველთა მეფე! — შერე სცემდნენ დაწვებზე, თავზე დაფურთხებდნენ სახეში. თან გაჰკვიოდნენ: — ჯვარს აცვით! ჩვენა მეფე — კერის-რია! ჯვარს აცვით ესა!



ამის შემდეგ პილატემ ბრძანა მისი ჯვარცმა. იესოს გახადეს წინაშე მისი მოსასხამი, ჩააცვეს მისი ტანსაცმელი და უბრძანეს მძიმე ჯვრის ზიდვას. მისი გზაზე — იმ მოთაზე, სადაც უნდა მომხდარიყო მისი ჯვარცმა, ასე მიჰქონდა ჯვარი და ავიდა გოლგოთაზე. იქ ჯვარს აცვეს ის და მასთან ორი კაცი. ეს ორი აქეთ-იქით გააკრეს ჯვარზე, იესო შუაში. სვეტიც თავზე იყო წარწერა: იესო ნაზარეტელი, მეფე იუდეისა. იესო ამბობდა: მამაო, მიუტევე მათ, რამეთუ არა იციან, რასა იქმონენ.

(იოანე 19, 19, 12-18; მათე 28, 24-31; ლუკა 23, 24)

52

როცა იესო უკვე ჯვარზე იყო გაკრული და ზემოთ აღმართული, ირგვლივ ხალხი ეხვეოდა და ლანძღავდა. მივადოდნენ ახლოს იუდეველნი, თავს უქნევდნენ და ეუბნებოდნენ: აბა შენ რომ იერუსალიმის ტაძრის დაქცევას აპირებდი და სამ დღეში მის ახლად აშენებას, ახლა შენი თავი დაიხსენი, ჩამოდი ბარემ მაგ ჯვრიდან!

იქვე იდგნენ მღვდელმთავრები და მწიგნობრებიც, დასცინოდნენ და გაიძახოდნენ: სხვათა მხსნელი ვარო, საკუთარი თავი კი ვერ დაიხსენი, აბა გვიჩვენე, რომ ქრისტე ხარ, ჩამოდი ჯვრიდან და მაშინ დაგიჯერებთ. აკი ამბობდი, უფლის ძე ვარო, უფალი არ მიმატოვებსო. მერე, რატომ არ გშველის? უფალმა მაგატოვა.

ასე დასცინოდნენ და ამცირებდნენ ჯვარცმულს მღვდელმთავრები, ჯარისკაცები და ბრბო.

ამასვე ამბობდა მის გვერდით ჯვარზე გაკრული ერთი ავაზაკა: — თუ მართლა ქრისტე ხარ, იხსენი თავი და გვიხსენი ჩვენც. — მეორე ავაზაკმა ეს გაიგონა და თქვა: — ღმერთის არ გეშინია? თვითონ ბოროტი საქმისათვის ჯვარზე ჰკიდებარ და მაგ უბრალო ადამიანს ლანძღავ. მე და შენ დანაშაულისათვის ვისჯებით, მაგას კი არაფერი დაუშავებია.

ცხრა საათზე იესომ ხმამაღლა წამოიძახა: „ელი, ელი, ლამა საბაქთანო“, რაც ნიშნავს „უფალო, უფალო, რისთვის მიმატოვე მე?“ ეს რომ ხალხმა გაიგონა, დაიწყეს მითქმა-მოთქმა და სიცილი: — ელია წინასწარმეტყველს მოუხმობს! ვნახოთ, როგორ მოვა ელია!

შემდეგ იესომ წყალი ითხოვა: მწყურიაო! ერთმა კაცმა ღრუბელა აიღო, მმარში დაასველა და ღერწმის ღეროთი მიაწოდა. მოწუწუნა იესომ ღრუბელა და თქვა: აღსრულდა! მამაო, ჩემს სულს შენ გაბარებ, — თავი დახარა და სული განუტევა.

(მათე 27, 39-44; ლუკა 23, 39-41; მათე 27, 46-49; იოანე 19)



თაოზილ გოზია

გამიჯნურებულ მიცვალებულ

ფრანგულიდან

თარგმნა ელდარ ჭიჭიაშვილმა



თაოზილ გოზია (1811—1872 წწ.) ფრანგული რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელია. მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ფანტასტიკური მოთხრობების სერიის, რომელსაც მწერალი ქმნიდა ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში. იგი მისთვის დამახასიათებელი ოსტატობით წარმოგვიდგენს ადამიანის რეალურსა თუ ირეალურ სამყაროს და ავითარებს იმ აზრს, რომ ცხადი და სიზმარი პირობითად არიან გამიჯნულნი ერთმანეთისაგან. ნერვალის მსგავსად, გოტიეს მიაჩნია, რომ „სიზმარი მეორე სიცოცხლეა“ და გვასწავლის, რომ ყოველგვარი ადამიანური განცდა, გრძნობა, სილამაზე, მშვენიერება, სიკეთე და ბოროტება მარადიულნი არიან დროსა და სივრცეში.

მთარგმნელისაგან.

ქმალ ჩემო, მეკითხებით, ვყოფილვარ თუ არა შეყვარებული. დღონდაც! თუმცა უცნაური და სულისშემბზრელი კია ჩემი ამბავი. აგერ, სამოცდაექვსი წლისა მოვიყარე უკვე, მაგრამ მაინც მიჭირს იმ მოგონებათა ფერფლის დაძვრა. არაფერს დაგიძალავთ, თუმცა მსგავს ამბავს აროდეს მოკუთხრობდი იმას, ვისაც ცოტა რამ გადახდენია ცხოვრებაში. ეს ისეთი უცნაური თავგადასავალია, არ ძალმიძს ვარწმუნო, ჩემს თავს თუ იყო ყოველივე. თითქმის სამ წელზე მეტი უცნაურ და ეშმაკეულ მოჩვენებათა მსხვერპლი ვიყავი. მე, სოფლის საბრალო მღვდელმა, მთელი დამეები სიზმარში (ღმერთმა ინება, რომ სიზმარი ყოფილიყო) ერისკაცის უწმინდური ყოფითა და სარდანაპალის საძრახისი განცხრობით ვიცხოვრე. მხოლოდ ერთმა უადრესად მოკრძალებულმა გახედვამ ქალისაკენ განწირა წარსაწყმედად სული ჩემი, მაგრამ ბოლოს, უფლისა და ჩემი წმინდა მფარველის შეწევნით, შეუძულ განმეძევებინა ეშმაკეული, რომელიც მთლად დამუფლებოდა. რაღაც უთავბოლო და უაზრო იყო ჩემი ყოფა, სრულიად უცხო, დამეული ცხოვრებით დამძიმებული. დღისით მღვდელი ვიყავი, მხოლოდ ღოცვასა და წმინდა საქმეებში ჩაფლული უფლის მსახური, ხოლო ღამით, რაგორც კი თვალს დახუჭავდი, მაშინვე ქალების დახვეწილ მცოდნედ, ბაღლებითა და ცხენებით გარემოცულ ახალგაზრდა ბატონიშვილად გადავიქცეოდი ხოლმე და კამათლების თამაშში, სმასა და ღვთისგმობაში ვკლავდი დროს. ცისკრის ჟამს კი, გავიღვიძებდი თუ არა, პირიქით მეჩვენებოდა, თითქოს ვიძინებდი და სიზმარში ვხედავდი, რომ მღვდელი ვიყავი. იმ მოვარეული ცხოვრებიდან საგნებსა და სიტყვებზე შემომრჩა მოგონებანი, რომელთაგან ჯერ კიდევ ვერ შევძელი თავის დაღწევა. და თუმცა არასოდეს გამოვსულვარ სენაკის კედლებიდან, ვისაც კი ჩემი ამბავი მისწვდებოდა, უმალ იმას უფრო იტყოდა, საერო ცხოვრებისაგან მოქანცული, ვნებათუქონელი ადამიანიყო, ვიდრე იმას, რომ მოკრძალებული სემინარიელია და ამ საუკუნის ვნებათაღელვას მოწვევტილი საღდაც ტყის სიღრმეში ბერდებაო იღუმალ ურკაში.

დაახ, მიყვარდა ისე, როგორც არავის ყვარებია ვინმე დედამისის ზურგზე. ეჭრფოდი ისეთი უღმობელი, უგუნური და შმაგი გრძობით, რომ მიკვირს, რატომ არ გამისკდა გული. ეჰ! რა მწველი, რა ვნებიანი იყო ის დამეები!

ადრეული ბავშვობიდანვე განვიმსჯეალე მოწოდებით, მღვდელი გამთავ-
სულიყავ. ამიტომაც მთელი ჩემი სწავლა-განათლება ამ თვალსაზრისით წარიმარ-
და და ოცდაათხ წლამდის ჩემი ცხოვრება ხანგრძლივი მორჩილების ხანაა.
იყო მხოლოდ. თეოლოგიის გასრულების შემდეგ თანმიმდევრობითი სწავლა
საკლესიო იერარქიის ყველა საწყისი საფეხური და ჩემი მოძღვარნიც ღირსად
შრაცხდნენ, მიუხედავად ასეთი ახალგაზრდული ასაკისა, გადამელახა უკანასკ-
ნელი და ყველაზე ძნელი ზღვარი. ჩემი მღვდლად კურთხევის დღე დანიშნული
იყო აღდგომის კვირაში.

საზოგადოებაში არასოდეს ვყოფილვარ გამოსული. საზოგადოება ჩემთვის
ყო კოლეჯი და სემინარია. ბუნდოვნად ვიცოდი, რომ არსებობდა რაღაც,
რომელსაც ქალს უწოდებდნენ, მაგრამ მისკენ არასოდეს მიმიპყრია ფიქრი.
ყოვლად უბიწო ვიყავი. წელიწადში მხოლოდ ორჯერ თუ მოვინახულებდი
ხოლმე ჩემს მოხუცებულსა და დავრდომილ დედას. ეს იყო მთელი ჩემი ურ-
თიერთობა ვარე სამყაროსთან.

არასოდეს მინანია, ოდნავადაც არ მიყოყმანია, შევდგომიდი თუ არა ამ
მარადიულ მსახურებას. სიზარულითა და მოუთმენლობით ვიყავი აღვსილი.
არასოდეს არცერთ ყმაწვილ სასიძოს ისეთი ვიფური გზნებით არ დაუთვლია
საათები, როგორც მე. ვეღარ ვიძინებდი, მეჩვენებოდა, რომ წირვას ვასრულებ-
დი. მღვდლობა — ამაზე უფრო მშვენიერი არაფერი მესახებოდა ამქვეყნად:
თვით შეფობასა და პოეტობაზეც კი უარს ვიტყვოდი. გავმხდარიყავ მღვდელი —
ამას იქით არ მიილტვოდა ჩემი სწრაფვა.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ გიჩვენოთ, რა ამოუხსნელი ჯადოქრობის
მსხვერპლი შევიქმენ და როგორ არ უნდა მომსვლიოდა ის, რაც დამემართა.

დაადმა დღემაც მოაწია. ისე მსუბუქად მივაბიჯებდი ეკლესიისაკენ, რომ
შეგონა, ჰაერში დავდიოდი, ან ფრთები მქონდა გამობმული. თავი ანგელოზად
წარმომედგინა და მათცებდა მმათა ჩემთა დაღვრემილი და ზრუნვით დამძიმე-
ბული სახეები. მოგეხსენებათ, რომ ჩემს გარდა სხვა სემინარიელებიც იყვნენ
ქ შეკრებილნი. ღამე ლოცვაში გავატარე და თითქმის თავდავიწყებამდის ვი-
ყავი მისული. ეპისკოპოსი, პატრივსაცემი მოხუცი, მამაღმერთად მესახებოდა,
რომელიც ზეცით უჭვრეტს თავის მარადიულ სამწყსოს და მეც სასოებით შე-
ჯურებდი ზეცას, ტაძრის თაღებს შორის რომ მოჩანდა...

კარგად უწყით მღვდლად კურთხევის ცერემონიის ყოველი ნაწილი: კურ-
თხევა, შემდეგ ზიარება სუფისკვერითა და ზედაშით, ამის მერე მირონცხება
ახლადმოქცეულის ხელისგულებზე ხეათის წასმით, და ბოლოს, მსხვერპლშე-
წარვა ეპისკოპოსის თანხლებით. ამით თავს აღარ შეგაწყენთ. ეჰ! რა მართალია
იობა, როდესაც ბრძანებს — უგუნურია იგი, ვინც თავის თვალებს ვერ იმორ-
ჩილებსო. შემთხვევით თავი მაღლა ავწიე, აქამდის ძირს რომ მქონდა დახრი-
ლი, და ჩემ წინ, ისე ახლოს, რომ შეხებასაც კი შევძლებდი, თუმცა სინამდ-
ვილეში კარგა მოშორებით, მოაჯირს იქით, დავინახე იშვიათი სილამაზისა
და დედოფლური ბრწყინვალეებით მოსილი ყმაწვილი ქალი. თითქოს თვალები-
დან ბინდი გადაეცალაო, იმ უსინათლო კაცის განცდა დამეუფლა, თვალისჩინი
რომ დაუბრუნდა უეცრად. იმ წუთში სხივმოფინარე ეპისკოპოსი ბნელმა მო-

იცვა, ოქროს შანდლებზე მოციმციმე სანთლები გაფერმკრთალდნენ, როგორც ვარსკვლავები განთიადის ჟამს და მთელ ეკლესიაში წყვილიადა დაისადგურა. წარმტაცი ქმნილება კი ისე მოჩანდა იმ უკუნ სიბნელეში, როგორც ანგელოზის გამოცხადება. თითქოს თავისივე შუქით გასხივოსნებულყოფილ და უფრო მეტ სინათლეს გამოსცემდა, ვიდრე ენაჭებოდა.

თვალეები დაეხუჭე იმ გადაწყვეტილებით, რომ ატანს სიბნელეში და თავი დამეღწია გარეშე საგნების ზეგავლენისაგან, რადგან დაბნეულობა შეუფლებოდა თანდათან და აღარ ვიცოდი რას ვაკეთებდი.

ერთი წუთის შემდეგ კვლავ გაკახილე თვალეები, რადგან წამწამთა შორის მაინც მოჩანდა ის ასული, ცისარტყელას ფერებით ანთებული და ისეთ მეწამულ შუქში გაბვეული, მზის ჭვრეტისას რომ ჩავვიდგება ხოლმე თვალეებში.

ოჰ, რა საოცრად ლამაზი იყო ასული! თვით უდიდესი მხატვრებიც კი, რომლებიც ზეტად დაეძებდნენ სრულქმნილ მშვენიერებას და მიწაზე ჩამოიტანეს მადონას ღვთაებრივი ხატება, ვერ შეძლებდნენ იმ საარაკო სინამდვილის გადმოცემას. არც მგოსანთა ლექსებს ძალუძთ მსგავს სრულქმნილებას შეასხან ხოტბა. საკმაოდ ძალადი იყო ასული, ქალღმერთის სახე და ტანი ჰქონდა, მშვენიერი მზისფერი თმა საფეთქლებზე ჩამოშლიდა ოქროს მდინარესავით და იტყოდით, დედოფალიაო დიადემით თავშემკობილი. მისი ნათელი, სხივოსანი, ოღნავ ცისფერდაკრული შუბლი ორ მოყავისფრო წარბს ზემოთ გადამლილიყო. ამ სილამაზეს აღრკვევებდა გზნებითა და თვალშეუდგამი ელვარებით ანთებული მწვანე ზღვისფერი თვალეები. ო, რა მწველი იყო ის თვალეები! ერთი ცეცხლოვანი შემოხუდვით შეეძლოთ გადაეწვიტათ ადამიანის ბედ-იღბალი. იმ თვალეებში იყო ისეთი სიცხოველე, სინათლე, მგზნებარება და ნამიანი ელვარება, რომელიც არასოდეს მინახავს სხვა ადამიანის თვალეებში. ამკარად ვხედავდი, მის თვალთაგან ისარივით გამოჭრილი სხივები როგორ მესობოდნენ გულში, და ვერ გამეგო, ცეცხლი, რომელიც მათ აშუქებდა, ზეციდან მოდიოდა თუ ქვესკნელიდან. ის კი უეჭველია, რომ ერთ-ერთიდან მოდიოდა. ეს ქალი ან ანგელოზი იყო, ან სატანა და შესაძლოა, ორივე ერთად. არა, იგი არ იყო ჩვენი საერთო დედის — ევას წიაღიდან შობილი. მარგალიტის თეთრი კბილება გამოსტყვიოდნენ მის აღისფერ ღიმილში. ბაგეთა ყოველ შეტოკებაზე მას საუცხოო, ვარდისფერ ატლასის დაწვებზე პატარა ორმოები ჩნდებოდა. ცხვირი კი, მართლაც ნატიფი და მეფური ღირსებით შემკული, მის კეთილშობილურ ჩამომავლობას წარმოაჩენდა. აქატის ელვარება დასთამაშებდა ნახევრად შიმშველ, გლეხსა და კრიალა მხრებზე, ხოლო თითქმის მისივე ყელისფერი, ობოლ მარგალიტთა ურიცხვი წყება მკერდს დაჰფენოდა. დროდადრო თავს შემართავდა ხოლმე გველის მოქნილობითა და ფარშევანგის გულზვაობით და ათრთოლებდა ნაოჭად სხმულ გამჭვირვალე ნაქარგ საყელოს, ვერცხლის ბადედ რომ შემოხვეოდა ყელ-კისერზე.

აღისფერი ხავერდის კაბა ემოსა; ყარყუმის ბეწვით გაწყობილ ფართო სახელოებში მოუჩანდა უნაზესი, გრძელი და ჩამოქნილი თითებით დამშვენებული ხელები, რომლებიც ისეთი გამჭვირვალენი იყვნენ, რომ სინათლეს ატარებდნენ ავრორას ხელების დარად.

ჯერაც თვალწინ მიდგას ყოველი წერილმანი, თითქოს ყველაფერი გუშინ იყო, და თუმცა უზომოდ ელეღაუდი, მაინც არაფერი გამოძვარვია მისი გარე-

სობიდან. პაწია შავი ხალი ნიკაპთან, ოდნავი ღინღლი ბაგეთა კუთხეებში, ხა-
 კრდოვანი შუბლი და ლაწვის თავებზე მოცახცახე წამწამთა ჩერო.

ვუჭვრეტდი და ვგრძნობდი, ჩემს არსებაში როგორ იხსნებოდნენ მანამდის
 დახშული კარიბჭენი; ყოველი შიმართულებით იღებოდნენ დაგმანული სარკე
 ლები. და ჩემს თვალწინ კრთებოდნენ უცხო აღთქმანი. სიცოცხლე სულ ხხვა ახ-
 რით გამსჭვალული მეჩვენებოდა; თვალწინ ახალი სამყარო მეშლებოდა. საში-
 სელი ჭმუნვა მიჭერდა გულზე; ყოველი წუთი ხან წამად, ხან წამუნად
 მეჩვენებოდა. თუმცა ღვთისმსახურება გრძელდებოდა, მე უკვე ტყვე ვიყავი
 იმ სამყაროსი, რომლის კარიბჭესაც გაშმაგებით შესვოდნენ ახლად შობილი
 ვულისთქმანი. ვამბობდი ჰოს, სადაც არას თქმა მწადდა, როდესაც მთელი
 ჩემი არსება უჯანყდებოდა და ეწინააღმდეგებოდა ენის ძალმომრეობას სულის
 მიმართ. იდუმალი რამ ძალა, ჩემი წინააღმდეგობის მიუხედავად, ყელიდან
 მგლეჯდა სიტყვებს. ასევე ემართებათ ალბათ საკურთხევლისაკენ მიმავალ იმ
 წაწვილ ქალებს, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ ყველას გასაგონად უარი
 თქვან იძულებით ქორწინებაზე, მაგრამ განზრახვას ვერ ასრულებენ. უეჭ-
 ვლად ასეთი რამ ემართება ბევრ საბრალო მორჩილს ბერად შედგომის ფაძს,
 თუმცა დიდი სურვილი კი აქვს ნაკუნებად აქციოს ანაფორა, იგი მაინც ღებს
 აღთქმას, ვერ გაუბედავს აურზაური ატეხოს კრებულის წინაშე და არც ამდენი
 ხალხის მოლოდინის გაცრუება შეუძლია, ხალხისა, ვისი კეთილგანწყობილება
 და მხერა ტყვიასავით აწვება მის სინდისს; თანაც ყველაფერი ისე კარგად არის
 მოგვარებული, ისეთი ცხადი შეუცვლელიობით, რომ ფიქრი ემორჩილება გარე-
 მოების სიმძიმეს და სრულიად ძაბუნდება.

ვხედავდი, მთელი ღვთისმსახურების მანძილზე უცნობ ლამაზმანს რო-
 გორ ეცვლებოდა გამომეტყველება. თუმცა თავიდან ნაზი და ალერსიანი იყო,
 შემდეგ ამაყი და უკმაყოფილო იერი მიიღო იმ ადამიანივით, რომელსაც ვერ
 გაუგეს.

მთას მოვგლეჯდი, ისე დაეძაბე ძალ-ღონე. მიხდოდა მეყვირა, მღვდლობა
 აღარ მსურს-მეთქი, მაგრამ ამის გაკეთება ვერ შეუძელი. ენა ჩამივარდა, ისიც
 კი ვერ შეუძელი, უარის გამომხატველი რაიმე, სულ პატარა მოძრაობით გად-
 მომეცა ჩემი გულისთქმა. სრულიად ფხიზელს მტანჯველი სიზმარეული განც-
 და მაწამებდა. საშინელებაა, როცა გინდა აღმოთქვა სიტყვა, რომელზედაც და-
 მოკიდებულია შენი სიცოცხლე, მაგრამ არ ძალგიმს.

ასულმა იგრძნო, რა ტანჯვაში ვიმყოფებოდი და, თითქოს გასამხნეველად,
 ღვთაებრივი დაპირებებით აღსავსე მხერა შემომავება. მისი თვალები პოემა
 იყო დაუსრულებელი, ხოლო შემოხედვა — სიმღერა შთაგონებული.

იგი მეუბნებოდა:

„თუ ჩემი გახდება, უფრო მეტად გაგაბედნიერებ, ვიდრე თვით ღმერთია
 სამოთხეში, ანგელოზებს შენი შეშურდებათ. დახიე ეს შავი სუღარა, რომელშიც
 უნდა გაეხვიო. მე სილამაზე ვარ, სინორჩე და სიცოცხლე! მოდი ჩემთან და
 ჩვენი ერთად ყოფნა სიყვარული იქნება. განა რას მოგცემს იელოვა ამის სამა-
 გიეროს? ჩვენი არსებობა სიზმარივით იდინებს და უკვდავ ამბორს დაემსგავ-
 სება. გადაღვარე ზედაშე მაგ ფიალიდან და თავისუფალი იქნები. მერე წაგიყვან
 უცნობი კუნბულებისაკენ და ჩემს მკერდზე დაიძინებ ოქროს სარეცელში, ვერ-
 ცხლის ჩარდახქვეშ, რამეთუ მიყვარხარ და მსურს წაგვარო შენს ღმერთს,

რომლის წინაშეც ბევრ კეთილშობილ გულს ტრფობის ზეირთები აუბობოქრებია, მაგრამ მის გულამდის მაინც ვერ მიუღწევია.

ასე მეგონა, უნაზეს რიტმზე აწყობილ სიტყვებს ვისმენდი, რადგან აქლერებულებიო ასულის მზერა და მის თვალთაგან დაძრული სიტყვები ისე ხშიანობდნენ ჩემი სულის სიდრმეში, თითქოს უხილავი პირი ჩამჩურჩულებდა. მზად ვიყავი უარმეყო დმერთი, თუმცა კი გული ჩემი უნებლად ჩამყვებოდა ცერემონიის წესებს. ლამაზმანმა ერთ წუთს ისეთი მუდარდით ჩხუტე უკომელობით აღსავსე მზერა მაძგერა, რომ ასე მეგონა, ბასრმა ხანჯალმა გამიპო-მეთქი გული: მკერდში შევიგრძენ მახვილთა კვეთება უფრო გაუსაძლისი, ვიდრე მშობიარე ქალის ტკივილებია.

კურთხევა დასრულდა, მე უკვე ძღვედელი ვიყავი.

არასოდეს გამოუხატავს ადამიანის სახეს ისეთი მტანჯველი ტკივილი. არც ყმაწვილ ქალს, რომელსაც თვალწინ უკვდება საქმრო, არც დედას-თავისი პირმშოს ცარიელ აკვანთან, არც სამოთხის ზღურბლზე ჩამომჯდარ ევას, არც ძუნწ კაცს, დაძარხული საუნჯის ნაცვლად ქვას რომ იპოვის, და არც პოეტს, რუდუნებით შექმნილი ერთადერთი ქმნილება ცეცხლს რომ მისცა. მომხიბვლელი სახე მთლად დაეწრიტა სისხლისაგან და მარმარილოსავით გაუხდა. ლამაზი მკლაკები უღონოდ ჩამოუცვივდა, თითქოს ძარღვები გადაუჭრესო, ბობს მიეყრდნო, რადგან ფეხები ეკეცებოდა. მე კი მიცვალებულივით ფერმიხდილი, წამებულზე მეტად სიმწრის ოფლით შუბლდაცვარული, ბარბაცით წავედი ეკლესიის კარისაკენ, სული მეხუთებოდა, თაღები მხრებზე მაწკებოდა და ასე მეგონა, ჩემი თავიდა აკავებდა გუმბათის მთელ სიძძიმეს.

როგორც კი კარის ზღურბლს გადავაბიჯე, უეცრად ვიღაცამ ხელი ჩამკიდა. ეს ქალის ხელი იყო, რომელსაც არასოდეს შევხებოდი. ცივი იყო გველის კანივით, მაგრამ ჩემს ხელზე გავარვარებულ რკინასავით აღბეჭდა ცხელი ნაკვალევი. იგი სწორედ ის უცნობი ასული იყო. „უბედურო! ეს რა ჩაიღინე?“ – მითხრა ხმადაბლა და ბრბოში გაუჩინარდა.

მოხუცმა ეპისკოპოსმა გვერდით ჩამიარა და მკაცრად შემომხედა. ძალზე უცნაურად ვიქცეოდი, ხან ვფითრდებოდი, ხან ვწითლდებოდი. თვალთ მიბნელებოდა. ერთ ჩემს ამხანაგს შევეცოდე, ხელი მომკიდა და წამიყვანა, რადგან თავად არ შემეძლო მარტო გაედგომიდი სემინარიის გზას. ერთი ქუჩის მოსახვევში, როცა ჩემმა ამხანაგმა თავი გვერდზე მიაბრუნა, ვიღაც უცნაურად ჩაცმული ზანგი მსახური მომიახლოვდა, და ისე, რომ არცკი შეჩერებულა, ოქროთი კუთხეებშემოჭყდილი პატარა ქისა გადმომცა და მანიშნა, დამალეო. მე იგი სახელოში შევატურე და იქ მქონდა მანამდე, სანამ მარტო არ დავრჩი ჩემს სენაკში. როცა გავხსენი, შიგ ფურცელი ვიპოვე შემდეგი სიტყვებით: „კლარიმონდი, კონჩინის სასახლე“. მაშინ ისე ცოტა რამ გამეგებოდა ცხოვრებისეული ამბებისა, რომ არ ვიცოდი, ვინ იყო კლარიმონდი, თუმცა ასე სახელგანთქმული კი იყო. წარმოდგენა არა მქონდა, სად იდგა კონჩინის სასახლე. ერთიმეორეზე უცნაური აზრები მომივიდა თავში, თუმცა, მართალი ვითხრათ, ოღონდ კი მეხილა ხელმეორედ, სულ არ მადარდებდა, ვინ აღმოჩნდებოდა იგი, დიდგვაროვანი ქალბატონი თუ კურტიზანი ქალი.

იმ წუთს დაბადებული სიყვარული საუკუნედ ფესვადგმული და დაურღვეველი აღმოჩნდა. არც მიფიქრია მისი გულიდან ამოღება, რადგან ეგრძნობდი,

ასეთი რამ შეუძლებელი იყო. უცნობი ასული მთლიანად დაეუფლა ჩემს არსებას. მისი ერთი შემოხედვა საკმარისი იყო ჩემს გარდასაქმნელად. მას თავისი ნება შთაებერა ჩემთვის; უკვე საკუთარ არსებაში კი აღარ ვცოცხლობდი, არამედ მის არსებაში და მისი არსებათ. ათასგვარ სიბუღელეს ჩავდიოდი, ვგრძნობდი საკუთარ ხელს იმ ადგილზე, რომელსაც ის შვენი. განუწყვეტლივ ვმეორებდი მის სახელს. მხოლოდ იმიტომღა ვხუჭავდი თვალებს, რომ არ შევხებოდი ხილა ისე ნათლად, როგორც სინამდვილეში, და განუწყვეტლივ ვხუჭავდი თვალებს ამ სიტყვებს, რომლებიც ეკლესიის კარიბჭესთან მითხრა: „უბედურო! უბედურო! ეს რა ჩაიდინე?“. ვხედებოდი, რა საშინელ ყოფაში ჩავიგდე თავი და ამკარად ვხედავდი მომავალი ცხოვრების შავბნელ და ავბედით კიდევანს, რომელშიც უნდა ჩავნთქმულიყავ. იყო მღვდელი – ეს ნიშნავს იყო უმწიკვლო ადამიანი, არ ეტრფოდე, არ არჩევდე სქესსა და ასაკს, ზურგა შეაქციო ყოველგვარ მშვენიერებას, თვალები დაიბნელო, დღენიადავ იხოხიალო ეკლესიისა და მონასტრის გამთოშავ ჩრდილებში, ხედავდე მხოლოდ მომაკვდავებს, დაბე უთიო უცნობ მიცვალებულებს და გეცვას ანაფორა საკუთარ ძაძასავით, რათა სიკვდილის შემდეგ სუდარა გამოგიჭრან კუბოსთვის იმავე სამოსიდან. და ვგრძნობდი ჩემს არსებაში სიცოცხლის ახვირთებას, როგორც გულწაგუბებული ტბისა, რომელიც ბორგავს და ნაპირზე გადმოდის. სისხლი მძლავრად სცემდა ჩემს ძარღვებში. აქამდე დათრგუნული ჩემი სიჭაბუკე უეცრად აფეთქდა ალოესავით, რომელიც ასი წლის შემდეგ იწყებს აყვავებას და ცის ქუხილთან ერთად იფურჩქნება.

რა უნდა მელონა, რომ კლარიმონდი მენახა? ქალაქში ნაცნობი არავინ მყავდა და არც საბაბი მქონდა სემინარიიდან გასასვლელად. მალე აქედანაც უნდა წავსულიყავ, ველოდებოდი, როდის გამამწყესებდნენ მრევლში. ვცადე, როგორმე მომეხსნა ფანჯრის ვისოსები, მაგრამ ფანჯარა ისე მაღალზე იყო, უთოკოდ რას გავხდებოდა! ამაზე ფიქრიც არ ღირდა. თანაც, თუ გაპარვას დაკაპირებდი, ღამით უნდა გადაემძვრალიყავ და მერე როგორ უნდა დამელწია თავი ქუჩების ლაბირინთისთვის? ყველა ეს სირთულე სხეებისათვის ალბათ არაფერს წარმოადგენდა. ჩემთვის კი, გუშინდელი გამიჯნურებული, გამოუცდიელი, უფულო და უტანსაცმლო, საბრალო სემინარიელისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო.

ეჰ! მღვდელი რომ არ ვყოფილიყავ, ყოველდღე შევძლებდი მის ნახვას, ვიქნებოდი მისი მიჯნური, მეუღლე-მეოქი, ასე ვფიქრობდი გონებადაბნელებული. ამ მძიმე სუდარის ნაცვლად, რომელშიც ვარ გახვეული, მექნებოდა აბრემუმისა და ხავერდის ტანსაცმელი, ოქროს ძეწკვები, დაშნა და ბუმბულებით შემკობილი ქუდი, როგორც ახალგაზრდა, ღამაზ მხედარს შეფერის. თმა, ახლა რომ უშნოდა მაქვს გაკრეჭილი, მხრებზე დამეფინებოდა ცელქ კულულებად. მექნებოდა ღამაზი, ამოსურნელოვანა ულვაში, ვიქნებოდი გულადი ვაჟკაცი. მაგრამ რაღა ღროს? ტრაპეზის წინ გატარებულმა ერთმა საათმა და იქ წარმოთქმულმა რამოდენიმე სიტყვამ სამუდამოდ ჩამომაშორეს ცოცხლებს, მევე დავიდე საკუთარ საფლავზე ლოდი და საკუთარივე ხელით ჩავრაზე საპერობილის კარი.

ფანჯარას მივადექი. საოცრად ღურჯი იყო ცა. გაზაფხულის ფერთა კაბებით შემოსილიყვნენ ხენი, და თითქოს მქირდავდა, ბუნება სიხარულის დღესასწაულს ზეიმობდა. მოედანი ხალხით იყო სავსე. ირგვლივ მოსეირნენი მიძოდიოდ-

ნენ. კოპწია ახალგაზრდა მამაკაცები და მშვენიერი ყმაწვილი ქალეხა წყვილ-წყვილად მიემართებოდნენ ბაღისა და მწვანე ფანჩატურებისაკენ. დარდიმანდები ღვინის საქებარს მღეროდნენ. იყო ერთი ურიაძული და სიცოცხლე, სიმკვირ-ცხლე და მხიარულება, და ყველაფერი ტკივილით მაგრძობინებდა ჩემს უბე-დურებასა და მარტოობას. ერთი ახალგაზრდა დედა თავის სახლის კართან ეთამაშებოდა თავის პირშშოს, ჰკიცნიდა მის პატარა, რუქრუქურულ ვარდის-ფერ ბავშვს და შეპფოფინებდა იმ საოცარი მიაშიტობით, რომელიც დედებს ძალუძთ მხოლოდ. მამაც იქვე იდგა, ოდნავ მოშორებით და გაღიმებული შესტ-ქეროდა ამ მომხიბლავ სურათს, გულხელდაკრეფილი იოკებდა მოძალეებულ სი-ხარულს. აღარ შემეძლო ამ სანახაობის ცქერა, ფანჯარა დავხურე და საწო-ლზე დავეცი სიძულვილითა და საშინელი შურით აღვსებული, მძიერი ნადი-რივით ვიჭამდი თითებსა და ვგლეჯდი საბანს.

არ ვაცი, რამდენი დღე დავყავი ასე. როდესაც სიმშაგემ გამიარა, დავინა-ხე მამა სერაპიონი, რომელიც შუა ოთახში იდგა და ყურადღებით მაკვირდუ-ბოდა. შემრცხეა და მკერდზე უღისოდ თავჩამოკლებულმა თვალებზე ხელება ავიყარე.

„რომუაღდ, ჩემო მეგობარო, უჩვეულო რამ ხდება თქვენს თავს, — მით-ხრა სერაპიონმა რამოდენიმე წუთის დუძილის შემდეგ, — თქვენი საქციელი ჭეშმარიტად ამოუხსნელია! თქვენ, ასეთი ღვთისმოსავი, მშვიდი და სათნო, ნადირივით ბორგავთ სენაკში. იფრთხილეთ, ძმაო ჩემო, ნუ აპყვებით ეშმაკის ზრახვას. სული უწმინდური შურით აღვსილა, რადგან უფალს მიუძღვენით თავი. იგი მტაცებელი ნადირივით დაძრწის თქვენს გარშემო და ცდილობს, მიგიტ-ყუოთ. ნაცვლად დაცემისა, ჩემო ძვირფასო რომუაღდ, აღიჭურვეთ ლოცვითა ჯავშნითა და თვითგვემის ფარით და შეუპოვრად შეუტით მტერს. სიკეთე ბრძოლაში გამოიცდება, ხოლო ბაჯაღლო ოქრო ციცხვიდან გამოდნება. ნუ შე-შინდებით, ნურცა სასოწარკვეთილებას მიეცემით. თქვენზე მეტად შეუვალი და მტკიცე სულის ადამიანებიც ჩავარდნილან ამგვარ განსაცდელში. ილოცეთ, იმარხულეთ, იფიქრეთ და სული უკეთურიც უკუიქცევა“.

მამა სერაპიონის სიტყვებმა გონს მომიყვანა და ოდნავ დავმშვიდდი. „მოუედი, რათა გამცნოთ, გამწესებული ხართ ს...ს მრევლში. მღვდელი, რომელიც მას განაგებდა, მიიცვალა და ეპისკოპოსმა, ჩვენმა მეუფემ, მე დამავალა იქ წაგიყ-ვანოთ. ხვალისთვის მზად იყავით“. თავით ვანიშნე, ვიქნება-მეთქი და მღვდუ-ლიც გავიდა. ლოცვანი გადაეშალე და კითხვას შევუდექი, მაგრამ ძალი სტრი-ქონება თვალთაგან დავკარგე, აზრები ამერია და ვერც კი შევამჩნიე, წაგნი ისე გამივარდა ხელიდან.

ეჰ! მის უნახავად მივემგზავრები ხვალ! კიდევ ერთი უყესკრული დაემატა იმას, რაც ჩვენს შორის არსებობდა უკვე. სამუდამოდ ვკარგავ მასთან შეხვედ-რის იმედს. თუ რაღაც სასწაული არ მოხდა! მივწერო? მაგრამ ვისა ხელით გავუგზავნო წერილი? იმ წმინდა დავალების შემდეგ, რაითაც აღვიმოსე, ვის-თვის გადამეხსნა გული, ვასლა მივხლობოდი? დიდ მღელვარებაში ვიყავი ჩა-ვარდნილი. ამას გარდა, მოძღვარ სერაპიონის ნათქვამი მაჯდურის ამბავიც გამახსენდა. მართლაც უცნაურია, რაც მე შემემთხვა: კლარიმონდის ზებუნებ-რივი მშვენიერება, მისი თვალების ფოსფორული ელვარება! ხელის უჩვეუ-ლო მხურვალება, ჩემს სულში მომხდარი ფერისცვალება, ღვთისადმი სიყუა-რულის ერთ წამში დამსხვრევა, ეს ყოველივე ნათლად მოწმობდა ეშმაკის არ-

სეობას. შესაძლოა ასულის ატლასივით ხელები სულაც ხელთათმანები იყო, რამაც ბრჭყალებს მალავდა. ეს აზირება ძრწოლას მკვირდა, წიგნი ავიღე და ლიცვას შევუდექი.

მეორე დღეს მოძღვარი სერაპიონი მოვიდა ჩემს წასაყვანად. ჭიშკრითაა ხუნი მწირი ბარგით დატვირთული ორი ჯორი გვიცდიდა. ერთზე ის შეჯდა, მე კი, რის ვაი-ვაგლახით, — მეორეზე. თუმცა აღიონი იყო და ქალაქის ქუჩებში ისევ ეძინა, მე მაინც იმედით შევეურებდი ყველა ფანჯარას, ყველამაგონებდა ვედილობდი წარმოსახვით შემელწია დარაბებსა და ფარდებს მიღმა, იქნებ კლარიმონდს მოვკრა-მეთქი სადმე თვალი. ეტყობა, სერაპიონმა იფიქრა, რომ არქიტექტურამ მომტაცა თვალი და ჯორს ნაბიჯი შეანულებინა, აქაოდა, საშუალება მქონოდა კარგად დამეთვალიერებინა ყველაფერი. ბოლოს, ქალაქის კარიბჭეს მივალწიეთ და შევუყვით მალლობს. როდესაც მაღალ მთაზე მოვექცეთ, შემოვბრუნდი, რათა ერთხელ კიდევ შემეველო თვალი იმ ადგილისათვის, სადაც კლარიმონდი ცხოვრობდა. ღრუბლის ჩრდილი გადაფარებოდა ქალაქს, ლურჯი და წითელი სახურავები უცნაურ სიფერმკრთალებში ჩაძირულიყვნენ და აქა-იქ დილის ნისლისფერი ფთილები დაცურავდნენ ჰაერში. ხილვის უცნაურობა თუ იყო, სინათლის ერთ-ერთ სხივზე ოქროს და მზისფრად იხატებოდა ერთი შენობა, რომელიც ამოზიდულიყო ნისლში ჩაძირული სხვა შენობებიდან. თუმცა ერთ დღეზე მეტი გვაშორებდა, გვეგონებოდა, სულ ახლოს არისო. ყველაფერი — კომპურები თუ ჩარდახები, სარკმლები თუ მერცხლის-აქა და ფლუგერები, კარგად ჩანდა.

„ის რა სასახლეა, მზის სხივით განათებული?“ — ვკითხე სერაპიონს. მან თვალები ხელით მოიჩრდილა, გახედა და მიპასუხა: „ეგ ძველი სასახლეა, პრინცმა კონჩინიმ უბოძა კურტიზან ქალს — კლარიმონდს; მანდ საზარელი ამბები ხდება თურმე!“

ამ დროს, ჯერაც არ ვიცო, სასამდვილე იყო თუ ზმანება, მომეჩვენა, რომ სასახლის ბაზზე თეთრმა არსებამ გაიფლვა, ერთ წამს გაბრწყინდა და გაქრა. ეს კლარიმონდი გახლდათ.

თს ნეტავ თუ იცოდა, რომ იმ წუთას ვიდევნა მალლობზე, რომელიც მას მშორებდა და რომლიდანაც ვეღარასოდეს დავეშვებოდი ქვემოთ — მისკენ. აზნებული და აწრიალებული გავცქეროდი იმ სასახლეს, სადაც იგი ცხოვრობდა. სინათლის ცელქი სხივი თითქოს თამაშით მიხმობდა, მოდი ამ სასახლეში და იმბრძანებლეო. იცოდა, უეჭველად იცოდა, რადგან სული მისი დიდი გრძნობით იყო შეერთებული ჩემს სულთან და ამიტომაც არ გამოეპარებოდა ჩემი მცირეოდენი წუხილიც კი. სწორედ ამ გრძნობამ გამოიყვანა იგი სასახლიდან ხანზე ჯერ კიდევ ღამის საბურველში გახვეული ამ სუსხიან აღიონზე. აჩრდილმა სასახლეს შეაფარა თავი. ირგვლივ უსწორმასწორო სახურავების მოღველივე ოკეანე გაწოლილიყო მხოლოდ. სერაპიონმა თავის ჯორს უბიძვა, მისას ჩემიც მიჰყვა და გზის მოსახვევმა სამუდამოდ დამაშორა ქალაქს...ს, სადაც აღარასოდეს მომიწევდა დაბრუნება.

მთელი საბი დღე სოფელ-სოფელ მივიწევდი წინ. ბოლოს, როგორც იქნა, ხეებს შორის გამოჩნდა ეკლესიის სამრეკლოს წვერზე დამაგრებული მამალი. სწორედ ამ ეკლესიაში უნდა შევდგომოდი ღუთისმსახურებას. ჩავუარეთ მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებზე ჩამწკრივებულ ქოხებსა და პატარა ბაღებს და აღმოვჩნდი უშნო შენობის წინ. თაღებიანი კარიბჭე, ორი თუ სამი ტლანქად გამო-

თლილი სვეტი, კრამიტის სახურავი და შეითხნილი კედელი, ეს იყო და ეს მარცხნივ, მაღალი ბალახით დაფარული სასაფლაოს შუაგულში რკინის ჯვარი აღმართათ, მარჯვნივ კი, ეკლესიის ჩრდილქვეშ, მღვდლის სადგომი მოჩანდა. ეს იყო ძალზე უბრალო და საოცრად სუფთა სახლი. ეზოში შევედით. ერთი-ორი ქათამი მიწაზე მიმოფანტულ შვრიას კენკავდა. როგორც ჩანს, მიჩვეულნი იყვნენ ეკლესიის მსახურთა შავ ტანსაცმელს, რადგან ჩვენს გამოჩენაზე სულაც არ დამფრობლან. ჩახლეჩილი, ხრინწიანი ყველა შემოსვლამა და ბებერი ძაღლიც დავინახეთ. იგი ჩემი წინამორბედის ძაღლი იყო. თვალეზიძეობდა და ბეწვგადახუნებულს ღრმა სიბერის ნიშანი ედო, რომელსაც კი შეიძლება ძაღლმა მიაღწიოს. წყნარად გადაუხვი ხელი და მაშინვე გვერდით ამეღვენა კმაყოფილებით აღსავსე. გამოგვეგება ძველი მოძღვრის მეურნე ქალი, საკმაოდ ხანდაზმული დედაკაცი, და როდესაც ჭერდაბალ დიდ ოთახში შეგვიძღვა, მკითხა, როგორა გაქვთ გადაწყვეტილი, მე მტოვებთ თუ წავიდეთ. მე მიუხედავად, თქვენცა ვტოვებთ, ძაღლსაც, ქათმებსაც და ავეჯსაც, რომელიც თქვენმა პატრონმა დაგიტოვათ-მეთქი. ამან ძალიან გაახარა ქალი და სერაპიონმაც მაშინვე გადაუხადა საფასური.

დამაბინავა თუ არა, მოძღვარი სერაპიონი სემინარიაში დაბრუნდა, დაურჩი ასე მარტო, საკუთარი თავის ამარა, ყოველგვარ მხარდაჭერას მოკლებული. კვლავ ამკვირატა კლარიმონდზე ფიქრი. თუმცა უცადე თავიდან მომეშორებინა, მაგრამ ამაოდ.

ერთ საღამოს, როდესაც პატარა ბაღში, ბზის ბუჩქებით დამშვენებულ ხეივანში ვსეირნობდი, წიფლის ხეებს შორის ვიღაც ქალი დავლანდე. მისი ორი მწვანე გუგა ფოთლებში ეღვარებდა და ჩემს ყოველ მოძრაობას თვალყურს ადევნებდა. ეს ალბათ, ზმანება იყო, მაგრამ როდესაც ხეივნის ბოლოს მივადწიე, ქვიშაზე ბაკშვის ნაფეხურებით პატარა კვალი შევამჩნიე. ბალი მაღალი კედლით იყო შემოვლებული, ყველა კუთხე-კუნჭული მოვათვალიერე, მაგრამ ვერაინ ვიპოვე. ახლაც ვერ ამიხსნია ეს მოვლენა, თუმცა შემდგომში რაც შეეძლოდა, იმასთან შედარებით ის არაფრად მეჩვენება. ერთი წელი ვიცხოვრე ასე. ზედმიწევნით სინდისიერად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას: ვლოცულობდი, ვმარხულობდი, მე ვიკლებდი და სხვებს უურიგებდი მოწყალებას, მაგრამ ვგრძნობდი ჩემს სულში ჩაბუდებულ ყოვლისმომცველ უკმარისობას და რადგან წყარო მაღლისა დაშრეტილიყო ჩემთვის, აღარ მახარებდა ის ბედნიერება, რომელიც უნდა მოენიჭებინა ჩემთვის წმინდა მისიის აღსრულებას. სხვაგან ქროდა ჩემი გონება, რამდენჯერ უნებლიე მისამღერივით წამომცდენია კლარიმონდის სიტყვები. თ, ძმაო ჩემო, კარგად ჩაუფიქრდით ჩემს ნათქვამს. ერთმა, სულ უბრალო გახედვამ ქალისაკენ წლების განმავლობაში სავალალო დრტეინვაში ჩამაგდო და სამუდამოდ გამიმწარა ზიცოცხლე.

დიდხანს აღარ შეგაწყენთ თავს ჩემი სულიერი დაცემისა თუ გამარჯვებების აღწერით, მსწრაფლ გადავალ გადამწყვეტ ვარემოებათა თხრობაზე. ერთ დამეს კარზე დააბრაზუნეს. მოხუცმა ქალმა ვააღო თუ არა, ფარნის შუქზე დაინახა შავტუხა, მდიდრულად და უცნაურად ჩაცმული გრძელსატევარიანი კაცი. ქალი შიშისაგან შეკრთა, მაგრამ კაცმა უმაღ დაამშვიდა, მღვდლის ნახვა მინდა სამსახურთან დაკავშირებულ რაღაც საქმის გამო. ბარბარა მაღლა ამოუძღვა მოსულს. დაწოლას ვაპირებდი უკვე. კაცმა განმიცხადა, ჩემი ქალბატონი მაღალი საზოგადოების ქალია, კვდება და მღვდლის მოყვა-

ნას თხოულობსო. ახლავე გამოგყვებით-მეთქი, ეუბასუხე. თან წავილე ყველა-
ფერი, რაც საჭიროა ზიარებისთვის და ჩქარი ნაბიჯით დავეშვიო დაბლა.
კართან მოუთმენლად ტორებს სცემდა ორი დამესავით შავი ცხენი,
რომელთაც ორთქლი ასდიოდათ ტანზე. კაცმა უზანგი დამიჭირა და ცხენზე
შეჯდომაში მომეხმარა, შემდეგ თვითონაც ამხედრდა, ცხენს ფეხები შემოხვია
ფერდებზე. სადავე ნებაზე მიუშვა და ისარივით გაიჭრა წინ. ჩემი ცხენიც
რომლის სადავეც მას ეპყრა ხელთ, ტოლს არ უდებდა მისას და ორივენი
თავდაუზოგავად ვნაქავდით გზას. ცხენების ფლოქვთა ქვეშ მიქროდა მიწის
ნაცრისფერი ზოლები და ჩამავებული ხეები ჩვენკენ გამორბოდნენ უკუქცე-
ული დამქარივით. ისეთი ჩაბნელებული ტყე გადავლახეთ, რომ შიშისაგან
მთლად მაკანკალებდა. ბედაურთა ნალებისაგან ავარდნილი ნაპერწკლები
ცეცხლოვან ნაკვალევად რჩებოდა და მე და ჩემი მეგზური ვინმეს რომ დავე-
ნახეთ ამ დამეში, ალბათ კოშმარული ზმანება ეგონებოდა. დროდადრო ცეცხ-
ლნი ცთომილნი გზას გვიკვეთავდნენ და ტყის სიღრმეში ჟამიდან ჟამზე ფოს-
ფორულად ელავდნენ კატის თვალები და ძოისძოდა დამფრთხალი ჭკების სა-
ბრალობელი წივილი. ოფლში გახვითქულ ცხენებს ქარი გამმაგებით უწეწავ-
და ფაფარს და ნესტოებიდან ხმაურით გამოსდიოდათ ორთქლი. ჩემი მხლებე-
ლი შენიშნავდა თუ არა, ცხენები სრბოლას ანელებენო, მათ გასაფიცებლად
ხორხიდან ისეთი ხმა ამოსდიოდა ხოლმე, ადამიანისას რომ არაფრით გავდა
და იწყებოდა კვლავ გიჟური სრბოლა. ბოლოს ქარი ჩადგა და უამრავი შუქით
განათებული დიდი შავი შენობა უეცრად ჩვენ წინ აღიმართა. ბედაურთა
ფლოქვებმა მძლავრად გაიხშიანეს ფიცარნაგზე და ჩვენ შევედით თაღქვეშ, რო-
ბელსაც ორ უზარმაზარ კოშკს შორის შავად გაეღო ბნელი ხაზა. კოშკში დიდი
ხმაური იდგა. მოსამსახურენი ანთებული ჩირაღდნებით მიმორბოდნენ და
სანთლის შუქიც მოძრაობდა დაბლა და მაღლა, ერთი ფოლორციდან მეორისა-
კენ. თვალი შევაავლე ბუნდოვანებაში ჩაძირულ შენობას, კოლინებს, თაღებს,
აივნებსა და მოაჯირებს, ირგვლავ მეფური და ფეერული ფუფუნება ბატონ-
ობდა. უმაღლესიან ზანგი მსახური, სწორედ ის, რომელმაც კლარიმონდის
წერილი გადმოცა. იგი ჩემთან მოვიდა და ცხენიდან ჩამოსვლაში მომეხმარა.
მსახურთუხუცესი, რომელსაც ყელზე ოქროს ჯაჭვი ეკეთა და შავი ხავერ-
დით იყო შემოსილი, შემომეგება. ხელთ სპილოსძვლის ჯოხი ეკავა, ცრემლები
თუთრ წვერზე დაუდინებოდა. „ძალიან დაგაგვიანდათ, ბატონო მღვდელო, ძა-
ლიან, — მეუბნებოდა და თან თავს სინანულით აქნევდა, — მაგრამ თუ მისი
სულის ხსნა ვერ შეძელით, ცხედარს მაინც უთიეთ დამე“. მკლავზე ხელი
მოძვიდა და იმ დარბაზისკენ გამიძღვა, სადაც მიცვალებული ესვენა. მეც მი-
სებრ მწარედ ვტიროდი, რადგან მივხვდი, ის მიცვალებული კლარიმონდი
ყო, ჩემი უსაზღვრო და გიჟური სიყვარულის სათავე. მიცვალებულის სარე-
კლის გვერდით სამლოცველო სკამი დაედგათ, ბრინჯაოს თასიდან გადმოღე-
რილი მოლურჯო ფერის ლიფლიფა შუქი მთელ ოთახს სუსტსა და ბუნდოვან
ნათელს ჰფენდა და აქა-იქ ჩრდილში ათროილებდა კარნიზისა თუ რომელიღაც
აუჯის წაგრბელებულ კონტურს. მაგიდაზე, მოჩუქურთმებულ ვაზაში დამჭკ-
ნარი ვარდი მოჩანდა, რომლის ფურცლებიც, ერთის გამოკლებით, ძირს მო-
ფენილიყვნენ სურნელოვანი ცრემლებივით. დამსხვრეული შავი ნიღაბი, მა-
რათ და სავარძლებზე მიმოფანტული ყველანაირი სადღესასწაულო შესამო-
ხელი მოწმობდა, რომ ამ დიდებულ სახლში სიკვდილი მოულოდნელად და

განუკითხავად შემოჭრილიყო. მე ჩავიმუხლე, თუმც ვერ გავბედე შემეხედა მიცვალებულის ტანტისათვის და გულმოდგინედ შევუდექი ფსალმუნთა კითხვას, თან მადლობას ვწირავდი უფალს ჩემი და ამ ქალის გულისტკიბის დასამარებისთვის, რომლის სახელსაც ამიერიდან ლოცვებთან ერთად შენობით მოვიხსენიებდი. მაგრამ თანდათან ეს განწყობილება გამინელდა და ოცნებაში წავიდო: ეს ოთახი არაფრით ჰგავდა მიცვალებულის ოთახს, ნაკვალავი ცხედრისათვის დამახასიათებელი ხუნისა, რომელსაც მაჩუქული ვიყავი მიცვალებულებთან ღამისთევისას, აღმოსავლური ხელსაცხებლის ნაზი კვამლი, თითქოსდა ტრფიალების აღმძვრელი, დაიკმეოდა გრად ჰაერში. მკრთალი სინათლე განცხრომის ბინდბუნდი უფრო იყო, ვიდრე ცხედრისთვის განკუთვნილი მოყვითალო ლამპრის მოლიცლიცე შუქი. უფიქრობდი იმ უცნაურ შემთხვევაზე, რომელმაც კლარიმონდი სწორედ მაშინ მაპოვნინა, როდესაც სამუდამოდ უნდა დამეკარგა, და მწუხარების ოხვრა აღმომხდა გულიდან. მომეჩვენა, თითქოს ჩემუკანაც ამოიოხრეს და უნებლიეთ შევბრუნდი. ეს ექო იყო მხოლოდ, და იმავე წამს ჩემი თვალები, აქამდის რომ ვერ ბედავდნენ შეხედვას, მიანერდნენ სამგლოვიარო სარეცელს. დიდრონი ყვაკილებით მოხატულ, წითელი ზონრებით ზეაწეულ წითელ დამასკურ ფარდებს შორის მოჩანდა გულხელდაკრფილი მიცვალებული. მას ზემოდან ეფარა თეთრად მოელვარე საბურველი, რომელიც მეწამული კედლის ფონზე კადეკ უფრო თეთრად მოჩანდა. ეს საბურველი ისეთი თხელი იყო, რომ ვერ ფარავდა გარდაცვლილის სხეულის თვალწარმტაც მოყვანილობას და საშუალებას მაძლევდა მიველოდი ულამაზეს ტალღისებურ ხაზებს მისი გედის ყელისას, რომლის გახევება თვით სიკვდილმაც ვერ შეძლო. იტყოდით, თეთრი ქანდაკიანო დედოფლის საფლავის შესამკობად ოსტატის მიერ გამოკვეთილი, ან კიდევ — მძინარე ყმაწვილი ქალი, რომელსაც ზედ დაათოვათ.

აღარ შემეძლო აქ გაჩერება, მათრობდა სარეცლისა და სამგლოვიარო დარბაზის ჰაერი, მძაფრი სურნელი კი ტვინში მირტყამდა. ბოლთასა ვცემდი და ხშირად ვჩერდებოდი გლოვის სარეცელთან, რათა მეცქირა გამჭირვალე სუდარის ქვეშ დახვეწებული მიცვალებულისათვის. უცნაური ფიქრები მუძალებოდა, თითქოს იგა მკედარი არ იყო და თავისი სიყვარულის გასამხელად ასეთ უცნაურ ხერხს მიმართა: კოშკში მიმიტყუა. ერთ წუთს ისიც კი მომეჩვენა, რომ ფეხი შეუტოვდა და თეთრი საბურველის ნაოჭებიც შეირჩა. „ნუთუ ეს კლარიმონდია, კი მაგრამ ამისათვის რა სამხილი გამაჩნია? განა შავ მხლებელს არ შეეძლო სხვა ქალის მსახური ყოფილიყო?“ ღამის გაყვივებულიყავა მწუხარებისაგან, გულმა ფართქალით მიპასუხა: „ის არის! სწორედ ის არის, ის!“ სარეცელს მივუახლოვდი და გაორმაგებული ყურადღებით დავაცქერდი ჩემი ეჭვების საგანს. ვაღიარო ყოველივე თქვენ წინაშე? უზადო სხეული, თუმცა სიკვდილის იდუმალებით იყო განწყობილი, უსაზღვრო ვნებათაღელვით მავსებდა, ხოლო ეს განსვენება იმდენად ჰგავდა ძილს, რომ ადამიანი ადვილად მეცდებოდა. დამავიწყდა, რომ სამგლოვიარო წესთა აღსასრულებლად მოვედი. წარმოვიდგინე, რომ ვითომ ვიყავი ყმაწვილი საქმრო და დანაშნულის ოთახში შევდიოდი, ის კი კდეშამოსილი მიმალავდა სახეს. მწუხარებისაგან გულდაკოდილი, სიხარულისგან გონებაარეული, შიშისაგან აცახცახებული მისკენ დაიბარე და სუნთქვაშეკრულმა, იმის შიშით, არ გავადვიძო-მეთქი, საბურველი ნელა გადავხადე. ძარღვები ძალუძად მიფეთქავდა, საფეთქლები დასკდომამზე მქონ-

და, შუბლი ძოღად ოფლით დამეცვარა, თითქოს მარმარილოს დიდი კვლევი დამეძრას ადვილიდან. ნამდვალად კლარიმონდა იყო, ისევე ისეთი მომხიბვლელი, ეკლესიაში რომ ვნახე ჩემი ხელდასხმის დროს, თითქოს სიკვდილის შეტევი კვლუცობა მიენიჭებინა მისთვის. დაწვთა სიფერმკრთალეს, ბაგეთა შექცევა რეტილ ვარდისფერსა და ამ სითეთრეში გამოკვეთილ დაწვისთავეებზე დაფენილ ვრძელ წამწამთა წაბლისფერ ტერს სიწმინდითა და სევლით მჩნისსწრისი მწუხარება გამოეხატა მის სახეზე. გრძელი გაშლილი თმა, ლურჯი ყვავილები რომ ჩაებნიათ აქა-იქ, ბალიშივით ეფინა თავქვეშ და მოშიშვლებულ მხრებზე. სეფისკვერივით წმინდა და მქრქალი ხელები გულს დაკრეფოდნენ და ღვთაებრივ ძილსა და უსიტყვო ღოცვას მიცემულნი ცხადად მოწმობდნენ, რომ მარგალიტის სამაჯურებით შემკულ, სპილოსძვლისფერ შიშველ მკლავებს ძალუძდათ წარმტაცნი ყოფილიყენენ თვით საკვდილის უამსაც კი. დიდხანს დავრჩი ასე უსიტყვო ჭვრეტას მიცემული, და რაც უფრო ვაცქერდებოდი, მით ჩაკლებად მჯეროდა, რომ სიცოცხლეს სამუდამოდ დაეტოვებინა ეს ლამაზი სხეული... არ ვიცი, მომერვენა თუ ლამპრის ანარეკლი იყო, თითქოს სისხლი ამოძრავდა ამ დაბინდულ სიფერმკრთალეში, თუმცა კი მთლად უძრავად იწვა მიცვალებული. ფროთხილად შევახე ხელი მის მკლავს, იგი ცივი იყო, მაგრამ იმაზე შეტად კი არა, როგორც იმ დღეს. როცა ეკლესიის კარიბჭესთან შემეხო, გონს მოვეგე, სახეზე დაეფურებდი, თან ღოყებზე ნელობილ ცვარნამად ეაფრქვევდი ცრემლებს. ოჰ! რა მწარეა უიძელობისა და უმწეობის გრძნობა! რა უსახურო ტანჯვა იყო ეს ღამისთევა! ვისურვებდი მთელი სიცოცხლე მისთვის მიმეცა, ამ გაყინული სხეულისთვის შთამებერა ის ცეცხლი, ასე რომ მწვავდა. დამე ილეოდა და ვგრძობდი, ახლოვდებოდა უამი მასთან სამუდამო გამოღრბისა, ვეღარ გაეუძელ გულისმომკვლელ და ღვთაებრივ საცდუნებელს და იმ ქალის უსიცოცხლო ბაგეებზე, რომელსაც მთელი ჩემი ტრფობა წარუტაცა, კოცნა აღვბეჭდე. ოი, საკვირეულებავ! უღონო სუნთქვა შეეგება ჩემს სუნთქვას და კლარიმონდის ბაგეებმა ამბორითვე მიპასუხა. თვალები აეხილა და მცირე ნათელმა გაიელვა მათში, ერთი ამოიოხრა, ხელები გაშალა და კისერზე შემომხვია ენითუთქმელი მომხიბვლელობით. „აჰ, ეს შენა ხარ, რომუდდ? — მკითხა ისეთი გათანგული და ტკბილი ხმით, თითქოს არფამ გაიფურაო, — სად იყავი? იმდენ ხანს გელოდი, შენს ღოდინში მოვკვდი, მაგრამ ახლა ჩვენ უკვე დანაშრულება ვართ და შეგვიძლია ერთმანეთი ვინახულოთ, ერთად ეიყოთ. ახლა ნახვამდის, რომუაღდ, ნახვამდის! მე შენ მიყვარხარ. აი, ყველაფერი, რის თქმაც შეწადა და უკან ვიბრუნებ იმ სიცოცხლეს, რომელიც წუთიერად შთამებერე შენი ამბორით, ნახვამდის“

თავი უკან გადაუვარდა, ხოლო მკლავები კვლავ ჩემთვის შემოეჭდო, თითქოს სურდა ასე ჩაკრული ვყოლიოდი. უეცრად ქარიშხალმა გამმაგებით შემოვიღია ფანჯარა, თეთრი ვარდის ერთადერთმა ფურცელმა მცირე ხანს იფართობლა ღეროზე, შემდეგ მოწყდა, ღია სარკმელში გაფრინდა და თან გაიყოლია კლარიმონდის სული. ლამპარი ჩაქრა, მე კი გულწასული დავეცი ღამაში მიცვალებულის მკერდზე.

როდესაც გონს მოვედი, ჩემს საწოლში ვიწუქი და ბებერი ძალი საბნიდან გამოყოფილ ხელს მილიკაედა. პარბარა ბებრულად დაფათურობდა ოთახში, ალაგებდა უჯრებს, წმენდდა მინებს. თვალგახელილი რომ დამინახა, სიხარულისაგან შეჰყვირა, ძაღლმაც დაიყეფა და კუდის ქიცინს მოჰყვა. მე კი ისე

ვიყავი დასუსტებული, დალაპარაკება და განძრევაც არ შემეძლო. როგორც შევიტყვე, სამი დღე ვყოფილვარ ამ მდგომარეობაში, სუსტად ესუნთქავდი, თორემ სხვაფრივ სიცოცხლის ნიშანწყალი არ მეტყობოდა თურმე. ამ სამ დღეს ჩემს სიცოცხლეს ვერ მივათული, რადგანაც არ ვიცო, ჩემი სული სად იყო ამ ხნის განმავლობაში. არაფერი მახსოვდა. ბარბარამ მომიყვა, ვინც წავიყვანათ იმ დამეს, ისევ მანვე, იმ შაქმა კაცმა მოგმწყვანს ჩონჩხით საკაცით და მაშინვე უკან გაბრუნდაო. როგორც კი გონება მოვხერხებე, დაწვრილებით გავიხსენე იმ საბედისწერო დამის თავგადასავალი. ვერ ვიფიქრე, ალბათ ყველაფერი მომეჩვენა-მეთქი, მაგრამ უტყუარმა და ხელშესახებმა მოვლენებმა მსწრაფლ დაამსხვრიეს ეს ვარაუდი. ეს ყველაფერი რომ სიზმარი არ იყო, ბარბარას მონაყოლიდანაც ჩანდა. მანაც ნახა ორი შავი ცხენი და ის კაცი, რომლის ჩაცმულობასა და გარეგნობას ასე ზუსტად აღწერდა იგი. თუმცა არავინ იცოდა იმ მიდამოებში ისეთი კომკის არსებობა, რომლის აღწერილობასაც მიესადაგებოდა ჩემ მიერ ნახული კომკი, კლარიმონდი რომ ვიპოვე.

ერთ დღეს მოძღვარი სერაპიონი გამომეცხადა. ბარბარას შეეტყობინებინა ჩემი ავადმყოფობის ამბავი და ისიც სასწრაფოდ ჩვენთან გაჩნდა. თუმცა მან ამ მზრუნველობით დაამტკიცა ჩემდამი სიყვარული და გულისხმიერება, მაგრამ მე პირადად მისმა სტუმრობამ ვერ მომგვარა სიხარული. მოძღვრის მხურაში იყო რაღაც გამსჭვალავი და ინკვიზიტორული, რაც მთრგუნავდა, მაკრობდა და მის წინაშე თავს დამნაშავედ ვგრძნობდი ხოლმე. პირველმა მან შეამჩნია, ჩემი სულიერი მღელვარება, ამიტომაც არ მსიამოვნებდა ამ ნათელჭვრეტისა გამო.

ფარისევლურად დათაფლული ენით მეკითხებოდა ჯანმრთელობის ამბავს და თან ჯიქურ მომჩერებოდა ლომის ყვითელი გუგებით და ბურღივით მიხვრეტდა სულს. შემდეგ გამომკითხა, საქმეს როგორ უძღვები, მრევლი თუ მოგწონსო, სამსახურის შემდეგ რას აკეთებო; აინტერესებდა, ვის დაუუახლოვდი, რომელ წიგნებს ვკითხულობდი და ამის მსგავსი ათასი წერილმანი, რაც შემეძლო, მოკლედ ვასუხობდი ყველაფერზე. თვითონ, არცკი მაცდიდა სიტყვის დამთავრებას, სხვა რამეზე მელაპარაკებოდა უკვე. ამ საუბარს, ცხადია, არაფერი ჰქონდა საერთო იმასთან, რისი თქმაც ეწადა. ბოლოს კი, სრულიად მოულოდნელად, ახალი ამბავი მიაშბო, რომელიც ვითომ იმ წუთს გაახსენდა და ეშინოდა, არ დამავიწყდესო. მისი სუფთა, გულშიჩამწვდომი ხმა განკითხვის საყვირით ჩამესმა:

„სახელგანთქმული კურტიზანი ქალი კლარიმონდი უკანასკნელად გარდაცვლილა იმ ორგის შედეგად, რომელიც რვა დღე-ღამეს გავრძელებულა. რაღაც ჯოჯოხეთური ბრწყინვალეობით ჩატარებულა ეს ღრეობა. ბალთაზარისა და კლეოპატრას ორგიათა სისაძაგლენი განუახლებიათ თურმე. ღმერთო მაღალო, როგორ საუკუნეში ვცხოვრობთ! სტუმრებს შავი მონები ემსახურებოდნენ თურმე, გაუგებარ ენაზე ლაპარაკობდნენ და დემონის სახისანი ყოფილან. ამბობენ, ლაქიებსაც კი საიმპერატორო დღესასწაულების შესაფერისად ეცვათო. ყოველთვის ძალზე უცნაურ ამბებს ჰყვებოდნენ ამ კლარიმონდზე, მისი საყვარლები თურმე საეჭვოდ იხოცებოდნენო, ამბობენ, ეს ქალი ნამდვილი ვამპირიაო. მე კი ვფიქრობ, ეშმაკეული სული უნდა იყოს“.

სერაპიონი დადუმდა და განსაკუთრებული ყურადღებით დამაკვირდა. სურდა გაეგო, რა ზეგავლენა მოახდინა ჩემზე მისმა სიტყვებმა.

კლარიმონდის ხსენებაზე მღელვარება ვერ დავიოკე. მისი სიკვდილის ამბავმა გული ხომ მატკინა, თავზეც ამიბნა თავისი უცნაური დამთხვევით იმ დამეულ ამბებთან, რომელთა მოწამეც თავად ვიყავი. ყველაფერი სახეზე ჰქებდა, თუმცა ვცდილობდი, არაფერი შემემჩნია. უგმაყოფილო სერაპიონმა მკაცრად შემომხედა: „შვილო ჩემო, უნდა გითხრათ, ფეხი უფსკრულიდან გაქვთ გადადგმული, იფრთხილეთ, არ გადაიჩეხოთ. აცოცხალია დასაძინებელი ნას გრძელი კლანჭები აქვს და საფლავებიც ყოველთვის არ არიან საიმედოები. კლარიმონდის საფლავი საგულდაგულოდ უნდა დაიქოლოს. როგორც ამბობენ, მისი გარდაცვალება პირველი შემთხვევა როდია, დაე, ღმერთი იყოს შენი შუარველი, რომუაღდ“.

ამ სიტყვების შემდეგ სერაპიონი წავიდა და მას უკან აღარც მინახავს. მაშინვე გამგზავრებულიყოს ს...ს.

სრულიად განვიკურნე და შევუღიქვი მოვალეობათა აღსრულებას. კლარიმონდის ხსოვნა და მოხუცი მოძღვრის სიტყვები ჩემი გულიდან არ გამოდიოდნენ. ამ ხნის განმავლობაში არაფერი მომხდარა იმისთანა, რაც სერაპიონის ბნელ მოლოდინს გაამართლებდა. თავს ვარწმუნებდი, რომ სერაპიონის ეჭვები და ჩემი შიში განზვიადებული იყო; მაგრამ აი, ერთ დამეს რა შესიზმრა: ახის იყო ჩამუძინა, რომ უცებ ჩამესმა, როგორ გასრიალდნენ ჩემი საწოლის ფარდების რგოლები ლითონის ბაგეტებზე. მაშინვე იდაყვებზე წამოვიწიე და ჩემს წინ ქალი დაველანდე. კლარიმონდა იყო, მაშინვე ვაცანი. ხელში საფლავის ლამპარი ეჭირა. ლამპრის შუქზე გამჭვირვალე ვარდისფერი მოუჩანდა გრძელი თითები და ნელ-ნელა უერთდებოდა მისი შიშველი მკლავების სითეთრეს. ჭანთ ტილოს სუღარა შემოეხვია და ნაოჭებად მიყრდილი მიეჩუტებინა მკერდთან, თითქოს სიშიშვლის რცხვენიაო. თუმცა პატარა ხელით სიშიშველეს როგორ დაიფარავდა! ლამპრის მკრთალ შუქზე სუღარის სიქათქათო შეერთებოდა მისი ხორცის ფერს. ნაზი ქსოვილი ცხადად წარმოაჩენდა მისი სხეულის მოყვანილობას და მობანავე ქალის მარმარილოს ანტიკურ ქანდაკებას უფრო ჰგავდა, ვიდრე სიცოცხლეშთაბერილ ქალს. მკედარი იყო თუ ცოცხალი, ქანდაკება თუ ხორცშესხმული ქალი, აჩრდილი თუ ცოცხალი არსება, მისი სიღამაზე მარად უცვლელი რჩებოდა, ძხოლოდ მწყანე გუგების ელვარება დაცხრობოდა ოდნავ და ოდესღაც აღისფრად აფეთქებულ ბაგეს ახლა უკვე მისივე ლოყების მკრთალი ვარდისფერი დასდებოდა. თმაში გაბნეული პაწია ლურჯი ყვავილები მილად დამჭკნარიყვნენ და განბარცულიყვნენ. ქალი უყვავილოდაც ლამაზი იყო, ისეთი მომხიბვლელი, რომ თუმცა ვერაფრით გამეგო, ასე მოულოდნელად რა ხერხებით აღმოჩნდა ჩემს ოთახში, ერთი წუთითაც არ შემშინებია.

ლამპარი მაგიდაზე დადგა, ფერხთით ჩამომიჯდა, ჩემკენ გადმოიხარა და თავისი განუმეორებელი, ერთდროულად ვერცხლისებრი და ხავერდოვანი ხმით მითხრა: „დიდხანს გალოდინე, ჩემო ძვირფასო რომუაღდ? ალბათ იფიქრე, დამივიწყაო. მე ხომ ძალიან შორიდან მოვდივარ, იქიდან, საიდანაც ვერ არაეინ დაბრუნებულა. იმ ქვეყანაში, საიდანაც მე მოვდივარ, არც მოვარეა, არც მზე, არც გზა და ბილიკი, სივრცე და წყვლიაღია მხოლოდ. ფეხის დასადგმელი მიწაც არ არის, არც პაერაა ფრთების გასაშლელად, მაგრამ აი, მე მაინც აქა ვარ, რადგან სიყვარული სიკვდილზე ძლიერია და ყოველთვის გაიმარჯვებს მასზე. ოჰ! რა პირქუში სახეები და საშინელებანი ვიხილე მგზავრობისას! რა ტანჯვა გადაიტანა ამქვეყნად მობრუნებულმა ჩემმა სულმა, რათა თავისი სხე-

ული ეპოვა და კვლავ შიგ ჩასახლებულიყო. რამდენი მცდელობა დამჭირდა იმ
ლოდის გადასაწევად, რითაც ჩემი სხეული დაფარეს. შეხედე ერთი ჩემს სა-
ცოდავ, ნაწამებ ხელებს. ეამბორე, რათა განიკურნონ, ჩემო სიყვარულო“. მან
ტუჩებთან მომიტანა გაყინული ხელის ვულები და ორივეზე რამოდენიმეჯერ
ვაკოცე, ის კი ენითუთქმელი სიკეთისა და სიხარულის ღიმღლით შემომყურებდა.

ჩემდა სამარცხვინოდ უნდა ეადიარო, რომ მთელად დაწვეწვე სერაპიონ
ნოდვრის დარიგებები და ჩემი გადაწყვეტილებაც. პირველ შემოტყუებულ
დავხებდი და ისიც კი არ მიცდია, განმეძვეებანა მაცდური. კლარიმონდის კა-
ნის სინაზე ნეტარების ურუანტელს მგვრიდა, საბრალო გოგონა! მიუხედავად
იმისა, რაც ვიხილე, დღესაც მიჭირს ეირწმუნო, რომ ის დემონი იყო, რადგან
სრულებითაც არ ჰქონია სატანის იერი — საგულდაგულოდ შენიღბული რქებ
და ბრჭყალები. ფეხბორთხმით ნაზად ჩამომიჯდა საწოლის კიდეზე. დროდადრო
პატარა ხელებს ჩემს თმებში დააცურებდა და კულულებად ახვევდა, თითქოს
სურდა, ჩემი ვარცხნილობა შეეცვალა. მეც მივხებდი ამ უაღრესად წარმწე-
მედ სიამოვნებას, რომელსაც მისი მომხიბვლელი ტიკტიკი ახლდა. უნდა აღ-
ვნიშნო, რომ ეს უჩვეულო შემთხვევა არავითარ გაკვირებას არ იწვევდა ჩემ-
ში, თითქოს ზმანებააო, ყოველგვარი უცნაური მოკვლეა ძალზე უბრალოდ
მეჩვენებოდა, ჰოდა, მეც ყველაფერი სრულად ბუნებრივად მიმანსდა.

„მე შენ მიყვარდი უფრო ადრე, ვიდრე ვიხილავდი, ჩემო ძვირფასო რო-
მუალდ. გეძებდი ყველგან, ჩემი ოცნება შენ იყავი; იმ საბედისწერო დღეს
რომ დაგინახე ეკლესიაში, ჩემს თავს ვუთხარა: ის არის, ის! მერე სიყვარუ-
ლით აღსავსე თვალებით შემოგხედე. შენდამი ჩემი სიყვარულით აღსავსე
თვალებით, მაგრამ შენ შეუვალი აღმოჩნდი იმ მზერისათვის, რომელიც მოს-
ვენებას დაუკარგავდა თვით კარდინალს და ჩემს ფერხით დააჩოქებდა მეფე;
დიდებულთა თანდასწრებით. ჩემს თავს ღმერთი ამჯობინე. აჰ, როგორც მშერს
ღმერთისა, რომელიც გიყვარდა და კვლავაც გიყვარს ჩემზე მეტად! უბედურა
ვარ, უბედური! ვერასოდეს გავხდები შენი გულის ერთადერთი მპყრობელი.
მკვდრეთით აღმადგინე შენა ამბორით. მიცვალებულმა კლარიმონდმა შენს
გამო დაამსხვრია საფლავის კარები. იგი მოვიდა შენთან და სურს შემოგწიროს
სიცოცხლე, რომელიც მხოლოდ ამიტომ მიიღო, რათა ბედნიერება მოგანიჭოს!“

ეს სიტყვები ენაცვლებოდა გახულებულ ალურსს და იმ ზომამდის აბრუ-
ებდა ჩემს გრძნობა-გონებას, რომ სრულიად გამიქრა შიში. ქალს ვამშვიდებ-
დი შემადრწუნებელი ღვთისსაგმობი სიტყვებით, შენც მიყვარხარ, როგორც
ღმერთი-მეთქია.

თვალები გამოუცოცხლდა და მწვანე ქვებივით აუელვარდა. „მართლა? მარ-
თლა? როგორც ღმერთი?“ მეუბნებოდა და თან ღამაზ მკლავებს მაჭდობდა.
რაკი ასეა, მაშინ, ჩემთან წამოხვალ, გამომყვები იქ, სადაც მოკისურვებ. გადა-
ავლებ მაგ საზიზღარ შავ სამოსს და ვახლები ამაყი და შესაშური ვაჟკაცთა
შორის. საყვარლობა ღამაზი კლარიმონდისა, რომელმაც უარყო პაპი, მართლაც
დიდებული რამ არის, თქ! ღამაზი სიცოცხლევ, ნეტარების მომნიჭებელი,
ჩვენი წილხვედრი ღამაზი ოქროსფერი არსებობავ! როდის წავიდეთ, ჩემო
კეთილშობილო აზნაური?

— ხვალ, ხვალ! — მთვარეულივით წამოვიძახე.

— ხვალ იყოს, — დამეთანხმა, — მანამდე მოვირთვები, ასე ღარიბულად
ნაცმული ხომ ვერ წამოვალ? თანაც ჩემს ხალხს უნდა შევატყობინო, მათ ხომ

მეკვდარი ვგონივარ და მგლოვობენ. ფული, ტანსაცმელი, უტლი, ყველაფერი შად იქნება. ხვალ ზუსტად ამ დროს მოვალ შენს წასაყვანად. მშვიდობით, ჭირფასო!" იგი ბავშვებით შემეხო შუბლზე. შემდეგ ლამპარი ჩაქრა, ფარდები დაიხურა და აღარაფერი დაძინახავს. ღრმა, უსიზმრო ძილმა შემიპყრო და ასე ვიყავი მეორე დღემდე. ჩვეულებრივზე გვიან გამეღვიძა და იმ უცნაური სიზმრის გახსენება მთელი დღე მოსვენებას მიკარგავდა. ბოლოს ჩემს წინაშე წაგონე, ეს ხილვა ჩემივე აღგზნებული წარმოსახვის ნაყოფია-მეთქი, ისეთი ცხოველმყოფელი გახლდათ ჩემი შეგრძნებები, რომ ვერ ვიჯერებდი მათ არარეალურობას... შესაძლოა იმ ღამითაც გამომცხადებოდა, თუმცა ღოგინში წაწილამდე უფაღს შევთხოვე, განემორებინა ჩემგან ბორცვი ზრახვანი და დაეფარა ჩემი ძილს უმფთიველობა.

მაღე ღრმად ჩამებინა და ჩემი სიზმარი ვაგრძელდა. ფარდები გაიწია და კვლავ კლარიმონდი გამომეცხადა, მაგრამ ისეთი კი არა, როგორც პირველად, თურ სუდარაში გახვეული, გაფითრებული და მკვდრულ დასფერლოყვებიანი, არამედ მკვირცხლი და მხიარული, თქროს ყაწიმებით გაწყობილი მწვანე ხაზრდის სამოგზაურო ტანისამოსით შემოსილი, ერთ მხარეს აკეცილი კალთის ჯეშადან ატლასის ქვედატანი მოუხანდა. ქერა თმა დიდრის კულულებად ჩამოშლიდა თეთრი ბუმბულით გაწყობილი ფართეფარფლებიანი შავი ქუდის ქვეშ. ხელში თქროს სასტვენშებმული პატარა შოლტი ეჭირა, რომელიც მსუსუსტად გადმოძვრა და მითხრა: „ეი, ლამაზო მძინარავ, ეს არის თქვენი სამზადისი? მე კი ვფიქრობდი, ფეხზე დამხედებოდით. აბა, საჩქაროდ ადექით, დასკარგი დრო სადა გვაქვს?“ მე საწოლიდან გადმოვხტი.

„დროზე ჩაიცვით და გზას გავუდგეთ, - მითხრა და პატარა ბოლჩაზე მანაშა, თან რომ მოეტანა. - ცხენები მოწყენილობისაგან ლაგამს ხრავენ კართან. ახლა ათ ღიეზე მანსც უნდა ვყოფილიყავით აქედან“.

ხწრაფად ვიცვამდი, ის თავისი ხელით მაწვდიდა სამოსელს, თან ხმაძალდა აცანოდა ჩემს მოუქნელობაზე და ჩაცმაშოვ მეხმარებოდა. მე რე ჩემს თმას შიადვა და როცა თავის ნებაზე დამვარცხნა, ვერცხლის ჭვირნიშებით შემკული ვეწიური ბროლის პატარა სარკე გამომიწოდა და მითხრა: „აბა, როგორ მოგწონს შენი თავი? ხომ არ ისურვებდი, პირისფარეშად აგეყვანე?“

არა, ეს მე არ ვიყავი: ველარ ვიცანი საკუთარი თავი, რომელიც ისე აღარ მგავდა, როგორც ქანდაკება არა ჰგავს ქვის ღოღს. ჩემი ძველი გარეგნობა შოლოდ ტლანქი მონახაზი იყო იმ არსებისა, რომელსაც სარკე ირეკლავდა. დაახ, ლამაზი ვიყავი და ეს გარდასახვა აშკარად სიამაყით აღავსებდა ჩემს პატივმოყვარეობას. გემოვნებით შეკერილმა, მდიდრულად ნაქარგმა ტანსაცმელმა სულ სხვა პაროვნებად მაქცია. აი, თურმე რა სასწაული შესძლება ასე ლაზათიანად მორგებულ რამოდენიმე წყრთა ქსოვილს! აღფრთოვანებული ვიყავი. ლამაზმა ტანსაცმელმა ისე გამათამაშა, რომ ათ წუთში ყოყლოჩინად გადავიქეცი.

ერთი-ორჯერ გავიარ-გამოვიარე ოთახში, რათა ტანსაცმელს შევჩვეოდი. კლარიმონდი კი დედობრივი შეფრფხვით შემომყურებდა და ჩანდა, ძალიან კმაყოფილი იყო თავისი ნამოქმედარით. „გეყოფა ონავრობა, გზას გავუდგეთ, ხეში ძვირფასო რომუაღდ! შორს მოვემგზავრებით და ვერ მივადწევთ იქამდე“. ხელი ჩამავლო და გამიფოლა. შეხებისთანავე ყოველი კარი მაშინვე იღებოდა მის წინ, ძაღლს ისე ჩავუარეთ, არ გაუღვიძია.

ჭიშკართან მარგერიტონი გვიცდიდა. ეს სწორედ ის ეჯიბი გახლდათ, რომელმაც ერთხელ უკვე გამოწია მეგზურობა. მაშინდელივით სადავით სანიცხენი ეჭირა, ერთი ჩემთვის, ერთი თავისთვის და ერთიც კლარიმონდისთვის. ესპანური ჯიშისანა უნდა ყოფილიყვნენ ეს ცხენები, ზეფირთან შეუღლებული ჭაკების შობილნი, რადგან ქარივით სწრაფად მიქროდნენ. გზას გავუდექით თუ არა, მოვარეც აღმობრწყინდა, თითქოს სურდა, როგორმე დაგვეწყოდა. მალე მინდორს მივალწიეთ, სადაც ბუჩქნართან ეტლი გვიცდიდა, რომელშიც ოთხი ფეხმარდი ცხენი შეებათ. ეტლში ჩავსხედით თუ არა, შეეტლეთმა გაშშაგებით გააქროლეს იგი. კლარიმონდს წელზე შემოღზვიე ხელი, მან თავი მხარზე დამყარდნო და ვგრძნობდი, მისი ნახევრადშიშველი ყელი როგორ მელამუნებოდა მკლავზე. ასეთი ნეტარება არასოდეს განმეცადა, იმ წუთას ისე მომაჯადოვა ეშმაკეულმა სულმა, დამავიწყდა, რომ მღვდელი ვიყავი, თუმცა ეს მოწოდებდების მუცლიდან დამყვა. უნდა ითქვას, რომ იმ დამიდან მოყოლებული, რადაცნაირი გაორება დამეუფლა, ჩემს არსებაში ორი უცნობი მამაკაცი ჩასახლდა. ზოგჯერ მეგონა, რომ მღვდელი ვიყავი და ამ მღვდელს ყოველ დამეესიზმრებოდა, თითქოს კეთილშობილი იყო. ზოგჯერ კი პირიქით მეგონა, ვიყავი კეთილშობილი ბატონი და ამ ბატონს ესიზმრებოდა, თითქოს მღვდელი გახდა. სიზმარი და ცხადი ერთმანეთში ამერია და აღარ ვიცოდი, სად იწყებოდა სინამდვილე და სად მთავრდებოდა ზმანება. ქედმაღალი და თავაშვებული ბატონიშვილი მასხრად იგდებდა მღვდელს, მღვდელი კი სიძულვილით იყო გამსჭვალული ახალგაზრდა გარყვნილი ბატონის მიმართ. ორ წრეში ვტრიალებდი, მაგრამ ისე, რომ ეს წრეები ერთიმეორეს არ ეხებოდნენ, მაგრამ მაინც წარმოაჩენდნენ იმ ორთავიან არსებობას, რომელსაც ჩემი ცხოვრება ერქვა. მიუხედავად უცნაური მღვდომარეობისა, გაგიჟებით მაინც არ გავკვივებულვარ, ყოველთვის კარგად მესმოდა ჩემი გაორებული არსებობის აზრი. მხოლოდ ერთი რამ იყო ბუნდოვანი, რისი ახსნაც თავადაც არ შემეძლო — საკუთარი „მეს“ შეგძრნება თანაბრად არსებობდა ამ სრულიად ერთიმეორისაგან განსხვავებულ მამაკაცებში. ეს იყო კანონზომიერების მიღმა არსებული რაღაც, მაშინაც, როცა პატარა სოფლის მღვდლად მიმაჩნდა თავი და, მაშინაც, როცა კლარიმონდის აღიარებული საყვარელი ვიყავი.

მოხდა ისე, რომ აღმოვჩნდი (ან იქნებ მომეჩვენა, რომ აღმოვჩნდი) ვენეციაში. ჯერაც ვერ გამირკვევია, რა იყო ნამდვილი და რა ილუზია ამ უცნაურ თავგადასავალში. ჩვენ კანალუესოზე ვცხოვრობდით მეფურ, ფრესკებითა და ქანდაკებებით დამშვენებულ მარმარილოს დიდ სასახლეში. კლარიმონდის საწოლ ოთახს ტიცციანის ორი საუკეთესო ტილო ამშვენებდა. ორთავეს ჩვენ-ჩვენი გონდოლა და ბარკალორები გვემსახურებოდნენ, გვექონდა ცალ-ცალკე სამუსიკო ოთახი და საკუთარი მგოსნებიც გვეყავა. კლარიმონდი დიდგვართვანთა ცხოვრების წესს მისდევდა. მის ბუნებაში იყო რაღაც კლეოპატრასეული. რაც შემეხება მე, თავადიშვილივით ვცხოვრობდი და ისე ვბაქიბუქობდი, თითქოს თორმეტ მოციქულთაგან ერთ-ერთი, ან რომელიმე უგანათლებულესი რესპუბლიკელი ოთხი ევანგელისტის ოჯახის ჩამომავალი ვყოფილიყავ. გზას არ ვუთმობდი დოფს და არა მგონია, თუ მას შემდეგ, რაც სატანა ზეცით დაეშვა, ჩემზე ამაყი და კადნიერი ვინმე ყოფილიყოს. დიდ ფულზე სათამაშოდ რიდოტში დავიარებოდი. ჩემს თვალწინ ტრიალებდნენ ამა სოფლის ძლიერნიც და ვაკოტრებული ოჯახის შემკვიდრებებიც. მსახიობი ქალები და თაღლითები,

უქნარები და ჩხუბისთავები. მიუხედავად ასეთი დარდიმანდული ცხოვრებისა, მე მაინც კლარიმონდის ერთგული ვიყავი, რადგან თავდავიწყებით მიყვარდა იგი. მას კი მობეზრებოდა ეს მოყირჭებული ყოფა და სიყვარულით ტკობას მისძალებოდა. გვეარებოდა კლარიმონდი — ეს ნიშნავდა, გვოლოდა უამრავი საყვარელი, ეს ნიშნავდა, გვეარებოდა ყველა ქალი, იმდენად მერყევი, ცვალებადი და მრავალბუნებოვანი არსება იყო, ნამდვილ ქამელეონად მქსახებოდა. გაიძულებდათ გელალატათ თქვენი მაჯხურისთვის, რადგან მას ძალუძდა მიეღო ხასიათი, ზნე და ქცევა და გარეგნობა იმ ქალისა, რომელიც, მისი წარმოდგენით, თქვენ მოგწონდათ. იგი ასმაგად მპასუხობდა სიყვარულზე და ამიტომაც ამარ იყო იმ ახალგაზრდა წარჩინებულთა და თვით ათთა საბჭოს უხუცესთა ყველაზე საუცხოო წინადადებანი. ერთი ფოსკარი იქამდისაც კი მივიდა, რომ ცოლად შერთვა შესთავაზა. მან კი უარი განუცხადა, რადგან ოქრო საკმარისი ჰქონდა და მხოლოდ სიყვარული სურდა, სხვა არაფერი, ახალგაზრდული, წმიდა და მისი ხატებით შთაგონებული სიყვარული, რომელიც იქნებოდა პირველი და უკანასკნელი. უზომოდ ბედნიერი ვიქნებოდი, ის დაწყველილი კომპარი რომ არა, რომელიც ყოველ ღამე კვლავ სოფლის მღვდლად გადამაქცევდა ხოლმე. კლარიმონდთან ყოფნით დამშვიდებული თითქმის აღარც კი ვფიქრობდი იმ უცნაურ შემთხვევაზე, როცა ის გავიცანი. თუმცა ის, რაც მოძღვარმა სერაპიონმა მითხრა კლარიმონდის შესახებ, ზოგჯერ მაინც მაგონდებოდა და მოუსვენრობა მიპყრობდა ხოლმე.

ერთი ხანობა კლარიმონდის ჯანმრთელობა თითქოს შეირყა. დღითიდღე ვეარგებოდა სახის ფერი. ექიმები მოუყვანეს, მაგრამ მათ ვერაფერი გაუგეს, თუმცა წამლები მაინც გამოწერეს, მაგრამ აღარ გამოჩენილან. ამასობაში კლარიმონდი თვალდათვალ ფერმკრთალდებოდა და სიცოცხე ეპარებოდა სხეულში. იგი თითქმის ისეთივე თეთრი და უსიცოცხლო გახდა, როგორც იმ ცნობილ ღამეს უცნობ კომპში. მწუხარება მიპყრობდა, როცა ვხედავდი, რა ნელ-ნელა მუცლებოდა ხელიდან. ის კი, ჩემი დარდით გულდაკოდილი, მიღიმოდა მშვიდად და სევდიანად იმ ადამიანთა საბედისწერო ღიმილით, რომელთაც იციან, რომ სასიკვდილოდ არიან განწირულნი.

ერთ დღით სარეცელთან ვეჯექი და იქვე, პატარა მაგიდიდან, საუზმეს მვექცეოდი, რადგან ერთი წუთითაც არ შემეძლო მისი მიტოვება. ხილის ფტქვნისას საკმაოდ ღრმად გავიჭერი თითი; მაშინვე მეწამულ შადრევნად გადმოსკდა სისხლი და ერთი-ორი წვეთი კლარიმონდსაც მიემხეფა. უცებ თვალები აენტო და, ჩემდა გასაკვირად, ველური სიხარული აღებეჭდა სახეზე. საწოლიდან ისკუპა მაიმუნისა და კატის სიმარჯვით, ჩემს ჭრილობას დააცხრა და ენითუთქმელი სიხარბით დაუწყო წოვა. პატარ-პატარა ყლუპებად წოვდა ასე ნეტარებითა და გულმოდგინებით, გვეონებოდა, ხერესისა თუ სირაკუზის ღვინოს აჭაშნიკებსო. თვალებს ნაბავდა, მწვანე გუგები დაწვრილებოდნენ. დროდადრო ჩერდებოდა და ხელზე მკოცნიდა, შემდეგ კვლავ აწებებდა ტუჩებს ჭრილობას, რათა თუნდაც ერთი-ორი წვეთი კიდევ გამოეწოვა. რომ დარწმუნდა, სისხლი დაიწრიტათ, კლარიმონდი თვალეხანთებული წამოიმართა, მისის განთიადზე უფრო ვარდისფერი, ერთი სიტყვით, უფრო ღამაზი, ვიდრე თქვენი ყოფილა კარგად ყოფნის უამს. „არ მოკვდები! არ მოკვდები!“ — ამბობდა სიხარულისაგან ღამის შემლილი და თან კისერზე მეკიდებოდა, — მე კიდევ დიდხანს მეყვარები, ჩემი არსებობა შენს სიცოცხლეშია, ხოლო ყოვე-

ლივე, რაც ჩემშია, შენგან მოდის. შენი უხვი და კეთილშობილი სისხლი უფრო იზიარება და უებარია, ვიდრე რომელიმე ელექსირი, შენი სისხლის რამდენიმე წვეთმა არსებობა დაიბრუნა“. ამ სანახაობამ ღრმად ჩამაფიქრა და უცნაური ეჭვებით ამავეს. და აი, იმავე საღამოს, როცა თბილისში ჩემს სადგომში წამიყვანა, ვიხილე მოძღვარი სერაპიონი, იგი უფრო დიხვი და მზრუნველი იყო, ვიდრე იდეხე. დაკვირვებით შემომხედა და მითხრა: „სულით დაღუპულს, ხორცის წარწყმედაც განგაზრახავთ, ბედშაო ვაბუკო, რომელ ხაფანგში ხართ გაბმული?“ მისმა კილომ შემხარა, მაგრამ მიუხედავად ასეთი სიმძაფრისა, ამ სიტყვების შთაბეჭდილება სხვა ათასმა საზრუნავმა გამიქარწყლა. და აი, ერთ საღამოს, ჩემს სარკეში, რომლის გამცემლური მღებარეობაც კლარიმონდმა ვერ გაითვალისწინა, დავინახე, რომ სურხელოვანი ღვინის ფიალაში რაღაც ფხვნილს მიყრიდა. ჩვეულებრივ, ყოველი ჭამის შემდეგ რაღაც სასმელს ამზადებდა ხოლმე. ფიალა ავიღე, ყასიდად ტუჩებთან მივიტანე და სხვა მავიდაზე გადავდვი ვითომდა ამ განზრახვით, რომ მოგვიანებით დამელია წუთიერად ვისარგებლე იმით, რომ კლარიმონდი შეტრიალდა და სასმელი მავიდის ქვეშ გადავაქცოე. შემდეგ ჩემს ოთახში დავბრუნდი და დავწვი იმ გადაწყვეტილებით, რომ არ დამეძინა და შენახა ყველაფერი, რაც კი მოხდებოდა. დიდხანს არ დამჭირვებია ღოღინა, მალე კლარიმონდი ღამის პერანგის აძარა შემოვიდა და განიძარცვა რა სამოსელი, ჩემს მახლობლად წამოწვა საწოლზე. როცა დარწმუნდა, რომ მეძინა, მკლავი გამიშიშვლა, თმიდან ოქროს ქინძისთავი გამოიძრო და აჩურჩულდა: „ერთი წვეთი, მხოლოდ ერთი წვეთი პატარა სისხლის წვეთი, ერთი ღალისფერი წვეთი გადმოვიდეს ჩემს ქინძისთავზე... რადგან ჯერ კიდევ გიყვარვარ, არ მინდა, მოვკვდე... თქ, საცოდაო სიყვარულს, ახლავე დავწაფები შენს ღამაზე, ასე ელვარე, მეწამულ სისხლს, დაიძინე. ჩემი ერთადერთი საუნჯეა, ჩემი ღმერთო, ჩემი ბიჭუნაე, ცუდს არაფერს გაზამ, იმდენ სიცოცხლეს ავიღებ შენგან, ჩემი რომ არ ჩაქრეს მხოლოდ. ასე რომ არ შევარებოდი, სხვა მიჯნურს გავიჩენდი და ძარღვებში დავუშრობდი სისხლს, მაგრამ მას შემდეგ, რაც შენ გაგიცან, მთელი სამყარო შევიძულე... თქ, რა ღამაში, საუსე და თეთრი მკლავი გაქვს! ვერა, ვერასოდეს გავბედავ დავხვლიტო ეს ღამაში ცისფერი ძარღვები!“ ტირილით ამბობდა ამ სიტყვებს და ვგრძნობდი, მის ხელეში მომწყვდულ მკლავზე როგორ მეცემოდა ცრემლები. ბოლოს მაინც მიჩხვლიტა ქინძისთავი და მოჰყვა სისხლის წოვას. რამდენიმე წუთი გამიწოვა გაჭირვებით და ეტყობოდა შეეშინდა, არ დასუსტდესო, მკლავი რაღაც მაღამოთი დამიზილა, რომელმაც მაშინვე შეახორცა ჭრილობა და მზრუნველობით შემიხვია.

ყოველგვარი ეჭვი გამიქრა, მოძღვარი სერაპიონი მართალი იყო, და მაინც არ შემეძლო თავი დამედწია კლარიმონდის სიყვარულისაგან. სიამოვნებით მივცემდი იმდენ სისხლს, რამდენიც მას ესაჭიროებოდა ასე ძალისძალობით სიცოცხლის შესანარჩუნებლად. თუმცა კლარიმონდი ვამპირი აღმოჩნდა, სრულებითაც არ შეშინოდა მისი. სისხლი უხვად მქონდა და ასე ადვილად არ დაიშრიტებოდა. არ მსურდა ასე წვეთ-წვეთად გამეცა ჩემი სიცოცხლე; თუ საჭირო გახდებოდა, თავადვე გავუწვდიდი მკლავს და ვეტყოდი: „დალიე, დაე, შენა სხეული ამ სისხლთან ერთად აღივსოს ჩემი სიყვარულით“. უბრალო ნართაუღითაც კი არ მიგრძნობინებია კლარიმონდისათვის ქინძისთავისა და ძელის მოგვრედა სასმელის შესახებ. საოცრად შეთანხმებულად ვცხიურობდით. ერთი

ეც იყო, როგორც მღვდელს, სინდისის ქენჯნა ახლა უფრო მტანჯავდა, ვიდრე იდესმე და აღარც ვიცოდი თვითვემის რომელი საშუალებისთვის მიმეძარტა კი-
 ლევ ჩემი ხორცის დამრეჭისა და მოკვდინებისათვის. თუმცა ყველა ეს ხილვა
 უნებლიე იყო და მე მხოლოდ ბრმა მონაწილე ვიყავი ყოველივესი, მაინც ვერ
 ვხედავდი ჯვარცმას შევხებოდი უწმინდური ხელებითა და ასეთი ნამდვილი თუ
 საზმრისეული გარყვნილებებით სულდაბინძურებულს მეჭვრიტა მესხვენიერებდა
 რომქანცველი ხილვის ტყვეობა რომ ამეცდინა, ვცდილობდი რტყვენიერებდა
 ლისთვის დამეღწია თავი. ქუთუთოები თითებით მეჭირა, რათა არ დამხუჭ-
 ვოდა და კედელთან ატუხული ძილს ვებრძოდი მთელი არსებით, მაგრამ მალე
 თელემის ნისლი თვალებს მილულავდა და ვხედავდი, რომ მთელი ჩემი ბრძოლა
 უნაყოფო იყო, კვლავ ვნებდებოდი უიმედობისა და მოქანცულობის მკლავებს
 და მივეყვებოდი დინებას მუხთალი ნაპირისაკენ. სერაპიონი ფრიად მხურვალე
 ღარიგებებით მძობღვრავდა და მკაცრად მსაყვედურობდა ასეთი უღონობისა
 და ურწმუნოებისათვის. ერთხელაც, ჩვეულებრივზე მეტად რომ ვიყავი აღგ-
 ზნებული, მითხრა: „ამ განსაცდელისაგან თქვენს გამოსახსნელად ერთი გზაა
 მხოლოდ და როგორი უკიდურესიც არ უნდა იყოს იგი, უნდა გამოვიყენოთ.
 ნათქვამია: დიდ ჭირს — დიდი წამალით. ეიცო, სადაც მარხია კლარიმონდი, უნ-
 და მიწიდან ამოეთხაროთ იგი, რათა ნახოთ, რა საცოდავ მდგომარეობაშია თქვე-
 ნი ტრფობის საგანი. ამის მერე აღარ შეეცდებით სული წარიწყმდით უწ-
 მინდური ცხედრისა გამო, რომელიც ჭიებისაგან არის შეჭმული და სადაცაა
 ფერფლად იქცევა. ეს სურათი აუცილებლად გონს მოგიყვანს“. ისე ვიყავი გა-
 დაქანცული ამ გაორებული ცხოვრებით, რომ სერაპიონს დაეთანხმდი, მიხლო-
 და გამეგო ერთხელ და სამუდამოდ, რომელი უფრო მეტად იყო დაბრიყვებუ-
 ლი მოწვევნების მიერ: მღვდელი თუ დიდებული. გადავწყვიტე ჩემს არსებაში
 ჩასახლებული ორი პიროვნებიდან ერთ-ერთი ან, ბოლოს და ბოლოს, ორივე
 რომეკლა, რადგან ამგვარი ცხოვრება აღარ შემეძლო. მოძღვარი სერაპიონი წე-
 რაქვით, ძალაყინითა და ფარნით აღიჭურვა და შუალამისას ვავეშურენით ს.ს
 სასაფლაოსაკენ, რომლის ადგილმდებარეობა მან შესანიშნავად იცოდა. ფარ-
 ნის შუქზე რამოდენიმე საფლავის წარწერა ამოვიკითხეთ. ბოლოს მივაღექით
 მაღალ ბაღახში სანახევროდ ჩაფლულ, ჩავსითა და სარეველათი დაფარულ
 საფლავის ღოდს, სადაც ამოვიკითხეთ:

ამ განისპინებს ტურვა კლარიმონდ,
 რომლის გადალიც ამ სამზეროზე,
 სანამ იცოცხლა, არაჰინ იყო.

„სწორედ აქ არის“, — თქვა სერაპიონმა, ფარანი მიწაზე დადგა, ძალაყინი
 ლოდის ქვეშ შეაცურა და ქვას დაეჯაჯგურა. ქვაც დაემორჩილა, მან ახლა
 წერაქვით განაგრძო მუშაობა. მე კი დამეხუ უფრო პირქუში და მღუმარებით
 მოცული შევეურებდი მის საქმიანობას, სერაპიონი ოფელში ვახვითქულიყო და
 თავისი დამეული სამუშაოთი გართული ქშინავდა, და ეს სუნთქვა მომაკვდავის
 ხროტინს ჰგავდა. ეს ყოველივე უცნაური სანახავი იყო. ვინმეს რომ დავენა-
 ხეთ, უმაღ საფლავების მძარცველებად და წამბილწველებად ჩავთვლიდა,
 ვიდრე უფლის მსახურ მღვდლებად. სერაპიონის გულმოდგინებაში იყო რაღაც
 მოუხეშავი და ველური, რითაც იგი დემონს უფრო ჰგავდა, ვიდრე მოციქულს
 ან ანგელოზს. ფარნის შუქით განათებულ სერაპიონის სახის მკაცრსა და დიდ-

რონ ნაკვთებს სრულიად დაკარგვოდათ სიმშვიდე. ვიგრძენი, ცივი იფლით როგორ დაძეცვარა ხელის ვულეები, შიშით ატანილს თმა ყალყზე დამიდგა. უღმობელი სერაპიონის მოქმედებას მკრეხელობად აღვიქვამდი და ვნატობდი, შავი ღრუბლებიდან გამოტყორცნილიყო ცეცხლის მახვილი და ფერფლად ექცია იგი. კვიპაროსებზე შემომსხდარი მიკიოტები სინათლისაგან აწრიალებულნი მოფარფატებდნენ, ფარნის შუშას აწყდებიდნენ დეკორატიულად კიოდნენ. სადღაც შორს კი მეღიები წკაუწკაუებდნენ და ზრახვებში მუხბუდითი ზმა გაისმოდა დამის სიბხელეში. ბოლოს სერაპიონის წერაქვი კუბოს მოხვდა და ფიტრებმა ყრუდ დაიგუგუნეს. სერაპიონმა კუბოს თავი ახადა და დავინახე მარმარილოსავით გაფითრებული, კულხეხელდაკრეფილი კლარიმონდი, თეთრ სუდარას ერთი ნაიჭა გასდევდა თავიდან ბოლომდე. პატარა სისხლის წვეთი ვარდასფრად ბრწყინავდა მის ფერდამრეტილ ბაგეთა კუთხეში. ამ სანახაობამ სერაპიონი აღაშფოთა. „აუჰ! აი, როგორი ყოფილხარ, ეშმაკეულო, უწმინდურო მეძავო, სისხლის მსმელი და ოქროს მყლაპავო!“ მან ნაკურთხი წყალი აკურა ცხედარს და პაერში აიაზმის სასხურებლით ჯვარი გამოსახა. საბრალო კლარიმონდს ჯერ კარგად არც კი დაპკურებოდა წყალი, რომ მისი სხეული ფერფლად და ძვლების გროვად იქცა. „აი, თქვენი სატრფო, ბატონო რომუალო, — უღმობელმა მღვდელმა მანაშნა სევდისმომგვრელ ნეშტზე, — კიდევ შეეცდებით გაისეირნოთ ლიდოსა და ფუზინში თქვენს ტურფასთან ერთად?“ მე თავი დაუხარე, ვიგრძენი, რაღაცა ჩაქრა ჩემს არსებაში. სენაკს მივაშურე და ამიერიდან ბატონი რომუალო, კლარიმონდის მიჯნური, სამუდამოდ გაეცალა საბრალო მღვდელს, ვისთანაც იგი ასე დიდხანს და განუშიორებლად ცხოვრობდა. ერთი ეგ იყო, მომდევნო ღამეს კიდევ გამომეცხადა კლარიმონდი და როგორც პირველად, ეკლესიის კარსტყესთან, ახლაც მითხრა: „უბედურო! უბედურო! ეს რა ნაიდინე? რატომ დაუჯერე იმ უგუნურ მღვდელს, განა ბედნიერი არ იყავი ჩემთან? ან რა დავიშავე, ასე რომ შემობღალეთ საცოდავი საფლავი და გააშისქულეთ ჩემი უმწეო არარაობა. ამიერიდან ჩვენს სულებს და სხეულებს შორის ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილია. მშვიდობით, ვიცი, ბეურჯურ გამიხსენებ სინაწულით“, იგი კვამლივით გაუჩინარდა და აღარასოდეს მინახავს.

ვაგლახ, მართალი მითხრა: მაშინაც ძლიერ ვნახობდი და დღესაც ვწუხვარ მის გამო. ძვირად გამოვიყიდე სულის სიმშვიდე. უფლისადმი სიყვარული იმ ძალის არ აღმოჩნდა, მისდამი ტრფობა რომ შეეცვალა. აი, ძმაო, ჩემი სიჭაბუკის თავგადასავალი. არასოდეს შეხედოთ ქალს, ყოველთვის იარეთ თავდახრილმა, რადგან რა უბიწო და მშვიდიც არ უნდა იყოს, მხოლოდ ერთი წამია საჭირო, რომ მარადიული სასუფეველი დაუკარგოს საკუთარ თავს.

პერმან პესა

დემიანი

გერმანულიდან

თარგმნა შაია შირიანაშვილმა



ნობელის პრემიის ლაურეატი, გამოჩენილი გერმანელი მწერალი პერმან პესა (1877-1969) წინამდებარე მოთხრობაში ეხება თვითმყოფი და მარმონიული პიროვნების ჩამოყალიბების პრობლემას. მთავარი გმირის ემილ ზინკლაირის სულიერი ცხოვრება დაძაბულად მიედინება. იგი მწერაფვის შეიცნოს ნამდვილი არსი იმ სამყაროსი, რომელიც ჭერჭერობით ბურჟუაზია მისთვის მოცული, ხოლო როცა ათასი ტკივილისა და სულიერი განცდის საფასურად თითქმის შეიცნობს ამ სამყაროს, ახლა უკვე შიში იპყრობს, არ დაკარგოს იგი. მისი შიში არცაა უხაფუძვლო: ცხოვრების მსახვრალი ხელი ხომ ყოველთვის უქადის საფრთხეს შენ მიერ აღმოჩენილ დღუშალ სამყაროს.

ძალიან მინდოდა ეს ცხოვრება ისე მიზამა, როგორც აზას ჩემი შინაგანი მე ითხოვდა. რატომაა ეს ასე ძნელი?

რემა ამბავი რომ მოგიტხროთ, ალბათ ძალიან შორიდან მომიწევს დაწყება: ბავშვობის ადრეული ხანიდან და რომ შემეძლოს კიდევ უფრო უკან დავევა, ჩემი წარმომავლობიდანაც კი.

მწერლებს ჩვევად აქვთ ღმერთებად მოგვაჩვენონ თავი, ისეთი შთაბეჭდილება შექმნან, რომ უნარი აქვთ ამა თუ იმ ადამიანის ამბავი თავიდან ბოლომდე ისე გადმოგვცენ, ისე ჩაწვდნენ, ისე აღწერონ, თითქოს თავად ღმერთები საუბრობენო, ყოველგვარი შენიღბვის გარეშე, საკმაოდ მკვევრმეტყველურადაც. მე ეს არ შემეძლია, მაგრამ ეს მოთხრობა ისევე ძვირფასია ჩემთვის, როგორც ყოველი მწერლისათვის — თავისი. ეს ჩემია, ჩემი კუთვნილებაა და ეხება ადამიანს — არა აღმოჩენილს, გამოგონილს, იდეალს თუ არაბუნებულს, არამედ ნამდვილს, ერთადერთს, ქეშმარიტად მცხოვრებ ადამიანს, რას ნიშნავს ადამიანი ქეშმარიტად მცხოვრები, ეს ალბათ დღეს ცოტას აქვს გააზრებული, ვიდრე ოდესმე, დღეს ესვრიან, კლავენ უამრავ ადამიანს. არადა ყოველი ადამიანი ხომ ძვირფასი, განუწმეორებელი ქნილებაა ბუნებისა, და რომც არ ვყოფილ ბუნების განუწმეორებელი ქნილებანი, შეიძლება კი რომელიმე ჩვენთაგანის ტყვიით განგმირვა, ამ სამყაროდან გასტუმრება? მაშ რიდასთვის ვწერთ? ყველაფერს ხომ ეკარგება პირი.

ყოველი ადამიანი არა მარტო თავისთავადია, ესაა განსაკუთრებული, ყველაზე მნიშვნელოვანი და განსაცვიფრებელი წერტილი, სადაც მხოლოდ ერთხელ იყრის თავს სამყაროსეული მივლენები და არ მეორდება აღარასოდეს. ამიტომაც ყველა ადამიანის ცხოვრება გამორჩეული, დაუეწყარი და ღვთიური, ამიტომაცაა ყველა ადამიანი, ვიდრე ის ცოცხლობს და ბუნების ნებასტურვილს აღასრულებს, პატივსაცემი, ღირსეული და გასათვალისწინებელი. ყველაში სული ზღვის ხატს იძენს, ყველაში იტანჯება ქმნილება, ყველაში მზსნელია ჭვარცმული.

დღეს ცოტამ თუ იცის, რა არის ადამიანი. ბევრს არა აქვს გაცნობიერებული ეს და ამიტომაც კვდება უდარდელად, როგორ შემეძლო უდარდელად სიკვდილი, როცა ეს მოთხრობა გაგასრულე.

ჩემს თავს მცოდნეს ვერ ვუწოდებ. მე მხოლოდ ერთი მაძიებელი ვარ, მაგრამ არ ვეძებ კარსკვლავებზე, არც წიგნებში. მე მხოლოდ იმ მოძღვრებას ვუფლებ ყურს, ჩემს სისხლში რომ მოედინება. ჩემი მოთხრობა არაა სხვა გამოგონილი მოთხრობების მსგავსად ლამაზი და მარმონიული, შეიძლება არასასიამოვნოც კი იყოს, რადგან ეს უფრო სიგიჟეს და სიზმარს ჰგავს, ისევე როგორც თითოეული იმ ადამიანის ცხოვრება, რომელთაც აღარ სურთ თავის მოტყუება.]

ცხოვრება ყოველი ადამიანისა, ესაა გზა თავის თავისაკენ, შინაგანი ჩაღრმავებისაკენ, გზა

მიხედოს, სწრაფვა საცაღდეზო ბილიკისაკენ. არც ერთ ადამიანს ჯერ ზუსტად არ უპოვნია თავისი თავი. ვი. ყველა იღვწის გაბღეს თავისთავადი. ბუნებრივი, ბუნდოვნად თუ აშკარად, უსაც როგორ შეუძლია. ცდამიანი ბოლომდე ინარჩუნებს თავის პირველ ასტეს, როგორც მოველინა პირველყოფილ სამყაროა. ზოგი ეერასოდეს მიიღწევს ადამიანობამდე, ისევ ბაყაყად, ჭიანჭველად ან ნაკერად ადამიანად და ნახევრად თევზად დარჩება. მაგრამ მაინც ყველა ბუნებრივ ნაღვაწია ადამიანის ჩათვლით. ჩვენ ყველას ადრით წარმოშავლობა გვაქვს, ყველანი დავიწყებული ვართ. მაგრამ თითოეული ადამიანი ყოველ შანაგან მცდელობას თუ ბრძოლას თავისი მიზნებისათვის იტყუებს, ჩვენ შეიძლება გავუგოთ ერთმანეთს, მაგრამ ბოლოსთვის ყველამ თავის თავს უნდა მიუთითოს მხოლოდ.

თავი პირველი

ორი სამყარო

მინდა ერთი ამბავი გაეიხსენო. მაშინ ათი წლის ეიქნებოდი და ჩვენი ქალაქის ლათინურ სკოლაში ვსწავლობდი.

იმდროინდელი ბევრი ისეთი რამ მაგონდება, დღესაც შინაგანად რომ მალეღებენ და ტკივილთან ერთად საამო შეგრძნებებსაც იწვევენ ჩემს სულში: ჩაბნელებული ქუჩები, ნათელი სახლები თუ ციხესიმაგრეები, საათის რეკვა და ადამიანთა სახეები, მყუდრო და თბილი ქოხები, იღუმალებით მოცული, საოცრად შიშის მომგვრელი, მოჩვენებებით სავსე სახლები. ასე მგონია, დღესაც იქ, ჩემს მშობლიურ სახლში ვარ, ვხედავ ბუხარს, მოახლე ვაგონებს, თითქოს გამომშრალი ხილის სუნსაც ვგრძნობ. ბავშვობაში ჩემ თვალწინ ორმა დღე-ღამესავით განსხვავებულმა სამყარომ ჩაირბინა.

ერთი სამყარო ესაა მშობლიური სახლი, ჩემთვის საოცრად მახლობელი დედა, მამა. აქ იყო სიყვარული და სიმკაცრე. აღზრდა და სკოლა. ამ სამყაროში სუფევდა საოცარი ბრწყინვალეობა და სისუფთავე, საამო მეგობრული საუბრები, სუფთა ხელები და დარეცხილი ტანსაცმელი, ლამაზი ჩვევები, აქ დღესასწაულობდნენ შობა დღეს, აქ მღეროდნენ დილის ქორაღს. ამ სამყაროში იკვირებოდა გზება ნათელი მომავლისაკენ. არსებობდა მოვალეობა და დანაშაული, უსინდისობა და აღსარება, სიყვარული და პატიება, ბიბლია და სიბრძნე. აღბათ ამ მშობლიურ სამყაროს უნდა ჩასჭიდებოდა ადამიანი, ცხოვრება რომ სუფთა და მოწესრიგებული ჰქონოდა.

მეორე სამყაროც ჩვენს სახლშივე იყო. სრულიად განსხვავებული, სხვაგვარად მეტყველი, სხვა პირობებისა და მოთხოვნების მქონე. ამ სამყაროს განეკუთვნებოდნენ მოახლეები და ხელოსნები, იღუმალებით მოცული ამბები და სხვადასხვა ჭორები. აქ იყო ჭრელ-ჭრელი დინება საზარელი, საოცრად მაცდუნებელი ამოუცნობი საგნებისა და ადგილებისა: პირუტყვების სასაკლაო, ციხეგაღეშილი და გახრწნილი ქალები, მაკე ძროხები, ქანცაწყვეტილი ცხენები, ათასგვარი დანაშაულებები, მკვლევლობები თუ თვითმკვლელობები, ქურდობები და ეს ლამაზი, საზარელი, უცნაური და უმოწყალო ამბები ხდებოდა ირგვლივ მუზობელ ქუჩაზე თუ მუზობელ სახლში. ყველგან დაეხეტებოდნენ მაწანწალები და პოლიციელები, შეზარხოშებული ქმრები სცემდნენ ცოლებს, მოხუცი ქალები აჯადოვებდნენ და აავადებდნენ ვინმეს, ტყეში ყაჩაღები დაძრწოდნენ. მოკ-

ლედ, ყველგან შეიგრძნობოდა და უონავდა ეს მეორე, ღონიერი სამყარო, ყველგან, მაგრამ არა ჩვენს ოთახებში, სადაც ღედა და მამა იყო. მათგანა ჩვენთან გაძეფებული სიმშვიდე და წესრიგი, მოვალეობა და სუფთა სინდისი, სიყვარული და მიტეეება. არადა, ხომ არსებობდა სხვა დანარჩენიც: ხალხი და სიამბდვილე, სიბნელე და ძალძომრეობა, ხაიდანაც შეიძლება ითქვას დაღწევა და დედის კალთას ამოფარება.

მაგრამ საკვირველი ის იყო, როგორ ესაზღვრებოდა ერთმანეთს ეს ორი სამყარო, რა ახლოს იდგნენ ისინი, აი, თუნდაც ჩვენი მოსამსახურე გოგონა ლინა როცა საღამოობით ჩვენი სახლის წინკარში მოკრძალებით ჩამოჯდებოდა, დაბანილ ხელებს კარგად გაუთოებულ წინსაფარზე დაიწყო და წკრიალა ხმით დაადილიანებდა, მაშინ ის ჩვენ გვეკუთვნოდა, ჩვენს ნათელ სამყაროს, მაგრამ სამზარეულოში ან ფარეხში, როცა უთავბოლოდ მიყვებოდა ათასგვარ სასულელეებს კაცებზე, ან ხორცის ყიდვისას მაღაზიაში მეზობელ ქალებს რომ ეჩხუბებოდა, მაშინ ის უკვე იმ მეორე იდუმალებით მოცული სამყაროს ღვიძლი შვილი იყო. ასეა ყველა და ალბათ მათ შორის მეც.

მართალია, მე ჩემი მშობლების შვილი ვიყავი და იმ ნათელ სამყაროს განვეკუთვნებოდი, მაგრამ საითაც თვალებსა და ყურებს მივმართავდი, ყველგან სხვას ვაწყდებოდი, და მეც იმ სხვაგან მიწეკლა ცხოვრება, თუმცა ეს ყველაფერი ხშირად უცხო და შემზარავი მეჩვენებოდა: მიუხედავად იმისა, რომ იქ შიში და დანაშაული იდებდა სათავეს, დროდადრო მაინც ვცხოვრობდი ყველასათვის მომხიბვლელ აკრძალულ სამყაროში, მერე ისევ ჩემს მშობლიურში ვბრუნდებოდი. მაგრამ რაც არ უნდა კარგი და აუცილებელიც ყოფილიყო ეს დაბრუნება, ეს იყო მაინც დაბრუნება ნაკლებ მიმზიდველში, ერთფეროვანსა და მოსახერხებელში. ზოგჯერ მინდოდა, მეც მშობლების მსგავსად გაწონასწორებული პიროვნება ვავმხდარიყავი, მაგრამ მანამდე შორი გზა მქონდა გასავლელი: ჯერ სკოლა უნდა დამემთავრებინა, შესწავლა, გამოცდები ჩამებარებინა, მაგრამ განმორიცხული ხომ არაა ამ გზაზე იმ მეორე ჩაბნელებულ სამყაროში მოხვედრის ადამიანი, დარჩეს იქ და მთლიანად ჩაიძიროს კიდევ მასში. უძლები შეილაპმბავი რომ წაჰკითხე, საოცრად იმოქმედა ჩემზე. ვიცოდი, ამ ამბიდან ყველაზე მნიშვნელოვნად მშობლებისაკენ შემობრუნება ითვლებოდა, მაგრამ ჩემს სულში სხვა რაღაცამ უფრო დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, სადაც ბოროტებასა და დაკარგულს შორისაა ბრძოლა. სამწუხაროდ, ადამიანს უფლება არა აქვს თქვას და გამოტყდეს, რომ სწორედ დაკარგვა და შემდეგ ხელახლა დაბრუნება, რომ სინანული უფრო ღამაზი და მომხიბვლელია. არავინ ფიქრობს იმაზე, რომ ეს ყველაფერი ადამიანის ჭეშმარიტი გრძნობებიდან, ემოციებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარეობს. თუ ეშმაკზე ვფიქრობდი, ვერ წარმომედგინა იგი ჩვენს სახლში. ეშმაკი თავისი ნამდვილი თუ შენიღბული სახით ქუჩებში, ბაზარში ან სასტუმროში მეკულებოდა მხოლოდ.

ჩემი დები თავიანთი ბუნებიდან გამოძდინარე უფრო ახლოს იდგნენ მშობლებთან, იმ სუფთა სამყაროსთან, ვიდრე მე. ისინი უფრო კეთილშობილნი, უმწიკველონი და გულისხმიერნი, იმდენად სათნოები იყვნენ, ჩხუბსაც რომ ვერავინ ჰკადრებდა, თუ წაეჩხუბებოდა, უმაღ პატიებას ითხოვდა, მიხვდებოდა, სინდისი შეაწუხებდა, რომ ამ ჩხუბით ჩემს დების არსებაში ყველაზე ძვირფასს და მშვენიერს ღახავდა. მქონდა საიდუმლოებაანი, რომელთა გაზიარებაც ქუჩის ბიჭებისთვის უფრო შემდელო, ვიდრე დებისთვის. ხანდახან ისეთი დღეებიც გამოკრთებოდა, როცა ყველაფერი ნათელ ფერებში მესახებოდა და

მიყვარდა ჩემს დებთან ყოფნა, მათთან თამაში, მსურდა მეც მათსავით კეთილ-შობილი და სათნო ვყოფილიყავი, მეც მესუნთქა ამ სუფთა სამყაროს ჰაერით. ანგელოზად მომქონდა თავი, ირგვლივ საამოდ და საუცხოოდ შესახებოდა ყველაფერი, საოცარი სურნელება, მხიარული ხმები, შობის დღესასწაული — ერთი სიტყვით, ბედნიერება იფრქვეოდა. მაგრამ რა იშვიათად მქონდა ასეთი საათები და დღეები! ხშირად თამაშში, უწყინარ ჩვეულებრივ თამაშშიც აუტანელი ვხდებოდი ჩემი ქცევით, რაც შინაგანი ტანჯვიდან, შინაგანი დაძაბულობიდან მომდინარეობდა; დებსაც ვეჩხუბებოდი და შეშინებული ათასგვარ სისულელეებს ვროშავდი, თუმცა ვგრძნობდი, ვაცნობიერებდი, რა საძაგლადაც ვიქცეოდი. ამას მოსდევდა შავბნელი, მოწყენილი და სევდიანი საათები, მერე ტკივილიანი წუთები, როცა პატიებას ვითხოვდი, და მერე კვლავ სინათლე და გარკვეულობა, მშვიდი, საოცნებო ბედნიერება ყოველგვარი ჩხუბისა და განხეთქილების გარეშე, მაგრამ ისევ საათობით ან წუთობით.

მაშინ ლათინურ სკოლაში დავდიოდი. ჩემს კლასში სწავლობდნენ ბურგომისტრისა და უფროსი მეტყევის შვილები. ხანდახან ჩემთანაც მოდიოდნენ საბლში. მეტიხმეტად ველური ბავშვები იყვნენ, თუმცა წარმომავლობის გამო ჯანმრთელ, ნათელ სამყაროს განეკუთვნებოდნენ. ახლო ურთიერთობა მქონდა მეზობლის ბიჭებთანაც, სახალხო სკოლის მოსწავლეებთან. ჩვენი სამყარო ამრეზით უყურებდა მათ, ერთ-ერთი მათგანით მინდა დავიწყო თხრობა.

ერთხელ ნასადილევს, მაშინ ათ წელს ვიქნებოდი გადაცილებული, მეზობლის ორ ბიჭთან ერთად ქუჩაში დავეხუტებოდი. უცბად მოგვიახლოვდა ერთი, დაახლოებით ცამეტი წლის, ყმაწვილი. ეს იყო სახალხო სკოლის მოსწავლე, თერძის ვაჟი ფრანც კრომერი — ტანმადალი, ღონიერი და საოცრად მკაცრი ბიჭი. მამა ლოთი ჰყავდა და ოჯახში, როგორც ჩანს, ძალიან უჭირდათ. ბევრი რამ მქონდა მასზე გავონილი, ცოტა არ იყოს, მეშინოდა კიდევ. და ახლა, რომ მოგვიახლოვდა, არ მესიამოვნა. უკვე კაცური მანერები მქონდა შეძენილი, სიარულშიც და ლაპარაკშიც ფაბრიკის ბიჭებს ბაძავდა. მდინარისკენ, ხიდის გვერდით ვიწრო სანაპიროზე დავეშვიტე და სამყაროდან თვალს მივეფარეთ. ხიდის ქვეშ ათასი ხარახურა ეყარა, ერთი-მეორეში აბურღული რკინის მავთულება, ქვის ნატეხები, მაგრამ გამოსადეგი საგნის პოვნა ალბათ შეუძლებოდა. ფრანც კრომერმა გვიბრძანა იქაურობა მოგვეჩხრიკა და თუ ვიპოვნიდით ტყვიის, სპილენძისა და კალიუმის საგანს, ან ბუკისაგან გაკეთებულ ძველ სავარცხელს, მისთვის გვეჩვენებინა. ჩვენც აღმოვაჩენდით თუ არა რამეს, მასთან მივარბენებდით, ისიც მოსაწონს ჯიბეში იღებდა, უვარგისს კი წყალში აგდებდა. მეტად უხერხულად ვგრძნობდი თავს მათ გვერდით, იმიტომ კი არა, რომ ვიცოდი, მამაჩემი თუ გამიგებდა, გამიბრაზდებოდა, ამიკრძალავდა მათთან ურთიერთობას, არა, ფრანც კრომერის მეშინოდა, თუმცა ის კი გამიხარდა, მეც სხვების მსგავსად რომ მომეპყრო და თან წამომიყვანა. ისე ვემორჩილებოდით ყოველ მას ბრძანებას, თითქოს ასეც უნდა ყოფილიყო. საქმეს რომ მოვრჩით, მიწაზე დავსხედით. ფრანცი უაზროდ იფურთხებოდა და კაცივით დააბოტებდა აქეთ-იქით. ბავშვები ხოტბას ასხამდნენ, ათასგვარ საგმირო საქმეს უგონებდნენ. ყველა რაღაცას ყეუბოდა, მარტო მე ვიყავი ჩუმად. ვშიშობდი ჩემი დუმილი კრომერს თვალში არ მოხვედროდა და არ გაბრაზებულყო. ის ორი ბავშვი მას აღრევე იცნობდა, მე ვიყავი მხოლოდ ახალბედა, თან ვგრძნობდი, ჩემი ჩაცმულობაც გამომწვევი იყო მათთვის. არისტოკრატიული წარმომავლობისა და იმის გამოც, რომ ლათინურ სკოლაში დავდიოდი, შეუძლებელი იყო ვყვარებოდი კრომერს.

ის ორიც კრიტიკულ წუთებში მშვენივრად მიმატოვებდა გასაჭირში და მე მარტო აღმოვჩნდებოდი.

როგორც იქნა, გავბედე და დავიწყე რაღაცის მოყოლა. არარსებული ამბავი შეუთხზე და საკუთარი თავი გამოვიყვანე გმირად. აი ეს ამბავიც: ღამის გასაჭირზე მე და ჩემმა მეგობარმა ვაშლები მოვიპარეთ, წისქვილთან ახლოს გაშენებული ბაღიდან, თანაც ჩვეულებრივი კი არა, ოქროს რენეტის ჯიშის ვაშლები. თიერმა შიშმა მომაფიქრებინა ეს ამბავი, ამაში ვეძებდი საშველს. სიცივემ არ გამოემძვლავნებინა ამბის უეტარი შეწყვეტით, მთელი ჩემი ხელოვნება გამოვაბრწყინე და გავაფორმე: ერთი ჩვენგანი ყარაულად იდგა, მეორე კი ხეზე იჯდა და ვაშლებს ყრიდა — განვაგრძობდი მოყოლას — ბოლოს იმდენი დაგვიგროვდა, რომ ერთი ტომრით ვერც წავიღეთ, ნახევარა საათის მერე უკან მივბრუნდით დანარჩენის წასაღებად. ჩემივე მონათხრობით ისე ვიყავი როლში შეჭრილი, რომ მეგონა, დამთავრებისას ტაშსაც დამიკრავდნენ. მაგრამ ყველა დუმდა, ფრანც კრომერი კი მიმხერდა მოჭუტული თვალებით. ბოლოს მუქარაშერეული ხმით მკითხა: „არ იტყუები?“ „არა, რა თქმა უნდა!“ — წამოვიძახე შეშინებულმა. „ე. ი. წყალი არ გაუვა, არა?“ „კი, წყალი არ გაუვა,“ — დავემოწმე შეუპოვრად. „შეგიძლია დაიფიცო?“

ჯერ გავშრი, მაგრამ მაინც მალევე დავეთანხმე.

„მაშინ გაიძეოთ: „ვფიცავ ღმერთს, ვფიცავ ჩემს რჯულს“.

„ვფიცავ ღმერთს, ვფიცავ ჩემს რჯულს“.

„კარგი“, ჩაილაპარაკა მან და შებრუნდა.

გამიხარდა, მეგონა, ამით დამთავრდა ყველაფერი. სახლში მივდიოდი უკვე, როცა ხიდზე გადასვლისას შეპარვით მითხრა: „შენთან გადაუდებელი საქმე მაქვს, მაინც ერთი გზა გვაქვს, უნდა მოვილაპარაკოთ“.

ნელა მივდიოდით, ვერაფრით ვერ მოვახერხე თავის დაძვრენა. სახლს როცა მივუახლოვდით, ღრმად ამოვისუნთქე, მზის შუქი დასთამაშებდა ჩვენს ფანჯრებს, დედის ოთახიდან ვარდები მოჩანდა. რა მშვენიერი და შეუღარებელი გრძნობაა შინ დაბრუნება, დაბრუნება კურთხეულ მშობლიურ კერაში, სიმშვიდეში და ნათელში. კარის გაღება მინდოდა, მაგრამ კრომერმა არ დამანება. რა ვადაძილობა. ციკ, ჩაბნელებულ წინკარს ეზოდან შემოსული სინათლე ანათებდა მხოლოდ, იდგა ის ჩემ გვერდით, ხელით ვეჭირე და ჩამჩურჩულე და, „რატომ მიგეჩქარება ასე?“

შეშინებული ვუყურებდი. მისი რკინასავეთ მაგარი ხელი გასაქანს არ მაძლევდა. გაოგნებული ვიდექა და ვერ ვხვდებოდი, რა ჰქონდა განზრახული, რას მიპირებდა. ერთი კი ვიფიქრე დამეყვირა, ვინმესთვის მომეხმო საშველად. მაგრამ გადავიფიქრე.

„რა გინდა, რას ნიშნავს ეს ყველაფერი?“ — ვკითხე მე.

„ისეთი არაფერი, უბრალოდ, ერთი რამ მინდა გკითხო, ოღონდ სხვებმა არ უნდა გაიგონ“.

„რა უნდა მითხრა ამისთანა, ხომ ხედავ მეჩქარება?“

„შენ იცი, ვის ეკუთვნის ის ბაღი წისქვილთან?“ — ჩამჩურჩულა მან.

„რა ვიცი აბა, ალბათ მეწისქვილეს.“

ფრანცმა ხელით მომქაჩა, თავისკენ ისე ახლოს მიმიზიდა, რომ პირდაპირ სახეში ვუყურებდი. რაღაც არაადამიანური უღმობლობა და ძალა იგრძნობოდა მასში, თვალები ბოროტად უელავდა, შემზარავად იცინოდა: „მაშინ მე ვეჭვო, ვის ეკუთვნის ეს ბაღი. კარგა ხანია ვიცი, ვაშლები რომ მოიპარეს იქ“

იღან. ისიც ეიცო, რომ ბაღის მეპატრონე ორ მარკას ჰპირდება ქურდის მოეხელს“.

„ღმერთო ჩემო, მერე შენ ხომ არ დამაბეზლებ“! – თუმცა ახრი არ ჰქონდა მისთვის ამის თქმას. ის ხომ იმ სამყაროს ეკუთვნოდა, სადაც რაღაცეა დანაშაულებად არ ითვლებოდა. ამაში ისინი ჩვენ არ გვგვანან, კარგად ვგრძნობდი ამას.

„არ დაგაბეზლებ? როგორ ფიქრობ, მე მოწყობებს ვერცხლის საათი მდიდარი მამა კი არა მყავს. ერთი ღარიბი ბიჭი ვარ და როცა ვაქვს ვერცხლის საათი, ვაწილი ორი მარკა, გგონია, ხელიდან გაეშვება ამ შანსს?“.

ხელი გამიშვა. ჩვენი სახლიდანაც სადღაც გამჭრალიყო სიმშვიდე და იმედი. მოელი სამყარო თავზე შემსხვრეოდა. ჩემი ქურდად გამოცხადება უნდოდათ, ამას მამაც გაიგებდა და ვგებ პოლიციას ჩარეულიყო საქმეში. საშინელმა ქაოსმა დაისადგურა ჩემ ორგანიზმზე. უბედურება შელოდა. არადა, მე ხომ არც მომიპარავს, თუმცა ამას რაღა მნიშვნელობა ჰქონდა. ღმერთიც კი დაუიფიცე. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო. ცრემლები წამომცვივდა – მიეხვდი, რაღაცით უნდა გამოძესყიდა თავი. ჯიბეზე გავიკარი ხელი. არაფერი აღმომაჩნდა: არც ვაშლი, არც ჯიბის დანა. უცბად გამახსენდა ჩემი ძველი ვერცხლის საათი, არ მუშაობდა, მაგრამ ყოველთვის თან ვატარებდი. ბებიის ნაჩუქარი იყო. სწრაფად ამოვაძრე: „კრომერ, არ დამაბეზლო, გთხოვ, ეს ხომ არც შენ შეგშვენის. მამა, ეს საათი ვერცხლისაა, წაიღე, გაჩუქებ. პატარა ნაკლი კი აქვს, მაგრამ არა უჭირს, გაკეთდება“. გაიცინა, უხეშად გამომართვა საათი, ეუყურებდი მის ხელებს და ვგრძნობდი, როგორ ემუქრებოდა ეს მოუქნელი უსიამოვნო ხელები ჩემს ცხოვრებას, ჩემს სიმშვიდეს.

„ვერცხლისაა, – ჩაილაპარაკა დამცინავად. – მიმიფურთხებია ვერცხლისთვისაც და შენი ძველი საათისთვისაც, წაიღე და თავად შეაკეთე“.

„კი მაგრამ, ფრანც, – ვკანკალებდი შიშისაგან, – მართლა გაკეთდება, რატომ არ ვინდა, წაიღე, არ გატყუებ, ნამდვილი ვერცხლია. სხვა არაფერი მაქვს“.

ყური არ ათხოვა ჩემს თხოვნას და ცივად მიპასუხა: „შენ ხომ იცი, ვისთანაც წავაღ, პოლიციასაც ვეტყვი, ვახმისტრისაც კარგად ვიცნობ“, – თქვა და წასვლა დააპირა. მკლავზე ვექაჩებოდი, ვემუდარებოდი არ წასულიყო. ვიცოდი, რაც მოჰყვებოდა ყველაფერ ამას და სიკვდილი მერჩინა.

„ფრანც, – ეხვეწებოდი ჩაზღუჩილი ხმით, – თავი დაანებე ამ სისულელეებს, რა სიამოვნებას განიტყვებს?“

„მე კი მომანიჭებს სიამოვნებას, მაგრამ შენ დაგიჯდება ძვირად“.

„ოღონდ მითხარი, რა ვიღონო, ფრანც, და ყველაფერს გაეკეთებ“.

„თავს ნუ იგდებ, შენც კარგად იცი, უკვე გადაწყვეტილი საქმეა“, – თქვა მან ვითომდა სიბრაღულით. „შენ ხომ მდიდარი ხარ, ვერცხლის საათიც გაქვს. მე კი ფული მჭირდება, მომეცი ორი მარკა და მოვრჩეთ ამით“.

მიეხვდი, რაც უნდოდა. მაგრამ ეს ისევე ბევრი და მიუწვდომელი იყო ჩემთვის, როგორც ათი, ასი, ათასი მარკა, ფული საერთოდ არ გამაჩნდა. არც ამ ასაკის ვიყავი, ჯიბის ფული რომ მოეცათ. ერთი ყულაბა მქონდა მხოლოდ. სტუმრად მოსული ბიძები რამოდენიმე პფენინგს რომ მიყრიდნენ ზოგჯერ და ეს ყულაბაც დედის ოთახში იდგა:

„ფული არა მაქვს, – ჩავილაპარაკე ნაღვლიანად, – მაგრამ ყველაფერს მოვიკემ: კომპასს, წიგნს ინდიელებზე, სათამაშო ჯარისკაცებს, რაც მაქვს, ყველაფერს მოგიტან“.

კრომერმა ბორბლად გამომხედა და გადააფურთხა:

„ბევრს ნუ ლაყობ, ეგ ნაგავი შენთვის შეინახე. კომპასი! მოთმინებიდან ნუ გამოძიყვან, ან ფულს მოიტან, ან მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს“.

„სად ვიშოვო ფული?“

„მოკლედ, ხვალ დილით სკოლის ქვეშით, ბაზართან დაგელოდები. იქ მოიტან ორ მარკას, არადა, ინანებ“.

„ღმერთო ჩემო, საიდან მოვიტახო ფული?“

„მაგაზე შენ იზრუნე, თქვენს სახლში საკმაო ფულია. ე. ი. სკოლასთან. იცოდუ, გაფრთხილებ, თუ არ მოიტან...“ გამყინავი მზერა მესროლა: ვადაფურთხა და მოჩვენებასავით გაუჩინარდა. სახლში ველარ შევდიოდი, გამეძებული ვადექი, ვგრძნობდი, როგორ შემსხვრეოდა ცხოვრება. მხოლოდ ერთ-სა ვფიქრობდი, გავქცეულიყავი და აღარასოდეს დავბრუნებულყავი, ან თავა დამეხრჩო. ჩემთვის მაინც დაკარგული იყო ყველაფერი. იქვე, ჩვენი სახლის კბეზე სიბნელეში მოვაკუნტე. უბედურებამ დამრია ხელი. იქ მიპოვა ღინამ ატარებული, შეშის მოსატანად რომ ჩამოდიოდა დაბლა. ვთხოვე, არაფერა ეთქვა ჩემებისთვის. მალლა როცა ავედი, შესასვლელში მამის ქუდი და ღედის ქოლგა მომხვდა თვალში. საოცარი სურნელი შემომეგვება მათგან. თბილად, მაგრამ მოკრძალებით, რიდიო მივესალმე ამ სურნელს, როგორც ძველ მშობლიურ სახლში დაბრუნებულმა, დაკარგულმა შეილმა. მე აღარ ვეკუთვნოდი ამ სახლს, ეს ჩემი მშობლების ნათელი სამყარო იყო, მე კი ბოროტად, ღრმად ჩამოთრია ბნელეთის ტალღებმა. ხიფათსა და ცოდვებში შემიტყუა, მიშში და სირცხვილში გამხვია. არადა, დღეს უფრო მიმზიდველი მეჩვენებოდა აქ ყველაფერი, თითქოს უფრო ნაზი და ძვირფასი, ვიდრე ოდესმე ყოველი ნივთი, სურათი, სასტუმრო ოთახიდან გამოსული დების ხმა, მაგრამ ეს მე აღარ მეკუთვნოდა. აღარ მანიჭებდა შვებას და ბედნიერებას, ეს უფრო საყვედურს ჰგავდა. მე აღარ მქონდა უფლება მონაწილე ვყოფილიყავი ამ სიხარულის. ჭუჭყში მქონდა ფეხები ამოსვრალი, ხალიჩაზე გავლისაც კი შეშინოდა. ვგრძნობდი, აჩრდილს დავატარებდი სულში, რომლისთვისაც მშობლიური სამყარო აღარაფერს ჩამნავდა. რამდენი საიდუმლო გამიჩნდა, რამდენი შიში. და რასაც დღეიდან ამ შენობაში შემოვიტანდი, მხოლოდ თამაში და თავის მოტყუება იქნებოდა. ბედისწერა მდევდა თან, ხელები გამოეშვირა ჩემკენ, საკუთარ დელასაც არ შეეძლო შველა. თუმცა საიდან უნდა სცოდნოდა, რა მიჭირდა. ქურდობა იყო თუ ტყუილი, სულერთია, ეს ხომ ცოდვა იყო და კიდევ უფრო დიდი ცოდვა — ღეთის წინამუე სიცრუე და ფიცა. ეშმაკმა ჩამოთრია, ეშმაკს მივეყიდე სული, რატომ?! რატომ დავმორჩილდა კრომერს უფრო მეტად, ვიდრე საკუთარ მამას?! რატომ მოეჯონე ქურდობის ამბავი? რატომ მოვიწონე ამით თავი, თითქოს მართლა გმირობა ჩამედინოს? ახლა კი ეშმაკის ხელში ვიყავი და აღარც მომასვენებდა.

მაგრამ მე ხვალისდელი დღე არ მაშინებდა. კარგად ვგრძნობდი, ჩემი გზა ბნელეთისკენ კიდევ უფრო ჩაღრმავდებოდა და გაუარესდებოდა. სწორედ ეს მაშინებდა. იმასაც ვხვდებოდა, რომ ჩემი გამოჩენა მშობლების და დების წინაშე, ჩემი საღამო და კოცნა ყალბი იქნებოდა. ბედისწერასა და დიდ საიდუმლოს ვატარებდი უკვე. რაღაც ერთ წამში, როცა მამის ქუდს ვუყურებდი, თითქოს რაღაცის იმედი გამიჩნდა, გადავწყვიტე მომეყილა ყველაფერი, გამეგო მისი ძირი, ამეტანა საყვედური, დასჯა და ჩემს მესაიდუმლელ, მხსნელად გამეხადა. მიწილია მომენახიებიანა ყველაფერი. რამდენჯერ ვაღამილახავს ასეთი მძიმე და სინანულით სავსე წუთები თხოვნისა და პატიებისა, ახლაც რომ ასე მოვქცეულიყავი... მაგრამ ვაცოდი, ვერ გადავდგამდი ამ ნაბიჯს, შორიდან თითქოს



მაცდუნებელი და მომხიბვლელიც მეჩვენებოდა, მაგრამ ვიცოდი, არ ვიყავი მე ამის გამკეთებელი. მარტოს უნდა მეზიდა ჩემი დანაშაული. თითქოს გზის გასაყარზე ვიდექი და ამ საათიდან ბოროტებასთან წილნაყარი, მასზე დამოკიდებული, მას დამორჩილებული და მისი მსგავსი ვხდებოდი. გმირისა და ვაჟკაცის როლი გავითამაშე და უნდა მეწვინია კიდევ შედეგი.

როგორ გამეხარდა, შესვლისას მამამ ჩემს სველ ფეხსაცმელს რომ გაამახვილა ყურადღება. გადავრჩი, სხვა ვერაფერი შემაძინა, უნდა ამეტანა საყვედური, თუმცა ამ საყვედურს სხვა რაღაცას მივაკუთვნებდი გულში. მაგრამ იმ წუთას უცნაური გრძნობა გამიჩნდა. ბოროტული, ეშმაკური აზრი დამეუფლა: მე მამაზე გავიმარჯვე, თითქოს მისი მიუხვედრელობის გამო სიძულვილიც კი ვიგრძენი. მისი ლანძღვა სველი ჩექმების გამო წვრილმანად მომეჩვენა. „შენ რომ იცოდე“, — გავიფიქრე და იმ დანაშაულისავეთ ჩავიარე, ფუნთუშის მოპარვისთვის რომ დატუქსეს, არადა, მკვლევლობა ჰქონდა ჩადენილი, — ისეთი შემზარადი გრძნობა დამეუფლა, ისე ძლიერი და გამაღიზიანებელი, რომ კიდევ უფრო მაძაჯაჭვა ჩემს საიდუმლოსთან და დანაშაულთან. იქნებ კრომერი უკვე პოლიციამა, უკვე დამაბეზლა, არადა, აქ მე პატარასავეთ მიყურებენ.

მთელი ამ მონაყოლიდან ყველაზე საშინელი განცდა, რამაც ჩემს ცხოვრებაზეც წარუშლელი კვალი დატოვა, ეს იყო პირველი ბზარი მამის სიწმინდეში, ეს იყო პირველი განადგურება ბავშვობის საყრდენისა. და ვიდრე მე აღამიანად, პიროვნებად ჩამოვყალიბდებოდი, უკვე სულიერად განადგურებული აღმოჩნდი და ეს განსაცდელი ვერავინ შეამჩნია. ეს იყო ჩემი ბედისწერის ძირითადი მიზეზი. ეს ბზარი, ეს ნაპრალი დღითი დღე იზრდებოდა, გარეგნულად შეიძლება შეხორციელებულიყო ოდესმე, მაგრამ ფარულად, სადღაც მიღმა მაინც იარსებებდა, მაინც განაგრძობდა ყვავილობას. იმ წუთას სხვა გრძნობაც გამიჩნდა, დამეკოცნა მამისთვის ფეხები, პატიება მეთხოვა, თუმცა მთავარის თქმა მაინც არ შეიძლებოდა, ამას, როგორც ყველა ბავშვი, კარგად ვგრძნობდი. ვხდებოდი, რომ თავად უნდა მომეფიქრებინა, სად იყო ხვალისდელი დღისთვის ხსნა. მთელი საღამო ერთი რამ მაწუხებდა, როგორმე შევკუებოდი ამ სხვაგვარ გარემოს, თითქოს ყველაფერი შემშვიდობებოდა: სასტუმრო ოთახი თუ კედლის საათი, მაგიდა, ბაბლია, და მე გულგრილად უნდა მეცქირა, როგორ მემსხვრეოდა და წარსულში რჩებოდა ბედნიერი ცხოვრება. მე კი მყარად ჩავბლაუჭებოდი გარეთ, წყვდიადში, უცხო სამყაროში ახლად გადგმულ ფესვებს. პირველად ვიგე მე სიკვდილი და ეს სიკვდილი მწარე აღმოჩნდა, ეს იყო დაბადება შიშში და რაღაც შემზარავ სიახლეში.

როგორც იქნა, მივალწიე ჩემს საწოლამდე. მანამ კი ყველამ ერთად ილოცა და იმღერა. უწინ ყველაზე მეტად ეს რიტუალი მიყვარდა, მაგრამ ახლა ვეღარც ვმღეროდი მათთან ერთად, ყოველი ბგერა ნალველსა და მზამს მმატებდა. როცა მამა ლოცვანს კითხულობდა, მე ვერ ვლოცულობდი. „უფალო, შეგვიწყალებე, მოიხილე ჩვენზედა და იყავნ ჩვენთანა“, — ამ ბოლო სიტყვებმა საშინლად შემაკროთ. მოწყალე ღმერთი ყველა მათგანთანაა, ჩემთან კი არა. საოცრად განაწამები გავედი საწოლ ოთახში.

დროებით ლოგინის სითბომ სიმშვიდე დამიბრუნა, მაგრამ მოგვიანებით ჩემი გონება ისევ მომხდარ ამბავს დაუბრუნდა, კვლავ შიშმა მომიცვა. როგორც ყოველთვის, დედამ ძილი ჩებისა მისურვა და დამტოვა. ისევ მესმოდა მისი ნაბიჯების ხმა, კარის ღრიჭოში კიდევ მოჩანდა მისი სანთლის შუქი. იმედს არ ვკარგავდი: ან ახლა შემოვა, ან ახლა. ალბათ ყველაფერი იგრძნო, შემოვა, მაკო-

ცხს და მკითხავს, მკითხავს თანაგრძნობით, მეც ვეღარ შევიკავებ თავს, ავტირ-
 ლები და მოუწყვები, ყველაფერი კარგად ჩაიელის და საშველსაც ვიპოვით. მა-
 გრამ დედა თვალს მიეფარა, კარის ჭუჭრუტანაში ისევ სიბნელემ დაისადგურა.
 ცოტა ხანს ვუგდებდი ყურს, იმედს არ ვკარგავდი, იქნებ მაინც, იქნებ მაინც მო-
 ვიდეს. მაგრამ ამაოდ. ისევ ჩემს ფიქრებს დავუბრუნდი. მარტო დავრჩი ჩემი
 მტრის პირისპირ. გარკვევით ვხედავდი მის მოჭუტულ თვალებს, ვეშაქვივდი
 რომ უბრწყინავდა, სახე ბოროტად უღიმოდა. ისე მიყურებდა, თითქოს ჩაელოს
 ბუას მიპირებდა. ასე საშინელი და შემზარავი მეჩვენებოდა, ვიდრე ჩამეძინებო-
 და. სიზმარში კი არც დღევანდელი განსაცდელი და აღარც კრომერი არ მინა-
 ხავს. მესიზმრა, თითქოს მშობლებთან ერთად ნავით ვსეირნობდი, დებიც იქ
 იყვნენ. საოცარი ბრწყინვალეობა და მშვენიერება იფრქვეოდა. შესანიშნავი
 კვირა დღე იყო. შუალამისას გამოძევიდა, კვლავ ვგრძნობდი სიზმრიდან გამო-
 კლილ ღვთიურ ბედნიერებას, ჯერ ისევ თვალწინ მედგა საზაფხულო კაბებში
 გამოწყობილი ჩემი დები, მზე რომ დასთამაშებდათ თავს. ამ სამოთხიდან ჩამოვვა-
 რდი ისევ აქ, სადაც ბოროტად დაეფჩინა მტერს ხახა.

დილით დედა შემოვიდა, გაუკვირდა, ასე გვიანობამდე რომ ვიწექი ლო-
 გინში, და მკითხა, ხომ არაფერი გაწუხებსო. უცბად გულის რევა დამეწყო.

მიყვარდა, როცა ავად ვიყავი. მთელი კვირა ლოგინში მაწვენდნენ, მასმევედ-
 ნენ გვირილის ნაყენს. ვიწექი და ვუსმენდი, როგორ ალაგებდა დედა თავის ოთ-
 ხს, დაბლიდან ლინას ხმაც ამოდიოდა. სკოლაში არ დავდიოდი, და მოკლედ,
 შესანიშნავი, ზღაპრული დღეები მქონდა ხოლმე. ოთახში საამოდ იჭვრიტებოდა
 მზე, ეს არ ჰგავდა საკლასო ოთახში შემოჭრილ შემაწუხებელ მზეს. მაგრამ
 დღეს არც ეს მსიამოვნებდა, არც ავადმყოფობას შეეძლო ჩემი შველა. ყველა-
 ფერს სიყალბის ელფერი დასდებოდა.

ეპ, მოემკვდარიყავი მაინც! არადა, ისე იოლ ფორმებში ვიყავი ავად, მხო-
 ლოდ სკოლაში წასვლისგან რომ მიცავდა და არა კრომერისაგან. თერთმეტ საა-
 თზე ბაზართან უნდა ვყოფილიყავი. დედის გულისხმიერება ამჟამად უნუგეშო
 გამოდგა, პირიქით, ეს საოცრად თავს მახეზრებდა და მტანჯავდა. თავი მოვიმ-
 ძინარე, თან ვფიქრობდი, როგორ გამეღწია სახლიდან. ათ საათზე უჩუმრად აე-
 დექი და ვთქვი, თავს უკეთ ვგრძნობ-მეთქი. ეს იმას ნიშნავდა, სალამოს სკოლ-
 აში წავსულიყავი ან ისევ ლოგინში დავწოლილიყავი. მე განვაცხადე, რომ სკო-
 ლაში მინდოდა წასვლა. გეგმაც შევიძუშავე.

უფულოდ კრომერთან მისვლას აზრი არ ჰქონდა. რაღაც არ უნდა დამჯდო-
 მოდა, ყულაბა ხელში უნდა ჩამეგდო. ის ხომ მე მეკუთვნოდა. ვიცოდი, ყულაბა-
 ში საკმარისი ფული არ იქნებოდა, მაგრამ ინტუიცია მკარნახობდა, ასე აჯო-
 ლებდა ჯერჯერობით. ცოტათი მაინც დავამშვიდებდი კრომერს.

ძალიან გამიჭირდა, როცა დედის ოთახში ფეხის წვერებზე შევიპარე და სა-
 წერი მაგიდიდან ყულაბა ავიღე. გუშინდელზე ნაკლები განსაცდელი არ ყოფილა
 ეს დაბლა ჩავედი. თან გული ყელში მებჯინებოდა. ყულაბა დაკეტილი აღ-
 მოჩნდა, ადვილად კი გავტეხე. მაგრამ თითი გავიჭერი, ამით უფრო შევიგრძენი
 ქურდობის სიმწარე. აქამდე მხოლოდ ტკბილეულობასა და ხილს ვეტანებოდი,
 ახლა კი ფული მოვიპარე, ვგრძნობდი, რა თავდავიწყებით, ჯიუტად მივექანებო-
 დი უფსკრულისაკენ. რა ახლოს ვიდექი ახლა კრომერთან და მის სამყაროს-
 თან. ეშმაკს უნდა მივყოლოდი, უკან დასახევი გზა არ მქონდა. შიშით ვითვლიდი
 ფულს. ყულაბაში თითქოს ბევრი ჩანდა, არადა, მხოლოდ 65 პფენინგი აღმოჩნდა.
 ყულაბა შემოსასვლელში დავმალე და სახლიდან გავედი, მაგრამ ეს უფრო გა-

პარზანს. ჰგავდა საკუთარი სახლიდან, ვიდრე ჩვეულებრივ გასვლას. მომეჩვენა თითქოს ვიღაცამ დამიძახა ზემოდან, ყურადღება არ მიმიქცევია.

ჯერ კიდევ მქონდა დრო და ქალაქის ქუჩებში გავერინარდი, საოცრად შეცვლილი მეჩვენა, არასოდეს მინახავს ცაზე ასეთი ღრუბული, არც ასეთი სახლები, არც ეს ადამიანები, ეჭვით რომ მომჩერებოდნენ. ვხაში მოვავიწყებდი, რომ ერთხელ ჩემმა მეგობარმა საქონლის ბაზარზე ერთი ტალღის ჩახტვას მანდოდა, დმერთისათვის შეთხოვა მოეხდინა სასწაული და ჩემთვის მომეხდინებინა, მაგრამ უფლება არ მქონდა თხოვნისა. თუმცა ერთი ტალღის რას შეყოფილა.

შორიდანვე მოვკარი თვალი ფრანც კრომერს, ხელ-ხელა წამოვიდა ჩემკენ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, თითქოს ვერ მამჩნევდა, მაგრამ მომიახლოვდა თუ არა, მბრძანებლურად მანიშნა, უკან გავეყოლოდა და ისე წავიდა, ერთხელაც არ შემოუხედავს. მშვიდად მიუყვებოდა ვხას, შესახვევს აუყვა და ბილიკთან ახლოს, მშენებარე სახლების უკან შეჩერდა. კაციმვილი არ ჭაჭანებდა, მხოლოდ ახლად ამოშენებული კედლები იდგა. კრომერმა მიმოიხედა და უხეშად მკითხა:

„მოიტანე?“

ჯიბიდან მომუშტული ხელი ამოვიღე და განიერ მუჭაში ფული ჩავუყარე. დაითვალა, ჯერ ბოლო ხუთიც არ მქონდა დათვლილი, რომ შემომხედა და მკითხა: „აქ ხომ ნა პფენინგია?“. „კი, — ვუპასუხე აკანკალებულმა, — ხუდ ესაა, მეტი ვერ ვიშოვე“.

„ჭკვიანი მეგონე, — ჩაილაპარაკა კრომერმა ისე, თითქოს ვეცოდებოდი, — პატიოსან ადამიანებში წართმევა არ მოდის, არც გავაკეთებ ამას. წაიღე ეგ შენი რკინები უკან, დანარჩენს მერე გაიგებ. ჩემს გაცურებას ცდილობ და ინანებ კიდევ“.

„მართლა ვერ ვიშოვე მეტი, ესეც ჩემს ყულაბაში მქონდა“.

„არ მაინტერესებს, მაინც არ მინდა გაგაუბედურო. ამას ავიღებ და ერთი მარკა და ოცდათხუთმეტი პფენინგი ჩემი ვალი გექნება. როდის მომიტან?“

„აუცილებლად მოგიტან. ახლა ზუსტად ვერ გეტყვი როდის, ხვალ, ზევ, მაგრამ ძალე მოგიტან. ხომ ხედები, მაშას ვერ გამოვართმევ“.

„ეგ ჩემი საქმე არაა. ბოროტი არა ვარ, თორემ შენც იცი, ეგ ორი მარკა უკვე ნაშუადღევს შემეძლო მიმეღო. ხომ იცი, როგორც მჭირდება ფული. შესრა გენაღვლება, კარგს ჭამ, კარგს სვამ, მშვენივრად გაცვია. ცოტა კიდევ მოვიცდი. ზევ ნასადილევს დავისტვენ, ხომ სცნობ ჩემს სტვენას?“ — და დაუსტვენა. კარგად ვიცნობდი ამ ხმას. კრომერი ისე განმშორდა, თითქოს აღარ ვარსებობდი მისთვის, მხოლოდ საქმე აკავშირებდა ჩემთან და მეტი არაფერი.

დღესაც ყურებში მაქვს ეს სტვენა. მისი გაგონება ახლაც შემზარავდა. სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, ყველგან კრომერის სტვენა აღწევდა და მთლიანად მიმორჩილებდა. ეს იყო ახლა ჩემი ბედისწერა. შემოდგომის მშვიდ, ღამაზ დღეებში ხშირად მიყვარდა ჩემს ბაღში თამაში. მაგრამ დღეს ამ თამაშმაც დაკარგა აზრი. აქაც ყოველ წუთს ველოდი და საიდანღაც მაინც აღწევდა მისი შემზარავი სტვენა. ნერვებს მაწყვეტდა, სიმშვიდეს მიკარგავდა. იძულებული ვიყავი გავყოლოდი ჩემს მტანჯველს და ისევ ფულზე მეზრუნა. მთელი ეს წამება ზოგჯერ კვირას ვაგრძელებდი, მე კი საუკუნედ მომეჩვენა. როგორ შენატრებოდა უდარდელი ბავშვობა, თამაში, მე კი ფული უნდა მეშოვა. ზოგჯერ სამზარეულო მაგიდად ანაც ვიპარავდი, როცა რომელიმე მოსამსახურეს დარჩებოდა. მეზიზღებოდა კრომერი. მინდოდა მომეტყუებინა, რაღაცით სამაგიერო გადამეხადა, გამეშწა-

რბინა. ჩემს სიცოცხლეში ჯერ არ მქონია ასეთი გასაჭირი. არც ასეთი იძულება
გრუება მიგრძენია როდესმე, არც ვინმეზე უყოფილვარ ასე დამოკიდებული.

ყულაბა სათამაშო მარკებით გამოკავსე და ისევე თავის ადვილას დავდე.
თავის უკეთხავს ამის შესახებ. მაგრამ ყოველდღე შეძლებოდა გამოაშკარავებ
ბუღალს. კროძერზე მეტად დედის მეშინოდა. როგორც კი გამოჩნდებოდა, უმაღ-
ლეს აზრი გამოვლევებდა, ალბათ გავსო ყულაბას თაობაზე და იმატომ მოდის,
რომ რაღაც გამოძვირობს.



ერეკლე

ჩემს მწვალებელთან ბევრჯერ უფულოდ გამოვჩნდი და შანატის უკეთესად
დ დაწყვი ჩემი ტანჯვა. ჩემს გამოყენება, მამამისი მას დაავალებდა რამეს, ის
კი მე მაკეთებინებდა, მამუშავებდა. ზოგჯერ ათი წუთის განმავლობაში ცალ-
ფეხზე მახტუნავებდა, ახ მაიმულებდა გამვლელებისათვის პიჯაკზე ქალაქის
ზღვრები მიმემაგრებინა. სიზმარშიც არ მასვენებდა, მაჯღაჯუნასავით მაწვა
და მიშინავდა თფლად ეიღვრებოდი.

ერთი ხანობა ავადაც გავხდა. სისუსტე და თფლიანობა დამჩემდა. დამლაძო-
ლი სიცხე მწვაუდა. დედა გრძნობდა, რაღაც მაწუხებდა, მოხივდა მომეგოლა
მსხვივს, მაგრამ ამით უფრო ვიტანჯებოდი და უნდობლობას გამო ვერაფერს
გახსენებდი.

ერთხელ, საღამოს, ჯერ კიდევ ღოგინში ვაწევი, დედა შემოვიდა და მო-
კოლადი მომიტანა. ადრე, თუ კარგად მოვიქცეოდი, ძილის წინ კლებულობდა.
ხოლმე ასეთი ხანუქარს. ახლა კი ამის დანახვაზე გული მეტკინა, სიმწრისაგან
თავი გავაქნიე, ერთი ხელი თეალებზე ავაფარე, მეორე აუუკარი და ვიფვარე:
„არა, არა, არაფერი მანდა“ - დედამ მოკოლადი ტუმბოზე დამიღო და უხმოვ გა-
ვდა. მეორე დღეს მკითხა, გუშინ რა დაგემარათაო. ისე მოვანვეჩე თავი, თითქოს
ადარაფერი მახსოვდა. ექიმთანაც წამიყვანეს, როგორც ჩანს, ხერვება არ მქო-
ნდა წესრიგში და ცოცხალი ამახანებია დამინამჩეს.

იმ პერიოდში ჩემი ცხოვრება სიგაფეს ჰგავდა. ისევ ჩვენს ლამაზ, მშვიდ
სახლში ვცხოვრობდი, მაგრამ შაშათა და ტანჯვით გასანგული მონვენება-
სავით დაუძარებოდი, აღარაფერი მაინტერესებდა, მშვაათად მქონდა უდარდე-
ლი წუთები. შაშას მიმართ გულგრილი გავხდი. ჩემი ასეთ საქციელთ მოთმინე-
ბდაკარგულს ხშირად უცდია გაეგო, რა მჭარდა, მაგრამ ამით.

თავი მეორე

კანნი

ხსნა ჩემი წამებისა სრულიად მოულოდნელი მზრიდან მოვიდა. ამან ჩემ
ცხოვრებაში რაღაც ახალი შემოიტანა, რაც დღემდე შემიძრნა.

ჩვენთან სკოლაში ამ ცოტა ხნის წინ ყოველი ახალი მოხწავლე გადმოვიდა.
ეს აყო შეძლებული ქვრიუს ვაჟი. ისინი ჩვენს ქალაქში არცთუ ისე დიდი
ხანია ჩამოვიდნენ. დედაპისი სამგლოვიარო თაყსაბურავს და ბაფთს ატარებდა.
ვაჟი ჩემზე რამდენიმე წლით უფროსი იყო. თავისი უცნაურობით პირველსა-
ვე დღეს ვაგვაკვირვა. ხულ არ ტოვებდა ბავშვის ში. ეჭვილებას. ჩვენთან
შედარებით ამაყი, თითქოს მაუკარებელი. უკვე დაკარგებული ჩანდა. არახო-
დეს ჩარეულა ხსუბში, ან თამაშში. მისი შეუპოვარი და მედიდური ხმა, როცა
მასწავლებლებს ელაპარაკებოდა, ყველას გეხიბლავდა. მას მაქს დემიანი ერქვა.

ერთ დღეს ორი კლასი გაგვეერთიანეს ერთ დიდ აუდიტორიაში. ხანდახან ხდებოდა ხოლმე ასე ჩვენს სკოლაში, ამჟამად ეს დემიანის კლასი აღმოჩნდა. უმცროს კლასელებისათვის ერთი თავი უნდა წაეკითხათ ბიბლიიდან, უფროს კლასელებს კი ამავე საკითხზე თემა უნდა დაეწერათ. მასწავლებელი აბელისა და კაენის ამბავს გვიკითხავდა. დროდადრო დემიანისაკენ ვიყურებოდი. ყურადღებით ვაკვირდებოდი ამ ჭკვიან, ნათელ და საოცრად ამაყ სახეს. ზემოთაგონებული რომ დასცქეროდა თავის ნამუშევარს. თავისებურად მჯერებდა, სულ არ ტოვებდა მოსწავლის შთაბეჭდილებას, რომელსაც დავალება უნდა შეესრულებინა, უფრო საკუთარი საქმეებით დაკავებულ მეცნიერს ჰგავდა. ერთი შეხედვით, თითქოს სულ არ შეჩვენებოდა დემიანი მიმზიდველი, პირიქით, რადაციით მაღიზიანებდა კიდევ (მაღიან ცივი და თავდაჯერებული ყმაწვილის შთაბეჭდილებას ტოვებდა. საოცრად გამოძწევი, უტიფარი, ცოტა სევდიანი და თან დამცინავი მზერა ჰქონდა; ბავშვებთან, როგორც ჩანს, არცთუ ისე კარგად უნდა ყოფილიყო, მათთან უფრო დიდად მოქონდა თავი. თვალს ვერ ვწყვეტდი. ერთხელ მის მზერასაც წავაწყდი და შეშინებულმა მაშინვე დავხარე თვალები. ვერ ამიხსნია ზუსტად, რას იწვევდა მაშინ ის ჩემში, სიყვარულს თუ ტკივილს. და ახლა როცა ვფიქრდები, რა შემთხვევა დემიანზე, როგორც მოსწავლეზე, ვიქვა, ალბათ მხოლოდ ეს, რომ დემიანი ყველასაგან განსხვავებული, განსაკუთრებული, პიროვნულად ჩამოყალიბებული იყო და ამიტომაც გვხვდებოდა თვალში, თუმცაღა უნდა აღინიშნოს, რომ თავად სულ არ ცდილობდა გამოკვეთილიყო ჩვენგან. მაგრამ ის ისევე შეიმჩნეოდა, როგორც გადაცმული პრინცი გლეხის ბიჭებში.

სკოლიდან რომ გამოვედი, ჩემ უკან მოდიოდა. სხვებმა გაგვისწრეს თუ არა, წამომეწია და მომესალმა. (მისალმებაც გამორჩეული ჰქონდა, უფრო თავდაჯერებული და იმედისმომცემი.) „გინდა სახლამდე ერთად წავიდეთ?“ — მკითხა მან მკობრულად. სიამოვნებით დავეთანხმე, თან ჩემი საცხოვრებელი ადგილი მაინიშნე.

„აი იქ? — თქვა სიცილით, — ვიცი მე ეგ სახლი. თქვენს ჭიშკარზე უცნაური საგანი ჰკიდია, რამაც მაშინვე დამაინტერესა“. ჯერ ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა, და გავოცდი, რომ ის ჩემზე უკეთ იცნობდა ჩვენს სახლს. როგორც ჩანს, ქვის ლოდზე ამბობდა, კარზე გერბივით რომ აყო მიმაგრებული. დიდი ხნის იყო ეს ქვა, სიძველისაგან ფერგადასული და გაცრეცილი, ზედ რაღაც საგანიც მოჩანდა მკრთალად. რამდენადაც ვიცოდი, ამ გერბს ჩვენს ოჯახთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა.

„ამის შესახებ არაფერი ვიცი, — ამოვიღულულულე მორიდებით, — რაღაც ჩიტის მაგვარია ქვაზე გამოსახული. ისე, მგონი, ძველებურია. ადრე ჩვენს სახლში მონასტერი იყო“.

„შეიძლება, — დამეთანხმა დემიანი, — ერთხელ კარგად დააკვირდი. ამგვარი საგნები ყოველთვის საინტერესოა. ჩემი აზრით, ქვაზე მიმინო უნდა იყოს გამოსახული“.

გვერდიგვერდ მივაბიჯებდით. ცოტა არ იყოს, უხერხულად ვგრძნობდა თავს. უცბად ხმამაღლა გაიცინა დემიანმა, თითქოს რაღაც გაახსენდაო, და წამოიწყო:

„ჰო, მე თქვენს გაკვეთილს ვესწრებოდი. როგორ მოგეწონა ამბავი აბელისა და კაენის, რომელიც ნიშანს ატარებდა შუბლზე?“

მოწონებით, სკოლაში რასაც გვასწავლიდნენ, იშვიათად მომწონდა რამე.

მაგრამ დემიანი თანატოლივით ძელაპარაკებოდა და ხმამაღლა ამის თქმა ვერ
 კავებულ და ვუთხარი, მომეწონა-მეთქი. დემიანი მიხედა და მხარზე ხელი დამკ-
 რა: „რა საჭიროა, ჩემო კარგო, ჩემი გაცურება. ისე კი უნდა გითხრა, მარ-
 თლაც საოცარია, ალბათ ყველაზე საინტერესოც, რასაც საერთოდ სკოლაში ვკა-
 ნაფლავან. მაგრამ მასწავლებელს ბევრი არა უთქვამს რა ამის თაობაზე,
 უბრალოდ, გაკვირვებით თქვა ორიოდ სიტყვა ღმერთზე და ცოდვებზე. მაგრამ,
 ჩემი აზრით, — აქ მან შეწყვიტა საუბარი და მკითხა, — გაინტერესებს? —
 განაგრძო, — ვფიქრობ, ამ ამბის ახსნა სხვაგვარადაც შეიძლება. რა თქმა
 უნდა, საგნები, რომელთაც ჩვენ ვსწავლობთ, თავისთავად ყველა საინტერე-
 სო და აუცილებელი, მაგრამ ყოველ მათგანს სხვადასხვა კუთხით შეიძლება
 შევუდგეთ. არასოდეს დაფიქრებულხარ ამაზე? დაუკვირდი, ერთი ძმა კლავს მე-
 ორს. კი, შეიძლება ეს მართლაც მოხდეს. მკვლელს შიში იპყრობს და ყვე-
 ლაფრას ინტერესს ჰკარგავს. ესეც შესაძლებელია, მაგრამ ის, რომ მას თავის
 უღმრთოების გამო განსაკუთრებულ ნიშანს უბოძებენ, რაც მას გამორჩეულს
 ხდის და ყველას კი შიშის ზარს სცემს, ცოტა არ იყოს, უცნაურია, არა? —

„რა თქმა უნდა, — ვთქვი უკვე დაინტერესებულმა, რადგან ამ ამბავმა მა-
 რთლაც ჩამითრია, — მაგრამ მაშ სხვაგვარად როგორ აეხსნათ“.

კვლავ დამარტყა მხარზე ხელი.

„სრულიად უბრალოდ: რაც მოხდა და საიდანაც ეს ამბავი სათავეს ღე-
 ბულობს, ესაა ნიშანი, რომელსაც კაენი შუბლზე ატარებს და სხვებში შიშს
 აძლევს. ვერაყის ბედავს შეეწინააღმდეგოს, შეეპასუხოს მას, რადგან თავად
 იგი და მისი შვილები ასე შთააგონებდნენ ხალხს. იქნებ, ან უფრო სწორად,
 არც ყოფილა აქ არაერთი ნიშანი შუბლზე. ეს უფრო მეტად იყო მოჩვენები-
 თობა, შემადრწუნებლობა, ცოტა მეტი შთაგონებლობა და შემართება მხერაში,
 რასაც ხალხი შეეჩვია. ამ ადამიანს ჰქონდა ძალაუფლება და ხალხიც ძრწოდა
 მას წინაშე. შეიძლება მართლაც ჰქონდა ნიშანი, მაგრამ ახსნას ისეთს უძებნი-
 დნენ, როგორც ხელს აძლევდათ, როგორც სურდათ და რაც თავიანთთვის გამართ-
 ლებულად მიაჩნდათ. შიში ჰქონდათ კაენის შვილებისადმიც, რადგან მათაც ამ
 ნიშნის ქვეშ დაბადებულად მიიჩნევდნენ. არაყის ცდილობდა ზუსტად აეხსნა.
 რას გამოხატავდა ეს ნიშანი. მხოლოდ ერთს ამტკიცებდნენ, ამ ნიშნის ქვეშ
 დაბადებულნი ბოროტნი და საშიშნი არიანო. (კაენი და მისი შვილები კი ამ-
 არტლებდნენ ამ თვისებებს. ადამიანი, რომელშიც არის ძალა და განსაკუთრე-
 ბული ხასიათი, სხვებში ყოველთვის იწვევს შიშს და როგორც კი ვინმე ასე-
 თა გამოჩნდება ხალხში, მაშინვე ზედმეტ სახელს მიაკერებენ, ცდილობენ,
 ყველაფერი გადააბრალონ მას და ამით ყველასათვის საერთო შიში ცოტათი მა-
 ინც შეამსუბუქონ“.

„რისი თქმა გინდა ამით, მაშინ კაენი აღარ გაბოროტდებოდა და მთელი
 ეს ამბავი ბიბლიაშიც მართალი არ იქნებოდა?“

„ჰოც და არაც. ასეთი ძველი ამბები ყოველთვის მართალია. მაგრამ ხში-
 რად ისე არაა ახსნილი და განმარტებული, როგორც საჭიროა. ჩემი აზრით,
 კაენი სხვებისაგან გამოირჩეოდა და, რადგანაც მისი უშინოდან, ამიტომაც მია-
 წერეს მთელი ეს ამბავი, რაც უფრო ხალხის მონაწილე იყო. სრული ჭეშმა-
 რატებაა ის, რომ კაენი და მისი შვილები ნიშანდებულნი იყვნენ, დანარჩენი
 ყველაფერი კი ხალხის მიერაა შეთხზული“.

გაოგნებული დავრჩი.

„შენ ფიქრობ, რომ მკვლელობის ამბავიც არაა მართალი?“

„არა, სწორედ ვგაა მართალი, ძლიერმა დაამარცხა სუსტი. მამ მოკლა მამ. შეიძლება მხოლოდ ეს იყოს შემთხვევითი. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ადამიანები ყველა ხომ ერთმანეთის ძმები ვართ. ძლიერმა დაამარცხა სუსტი, იქნებ ეს საგმირო საქმედაც იყოლება. ყოველ შემთხვევაში, ახლა დანარჩენი სუსტი აღმოჩნდა, იმით რომ მაშით იყვნენ შეპყრობილნი. რომ ვკვირდებით რომელიმე მათგანისათვის, რატომ თქვენც ასევე არ იქცევით? კლავთ მას, გაბასუხებდნენ, უფლება არ გვაქვსო, ღვთის მიერ მამებზე უფროსად აღევსო, იმას კი ვერ აღიარებდნენ, მშობრები ვართო... ასე შეთხზეს ეს ამბავი. ახლა კი გაშოვემშვიდობება, Adieu“.



ძველი უბნისაკენ გადაუხვია. მე კი დამტოვა მარტო და გათვნიებული. ასე არახოდეც ყოფილვარ. ჯერ თვალს არ იყო მიფარებული, რომ უკვე ეჭვი გამჩნდა და დაუჯერებლად მომჩივნა ყოველი მისი სიტყვა. კაენა ვითიღმობილე ადამიანი, ახელი მშობარა?! კაენის ნიშნის განსაკუთრებულობა?! ეს ყველაფერი ხომ აბსურდია. ეს ხომ უნამუსიობა და ღვთის გმობაა. მამ სად იყო დმერთო, არ შიიღო მან ახელის მსხვერპლი? არ უყვარდა მას ახელი? — არა, ეს ყველაფერი სისულელეა. ჩავოვადე, რომ დემიანმა ახუნად ამიგლო და გამაცურა. ისე კი ჭკვიანია ეს წყეული. არადა, რა დასაჯერებელი დაპარაკვი აქვს. თუმცა ნაინც ვერ დამაჯერებს.

რაც კაენის ამბავზე ვიფიქრე, ამდენი ჯერ არც ერთ თემაზე არ მიფიქრია. სასწაული მოხდა, კრომერაც კი არ გამხსენებია მთელი ამ ხნის განმავლობაში. საღამოს, კადევ ერთხელ გადავიკითხე ბიბლიაში ეს ადვილი. როგორც ვწერა, გარკვევით იყო ყველაფერი ნათქვამი და სისულელე იყო მის მიღმა რაიმე განსაკუთრებული მხიმწიქელობის მეზნა, მაშინ გაზოდის, ყველა მკვლელის დმერთის მიერ გამართლებულად უნდა ჩავვეთვალა. ეს ხომ აბსურდია. უფრო ნეტად ის მარცებდა, თვითონ დემიანს. როგორ შეუძლო ყოველივე ამასე ასე იოლად და თავდაჯერებულად დაპარაკვი, ხაოცრად ამაფორიაქა ამ ამბავმა. მეც ხომ ვცხოვრობდა ნათელ და სუფთა სამყაროში, მეც ხომ ვითვლებოდი ახელის მსგავსად, და ახლა როცა ბნელეთის ტალღებმა ჩამოთრია, არ შემიძლო ასე მფიქრა. რის თქმა უნდოდა ნეტა ამით? უცბად სუნთქვა შემქერა, ისეე მომავინდა ის საბუდისწერი საღამო, ასეთ სიტანჯველში რომ ჩამავლო და ბაკშვობას გამოიმამშვიდობა. და აქ ასეთმა აზრმა გამიღღვა: „დიან, მე თავად ვარ კაენის მსგავსი, მის ნიშანს ვატარებ და ეს არაა სირცხვილი. ეს გამოჩნეულობაა. მე ჩემი მზაკვრობითა და უბედურებით მამაზე მაღლა ვდგავარ, ვადრე ის თავისი კეთილშობილებითა და ღვთისმოსაობით“.

მართალია, იმ წუთებში დაკარგული მქონდა საღამო აზროვნება, მაგრამ მაშინდელმა განსაცდელმა შემოიტანა ჩემში უცნაური მოუსვენრობა, ვრძნობათა აალება და ტკივილები. რაც მე მაინც სიამაფით მავსებდა.

მახსენდება, რა უცნაურად დაპარაკობდა დემიანი ძლიერებს და მშობრებს, როგორ უბრწვინაგდა თვალები, როცა კაენის ნიშანზე დაპარაკობდა. გარკვეველმა აზრმა გამიღღვა თავში, იქნებ თვითონ დემიანია კაენის მსგავსი? რატომ იცავს ასე თავგამოდებით, რატომ ივრძნობა მის მხერაში ასეთი ძალი, რატომ დასცანას ასე სხვებს, იუნდაც მშობრებს, რომლებიც ბოლოს და ბოლოს კეთილშობილნი და ღვთისმოსაენი არიან?

ამ ფიქრს საზღვაო არ უჩანდა. ეს უფრო უძირო ვაში ჩავარდნილ ქვას მგავდა და ეს ვა ჩემი უმწვეო სული იყო. კაი ხანს ვცდილობდი შემიცნო ამ ამ-

სს ჭეშმარიტება, გამეგო კაენის მკვლელობის და ნიშნის ძირითადი არსი. უამრავი ეჭვი და კითხვები დამებადა ამასთან დაკავშირებით.

ვატყობდი, სხვა მოსწავლეების დაინტერესებულნი იყვნენ დემიანით. კაენის მთავი არავისთვის მომიყოლია, მაგრამ სხვების ჩემსავით იყვნენ შეპყრობილნი ამ ამბით. უამრავი მითქმა-მოთქმა დადიოდა დემიანის ირგვლივ. ყველა ეს ჭირა რომ მცოდნოდა, იქნებ რომელიმე მათგანს ჩემთვის რაიმეთი აეხილნა სხვაგან, უფრო ჩავწვდომოდა დემიანის პიროვნებას. დედამისი შეძლებული ქალი იყო, ამბობდნენ, დედა-შვილი ეკლესიაში არ დადის, ებრაელები არიანო. მის სიძლიერებაც ლეკანდები შეეოზნათ. კლასში ყველას ეშინოდა და მოკრძალებით ეპყრობოდნენ დემიანს. ერთხელ ვიღაც მის ჩხუბს შესწრებია და გაოგნებული დარჩენილა. ერთი ბიჭისთვის დემიანს ცალი ხელით ისე ღონივრად მოუქაჩია ქეჩოში, იმ საცოდავს ძლივს გაუსწრაა იქიდან და მთელი დღის განმავლობაში ვეღარ განძრუულა. ბევრი რამ შეიძლება მართლაც ხდებოდა, მაგრამ ბერსაც მიაწერდნენ მას. მაგრამ როგორც არ უნდა ყოფილიყო, მაინც მალეღვებდა და მაფიქრებდა ეს ყველაფერი. ზოგი იმასაც ამტკიცებდა, რომ გონებთან ურთიერთობაშიც კარგად იყო გააქვეყნებული დემიანი.

ამასობაში ჩემი და ფრანც კრომერის საქმე თავისი იძულებითი გზით მაღიოდა. დღე არ მქონდა მოსვენება, აჩრდილივით თანმდეუდა. ცხადში რასაც არ მიკვსებდა, სიზმარში და ჩემს წარმოსახვაში ახერხებდა. აქ კი მთლიანად ვუძონებოდა მას. საერთოდ, დიდა წარმოსახვის უნარი მქონდა და უფრო ჩემს წარმოსახვებში ვცხოვრობდი, ვიდრე სინამდვილეში. ამ აჩრდილმა წამართვა სიცოცხლე და ძალა. ხშირად მეჩვენებოდა, თითქოს მაწამებდა, ზედ ფეხით მადგებოდა, მაფურთხებდა. ყველაზე საშიშნელება ის იყო, რომ ერთხელ მესინრა, საკუთარ მამაზე ამადებინა ხელი. ხეივანში ვიდექით ხეს ამოფარებული. კრომერმა დანა ვაღესა და ხელში მომაჩენა. ვიღაც კაცი მოდიოდა, კრომერი ხელს მკრავდა, მაიძულებდა თავს დავეცემოდი და მომეკლა. როცა მოგვიახლოვდა, საკუთარი მამა შევიცანი. შეშლილივით გამოძვლიდა. ფიქრებით კაენისა და აბელის ამბავსაც ვწვდებოდი. მაგრამ თვისონ დემიანი აღარ გამხსენებია, ისევე სიზმარმა დამაახლოვა მასთან. კვლავ ძალადობა და უღმობელოება მესიზმრებოდა, მაგრამ ამჯერად კრომერის როლში დემიანი აღმოჩნდა. ის ფეხით შემადგა და თუ კრომერისაგან ამას ტანჯვა-წამებით ვიტანდი, დემიანისგან მთავრდებოდა. შიშის შეგრძნებაც სადღაც გამჭრალიყო, ეს უფრო ნეტარებას დამსგავსებოდა. ორჯერ ვნახე ასეთი სიზმარი. მერე ისევე კრომერი დაუბრუნდა თავის ადგილს.

რა იყო სიზმარში და რა ცხადში, უკვე კარგა ხანია ვეღარ ვარჩევდი. კრომერთან ურთიერთობა კვლავ იძაბებოდა, ბოლო აღარ უჩანდა. ვალი კი გავუსტუმრე, მაგრამ იცოდა, საიდანაც მიმქონდა ფული, იცოდა, ვიპარავდი და ყოველდღე მემუქრებოდა, რომ მამას მოუყვებოდა ყველაფერს. მეც მემშინოდა და ეს შიში დღითი დღე მიღრმავდებოდა. აღარაფრის ამედი აღარ მქონდა. მეგონა, ასე უნდა გაგრძელებულიყო ბოლომდე. საშუელს ვეღარ ვხედავდი.

ჩემი ასეთი მდგომარეობით, აღბათ არც ჩემი მშობლები იტანჯებოდნენ ნაკლებად. უცხო სული ჩამისახლდა არსებაში და ვეღარ ვეგუებოდი იმ შინაურობას. არადა, რა ხშირად მომსურვებია დაბრუნება მათთან, როგორც დაკარგულ სამოთხეში. სინამდვილეში რაც მჭირდა, ჩემს დებთან ურთიერთობაში უფრო გარკვევით ვხედავდი. ვგრძნობდი, როგორ მიფრთხილდნენ და გამიბოდნენ. ხვდებოდნენ, შიში და ბოროტება რომ მიპყრობდა. კი არ მეჩხუბებოდნენ,

ვებრალეობდი. ვიცოდი, უფრო მეტს ლოცულობდნენ ჩემთვის, ვიდრე ოდესმე მაგრამ უსარგებლოდ. ჭეშმარიტი აღსარების სურვილი მწვავედა, მაგრამ არ შემეძლო მეთქვა, ამეხსნა ეს ყველაფერი არც დედისთვის, არც მამისთვის. მართალია, გულთბილად მომისმენდნენ, შემინდობდნენ, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ჩამწვდებოდნენ. ერთ მცდარ ნაბიჯად ჩამითვლიდნენ, როცა ეს ბედისწერა იყო.

ეროვნული

იქნებ ბევრმა არც დაბიჯებოთ, რომ თერთმეტი წელიც ჩემთვის ასეთი განცდები მქონდა. მაგრამ ამ ამბავს უბრალოდ არ ვყვიბი, ვუყვიბი იმათ, ვინც ჭეშმარიტად სცნობს ადამიანებს, მათ, ვინც შეძლო თავისი გრძნობების ნაწილის ფიქრებად გადაქცევა, ვინც ბავშვებშიც ამჩნევს ამ ფიქრებს, მაგრამ ჰგონია, რომ ეს არაა განსაცდელი. უნდა გამოვიტყუდეთ, ჩემს ცხოვრებაში არ მქონია ამაზე დიდი განსაცდელი და ტანჯვა.

ერთხელ წვიმაში ციხე-სიმაგრის წინა მოედანზე ვიდექი და ველოდი ჩემს მტანჯველს. წაბლის ხიდან ჩამოცვენილ ფოთლებს ფეხით ვტკეპნიდი. ფული ვერ ვიშოვე, მაგრამ ორი ნაჭერი ნამცხვარი მქონდა კრომერისთვის მოტანილი. დიდი ხანია შეჩვეული ვიყავი საათობით ვმდგარიყავი ასე კუთხეში და მელოდი მისთვის, უნდა ამეტანა, როგორც რაღაც გარდაუვალი. აი, კრომერიც გამოჩნდა. რამდენიმეჯერ წამომარტყა, ნამცხვარი გამომართვა და თავისი სიგარეტი შემომთავაზა. არ გამოვართვი. დღეს უფრო თავაზიანი ჩანდა რატომღაც. დიდხანს არ გაჩერებულა. წასვლისას კი მიიხრა: „ჰო, რომ არ დამავიწყდეს, შემდეგში შენი უფროსი დაც შეგიძლია წამოიყვანო. რა ჰქვია?“

ვერ მივხვდი, რას მეუბნებოდა. პასუხიც არ გამიცია. გაოგნებული ვიდექი და მივჩერებოდი.

„ვერ გაიგე? შენს დას წამოიყვან“.

„კი მაგრამ, როგორ. ჯერ ერთი, ამის უფლება არა მაქვს, მეორეც, არ წამომყვება“.

მაშინლა გამიელვა თავში, რომ კიდევ რაღაც ხრიკს მიძხადებდა. რაღაც ახალს იგონებდა ჩემს სატანჯველად. ხშირად აკეთებდა ასე: შეუძლებელს მთხოვდა, მაშინებდა, მამცირებდა და მერე მაიძულებდა მეხვეწნა, რომ ფულით ან სხვა რაიმეთი გამომესყიდა.

ამჯერად სხვაგვარად მოხდა. ჩემს უარზე კრომერი არ გაბრაზებულა.

„ჰო, — თქვა მან აგდებულად, — უნდა მოიფიქრო რამე და როგორმე გამაცნო შენი და. ერთად სადმე წახვალთ სასეირნოდ და მეც იქ მოვალ. ხვალ დავისტვენ, კიდევ ერთხელ მოვილაპარაკოთ ამაზე“.

როცა წავიდა, მერელა ჩავწვდი მისი თხოვნის არსს. ჯერ კი ბავშვი ვიყავი, მაგრამ ბუნდოვნად, ჭორად მქონდა გაგონილი გოგონებსა და ბიჭებს შორის ურთიერთობების შესახებ. უცბად გამინათდა გონება. რა საშინელებაა?! რა თქმა უნდა, ამ თხოვნას არასოდეს შევუსრულებდი კრომერს, მაგრამ რა მოყვებოდა ამას, როგორ იძიებდა ჩემზე შურს, ამაზე ფიქრიც არ მინდოდა. ვგრძნობდი, ახალი სატანჯველი, ახალი მონობა იწყებოდა. ჯიბეში ხელებჩაწყობილი უღონოდ მივლასლასებდი დაცარიელებულ მოედანზე. უცბად ნაცნობი ხმა შემომესმა. შემეშინდა, გავიქეცი, მინდოდა როგორმე დავსხლტომოდი ხელიდან ამ სულისშემძვრელ ხმას. ვიღაც მომდევდა, უკნიდან ხელი წამავლო. მოვიხედე, დემიანი შემრჩა. „ეს შენა ხარ? — წამოვიძახე ისე, თითქოს არ მჯეროდა რომ ის იყო, — როგორ შემაშინე“. თავი გავეცი.

„ეწუხვარ, — თქვა მან საამო, მტკიცე ხმით, — მაგრამ პერწმუნე, არ ვარგა, როცა უინმესი გეშინია“.

„ვიცი, რა ვქნა, ასეა და“.

„დაუფიქრდი: როცა ვილაცის, რომელმაც არაფერი დაგიშავა, უსაფუძვლოდ გეშინია და კანკალებს, ამით იმ ვილაცას დააუჭვებ და აუფიქრებინებ, რომ მშისარა ხარ. შიშით კი მხოლოდ ლაჩრებს ეშინიათ, არადა, ლაჩარი არ მანხარნ მსუყ არაა? თუმცა არც ვძირი ხარ, რაღაცის თუ ვილაცის წინაშე ძრწიხარ. ჰოდა, შიშის არაა კარგი. როგორ შეიძლება გეშინოდეს ადამიანების? ჩემი ხომ არ გეშინია? თუ...“

„არა, სულაც არა“.

„მაინც ასე მგონია, არის ვილაც, ვისიც გეშინია“.

„არ ვიცი, თავი დამანებე, რა გინდა ჩემგან“.

ნაბიჯს ავუჩქარე, ისიც ამეღევნა, ვგრძნობდი, როგორ მიყურებდა.

„მინდა იცოდე, რომ შენზე კარგი აზრისა ვარ, — წამოიწყო მან, — ყოველ შემთხვევაში, არ მინდა ჩემი გეშინოდეს. გინდა ერთი ექსპერიმენტი ჩავატაროთ? გამხიარულდები და თანაც რაღაცას მიხვდები. მომიხმინე. ზოგჯერ მივპართავ ასეთ ხელობას, ამას აზრების წაკითხვას უწოდებენ. ეს არაა ჯადოქრობა, მაგრამ თუ არ იციან, როგორ კეთდება, ცოტა არ იყოს, უცნაურად ეჩვენებათ. ამით შეიძლება ადამიანის გაოგნება. ერთი რამ უკვე ვიცი, რადგან ჩემმა ხმამ ასე შეგაშინა, ე. ი. ვილაცის ან რაღაცის უნდა გეშინოდეს. რა ხდება? საიდან მოდის ეს შიში? შიშზე ცუდი არაფერია ამქვეყნად. ეშინიათ მაშინ, როცა ვინმეს ზეგავლენის ქვეშ არიან. მაგალითად: თუ ერთმა გააკეთა რამე ცუდი, იმ პორემ იცის ეს და ამით უფლებას აძლევს თავს ძალაუფლება იქონიოს მასზე. მიხვდი, რასაც ვამბობ?“

უმწეოდ ვუყურებდი მის სერიოზულ, ჭკვიან, კეთილშობილურ სახეს, რომელშიც უფრო მეტი სიმკაცრე იგრძნობოდა, ვიდრე სითბო და თანაგრძნობა. დემიანის სიტყვებში მართლაც იყო სიმართლე, იმის მსგავსი, რაც გადამხდა. რაღაც შემართებოდა, რა, თავადაც არ ვიცოდი. ის ჩემ წინაშე ჯადოქარივით იდგა.

„გაიგე?“ — მკითხა კიდევ ერთხელ.

თავი დაუქნიე, მაგრამ ვერაფერი ვთქვი.

„აზრების წაკითხვა, ცოტა არ იყოს, სასაცილო კი ჩანს, მაგრამ მაინც ბუნებრივია. შემიძლია ისიც ვითხრა, რა გაიფიქრე მაშინ, აბელისა და კენის ამბავზე რომ ვითხარი. მაგრამ ახლა არ გვინდა ამაზე ლაპარაკი. ისიც ვიცი, ერთხელ დაგესიხმრე კიდევ. ამასაც დავანებოთ თავი. შენ გონიერი ბიჭი ხარ. ბევრი არაა ასეთი. მიყვარს შენისთანა საზრიან ბიჭებთან ლაპარაკი, ნდობით ვიმსჯელები ასეთებისადმი. თუ არის მაინც ჩემს ნათქვამში ცოტათღენი სიმართლე?“

„კი მაგრამ, ვერ გავიგე“.

„მოდო, ისევ ექსპერიმენტს დავუბრუნდეთ. ე. ი. აღმოვაჩინეთ, რომ ვილაც ბიჭი მშისარაა, ვილაცის ეშინია, რადგან აქვს ისეთი საიდუმლო, რითაც იმ ვილაცას ჩაჭერილი ჰყავს და მოსვენებას არ აძლევს. ასეა?“

როგორც სიზმარში, ახლაც ისე მივენდე დემიანის ხმას, მის ძალას. მხოლოდ თავის დაქნევად მოვახერხე თანხმობის ნიშნად. ისე მელაპარაკებოდა, თითქოს ჩემგან ამოდებოდა ეს ხმა, რომელმაც ყველაფერი იცოდა და იცოდა უკეთესად, ვიდრე მე.

მაგრად დამკრა მან მხარზე ხელი.

„ეს კი მომწონს, ახლა კი ერთი შეკითხვა მაქვს. რა ჰქვია იმ ბიჭს, წელან რომ ჩაიარა?“

უცხად შეხტი. ჩემს საიდუმლოს შეეხი მტკიცეულოდ მინდოდა მეთქვა.

„რომელი ბიჭი? მე არავინ დამინახავს“.

გაუცინა.

„მითხარი, რა ჰქვია?“

„ყრანც კრომერზე მეუბნები?“ — ამოვიღულულე ძლივს.

კმაყოფილმა დამიქნა თავი.

„ყრანდ! მაგარი ბაჭა ხარ, ჩვენ მეგობრება ვიქნებით. მინდა გითხრა, ეს კრომერია თუ ეიდაც, არამხალა ეინმე ჩანს. სახეზე ვკათხულობ, საზიზღარა მაროვხებაა. შენ არ ფიქრობ ასე?“

„კი, — ამოვისუნთქე თავისუფლად, — ნამდვილი სატანაა, მაგრამ ძალიან გახიო, ხურაფერს ეტყვი, ღვთის გულსათვის“.

„დამშვიდდი, ის უკვე წავიდა და არც მიცნობს. ისე სიამოვნებით ვავეცნობოდი. სახალხო სკოლაში დადის, ხომ?“

„კი“.

„რომელ კლასშია?“

„მეხუთეში, მაგრამ არაფერი უთხრა, გემუდარები“.

„დაწყნარდი, ის ვეღარაფერს გაგიბედავს. მეტს არაფერს შეტყვი მასზე?“

„არ შემიძლია, არა, თავი დამანებე“.

ცოტა ხანს დადუმდა.

(სამწუხაროა... შეგვიძლია კიდევ ვაგვეგრძელებინა ჩვენი ექსპერიმენტი, მაგრამ არ მინდა გაწვავდეთ. ერთი რამ მინდა დაიმახსოვრო, შიში არაა ვანართლებული, შიში გვანადგურებს და უნდა ვეცადოთ აღმოვფხვრათ, მოვსპოთ. შენ უნდა განთავისუფლდე ამ შიშისაგან, თუ გინდა რომ ადამიანი გახდე. გამიგე?)

„აღბათი მართლად ამბობ, მაგრამ ეს არ გამოვა, შენ ხომ არ იცი...“

„ხომ ხედავ, ზოგაერთი რამ ვიცი, უფრო ბევრი, ვიდრე შენ გვინდა, ფული გამართებს მისი?“

„მოთვარი ეს არაა, არ შემიძლია, ვერ გეტყვი“.

„სიამოვნებით მოგცემდი ფულს, გაუსტუმრე ეალი, გიშველის ეს?“

„არა, არა, ეს არაა მოთვარი, გთხოვ, არავის უთხრა არც ერთი სიტყვა, არ დამღუპო“.

„მეხდებოდა, ხინკლაირ, თუ გინდა შენი საიდუმლო სხვა დროს გამიმხილე“.

„არასოდეს, არა!“ — ვაყვირე მწარედ.

„როგორც გინდოდეს, უბრალოდ ვიფიქრე, იქნებ მოგვიანებით თავად გაგიჩნდეს სურვილი, უფრო მეტი მომიყვე ამის შესახებ. ისე, შენი ნებაა. შენა გვინდა, კრომერივით მოგვეტყვი?“

„არა, მაგრამ ძალიან ვეღარაფერი ხომ არ იცი“.

„ძალიანად არა. მე მხოლოდ ჩემი ვარაუდება გამაჩნია. შენ ხომ გყვარა ჩემი, რომ კრომერივით არ მოგვეტყვი? არ მინდა, რაიმეთი დაგავალდებულო.“

რამდენიმე ხანს ჩემად ვიდექით. თითქოს უფრო დამშვიდებულად ვგრძობდა თავს. ერთი რამ გამოცანად რჩებოდა ჩემთვის, საიდან იცოდა ღმერთმა ამდენი რამ ჩემზე.



„ახლა წავედით სახლში, — თქვა მან და საწვიმარში მჭიდროდ გაეხვიო, — რადგან ჩვენ ასე შორს შევტოპეთ, ერთი რამ მინდა ვთხოვო, თავი დაანებე იმ ბაჭს. თუ სხვაგვარად არ გამოვა, ძვირად დაუჯდება იცოდნე მესამდობა, ძალიან კარგს იზამ, თუ შენ ასე მოიქცევი. მეც დავეხმარები ძამს“.

თავიდახ შიშმა მომიცვია. კაენის ამბავი გამახსენდა ისევ ამან შემაძრწუნა და აეცირდი. რამდენი ამოუცნობი, შემზარავა რამ ხდებოდა ჩემს ქვეყანაში.

„კარგი, — გაიცანია მაქსმა, — ახლა წადი შინ. გვეყოფა ამაზე ლაპარაკი. შენებ მოკვლა ყველაზე ადვილი და საუკეთესო საშუალება იყოს ამ შემთხვევაში, რადგან ცუდ კაცს ჰყავხარ გამოჭერილი“!

სახლში დავბრუნდი. მომეჩვენა, თითქოს ერთი წელი ვიყავი გზაში. ყველაფერი შეიცვალა; კრომერის წინააღმდეგ იმედი გაჩნდა. მე მარტო აღარ ვიყავი ჩემს საიდუმლოსთან. მხოლოდ ახლა შევიგრძენი, რა შეშინებულმა ვაქტარე თვე. არავითხელ მაფაქრია და ახლაც გამიელვა თავში ასეთმა ფიქრმა, რომ აღბათ ჩემი მშობლების ღოცვამ მიშველა და შემამსუბუქა სასჯელი, რადგან თუ არა, ცოტათი მაინც. ვიდაც უცხოვს წინაშე აღსარებამ ვა მვება რომიტანა, მიხსნა განსაცდელისაგან. უნდა გამოვიტყდეთ, შიში კარგა ხანს ვერ დავძლიე, კიდევ ველოდი კრომერის გამოსი, როგორ გავოცდი, როცა ამ ყველაფერმა ასე მშვიდად და წყნარად ჩაიარა.

შეწყდა კრომერის სტვენა ჩემი ფანჯრების წინ. გავიდა ირი დღე, ერთი კვირა, არ მჯეროდა. სულიერად დაძაბული ვიყავი, მაინც მეგონა, უცხად, მოულოდნელად გამოჩნდებოდა ისევ, მაგრამ აღარ გამოჩენილა, და ამ უჩვეულო თავისუფლებას ცოტა არ იყოს უნდობლად ვუყურებდა. ერთხელ პატარა ქუჩაში ჩამოვდიოდი, შორს კრომერს მოვკარი თვალი, პირდაპირ ჩემკენ მოდიოდა, მაგრამ დამინახა თუ არა, შეკრთა, სახე დაემანჭა, შეტრიალდა და იქაურობას გაუცვალა.

გაუგონარი რამ მოხდა, ჩემი დაუძინებელი ძტერი ჩემგანვე გარბოდა. სატანას ჩემი უშინოდა. საიცარმა სიხარულმა და მოულოდნელობის გრძნობამ შეშინებია.

იმ დღეებში ერთხელ კიდევ შემხვდა დედაჩი. სკოლის წინ შელოდებოდა: „სალამი ღვთისა“, — ვთქვი მე.

„დილა მშვიდობისა, ზინკლაირ, გამაკებინე ერთი, როგორა ხარ, დავანება კრომერმა თავი?“

„ეს შენ გააკეთე? კი მაგრამ, როგორ? რანაირად? გაოცებას ვარ, მოლიანად ჩამომშორდა“.

„ძალიან კარგი, თუ ოდესმე კიდევ გამოჩნდება, ვფიქრობ, ვერ გაბუღავს, მაგრამ თუ გაბუღა და მოვიდა, ჩემი სახელი უხსენე მაშინვე“.

„როგორ მოახერხე? საქმე გაურჩაე? სცემე?“

„არა, მასხათი რაღაცები არ მიყვარს. უბრალოდ, დაველაპარაკე. აი, როგორც ახლა შენ ველაპარაკები, ისე. ავუხსენა, თუ თავს არ დაანებებ, ძვირად დაგიჯდება-შეიქი“.

„ფულიც არ მიგიცია?“

„არა, ჩემი კარგო, ვე ხერხი ხომ შენც გქონდა ნაცადი“. იმდენი შევიტხვეზი დავაყარე, გამექცა, თავი გაინთავისუფლა ჩემგან და ისევ დაერჩი მარტო, ჩემს მტანჯველ გრძნობებთან, შიშსა თუ განცვაფრებასთან, მაღლიერებასა თუ მოკრძალებასთან და შინაგან წინააღმდეგობებთან. უცნაურად რომ არეულიყო ერთიმეორეში.

ვიფიქრე, მალე შეეხედებოდი დემიანს და უფრო მეტს მოეუთხოვდი ამა-
ზეც და კაენის ამბავსაც უკეთ გამოვკითხავდი, მაგრამ საქმე აქამდე აღარ
მისულა.

მადლიერების მოთხოვნას ვერ ჩავთვლით ზნეობრივად გამართლებულად,
მით უმეტეს ბავშვებში, ჩემი აზრით, ეს არაა მართებული. ამიტომაც არ
განვიცდიდი მწარედ დემიანისადმი ჩემს უმადურებას. ედვინს ვხედავდი გადასახე-
დიდან რომ ვუფიქრებდი, ვხედები, როგორ წავხდებოდა, ~~დემიანს რომ არ და-~~
ვეხსენი კრომერის კლანჭებიდან. ეს განთავისუფლება ჩემი ცხოვრების უმ-
ნიშვნელოვანესი წუთები იყო, რაც მაშინვე შევიგრძენი და აღვიქვი, თუმცა ჩე-
მი განმათავისუფლებელი სასწაულის მოხდენისთანავე მივატოვე.

მაგრამ გასაკვირი ჩემი უმადურება კი არა, ჩემი ცნობისმოყვარეობა იყო,
მოუსვენრობამ შემიპყრო, ვცდილობდი როგორმე ჩავწვდომოდი დემიანის სა-
იდუმლოებას, ასე რომ ამაფორიაქა. ვეღარ ვიკავებდი სურვილს, მიხლოდ-
მეტი გამეგო კაენის ამბავზე, თვითონ მასზედ და აზრთა წაკითხვის ხელოვნება-
ზე.

შეიძლება არც დამიჯეროთ, მაგრამ თავს დემონური ბადიდან გამოხსნილად
ვგრძნობდი. ჩემ წინაშე კვლავ ნათელ ფერებში გადაიშალა სამყარო. აღა-
რაფერი იყო მასში შიშის მომგვრელი, სულის შემძვრელი, გულის შემზუთვე-
ლი. დაიმსხვრა ჯადო, მე აღარ ვიყავი წამებული, განწირული, ისევ სკოლის
მოწაფე ვიყავი, როგორც ყოველთვის. მთელი არსებით ვიბრუნებდი ისევ სიმშ-
ვიდეს, წონასწორობას. ვცდილობდი დამევიწყებინა, მთელი ძალის შეწევნით
განმედევნა ჩემგან, რაც მახინჯი და შიშის აღმძვრელი იყო. საოცრად მალე
ამომივარდა მეხსიერებიდან მთელი ეს ამბავი ჩემი დანაშაულისა და დაშინებისა,
არავითარი კვალი და შთაბეჭდილება არ დაუტოვებია ამას ჩემზე.

დღეს უკვე ვხედები, ყველაფერ ამასთან ერთად რატომ ვცდილობდი ჩემს
მშველელისა და მხსნელის დაეიწყებასაც. მიხლოდა თავიდან ამომეგდო ის, რაც
ამ ამბავს გამახსენებდა. რადგან კრომერის საზარელი მონობის შემდეგ კვლავ
აღმოეჩინე სამოთხე, ჩემი დაავადმყოფებული სული კვლავ დაუბრუნდა მშო-
ბლიურ კერას, სადაც ყოველთვის ბედნიერად და უშფოთველად ვგრძნობდი
თავს. კვლავ დაუბრუნდი ჩემს დებს, უძანკო ბავშვობას, დვთის რჩეულ აბელს.

იმავე დღეს, დემიანთან მოკლე საუბრის შემდეგ, მთელი სიმძაფრით
შევიგრძენი და დავრწმუნდი, მოპოვებული თავისუფლების უსაფრთხოებაში.
აღარაფერი იყო საშიში. ამის პერე მოვიმოქმედე ის, რისი სურვილიც კარგა
ჯანია მწვაედა — აღსარება ვთქვი. დედასთან მივედი, სათამაშო მარკებით ამო-
ვსებული გატეხილი ყულაბა ვუჩვენე და მოვუყვი, რამდენ ხანს ვეწამე ბო-
როტი მტანჯველისაგან. რა თქმა უნდა, მთლად ვერ გამიგო, მაგრამ დაინახა
რა ჩემი შეცვლილი მზერა, ჩემი შეცვლილი ხმა, მის თვალებში ამოვიკითხე,
რომ გამოვჯანმრთელდი, ხელახლა დავიბადე.

და მე სულში, მთელი არსებით, ხელახლა დაბადება, უძლები შვილის დაბ-
რუნება ვიდღესასწაულე. დედამ მამასთან წამიყვანა, ყველაფერი ხელახლა
მომაყოლა, ათასი კითხვა, განცვიფრებული შეძახილები დამაყარეს. შეწუხე-
ბული მშობლები თხრაუდნენ და მეაღერსებოდნენ. ყველაფერი გაირკვა, ყვე-
ლაფერმა მშვიდად, პარმონიულად ჩაიარა, როგორც ეს ზღაპრებში ხდება.

მეუცხოებოდა ეს პარმონია. ვეღარ ვიჯერებდი კვლავ მოპოვებულ ბედ-
ნიერებას და მშობელთა ნდობას. ისევ სანიმუშო ბიჭი გავხდი. უფრო მეტს ვთა-
მაშობდი ჩემს დებთან, ვიდრე თდეხმე. ლოცვისას თავდავიწყებით, ისეთი

გრძნობით ემღეროდი, თითქოს ახლად მიმეღო სარწმუნოება და ამას ყველაფერს გულწრფელად, ყოველგვარი სიყალბის გარეშე ვაკეთებდი.

მაგრამ რაღაც მაინც მღრღნიდა შინაგანად, რაც ალბათ დემიანის დავეწყებით იყო გამოწვეული. პირველად იმას გავეჩნდე, შეიძლება გული სამარხულად და ამადელეებელი არ იყო ეს აღსარება, მაგრამ მაინც აღსარება ერქვა და ჩემთვის შედეგიც გამოიღო. ამით კვლავ გავიმაგრე ფესვები ჩემს უწრფელ სამოთხისეულ სამყაროში. დავბრუნდი და შემინყაღეს. არც დემიანს უნდა გეგბოდა ჩვენს სამყაროს. ისიც სხვანაირი იყო, უფრო სხვანაირი, ვიდრე კრომერი, მაგრამ მაინც მაცდური. მანაც დამაკავშირა მეორე ბოროტ, გაუგებარ სამყაროსთან, რომლისასაც ვერასოდეს გავიგებდი. ახლა აღარ მინდოდა და არც შემემძლო აბელი დამეგმო და კაენი განმედიდებინა, ახლა როცა თავად ისევ აბელი გავხდი.

ეს ყველაფერი ასე ქდერდა გარეგნულად, შინაგანად კი სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა. მე გამოცხთავისუფლდი კრომერისა და ეშმაკის ხელიდან, მაგრამ არა საკუთარი ძალითა და მცდელობით; შევეცადე ცხოვრების ბილიკებზე ტყბეტიალა, მაგრამ საკმაოდ მოღიაბული გამოდგა ჩემთვის და რომ არა შეგობრული ხელი, რა გადამარჩენდა. მე კი ისე გავაქეცი, გვერდზე არც გამოხედა. გავიქეცი და დედის კალთას, უსაფრთხოებას შევაფარე თავი, უზრუნველ გაემსობას დაუბრუნდა... და უფრო ბავშვური, დამოკიდებული და პატარა გავხდი, ვიდრე ვიყავი. რომ არა ასე, მაშინ კრომერზე დამოკიდებულება ახლათ უნდა შემეცვალა, რადგან მარტოს არ შემემძლო სიარული. ამიტომ ჩემი ჭკუით მშობლებზე დამოკიდებულება ვარჩიე. ნათელ, ლამაზ სამყაროში ვარჩიე ყოფნა, თუმცა უკვე ვიცოდი, რომ ეს სამყარო არ იყო ერთადერთი ამ ქვეყანაზე. ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ დემიანის უცნაურ აზრებს ვერ მივეჩნდე. ეს არ ყოფილა შიში. დღეს ვხვდები, რომ შეიძლება დემიანს უფრო მეტი მოეთხოვა ჩემგან წაქეზებითა თუ გაფრთხილებით, აბუნად აგლებითა თუ ირონიით, ჩემი თავისთავადობა რომ გამოეღვიპებინა. (არაფერია ამქვეყნად ადამიანება-ხოთვის იმაზე დიდი ტანჯვა, იაროს იმ გზაზე, რომელზეც საკუთარ თავს აღმოაჩენს.)

მაინც ვერ გავუძელი ცდუნებას და ერთი წლის შემდეგ სეირნობისას მამას ვკითხე: „რატომაა რომ ზოგი ადამიანი კაენს უფრო აფასებს, ვიდრე აბელს?“

საოცრად განცვიფრდა. არ მოელოდა ჩემგან ასეთი უაზრობის თქმას. ამიტანა, რომ დრომ მოიტანა ასე, სექტანტებს უკვე შესწავლილი ჰქონდათ ეს საკითხი და ზოგი თავს კაენის მიმდევრადაც სთვლიდა. მაგრამ ეს სხვა არაფერია, თუ არა ცდა ეშმაკისა, დაგვიმსხვრიოს ქრისტიანული რწმენა. კაენს თუ გავამართლებთ და აბელს უსამართლობას დავწამებთ, მაშინ გამოვა, რომ ღმერთი შეცდა, არც ბიბლიაა ჭეშმარიტი მოძღვრება და ეს ყველაფერი სიყალბეა. არ წყენდათ კაენის მიმდევრებსაც ჭეშმარიტი მოძღვრება შეესწავლათ და ექადავათ, მაშინ კაცობრიობის ისტორიიდან დიდი ხნის განდევნილი იქნებოდა ასეთი მკრეხელობა. გაოგნებული მამა ვერაფრით ვერ მიმხვდარიყო, საიდან უნდა მოედნოდა ასეთი რამ და სასტიკად გამაფრთხილა ამომეგდო თავიდან ამგვარი აზრები.

თავი მესამე

აზაზაკები



აღბათ უფრო მშვენიერი და სასიამოვნო იქნებოდა, მეტი დამეწერა ჩემს ბავშვობაზე, ბავშვურ სიყვარულზე, თამაშზე, ჩემს უზრუნველ ცხოვრებაზე საყვარელ მშობლიურ გარემოში. მაგრამ მე მხოლოდ ცხოვრებაში გადაკმული ის ნაბიჯები მაინტერესებს, რამაც საკუთარ თავში შექმნიანა. შორეულ ბრწყინვალეობაში დაუტოვე ყველაზე მშვენიერი, ბედნიერების კუნძული და სამოთხე, რომელია მომავალდობილი ძალაც ჩემთვის ამოუცნობი არ დარჩენილა, მაგრამ ხელახლა მიბრუნება აღარ ვისურვე.

რაც აქამდე მოგითხროთ, იყო ძირითადად ის, რამაც ახალი შემოიტანა ჩემს სულში, ჩემს ცხოვრებაში. ეს ახალი ბიძგები ყოველთვის „სხვა სამყაროდან“ შემოდიოდა. თან მოქმედებდა შიში, ძალადობა, უხანდისობა და მოუხვეწრობა. არადა, რა სიამოვნებით განვაგრძობდი მშვიდ ცხოვრებას!

ვადიოდა წლები. მუშაობდით ისაკი და ჩემს არსებაში იღვიძებდა იმპულსები, რასაც ნორმალურ და ნათელ სამყაროში კიდევ უფრო უნდა ჩავეთრიე და ჩავეძირე. როგორც ყოველ ადამიანს, მეც მოულოდნელად დამატყდა თავს სქესობრივი მომწიფების ჩახა, როგორც დამანგრეველი მტერი. ცდუნება თუ ცოდვა. ჩემი ვადვიძებული ცნობისმოყვარეობა, ჩემი სიზმრები მიმსაც მგვრიდა და სიხარულსაც. რადგან სქესობრიობის იღუმალი შეგრძნება საერთოდ არ ესადაგებოდა ჩემს ბავშვურ ფსიქიკას. და როგორც ყველამ, მეც ორმაგი თანაში დავიწყე: ვთამაშობდი ბავშვს, თუმცა მე უკვე აღარ ვიყავი ბავშვი. ცხოვრობდი ჩემს მშობლიურ ბედნიერ და მშვიდ სამყაროში და გარეგნულად ვწინააღმდეგებოდი ამ ახალ გამოუცნობ სამყაროს. მაგრამ სიზმრებსა თუ ოცნებებში მაინც ასედა თავს ჩემი მისწრაფებები და იღუმალი სურვილები, რაც საფრთხეს უქმნიდა და დამსხვრევით ემუქრებოდა ჩემს ბავშვურ სამყაროს.

სხვა მშობლებსა არ იყოს, ვერც ჩემები მეხმარებოდნენ ჩემს არსებაში გამოღვაძებული ცხოვრებისეული ინსტინქტების გაცნობიერებაში; ეს აკრძალულ თემად ითვლებოდა. სამაგიეროდ არავითარ ძალას არ იშურებდნენ კვლავ განმეგრძო ცხოვრება ჩემს ბავშვურ, უზრუნველ სამყაროში და უარმყო ხანამდვილედ, არადა, ჩემი სამყარო სულ უფრო და უფრო არარეალური და ფაბლი ხდებოდა. ვერ ვეტყვით. შეუძლიათ კი მშობლებს საერთოდ ამ საკითხში დახმარება. ამიტომაც ვერ განვსჯი მათ. ყოველ შემთხვევაში ამით იმის თქმინდა, რომ მე მარტოს უნდა შეპოვა საკუთარი თავი და ჩემი გზა, რაშიც მარტო განვიცადე, როგორც ბევრმა მოწიფულმა.

მეტნაკლებად ყველა ადამიანი განიცდის ამ სიძნელეებს და შეიძლება უმოთხერეს სიძნელედაც ჩაითვალოს ცხოვრებაში. ეს ცხოვრებისეული შინაგანი მოთხოვნები მძლავრად ეხეთქება გარემომცველ სამყაროს და წინსვლა უკვე მწარე ბრძოლის ფასად უჯდება ადამიანს. ბევრი კვდება, ბევრი კი ხელახლა იბადება. ეს არის ჩვენი ბედისწერა. ცხოვრებაში მხოლოდ ამ ერთხელ ვხედავთ, როგორ იმსხვრევა ბავშვობა, როცა ყველაფერი, რაც გვიყვარს, მივუტოვებთ. უცბად მარტონი აღმოჩნდება და მომაკვდინებლად შევიგრძნობთ ცივ სამყაროს, უშეტესობა სამუდამოდ ვერ გამოდის ამ მღვთმარეობიდან და მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მტკიცუნულადაა მიჯაჭვული დაუბრუნებელ წარსულთან და ოცნებასთან დაკარგულ სამოთხეზე. ესაა დამღუპველი და გამანადგურებელი ჩვენი ცხოვრებისა.

ჩემს ამბავს დაუბრუნდები. იმ შეგრძნებების გადმოცემა, რამაც ჩემი ბავშვობის დასასრულს ვხედავდი, არაა საინტერესო. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ჩვენ გვერდით არსებული, წყვედადით მოცული ის მეორე განსხვავებული სამყარო, რაც ერთ დროს კრომერის სახით ჩემსაც შემოიღო და ამარხა.



კრომერთან თავგადასავლის მერე უკვე რამდენიმე წელმა უხელოდ ამ გადასახედიდან ერთ უმნიშვნელო ამბადლა მეჩვენებოდა, რომელსაც მჯდლაჯუნა, ისე მომეხსნა და აღარაფერში გადაზრდილა. ყრანც კრომერი საერთოდ გაქრა ჩემი ცხოვრებიდან, ერთხელ შემხვდა და ძლივსდა ვაცანი მაგრამ ამ ტრაგედიის მეორე მნიშვნელოვანი ფიგურა მაქს დემიანი მოლიანად არ ამოვარდნილა ჩემი მეხსიერებიდან. თითქოს სადღაც გონების მიღმა იდგა, ხელ-ხელა მოაბიჯებდა ჩემკენ, მოახლოვდებოდა, თან ძალა და ხეგავლენა მოქმედებდა კვლავ.

ვცდილობ ვავიხსენო, რა ვიცოდი მაშინ დემიანზე. იმ ამბის მერე ერთი წელი საერთოდ არ მინახავს, გავერბოდა და არც ის იკვლავდა თავს ჩემთან შესახვედრად. ერთხელ შემთხვევით ვნახე, უხმოდ დამაკრა თავი და მის ქცევამ რაღაც დაცინვის თუ საყვედურის მსგავსი ამოვიკითხე, არ უფრო იქნება მომჩვენა კიდევ - რაც მასთან გადამხდა, ის იშვიათი ხეგავლენა, ჩემზე რომ ექონია, თრივესგან დავაწყებებს მიუცა. არც მე, არც მას არასოდეს ვაგვიხსენებია ეს ამბავი.

მერე ასეთი რამ დამეწყო, თვალებით ვეძებდა მას და ვაფიქრებაც ვბრუნდოდა, რომ ვგრძნობდი, ის უკვე ახლოს იყო სადღაც, ხშირად დამინახავს სკოლაში მიმავალი, მარტო ან უფროს კლასელებთან ერთად. გამოცვლილი ჩანდა უფრო გაუცხოებული, მღუძარე, საკუთარ თავში ჩამორული მის ნათელ შუბლს ვარსკვლავები დასთამაშებდა თითქოს, არავის უყვარდა იგი და არც არავინ იყო მის საახლოვეს. ერთადერთი ადამიანთან ჰქონდა ახლო ურთიერთობა - დედასთან, თუმცა არც ამ ურთიერთობაში ტოვებდა იგი შეიღობს, ბავშვის მოაბეჭდილებას. აქაც ზრდასრულს ჰგავდა უფრო, მასწავლებლები მოკრძალებით ეპყრობოდნენ, ბევრს არ ითხოვდნენ მისგან. შესანიშნავი მასწავლებელი იყო, მაგრამ არასოდეს უცდია ვინმესთვის მოეწონებანა თავი, გამიფიქრია, რომ ხანდახან მასწავლებლებისათვის ირონიული შენიშვნებიც მიუცია მისი ამგვარი საქციელი მაღიზიანებდა.

ახლაც თვალებს ვხუჭავ და დემიანის სახეს ვხედავ, მახსენდება, ერთხელ იდგა ჩვენი სახლის წინ, ხელში უბის წიგნაკი ეჭირა და ჭიშკარზე ჩამოვიდებოდი ძველი გერბიდან ჩიტს იხატავდა. ფანჯარასთან, ფარდის უკან ვიდევნი და ვაკვირდებოდი. ვანცვაფრებას ვერ ვიოკებდი; საოცრად შთამბეჭდავია, გონიერებითა და ნებისყოფით აღსავსე სახე ჰქონდა. ნათელი ვადასდიოდა, ეს იყო სახე ადამიანის, შემოქმედისა და ხელოვანის, უსაცოცხლო, ჭკვიანი თვალები უცნაურად უბრწყინავდა.

ერთხელაც ვნახე ასეთი დემიანი; ქუჩაში წაქცეულ ცხენს დავჩერებოდი ბავშვები. ცხენი ხროტიხებდა, საცოდავად ებერებოდა ნესტოები, ცდილობდა პაერი შეესუნთქა. საიდანღაც სასხლი სდიოდა და იქაურობა წითლად იღებოდა. გულისრუვის შეგრძნება გამიჩნდა, ცხენს თვალის მოვაშორე და დემიანის სახეს წაეაწყდი. ჩვენგან მოშორებით იდგა (მოძხიბვლელი, წარბშეუხრელი და შეუბოვარი) გამოხედვაში ჰქონდა რაღაც ფანატაგური დიდხანს რომ მიუქირა, ალბათ მივხვდებოდი, შეიძლება გაუცნობიერებლად, მაგრამ მაინც შე-

ვიგრძნობდი მის რაღაც განსაკუთრებულობას. ეს არ იყო არც ბავშვის, არც ნამაკაცის, არც მოზრდილის სახე, ეს იყო კიდევ რაღაც ამოუცნობი. (ეს იყო სახე ათასწლოვანი, გაურკვეველ სივრცესა და დროში განფენილი.) მხოლოდ ცხოველები, ხეები თუ ვარსკვლავები გამოიყურებოდნენ ასე. მაშინ ვერაფერს ვხვდებოდი, ვერ ვგებულობდი. ახლა მოზრდილის თვალთახედვით შემიძლია ვთქვა, რომ რაღაც ამდაგვარი ჰქონდა დემიანს. მომწონდა იგივე, პირიქით, მაღიზიანებდა, არ ვიცა. მხოლოდ იმას ვამჩნევდი, ურთიერებას, ჩვენგან გამორჩეული იყო. როგორი, ზუსტად ვერ გეტყვით. მაგრამ ცხოველივით, მოწვევებასავით თუ ქანდაკებასავით იდგა, იდგა წარმოუდგენლად უცხოდ, ვიდრე ჩვენ ყველა.

მეტს ჩემი მეხსიერება არაფერს მეუბნება. ეს ყველაფერი შეიძლება გვიანი შთაბეჭდილებებიდანაც მოდიოდეს, რადგან მერე, ცოტა დიდ ასაკში დემიანს უფრო დაუუახლოვდი.

დემიანი არ იცავდა ქრისტიანულ წეს-ჩვეულებებს, ეკლესიაში არ დადიოდა. უამრავი ჭორი შეიქმნა მის გარშემო. ზოგი ამბობდა, ებრაელიაო, ურჯულოაო, ზოგი იმასაც ამტკიცებდა, დედა-შვილი სექტანტები არიანო. ასეთი ეჭვიც გაჩნდა, თითქოს დემიანს სხვაგვარი ურთიერთობა ჰქონდა დედამისთან. ეს მითქმა-მოთქმა შეიძლება იმანაც გამოიწვიოს, რომ დემიანი რელიგიურ აღზრდას არ იღებდა, არ ესწრებოდა კონფირმაციის გაკვეთილებს. (შეიძლება იმას მის მომავალზე ცუდად ემოქმედა და ამიტომ დედამისმა, ორი წლის დაგვიანებით, გადაწყვიტა მიეღო დემიანს რელიგიური აღზრდა და ისე დაემთხვა, რომ ის ჩემს კლასში მოხვდა.

ერთ ხანს შორს ვიჭერდი თავს. ჭორებითა და იღუმალებით ისე იყო გარემოცული მისი პიროვნება, რომ არ მინდოდა რაიმე ურთიერთობა მქონოდა მასთან. თან უფრო ვალდებულების გრძნობა მაწუხებდა, კრომერთან ჩხუბის შემდეგ რომ დამრჩა. (კონფირმაციას სწორედ მაშინ გავდიოდით, როცა სქესობრივ მომწიფებას ვგრძნობდი და უამრავი საკითხი გაურკვეველი და საიდუმლოებით მქონდა მოცული.) მიუხედავად ძლიერი ნებისყოფისა მაინც დათრგუნვილი იყო ჩემი ინტერესი ღვთისმოსავი კეთილი შეგონებებისადმი. მღვდლის საუბარი ჩემგან შორს, სადღაც მიღმა, წმინდა არარეალობაში განისვენებდა. კი, იყო აქ მიმზიდველი, ყურადსაღები შეგონებანი, მაგრამ არ მაინტერესებდა, არც მალეღვებდა. ეს ყველაფერი გადაჭარბებული მეჩვენებოდა.

სულ უფრო და უფრო გულგრილი ვხდებოდი ამ გაკვეთილისადმი, სამავიეროდ იზრდებოდა ჩემი ინტერესი დემიანისადმი. მეჩვენებოდა, თითქოს რაღაც იღუმალი ძაფი გვაკავშირებდა ერთმანეთთან და ამ ძაფს შეძლებისდაგვარად ზუსტად უნდა გავყოლოდი. (რამდენადაც მახსოვს, ჩვენი ურთიერთობა ასე დაიწყო: გაკვეთილზე ვისხედით, მოძღვარი აბელისა და კაენის ამბავს გვიკითხავდა. ძლივს ვუსმენდი, არაფერი გამეგებოდა, მოვლემდა. უცბად მოძღვრის მაღალი, შემართული ხმა მომხვდა ყურში, კაენის ნიშანზე ლაპარაკობდა. გაურკვეველმა აღშფოთებამ თუ მოუსვენრობამ მომიცვა. უნებურად წინა რიგებისაკენ გავიხედე. დემიანი მომჩერებოდა ნათელი, მრავლისმეტყველი თვალებით, დაცინვაც იგრძნობოდა მასში და სერიოზულობაც. ერთ წუთს მიყურა ასე.) ამის მერე კი თითქოს თავისთავად მივენდე მოძღვრის სიტყვებს. უცბად ისეთი გრძნობა დამეუფლა, რომ მართლაც შეიძლებოდა ამ ამბის სხვაგვარად განხილვა და გაგება.

აქედან გაიბა ჩემსა და დემიანს შორის უხილავი კავშირი. კვლავ შემოადწია ჩემში ამ გარდაუვალმა დამოკიდებულებამ და მე მისი მაგიური ზეგავლე-

ნას ქვეშ მოვექცევი. ვერ გამერკვია, დემიანმა შესძლო ამის გაკეთება, თუ უბრალოდ დაემთხვა. მაშინ ჯერ კიდევ მჯეროდა შემთხვევითობისა. რამდენიმე დღის შემდეგ დემიანმა რელიგიის გაკვეთილზე მოულოდნელად შეიცვალა ადგილი. ჩემ წინ დაჯდა (ახლაც კარგად მახსოვს, როგორ მსიამოვნებდა ამდენი არარაობით სავსე საკლასო ოთახში მისი კეფის მზერა, მისი საამო სურნელის შესუნთქვა). გავიდა კიდევ რამდენიმე დღე, ამჯერად დემიანი ჩემ გვერდთან დაჯდა და მთელი სასწავლო წელი გვერდი-გვერდ ვისხედით.

მთლიანად შეიცვალა ჩემთვის რელიგიის გაკვეთილები. თუ ადრე არ მიყვარდა, ახლა ეხარობდი. ერთი სული მქონდა როდის დაიწყებოდა. ორივე გაუციატებით ვუგდებდით ყურს მოძღვარს. საკმარისი იყო დემიანის ერთი შემოხედვა, ან ერთი ფრაზა, რომ მაშინვე სხვაგვარი აზრი მიჩნდებოდა მოძღვრის მონაყოლზე, ზოგჯერ თუ არ გვაინტერესებდა, არც ვუსმენდით და რაღაცებს ვაკონებდით. არ მახსოვს დემიანს თავის თანაკლასელისათვის დაეცინა ან ეჭირავა და ელაზღანდარავა ვინმესთან. მასწავლებელსაც არასოდეს მიუცია მისთვის შენიშვნა. (მან ამიხსნა, თვალებით როგორ ამომეცნო ადამიანი და ამით ვერობდით. ეს ძალიან უცნაური რამ იყო. მაგალითად, მუუბნებოდა, რომელი მოსწავლე აინტერესებდა და როგორ უნდა ამოეცნო იგი. ზოგს მართლაც ზედმსწევნით ზუსტად ახასიათებდა. ლექციის წინ მეტყვოდა ხოლმე, ცერა თითით განიძნებ და ესა და ეს მოსწავლე ჩვენკენ გამოიხედავსო. მართლაც, გაკვეთილზე, მე რომ საერთოდ აღარ მახსოვდა, სწორედ მაშინ მანიშნებდა და მითითებული მოსწავლეც, თითქოს ვიღაცამ მოჰქაჩათ, ჩვენკენ იხედებოდა გაკვირვებული და თვალებით რაღაცას გვეკითხებოდა. კთხოვე ასეთი რამ მასწავლებელზეც ეცადა, მაგრამ უარი მითხრა. ერთხელ გაკვეთილი არ მქონდა მომზადებული და კშიშობდი არ გამოვეძახე მასწავლებელს. დემიანმა იცოდა ეს, როცა გაკვეთილი დაიწყო, მასწავლებელმა მაინცდამაინც ჩემზე შეაჩერა მზერა, ის იყო პირი უნდა გაეღო და ჩემი გვარი წარმოეთქვა, რომ უცბად დაბნეულობა შეეტყო, რაღაცამ ააფორიაქა და რომ არ იცოდა რა ექნა, უაზროდ საყელოზე წაივლო ხელი, შემდეგ დემიანისაკენ გადადგა ნაბიჯი; ეს უკანასკნელი კი ისე შეუპოვრად უყურებდა თვალეში, თითქოს რაღაცის შეკითხვას აპირებო. გაოგნებული მოძღვარი ჩვენს მერხს გამოიღო, უხერხულობის გასაფანტავად ჩაახველა და სხვა მოსწავლე გამოიძახა.)

(ამ ამბავმა საოცრად დამაინტერესა. მოგვიანებით მივხვდი, რომ ასეთ ოინს ჩემ მიმართაც ხშირად სჩადიოდა დემიანი. ერთხელაც, სკოლიდან შინ ვბრუნდებოდი, ზურგს უკან მზერა ვაგრძენი, მივიხედე. იქ მართლაც იდგა დემიანი და მიყურებდა.)

„შეგიძლია გააკეთო, სხვამ ის გაიფიქროს, რაც შენ გინდა?“ — დავინტერესდი მე.

დემიანი კარგ გუნებაზე ჩანდა. „არა,— მომივო მან მშვიდად და თავდაჯერებით, — ეს არ შეიძლება. უფრო სწორად, ადამიანს არა აქვს ამის უფლება, თუნდაც მოძღვარი იყოს იგი. ყველამ ის უნდა ვიფიქროთ, რაც გვსურს. მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით ადამიანს, შეიძლება ზუსტად ჩავწვდეთ მის ნაფიქრს და ნაგრძნობს, ისიც შეიძლება წინასწარ განვჭვრიტოთ, რას მოიმოქმედებს ამა თუ იმ წუთში. ეს ძალიან იოლია, ცოტა გაეარჯიშება უნდა. მაგალითად, არის გარკვეული სახის ჯიში — დამის პეპლები, რომლებშიც მდებარები იშვიათობაა. თუმცა ეს პეპლებიც ჩვეულებრივ მრავლდებიან. მაშრი ანაყოფიერებს მდებარს, ეს უკანასკნელი კი დებს კვერცხებს, მკვლევართა დაკვირვების შე-

დეგად აღმოჩენილია, რომ თუ ვინმეს ამ ჯიშის მღვდრი პეპელა ჰყავს სახლში, მას უამრავი მამრი ეტანება. ღამე საათობით მოფრინავენ მასთან მამრი პეპლები. თითქმის კილომეტრების მოშორებით გრძნობენ ეს მამრები ერთადერთ მღვდრის ადგილსამყოფელს და იქ მიფრინავენ. ამის ახსნა ძნელია, რატომ ხდება ასე. ალბათ ყნოსვითი შეგრძნება, თუ რაღაც ამდაგვარია მათში მძლავრად განვითარებული. მონადირე ძაღლებივით სწრაფად პოულობენ ეს მამრები მღვდრის კვალს და მიჰყვებიან მას. ხულები? ბუნებაში ბევრად უფრო აქტიური ამოუცხოები. ჩემის აზრით კი, ამ პეპლებში მღვდრებიც იმდენივე რომ იყვნენ რამდენიც მამრები, ისინი ასეთი მგრძნობიარენი აღარ იქნებოდნენ. ცხოველი თუ ადამიანი მთელ თავის ნება-სურვილს და ძალას იქითკენ თუ წარმართავს, რაც ყველაზე ძალიან სურს, მოიპოვებს კიდეც. ესაა მთავარი. ამ შემთხვევაშიც, შენ რომ შეკითხები, ასეა. თუ მოისურვებ და კარგად დააკვირდები ადამიანს, უფრო მეტს შეიცნობ მასში, ვიდრე თავად მან იცის“

ენის წვერზე მომადგა სიტყვები „აზრთა წაკითხვა“, რაც ღემიანმა ჩემთან გამოიყენა კრომერის ამბის გამოსაკითხავად. მაგრამ ჩვენ ორივეს უცნაური რამ გვჭირდა. არც ერთხელ, თუნდაც გადაკვრით, არ გავვიხსენებია ეს ამბავი. რა გულწრფელად შემოიჭრა მაშინ ღემიანი ჩემს ცხოვრებაში. ახლა კი ისე ვიქცეოდით, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ორივე ვვარაუდობდით ალბათ, რომ მეორეს დავიწყებული ჰქონდა. ისეც კი მომხდარა, ქუჩაში კრომერი შეგვხვედრია, მაგრამ ვითომც არაფერი.

„ხო მაგრამ, რას გულისხმობ ნება-სურვილში? — დამებადა ეჭვი, — შენ ამბობ ადამიანს არა აქვს უფლება თავისი ნება-სურვილი მოახვიოს ვინმეს და აქვე ამტკიცებ, რომ საკმარისია ადამიანმა თავისი ნება-სურვილი რაღაცისკენ წარმართოს და მიზანსაც მიაღწევს. რატომღაც ეს ორი რამ ერთმანეთს ეწინააღმდეგება. მე თუ ჩემს თავზე არ ებატონობ, მაშინ ვერც ჩემი ძაღლების მობილახულებას შევძლებ, ხომ ასეა?“

ღემიანმა მხარზე ხელი დამკრა. ასე იქცეოდა ყოველთვის მოწონების ნიშნად.

„კარგია რომ შეკითხები, — თქვა მან სიცილით, — ადამიანს ყოველთვის უნდა ებადებოდეს შეკითხვები, ეჭვები, მაგრამ ყველაფერი სულ სხვაგვარადაა, აი მომისმინე: პეპელამ თავისი სწრაფვა, სურვილი რომ მიმართოს ვარსკვლავის ან სხვა რაიმეს მიმართ, ვერ მიაღწევს და არც მიელტვის ამას. ის მხოლოდ იქითკენ მიისწრაფვის, რასაც მისთვის აზრი და მნიშვნელობა აქვს, რაც სჭირდება, მაშინ შეუძლებელსაც შესძლებს, თავის თავში მეექვსე გრძნობას განვითარებს. ამგვარი რამ სხვა ცხოველს არ გააჩნია. ყოველ ჩვენთაგანს უფრო ფართო შესაძლებლობა აქვს და, რა თქმა უნდა, უფრო მეტი ინტერესი, ვიდრე რომელიმე ცხოველს. მაგრამ ჩვენც პირობითად უფრო ვიწრო ჩარჩოებში ვართ ჩაკეტილები და გარეთ ვერ გამოვსულვართ. ხომ შემძლია ჩემი ფანტაზიით ჩრდილო პოლუსზეც გავფრინდე, ან სხვა ამდაგვარი მოვიგონო. მაგრამ გამოკვეთილად და მძლავრად უნდა მოვისურვო ის, რაც ჩემშია, რასაც მთელი ჩემი არსება მოუცავს. როგორც კი შემთხვევა მოგიცემა და როგორც კი შინაგან ბიძგს შეიგრძნობ, უნდა შესძლო შენი ძალ-ღონის მოკრება ცხენის მსგავსად და მთელი შენი ნება-სურვილი იქითკენ წარმართო. მაგალითად, მე რომ მოვიზნდომო ჩვენმა მოძღვარმა სათვალე აღარ ატაროს, ეს არ გამოვა. ეს ტყუილი თამაში იქნება. გახსოვს, მაშინ შენთან რომ გადმოვჯექი. ვგრძნობდი, ადგილი უნდა შემეცვალა. მტკიცედ მივიღე გადაწყვეტილება და კარგადაც გამომივიდა. გარემოებამაც

ხელი შემიწყო. სიამი ჩემ წინ ვინც ეწერა, ავად გახდა, ვინმეს დროებით ხომ უნდა გაეცვალა მისთვის ადგილი. მეც ხელიდან არ გავუშვი ეს შესაძლებლობა“.

„აი თურმე რა ყოფილა, მაშინ ვერ მივხვდი. შორიდან მზერით ვი ვიყავით ერთმანეთით დაინტერესებულნი, მერე სულ უფრო და უფრო მიახლოვდებოდი მაგრამ როგორ ხდებოდა ეს, არ შესმოდა. რატომ თავიდანვე ჩემთან არ დაჯექი?“

„ჰო, ჯერ შენ წინ დაჯექი; გრძნობით ვგრძნობდი, ადგილი რომ უნდა შე-
მეცვალა, მაგრამ ზუსტად სად მივდიოდა, არ ვიცოდი. თანაც სურვილი შენთან დაახლოებისა ჯერ კარგად არ მქონდა გაცნობიერებული. მერე კი შენგანაც ვი-
გრძენი რაღაც, რამაც მიმიზიდა და დამეხმარა ჩემი გადაწყვეტილება სისრულე-
ში მომეყვანა. შენ წინ რომ დაჯექი, მაშინ დავრწმუნდი მხოლოდ, რომ ჩემი სურვილი ნახევრად იყო შესრულებული. მაშინ მივხვდი, რომ შენთან უნდა დავ-
მჯდარიყავი“.

„ვგ როგორღა მოახერხე?“

„უბრალოდ, სწრაფად გადმოეჯექი, მართალია, ის ვისაც ადგილი გავუცვა-
ლე, გაოგნდა, მაგრამ წინააღმდეგობა ვერ გამიწია. მოძღვარმაც შეამჩნია ეს. ახლაც, როცა მხედავს, ვგრძნობ, რაღაც სტანჯავს, აწუხებს. იცის, რომ დემი-
ანი მქვია, II-თი იწყება ჩემი სახელი, არადა S-ის მერე ვწერივარ. რატომ? ვერ აცნობიერებს, ამაში ჩემი ნება ეწინააღმდეგება და ხელს უშლის გაიაზროს. ეს ამბავი, კარგი ადამიანია. იოლად ვიმორჩილებ. შეუპოვრად ვუყურებ თვა-
ლებში, ამის გაძლება კი ყველას უჭირს, აფორიაქებს. თუ ამგვარი შეუპოვარი მზერით ვერაფერს გააწყობ ადამიანთან, თავი უნდა დაანებო. ე. ი. არაფერი გა-
მოვივა მასთან. მაგრამ ეს ძალიან იშვიათია, ერთადერთ ადამიანს ვიცნობ ას-
ეთს“.

„ვის?“ — დაკინტერესდი. დაფიქრებულმა გამომხედა, მაგრამ მალევე ამა-
რიდა მზერა და არაფერი მიპასუხა. მიუხედავად მწველი ინტერესისა, კითხვის გამეორება ვერ გავბედე.

ახლა ეხვდები, თავისი დედა იგულისხმა. საოცრად მეგობრული დამოკი-
დებულება მქონდა მასთან. დედაზე არაფერს მელაპარაკებოდა, არც სახლში მიყვავდი. ისიც არ ვიცოდი, როგორი იყო გარეგნულად.

ზოგჯერ ვცდილობდი დემიანისთვის მიმებაძა და ჩემი ნება-სურვილით ნიმელწია რაიმესთვის. ის კი არადა, მქონდა თავხედური სურვილები, საკმაოდ თავხედურიც კი, დემიანსაც რომ ვერ ვუმხელდი. ვერც ვბედავდი და არც ის მე-
კითხებოდა. თუმცა არაფერი გამომდიოდა.

ჩემმა რწმენამ რელიგიაში ცვლილებები განიცადა. მართალია, დემიანის ზეგავლენასაც განვიცდიდი, მაგრამ კლასშიც ბევრი ურწმუნო მყავდა, სასაცი-
ლოდაც რომ არ ჰყოფნიდათ ეწამათ ღვთისა და სამებისა. არ სჯეროდათ ქრისტეს უმანკო დაბადებისა. რა თქმა უნდა, ასეთ რამეს ფიქრშიაც ვერ გავივლებდი. ღვთისმოსავი მშობლები მყავდა, ბევრი რამ ვიცოდი მათგან და ვერაფერს ვხედავდი ამაში ცუდს და ყალბს. (პირიქით პატივს ვცემდი მორწმუნე ადამიანებს. რაც შეეხება დემიანს, მან მასწავლა და შემაჩვია რელიგიური ამბებისა და დო-
გმების თავისებურ გააზრებას. საკმარისი იყო მისი ერთი სიტყვა და მეც ხა-
ლისით, სიამოვნებით ვიტაცებდი მას. მაგრამ ერთხელ კონფირმაციის გაკვეთი-
ლზე ძალზე შემაშფოთა მისმა უხეშმა, უფრო სწორად, თამამმა განაცხადმა. მას-
წავლებელი ჯვარცმაზე, ქრისტეს ტანჯვა-წამებაზე ლაპარაკობდა, რაც ბავშვო-
ბიდანვე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე. ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, როცა მამამ ეს ამბავი წითელ პარასკევს წაგვიკითხა. სულიერად შემძრა, მომაჯადო-

ვა, მთელი არსებით შევიგრძენი ეს მტანჯველი, იღუმალებით მოცული, მაგრამ მაინც სიცოცხლითა და მშვენიერებით აღსავსე გარემო გეთსუქანის ბაღში და გოლგოთაზე. ეს გრძნობა კიდევ უფრო გაძლიერდა ბახის „ქრისტეს ენებანის“ მოსმენამ, რამაც მთელი თავისი მისტიური ძრწოლით შემოიტანა ჩემს სულში ან ღვთაებრივი სამყაროს ტკივილები. დღესაც მიმაჩნია, რომ სწორედ ამ ტრაგედიაში და ამ მუსიკაშია მთელი პოეზიისა და ხელოვნების დედაარსი.

გაკვეთილის დამთავრების შემდეგ შეფიქრებულმა ვითხრა: „აქ არის რაღაც, ზინკლარი, რაც არ მომწონს. წაიკითხე ეს ამბავი და გაიაზრე. თითქოს რაღაც უსიამოვნო შეგრძნებას ბაღებს ჩემში. სახელდობრ, იმ ორი ყაჩაღის ამბავი. იქ ბორცვზე სამი ჯვარი დგას ერთიმეორის გვერდით. მაფიქრებს ის სენტიმენტალური ადგილი, სადაც დამნაშავე, ცოდვილი, ათასი სისამაგლის ჩამდენი ყაჩაღი სინანულს განიცდის. ქრისტეს კი, რომელმაც ყველაფერი იცის მის შესახებ, მაინც ახარებს ამგვარ სამგლოვიარო ცერემონიაზე ავაზაკის ეს მონანიება და სინანული. არადა, რა აზრი აქვს ამგვარ მონანიებას, როცა ცალი ფეხი სამარეში გიდგას უკვე? დაფიქრდი, გთხოვ. ეს ხომ მეტი არაფერია, თუ არა მღვდლის ქადაგება, მიმზიდველი, მაგრამ არაფრის მომცეში, გრძნობათა მომრევი და უკიდურესი მორალის შემცველი. დღეს რომ მკითხონ, ამ ორი ყაჩაღიდან ვის აირჩევდი მეგობრად, რომელს უფრო მიენდობოდიო? მე — იმას ავირჩევდი, ძლიერი ნებისყოფისა და ხასიათის მქონეს და არა სუსტ, მტირალ მომნანიებელს. რა თქმა უნდა, ძლიერმაც იცის, მონანიებას შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს მისთვის, მაგრამ მაინც თავისაზე დგას მტკიცედ და იმ ბოლო წუთებშიც არ დალატობს ეშმაკს, რომლის გზასაც მიჰყვებოდა და ვინც მას ეხმარებოდა. ესაა მტკიცე, ძლიერი ნებისყოფის ადამიანი; ამგვარ ადამიანებზე კი ცოტა რამაა ბიბლიაში თქმული. ალბათ ესეც გაენის შთამომავალია. შენ როგორ ფიქრობ?“

საგონებელში ჩავვარდი. თავის დროზე ჯვარცმის ამბავი მთელი არსებით ვირწმუნე, ახლა კი დემიანის ეს ახალი ფატალური მოსაზრება საფრთხეს უქმნიდა ჩემს რწმენას, რაშიც ურყევი უნდა ვყოფილიყავი. ვერ გაძევო, როგორ შეეძლო ასე მოურიდებლად ლაპარაკი ყველაზე და ყველაფერზე, განსაკუთრებით წმინდანებზე.

მაშინვე შეამჩნია დემიანმა ჩემი ეს წინააღმდეგობრივობა, მიუხედავად იმისა, რომ არაფერი მითქვამს. — ვიცოც, — თქვა მან შემრიგებლურად, — ეს უძველესი ამბავია. გულთან არ მიიტანო. მაგრამ ერთი რამ მინდა გითხრა: რელიგიურ დოგმებში არის ბევრა ისეთი, რაც ამკარად მათ ნაკლოვანებაზე შეტყვევებს. თუნდაც ის, რომ ძველ და ახალ აღთქმაში ღმერთი ერთი და იგივე ფიგურაა. მაგრამ ესეც არაა მთავარი, რის თქმასაც ვაპირებ. კი, ეს ყველაფერი კეთილშობილური, წმინდა და ამაღლებულია, მაგრამ სამყაროს სხვა მხარეც ხომ აქვს და ეს მხარე, უბრალოდ, ეშმაკზეა მიწერილი. სამყაროს ეს მეორე ნაწილი უარყოფილი და განწირულია. არადა, ღმერთი ხომ ყველას მამადაა მოხსენიებული. ავიღოთ თუნდაც სქესობრივი ცხოვრება, რაზეც მთელი კაცობრიობაა დაფუძნებული, ამაზე არაფერია ბიბლიაში თქმული, პირიქით შეძლებისდაგვარად ესეც ეშმაკის საფარველქვეშაა მოქცეული და ცოდვად ითვლება. არაფერი მაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ ღმერთს ხოტბა შევასხათ, ვადიდოთ, წმინდანად ვადიაროთ, მაგრამ, ჩემის აზრით, ჩვენ ყველამ უნდა ვცნოთ, პატივი ვცეთ და ვადიაროთ მთელი სამყარო და არა მხოლოდ ხელოვნურად გამოყოფილი ეს ოფიციალური ნაბევარი! მაშინ ხომ ღვთისმსახურების გვერ-

დით ეშმაკის მსახურებაც მოგვიწევს. ასე მიმაჩნია გამართლებულად. ან კიდევ ადამიანმა უნდა გამოიგონოს ისეთი ღმერთი, თავის თავში ეშმაკსაც რომ მოიტაცავს. ხომ არ შეიძლება თვალი დაეხუჭოთ იმაზე, რაც ჭეშმარიტად ხდება ამ საზაროში“.

უეცრად უჩვეულოდ განერვიულდა, თუმცა მალევე გადაუარა და აღარ ჩამძიებია.



ეს ამბავი ჩემი ბავშვობის გამოცანად დარჩა. ყოველ წუთს ეშმაკი მჭიდროდ და ვერაულის ვუმხელდი. რასაც დემიანი ღმერთზე თუ ეშმაკზე, ღვთის მიერ დაშვებულ და უარყოფილ სამყაროზე ამბობდა, მეც მაწუხებდა ბავშვობაში ასეთი ფიქრი, ფიქრი ორივე სამყაროზე თუ სამყაროს შემადგენელ ნაწილებზე — ნათელზე და ბნელზე. უეცრად მოჩვენებასავით გამოიღვა თავში იმ აზრმა, რომ პირადული პრობლემა ესაა კაცობრიობის პრობლემა, ესაა ყველას ცხოვრებისეული პრობლემა. და შიშმა თუ რიდმა მომიცვა ერთდროულად, როცა მივხვდი, რომ ჩემი ცხოვრება და აზროვნება მალაღ იდეებთანაა წილნაყარი. ამის გააზრებას არ მოუგვრია ჩემთვის სიხარული. თუმცა არავითარი დამადასტურებელი და დამამტკიცებელი საბუთი არ მქონდა, მაგრამ ყოველივე ამას მაინც მკაცრი და შემზარავი ელფერი დაჰკრავდა. ვგრძნობდი, უფრო მეტი პასუხისმგებლობა შეკისრებოდა, აღარ მქონდა ბავშვობის უფლება, აღარ შეიძლებოდა გარიყულად ყოფნა.

ჩემს ცხოვრებაში პირველად გავუმხილე დემიანს ეს საიდუმლო. ფიქრებს ორ სამყაროზე. თვალებით მაგრძნობინა, რომ მეთანხმებოდა და მოსწონდა ჩემი შეხედულებები. ყურადღებით მისმენდა, თვალეში მიყურებდა, მაგრამ ვერ ვუძღვებდი მის მზერას, რადგან მასში კვლავ ვხედავდი მხეცურს, გამოუცნობ დროს და ასაკს.

„ამაზე სხვა დროს კიდევ ვილაპარაკოთ, — თქვა მან მზრუნველურად, — ვხედავ, მეტს ფიქრობ, კიდრე ლაპარაკობ. თუ ასეა, ისიც გეცოდინება, რომ რასაც ფიქრობ, უნდა განიცადო კიდევ, მაშინ ეძლევა შენს ფიქრს აზრი და მნიშვნელობა. შენ უკვე გრძნობდი, რომ ის „აღიარებული სამყარო“ მხოლოდ ნაწილი იყო სამყაროსი და მაინც ცდილობდი მოგეკვითა შენგან მეორე ნახევარი, როგორც ამას მოძღვრები და მასწავლებლები აკეთებენ. მაგრამ ვერ მოახერხე. ვინც აზროვნებს, ვერც შეძლებს ამის გაკეთებას“.

ეს სიტყვები გულზე მომხვდა და ხმამაღლა ვიყვირე: „კი მაგრამ, ხომ არსებობს მართლაც აკრძალული, შემზარავი მოვლენები: თუნდაც მკვლელობები და ათასგვარი ასეთი მანკიერი მხარეები, რასაც ვერ უარყოფთ. ერთხელ აკრძალეს და ჩვენც უნდა დავემორჩილოთ ამას. შენის აზრით, რადგან არსებობს ეს მეორე მხარე, უნდა მივყვე მას და დამნაშავე გავხდე?“

„ამაზე ლაპარაკს დღეს ვერ მოვრჩებით, — დამამშვიდა მაქსმა, — რა თქმა უნდა, არც უნდა მოკლა და არც გააუპატიურო ვინმე. მაგრამ ჯერ ვერ ხვდები, ვერ აღნობიერებ, რას მქვია ნებადართული და რას — აკრძალული. შენ რეალობის ნაწილი შეიგრძენი მხოლოდ, დანარჩენის დროც მოვა, დაიცადე. წელიწადია უკვე, რაც შენში ერთი სწრაფვაა ყველაზე მეტად მოძალებული და ეს აკრძალულს განეკუთვნება. ამ სწრაფვას ბერძნები და სხვა ხალხები კი, პირიქით, ღვთის მონიჭებულად სთვლიდნენ და დიდი დღესასწაულით აღნიშნავდნენ. აკრძალული ყოველთვის ერთი და იგივე რამ არაა, შეიძლება ცვლილება განიცადოს. დღეს ხომ შეიძლება ქალთან ცხოვრება ეკლესიაში ჯვრის წერამდე, ზოგიერთ ხალხში კი ეს სულ სხვაგვარადაა. ამიტომ ყველა ჩვენ-

თავანმა თვითონ უნდა აღმოაჩინოს რა არის დაშვებული და რა არა. შეიძლება ადამიანმა არასოდეს არ ჩაიღინოს რაიმე აკრძალული, მაგრამ უდიდეს ცოდვას ატარებდეს თავის თავში ან პირიქით. ზოგმა შეიძლება თავის თავს თვითონ განუსაზღვროს რა დაარღვიოს და რა არა, რის გაკეთება აკრძალულია, რის არა; ზოგიც გრძნობს, რომ მისთვის დაუშვებელია იცხოვროს ისე, როგორც ყველა ადამიანი ცხოვრობს ყოველდღიურად და შეიძლება ის, რაც მას მიაჩნია ნებადართულად, სხვებისთვის საძრახისი იყოს. ბევრიც თვითონ ცხოვრობს დაარღვიოს ის, რაც ოდითგანვე დადგენილი და ამას იოლად აკეთებს. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი შეძლებისდაგვარად ხდება.

უცბად მოტყდა, დაიღალა ამდენი ლაპარაკით დემიანი. მაშინვე რომ გამე-აზრებინა, უნდა მივმხვდარიყავი რაღაცას; (დემიანს სასიამოვნო საუბარ. ჰქონდა და საუბრობდა მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ ეკამათა. შესანიშნავად ახერხებდა მოჩვენებითი ზედაპირულობით თავისი აზრების წარმოჩენას და რადგან სხვებთან ლაპარაკი საინტერესოდ არ მიაჩნდა, ჩემთან საუბარში ეძებდა სრულ გულახდილობას და მეტ ინტერესსაც გრძნობდა.

სრული გულახდილობა-მეთქი რომ ვამბობ, აქ კიდევ ერთი ამბავი მახსენდება.

კონფირმაციის გაკვეთილი იწყებოდა. ბოლო საათებს სულიერ ზაარუბას უთმობდა მოძღვარი. ძალას არ იშურებდა ჩაენერგა ჩვენთვის მეტი რწმენა და სასიამოვნო გარემო შეექმნა გაკვეთილზე. მაგრამ ჩემი ფიქრი განუწყვეტლივ დემიანს დასტრიალებდა. ასეთი აზრიც კი ამეკვიპატა, რომ ჩემთვის ამ სულ მცირე ნახევარწლიანი რელიგიური შეგონების მნიშვნელობა ის კი არ იყო, რასაც აქ ვვასწავლიდნენ, არამედ დემიანთან დაახლოება და ზეგაუღუნა, მე მზად ვიყავი არა საეკლესიო საზოგადოებაში მისაღებად, რისთვისაც ვვამზადებდნენ, არამედ აზროვნებისა თუ პიროვნების ორდენში განსამწესებლად, რომელიც, ჩემის აზრით, არსებობდა სადღაც დედამიწაზე და მის წარმომადგენლად და გამავრცელებლად დემიანი მიმაჩნდა. სრულებითაც არ ვხუმრობ, ვცდილობდი ყველაფრისთვის სხვა მნიშვნელობა მომეძებნა, სხვა აზრი მიმეცა, როგორც დემიანმა მასწავლა. ამით ვერთობოდი კონფირმაციის გაკვეთილებზე. წარმოვიდგენდი, რომ ვმონაწილეობდი საეკლესიო დღესასწაულში და ამ რიტუალს ყველასაგან განსხვავებულად ვასრულებდი. ან სხვა დანიშნულებას ვაძლევდი, თითქოს ფიქრთა სამყაროში მიღებდნენ.

ამ დღეებში კიდევ ერთხელ მქონდა მაქსთან კამათი, სწორედ ღვთისმეტყველების გაკვეთილის დაწყებამდე. რაღაც მოღუშული გამოიყურებოდა და როგორც ჩანს, ჩემთან საუბრის სურვილი არ ჰქონდა. ჩვენი კამათი ხომ თითქმის ყოველთვის სერიოზულ და აზრიან სახესღებულობდა.

„ჩვენ ძალიან ბევრს ეკამათობთ, — განმიცხადა მან უჩვეულო სერიოზულობით. — რაც მეტს ვლაპარაკობთ, მით უფრო ეშორებით საკუთარ თავს, თავისთავადობის დაკარგვა კი ცოდვაა. უნდა შეგვეძლოს ღრმად ჩაძირვა ჩვენს თავში, როგორც კუსი“.

საკლასო ოთახში შევედი. გაკვეთილი დაიწყო. ვცდილობდი მომესმინა მასწავლებლისათვის, დემიანიც არ მიშლიდა ამაში ხელს (მაგრამ უეცრად დემიანის მზრიდან საოცარი სიცივე შევიგრძენი, თითქოს გვერდით ადგილი უცბად დაცარიელდა, და როცა ამ გრძნობამ მთლიანად დამიპყრო, შევეტრიალდი: იქ კვლავ იჯდა ჩემი მეგობარი წელში გამართული, შეუპოვარი, ელეგანტური, მაგრამ მეტად უჩვეულო პოზაში. ასეთი არასოდეს მენახა — თვალები თითქოს დახუ-

კული და თითქოს ღიაც ჰქონდა, მაგრამ არ შეეძლო ხედვა, უსიცოცხლოდ, გაქვა-
 ებული იმზირებოდნენ ბუდიდან, თავის თავში თუ სადღაც შორეულ სივრცეში
 ჩაძირულიყო, რაღაცას მოეცვა იგი. არც იმპროდა, არც სუნთქავდა თითქოს.
 მისი გაფერმკრთალებული, ცარცივით თეთრი სახე ხეში თუ ქვაში გამოკვეთ-
 ალს დამსგავსებოდა, ჩამუქებული თვალები მიგანიშნებდათ მხოლოდ, რომ ცო-
 ცხალი იყო. ხელები მერხზე ეწყო უღონოდ, როგორც ქვა თუ საგანი ფერმი-
 ხდილი და გაშეშებული. მაინც ემჩნეოდა, რომ არ ეძინა, მასში იდუმალე ცხოვ-
 რების ძალა და სიმტკიცე ფეთქავდა.

ქრუანტელს მგვრიდა მისი ცქერა. მკვდარია! გავიფიქრე და, მგონი, ცოტა
 ხმამაღლაც ვთქვი, თუძცა ვიცოდი, რომ მკვდარი არ იყო. მოჯადოებულივით ვუ-
 მხერდი მის სახეს, ამ ფერმიხდილ, გაქვავებულ ნიღაბს და ვგრძნობდი — ეს
 იყო ნამდვილი დემიანი. ჩემ გვერდით რომ დადის, ლაპარაკობს, მისი ნაწი-
 ლია მხოლოდ, დროებითი როლის შემსრულებელი, რომელიც დემიანში ნა-
 მდვილ დემიანს ეგუება და ემსახურება მას. სინამდვილეში კი ასე გამოიყურე-
 ბა დემიანი: უსიცოცხლო, გაურკვეველ სივრცესა და დროში გადაუარდნილა,
 მხეცის მსგავსი, გაქვავებული, მაცდური, ცივი და იდუმალი, უცნაური ცხოვრე-
 ბით გარემოცული. ჩუმი სიცარიელე და ვარსკვლავების ნათელი შეიმჩნეოდა
 მის გარშემო. ეს იყო განმარტოებულად სიკვდილი.

ვგრძნობდი, თავის თავში იყო დემიანი მთლიანად ჩაძირული. შიშმა
 ამიტანა, არასოდეს მიგრძვნია თავი ასე მარტოდ. ის მე აღარ მეკუთვნოდა. ჩე-
 ჰთვის მიუწვდომელი და შორეული იყო. მეგონა, სადღაც შორს, მსოფლიოს
 რომელიღაც კუნძულზე იმყოფებოდა.

ვერ ვხედებოდი, რატომ ვერაინ ვერ ამჩნევდა კლასში ამას ჩემ მეტი.
 ყველას უნდა შეეხედა, ათრთოლებულიყო მის წინაშე, მაგრამ ყურადღებას არ-
 აინ აქცევდა. სურათივით, კერპივით უდრეკად გამოიყურებოდა. ბუზი დააცო-
 ცავდა ხან შუბლზე, ხან ცხვირზე, მაგრამ კუნთიც არ უკრთოდა, არც იმჩნე-
 ვდა. სად, სად იყო ახლა ის, რაზე ფიქრობდა, რას განიცდიდა? ცაში დაფრი-
 ნავდა თუ ჯოჯოხეთში?

გაკვეთილის ბოლოს ვერ გავბედე მეკითხა რამე. ფერი უკვე მოსვლოდა,
 ისევ ისე სუნთქავდა, ისევე მიყურებდა, ხელებიც უმოძრავებდა, წაბლისფერი
 თმა უფრო გამუქებოდა, ნაწამები, დაღლილი ჩანდა. საიდან დაბრუნდა? სად
 იმყოფებოდა ნეტავ?

მომდევნო დღეებში ჩემს საძინებელ ოთახში რამდენჯერმე ჩავატარე ასე-
 თი ვარჯიში: ვიჯექი მშვიდად, თვალებგამტერებული, უმოძრაოდ, მოდუნე-
 ბული და მაინტერესებდა რამდენხანს გავძლებდი ასე. მაგრამ მალე ვიღლებო-
 დი და თვალებიც მეწვოდა.

მას მერე აღარ მქონია ისეთი კონფირმაციის გაკვეთილები, რაიმე მოგო-
 ნებები რომ მაგავშირებდეს.

ყველაფერი შეიცვალა ჩემ გარშემო. ბავშვობა ნამსხვრევებად მექცა. მშო-
 ბლები შეშფოთებულები მაკვირდებოდნენ, არ ესმოდათ რა მემართებოდა. დე-
 ბიც გაუცხოვდნენ ჩემთვის. ჩვეული გრძნობებისა და სიხარულის ნაცვლად გუ-
 ლგატეხილობამ დაისადგურა ჩემში და გააფერმკრთალა ცხოვრება. ბაღსაც აღ-
 არ ჰქონდა ძველებური სურნელი, აღარც ტყე მიზიდავდა. განძარცვული, მოსაწ-
 ყენი და უსიცოცხლო მეჩვენებოდა სამყარო. წიგნები ცარიელ ქაღალდებად
 მექცა, მუსიკა მხოლოდ ხმაურად. ჩემი ცხოვრება შემოდგომის ხეს დაემსგა-
 ვსა, ფოთლები რომ სცვივა, ათოვს, აწვიმს, მაგრამ ვერაფერს გრძნობს. თან-

დათან ხმება, უკან-უკან ექაჩება ცხოვრება, მაგრამ არ კვდება და იმედოდ მხოლოდ ლოდინილა დარჩენია.

გადაწყვეტილი იყო, არდადეგების შემდეგ სხვა სკოლაში უნდა გადავსულიყავი. პირველად მივდიოდა სახლიდან ასე შორს. დედა თითქოს წინასწარ მემშვიდობებოდა, დროდადრო მეაღერებოდა, ცდილობდა სითბო და სიყვარული, შინ მობრუნების სურვილი ჩაებუდებინა ჩემში. დემიანი უკვე გაემგზავრა მე მარტო ვიყავი.

სიზღირითეკა

თავი მეოთხე

ბეატრიქა

არდადეგების შემდეგ ჩემი მეგობრის უნახავად გაემგზავრე ქალაქ St-ში. მშობლებიც თან გამომყვნენ. ბავშვთა პანსიონატში მიმაბარეს და შეძლებისდაგვარად კარგად დამაბინავეს. საოცრად გაუკვირდათ, როცა გაიგეს, რამდენ საგანს უნდა შევჭიდებოდი.

ჯერ კიდევ არ კარგავდნენ იმედს, ეგონათ, ჩემგან სამაგალითო შვილი და კარგი მოქალაქე დადგებოდა. რას იფიქრებდნენ, მე თუ სხვა გზას ამოვირჩევდი. ბევრი ვეცადე მშობლიურ გარემოში მეპოვა ბედნიერება, მაგრამ ამოდ. ცოტა ხანს თითქოს თავს ვიტყუებდი, მერე კი საერთოდ შემეცვალა ყველაფერი.

არდადეგებზე უცნაურ სიცარიელესა და სიმარტოვეს წავაწყდი. აუტანელი გარემო შემექმნა, დროც ზანტად მიიზღაზნებოდა. მრცხვენია ვაღიარო, მაგრამ გამომშვიდობება უფრო გამიადვილდა. ისინი იტანჯებოდნენ, ტიროდნენ, მე კი ვცდილობდი, როგორმე მალე დამეღწია მათგან თავი. მიკვირდა, ყოველთვის მგრძნობიარე ბავშვად ვითვლებოდი, ახლა კი რა მემართებოდა, თავად ვერ გამეგო. მხოლოდ საკუთარ თავთან განმარტოებას ვცდილობდი. მინდოდა მივცემოდი იმ აკრძალული და ბნელი ტალღების დინებას, ჩემში, ჩემი სულის სიღრმეში რომ ვგრძნობდი. ბოლო ნახევარ წელს შეუმჩნევლად მალე გავიზარდე, გავმაღლდი, გავხდი და ჯერ კიდევ მოუმზადებელმა შევაბიჯე ამ უჩვეულო სამყაროში. ბავშვური თავაზიანობაც სადღაც გამქრალიყო. ერთი სიტყვით, საშინლად აუტანელი გავხდი. ძნელი იყო ჩემი ასეთის შეყვარება და არც უყვარდი არავის. მხოლოდ მაქს დემიანი მენატრებოდა, ხან მძულდა კიდევ, რადგან მას ვადანაშაულებდი ჩემი ცხოვრების გაკოტრებაში და ჩემი ასეთი სენით დაავადებაში.

პანსიონატში არავისთან ვყოფილვარ ახლოს და არც ისინი ცდილობდნენ ჩემთან დაახლოებას. პირველად თითქოს ამრუხით მიცქერდნენ, უცნაურ, არასასიამოვნო პიროვნებად მთვლიდნენ. მაგრამ არ განვიცდიდი, პირიქით, ღომწონდა კიდევ ასეთ როლში ყოფნა და უფრო ვიძირებოდი მარტოობაში. გარეგნულად კაცთმოძულის, სამყაროს მგმობელის, შთაბეჭდილებას ვტოვებდი, არადა, ფარულად საშინელი სევდა და უიმედობა მტანჯავდა. სკოლაში შინაგანად ვიფიჭებოდი. ძველი თანაკლასელებიც გამირბოდნენ, არ მოსწონდათ ჩემი წარსული. მაგრამ ამასაც შევეგუე და ცოტა არ იყოს აგდებულად, ბავშვებვით ვეპყრობოდი მათ.

გავიდა კიდევ ერთი წელიწადი, არდადეგებმაც ჩაიარა და მე ისევ უმტკივნეულოდ გამოვემშვიდობე მშობლიურ კერას.

ხოუმბრის დასაწყისი იქნებოდა. ჩვევად მქონდა ყველანაირ ამინდში სეირნობა. მელანქოლიზმით შეპყრობილს მძულდა საკუთარი თავი და ეს სამყარო და ბუნებაში განმარტოებით ვეძებდი სულიერ საზრდოს. ერთ საღამოსაც ასე ვულდამძიმებული მივაბიჯებდი სველ, ნისლიან ამინდში. ქალაქის პარკში მოვადგა და ცარიელებულიყო და თავისკენ მიზიდავდა. მივაბიჯებდი ჩემს ბუნებრივ რუბთან ერთად და უხეშად ვტკეპნიდი ძირს ჩამოცვენილ ხის ფოთლებს. სინესტას მკვეთრი სუნი მცემდა. მივდიოდი და თითქოს შორიდან, ბურუსიდან აზრდილებივით მოიჩქაროდნენ ჩემ შესახვედრად ხეებიც. უხილავემა ძალამ ხეინის ბოლოსკენ მიბიძგა. შევჩერდი, ჩაშავებულ ფოთლებს შევატკერდი, ამოვაოხრე და ხარბად შევისუნთქე ნესტიანი ჰაერის სურნელი, მესიამოვნა, თითქოსდა ჩემს არსებაში რაღაც შეირხა და მიესალმა ჩასუნთქულ ჰაერს. ო, რა მოსაწყენია ეს ცხოვრება. უეცრად გზაზე ვიღაც შევნიშნე. პალტოს საყელი მალდა მქონდა აწეული და ჩემკენ მოაბიჯებდა. ის იყო უკან გაბრუნება დავაპირე, რომ მან შორიდანვე მომამახა: „გამარჯობა, ზინკლაირ“. მომიახლოვდა, ეს ალფონს ბეკი, ჩემი თანაკლასელი აღმოჩნდა. კლასში ყველაზე უფროსი იყო, არაფრით არ მაღიზიანებდა და პატივს ვცემდი. ალფონსს ცოტა არ იყოს ირონიული, ქედმაღლური დამოკიდებულება მქონდა ყველასადმი. დათვივით დონიერი ჩანდა, ბუერს ეშინოდა და ათას ჭორს თხზავდნენ მასზე.

„აქ რას აკეთებ? — მკითხა მან მეგობრულად, ცოტა ისეთ კილოზე, უფროსები რომ შეეკითხებიან პატარებს, როცა ამგვარ ადგილზე წააწყდებიან. — სანაძლეოს დავლებ, ლექსებს თხზავ“.

„აზრადაც არ მომსვლია“, — ვიუარე უხეშად. გაიცინა, გვერდზე გამოძვკა და ლაყბობა გამიბა. მე არ ვიყავი ამას ჩვეული.

„ზინკლაირ, არ გეგონოს, ვერ გაგიგებ. ვიცი, არის რაღაც მიმზიდველი, ხარო ნისლიან ღამეს, შემოდგომის ფიქრებით გარემოცულმა და წერო ლექსებში მომაკვდავ ბუნებაზე და დაკარგულ ბავშვობაზე. ნამდვილად საშენო საქმე, ვახსოვს ჰაინრიხ ჰაინე?“.

„არც ისე სენტიმენტალური გახლავარ“, — ვიუარე ციკად.

„კარგი, გეყოფა. ჩემის აზრით, ამ ამინდში ადამიანმა ისეთი ადგილა უნდა მოძებნოს, სადაც ღვინოა. მეც მარტო ვარ, თუ გინდა წავიდეთ. თუ არადა, სულ არ ვაპირებ შენს ცდუნებას. ალბათ ცდილობ წესიერ ბიჭად დარჩე, არა, ჩემო კარგო?“

ცოტა ხნის შემდეგ ერთ პატარა ლუდხანაში ვისხედით. ვსვამდით კაცმა არ იცის რა ღვინოს და ერთმანეთს ვუჭახუნებდით ჭიქებს. თავიდან არ მესიამოვნა, მერე კი გავუგე გემო და ღვინოს შეუჩვეველი ძალევე ავლაპარაკდი. თითქოს ვიღაცამ ჩემი სულის ჩაკეტილი ფანჯარა გამოაღო. რამდენი ხანია, რა უსაშველოდ ხანგრძლივი დრო გავიდა მას მერე, რაც ჩემს სულზე არ მილაპარაკია. ფანტაზიის გუნებაზე დავდექი, აბულისა და კაენის ამბავიც გავიხსენე. გაოცებული მიყურებდა ალფონსი, როგორც ჩანს მოსწონდა. ბოლოს და ბოლოს გამოჩნდა ადამიანი, ვისაც ცოტა რამ გავანდე. ალფონსის ნიშნად მხარზე დამკრა ხელი და ეშმაკის შვილი მიწოდა. უფრო გავთამამდი. საოცარი მოთხოვნილება მომაწვა, კიდევ მელაპარაკა, გადავხსნილიყავი მის წინაშე. მანდოდა ვიღაცას ჩემიც გაუგო, შევეცანი, სურვილი გამიჩნდა, ვინმეს წინაშე, თანაც ჩემზე უფროსის წინაშე თავი წარმოძეჩინა. და როცა მან გე-

ნიალური ლეში მიწოდა, ეს სიტყვა ტკბილი, მაგარი ღვინოსავით საამოდ ჩამელვარა სულში. ახალ ფერებში იწვოდა სამყარო. აზრები თამამად, წყაროსავით მოედინებოდა. სულში ცეცხლი გიზგიზებდა. ვლადპარაკობდით მეგობრებზე, მასწავლებლებზე და მეჩვენებოდა, რომ შესანიშნავად გვესმოდა ერთმანეთის. ესაუბრობდით ბერძნებზე, წარმართობაზე. ალფონს ბეკს უნდოდა სასიყვარულო თავგადასავალშიც გამოვეტეხე, მაგრამ აქ არაფერი მქონდა მოსაყოლი, არაფერი განმეცადა ამდაგვარი და ის რაც ჩემში ოცნებებდა ჩაქუჩულდევო, ოცნებადვე რჩებოდა, ვერც ღვინომ გადაჭრა ეს საკითხი, ვერც ღვინომ მათქმევინა ამაზე რამე. ბეკი კი, როგორც ეტყობოდა, გამოცდილი იყო ამ საქმეში, ადგზნებული ვუსმენდი მის მოყოლილ ზღაპრებს, არადამაჯერებლად რომ ვღერდა ჩემთვის. ბეკის აზრით, გოგონებს ძხლოდ პირფერობა და ქათინაურები ჰყოფნიდათ, ქალებთან კი უფრო სხვაგვარად იყო საქმე. მისგან გავიგე, ქალბატონ იაგველტთან, საკანცელარიო მალაზიის მეპატრონის დახლს უკან რაც ხდებოდა. მოჯადოვებული ვიჯექი და თავს ძლივს ვიკავებდი. რასაკვირველია ქალბატონ იაგველტის შეყვარება არ შემემძლო, მაგრამ რასაც ალფონსი ჰყვებოდა, ასეთ რამეზე ვერც ვიოცნებებდი, და ცოტა არ იყოს სიყალბის ელფერიც დაჰკრავდა. ეს ხომ უძნიშვნელო, ყოფითი წვრილმანი იყო, ვიდრე სიყვარული. თუმცა ამასაც ვერსად გავექცეოდით, რადგან სწორედ ეს იყო სინამდვილე და ცხოვრება. და ერთ-ერთი კაცი, ვისაც ეს განეცადა, ჩემ გვერდით იჯდა ახლა და ამ ყველაფერს ცხოვრების აუცილებელ პირობად მიიჩნევდა.

ჩვენი საუბარი ჩიხში მოექცა, რაღაც დაკარგეთ თითქოს. სადღა იყო გენიალური ყმაწვილი, ისევ პატარა ბიჭად ვიქეცი, მაგრამ წინა თვეებთან შედარებით მაინც რაღაცად მიღირდა ეს საათები. სამოთხეში მეგონა თავი, არასოდეს მქონია ამგვარი განცდა. პირველად მელაპარაკებოდნენ ასე გულახდილად ამ აკრძალულ თემაზე. ასე იყო თუ ისე, ჩვენს საუბარში სულიერება იგრძნობოდა.

მახსენდება ის ნესტიანი, ცივი, გვიანი ღამე. სახემორღვეულები ძლივძლივობით მივბარბაცებდით შინისაკენ გაზის ფარნების შუქზე. მაგრამ იყო მაინც რაღაც მიმზიდველი, მაცდური ნეტარება, თავდავიწყება, სიცოცხლე თუ ხალისი იმ წუთებში. ბეკი ვაჟკაცურად ზრუნავდა ჩემზე, როგორც ახალბედაზე, ლამის მიმათრევდა. ძლივს მივალწიეთ სახლს და დიად დატოვებული წინკარის ფანჯრიდან ძალულად გადავძკერიით.

ცოტა ხნით მკვდარივით ჩამეძინა, მაგრამ საშინელმა თავის ტკივილმა გამომადვიდა. გამოფხიზლებულს სევდა მომაწვა. საწოლში წამოვჯექი, პერანგა ბეცვა, ტანსაცმელი და ფეხსაცმელი კი იატაკზე ვყარა. თამბაქოსა და ნარწყევის საშინელი სუნი იდგა, და ისევ გულის რევისა და მძაფრი წყურვილის შეგრძნება მქონდა. ამ მდგომარეობაში მყოფს უცბად მშობლიური სახლი დამიდგა თვალწინ. შორეულ უჩვეულო ბრწყინვალებაში გარკვევით ვხედავდი ჩემს მშობლებს, დებს, ბაღს, ჩემს საძინებელ ოთახს, ბაზრის წინა მოედანს, დემიანს და კონფირმაციის გაკვეთილებს. ეს ყველაფერი, გასაოცრად სუფთა და ღვთიური ჯერ კიდევ გუშინ მე მეკუთვნოდა, მაგრამ ამ წუთიდან, ამ დაწყვეტილი და შერისხული წუთიდან უნდა გამოვმშვიდობებოდი მათ, საიდანაც ამრეზით შემომცქეროდნენ, როგორც მოკვეთილს. ყველაფერი საყვარელი და გულწრფელი, რაც იმ უწმინდეს, „მოოქროვილ“ ბავშვობის ბაღში თუ მშობლიურ სახლში განვიცადე: დედის ამბორი, მობის დღე, ლამაზი კვირა დილა — ყველაფერი ფეხქვეშ გავთელე. ახლა რომ ვინმე მოსულიყო, გავეკოჭე, როგორც წყალწადებულა

ჩამირალა, უწმინდური და სახრჩობელაზე წავეყვანე, არც შევეწინააღმდეგებოდი, სამართლიანად ჩავთვლიდი. დღეის მერე სამყაროს მგმობელად, გზას აცუნხილად ვითვლებოდი. მე, რომელიც აქამდე დემიანის აზრებით ვსულდგმულობდი და ვამაყობდი, დღეს შინაგანად დაცარიელებული, გამოფიტული, ჩამირალასავეით, ღორივით დაბინძურებული, გამომთვრალი, სულმდაბალი, შემზარავი ხურვილებით შეპყრობილი, უდაბნოს მხეცს დავმსგავსებოდი. ექსტრემული ვიყურებოდი მე, იმ ბალის შვილი, სადაც ყველაფერი წმინდა, სუფთა, ღირსეულია და სიყვარულით იყო აღსავსე. მე, რომელსაც ლექსები, ბახის მუსიკა მხიბლავდა, ყურებიდან არ გამომდიოდა, ზიზლსა და აღშფოთებას მგვრიდა საკუთარი სიცილი, უგონოდ მოვრალის თავაშვებული, აღტყინებული და უაზრო სიცილი.

მიუხედავად ყველაფრისა, მაინც სიაბოვნებას მანიჭებდა ეს ტანჯვა. ეს ტკივილები. ისე უსაშველოდ დიდხანს ვიყავი სიმართოვეში გამომწყვდეული და მიჩუმებული, საკუთარ თავში ჩამირული და ჩაღრმავებული, რომ ეს თვითგვემაც, ეს აუტანელი საზიზლარი შეგრძნებაც კი ნეტარებას მგვრიდა. მოგვაანებით აღმოვაჩინე, რას ვეძებდი ამ სულის შემძვრელ გრძნობაში, ალბათ განთავისუფლებას, გაზაფხულს.

ღროთა განმავლობაში ერთი შეხედვით თითქოს დასამარდა ჩემი წარსული, და ეს პირველი აღტყინებაც აღარ იყო უკვე პირველი და განუმეორებელი. თუკი სკოლის გარეთ რაიმე ღრეობა თუ უგუნურება ხდებოდა, მე ვიყავი ყოველივე ამის თავკაცი. ოდესღაც მომომენი, პატარა ბიჭი ერთ ახირებულ ყმაწვილად, ლუდხანების ხშირ სტუმრად ვიქეცი. ისევ ბნელი სამყაროს ტალღებმა ჩამითრია, ეშმაკმა მძლია.

სავალალო მდგომარეობაში ჩავეარდი. თვითგანადგურების ბაკქანალიაში ვცხოვრობდი. იმ დროს, როცა ჩემს მეგობრებში ეშმაკივით მოხერხებულ, მარჯვე და გონებასახვილ ახალგაზრდად ვითვლებოდი, ჩემი სული შიშითა და ძრწოლით ივსებოდა. ერთხელ ლუდხანიდან გამოსულს ცრემლებიც კი გადმომცვივდა სუფთად, ლამაზად გამოწყობილი მოთამაშე ბავშვების დანახვაზე. და მე ტუტყიან სამიკიტნოებში უაზრო ხუმრობებით ვართობდი ჩემს მეგობრებს. რასაც ხმამაღლა დავცინოდი და აბუჩად ვიგლებდი, გულში ღრმა პატივისცემას ვუცხადებდი. მუხლს ვიდრეკდი ჩემი სულისა და წარსულის წინაშე, დედისა და ღვთის წინაშე. აღარ მაძლეუდნენ განმართობის საშუალებას და ვიტანჯებოდი. მე, ლუდხანების გმირი, მასხარაობაში და ლაზღანდარობაში ვეძებდი საშუელს და ვერ ვგრძნობდი, რომ ამით მხოლოდ საკუთარ თავს გაკურბობდი. ათასგვარ სისულელეებზე ვლაყობი, ჩემს თავს ბევრის უფლებას ვაძლეუდი, ვთამაშობდი. მაგრამ, როცა ჩემი მეგობრები გოგონებთან მიდიოდნენ, კვლავ ჩემს მწველ გრძნობებთან ვრჩებოდი მარტო. ეს გრძნობა კი იყო უიმედო სწრაფვა სიყვარულისაკენ. ჩემნაირი უსუსური და მორცხვი არ შეგულებოდა ამქვეყნად არავინ, არადა, სხვებთან დარდიმანდად მომქონდა თავი. მე მხოლოდ ოცნება შემეძლო მომხიბვლელ, მშვენიერ გოგონებზე. ქალბატონ იაგველტის მაღაზიაშიც კი ვერ ვბედავდი შესვლას, ვწითლდებოდი, ბაშინვე აღფონსის ნათქვამი მახსენდებოდა.

რაც უფრო ახლოს ვეცნობოდი ახალ ამხანაგებს, მით მეტად ვრწმუნდებოდი, რამდენად უცხო და შეუსაბამო იყვნენ ისინი ჩემთვის, მაგრამ თავის დაღწევა აღარ შემეძლო. ვერასოდეს დავიჯერებდი, ღოთობასა და ბაქიაობას ასეთი სიაბოვნების მონიჭება თუ შეეძლო. სმას შევეჩვიე, უკვე კარგად ვიტანდი

ღვინოს. ყველაფერს ძალდატანებით ვაკეობდი, ვერ ვხვდებოდი, რა მეშინებოდა. მეშინოდა ხანგრძლივი სიმარტოეისა, მეშინოდა იმ შინაგანი ბიძგებისა ჩემში რომ არსებობდა. მეშინოდა სიყვარულზე ფიქრისა. ამგვარი ფიქრი კ ხშირი სტუმარი გახლდათ ჩემი.

საოცრად მაკლდა ღემიანი, განვიცდიდი, კლასში ერთი-ორი / ცოტა ჭკვიანი ბიჭი კი მეგულეობდა, მაგრამ ისინი მერიდებოდნენ ჩემი უაღაპრეობის გამო. იმ უიმედო მოთამაშეს ვგავდი, ფეხქვეშ რომ წაგდავქცეულვოდა. მასწავლებლებიც არ მიყურებდნენ კარგი თვალთ, სკოლიდან გარიცხვას მიპირებდნენ. თუმცა ეს მე არ მანადვლებდა, პირიქით, მინდოდა მალე მოღებოდა ბოლო ჩემს ტანჯვას.

ამ ცხოვრებაში უამრავი გზა არსებობს, სადაც ღმერთი მარტო გვტოვებს და გვაიძულებს თავად გავიკვლიოთ იგი. სწორედ ამ გზაზე ვიდექი ახლა. ეს ყველაფერი საზარელ სიზმარს ჰგავდა. ჭუჭყითა და ნაკვით, გატეხილი ჭიქებითა და ცინიკური ლაყბობით საკვებ დამეებში შიგადაშიგ მომხიბვლელი სიზმრებიც გამოერეოდა ხოლმე, მოუსვენრად და ტანჯვით რომ მოიკლაკნებოდნენ ჩემს მახინჯ და უწმინდურ ცხოვრების გზაზე. როგორც ზღაპრებშია, პრინცესასაკენ სავალ გზაზე ათასგვარი ჭუჭყი და სიბინძურე უნდა გაიარო, ასე დამეძმართა მეც. ცხოვრების უკეთურებამ ჩემსა და ბავშვობას შორის უზარმაზარი ჩარაზული ჭიშკარი აღმართა, საიმედო მცველებითურთ, მაგრამ თანდათან დავიწყე გამოღვიძება საკუთარ თავისკენ უკან მოსაბრუნებელ გზაზე.

პირველად საშინელი თავზარი დამეცა, პანსიონის დირექტორის წერილით შემფითებული მამა რომ დამადგა თავზე. მეორედ როცა მოვიდა, უკვე გულგრილად შევხვდი ამ ამბავს. ვაიძულე ეჩხუბა, ეგინა, ემუდარა, დედაც კი გამახსენა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს მოთმინებიდან გამოვიდა და გამწარებულმა მომამახა, ან გამოსწორდები, ან არადა, თითსაც არ გავანძრევ, სკოლიდან რომ გამოგაგდონ, პირიქით, ბავშვთა გამოსასწორებელ კოლონიაში ვიკრავო თავს. მამას მართლაც შეეძლო ამის ვაკეთება! როცა წავიდა, შემეცოდა, ვერაფერს მაადწია, ვერაფერი მომიხერხა. ერთ წამს მომეჩვენა, რომ ღირსიც იყო ამის. საოცრად უინტერესო გახდა ჩემთვის ცხოვრება, ყველაფერმა დაკარგა აზრი. დროდადრო ასეთი ფიქრიც კი მაწამებდა, ჩემისთანები არ უნდა იბადებოდნენ. ჩემისთანებს არავითარი დანიშნულება არ გააჩნიათ ამ ცხოვრებაში, თავიანთ ადგილს ვერ პოულობენ, ასეთები მხოლოდ ტვირთად აწევს სამყაროს და უნდა განადგურდნენ-მეთქი.

იმ წელს საშობაო დღესასწაულმაც უსიხარულოდ ჩაიარა, დედას შეეშინდა, გაოგნდა ჩემს დანახვაზე, უფრო გამხდარი და გამაღლებული მოვეჩვენე. ჩაშაყებული, გამოფიტული, უცნაურად ანთებული თვალები, საოცრად შეცვლილი ნაკვთები, სათვალე, ახლად ამოსული წვერი უცხოს მხდიდა მისთვის. დეამაც უკან დაიხიეს, თან იღიმებოდნენ. გულისტკენის მეტი არაფერი მოუტანია იმ დღეს ჩემთვის. ვერც მამასთან საუბარი ავიტანე, ზოგიერთ ნათესავთან შეხვედრამაც გამაღიზიანა, მაგრამ ყველაზე მეტად იმან დამაღიზიანა, რომ ჩემთვის ყველაზე საყვარელმა დღესასწაულმა, საშობაო ღამემ, იმედი გამიცრუა, ტანჯვა და ტკივილი მომაცენა. თუმცა ყველაფერი ჩვეულებისამებრ, წესისამებრ ჩატარდა. მამამ სახარება წაიკითხა, მწყემსებიც ახსენა, თავიანთ ფარაზე როგორ ზრუნავდნენ. მაგრამ მისი ხმა მოწვენილად ეღერდა, თვითონაც უფრო მოხუცებული, მოტეხილი ჩანდა, დედაც სევდიანად გამოიყურებოდა, დები საჩუქრებიან მაგიდასთან იდგნენ და იღიმებოდნენ. ოთახში თაფლის კვერების საამო სურნე-

და იფრქვეოდა. მაგრამ აღარც საჩუქრებს, აღარც მილოცვებს და სახარებას, არც ნაძვის ხეზე ჩამოკიდებულ ბრწყვიალა სათამაშოებს აღარ დაჰკრაუდა ძველბური ბრწყინვალეობა. შმაგი ტალღებივით მომაწვა ტკბილი მოგონებები. მინდოდა მალე დასრულებულიყო ეს სადამო, ეს უსიამოვნო დღესასწაული.

ასე გაგრძელდა მთელი ზამთარი, არდადეგების წინ, მასწავლებელთა კრებაზე საყვედური გამოძიებადეს და გარიცხვით დამემუქრნენ. კრება მხოლოდ იქნა, რომ გამო იყო მოწვეული და დიდხანს არ გაგრძელდებოდა.

დანიანისგანაც იმედგაცრუებული დავრჩი. ქალაქ St-ში ყოფნისას ორჯერ მივწერე წერილი და პასუხი არ მიმიღია. ამიტომ აღარ ვინახულებდი არდადეგებზე.

იმავ პარკში, სადაც შემოდგომაზე აღფონს ბეკს შევხვდი, ერთმა გოგონამ მიიტყცია ჩემი ყურადღება. გაზაფხულის დასაწყისი იქნებოდა, ბუნება იღვიძებოდა, ორგვლივ ყველაფერი მწვანედ იმოსებოდა. ათასი საზიზღარი ფიქრითა და ზრუნვით შეპყრობილი, მარტო ვსყარნობდი. გამოუვალ მდგომარეობაში ვიმყოფებოდი, ჯანმრთელობაც შემერყა, მატერიალურადაც მიჭირდა. მეგობრების ვალი მქონდა. საიდან და როგორ გამესტუმრებინა არ ვიცოდი. ვფიქრობდი, მშობლებისათვის მომატებული ფასი მიმეწერა სასკოლო წიგნებზე, ნივთებზე და ამ ხერხით მეშოვნა ფული. ყველაფერ ამასთან ერთად ჩემი სკოლაში ყოფნა-არყოფნის საკითხიც წყდებოდა. მოკლედ, წყალში გადასახტომად მქონდა საქმე, ამ ბედს უნდა შევგუებოდი და გამოსასწორებელ კოლონიაში წასასვლელად გაწმინდებულიყავი. ბოლო აღარ უჩანდა წამებას, თუმცა მაინც თვალი თვალში გაყრდელი ვცხოვრობდი ჩემს ტკივილებთან და ვიტახჯებოდა.

გოგონა, რომელზეც ზემოთ ვითხარათ, საოცრად მომჩიბველი, მაღალი, ვლევანტურად გამოწყობილი გახლდათ. საამო ნაკვთები, ჭკვიახური, ბავშვური, ცოტა ბიჭური სახე მქონდა. დანახვისთანავე მოვიხაბლე. სწორედ ასეთი გოგონები მომწონდა. ბევრად უფროსი ჩანდა ჩემზე, უკვე ქალივით გამოიყურებოდა. არასოდეს განმეცადა გოგონების სიახლოვით მონიჭებული ბედნიერება, მხოლოდ შორიდან ვეტრფოდი მათ. არც ამჟამად გამიღიმა ბედმა. თუმცა ამ საყვარულმა ღრმა ნაკვალევი დაამჩნია ჩემს ცხოვრებას და ყველაფერი დაშავიწყა.

დანახვისთანავე უცნაური გრძნობა დამეუფლა — მიუწვდომელი, ამაღლებული სურათი დამიდგა თვალწინ. საოცარი მოთხოვნილება თუ სწრაფვა გარჩინდა, გამელმერთებინა, თაყვანი მეცა ამ გოგონასათვის. სახელად ბეატრიჩე შევარქვი, თუმცა დასტე არც წამეკათხა, მაგრამ ინგლისელი მხატვრის რეპროდუქცია მქონდა, რომელზეც გამოსახული გოგონა, გამხდარი, მაღალი, მოგრძო თავით, დახვეწილი ნაკვთებით, ნატიფი თითებით, მთლიანად არა, მაგრამ მაინც წააგავდა ტანით და ბავშვური გამომეტყველებით ჩემ მიერ აღმოჩენილ გოგონას. მომწონდა ეს გაცისკროვნებული და ზეშთავონებული სახე.

მიუხედავად იმისა, რომ ბეატრიჩე ასეთი სიძლიერით შემოიჭრა ჩემს ცხოვრებაში, ერთი სიტყვაც არ მითქვამს მისთვის. ყოველ წამს თანმდევდა. მან რაღაც სიწმინდე მაჩუქა და ტაძრის მლოცველს დამამსგავსა. ეს დღე იყო და ეს დღე, თავი დაეახებე ღრეობას, სმას, უაზრო დამეულ ხეტიალს. კვლავ დაუბრუნდი მარტოობას, კვლავ კითხვა და განმარტოებით სეირნობა გახდა ჩემი ძანამგზავრი.

თუმცა ამ უცაბედმა გამოსწორებამ დაცინვა მომიტანა, მაგრამ ამას აღარ მქონდა მნიშვნელობა. მთავარი ის იყო, რომ მე გამიჩნდა რაღაც, რაც მიყვარ-

და, რასაც ვეთაყვანებოდი. მე ჩემი იდეალი ვიპოვე: ცხოვრება ისევ იმედებით და
ათასი ფერით შეიმოსა. თითქოს ბავშვობა დავიბრუნე, იმ განსხვავებით, რომ
ახლა მონა და მსახური გავხდი სათაყვანებელი სურათისა. აქედანვე და
შემდგომო შეფიქრა ბეატრიჩეზე. მთელი არსებით ვცდილობდი ჩემი დანგრეულ
ცხოვრების ნამსხვრევებზე ამეგო „ნათელი სამყარო“, ჩამეხშო ჩემში ყოველგვარ
რი ბოროტი და ბნელი, ღვთის წინაშე მუხლმოყრილს უსწრებლად მშვენებამი
შემედგა ფეხი. თუმცა ამჟამინდელი „ნათელი სამყარო“ რამდენადმე ჩემი საკუ
თარი შემოქმედება გახლდათ. ეს აღარ იყო უკან გაქცევა და ღედის კალთას ამ
ოფარება, ბავშვობის საფარველში მიმაღლა. ეს რაღაც ახალი, ჩემ მიერ გამოვო
ნილი და მოპოვებული, სუფთა და ლამაზი სამყარო გახლდათ. ჩემში მომწიფე
ბული მტანჯველი სქესობრივი შეგრძნებაც, რომლის წინაშე ვძრწოდი, ალბათ
ამ სიყვარულში წმინდათაწმინდა გრძნობად უნდა გარდაქმნილიყო. ნაცვლად
ამისა მე ხომ ჩემი სალოცავი აღმოვაჩინე ბეატრიჩეს სახით. მის წინაშე ვი
დრეკდი მუხლს, ვლოცულობდი და აღსარებას ვუბნებოდი. ამ ახალმა ჩემმა ხვე
დრმა ჩამომამორა ბნელ ძალებს და სინათლის სამსხვერპლოზე გამომიყვანა. მე
არ ველტვოდი სიხარულს, მიხდოდა მხოლოდ უდანამაულო და უმანკო ვყოფი
ლიყავი, მე არ ვესწრაფოდი ბედნიერებას, მხოლოდ ღვთიურსა და ამაღლებულს
ვეძებდი.

ბეატრიჩეს კულტმა ძირფესვიანად გარდასახა ჩემი ცხოვრება: გუშინ ჯერ
კიდევ ნაადრევად მოწიფული ცინიკოსი, დღეს ტაძრის მლოცველად მაქცია,
უკეთურება აღმოფხვრა ჩემში და სინათლეში გადამისროლა, ყველაფერს ვე
თილშობილურს და ღირსეულს მაზიარა. საკუთარ თავთან დამაბრუნა. ფიზიკ
ურ სრულყოფილებაზე ზრუნვასაც მივყავი ხელი: დილით ცივ წყალში ვბანა
ობდი, საუბრისას ვცდილობდი გულწრფელი და თავაზიანი ვყოფილიყავი. სიარ
ულიც უფრო ნელი, დარბაისლური გამიხდა. გარეგნულად ალბათ სასაცილოდ
აც გამოვიყურებოდი სხვის თვალში. ჩემთვის კი ეს სუფთა ღვთისმსახურება იყო.

ყველაფერში მხოლოდ ერთს, ჩემი მრწამსის გამოხატულებას ვეძებდი, ხატ
ვაც დავიწყე. ინგლისური რეპროდუქცია არ მაკმაყოფილებდა, რადგან მთლიანად
არ ჰგავდა ჩემი ოცნების ქალიშვილს, გადავწყვიტე მეცადა და თავად შემექმნა
იგი. ამ ახალი სურვილით შეპყრობილმა იმედიანად შევაბიჯე ჩემს ოთახში,
მოვიმარჯვე სახატავი ფურცლები, ფუნჯები, ფერადი საღებავები, ფანქრები,
პალიტრა, ფაიფურის ლანგარი და ფრთხილად შევუდექი საქმეს. რადგან სახის
დახატვა უფრო რთული იყო, ჯერ სხვა რაღაც მიხდოდა მეცადა. ფანტაზიით
დავხატე სხვადასხვა ორნამენტები, ყვავილები, პეიზაჟები, ხე სამლოცველოს
თან, რომაული ხიდი. მთლიანად ჩავიძირე ხატვაში, ბავშვივით ვხარობდა ლა
მაზ-ლამაზი ფერებით. როგორც იქნა ბეატრიჩეს დახატვასაც შევუდექი.

რამდენიმე ფურცელი გამიფუჭდა და გადავყარე. რაც მეტს ვცდილობდი
წარმომედგინა მისი სახე, მით უფრო არ გამომდიოდა. ბოლოს ხელი ავიდე
წარმოსახვაზე და პირდაპირ ხატვას შევუდექი. ინტუიციას მივყევი და ხელიც
თავისით ამოძრავდა. თავისთავად აეწყო ყველაფერი, ფერიდან ფერზე გადავი
ოდი, და როგორც იქნა, ჩემი ნაოცნებარი სახეც გამოვიდა, პირველი შედეგით
უკმაყოფილო არ დავრჩენილვარ. კვლავ განვაგრძობდი ხატვას და სულ უფ
რო და უფრო ვუახლოვდებოდი ჩანაფიქრს. თანდათან ვერვოდი და მსიამოვნე
ბდა ფუნჯით კონტურების მოხაზვა, სიბრტყის შეგრძნება. ნახატი ყოველგვარი
ნიმუშის გარეშე, ჩემი წარმოსახვის შედეგად, გაუცნობიერებლად იქმნებოდა.
როცა დავამთავრე, დავაკვირდი და მიუხედი, რომ ეს არ იყო ჩემი ოცნების

ქალიშვილი, ეს იყო სხვა, ვიღაც უცნობი, მაგრამ მაინც ძვირფასი. უფრო ზიჰს წააგავდა. ბეატრიჩეს ქერა თმა ჰქონდა, ამას კი მოწითალო, პირიც წითლად უღვივოდა. სახე ცოტა უხეში, მკაცრი, მკვრივნიკაპიანი, მაგრამ მაინც მომხიბვლელი და იღუმალებით მოცული ჰქონდა. დამთავრებული ნახატი წინ ჩამოეჯექი. მომეჩვენა, თითქოს წმინდანის ღვთიური სახე თუ ნიღაბი ჰქონდა, თითქოს მარადისობა გამოსჭვიოდა მის მზერაში. ეს ოცნებებისეული უძრავი, მაგრამ მაინც სიცოცხლით სავსე, ნახევრად მამაკაცური, ნახევრად ქალური სახე რაღაცას მეუბნებოდა, რაღაცას მოხოვდა თითქოს. ვიღაცას მივამსგავსე, ვის, არ ვიცი, მაგრამ შეამაყებოდა, რომ ეს მე შევქმენი, მე შეკუთვნოდა.

ნახატი ჩემი ცხოვრებისა თუ ფიქრის ნაწილად იქცა. უჯრაში ჩაკეტე და არავის ვუჩვენებდი. მხოლოდ მაშინ ვიღებდი უჯრიდან, როცა ჩემს ოთახში მართლ ვრჩებოდი. ღამე საწოლის პირდაპირ ლურსმანზე ვამაგრებდი და დაძინებამდე ვუყურებდი, დილითაც პირველ მზერას მას ვჩუქნიდი.

სწორედ ამ პერიოდში, როგორც ბავშვობაში, უამრავი სიზმარი მომეძალა. ღამის საუკუნეა სიზმარი არ მღირსებია, ახლა კი კვლავ მომეახლა. სრულიად უჩვეულო და გაახლებული. დროდადრო ჩემს ნახატსაც ვხედავდი, რომელიც ხან ჩემს გასახარად წითლად და მრავლისმეტყველად, საოცრად ღამზად და ცხოველმყოფლად გაიელვებდა, ზოგჯერ კი თითქოს გასადიზიანებლად, მახინჯი და სახედანაოჭებული მეჩვენებოდა.

ერთ დღით, ამგვარი სიზმრებიდან გამოღვიძებულმა, ვაგრძენი, რა უცნაურად მიყურებდა ნახატი, რაღაცნაირად მეცნო ეს მზერა, სახელიც დამიძახა თითქოს, დედა რომ შვილს დაუძახებს ისე. აკანკალებული მივაჩერდი სურათს: აი, წაბლისფერი, სქელი თმა, ნახევრად ქალური, მკაცრი სახე. ფართოდ გაშლილ შუბლზე უცნაური ნათელი დასთამაშებს. არა, ნამდვილად სადღაც მინახავს ეს სახე.

საწილიდან წამოეხტი, ახლოს მივედი, პირდაპირ ჩავხედე ფართოდ გახედილ, უძირო, გაქვავებულ თვალებში, მარჯვენა წარბი უფრო მაღლა ჰქონდა აწეული, ერთხელ მსუბუქად, მაგრამ აშკარად შეირხა კიდეც. და... ამით შევიცანი.

რატომ, რატომ ვერ მივხვდი აქამდე, ეს ხომ დემიანია! ყოველ დღე ვცდილობდი აღმედგინა დემიანის ნაკვთები და მალიძალ ვადარებდი სურათს: დემიანა იყო, მაგრამ თითქოს მთლიანად არც მას ჰგავდა ჩემი ნახატი.

ერთ ადრეულ ზაფხულის საღამოს, მზე ირიბად რომ ანათებდა ჩემს ფანჯრებში და დასავლეთისაკენ იმზირებოდა, ასეთი აზრი გამიჩნდა უცბად, ბეატრიჩეს თუ დემიანის სურათი რაფაზე, კუთხეში მიმემაგრებინა და საღამოს მზის შუქზე დავკვირვებოდი. მთლიანი სახის კონტური არ ჩანდა, მაგრამ წითლად ანთებული თვალები ველურად, მგზნებარედ ანათებდა ტილოდან. შუბლი და პირი უბრწყინავდა. დიდხანს ვიჯექი მის წინ, მზის ჩასვლის მერეც. თანდათან ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, რომ ეს არ იყო არც დემიანი, არც ბეატრიჩე, ეს თავად მე ვიყავი. მართალია, ნაკვთებით არ მგავდა, ან როგორ უნდა მგვანებოდა, მაგრამ იგი ჩემი სულიდან, ჩემი ცხოვრებიდან გამომდინარე ჩემი ბედი თუ დემიანი უნდა ყოფილიყო. ასეთი იქნებოდა ალბათ ჩემი მეგობარი თუ სიყვარული, თუკი ოდესმე მეღირსებოდა და ვიპოვიდი, ასეთად მესახებოდა ჩემი სიცოცხლე თუ სიკვდილი, ჩემი ბედისწერა.)

ყველაფერ ამას ისიც დაემთხვა, რომ სწორედ ამ კვირაში რაღაც წიგნი წავიკითხე, რომელმაც საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. მსგავსი

ჯერ არაფერი წამეკითხა, არც არასოდეს განხეცადა ასეთი სიამოვნება, თუ არ ჩავთვლით მხოლოდ ნიცშეს. ეს იყო ნოვალისის წერილები და თქმულებები. ბევრი რამ შეიძლება ვერც გაეიგე, მაგრამ სულიერად შემძრა. განსაკუთრებით ერთმა აზრმა მიაპყრო ჩემი ყურადღება. ჩემს ნახატსაც წავაწერე მერე: „ადამიანმა უპირველესად საკუთარი სული და ბედისწერა უნდა შეიცნოს“.

ბეატრიჩეს ისევ ხშირად ვხედავდი. მაგრამ მისი დენაჩვი უფრო მალეღებდა, უბრალოდ, დანახვისთანავე ერთი შეგონება მიხედვით მხედავდი: „თავად შენ არა, მაგრამ შენი სურათი ჩემზეა მოჯაჭვული და ჩემი ცხოვრების ნაწილია“. უკვე რამდენი ხანია არაფერი ვიცოდი დემიანზე და მენატრებოდა. ერთადერთხელ ენახე არდადეგებზე და ახლავა მივხვდი, რომ იმ ხანმოკლე შეხვედრამ ჩემს სურათში ქოვეა გამოხატულება. რაც მაშინ დამემართა, სიმორცხვისა და პატივმოყვარეობის გამო, უნდა მეზღო კადეც.

ეს მოხდა ზაფხულის არდადეგებზე. კარგად შეზარხოშებული, თამამად დავეხეტებოდი ჩემს მშობლიურ ქალაქში. მივდიოდი და ვაკვირდებოდი ადამიანების ამრეზილ სახეებს. უცბად შორიდან დემიანს მოგვარი თვალი, მაშინვე კრომერის ამბავი გამახსენდა და გავიფიქრე: „ნეტა თუ ახსოვს დემიანს ეს ამბავი?“ ეს ხომ სულელური, ბავშვური თავგადასავალი იყო, მაგრამ მაინც მაწუხებდა მისდამი ვალდებულების გრძნობა.

როცა მომიახლოვდა, შეიცადა, რომ მივსალმებოდი, მაგრამ დაინახა რა ჩემი ყოყმანი, თავად გამომიწოდა ხელი. ძველებურად სასიამოვნო მამაკაცური სიძლიერე ეტყობოდა. ყურადღებით ამათვალიერ-ჩამათვალიერა და მოთხრა: „გაზრდილხარ, ზინკლაირ!“. ის სულ არ შეცვლილა. გამომყვა და საუბარი გამიბა, თუმცა ეს არაფრით ჰგავდა ადრინდელ საუბრებს. რაღაც მეორეხარისხოვან საგნებზე ვლაპარაკობდით. გამახსენდა, რამდენჯერმე წერილი რომ მივწერე და პასუხი არ მიმიღია. არც ახლა უხსენებია ეს სულელური წერილება, ალბათ გადაავიწყდა.

ეს ის პერიოდი იყო, როცა საშინელი პესიმიზმი მტანჯავდა. მაშინ არ არსებობდა არც ბეატრიჩე, არც ჩემი ნახატი. დემიანი სამიკიტნოში შევიპატიე. ამაყად მოვითხოვე ერთი ბოთლი ღვინო, ჩამოვასხი, მივუჭახუნე მის ჭიქას და გამოვცალე. დემიანი მიხვდა, ღვინოს ვეძალებოდი და მკითხა:

„ხშირად დადიხარ სამიკიტნოებში?“

„ჰო, — ვთქვი უხალისოდ, — აბა, სხვა რა უნდა აკეთოს კაცმა ამ ცხოვრებაში? ბოლოს და ბოლოს შესანიშნავად ვერთობი“.

(„შენ ასე გვინია? თუმცა არ შეგეკამათები. მართლაც არის აქ რაღაც მიმზიდველი, თავდავიწყება თუ გაბრუება. მაგრამ ჩემის აზრით, ვინც გამუდმებით სამიკიტნოებში ზის, ჭიქას ჭიქაზე ცლის, დაკარგულია ეს ადამიანი. სამიკიტნოებში თავმეფარება ცოტა არ იყოს მემჩანური საქციელია და არაა გამართლებული. კი, მესმის დავთვრე ერთხელ ლამაზად, ჭემმარიტი მგზნებარებით, მაგრამ არა ისე გამუდმებით. გაიხსენე ფაუსტი, ყოველ საღამოს სამუშაო მაგიდასთან რომ იჯდა“)

კიდევ გამოვცალე ჭიქა და მტრულად გავხედე:

„კი, მაგრამ, ყველა ხომ ფაუსტი ვერ იქნება?“ განცვიფრებულმა შემომხედა და ჩემთვის კარგად ნაცნობი სიამაყითა და გულგრილობით გაიცინა: „რაა აქ პაკამათო? ცხოვრება ღოთისათვის და გარყვნილი ადამიანისათვის უფრო აზრიანია, ვიდრე წესიერისთვის. და კადეც — ერთგან წავიკითხე, გარყვნილის ცხოვრება საუკეთესო მომზადებაა მისტიკისათვისო. ხომ არსებობენ ჩვეულებრა“.

მთლად დასველებულიყო. შევეცადე გამეშრო, მერე სქელ წიგნში ჩავდე. მეორე დღეს, უკვე გამშრალს რომ დავხედე, გავოცდი, სრულიად შეცვლილი მეჩვენა: წითლად მოღვივლივე პირი გაფერმკრთალებოდა, სახის ნაკვთები ჩავარდნოდა. ახლა უფრო დამსგავსებოდა დემიანს.

ახრი დამეზადა, ახალი სურათი შემექმნა. გერბზე გამოხატული ჩიტი დამეხატა. აღარ მახსოვდა, სიძველისაგან ფერგადასულ გერბზე ჩიტი ყვავილზე იჯდა, ბუდეში თუ ხის კენწეროზე. თუმცა ფიქრით ატყავს ჩიტი თავი, პირდაპირ ხატვას შევუდექი. რატომღაც მკვეთრი ფერებით დავიწყე. მინდოდა ოქროსფერი ყოფილიყო ჩემი ფრინველი. ნახატზე ხასიათის მიხედვით ემუშაობდი და რამოდენიმე დღეშიც დავამთავრე.

ეს იყო მტაცებელი ფრინველი, შეუპოვარი, მებრძოლი მიძინო. ნახევარი ტანი ჩაბნელებულ მრგვალ სფეროში ჰქონდა ჩარჭობილი. თითქოს ცდილობდა თავი დაეღწია ამ უზარმაზარი კვერცხიდან და ცის კამარას შერთვოდა. რაც მეტად ვაკვირდებოდი ნახატს, მით უფრო ვრწმუნდებოდი, რომ ეს სწორედ სიზმარში ნანახი ფერადი გერბი იყო.

დემიანის ადგილსამყოფელი რომც მცოდნოდა, მაინც ვერ შეეძლებდი მისთვის წერილის მიწერას. მაგრამ ინტუიციამ, რაც ბოლო ხანს ყოველ ჩემს მოქმედებას სდევდა თან, მიკარნახა, ეს ნახატი დემიანისთვის გამეგზავნა. მიიღებდა თუ არა, ამას აღარ ჰქონდა მნიშვნელობა. ნახატზე არაფერი, გვარიც კი არ წამიწერია. ნაპირები გულდასმით შევუსწორე, დიდ კონვერტში ჩავდე, ჩემს მეგობრის ძველი მისამართი დავაწერე და გავაგზავნე.

გამოცდები ახლოვდებოდა და ჩვეულებრივზე მეტად ვმეცადინებოდი. მას მერე, რაც ძველ ცხოვრებაზე ავიღე ხელი, ისევ მოწყალე თვალთ მიყურებდნენ მასწავლებლები. რა თქმა უნდა, გადასარევი მოსწავლე არც ახლა ვყოფილვარ, მაგრამ ჩემგან ამასაც არ მოელოდნენ.

მამის წერილებშიც შეიცვალა კილო, აღარ მსაყვედურობდა, არც შემუქრობოდა. არავისთვის გამიმხელია, რა მოხდა ჩემში. უბრალოდ, ეს ცვლილება მშობლებისა და მასწავლებლების სურვილსაც დაემთხვა. მაგრამ ამ გადასხვაფერებამ ვინმესთან კი არ დამაახლოვა, პირიქით, უფრო განმამარტოვა. ერთი მახანი გამიჩნდა მხოლოდ: დემიანისკენ სწრაფვა, სწრაფვა შორეული ბედისწერისაკენ. თუმცა ვგრძნობდი, ჯერ სადღაც შუა გზაზე ვიდექი. ბეატრიჩეთი დავიწყე, მერე კი ჩემი ფიქრები მთლიანად დემიანმა დაიკავა. და აი უკვე რამდენი ხანია, ჩემი ნახატებით ვცხოვრობდი. ჩემი სამყარო ვიპოვე და აღარ მინდოდა დამეკარგა. არავის შეეძლო თუნდაც ერთი სიტყვით ეკითხა ჩემს სიზმრებზე, მოლოდინზე, ჩემს სულიერ ფერისცვალებაზე. არც მქონდა ამის სურვილი ან რატომ უნდა მქონოდა?!

თავი მეხუთე

ჩიტი ლამობს კვერცხიდან თავი დააღწიოს

ჩემი ნახატი გზაში იყო და დემიანს ეძებდა. მოხდა სასწაული, პასუხი მივიღე.

საკლასო ოთახში ვიჯექი. შუა გაკვეთილზე ჩემს წიგნში რაღაც ბარათს წავაწყდი. კლასში ჩვეუად ჰქონდათ, ერთმანეთს უგზავნიდნენ წერილებს. თუმცა მე ისე ახლოს არავისთან ვყოფილვარ, ჩემთვის რომ მოეწერათ და სასკო-

ლო დღესასწაულებზე მისაწვევ ბარათად მივიჩნიე. არ მსიამოვნებდა ამგვარ ღონისძიებებზე სიარული და ამიტომ წაუკითხავად, პირდაპირ წიგნის ბოლო ნაწილში გადავდე.

გაკვეთილის ბოლოს შემთხვევით ხელში მომხვდა ბარათი. შევახვედრე, უახროდ გავხსენი და რამოდენიმე სიტყვას მოვკარი თვალი. შიშმა ამიტანა, ვინაა ანტელმა დამიარა, გულმა, თითქოსდა სიცივისგანო, ძვერა დამიწყუ. რუფუშუაღუ ბრულდა განგების ნება?!

„ჩიტი ლამობს თავი დააღწიოს კვერცხს. კვერცხი სამყაროა და ვისაც სურს დაიბადოს, უნდა დაამსხვრიოს ეს სამყარო. კვერცხიდან გამონთავისუფლებული ჩიტი ღმერთისკენ მიისწრაფვის. ამ ღმერთს კი აბრაახასი ჰქვია“. რამოდენიმეჯერ გადავიკითხე, ეჭვგარეშეა დემიანმა მომწერა, ჩიტის შესახებ სხვას არავის შეეძლო სცოდნოდა. ეს მხოლოდ ჩვენ ორმა ვიცოდით. გამოდის, მიიღო ჩემი წერილი, მიხვდა და ამით ნიშანი მომცა. კი მაგრამ, ვინაა აბრაახასი? არც გამიგია და არც არსად მსმენია მის შესახებ. „ღმერთს ჰქვია აბრაახასი – რას უნდა ნიშნავდეს ნეტა?“ – მტანჯავდა ამაზე ფიქრი.

გაკვეთილი ისე დამთავრდა, ვერაფერი გავიგე. უკვე მომდევნო იწყებოდა, ერთი ახალგაზრდა, მტატგარეშე მასწავლებლისა. ეს მასწავლებელი ძალიან მოგეწონდა, რადგან თავისუფლად, მეგობრულად გვექცეოდა და ჩვენც ნაკლები ცერემონიულობა გვჭირდებოდა. დოქტორი ფოლენსი ჰეროდოტეს გვიკითხავდა. ძალიან კი მაინტერესებდა, მაგრამ ამჯერად საკუთარი გასაჭირი მქონდა და არ შეცალა მოსასმენად.

ანგარიშმიუცემლად გადავშალე წიგნი, მაგრამ თარგმანს არ მიუყვებოდი. საკუთარ ფიქრებში ვიყავი გართული. დემიანის ნასწავლი მეთოდი გამომადგა. მართალი იყო, როცა მარწმუნებდა, ფიქრით და დაჟინებული მზერით ბევრის მიღწევა შეიძლებაო. ბავშვობაში არ გამომდიოდა, მაგრამ ახლა უკვე ნაცადი მქონდა და საიმედოდაც მიმაჩნდა. მთელი არსებით ჩავიძირე საკუთარ თავში და თავდაჯერებული, საქმიანი გამომეტყველება მივიღე; რადგან ვიცოდი, დაბნეულობითა და გაფანტულობით უფრო მივიპყრობდი მასწავლებლის ყურადღებას, სადღაც შორს ვიმყოფებოდი ჰეროდოტესგანაც და სკოლიდანაც. უცბად მასწავლებლის რამოდენიმე სიტყვამ, თითქოსდა მეხივით გაიელვაო, გამომაუხიზლა. დოქტორი ფოლენსი იდგა ჩემ გვერდით, მეგონა, რაღაცას მეტყვოდა, მაგრამ არც შემოუხედავს, ამოვისუნთქე, ის თავისთვის განაგრძობდა ლაპარაკს. გარკვევით გავიგე სიტყვა „აბრაახასი“. სმენად ვიქეცი: „ჩვენი შეხედულებები სექტანტებზე და უძველეს მისტიურ საზოგადოებებზე არ უნდა იყოს ასეთი გულუბრყვილო, მათივე ძირითადი თვალსაზრისიდან და რაციონალური დაკვირვებიდან გამომდინარე. რაღა თქმა უნდა, ძველად ჩვენნაირად არ იცნობდნენ მეცნიერებას. მაშ, რატომ უნდა გვიკვირდეს, რომ ისინი დაინტერესებულნი იყვნენ ფილოსოფიურ-მისტიური სინამდვილით, რამაც ასეთი ფართო განვითარება ჰპოვა მაშინ. ნაწილობრივ აქედან წარმოიქმნა მაგია, ჯადოქრობა და აქედან წარმოიშვა დამნაშავენი და ცდომილნიც. მაგრამ მაგიასაც ჰქონდა კეთილშობილური წარმომავლობა და ღრმა გააზრება, ისევე როგორც მოძღვრებას აბრაახასზე, ზემოთ რომ მოგახსენეთ. ამ სახელს ბერძნულ, მაგიურ ძალებთან აკავშირებენ და ხშირად ჯადოქრად იხსენიებენ. ასეთი ჯადოქრები დღესაც არიან ველურ ხალხებში. აბრაახასი თავის თავში მრავლისმომცველია, თავისებური სიმბოლური დატვირთვა აქვს და ერთდროულად გამოხატავს ღვთიურსაც და ეშმაკისეულსაც.“

↑
აბრაახასი

თავკამოდებით გვიხსნიდა ეს ახალგაზრდა კაცი, მაგრამ არავინ უსმენდა. მორჩა თუ არა აბრახასზე ლაპარაკს, მეც ჩემს ფიქრებს დაკუბრუნდი ისევ.

„ღვთიურს და ეშმაკისეულს ერთდროულად“ — კვლავ შესძოდა ყურებში. ამ სიტყვებს უნდა ჩაებლაუჭებოდი. გამახსენდა, ბოლო ხანებში დემიანსაც ხშირად გამოუთქვამს ასეთი აზრი: „ჩვენ გვყავს ღმერთი და თაყვანს ვცემთ მას, მაგრამ ესაა ღმერთი მხოლოდ ოფიციალურად აღიარებული სამყაროსი. ადამიანს კი უნდა შეეძლოს მთელი სამყაროს პატივისცემა და სიყვარული უნდა არსებობდეს ღმერთი, რომელიც თავის თავში ეშმაკისეულსაც მოიცავს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ღვთის მსახურებასთან ერთად ეშმაკის მსახურებაც მოგვიწევს“, — გამოდის, ასეთი ღმერთი აბრახასია.

ყველგან ვეძებდი, მთელი ბიბლიოთეკები მოვიარე, მაგრამ აბრახასის სახელს ვერსად წავაწყდი. ჭეშმარიტების დადგენას ვლამობდი, მაგრამ ხელმოცარული დავრჩი.

ბეატრიქეს სახე, პიელი სულით და ხორციით რომ ვიყავი ერთი ხანობა გატაცებული, თანდათანობით წაიშალა და შორეულ, გაფერმკრთალებულ აზრდილად იქცა. დროებითი აღმოჩნდა ჩემი სულის სიმშვიდე. კვლავ მოუხვეწრობამ, კვლავ რაღაც ახლის ძიებამ შემიბერო.

უცნაურად ჩახლართული თვითმყოფადობის გზას დავადექი. მოვარეულივით მივეყვებოდი საკუთარ გულისთქმას. ჩემი სქესობრივი, უფრო სწორად, სიყვარულის მოთხოვნილება, ერთი პირობა ბეატრიქეს სურათისადმი თაყვანისცემით გადავჭერი. ახლა კი კვლავ დღედაღამ უძიებლად ვოცნებობდი. უძიებლად იძვდიან ისევ მომეძალა წარმოსახვები, სურვილები, სიზმრები და ისევ მომწყვიატა რეალობას. (მე, ჩემი სიზმრებითა თუ წარმოსახვებით, საკუთარი ნახატებით შევქმენი ნამდვილი, სიცოცხლით აღსავსე სამყარო და ამ სამყაროში ვცხოვრობდი) მიზნად დავისახე ჩემი ოცნება, თუ, არ ვიცე, ამას რა დავარქვა, სიზმარი, რომელიც ხშირად მეჩვენებოდა და საოცრად მახლობელი გახდა ჩემთვის, გამეცოცხლებინა, ქალაქზე გადამეტანა, სიზმარში ნანახი ქალის სახე დამეხატა. მესიზმრებოდა, ვითომ მშობლიურ სახლში ვბრუნდებოდი. ჭიშკარზე თვალისმომჭრელად ბრწყინავდა გერბზე გამოსატული ჩიტი. ზღურბლზე დედა მეგებებოდა, ხელებს მიწვდიდა, უნდოდა მომხვეოდა, მაგრამ როცა მიახლოვდებოდა, ვხედავდი, რომ ეს აღარ იყო დედა. დედის ნაცვლად, ვიღაც უცნობი ქალი მეხვეოდა. უცნობს ამაყი, შეუბოვარი სახე ჰქონდა, ცოტათი დემიანს, თუ ჩემს დახატულ სურათს ჰკავდა, მაგრამ ეს უფრო სხვანაირი იყო, მიუხედავად მკაცრი ნაკეთებისა, მაინც ქალური და მომხიბვლელი. თავისკენ მიზიდავდა და სიყვარულით, ათროლებული ხელებით მეხვეოდა. არ ვიცე, ამ დროს ზუსტად რას ვგრძნობდი, შიშს თუ ნეტარებას, იქნებ ორივეს ერთად, ყოველ შემთხვევაში, ვგრძნობდი რაღაც ღვთიურს, სასწაულებრივს. უამრავ მოგონებას მიღვიძებდა ეს სახე. დედასაც ვამსგავსებდი და ჩემს მეგობარ დემიანსაც. ხშირად ამგვარი სიზმრიდან გამოღვიძებულს ბედნიერების შეგრძნება მეუფლებოდა, ზოგჯერ კი თითქოს საშინელი ცოდვიდან გამოფხიზლებულს შიში და ტანჯვა მეწყებოდა.

თანდათან გაუცნობიერებლად ვხედებოდი, რომ რაღაც კავშირი არსებობდა ამ გასულიერებულ სიზმრებსა და გარე სამყაროდან შემოსულ მინიმუმებს შორის. დღითი დღე ვრწმუნდებოდი ამაში. ბოლოს, რატომღაც ისიც ვიფიქრე, რომ ამ წინასწარმეტყველურ სიზმარში აბრახასი გამოვიწვიე, რადგან ჩემს სიზმარშიც, ისევე როგორც აბრახასში, წინააღმდეგობრივად გადახლართულიყო ერთმანეთში შიში და ნეტარება, შემზარავი და საამო, დანაშაულებრივი და უმწიკ-

ლო, ქალური და მამაკაცური. დღემდის სიყვარული ცხოველურ, ამოუცნობ
 ვრძნობად მიმაჩნდა, მართალია, ერთი პირობა სიყვარულისადმი ძრწოლა და
 შიში ბეატრიჩეს სურათისადმი ზემთაგონებულ, კეთლშობილურ თაყვანისცემბ-
 ში გადამეზარდა, მაგრამ დღეს ჩემს სიყვარულს ერთმანეთში უცნაურად გა-
 დაჯაჭვული ანგელოზისა და სატანის, ქალისა და მამაკაცის სახე მიეღო. დღეს
 ჩემს სიყვარულში ჩასახლებულიყო ადამიანიც და მხეციც, უსაზღვრო სიკეთეც
 და უკიდურესი ბოროტებაც. ვგრძნობდი, ამგვარი იქნებოდა ჩემი ბედი, რომე-
 ლიც განუწყვეტლივ მდევდა თან და რასაც მთელი არსებით, მაგრამ მოკრძალებ-
 ზულად ვესწრაფოდი.

მომდევნო ზაფხულს გიმნაზიას ვამთავრებდი, სწავლის გაგრძელებას ვა-
 პირებდი, მაგრამ სად, ჯერ არ მქონდა გადაწყვეტილი. ერთი უმიზნო და უმწეო
 ადამიანი გახლდით. ერთადერთი რამ იყო ჩემში ამკარად გარკვეული, შინაგა-
 ნი ხმა და სიზმარში ნანახი სურათი. ვგრძნობდი, ამ ხმას უნდა მიველოდი
 პრმად. მაგრამ ამ გზაზე საოცარ წინააღმდეგობებს ვაწყდებოდი და დღითი დღე
 მიჭირდა. (ზოგჯერ ჩემი ფიქრებით სიგიჟემდე მივდიოდი, შეშლილად მიმაჩნდა
 თავი, მე არ შემიძლო მეცხოვრა ყველას მსგავსად, მეკეთებინა ის, რასაც ჩვე-
 ულებრივი ადამიანები აკეთებდნენ: მეკითხა პლატონი, ამომეხსნა ტრიგონომეტ-
 რიული ამოცანები, ჩამეტარებინა ქიმიური ანალიზები, გამოვსულიყავი პროფე-
 სორი და მოსამართლე, ექიმი თუ ხელოვანი, განა მქონდა ამას რაიმე აზრი?!
 მიკვარდა, როგორ შეეძლოთ ამ ადამიანებს წინასწარ გაუანგარიშებინათ მთელი
 ცხოვრება, დაესახათ მიზნები, როგორ შეეძლოთ სცოდნოდათ ზუსტად, რა უნ-
 დოდათ, წინასწარ განესაზღვრათ თავიანთი სურვილები. ეგებ ოდესმე მეც გავხ-
 დე ასეთი) (ყოველ შემთხვევაში, დღეს მე მხოლოდ ერთი რამ მწამს – უნდა
 კბებო, ვეძებო თუნდაც წლების განმავლობაში, მაგრამ მაინც საკუთარი გზა უნ-
 და ვეძიო. ვიცა, შეიძლება ამ ძიებითაც ვერ მივაღწიო მიზანს, ან იქნებ მივაღ-
 წიო, მაგრამ უარეს საშინელებასა და ბოროტებას გადავეყარო.)

როგორ მინდოდა მეცხოვრა ისე, როგორც ამას ჩემი შინაგანი მე, შინაგანი
 ხმა მკარნახობდა, რატომ იყო ეს ასე ძნელი?!

ბევრჯერ ვეცადე დამეხატა სიზმარში ნანახი იდუმალებით მოსილი, კეთილ-
 შობილური სახე და დემიანისათვის გამეგზავნა, მაგრამ არ გამომდიოდა.
 ვგრძნობდი, რა უცნაურად ვიყავი დემიანზე მიჯაჭვული, ხშირად ვოცნებობდი
 მასთან შეხვედრაზე. მისგან კვლავინდებურად არაფერი ისმოდა, არ ვიცოდი,
 სად იყო, რას მოღვაწეობდა.

ბეატრიჩეთი მონიჭებული საამო სიმშვიდე კარგა ხანია დავკარგე. ის
 მიმაჩნდა ჩემი ოცნების კუნძულად, მაგრამ შევცდი, როგორც ყოველთვის, თუ
 რაიმეს გავითავისებდი და შევიყვარებდი, მალევე მიქრებოდა ხელიდან. ჩემში
 ჩაბუდებული სიყვარულის მოთხოვნილება კი კვლავ რაღაცის მოლოდინით ახ-
 აღ სატანჯველს მამზადებდა და გააფთრებულ მხეცს მამსგავსებდა.

სიზმარში თანდათან უფრო ამკარად და გარკვევით ვხედავდი იმ უცნობ
 ქალს, ზოგჯერ ვესაუბრებოდი კიდევ, ვტიროდი, ვეკამათებოდი, ვწყევლიდი, ვე-
 მუდარებოდი. ზოგჯერ კი დედას ვეძახდი და ცრემლმორეული მუხლს ვიდრე-
 კდი მის წინაშე, ხან სიყვარულს ვეფიცებოდი, ხან მის ღვთაებრივ კოცნასაც
 ვგრძნობდი. მოთმინებიდან გამოსული, ხანდახან შეურაცხმყოფელ სიტყვებსაც
 ვკადრებდი, ქუჩის ქალს, ვამპირს, მკვლელს ვუწოდებდი. არაფერს ვრიდებოდა,

არაფერი არსებობდა მისთვის ძვირფასი და კეთილშობილური. უნახესი სიყვარულით თუ უტიფრობით მაცდუნებდა იგი.

ძნელი გადმოსაცემია სიტყვით, რასაც მაშინ განვიცდებდი. მთელი ზამთარი ქარიშხალი ბობოქრობდა ჩემს სულში, კვლავინდებურად მარტოობა მტანჯავდა. მხოლოდ ჩემი ნახატებით და სიზმრებით ვსულდგმულობდი. სიზმარში ნახაბ სანუკვარ სახეში მესახებოდა ჩემი სიყვარული, ჩემი ბედნიერება, ვგრძნობდი, ეს იყო ჩემი მომავალი და იმ შორეულ მომავალში ყველაფერი აბრაზასზე მოუთითებდა. არც ერთი აზრი თუ სიზმარი მე არ მეძორჩილებოდა, არ შემეძლო რომელიმე მათგანის თავად, საკუთარი სურვილით გამოწვევა. რაღაც მძარ-თავდა და ბატონობდა ჩემზე, რაღაც უხილავ ძალას მივყავდა იმ სამყაროში. გარეგნულად თვითდაჯერებულად მეჭირა თავი და არაფერს ვიმჩნევდი, რის გამოც თანაკლასელებში ფარულ პატივისცემას ვგრძნობდი ჩემდამი, და ეს სიცოცხლს მეკერიდა. თუ მოვისურვებდი, შემწევდა იმის უნარი, ნებისმიერ მათგანს ჩავწვდომოდი, და ამით ვაოგნებდი კიდევ მათ, თუმცა იშვიათად ვაკეთებდი ამას. მე მხოლოდ საკუთარი თავის ძიებით ვიყავი დაინტერესებული, მხოლოდ საკუთარ სულში მიმდინარე პროცესებს ვადევნებდი თავს. მსურდა მეპოვა ჩემი ცხოვრების გზა, რომ როგორმე გამოვსულიყავი ამ არარეალური სამყაროდან და რეალურ, ჭეშმარიტ ნიადაგზე დამედგა ფეხი.

ამ პერიოდში აღმოვაჩინე სწორედ ერთი უჩვეულო რამ, რასაც შემთხვევითობას ვერ დავარქმევ. როცა წააწყდები იმას, რაც ყველაზე მეტად გვირდება, ეს უკვე შენი შინაგანი სწრაფვისა თუ მოთხოვნილების შედეგია, და არა შემთხვევითობა.

ორჯერ თუ სამჯერ, ქალაქში ხეტიალისას, გარეუბანში ერთ პატარა ეკლესიას მიუახლოვნი. ერთხელ, როცა ჩავიარე, ბაზის მუსიკა შემომესმა ეკლესიიდან. შესვლა დავაპირე, მაგრამ კარი დაკეტილი აღმოჩნდა. ქუჩაში კაცი-შვილი არ ჭაჭანებდა და იქვე, ეკლესიის გვერდით ქვაზე ჩამოვჯექი. პალტოში მჭიდროდ ვაკეხვიე და მივაფურადე. ეტყობა, ორდანი დიდი არ იყო, მაგრამ საამო ხმა აქონდა. საოცრად, მთელი გრძნობითა და ზემთაგონებით უკრავდა ვიღაც, თითქოს ღოცულობდა, თითქოს იცოდა, რა საიდუმლოებაც ჩაედოთ ამ მუსიკაში და საკუთარ ცხოვრების მსგავსად იავს დასტრიალებდა და იტანჯებოდა. მუსიკის ტექნიკასა და არსში ვერ ვერკვეოდი, მაგრამ ყმაწვილური ინსტინქტით ჩავწვდი ამ მუსიკის სულს, ვიგრძენი, რაღაც ჭეშმარიტს ვეზიარე.

ეკლესია თითქმის ჩაბნელებული იყო, მხოლოდ გვერდითი ფანჯრიდან აღწევდა მკრთალი შუქი. შევიცადე, ვიდრე მუსიკა შეწყდებოდა, მიხდოდა მენახა ვინ უკრავდა. როგორც იქნა, გამოვიდა, ჩემზე უფროსი ჩანდა. ჯმუხი, მოუქნელი, აჩქარებულად, მყარად, თან თითქოს არაღამაჯერებლად მიაბიჯებდა.

ზოგჯერ საათობითაც ვმჯდარვარ ეკლესიასთან, ბოლთასაც ვცემდი. ერთხელ ღია დამხედა კარი და შეციებული, აკანკალებული შევედი შიგნით. ვიჯექი, ვტკბებოდი ორდანის ხმით და თავს ბედნიერად ვთვლიდი. ზემოთ ორდანთან გაზის ნათურა ბუუტავდა. მე არა მხოლოდ მუსიკის ენა მესმოდა, არამედ ისიც, რასაც თავად მუსიკოსი აქსოვდა მასში; თითქოს დავნათესავდი თუ იდუმალი ძაფები. გაიბა ჩვენ შორის. მუსიკის შესრულებაში შევიგრძნობოდა რწმენა, თავდაუიწყება და ღვთისმოსაობა. მაგრამ ეს არ იყო მარტო ეკლესიის მსახურის ღვთისმოსაობა, ეს უფრო მოხეტიალე თუ შუასაუკუნეობრივი მლოცველის ღვთისმოსაობას ჰგავდა; მასში სამყაროც მკვეთრად ისახებოდა და ყოველგვარ აღსარებაზე მაღლა იდგა. გაგონილი მქონდა, რომ ბაზის შესანიშნავად

ასრულებდნენ ძველად იტალიელი მუსიკოსები, ცდილობდნენ ზუსტად გადმოეცათ და აემუტყველებინათ ის, რასაც კომპოზიტორი განიცდიდა: სულიერი წედომა და სწრაფვა სამყაროსადმი, მისგან გაქცევის სურვილი, თავდავიწყება და მგზნებარება.

ერთხელ უკან დავედევნე უცნობ მუსიკოსს. შორიდანვე შევაძინე, სამიკიტნოში შევიდა. თავი ვეღარ შევიკავე და მეც შევეყვი. კუთხეში ჩამჯდარი იყო, შავი ფეტრის ქუდი ეხურა, წინ ღვიწით საესე ჭიქა ედგა. ასეთად მყოფად ზუსტად წარმოდგენილი: შეუხედავი, ცოტა ველური, უსიცოცხლო, მაგრამ მაინც ბავშვური. შუბლზე და თვალებში მამაკაცური სიმკაცრე იკითხებოდა, ხახის ქვედა ნაწილი კი უფრო ნაზი ჰქონდა. თითქოს რაღაც აკლდა, შეუთავსებლობა იგრძნობოდა მის გარეგნობაში. შეუპოვარი მზერის მიუხედავად ბავშვურობა და გაუბედაობა ეტყობოდა. ყველაზე მეტად მისი ჩამუქებული თვალების მკაცრი და ამაყი გამოხედვა მომწონდა.

უხმოდ დავეყე ქი მის პირდაპირ. არავინ იყო სამიკიტნოში. ისე შემომხედდა, თითქოს გაგდებას მიპირებდა. არც გავნძრეულვარ. სახეში ვუყურებდი, ვიდრე ხმამაღლა არ დამიღრიალა: „რა გინდა, რას მომჩერებიხარ?“

„არაფერი, — ვუპასუხე, — ისედაც ბევრი რამ მივიღე თქვენგან“. შუბლი შეეჭმუნა.

„აჰ, მუსიკით ხართ გატაცებული? მეზიზღებიან ასეთი ადამიანები, მუსიკა რომ აბოლებთ“.

არ შევეპუე და მაინც განვაგრძე: „ხშირად მქონია ბედნიერება, მომესმინა თქვენთვის, ერთხელ ეკლესიაშიც შემოვედი. არ მინდა, თავი შეგაწყინოთ, უბრალოდ, რაღაც განსაკუთრებულს ვეძებ, რას, თავადაც არ ვიცი ზუსტად, მგონა, თქვენთან ვიპოვიდი. თუ არ გსიამოვნებთ ჩემთან საუბარი, წავალ. თქვენი მუსიკის მოსმენა ეკლესიაშიც შემიძლია“.

„კარს რომ ყოველთვის ვკეტავ“.

„ერთხელ, როგორც ჩანს, დაგვიწყებიათ. უმეტეს წილად კი გარეთ ედგავარ, ან იქვე ქვაზე ვჯდები და ისე გისმენთ“.

„თუ ასეა, სხვა დროს შემოდით, იქ უფრო თბილა. თუ დაკეტილი დაგზვდებათ, დააკაკუნეთ, ოღონდ ძლიერად. მაგრამ როცა ვუკრავ, მაშინ არა. ახლა მითხარით, რის თქმა გსურდათ? საკმაოდ ახალგაზრდა ჩანხართ. სკოლაში სწავლობთ, თუ სტუდენტი ხართ? მუსიკოსი ხომ არ ბრძანდებით?“

„არა, უბრალოდ, მოყვარული. უსიტყვო მუსიკა მიყვარს, როგორსაც თქვენ უკრავთ. ასეთი მუსიკის მოსმენისას ისეთი შეგრძნება ეუფლება ადამიანს, თითქოს ცასა და ქვესკნელს შორის ცახცახებსო. არ მიყვარს მორალი, ყველაფერი, მორალის მომცველი მაღიზიანებს. იქნებ ვერ გიხსნით კარგად, მაგრამ მუსიკაც სწორედ იმიტომ მიყვარს, რომ მასში არაა მორალი. ერთი რამ მინდა გკითხოთ, გაგიგონიათ ასეთი ღმერთი, რომელშიც ეშმაკისეულიცაა და ღვთიურიც, ვგონებ უნდა არსებობდეს“.

მან ცოტათი უკან გადაიწია ქუდი, მუქი სქელი თმა შუბლიდან გადაიყარა, ორაზროვნად შემომხედა, ჩემკენ გადმოიხარა და ჩუმად, დამაბულად მკითხა: „რა ჰქვია ამ ღმერთს, ახლა რომ თქვით?“

„სამწუხაროდ, მარტო ის ვიცი, რომ აბრახასი ჰქვია“.

უნდობლად მიმოიხედა, თითქოს ეშინოდა, ვინმე არ გვისმენდესო, მერე მომიახლოვდა და ჩამჩურჩულა: „ვინ ხართ თქვენ?“

„გიმნაზიის მოსწავლე“.

„საიდან იცით აბრახასზე?“

„შემთხვევით გავიგე“.

ღვინის ჭიქა შეივსო და ჩაილაპარაკა: „შემთხვევით, ნუ ლაპარაკობთ, ახალგაზრდავ, სასულელეებს. შემთხვევით აბრახასზე ვერაფერს ვაიგებს ადამიანი. დაიმახსოვრეთ ეს. მეტს გეტყვით, მეც გამიგონია მასზე, — გაჩუმდა და თითქოს რაღაცის მოლოდინშიყო, მოძაშტერდა, თან სახე შეეკრძა, — ოღონდ ახლა ვერაფერს გეტყვით. გამიგეთ?“ — მერე პალტოს ვაჭლიდან წაუღებინა შექვიანი წაბლი ამოიღო და მეც გადმომიგდო.

„პოო! საიდან იცით მასზე?“ — მკითხა ხმამაღლა.

ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მოვუყევი, როგორ გამახსენდა ჩემი ბავშვობის მეგობარი საოცრად მიტოვებულსა და უძწეო მდგომარეობაში ჩავარდნილს. მას ასეთი რამ დაუხატე: „ჩიტო, რომელიც სამყაროდან თავის დაღწევას ლამობდა“ და გავუგზავნე. არც მჯეროდა, თუ მიიღებდა, მაგრამ რამოდენიმე ხნის შემდეგ ასეთი პასუხი მომივიდა: „ჩიტო იბრძვის, რომ თავი დააღწიოს კვერცხიდან, კვერცხი კი სამყაროა. ჩიტს სურს დაამსხვრიოს სამყარო და ღმერთისკენ, ცაში აიჭრას. ამ ღმერთს აბრახასი ჰქვია“.

ხმა არ ამოუღია. წაბლს ამტვრევდა და ღვინოს ატანდა.

„გინდა კიდევ ავიღოთ ერთი ბოთლი ღვინო? — შემეკითხა.

„გმაღლობთ, არ მიყვარს“.

ცოტა იმედგაცრუებულმა გამიღიმა: „როგორც გენებოთ, მე კი მიყვარს და ცოტა ხანს კიდევ დაერჩები აქ, თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ“.

მეორე შეხვედრისას, საუბრის გუნებაზე არ ჩანდა. სადღაც ძველ ქუჩაზე გამიყვანა, ერთ თვალშისაცემ, დიდ, ძველებურ სახლში შეკედით. ცოტა ხნის შემდეგ უკვე პატარა, ჩაბნელებულ, მოუვლელ ოთახში ვისხედით, სადაც პიანინოს მეტი არაფერი შეტყვევებდა იმაზე, რომ აქ მუსიკოსი ცხოვრობდა. წიგნებით გამოჭედილი კარადები, საწერი მაგიდა უფრო ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, თითქოს მეცნიერის ბინაში მოვხვდი.

„რამდენი წიგნი გაქვთ!“

„ნაწილი ამ წიგნებისა, მამაჩემის ბიბლიოთეკისაა. დიახ, ახალგაზრდა, მე მშობლებთან, დედასთან და მამასთან ვცხოვრობ, მაგრამ ვერ წარგადგენთ, მათ არ სიამოვნებთ ჩემი ნაცნობები. იცით, მე უძლები შეილი გახლავართ. მამაჩემი შესანიშნავი მოძღვარი და მქადაგებელია, ქალაქში პატივსაცემ და ღირსეულ პირად ითვლება. დიდ იმედებს ამყარებდა ჩემზე, როგორც ნიჭიერ ყმაწვილზე, მაგრამ იმედები გავუცრუე. მშობლებს მიაჩნდათ, რომ სწორ გზას ავცდი და შევიშალე. თეოლოგიას ვსწავლობდი და სახელმწიფო გამოცდის წინ მივატოვე ეს საინტერესო ფაკულტეტი. უნდა გამოგიტყდეთ, ალბათ კარგი სპეციალისტი დაკვდებოდი, კერძო გაკვეთილების აღებასაც კი ვაპირებდი. ვეცნობოდი, ვსწავლობდი იმ ღმერთებს, რაც კი ადამიანებს თავიანთი რწმენისა და შეხედულებებისამებრ გამოეგონათ, მაგრამ როგორც ხედავთ, დღეს მუსიკოსი გახლავართ და ეკლესიაში ვუკრავ ორღანს“.

წიგნებს ვათვალისწინებდი. პატარა ჭრაქის შუქზე როგორც ვახერხებდი, წარწერებს ვკითხულობდი. შესანიშნავი წიგნები აღმოვაჩინე ბერძნულ, ლათინურ, ებრაულ ენებზე. ამასობაში ის სიბნელეში ბუხრის წინ იატაკზე დაჯდა და მეც მიმიხმო: „მოდით, ცოტა ვიფილოსოფოსოთ, სხვანაირად რომ ვთქვათ, საკუთარ თავში ჩაუღრმავდეთ და ვიფიქროთ“. მან პატარა შეშის ნაჭერი ჩამოთხალა, ბუხარში შეაგდო, ქაღალდები და ასანთის ღეროებიც მიაყოლა და

ფრთხილად გააღვივა ცეცხლი. მეც მივბაძე და გვერდით, გაცვეთილ ხალიჩაზე წამოვწექი. თითქმის ერთი საათი ვიყავით ასე და მოგიზვიზე ბუხარს მივჩერებოდი, ყურს ვუვლებდით შეშის ტკაცუნს, შიშხინით რომ ინაცრებოდა ფსკერზე: „საუკეთესო გამოგონებაა ცეცხლი, ცეცხლთან ლოცვა-ვედრება და ფიქრი“ ჩაილაპარაკა მან თავისთვის. მდუმარედ, უსიციოცხლო თვალებით მივმტყუნებოდი ბუხარს. იქ, ცეცხლის კვამლში, ნაცარში უჩვეულო ფიგურები და ნივთები მოსახულებები იკვეთებოდა. (უცბად შევკრთი, ჩემმა მეგობარმა ფისუჩა მხარხარაძემ დვერდალში, ცეცხლის ალი ვიწრო ზოლად აიჭრა ზევით, მასში ყვითლად, თითქოს მიმინოს თავმაც გაიელვა. ბრჭყვიალა ძაფები ბადესაკით ჩაექსოვა და გადაეხლართა ერთმანეთს და ბუხრის ძირში დაეშვა. უამრავმა მოჩვენებამ, მოგონებამ და სახემ, ათასგვარმა ცხოველმა, მცენარემ, აბრეშუმის ჭიებმა თუ ველებმა გაიელვეს ჩემ თვალწინ. გონს რომ მოვეგე, ჩემს მეზობელს გადაეხედე. ნიკაპი ხელებზე დაეყრდნო და ფანატურად ანთებული თვალებით შესცქეროდა ბუხარს.)

„ახლა წავალ“, — ჩაილაპარაკე ჩუმად.

„წადით. კარგად ბრძანდებოდეთ.“

არც განძრეულა. ჭრაქი ჩამქრალიყო, წვალეებით, ძლივს გამოვალწიე დერეფანში. კიბეზეც ისე ბნელოდა, თითს ვერ მიიჭანდი თვალთან. როგორც იქნა, გამოვედი ქუჩაში. ცოტა ხანს კიდე ვიდექი გარეთ, ვუყურებდი ამ გრძნეულ სახლს, სადაც ყველა ფანჯარა ჩაბნელებული იყო. კარზე პატარა თითბრის აბრა დავინახე. გაზის ფარნის შუქზე გაჭირვებით ამოვიკითხე წარწერა: „მთაწარი მოძღვარი პისტორიუსი“.

მხოლოდ სახლში დაბრუნებისას გავაცნობიერე, რომ ამ დღეს ათი სიტყვაც არ გვითქვამს ერთიმეორისათვის, თუმცა მაინც ნასიამოვნები დავრჩი, შემდეგისთვის ბახის რჩეული საორღანო მუსიკის Passacaglia von Suxte hude“ დაკერას შემპირდა.

ვერ ჩავწვდი, რას ნიშნავდა ეს უსიტყვო ლექცია. არ მჩვევია გრძნობების გამოძვლავნება, მაგრამ გამოგიტყდებით, საოცარი ზეგავლენა იქონია ამ ამბავმა ჩემზე და რაღაც ახალს მაზიარა.

ბავშვობაში გატაცებული ვიყავი ბუნების უჩვეულო ქმნილებებზე დაკვირვებით. ვცდილობდი აღმეკვა, სხვაგვარად ჩავწვდომოდა ამ საგნების მომხიბვლელობასა და არსს. სულ სხვა დანიშნულება ჰქონდა ჩემთვის გამერქნებულ ხის ფესვებს, მთის ქანებში ფერად ძარღვებს, შეშაში ბზარებს. განსაკუთრებით მიზიდავდა: ცეცხლი, წყალი, კვამლი, ღრუბლები და ნემთი. ხშირად კი მოჭუტული თვალებით სინათლეს მივჩერებოდი და შიგ წარმოქმნილი ფერად-ფერადი ბურთულებით ვერთობოდი. პისტორიუსთან სტუმრობის შემდგომ კვლავ განძიახლდა ამგვარი რამ. მოგვიანებით მიეხვდი, რომ ის სიხარული, რაც ამ საამო, ამაღელვებელმა სანახაობამ მომანიჭა, ის უჩვეულო განცდა, რაც მას მერე დამეუფლა, ბუხარში დანთებულ ცეცხლში ხანგრძლივი მზერის შედეგი იყო.

და იმ პატარ-პატარა შენაძენებსა თუ გამოცდილებებს, საკუთარი ცხოვრების ძირითად მიზნამდე მისაღწევ გზაზე რომ ვლუბულობდი, ესეც შეემატა. დაკვირვება ამგვარი საგნებისა, ჩაძიება და თავდავიწყება ბუნების ირაციონალურ, უცნაურ ქმნილებებში, განსაკუთრებულ შეგრძნებებს ბადებს და თავის გამოძახილს პოულობს თითოეული ადამიანის სულში. ეს საგნები, უფრო სწორად, ის ძალა, რამაც წარმოშვა ისინი, გვაცდუნებს და გვაიძულებს ჩვენი სულიერი მდგომარეობის მიხედვით გაეითავისოთ ისინი და საკუთარი სულის შემოქმე-

დებად მივიჩნიოთ. გაცნობიერებთ რა ზღვარს ჩვენსა და ბუნებას შორის, გრძნობამორეულნი ვცდილობთ შევისწავლოთ, ჩავწვდეთ ამ ქმნილებათა სულს, ხასიათს თუ დანიშნულებას და ვეღარ ვერკვევით, ეს საგნები/თუ გამოსახულებები ჩვენ თვალწინ რომ ირეკლება, გარეგანი შთაბეჭდილებებიდან მომდინარეობს თუ შინაგანი გრძნობებიდან. ამის მერე, უბრალოდ, მარტივად მივედივართ იმ აღმოჩენამდე, რომ ადამიანები საოცარი შემოქმედნი ~~ჩვენსა და ბუნებას შორის~~ დიდი როლი გვინიჭება უკვდავი სამყაროს წარმოქმნაში. ამიტომ ის, რაც უკვდავია ჩვენში და ბუნებაში, ღვთიურია. და როცა სამყაროს განადგურების დღე დადგება, ყოველი ჩვენგანი შეძლებს ხელახლა გააცოცხლოს მასში ხე თუ ფოთოლი, მთა, მდინარე, მცენარეები თუ ფესვები, რადგან ბუნების თითოეული ეს ქმნილება ჩვენშია, ჩვენი სულიდან მომდინარეობს. ბუნება უკვდავია, მაგრამ ბოლომდე ვერ ჩავწვდომივართ მას. ვერ ვხვდებით, რომ სწორედ ბუნება წარმოშობს ჩვენში უპირველესად სიყვარულის ძალასა და შემოქმედებით უნარს.

(რამოდენიმე წლის შემდეგ მსგავსი რამ ამოვიკითხე წიგნში „ლეონარდო და ვინჩი“. გამაოცა აქ გამოთქმულმა აზრმა, რომ ხანგრძლივი ცქერით კვლევზე, რომელზეც უამრავი ადამიანის ფურთხის გამო, სინესტისაგან ათასი ლაქაა წარმოქმნილი, შეიძლება იგივე განცდა დაბადოს ადამიანში, რაც ცეცხლში მზერამ წარმოშვა ჩემში.)

პისტორიუსი ამტკიცებდა, რომ ჩვენ, ადამიანები, მხოლოდ საკუთარი პიროვნებით ვიზღუდებით, ანგარიშს ვუწევთ მარტო იმას, რაც ჩვენშია გამორჩეული, ინდივიდუალური და არ ვითვალისწინებთ, რომ ჩვენც სამყაროს ქმნილებანი ვართ და სამყაროსაგან შევდგებით, რომ სამყაროს განვითარების გენეალოგია, მოყოლებული თევზიდან, და კიდევ უფრო შორიდან, ჩვენშია და ყველაფერი, რაც ოდესღაც ჩასახლებულა ადამიანთა სულებში, ყველა ღმერთი თუ ეშმაკი, რაც კი ოდესმე არსებულა ჩინელებთან, ბერძნებთან, აფრიკის მოსახლეობაში — ცელუკაფერებში, ყველაფერი ჩვენშია, როგორც შესაძლებლობა, სურვილი თუ ხსნა. და თუ კაცობრიობა განუვითარებელი ბავშვის ამარა დარჩება, რომელსაც არავითარ სიამოვნებას არ ანიჭებს სწავლა, ჩასწვდება კი იგი ოდესმე მთელი ამ საგნების საიდუმლოებას?! და რაც ოდესმე არსებობდა: ღმერთები თუ დემონები, სამოთხე, მოთხოვნები და აკრძალვები, ძველი და ახალი აღთქმა, შეეცდება კი იგი ყველაფერ ამის გაგებას?!

„კი მაგრამ, მაშ, რაღაში მდგომარეობს ჩვენივე სიმარტოვით გამოწვეული ტანჯვა, რაღას ვესწრაფვით, თუკი ყველაფერი წინასწარაა ჩვენში ჩადებული?“

„მორჩი! — წამოიყვირა პისტორიუსმა უკმეხად, — ნუთუ ვერ ანსხვავებ ერთმანეთისაგან: ერთია, რომ სამყარო შენს არსებაშია, და მეორე: აცნობიერებ თუ არა, რომ ეს ასეა. შეიძლება ვიღაც სულელს პლატონად მოჰქონდეს თავი, ვიღაც პატარა ბიჭუნას, ბოკემის ძმების ინსტიტუტიდან, აფიქრებდეს ღრმა მითოლოგიური ურთიერთკავშირი გნოსტიკოსებთან და ცოროასტერთან, მაგრამ ვერ აცნობიერებდეს, რომ მასში მთელი სამყარო სახლობს: ხე, ქვა თუ ცხოველი. და ვიდრე ის ამას არ მიხვდება, ვიდრე ის ამას არ შეიცნობს, ვერ გახდება ადამიანი, ყველას, აგერ ქუჩაში რომ დადიან, ხომ ვერ ჩავთვლით ადამიანებად, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ორ ფეხზე დადიან, თავიანთ შეალებს ცხრა თვით მუცლით რომ ატარებენ? ზოგი მათგანი ჯერ კიდევ ცხოველის დონეზეა, კვლავ თევზად, ცხვრად, ჭიანჭველად თუ წურბელად, ფუტკრად რჩება. მაგრამ ყოველ მათგანში დევს შესაძლებლობა ადამიანობამდე მიღწევისა.

თუმცა ეს შესაძლებლობაც მანამდე ეკუთვნის მას, ვიდრე ეჭვი ღრღნის, ვიდრე ცდილობს გაიაზროს და გააცნობიეროს ყოველი თავისი ნაბიჯი თუ მოქმედება.

ყოველთვის ამგვარი საუბრები გვქონდა მე და პისტორიუსს. იქნებ ახალს და უჩვეულოს არც არაფერს ვიძენდი აქედან, მაგრამ ყოველი ეს საუბარი, რუნდაც ბანალური, ერთნაირად მალეღვებდა და მეხმარებოდა საკუთარი წარმოცხადების ჩამოყალიბებაში. ყოველი ასეთი საუბრიდან უფრო თავაწეული გამომდილობდი. უფრო ვთავისუფლდებოდი და თანდათან ვამსხვრევდი კვერცხს, რომელიც ცდილობდა, ჩემი ყვითელი მიმინოს მსგავსად სრულიად დამეღწია თავი ნამსხვრევებად ქცეული სამყაროს საფარველიდან.

ხშირად ერთმანეთს სიზმრებსაც ვუყვებოდით. პისტორიუსი კი თავისებურ ახსნა-განმარტებებს უძებნიდა მათ. ერთხელ ასეთი სიზმარიც მოვუყვები: „ცაში ავფრინდი თითქოს. ფრენისას რაღაც არაამქვეყნიური, ღვთიური განცდა დამეუფლა, თუმცა კარგად ვიცოდი, ღმერთი არ ვიყავი. ისე მაღლა ავიჭერი, რომ უეცრად შიშმა ამიტანა, მაგრამ გამოსაკალი მაინც ვიპოვე. მივხვდი, სუნთქვითი რეგულირებით შემეძლო წონასწორობის შენარჩუნება“.

პისტორიუსმა ეს სიზმარი ასე ამიხსნა: „ფრენა ყველას შეუძლია, ყველა ჩვენთაგანშია ამისი ძალა და უნარი. ფრენა ღვთიურია, მაგრამ ამავე დროს საშიშიც. ამიტომ ბევრი უარს ამბობს ამ ნეტარებაზე და ჩვეულებრივ, ხმელეთზე სიარულს არჩევს. ეს თქვენ არ გეხებათ, ყმაწვილო. თქვენ შესძლებთ ფრენას. თქვენ გაქვთ ძალა, რომელიც აღმოაჩენს ამ საოცრებას და ბედნიერებასაც მოგანიჭებთ. თქვენ არ ჰგავხართ სხვა ადამიანებს, უდიდესი ნიჭი გაქვთ ნაბიჯები, მაგრამ ვერ ვიპოვიათ გასაღები, საჭე, საითკენ წარმართოთ იგი, არ იცით. ამიტომაც დაჰქრიხართ ასე უთვისტომოდ და ეხეთქებით აქეთ-იქით. მაგრამ მერწმუნეთ, ზინკლაირ, სწორ გზაზე დგახართ. შეიძლება ახლა ვერ გრძნობთ, რომ რასაც აკეთებთ, რაც თქვენი სულის სიღრმეშია, ეს არაა პიროვნული, ეს არაა ახალი, ეს ჯერ კიდევ ადრიდან, შორეული ათასწლეულებიდან მომდინარეობს. სიზმარში ხომ მიხვდით, რომ სუნთქვის მოწესრიგებით შესძლებდით ჰაერში გაწონასწორებას, თევზებშია ზუსტად ასე. მათ ისეთი ორგანო აქვთ, რომლითაც ცურვისას წონასწორობას ინარჩუნებენ. ზოგიერთ, იშვიათი სახეობის თევზში ეს ორგანო სუნთქვით რეგულირებასაც უწყობს ხელს, როგორც ფილტვები“.

მან გადმოიღო ზოოლოგიის წიგნი და მაჩვენა ნახატი ამ თევზისა. შევკრთი, მთელი სიცხადით შევიგრძენი ჩემში ადრეული ეპოქის კვალი.

თავი მეთხუთსი

იაკობთან ბრძოლა

რაც იმ უცნაურმა მუსიკოსმა პისტორიუსმა აბრახასზე მომიყვა, შეუბღებელია ამის გადმოცემა. ის კი უნდა ვთქვა, რომ მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩემს ცხოვრებაში. კიდევ უფრო დამაახლოვა საკუთარ თავთან. 18 წლის ერთი უცნაური ახალგაზრდა ვიყავი, ბევრ რამეში ზედმიწევნით გათვითცნობიერებული, ბევრშიც საოცრად უმწეო და უუნარო. ზოგიერთ საკითხში სხვებს რომ ვედრებოდი, სიამაყე მავსებდა და ჩემს თავზე დიდი წარმოდგენა მექმნებოდა. ხან კი საშინლად მიმძიმდებოდა გული და შეურაცხყოფილად ვგრძნობდი თავს. ჭკვიანიც ვიყავი და ნახევრად შეშლილიც. არ შემეძ-

ლო ყველას მსგავსად მეცხოვრა და მემხიარულა. ასახი დარდი და ეჭვი მღრღნიდა, უიმედობა მტანჯავდა. სამყაროდან გარიყულს მეგონა სამუდამოდ ჩაურახათ ეს ცხოვრება ჩემთვის.

პისტორიუსმა მაპოვნინა ძალა და რწმენა, თავდაჯერებულობა შემმატა. ჩემს ყოველ სიზმარს, ფანტაზიას თუ სიტყვას აზრს და მნიშვნელობას ანიჭებდა და სერიოზულ იმედების მომცემად მიაჩნდა. ერთხელ მსწავლეს ჩამ მითხრა: „მუსიკა იმიტომ გიყვართ, რომ მასში არაა მორალის, გამორღის, ტექვენს არ გაქვთ უფლება იყოთ მორალისტი. (თქვენ არ უნდა შეეღაროთ სხვებს. თუ ბუნებამ ღამურად გაგაჩინათ, არ უნდა მოისურვოთ სირაქლემობა. ზოგჯერ წუწუნებთ საკუთარი თავის უცნაურობაზე, გაწუხებთ, უმეტესობისაგან გამოირჩეულ გზას რომ ადგახართ. მაგრამ უნდა შეეჩვიოთ ამას, თქვენ უპირატესობა მოგენიჭათ. აბა დააკვირდით ცეცხლს, ცას, ღრუბლებს და თქვენში გაჩნდება წინათგრძნობები, თქვენში რაღაც ხმა აღაპარაკლება. შეიძლება ასეთი კითხვებიც დაგებადოთ: მოსწონთ კი ეს უწმინდეს მოძღვრებს, მის უწმინდესობა პაპს, ან ძალა ღმერთს? ადამიანს ყოველთვის აწამებს ამგვარი კითხვები, ამიტომაც სცდება საკუთარი ცხოვრების ჭეშმარიტ გზას და იშტამბება. მაგრამ, ჩემო ზინკლაირ, ჩვენს ღმერთს აბრახასი ჰქვია. ესაა ღმერთიც, სატანაც; თავის თავში ბნელ სამყაროსაც მოიცავს და ნათელსაც. ნუ დაგავიწყდებათ, რომ აბრახასი არ ეწინააღმდეგება თქვენში არც ერთ აზრს, არც ერთ თქვენს სიზმარს. მაგრამ მაშინვე მიგატოვებთ, როგორც კი ჩვეულებრივ ცხოვრებას დაუბრუნდებით და სხვას მოსძებნის“.

ერთ სიზმარს ძალიან ხშირად ვხედავდი: „მშობლიურ სახლში ვბრუნდებოდი, ზღურბლზე მეგონა დედა მეგებებოდა, მაგრამ მის ნაცვლად ვიღაც უცნობი ქალი მიზიდავდა თავისკენ და დედობრივი გრძნობით მეხვეოდა. მკაცრი, მამაკაცური, მაგრამ მაინც ნათიფი ნაკვთები ჰქონდა ამ ქალს. უცნაურ, რაღაც იღუმალ სწრაფვასა და სიყვარულს ვგრძნობდი მისდამი“. ყველა სიზმარი მოჰყუყუევი პისტორიუსს ამის გარდა, რადგან ამ სიზმარში ვეძებდი თავშესაფარს, იმედის თვალთ შეეცქეროდი და არ მინდოდა ვინმეს ჩაეხედა ჩემს საიდუმლოებაში.

როცა სევდა მომეძალებოდა, პისტორიუსს ეთხოვდი ბახის Passacaglia von Buxtehude“ შეესრულებინა. ეიჯექი ჩაბნელებულ ეკლესიაში და მთელი არსებით ვიძირებოდი ამ მუსიკაში, უფრო სწორად, თავად მუსიკას მივყავდი სადღაც ჩემი სულის სიღრმეში და იქ ჩაბუდებულ შინაგან ხმას ვუერთდებოდი. ერთი სიამოვნება იყო ჩემთვის ამ მუსიკის მოსმენა.

მუსიკა რომ მიჩუმდებოდა, ცოტა ხანს ისევ გაუნძრევლად ეიჯექი წყვილიდით მოცულ ეკლესიაში, სადაც იშვიათად თუ აღწევდა მკრთალი შუქი გოთურა სტილის ფანჯრიდან.

სასაცილოა, — წამოიწყო ერთხელ პისტორიუსმა, — ადრე თეოლოგი ვიყავი, ახლა კი მოძღვარი გავხდი; ეს ჩემი უდიდესი შეცდომა იყო ალბათ, რაც თქვენსე ჩამიდენია. მღუდლობაა ჩემი პროფესია და ჩემი მიზანი. ნაადრევად ვიყავი კმაყოფილი იედოვას დამორჩილებული, ეიდრე აბრახასს შევიცნობდი. ყველა რელიგია თავისთავად მშვენიერია, ყველაშია სული. სულერთია ქრისტიანობას ეზიარები თუ მექას სალოცავენს“.

„მაშინაც მოძღვარი გახდებოდი?“

„არა, ზინკლაირ, ვერ მოგატყუებ. (არც ერთი რელიგია ისე არაა გამოწრთობილი, როგორც ჩვენი. ჩვენი რელიგია გონიერულ ნაწარმოებს ჰგავს და

ბერის მომცველია. კათოლიკე კიდევ შეიძლება ეყოფილიყო, ესეც ნაკლებად, მაგრამ პროტესტანტი მღვდელი არასოდეს. რამდენ ჭეშმარიტ მორწმუნეს ვიცნობ, სიამოვნებით რომ ჩასჭიდებთან სიტყვებს; ვერასოდეს გაუბედავ ვუთხრა მათ, რომ ქრისტე ჩემთვის პიროვნება კი არა, ამალღებული გმირია, მითით, უჩვეულო მოვლენაა, კაცობრიობა სამარადისოდ კედელზე გამოხატულს რომ ეთაყვანება. ისეთებსაც ვიცნობ, რომელნიც ეკლესიაში მხოლოდ და მხოლოდ ამიტომ დადიან, საამო სიტყვები მოისმინონ და თავიანთი მოვალეობა აღსრულონ. აბა რა უნდა ველაპარაკო მათ? შეიცვლებიან ისინი, როგორ ფიქრობ? მაგრამ ეს არაა ჩემი საქმე და არც მაინტერესებს. მოძღვარი არც უნდა შეაკვალოს, ბოლომდე უნდა ცხოვრობდეს თავის მსგავსთა, მორწმუნეთა შორის და ბოლომდე გამოხატავდეს, ატარებდეს იმ გრძნობებს, რა გრძნობებითაც თავის ღმერთს ჰქმნის და ემსახურება.—აქ ცოტა ხანს გაჩუმდა და კვლავ განაგრძო, — ეს ახალი რელიგია, რომლისთვისაც აბრახასის სახელი შევარჩიეთ, მშვენიერია, ჩემო კარგო, ყველაზე საუკეთესოა, რაც კი არსებობს, მაგრამ ახლა იდგამს ჯერ ფეხს! ჯერ არ შესხმაა ფრთები! ეს ჯერ არაა რეალობა, ესაა მარტოსული რელიგია. მაგრამ ყველამ უნდა შეიცნოს და შეიყვაროს იგი თავდავიწყებამდე. მასაც უნდა ჰქონდეს თავისი დღესასწაულები და მისტერიები...“ — აქ გაჩუმდა პისტორიუსი და ჩაფიქრდა.

„კი მაგრამ, როგორ შეიძლება მისტერიები ასე გაითითებულ კაცში ან ვიწრო ჩრეში არსებობდეს?“ — შეკვიითხე ბრაზმორეულმა.

„რატომაც არ შეიძლება. თავად მე დიდი ხანია ასე ვაკეთებ. შევქმენი კულტი და ალბათ დარწმუნებული რომ ვიყო ჭეშმარიტებაში, კატორღამიც კი წავალ. მაგრამ ვიცი, რომ ეს ჯერ კიდევ არაა ჭეშმარიტება“.

უეცრად ისე დამკრა მხარზე ხელი, შევხტი: „ჭაბუკო, თქვენც გაქვთ მისტერიები, სიზმრები, რომელთაც მე არ მეუბნებით, არც მინდა ვიცოდეს; მაგრამ დარწმუნებული ვარ, ამ სიზმრით ცხოვრობთ, მისთვის აგებთ საკურთხეველს! იქნებ ეს არაა საკმარისი, მაგრამ ალბათ გამოსავალი ის არის, რომ ოდესმე ჩვენ, მე შენ და სხვა ჩვენსაირებმა სამყარო აეაღორძინოთ და ეს მისტერიები ყოველდღიურად გავაცოცხლოთ ჩვენში. სხვა საშუალება არაა. ჩაუფიქრდით ერთ რაღაცას: უკვე თვრამეტი წლის ხართ, ზინკლაირ, და ქალებში არ დადიხართ და იქნებ ის სასიყვარულო სიზმრები თუ სურვილები, უცდილობლად რომაა თქვენში, გაშინებთ კიდევ. მაგრამ არ უნდა გეშინოდეთ მათი. ეს ყველაზე საუკეთესოა, რაც გაგაჩნიათ, დამიჯერეთ. თავის დროზე, თქვენს ასაკში, მეც ბერი რამ დავკარგე. არადა, ვინც აბრახასს იცნობს, არ ეპატიება ამის გაკეთება. დამიანს არ უნდა აშინებდეს, აკრძალულად არ უნდა მაინხუედეს იმას, რაც მისი შინაგანი სურვილებიდან მომდინარეობს“.

გაოგნებული მივუბრუნდი: „მაშ, ვაკეთოთ ყველაფერი, რაც მოგვესურება? მოვკლათ ადამიანები? ეს ხომ ცოდვია?“

მომიახლოვდა და მითხრა: „გარკვეულ სიტუაციაში ესეც დასაშვებია. მე არ მითქვამს, ყველაფერი ჩაადინოს ადამიანმა, რაც თავში მოუვა, მაგრამ ის ფიქრები, სურვილები, რასაც თავისებური მომხიბვლელია გააჩნია, რატომ უნდა აღმოვფხვრათ ჩვენში, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ მორალი დავიცვათ. განა ის უფრო შემზარავი არაა, ჯვარს ვეშთხვიოთ, თასიდან ღვინო შევსვათ, სასიამოვნო სიტყვები ვაფრქვიოთ და ამასთან მსხვერპლად შეწირვა? მისტერიებზე ვიფიქროს? ამის ვარეშეც ხომ შეიძლება კეთილშობილურად გადაიტრას ეს საკითხები და უფრო მეტი აზრიც ექნება. თუ თქვენ, ზინკლაირ,

ოდესმე საშინელ ცოდვას ჩაიდენთ, მოკლავთ ვინმეს, ან რაიმე უწმინდურობას მოიმოქმედებთ, უნდა მიხვდეთ, რომ ეს აბრახასია. მან წარმოშვა თქვენში ამგვარი ფანტაზია. ის კი, ვისი მოკვლის სურვილიც დაგებადებათ, ადამიანის სახით მოვლენილი აჩრდილი იქნება. თუ ჩვენ, ადამიანებს, გვძულს ვინმე, მასში გვძულს ის, რაც თავად ჩვენშია. რაც ჩვენში არაა, არც გვადუღავს“.

ასე ძლიერად არასოდეს უმოქმედია ჩემზე პისტორიუსის ნათქვამს. პირდაპირ შემძრა. პასუხის გაცემაც ვერ შეეძლო. როგორც ვეფხველს სიტყვებს, ბავშვობაში რომ მითხრა, ისინი არ იცნობდნენ ერთმანეთს, არადა, ერთსა და იმავეს ამბობდნენ.

საგნები თუ მოვლენები, გარე სამყაროში რომ აღვიქვამთ, — განაგრძო პისტორიუსმა, — ეს თავად ჩვენში ჩასახლებული საგნები და მოვლენებია. და არ არსებობს იმაზე დიდი ჭეშმარიტება, რასაც ჩვენში ვატარებთ. განა ეს სიყვარულიც, ვითომდა რომ გვიყვარს ერთმანეთი ადამიანებს, ზედაპირული არაა?! ეს იმიტომ, რომ ისინი მხოლოდ გარეგან მხარეს უყურებენ და არ ითვალისწინებენ, ყურს არ უგდებენ თავიანთი სულის, შინაგანი ხმის გამოძახილს. თუმცა თავს ბედნიერად სთვლიან. თუ ერთხელ ჩასწვდა ადამიანი იმ იღუმალ გზას, არჩევანი აღარ აქვს, უმრავლესობის გზით რომ იაროს. უმრავლესობის გზა იოლია, ზინკლაირ, ჩვენი კი ძნელია, მძიმეა, მაგრამ ჩვენ უნდა მივყვეთ მას“.

ამის მერე ცოტა ხანს დამეკარგა პისტორიუსი. ორჯერ სულ ტყუილუბრალოდ ვუცადე ეკლესიასთან, არ გამოჩენილა. რამდენიმე დღის შემდეგ, გვიან ღამით, ქუჩაში მოვკარი თვალი. ცივი ქარიანი ღამე იყო. სიბნელეში მიბარბაცებდა მთვრალი. ახლოს ჩამიარა, მაგრამ გაშტერებული მხოლოდ წინ იყურებოდა, ჩაწითლებულ თვალებში სევდა ჩასდგომოდა. ისე მიაბიჯებდა, თითქოს უჩინარი ხმა უხმობდაო თავისკენ და ისიც მიჰყვებოდა ამ ხმას. მოჩვენებასავით მიდიოდა. მეც უკან მივყვებოდი, მერე კი შევეშვი. დაღონებული, გულდამძიმებული დავბრუნდი შინ, სადაც ჩემი ამოუხსნელი სიზმრები მელოდა.

„ასე აცოცხლებს თავის თავში სამყაროს? — გავიფიქრე, მაგრამ მაშინვე ენაზე ვიკბინე, — ასეთი ფიქრი ხომ სულმოკლეობაა. მე ხომ არაფერი ვიცოდი მისი ოცნებების შესახებ? როგორ შემძლია განვსაჯო ასე? იქნებ ის თავის სიმთვრალეში თავდავიწყებით უფრო სწორ გზას ადგას, ვიდრე მე ჩემს გაურკვეველ შიშში“.

გაკვეთილებს შორის შესვენებებზე, დროდადრო ვამჩნევდი, რომ ერთი თანაკლასელი ჩემთან სიახლოვეს ეძებდა. ადრე არასოდეს მიმიქცევია მისთვის ყურადღება. საკმაოდ გამხდარი, პატარა, სუსტი, ქერა ყმაწვილი იყო. მზერასა და ქცევაში ჰქონდა რაღაც უჩვეულო. ერთ საღამოს, შინ რომ ებრუნდებოდა, შესახვევში მელოდებოდა. ჯერ შეიცადა, სანამ ჩავივლიდი, მერე დამედევნა და ჩვენი სახლის კართან შეჩერდა: „საქმე გაქვს ჩემთან?“ „მინდა რაღაც გკითხო,“ — მითხრა მორიდებით და მიხოვა ცოტა ხნით ერთად გაგვევლო.

გვერდიგვერდ მივაბიჯებდით, ვვრძნობდი, როგორ ღელავდა. რაღაცის იმედით თუ რაღაცის მოლოდინში ხელები უკანკალებდა.

„სპირიტისტი ხარ?“ — მკითხა მან მოულოდნელად.

„არა, ძვირფასო, საიდან მოგივიდა მასეთი სისულელე თავში?“

„თეოსოფი?“

„არც ეგ“.

„ნუ დამიძალავ, ვთხოვ. ვვრძნობ, რაღაც განსაკუთრებული ხარ, — თვალე-

მნი გამჩნევ. დარწმუნებული ვარ, სულეთან გაქვს საქმე. არ გეგონოს, ინტერესი მღრღნის და იმიტომ გეკითხები. არა, თავადაც მართოსული ვარ და რაღაცას ვეძებ“.

„საიდან მოიგონე. სულეთის შესახებ არაფერი გამიგია. მე ჩემს სიზმრებში ვგზობობ, იქნებ შენც ეს შეამჩნიე. ისე, ყველა ადამიანი სიზმარში ცხოვრობს, მაგრამ არა თავის საკუთარში, ეს არის განსხვავება“.

„შეიძლება ასეა, — ჩაიბუტბუტა მან, — თუმცა მთავარიც ვიყავი, მაგრამ არა, ეს სიზმარი. გსმენია რამე თეთრი მაგიის შესახებ?“

იძულებული ვიყავი მეუარა.

„თეთრი მაგიით ადამიანი თავის თავზე ბატონობას სწავლობს. ამით შეიძლება მოჯადოებაც და უკვდავყოფაც. არასოდეს გიცდია ამგვარი ვარჯიშები?“

ჩემს ცნობისმოყვარე შეკითხვაზე, რას წარმოადგენდა ეს ვარჯიშები, არ აპირებდა პასუხის გაცემას. მაგრამ როგორც კი წასვლა დავაპირე, მაშინ იწეხა: „როცა დაძინება ან საკუთარი თავის კონცენტრირება მინდა, ასეთ ხერხს მივმართავ: განუწყვეტლივ ვფიქრობ რომელიღაც გეომეტრიულ ფიგურაზე. ვცდილობ კარგად გავიცნობიერო, ვიდრე არ დავრწმუნდები, რომ მართლაც გამიჯდა თავში. მერე ეს ფიქრი თავიდან ყელში გადამაქვს და ასე შემდეგ, სანამ მთლიანად არ გამეცხება მთელი სხეული. ყოველივე ამის შემდეგ უკვე ძლიერად ვგრძნობ თავს და აღარაფერს შეუძლია ჩემი მოთმინებიდან გამოყვანა“.

ასე თუ ისე, ჩავწვი რასაც გულისხმობდა. მაგრამ ვხვდებოდი, რაღაც სხვა აწუხებდა და უცნაურად აფორიაქებდა. შევეცადე დავხმარებოდი, რომ როგორმე იისულიყო თავის ძირითად სათქმელთან.

„შენც იკავებ თავს?“ — მკითხა დაბნეულმა.

„რას გულისხმობ, სქესობრივად?“

„ჰო, ჰო, მე უკვე ორი წელია თავს ვიკავებ. ვიდრე თეორიულად დავიწყებდი რელიგიის შესწავლას, მქონდა ამგვარი უმსგავსოება. შენც ხვდები ალბათ, ქალთან ურთიერთობაზე გეუბნები. შენ ყოფილხარ ქალთან?“

„არა, ჯერ ვერ მივაგენი ჭეშმარიტ სიყვარულს“.

„კი, გასაგებია, მაგრამ როცა მიაგნებ იმ ჭეშმარიტს, იცხოვრებ მასთან?“

„რა თქმა უნდა, თუკი მასაც არაფერი ექნება საწინააღმდეგო,“ — ვთქვი ცოტა აგდებულად.

„ცდები. მხოლოდ ამგვარ საკითხებში თავშეკავებით შესძლებს ადამიანი თავისი შინაგანი ძალების სრულყოფას. აი, უკვე ორი წელი და ერთი თვეა ასე ვარ, მაგრამ ძალიან მიჭირს. ზოგჯერ აღარ ვიცი რა ვიღონო“.

„არა მგონია, კნაუერ, თავის შეკავება ასე მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყოს“.

„ყველა ამას ამტკიცებს, შენგან კი მაინც არ მოველოდი. ვისაც წმინდა, ამაღლებული, სულიერი გზით სიარული განუზრახავს, ბოლომდე სუფთა და უმწიკვლო უნდა დარჩეს“.

„მაშინ, შენც მასე მოიქეცი. თუმცა არ მესმის, რატომ ითვლება წმინდანად. ვინც თავის სქესობრივ მოთხოვნილებებს ორგუნავს. სიზმრებსა და შენს ოცნებებში ხომ მაინც ვერ გამორიცხავ და აღმოფხერი ამას?“

ეჭვით შემომხედა.

„ალბათ ვერა. წმინდაო ღმერთო, მაშ რატომღაა ასე? მართლაც მაქვს სიზმრები, საშინელი სიზმრები, საკუთარ თავსაც რომ ვერ ვუმხელ“.

პისტორიუსის სიტყვები გამახსენდა. ძალიანაც მომწონდა და სწორადაც დამახინდა, მაგრამ ვერ ვიტყვოდი, საკუთარი გამოცდილებით არ მქონდა მიღებული, სხვის აზრებს კი ვერ გამოვიყენებდი. ამიტომაც ვლუმდა და ცოტა არ იყოს დამცირებულად ვგრძნობდი თავს. ჩემგან რჩევას ელოდნენ, მე კი არაფრის თქმა არ შემიძლო.

„ყველაფერი ეცადე, — წუწუნებდა იგი, — ყველაფერს გააკეთე, რაც აღამიანის შესაძლებლობებშია: ცივი წყლით, თოვლით, ვარჯიშით თუ სირბილით. მაგრამ არაფერი მშველის. ყოველ დამე ისეთ შემზარავ სიზმრებსა ვხედავ, გაფიქრების უფლებაც რომ არ მაქვს. და რაც სულიერ სფეროში თეორიულად შევისწავლე, აზრსა და ძალას კარგავს თანდათან. ვიტანჯები, თეთრად ვათენებ დამეებს; როდემდე გავძლებ ასე? ყველაზე საშინელება ისაა, რომ თუ ბოლოს და ბოლოს, კვლავ დავმორჩილდები ჩემს ხორციელ სწრაფვას, იმათზე უარესი ვაქნები, ვისაც არასოდეს უცდია შებრძოლებოდა თავის თავში მოძალებულ სქესობრივ ღტოლვას. ამაში ხომ მაინც მეთანხმები?“

თავი დაუუქნიე, მაგრამ თქმით ვერაფერი ვუთხარი. უცბად შევატყვე, როგორ მომბეზრდა მასთან ლაპარაკი და შეშეშინდა. გამაოცა საკუთარმა გულგრილობამ, სხვისი გასაჭირი და სასოწარკვეთა არავითარ თანაგრძნობას რომ არ აღძრავდა ჩემში. ამის თქმალა მოვახერხე: „ვერაფრით დაგეხმარები“.

„ვერ გამიგე? — ჩაილაპარაკა მან ბოლოს დონემიხდილმა და იმედგაცრუებულმა. — ვერაფერი ვერ გამიგე? კი მაგრამ, ხომ უნდა არსებობდეს გამოსავალი. შენ, შენ როგორ ახერხებ?“

„ძნელია ამგვარ საკითხებში დახმარება, ან რა უნდა გირჩიო, თავად უნდა მოიფიქრო რამე და საკუთარ არსებიდან გამოძინარე იმოქმედო. თავადვე უნდა მიაგნო გამოსავალს, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მოიპოვებ სულის სიმშვიდეს. მე ასე ვფიქრობ“.

გაჩუმდა, ცოტა ხანს მიყურა, მერე კი მზერაში გესლი ჩაუდგა და ზიზღნარევი ხმით, გაშმაგებულმა მომაძახა: „გგონია, წმინდანი მყავხარ? არც შენ ხარ მამა აბრამის ბატკანი. შენც, ყველას მსგავსად ჭუჭყში ბანაობ. ღორი ხარ შენც, ღორი და ჩვენ ყველანი ღორები ვართ“.

იქაურობას გავეცალე, მარტო დავტოვე. ორი, სამი ნაბიჯი კი გადმოდგა ჩემკენ, მაგრამ მერე გაჩერდა, შებრუნდა და სადღაც გაიქცა. სიბრაღეულისა და ზიზღის გრძნობა დამეუფლა. ვერაფრით ვერ განვთავისუფლდი ამ გრძნობებისაგან, ვიდრე ჩემი ნახატები არ შემოვიწყე გარს და მთლიანად არ ჩავიძირე საკუთარ სიზმრებში. კვლავ ჩვეული სიზმარი მომეახლა: მშობლიური სახლი, გერბი, დედა თუ ვიღაც უცხო ქალი. ამჯერად გარკვევით დავინახე მისი სახე და იმავე საღამოს შევუდექი დახატვას.

(რამდენიმე დღის შემდეგ უკვე მზად იყო ნახატი. ხატვისას გაუცნობიერებლად ვმოქმედებდი და ეს პროცესი ზღაპრული, განუმეორებელი აღმოჩნდა ჩემთვის. დამთავრებული სურათი კედელზე ჩამოვკიდე, ჭრაქის შუქი მივანათე და მის პირდაპირ დავდექი, დავდექი როგორც წმინდანის წინაშე, რომელთანაც ბოლომდე უნდა შებრძოლა. ეს სახე, ადრინდელს, ჩემი მეგობრის დემიანის სახეს წააგავდა, ცოტათი მეც მგავდა. ერთი წარბი მაღლა ჰქონდა აწეული და ისე მიმხერდა ნახატიდან. მის უძირთ თვალებში ჩემს ბედისწერას ვკითხულობდი.

მღელვარებამ მომიცვა, ყრუანტელმა დამიარა და სიცვიის შეგრძნებამ გულშიც ჩააღწია. სურათს გამოველაპარაკე, ათასგვარ შეკითხვებს ვაძლევდი, ვა-

დანაშაულებდი, ელოცულობდი მასზე, ხან დედას ვეძახდი, ხან ჩემს სიყვარულს. ზოგჯერ გარყვნილს, ქუჩის ქალს, აბრახასსაც კი ვუწოდებდი. შიგადაშიგ პისტორიუსის თუ დემიანის სიტყვები მაგონდებოდა. სად ან როდის მითხრეს, ვერ ვიხსენებდი, მაგრამ ყურებში მიწიოდა: „მაკურთხე, არ შეგეშვები“. ეს სიტყვები ღმერთთან მებრძოლ იაკობს ეკუთვნოდა.

ჭრაქის შუქზე სხვადასხვაგვარად იცვლებოდა ნახატი. ხან ანათებდა, ხან კი ბურუსით იფარებოდა და იქუფრებოდა. ჩამუქებულ თვალებს ხან დაბლა ხრიადა, ხან კი გამოძწვევად მიმზერდა. ამ ქალის სახეში იყო რაღაც მამაკაცურიც, ბავშვურიც და ცხოველურიც. ზოგჯერ ნახატს ისე ეცემოდა ჭრაქის შუქი, რომ ერთ დიდ ლაქადლა მოსჩანდა.

უცბად რაღაც შინაგანმა ბიძგმა მთლიანად შემძრა, შემანჯღრია, შიშისაგან თვალები გამიფართოვდა, ვიგრძენი, როგორ ძლიერად შემოჭრილიყო ნახატი ჩემში. მინდოდა დავნიჭილიყავი მის წინაშე, მაგრამ ის უკვე საკუთარი სულის სიღრმეში ჩასახლებული შინაგანი მე გამხდარიყო, რომლის მოწყვეტაც აღარ შემძებლო ჩემგან. საიდანღაც შემამოფოთებელი ხმაური ჩამესმა, ადრეული გაზაფხულის მოახლოება მამცნო თითქოს. შიშისაგან თუ შეუცნობელი გრძნობებისაგან ვცახცახებდი. უეცრად მალლა ცაში, მოკიაფე ვარსკვლავებში კადრებივით ჩაიქროლეს ჩემი ცხოვრების სურათებმა, მოყოლებული ბავშვობიდან დღემდე, მაგრამ დღევანდელ დღეზე არ შეჩერებულა, მომავალიც დამისახა თვალწინ რეალობას მომწყვიტა და ახალ სამყაროში გადამისროლა, სადაც უჩვეულო, თვალისმომჭრელი ნათელი სუფევდა. (მოგვიანებით ვიხსენებდი, მაგრამ ვერაფრით ვერ შევძელი, ზუსტად აღმედგინა, რაც ვნახე).

შუალამისას ღრმა ძილიდან გამოძვლია. ისევ ტანთ მეცვა. სინათლე ავანთუ, გონება მოვიკრიბე, მაგრამ წუხანდელი აღარაფერი მახსოვდა. სურათიც სადღაც გამქრალიყო. იქნებ მართლა დავწვი? არა, ეს ხომ სიზმარი იყო, როცა ხელებში დავწვი ნახატი და ფერფლი შევჭამე.

უცნაურმა მოუსვენრობამ შემიპყრო. ქუდი ავიღე და სახლიდან გავვარდი. სადღაც გავრბოდი, თითქოს ვიღაც მეძახდაო. ქარივით ჩავუქროლე მოედანს. ჩემი მეგობრის ეკლესიას რომ მივუახლოვდი, მივაყურადე, სიჩუმე იყო. მიმოვიხედე, რაღაცას ვეძებდი, რას, თავადაც არ ვიცოდი. ისევ გავიქეცი, ქალაქის გარეუბნამდე მივალწიე, საროსკიპოების რიგამდე. აქა-იქ სინათლე ენთო. ამას იქით დასახლება აღარ იყო, მშენებლობა მიმდინარეობდა. რაღაცამ იქითკენ მიბიძგა. გამახსენდა მშობლიური ქალაქი, როცა ჩემმა მტანჯველმა კრომერმა ასეთსავე ადგილას წამიყვანა. მსგავსი დაუმთავრებელი შენობა იდგა ახლაც ჩემ წინ და სიბნელიდან მითვალთვალებდა. შიგნით მივიწვევდი, ქვიშაზე წავბორბოკდი, მაგრამ არც კი შევჩერებულვარ, თითქოს თოკით მექაჩებოდნენ დამის წევდიადში. მხოლოდ მიწაზე დაყრილი ქვიშა მოჩანდა ღია ნაცრისფერ ლაქად.

უცბად ვიღაცამ შემზარავი ხმით დამიძახა: „ზინკლაირ, ღვთის გულისათვის, აქ რამ მოგიყვანა?“

და ჩემ წინ აჩრდილივით აღიმართა პატარა, გამხდარი სილუეტი. თმა ყალყზე დამიდგა, ჩემი კლასელი, კნაუერი იყო.

„რატომ მოხვედი, როგორ მიპოვე?“ – იმეორებდა შემლილივით.

ვერაფერი გავიგე.

„შენ არ გეძებდი“, – ვთქვი თავადაც გაოგნებულმა. ყოველი სიტყვა მტანჯავდა, ძლივს გამოძრავებდი გახევებულ, გაყინულ ტუჩებს.

გაშტერებული მომჩერდა: „არ მეძებდი?“

„არა, უბრალოდ, რაღაც მეწეოდა აქეთკენ, ვიღაც მეძახდა თითქოს. შენ მეძახდი? შენ ხომ არ დაგიძახია? რას აკეთებ აქ, ამ შუალამისას?“

პატარა, დაკრუნხული ხელებით მომეხვია: „პო, ღამეა, სადიცაა გათენდება, არ დაგვიწყებია, ზინკლაირ? შეგიძლია მაპატიო?“

„კი მაგრამ, რა?“

„მაშინ ძალიან ცუდად მოგექცეო“.

ახლადა გამახსენდა ჩვენი საუბარი. ეს ხომ თბილისში მოხდა. მას მერე მეგონა მთელმა საუკუნემ განვლო. მომაგონდა, რაც მაშინ ჩვენ შორის მოხდა. ყველაფერს მივხვდი, იმასაც მივხვდი, რატომ მოვედი აქ და რასაც აპირებდა კნაუერი.

„თავის მოკვლა გინდოდა, კნაუერი?“

სიცივისაგან თუ შიშისაგან გააფრქოლა.

„პო, მინდოდა. შევძლებდი თუ არა, არ ვიცი, მაგრამ მინდოდა. რიერაეს ველოდებოდი მხოლოდ“.

იქიდან წამოვედით. თენდებოდა უკვე. აუტანლად ციოდა და უსიამოვნო პანური ტრიალებდა. ერთხანს ხელკავით მიმყავდა. უცბად რაღაც ხმა ალაპარაკდა ჩემში: „ახლა წადი შინ და არავის უთხრა, რასაც აპირებდი. მერწმუნე, მცდარ გზას ადექი. როგორც შენ ფიქრობ, ღორები არა ვართ, ჩვენ ადამიანები ვართ, თავად ვირჩევთ ჩვენს ღმერთებს და ისინი გვლოცავენ“.

ჩუმად მიუყვებოდით გზას. ცალ-ცალკე მივაბიჯებდით. სახლში რომ დაებრუნდი, უკვე გათენებულყო.

საუკეთესო მოგონებები, რომელთაც ქალაქ St-ში მივყავარ, მხოლოდ პისტორიუსთან მაკავშირებს. დაუვიწყარი საათები გამიტარებია მასთან ეკლესიაში, მის სახლში ბუხართან. მიკითხავდა ბერძნულ ტექსტს აბრახასზე, ინდურ ვედებს. მასწავლიდა წმინდა „Om“ გამოთქმას. იქნებ ეს ყველაფერი არაფერს მმატებდა, არც მსიამოვნებდა, მაგრამ საკუთარი თავის ძიებაში მეზმარებოდა. მან მომცა თავდაჯერება, აღმომაჩენინა ჩემში ძალა და რწმენა, სხვაგვარად გამაზრებინა ჩემი სიზმრები, ფიქრები და წინათგრძნობები (მე მესმოდა, მჯეროდა პისტორიუსის, მაშინაც კი, როცა იგი ჩემ გვერდით არ ყოფილა. ისიც კმაროდა, გონება დამეძაბა, თვალწინ წარმომედგინა, ინტენსიური ფიქრით გადავრთულიყავი მასზე, რომ ჩემში დაბადებული ყოველი კითხვა პასუხგაცემული დამბრუნებოდა. მაგრამ სასწაული ხდებოდა, ჩემ მიერ გამოხმობილი პიროვნება არც პისტორიუსი იყო, არც დემიანი, ეს სიზმარში ნანახი ის უცნობი ქალი იყო, რომელსაც ჩემი ცხოვრების თანამშენიანზე გამხდარიყო, და რომელიც არა მხოლოდ ჩემს სიზმრებში და ნახატში სახლობდა, არამედ უკვე ჩემში ჩასახლებულიყო, როგორც სურვილი, ოცნება თუ სულიერი ძალა.)

მას მერე, რაც ჩემდა უნებურად კნაუერი თვითმკვლელობას გადავარჩინე, ერთგული ძალღვივით მომეჯაჭვა. ცდილობდა თავისი ცხოვრება როგორმე გადაეხლართა ჩემსაში და უფრო დამძახლოვებოდა. ყველაფერში ბრმად მენდობოდა. ზოგჯერ უცნაური და სასაცილო კითხვებითა და სურვილებით მოდიოდა ჩემთან; უნდოდა სულების, მოჩვენებების ხილვა, კაბალას შესწავლა და არ სჯეროდა, როცა ვარწმუნებდი, რომ ასეთ საკითხებში არაფერი გაბეგებოდა. ხანდახან ისეთ კრიტიკულ სიტუაციაში მომადგებოდა, თავადაც რომ ვერ ვპოულობდი გამოსავალს, მაგრამ მის ახირებულ ფიქრებსა და სურვილებში ჩემდა გასაოცრად ხელჩასაჭიდს ვპოულობდი. ზოგჯერ თავს მაბეზრებდა და ეცდილობდა როგორმე მომეშორებინა. მაშინ ისე ვერ ვგრძნობდი, ვერ ვაფასებდი, ახლა კა

გრძნობები, რომ კნაუერიც საგანგებოდ მომეკლინა ამქვეყნად, მასაც გარკვეულ დანიშნულება მიენიჭა ჩემს ცხოვრებაში, ჩემი გზის გაკაფვაში. იმ სულელური წიგნებიდან თუ ჩანაწერებიდან, ჩემთან რომ მოჰქონდა და რაშიც თავის სულიერ სიმშვიდეს ეძებდა კნაუერი, ბევრს ვღებულობდი. ის რაც ერთხელ ინსტიტუტურად გავიღე კნაუერისთვის, გაორმაგებულად მიბრუნდებოდა უკან.

მოგვიანებით, არც კი მიგრძენია, ისე უმტკივნეულოდ გაქრა კნაუერი ჩემს ცხოვრებიდან. რაც შეეხება პისტორიუსს, აქ ცოტა სხვაგვარად იყოს ~~სხვაგვარად~~

ალბათ ყოველმა ადამიანმა უნდა გადადგას ცხოვრებაში დამოუკიდებელი ნაბიჯები; ბოლოს და ბოლოს მოსწყდეს თავის მშობლებს და შეიგრძნოს მარტობის ნექტარი. უმეტესობა ვერ უძლებს და ყოველნაირად გაურბის ამას. დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად მე არ დამჭირვებია ბრძოლა. ჩემს მშობლიურ და ბავშვურ სამყაროს თითქმის შეუმჩნეველად, თანდათან გამოვეთიე და მათთვის უცხო და შორეული გავხდი. კი მქონდა სამშობლოში დაბრუნებისას მძინე, სევდიანი წუთები და საათები, მაგრამ მაინც ვერ ჩავთვლი, რომ ამ განშორებას ჩემთვის სულის შემსკრელი და გაუსაძლისი ტკივილი მოეყენებინოს.

მაგრამ როცა სიყვარული, თავყვანისცემისაკენ სწრაფვა მოგვეძალება, როცა ჩვენში უცნაური სიხარული და ბედნიერება იჭრება, აქ ერთი საშინელი და მწარე რამ შეიმჩნევა: უეცრად ვაცნობიერებთ, რომ სიყვარულის შხამიანი ნექტარით დაავადებულ ჩვენს გულებს ყველას და ყველაფრის უარყოფა შეუძლიათ, განურჩევლად მშობლებისა თუ მეგობრებისა. და თვით მასშიც კი, ვისაც თავი ჭეშმარიტ, ზნეობრივ ადამიანად მოაქვს, ღალატი და უმადურება ისაღგურებს, როგორც სამარცხვინო ღაქა და დამლა. მშობლიურ, ბავშვურ სამყაროს მოწყვეტილი იმედიადად ჩაჰბლაუჭებიან ახლად ჩასახულ ბედნიერებას, დაჰფოფინებენ იმის შიშით, რომ ცხოვრებასთან დამაკავშირებელი ეს უკანასკნელი ძაფიც არ გაუწყდეთ.

უმადური ვიქნებოდი, პისტორიუსი ჩემს სულიერ მოძღვრად რომ არ მეღიარებინა. თუკი რამ კარგი მახსენდება ჩემი ახალგაზრდობიდან, ეს მასთან მეგობრობა და სიახლოვეა, მისი რჩევა-დარიგება და ნუგეშია; პისტორიუსის პერით ღმერთი ღალადებდაო თითქოს. რა მოხდა მაშინ? დღესაც ვერ მიპატივებია საკუთარი თავისთვის. ბოლო დროს, რაღაც მაღიზიანებდა პისტორიუსში, უამრავ ჭკუის სასწავლებელს, მორალურს ეხედავდი მის სიტყვებში. მეგონა, მხოლოდ ჩემი სულის ნაწილისა ესმოდა პისტორიუსს.

არ მახსოვს როდესმე ვკვირვებო ან ვეკამათო, სურვილიც კი არ გავგრენია აღნავი შეწინააღმდეგებისა. მაშ რა მოხდა? ერთმა, მხოლოდ ერთმა დაუფიქრებელმა სიტყვამ წამში აქცია ჩვენი ჰარმონია ფერად ნამსხვრეველად. მძიმე, ტკივილიანი აღმოჩნდა შეჯახება სათხოებასთან, კეთილშობილებასთან.

კვირა დღე იყო. მასთან კაბინეტში, ბუხრის წინ, იატაკზე ვიწექით. ძველებურად მისტერიებზე, რელიგიის იმ სახეობებზე ვსაუბრობდით, რომელთაც ის ეცნობოდა, სწავლობდა, რომელთა მომავალიც სწამდა და აფიქრებდა. შეიძლება ეს ყველაფერი უბრალოდ მაინტერესებდა, მაგრამ არ მიმაჩნდა ცხოვრებისათვის გამოსადეგად და მნიშვნელოვნად. ეს დამქანცველ ძიებას უფრო წაგავდა ადრეული სამყაროს ნანგრევებში. უცბად, მთელი ამ რელიგიური სახეობებისადმი, მითიოლოგიური კულტისადმი ზიზღი შევიგრძენი.

„პისტორიუს, — წამოვიწყე, ჩემთვისაც გასაოცარი მოძალებული სიბრაზით, — რასაც შენ ლაპარაკობ, ეს უკვე ყალბი და მოძველებულია. ერთხელ მაინც მომიყევით, სინამდვილეში რაც გესიზმრებათ, რასაც ყოველ ღამე ნახულობთ!“

ამ ირონიულ საყვედურში გესლიც გაკურიე. პისტორიუსმა იგრძნო ეს და გაჩუმდა, არ იყო ჩემგან ასეთ ლაპარაკს ჩვეული. შევხედე, მთლად გაფითრებულიყო. მივხვდი, მის მტკივნეულ ადგილს შევეხე, და შემრცხვა, შემეშინდა.

კარგა ხანს დუმდა, ცეცხლს აღვივებდა ბუხარში. მერე კი ჩუმად ჩაილაპარაკა: „საესებით მართალი ბრძანდებით, ზინკლაირ, ჭკვიანი ხართ/ მართლაც, მოძველებული სისულელეებით გბერავთ“.

თითქოს აულელვებლად ლაპარაკობდა, მაგრამ ^{ეროვნული} ~~მე~~ ~~მალწი~~ ~~ფრმხობდი~~ მისი ჭრილობიდან მომდინარე ტკივილს. რა ჩავიდინე? ცოტაღა მაკლდა ატირებად. მინდოდა პატიება მეახოვა, გულთბილად მოვბყრობოდი, ჩემი სიყვარული და პატივისცემა გამომეხატა მისდამი. ამაღელვებელი სიტყვები მომანვა ყელში, მაგრამ წარმოთქმა არ შემეძლო. ვიწექი, ცეცხლს მივჩერებოდი და ვდუმდი. არც ის იღებდა ხმას. ასე ვაყავით კარგა ხანს. ბუხარში შეშა იწვოდა, იფერფლებოდა და ჩემშიც იწვოდა, ქრებოდა რაღაც, რაც აღარასოდეს განმეორდებოდა.

„ვშიშობ, კარგად არ გესმით ჩემი“, — დაძაბული, ჩახლჩილი ხმით, ჩემდაუნებურად წარმოვთქვი ეს სულელური, უაზრო სიტყვები.

„ძალიან კარგად მესმის თქვენი, — აქ ცოტა ხანს შეჩერდა, მერე კი დაუმატა, — თუმცა მართალი ბრძანდებით, რამდენადაც შეუძლია ადამიანს გაუგოს სხვას“.

„არა, არა, — რაღაცამ ამოიძახა ჩემში, — არა ვარ მე მართალი“, — მაგრამ ხმაძაღლა ვერ ვამბობდი. (მივხვდი, იმ ერთადერთი სიტყვით, ჩემი სულმოკლეობით მის პიროვნულ სისუსტეზე, მის გასაჭირზე მივუთითე) იმ მტკივნეულ ადგილს შევეხე, სადაც თავადაც გაუცრუვდა იმედი. პისტორიუსი რომანტიკოსი იყო და თავის იდეალს ძველში, ანტიკვარში, წარსულში ეძებდა. უცბად მწარედ შევიგრძენი, რომ ის, რაც პისტორიუსმა ვერ შესძლო გაეღო თავის თავისთვის, ჩემთვის გაიღო, მე მომცა. გზაზე დამაყენა, იმ გზაზე, რომელზეც ოდესღაც როგორც ჩანს, თავადაც უნდა გაეკვლო და მიუტოვებია. საიდან მომივიდა თავში ასეთი სიტყვები? რას ვიფიქრებდი, თუ ამას კატასტროფა მოჰყვებოდა, თუ ეს ნაოქვაში ბედისწერად გამიხდებოდა?! რაღაც ერთ წამში, დამიმორჩილა ამ დვარძლიანმა, გესლიანმა სიტყვებმა. უღმობლად, უმადურად მოვექეცი ჩემს სულიერ მოძღვარს და ამით განაჩენი გამოვუტანე.

როგორ მიხდოდა გაბრაზებულიყო, თავი დაეცვა, შემკამათებოდა, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ გაუკეთებია. რომ შესძლებოდა, გაიცინებდა ალბათ, თუმცა ვხედავდი, შესანიშნავად უგრძობობდი, არ შეეძლო.

და იმ დროს, როცა პისტორიუსი ჩემგან, მისი კადნიერი, უმადური მოწაფისაგან უჩუმრად იტანდა შეურაცხმყოფელ სიტყვებს, დუმდა და მე მამართლებდა, როცა ყოველივე ამას განგების ნებად მიიჩნევდა, უფრო მაწიზლებდა საკუთარ თავს. თვალნათლივ ვხედავდი ჩემს სულმდაბლობას. ამ სიტყვებს რომ ვუბნებოდი, მეგონა, თავს დაიცავდა, შემეწინააღმდეგებოდა, მაგრამ შევცდი, უჩუმრად იტანდა ყველაფერს ეს უმწეო ადამიანი. ალბათ თავადაც უნდა დამესაჯა თავი.

კიდევ დიდხანს ვიწექით ჩამქრალი ბუხრის წინ. მასში გამომკრთალა ყოველი ფიგურა, ჩამქრალი ფერფლიც კი საამო მოგონებებს აღძრავდა ჩემში და დანაშაულის, ელდებულების გრძნობას მმატებდა პისტორიუსისადმი. ვეღარ ავიტანე, წამოვდექი და გარეთ გავედი. კარგა ხანს ვიდექი კართან. ველოდი, კიდევ მქონდა იმედი დამედევნებოდა, მაგრამ ამაოდ. შებინდებამდე დავეხეტებო-

დი ხან ტყეში, ხან ქალაქის გარეუბნებში. მხოლოდ მაშინ მივხვდი, კაცის ნი-
შნით რომ ვიყავი დაბადებული.

განუწყვეტლივ ვცდილობდი დამედანაშაულებინა თავი და გამემართლებინა
პისტორიუსი, საპირისპირო კი გამოდიოდა. მიხლოდა მომენანიებინა, უკან
წამელო ჩემი სიტყვები, მაგრამ ვიცოდი, აღარ ჰქონდა ახლა ამას აზრი. მის
რალაში სჭირდებოდა ეს მონანიება?! ამ გადასახედიდან რომ ვიხსენებ, ვხვდები
ბი, რაც იყო პისტორიუსის სიზმარი: უნდოდა მღვდელი გამხდარიყო ქრისტიან
რელიგია შეექმნა და მისთვის ემსახურა. მაგრამ არ შესწევდა ამის უნარი, არ
შედიოდა ეს მის მოვალეობაში. პისტორიუსი განათლებული პიროვნება იყო, შე-
სანიშნავად ერკვეოდა განვლილ ეპოქაში, ბევრი რამ იცოდა ეკვიპტურ, ინ-
დოეთურ, მითრასურ, აბრახასურ. წარსულის სურათებს ეთაყვანებოდა, წარსულით
ცხოვრობდა, თუმცადა ისიც კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ დღეს ყველაფერა
ახალი ნიადაგიდან მომდინარეობდა და არა წიგნებსა და ბიბლიოთეკებში დაგრო-
ვილიდან. იქნებ მისი მოვალეობა ის იყო, დახმარებოდა ადამიანებს თავისთავა-
დობის ძიებაში, იქნებ მას ევალეობდა გზაზე დაეყენებინა ისინი, როგორც მე
და არა ის, რომ ახალი ღმერთები გამოეგონა.

და აქ, თითქოს მწველმა ცეცხლმა გონება გამინათაო, ერთ რამეს ჩავწვდი:
სულ ტყუილია ახალი ღმერთების გამოგონება, სამყაროსადმი მსხვერპლად შე-
წირვისა თუ რაიმეს გაღების სურვილი. (ყველაში ერთადერთი მოვალეობა უნდა
არსებობდეს: იპოვოს საკუთარი თავი, საკუთარ სულშივე გაიმპროს ფესვები,
მონახოს ცხოვრებაში თავისი ჭეშმარიტი გზა, სულერთია საითაც არ უნდა მიჰ-
ყავდეს ამ გზას.)

ამ ქვეყანაზე ყველაზე მეტად ეს მაშინებდა და მალეღვებდა. ჩემს ოცნებებში
ხშირად დამისახია მომავალი: ხან პოეტი ვიყავი, ხან მხატვარი თუ წინასწარ-
მეტყველი და კიდევ ბევრი სხვა. მაგრამ ეს არაა მთავარი. ამისთვის არ მო-
უვლენივარ განგებას, რომ შევთხზა, ვხატო და ვიქადაგო და არც არავინ დაბა-
დებულა მხოლოდ ამისთვის. (ჭეშმარიტება ყველასათვის ერთია: საკუთარი სუ-
ლის შეცნობა და მერე ეს ყველაფერი) კი, იბადებიან პოეტებად, შემლილებად,
წინასწარმეტყველებად თუ დამნაშავეებად, მაგრამ ეს ჩვენი, ადამიანების მხო-
ლოდ უმნიშვნელო დასასრულია.

(ადამიანმა უნდა იპოვოს თავის არსებაში ჩაბუდებული ბედისწერა, გააცოც-
ხლოს იგი და ბოლომდე მისდიოს მას.) ყველაფერი დაჩარჩენი კი საზოგადოებ-
რივ იდეალებში თავშეფარებაა, საკუთარი მესგან გაქცევა, შიში და ძრწოლაა.
ას რაც ათასჯერ ნაგრძნობი თუ ნაწინასწარმეტყველები მქონდა, ახლებურად
გავიცნობიერე: მე ბუნების ქმნილება ვიყავი, გაურკვევლობაში, რაღაც ახალში,
იქნებ არც არაფერში გადმოსროლილი, და მე მქონდა შესაძლებლობა ამ სიღრ-
მიდან ამოტყორცნისა, რომ შემეგრძნო ბუნების ნება ჩემში და მთლიანად გამე-
თავისებინა. ეს იყო მთავარი, რასაც ვესწრაფვოდი.

(ბევრჯერ ვიგეგმე სიმარტოვე, მაგრამ ვიცოდი, ეს ჩემი სულის სიღრმიდან
მოდებდა და გარდაუვალი იყო.)

პისტორიუსთან თავის მართლება არც მიცდია. მეგობრებად კი დავრჩით,
მაგრამ ურთიერთობაში შეიცვალა რაღაც. ერთადერთხელ მივუბრუნდი იმ
თემას, უფრო სწორად, თვითონვე წამოიწყო: „მიხლოდა მოძღვარი გაემხდარი-
ყავი ამ ახალი სარწმუნოების, რომელზეც ასე ცოტა რამ ვიცით. თუმცა კარ-
გა ხანია დავრწმუნდი, ვერ შევძლებდი, მაგრამ თავს არ ვუტყდებოდი. ოღონდ
საეკლესიო სამსახურში ვყოფილიყავი, ოღონდ ჩემ ირგვლივ წმინდა და სულიერი

დაბიანბი

გარემოცვა მეგრძნო, ორღანზე დაკვრაც მაკმაყოფილებდა. საორღანო მუსიკა, მისტერიები, სიმბოლოები — მე მჭირდებოდა ეს. ვერ გავუშვებდი ასეთ შესაძლებლობას ხელიდან. ეს არის ჩემი სისუსტე. რა თქმა უნდა, ცნობილი იქნებოდა, მეც მივყოლოდი ჩემს ბედისწერას, ყოველგვარი სურვილებისა და პრეტენზიების გარეშე, მაგრამ ვერ შევძელი. იქნებ თქვენ შესძლიათ ფეხსმეფე ეიცი, ძნელია, ჩემო ბიჭუნა, ძნელად სავალია ეს გზა, მაგრამ ვერ შეძლია მარტივად ესა. მე უძრწოდი საკუთარი ბედისწერის წინაშე, მეშინოდა სიმარტოვის და თავშესაფარი მჭირდებოდა. ის კი, ვინც ბედისწერას მიჰყვება, მარტო და მიუსაფარი რჩება ამ ცივ სამყაროში. იესო ქრისტემ იმარტვალა გეთსემანიის ბაღში და ჯვართეცვა. მას მერე სხვებმაც იმარტვილეს, მაგრამ მთლიანად არც ისინი ყოფილან განთავისუფლებულნი სურვილებისაგან, მათთვისაც არსებობდა მახლობელი გრძნობა, სიყვარული. მათაც ჰქონდათ ხილვები. არადა, ვისაც მხოლოდ ბედისწერასთან შეყრა სურს, აღარ უნდა ეძებდეს სიყვარულს, იდეალებს, ნუგეშს. ადამიანები, ჩემი და შენი მსგავსნი, მართლაც მარტონი არიან, მაგრამ ჩვენ ერთმანეთი მაინც გვყავს და თითქოს ფარულ სიამაყესაც განვიცდით ჩვენი უჩვეულობის გამო და გვინდა ვიპოვოთ რაიმე განსხვავებული, არჩვეულებრივი, თუმცა არც ამას უნდა ვეძებდეთ. ბედისწერის გზაზე შემდგარს, ჭეშმარიტ მარტვილს უფლება არა აქვს რაღაც ახალი წამოიწყოს ან ისურვოს. შეუცნობელი და შეუდარებელია ეს გზა“.

მართლაც შეუდარებელი, უცნაური გრძნობა გებადება, როცა განმარტობულს, საკუთარ სულში ჩაძირულს, სულის სიღრმიდან გამზერს შენი ბედისწერა. რამოდენიმეჯერ დამემართა ასე, ამკარად ეხედავდი, რა მრავლისმეტყველი თვალებით მომჩერებოდა, ზოგჯერ უაზროდ, ხან სიყვარულით, ხან კი ბოროტად, მაგრამ როგორიც არ უნდა ყოფილიყო, ის იყო ჩემი ბედისწერა. ამაში არჩევანის უფლება არა გვაქვს ჩვენ, ადამიანებს. პისტორიუსმა ჩემს გზაზე, გარკვეულ მანძილამდე გამომიყვანა.

იმ დღეებში ადგილს ვერ ვპოულობდი, ქარიშხალი ბობოქრობდა ჩემში. ვერაფერს ვხედავდი უძირო წყვილიადის გარდა, რომელშიც დღემდე არსებული ყველა გზა იკარგებოდა და იძირებოდა. ქალაქზე ასეთი სიტყვები წავაწერე: „ერთმა წინამძღოლმა მიმატოვა, მთლად ბურუსში ვარ, მარტოს ნაბიჯის გადადგმაც არ შემიძლია. მიშველე!“

მანდოდა ღემიანისათვის გამეგზავნა ეს ბარათი, მაგრამ ხელი ავიღე ამ განზრახვაზე. უაზროდ მივიჩნიე. ერთი პატარა ლოცვა ვიცოდი და სულიერი სიმშვიდის მოსაპოვებლად ყოველ წუთს, ყოველ წამს ამას ვიმეორებდი და ვგრძენი რა შექმლო ლოცვას.

სკოლის ხანა გასრულდა. არდადეგებზე შინ უნდა გავბრუნებულიყავი. მერე უნივერსიტეტში ვაპირებდი ჩაბარებას. მამას უნდოდა ასე. რა ფაკულტეტზე ჯერ არ ვიცოდი, ისე, ყველაზე მეტად ფილოსოფიით ვიყავი გატაცებული.

თავი მეშვიდე

ქალბატონი მკა

ერთხელ არდადეგებზე იმ სახლში მივედი, სადაც ადრე დედასთან ერთად ცხოვრობდა ღემიანი. ბაღში ვიდაც მოხუცი ქალი სეირნობდა, გამოველაპარაკე და ცოტა რამ გამოვიკითხე მათზე. კარგად მოიხსენა, მაგრამ ამჟამად სად

ცხოვრობდნენ, არ იცოდა. ჩემი ინტერესი რომ შეამჩნია, სახლში შემიპატიუ-
და დემიანის დედის სურათი მაჩვენა. სახეზე არასოდეს მყავდა ნანახი, დავ-
ხედე თუ არა სურათს, გული გამიჩერდა — ეს იყო სიზმარში გამოცხადებული ქა-
ლი: მაღალი, გამხდარი, ცოტა არ იყოს მკაცრი, მამაკაცური, მაგრამ საადრე/
შესავით მიმზიდველი, ნატანჯი და მაინც მომზიბვლელი, მაცდუნებელი. ამ
მშვენიერ ქალბატონში იყო დემონურიც და დედობრივიც, სიყვარულს და სიბუნ-
ღისწერაც.

ველურმა გრძნობამ დამრია ხელი, როცა გავიგე, რომ დედამიწაზე ცხო-
ვრობდა ჩემი სიზმრის ქმნილება, მართლაც არსებობდა ქალი, რომელიც ჩემი
ბედისწერის სახეს ატარებდა. და ეს იყო ჩემი ძეგობრის, დემიანის დედა.

მას შერე მოგზაურობა დავიწყე. დაუღალავად დავეხეტებოდი ქვეყნის ერ-
თი კუთხიდან მეორეში იმ იმედით, რომ ვიპოვიდი მას. ვეძებდი ყველგან,
ქალაქის ქუჩებში, სადგურში, მატარებელში; ზოგჯერ ვტყუვდებოდი კიდეც, ვი-
ღაცებს ვამსგავსებდი. ზოგჯერ უაზრობად მიმჩნა ძებნა და იმედგაცრუებ-
ული ვბრუნდებოდი სასტუმროში, ხანდახან სადმე პარკში, ან მოსაცდელ დარბა-
ზში ვჯდებოდი და საკუთარ სულში ვიმზირებოდი. ვცდილობდი ჩემს წარმო-
სახვაში მაინც გამეცოცხლებინა მისი სახე, მაგრამ აქაც გაფერმკრთალებული-
ყო და უფრო მოკრძალებული გამხდარიყო თითქოს. აღარც ძილი მეკარებოდა,
ხანდახან ძალაგამოცლილს თხუთმეტი წუთით თუ ჩამთვლემდა მხოლოდ. ერთხელ
ვიღაც ლამაზი, მსუბუქი ყოფაქცევის ქალი გადამიდგა წინ, არაფრად ჩავაგდე, ჩა-
ვუარე. მე არ შემეძლო, თუნდაც წამით, სხვა ქალისთვის დამეთმო ყურადღე-
ა, სიკვდილი მერჩივნა ამას.

ვგრძნობდი, სადაცაა აღსრულდებოდა განგების ნება, ჩვენი შეხვედრის დღეც
დადგებოდა. მაგრამ არ შემწევდა უნარა, რაიმე მელონა და დამეჩქარებინა ეს
დღე. არ მახსოვს სად, ვგონებ ინსბრუკში, მატარებლის ფანჯარაში უცხო ქა-
ლის სახეს მოვკარი თვალი, მას მივამსგავსე. მთელი დღე მომეშხამა. სწორედ იმ
დღეს გამომეცხადა სიზმარში. სირცხვილის გრძნობით გამომეღვიძა, მივხვდი
ჩემი ხეტიალის უაზრობას და შინ დავბრუნდი.

რამდენიმე კვირის შემდეგ უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე
ჩავაბარე საბუთები. აქაც გამიცრუვდა იმედები; უინტერესო ლექციები, უაზ-
რო სტუდენტ-ახალგაზრდობა, რომელთაც წერილმანი რამეც კი ბავშვურად
აზარებდათ, ყველგან მხოლოდ სავალალო სიცარიელე და სიყალბე შეიმჩნეოდა.
ჩემთვის, განმარტოებულად მშვენივრად ვცხოვრობდი ქალაქგარეთ, ძველი ქვის
სახლში. ვკითხულობდი ნიცშეს და ამით ვსულდგმულობდი. მესმოდა მისი ეული
სულის ხვედრი და მასთან ერთად ვიტანჯებოდი. თუმცა მიხაროდა, რომ ამ-
ქვეყნად არსებობდა ადამიანი, რომელმაც თავისი გზით, ტანჯვით, მაგრამ მაინც
ბოლომდე განვლო ეს ცხოვრება.

ერთხელ, გვიან საღამოს ქალაქში დავეხეტებოდი. შემოდგომის ქარი
ქებრაკდა. სამიკიტნოებიდან სტუდენტების ღრიანცელი გამოდიოდა. სტუდენტ-
ურ ჰიმნს მღეროდნენ. ჰაერში ღია ფანჯრებიდან გამოღწეული თამბაქოს სუნი
ტრიალებდა. თუმცა ამ ხმაურშიც და თავაწყვეტილ ხმებშიც შეიმჩნეოდა სტუ-
დენტების უსიცოცხლობა და მოღუნებულობა.

ქუჩის კუთხეში ვიდექი და ყურს ვუგდებდი მათ. ორი, ერთიმეორის მო-
პირდაპირე ლუდხანიდან სწორედ ერთდროულად გამოიჭრა შეზარხოშებული ახ-
ალგაზრდების ჯგუფი და დამის სიბნელეს შეერია. ყველა გაურბოდა საკუთარ
თავს, ყველა საზოგადოებრივ თავყრილობაში ეძებდა თავშესაფარს.

წინ ორმა კაცმა ჩამიარა, საუბრის თემასაც მოვკარი ყური: („ზუსტად ასეთ სურათს წააწყდებით ზანგების რომელიღაც სოფელში, ყველაფერში ასე როგორ დაემსგავსნენ ერთმანეთს. სვირინგებაც ხომ მოდაში შემოიდეს. შეხედეთ ამ ახალგაზრდობას, ესაა ახალი ევროპა?“)

საოცრად მეცნო ხმა. უკან ავეღევნე. ჩაბნელებულ ქუჩებს მრევუყვებოდი. ერთ-ერთი იაპონელი ჩანდა, პატარა და ელევანტურად ყფინებდა ქვეშ მის ვაყვირებულ სახესაც მოვკარი თვალი.

ზინზინიძე

მეორემაც კვერი დაუკრა:

„არც თქვენთან, იაპონიაშია მოლად სახარბიელოდ საქმე. დღეს თითო-ორილა ადამიანსლა თუ წავაწყდებით, ამ უმრავლესობათა წიაღს, ამ ნახირს რომ არ აფარებდეს თავს“.

ყოველი სიტყვა სიხარულნარევი შიშით იჭრებოდა ჩემში. ვიცანი მოლაპარაკე, ეს დემიანი იყო.

ღამის წყვილიაღში, საბნელეში მიყვებოდი ამ ორს, ვუსმენდი მათ საუბარს და ვტკბებოდი დემიანის საამო ხმით. უწინდებურად სიმშვიდე, თავდაჯერებულობა და ძალა მოდიოდა მისგან და კვლავინდებურად მიმორჩილებდა. რა ბუნდნიერებაა, როგორც აქნა, ვიპოვე.

გარეუბანთან იაპონელი გამოემშვიდობა დემიანს და რომელიღაც კარებში გაუჩინარდა. ის კი უკან გამობრუნდა. შუა ქუჩაში ვიდექი და გულისკანკალით ველოდი. მოაბიჯებდა დამაჯერებლად, მხრებგაშლილი, ამაყი. ნაცრისფერი ლაბადა ეცვა, მკლავზე ხელჯოხი ეკიდა. როცა მომიახლოვდა, ქუდი მოიხადა, მთელი სიცხადით დავინახე მისი გაბრწყინებული სახე; შუბლზე ნათელი დასთამაშებდა.

„დემიან!“ – დაუძახე.

„მან ხელი გამომიწოდა.“

„აქა ხარ, ზინკლაირ, გელოდებოდი“.

„იცოდი, რომ აქ ვიყავი?“

„ზუსტად არ ვიცოდი, მაგრამ ვიმედოვნებდი, რომ უახლოეს ხანებში უეჭველად გამოჩნდებოდი. დანახვით მხოლოდ ამ საღამოს დაგინახე, მთელი საათი უკან რომ მოგვდევდი“.

„მაშინვე მიცანი?“

„რა თქმა უნდა; თითქმის სულ არ შეცვლილხარ. მაგრამ ნიშანი უფრო გამოგვევითა“.

„ნიშანი? რა ნიშანი?“

„ადრე ამას კენის ნიშანს ეუწოდებდით, თუ კიდევ გახსოვს. ეს ჩვენი ნიშანია. მაშინვე ვატყობდი შენში, ამიტომაც დაგიმეგობრდი. ახლა კი ნათლად ეხედავ, რომ ასეა“.

„ეს მე არ ვიცოდი. თუმცა იცი, ერთხელ შენ დაგხატე და გამიკვირდა, ნახატი საკუთარ თავსაც მივამსგავსე. საერთო ნიშანი რომ გვაქვს, იმიტომ?“

„ასეა, ძალიან კარგი, რომ გამოჩნდი. ღედასაც გაუხარდება შენი ნახვა“.

„ღედას? აქ არის? კი მაგრამ, ის ხომ არ მიცნობს?“

„მან ყველაფერი იცის შენს შესახებ. რომც არ უთხრა, ვინ ხარ, მაინც მიცნობს. კარგა ხანია შენი აღარაფერი გვსმენია“.

„ხშირად მინდოდა მომეწერა, მაგრამ არ გამომდიოდა. ამ ცოტა ხნის წინ კი ვიგრძენი, ძალე ვიპოვიდი. ვიცოდი, დადგებოდა ეს დღეც“.

ხელკავი გამომდო და გზა განვაგრძეთ. მისი სიმშვიდე ჩემშიც გადმოდიოდა.

და უწინდებურად ავლაპარაკდით. გავიხსენეთ სკოლის ხანა, კონფორმაციის გაკვეთილები, ის ბედუკულმართი შეხვედრაც არდადეგებზე, მაგრამ ფრანც კრომერი არც ამ დღეს გვიხსენებია.

მოულოდნელად ფრიად უცნაური და საინტერესო საუბარი გაიბა ჩვენ შორის. იაპონელთან ლაპარაკის მსგავსად აქაც შეეხო დემიანი სტუდენტთა უმსგავსო, მღორე ცხოვრებას. მის სიტყვებში შინაგანი მღელვარებაც შეიქმნებოდა.

ის ლაპარაკობდა ევროპის სულზე და ჩვენს ეპოქის დაუადებაზე. ყველგან ერთი და იგივე სურათია: გაერთიანება და მასებად შექუჩება, მაგრამ აღარსადაა სიყვარული და თავისუფლება. ყველაფერში, მოყოლებული სტუდენტთა კავშირებიდან, ჰიმნიდან, დამთავრებულ მთავრობით, იძულებითობა შეიმჩნევა მხოლოდ. ესაა გაერთიანება შიმშილზე, სიმხდალზე და უგუნურებაზე დაფუძნებული. შინაგანად გამოფიტული, დავრდომილი ერთიანობა, რომელიც ნგრევისთვისაა განწირული.

„ერთიანობა, — განავრძო დემიანმა, — თავისთავად მშვენიერია, მაგრამ არა ასეთი, როგორსაც დღეს ვხედავთ. ის უნდა აღსდგეს ხელახლა. დღეს გადაუგვარებელი ერთეულების ხვედრია წარმოშვან დ გარდაქმნან ეს მოძველებული სამყარო. ამ ხროვად შექუჩებულ ადამიანებში მხოლოდ შიში ჩაბუდებულია. ისინი გაურბიან, არ ენდობიან ერთმანეთს. რატომ, რატომ ეშინიათ მათ? იმიტომ, რომ საკუთარ თავს გაურბიან, საკუთარი სულის შეცნობა ვერ შესძლეს. და ახლა დამფრთხალნი გრძნობენ, რომ მათი ცხოვრების წესი მოძველდა, აღარც მათი მორალი, არც რელიგია დღევანდელობას აღარ ერგება. უკვე ასი და უფრო მეტი წელია ევროპა ვითარდება, შენდება. და დღეს ადამიანებმა ის უკეთ იციან, ზუსტად აქვთ გაანგარიშებული, რამდენი გრამი ფხენილია საჭირო ერთი ადამიანის მოსაკვდინებლად, ეიდრე ღვთის წინაშე ლოცვა. არ იციან, როგორ ილიცონ, არასოდეს განუცდიათ, თუნდაც ერთი საათით რაა სიამოვნება. შეხედე ერთ-ერთ სტუდენტების ღრეობას, ან რომელიმე გასართობ ადგილს, სადაც მდიდრები იყრიან თავს. არა, ჩემო ზინკლაირ, აქედან სასიკეთოს არაფერს უნდა ველოდეთ, რადგან შიშის ქვეშ შეკავშირებულ ამდენ ადამიანში, რომლებიც ძველადეალებს ჩაპბლაუჭებთან, უნდობლობასა და უსაყვარულობას, ბოროტებას დაუსადგურებია. საკმარისია მათში, თუნდაც ერთმა რაიმე ახალი იდეა წამოაყენოს, რომ უმაღ ჩაპქოლავენ. ვგრძნობ, რაღაც მოხდება, დამერწმუნე, მალე დადგება ეს დღე. რა თქმა უნდა, არც ამით „ეშელება“ სამყაროს, რომ მუშები ფაბრიკის მეპატრონეებს დაუპირისპირდნენ, ანდა გერმანიამ და რუსეთმა ერთმანეთს ომი გამოუცხადონ. დამპყრობლები და მფლობელები გამოიცილებიან მხოლოდ. მაგრამ შეიძლება უსაფუძვლოდაც არ ჩაიაროს ამან. გამოაშკარავდება დღევანდელი იდეალების უვარგისობა, ბოლო მოელება ქვის ხანის კერპებს. ასეთი სამყარო, როგორიც დღესაა, უნდა მოკვდეს, უნდა განადგურდეს და ასეც მოხდება“.

„ჩვენ, ჩვენ რაღა მოგველის?“ — ვკოხე მე.

„ჩვენ? ეგებ ჩვენც დავიღუპოთ. მოკვლა ჩვენნაირებისაც შეუძლიათ. მაგრამ ამით ჩვენ არ გვევნება. რადგან ის, რაც ჩვენს შემდეგ, ჩვენგან დარჩება, მომავლის ნებაში აისახება. დღევანდელი კაცობრიობის ნება-სურვილი კი უკვე გამოჩნდა — ევროპამ ტექნიკური ბაზრობებითა და მეცნიერული პროგრესით გააყრუა გარეში. მალე ისიც გამოჩნდება, რომ განგების ნებად ვერასოდეს ჩაითვლება ის, რაც დღეს აერთიანებთ: ასეთი ხალხი, ეკლესიები, მსგავსი მმართველ-

ობის რეჟიმი. ბუნების ნება ჭეშმარიტად მხოლოდ ერთეულებშია გამოხატული: შენში, ჩემში; ასეთი ჭეშმარიტება იყო იესოში. ეს იყო ნიცეშიც. ამ ცალკეულად მაგალ, მნიშვნელოვან დინებებს დაეთმო ბათ ასპარეზი - დღევანდელი საზოგადოებების განადგურების შემდეგ“.

მდინარის პირას, ბალთან შევხერდი.

„აი აქ უცხოვრობთ, — მითხრა დემიანმა, — მალე გქმნას ჭეშმარიტება“ — შიშით მენლად გეგონებოდა.

სუსხიანი ღამე იყო. ბედნიერი მივაბიჯებდი შინისაკენ. აქა-იქ კიდევ ისმოდა შეზარხოშებული ახალგაზრდების ღრიალცელი. ხშირად ნაკლოვანების გრძნობა გამჩენია, როცა ჩემი მარტოსული ცხოვრება მათი მხიარულებისთვის შემიდარებია, ხშირად დამიცივია კიდევ. დღეს კი, როგორც არასდროს საოცარი სიმშვიდე, ფარული სიამაყე დამეუფლა, როცა მივხვდი, რა უცხო და შორეული იყო ეს სამყარო ჩემთვის და რა ნაკლებად მალეღებდა ამგვარი ყოფა. მახსენდება, ჩვენთანაც, ჩემს მშობლიურ კუთხეშიც, როგორ ეთავიანებოდნენ თაყიანთ ახალგაზრდობას ხანშიშესული საპატიო პირნი. მისტიროდნენ ღრეობაში, განძარცვულ თავისუფლებაში გატარებულ წლებს. პოეტებისა და რომანტიკოსების მსგავსად ხოტბას ასხამდნენ, კულტს ქმნიდნენ ამ ღვთაებრივი სამოთხისას; „თავისუფლებას“ და „ბედნიერებას“ ეძებდნენ, მაგრამ სად? საკუთარი თავის ძილმა? ნაცვლად იმისა, ეპოვათ თავიანთი მოვალეობა, ცხოვრების ჭეშმარიტი გზა და მოფრთხილებოდნენ მას. ლხინსა და ქეიფში საპნის ბუშტივით შემოადნათ ახალგაზრდობის წლები, მერე კი გაძვრნენ, გამოძვრნენ და სერიოზულ სახელმწიფო თანამდებობებს გამოჰკრეს ხელი. ყველგან ეს შემზარავი ერთფეროვნება! დიახ, სიზარმაცე, სიზარმაცეა ჩვენში, სტუდენტ-ახალგაზრდობის გამოთაყვანება, მაგრამ ეს კიდევ არაფერია იმათას საშინელებასთან, რამაც დღეს მოიკიდა ფეხი.

შინ მისვლისთანავე მიმატოვეს ამ ფიქრებმა. ჩემი-გონება ერთ აზრსდა დაეპყრო, დღევანდელი მონაპოვართ ვხარობდი; ხვალ დემიანის დედას ვნახავდი. რაც უნდა უქნიათ, თუნდ მთელი დღეები უქეიფიათ, დაუმახინჯებიათ სვირინგებით მთელი სახე, თუნდაც გაზარმაცებულა მთელი სამყარო და თავის აღსასრულს დალოდება — რაში მანადვლებს. მე მხოლოდ იმასდა ველოდებოდი, ახალ ამპლუაში მეხილა ჩემკენ მომავალი ჩემი ბედი.

გვიანობამდე მეძინა. დილით შესანიშნავი განწყობა ამყვა, მხოლოდ ბავშვობაში, შობა დღეს მქონია ასეთი განცდა. შინაგანი მღელვარებით ვიყავი შეზერობილი, მაგრამ ყოველგვარი შიში სადღაც გამქრალიყო. რაღაც ახალი, მნიშვნელოვანი იწყებოდა ჩემს ცხოვრებაში. გარემოც შეცვლილი მეჩვენა, უფრო ბედნიერი, იმედებითა და მოლოდინით აღსავსე. შემოდგომის წვიმაც სადღესასწაულო მუსიკის დარად მესალბუნებოდა გულზე; ასე პირველად შეერწყა ერთმანეთს ჩემში შინაგანი და გარე სამყარო. სული ზეიმობდა. ახლა ღირდა ცხოვრება. აღარაფერი მაღიზიანებდა გარეთ: არც ადამიანები, არც ქუჩა, არც სახლები. ყველაფერს თავისი ადგილი დაეკავებინა. ბუნებაც უფრო გამოცოცხლებულიყო, თითქოსდა მასაც ჩემსავით თავის წილხვედრი უპოვიაო. ბავშვობის დაკარგვის მერე სამყარომაც დაკარგა ჩემთვის ბრწყინვალეობა. და იმდენად შევეჩვიე საკუთარ თავთან მარტოდ ცხოვრებას, აღარც კი მჯეროდა, თუ ოდესმე კვლავ ვიხილავდი სამყაროს ასეთ ღამაზს და ნათელს. გარკვეულწილად ამ საუცხოო ბედნიერებაზე უარის თქმით უნდა მოვიპოვოთ ალბათ თავისუფლება და სულის თავისთავადობა. და მე, ბავშვური ბედნიერების უარ-

ყოფელმა მოულოდნელად აღმოვაჩინე, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ჩაბნელებული და დაბურული ყოფილა ჩემში და ახლა სულიერად გამონათავისუფლებულს, კვლავ მომეცა შესაძლებლობა ისევ ბავშვური თვალთახედვით აღმექვა სამყაროს ბრწყინვალეობა.

და აი დადგა დრო, მე ვიდექი იმ ბაღის წინ, სადაც გუშინ დემიანს ვამოვემშვიდობე. მაღალი, წვიძისაგან დანამული ხეების უკან პატარა ნოტივები მყუდრო სახლი იდგა. ფანჯარაში, ბრჭყვიალა შუშების ძიღმა გრძელტოტივები ნი ყვავილები მოჩანდა. გარედანვე ვხედავდი, სურათებითა და წიგნების თაროებით იყო საესე კედლები. კარი შევალე, პირდაპირ დიდ ოთახში აღმოვჩნდი, სასიამოვნო სითბო შემომეგება. საიდანღაც მოხუცი ზანგი მოსამსახურე გამოვიდა. უჩუმრად ჩამომართვა პალტო და წინ გამიძღვა. შიგნითა ოთახში შემავანა და მარტო დამტოვა. მიმოვიხედე, განვცვიფრდი: ჩემი სიზმარი გადამეშალა თვალწინ. კარის თავზე, შავ ჩარჩოში ჩასმული ნახატი, ჩემი ოქროსფერთავიანი მიმინო ეკიდა, დემიანს რომ გამოვუგზავნე.

გაოგნებული ვიდექი. ტკივილი თუ სიხარული, თუ ორივე ერთად შემოჭრილიყო ჩემში. რაღაც ერთ წამში ამისრულდა, პასუხად დამიბრუნდა ყოველივე, რაც განმიცდია და გამიკეთებია. წარსულის სურათები ამოტივტივდა თავში: მშობლიური სახლი, გერბი, დემიანი, ჩვენს სახლთან რომ იდგა და გერბს იხატავდა, მე — კრომერისაგან შეშინებული და მის ბოროტულ ზრახვებში გახლართული, საკლასო ოთახი, ჩემი საძინებელი ოთახიც, სადაც ჩემი ოცნების ფრინველი დავხატე — მოკლედ, ყველაფერი გამახსენდა, რაც დღევანდელ დღემდე მინახია და გადამხდენია. მაგრამ უკვე სხვაგვარად გააზრებული, გაცნობიერებული, ახსნილი და პასუხგაცემული.

ცრემლმორეული მივშტერებოდი ჩემს ნახატს და საკუთარ თავს ვხედავდი. მერე მზერა ნახატს ქვემოთ ჩავაცურე, იქ, ღია კარებში, მუქ კაბაში გამოწყობილი, მაღალი ქალი იდგა. ეს იყო ის.

ენა ჩამივარდა. მშვენიერ, ღირსეულ ქალბატონს სახეზე ნათელი გადაპყენოდა და მეგობრულად მიღიმოდა. ამ ღიმილში მშობლიური სითბო შევცანი. და მის მზერაში კი ჩემი ოცნების აღსრულება. ასაკი თავის ვაჟის მსგავსად არც მას ეტყობოდა. მდუმარედ ვავუწოდე ორივე ხელი და მანაც გულწრფელად შემაგება თავისი ძლიერი, თბილი ხელები.

„ზინკლარი ხართ. მაშინვე გიცანით. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“. საამოდ, ამაღელვებლად მეღვრებოდა გულში მისი ხმა; და მეც ნელ-ნელა ტკბილი სასმელივით ვისრუტავდი ამ ხმას. ვუყურებდი მის მშვიდ უძირო თვალებს, მიმზიდველ ბაგეებს, ფართოდ გადამღილ ნათელ შუბლს და ვიხიბლებოდი. ნიშანი მასშიც შევნიშნე.

დედასავით მიღიმოდა.

„ასე მგონია, მთელი ცხოვრება გზაში ვიყავი და ახლად დაებრუნდი შინ“, — ამ სიტყვებით მიუუახლოვდი და ხელებზე ვეამბორე.

„შინ არასოდეს ბრუნდება ადამიანი, მაგრამ როცა სულიერად მონათესავე გზები შეეყრება ერთმანეთს, ერთი საათით მაინც ემსგავსება სამყარო მშობლიურს“.

სწორედ იმას მეუბნებოდა, რასაც მისკენ მომავალი ვგრძნობდი. ხმაც და საუბარიც შვილს უგავდა, თუმცა მაინც განსხვავდებოდა. იგი უფრო დახვეწილი, თავისთავადი და ბუნებრივი იყო. ღამაზად და ახალგაზრდულად გამოიყურებოდა, სახეზე ნაოჭიც არ ემჩნეოდა. თავის დროზე დემიანსაც არ ეტყო-

ბოდა ბავშვობა. როგორც სიზმარში, ახლაც დედოფალივით იდგა ის ჩემ წინ. ბედნიერება იყო მისი სიახლოვე და მისი მზერა — აღსრულება.

სიზმარში მკაცრი და შეუპოვარი, ცხადში აღარ გამიბოდა, პირიქით, სიყვარულით, თავაზიანად მეპყრობოდა. გონებადაკარგული ვეღარ ვაზროვნებდი — ჩემს მიზანს, ჩემი გზის გარკვეულ სიმაღლეს მივალწი, საიდანაც განვლილი მანძილი შორეულად და ნათლად მოსჩანდა. ეს გადგასხედის თვით უარყოფილი სამყაროც ლამაზად მესახებოდა. (ჩემს ქვებზე მკვრივად შეესხა და რეალობად მექცა.) დედამიწაზე ვიპოვე ჩემი ოცნება და მის ხმას, მის სიახლოვეს ვისუნთქავდი. სულერთი იყო, რა იქნებოდა ის ჩემთვის: დედა, სიყვარული თუ ღვთაება, ოღონდ ჩემ გვერდით მეხილა, ოღონდ ჩემი გზა მის სიახლოვეს ყოფილიყო.

მან ჩემს ნახატზე მიმითითა: „ამ ნახატით დიდი სიხარული გვაჩუქეთ მეს და მაქსსაც. გელოდებოდით და როცა სურათი მივიღეთ, მივხვდით, ჩვენკენ სავალ გზას ადექით უკვე. ბავშვობაში სკოლიდან დაბრუნებულმა დემიანმა მითხრა: დედა იქ ერთი ბიჭია, შუბლზე ნიშანი აქვს და ის ჩემი მეგობარი უნდა გახდესო. თქვენზე მეუბნებოდა. ვიცი გიჭირდათ, მაგრამ გვეჯეროდა თქვენა, იმედი გვქონდა დაგვიბრუნდებოდით. ერთხელ, არდადეგებზე, მაშინ თქვენს მეტი წლის იქნებოდით ალბათ, დემიანს რომ შეხვდით...“

„როგორ, ეგეც მოგიყვათ? ეს ჩემთვის ყველაზე უბედური დრო იყო“.

„კი, მითხრა, ყველაზე მძიმე პერიოდი რომ გქონდათ გადასალახი. ვერ გაგეგოთ, საით წასულიყავით. სამიკიტნოებში, უმრავლესობათა წიაღში ექვბდით საშველს, მაგრამ შესძელით თავის დაღწევა. თქვენი ნიშანი იღუშალია, მაგრამ შინაგანად მწველი. ასე არაა?“

„ღიახ, მართლაც ასე იყო. მერე ბეატრიჩე აღმოვაჩინე, შემდეგ პისტორიუსი მომეკვლინა სულიერ მოძღვრად. ახლა ვხედები, რატომ იყო ჩემი ბავშვობა მაქსთან ასე დაკავშირებული, რატომ ვერ განვითარდით მისგან. ძვირფასო დედა, ჩემო საყვარელო ქალბატონო, ბევრჯერ მქონია წუთები, თავის მოკვლაც რომ მდომებია. ნუთუ ასე რთულია ყველასათვის ეს გზა?“

ნიავევით მსუბუქი ხელი თავზე გადამიხვია.

„მძიმეა დაბადება. თქვენც ხომ იცით, როგორ უჭირს ჩიტს კვერცხიდან თავის დაღწევა. მაგრამ შეეკითხეთ საკუთარ თავს, მხოლოდ სირთულე და სიძნელე შეგხვდათ ამ გზაზე? ნუთუ თავისებური ხიბლი არ ჰქონდა მას? სხვა რა ამაზე ლამაზი?“

მაშინვე ვიუარე:

„არაფერი; მხოლოდ ოცნების მიღწევამდე ჭირდა“.

„ღიახ, ადამიანმა უნდა იპოვოს თავისი ოცნება და ეს გზაც გაუიოლდება. მაგრამ ხომ არ არსებობს მხოლოდ ერთადერთი ოცნება?! ერთს მეორე მოჰყვება, მეორეს მესამე და ადამიანს არ ძალუძს ამის შეჩერება“.

შიშმა ამიტანა, რის თქმა უნდოდა ამით, ნუთუ მაფრთხილებდა? ეს ხომ უკვე უკუგდებას ნიშნავდა? თუმცა სულერთი იყო, მზად ვიყავი მივხვებოდი, წავეყვანე, მაგრამ სად, არც მეკითხა.

„არ ვიცი, — წამოვიწყე, — რამდენ ხანს გაგრძელდება ჩემი ეს სიზმარი, მაგრამ მსურს მარადიული იყოს იგი“.

ამ ქალში ვხედავდი ჩემს ბედს, ჩემს სიყვარულს, მშობელს. მას ვეკუთვნიდი და სხვას არავის.

„ვიდრე ეს სიზმარი თქვენი ბედია, მანამ უნდა დარჩეთ მისი ერთგული“.

გული დამიმძამდა. მინდოდა იმ წუთას, იმ მომაჯადოებელ წუთს მოვმკვ-
დარიყავი. ვიგრძენი, ცრემლი მახრხოვდა. რამდენი ხანია აღარ მიტირია. ბო-
ლოს როდის ვიტირე, აღარც მახსოვდა. სევდა მომაწვა, ვიტანჯებოდა. შევბ-
რუნდი, ფანჯარასთან მივედი და დაბინდული თვალებით ქოთნებს მივაჩერდი.

ზურგსუკან მისი ნაბიჯების ხმა მომესმა, მომიახლოვდა. სიარულშიც სა-
ოცარი სინაზე შევიგრძნობოდა: „ზინკლაირ, ჯერ კიდევ ბავშვი ხართ, მაგრამ
თქვენს ბედს უყვარხართ. როდისმე, როგორც სიზმარში, მოლიანად მარტო-
მარტო ხვდებით, თუ ბოლომდე ასეთი ერთგული დარჩებით“.

თავი ვაიძულე, შევბრუნებულიყავი მისკენ. მან ხელი გამომიწოდა.

„რამოდენიმე მეგობარია გყავს, — წამოიწყო მან ღიმილით, — ყველაზე ახ-
ლობლები ქალბატონ ევას მეძახიან. თუ გსურთ, თქვენც ასე მომმართეთ“.

კარამდე მიმიყვანა, გამოაღო და ბაღზე მიმითითა:

„მაქსს იქ ნახავთ, გარეთ!“

ხის ძარში გავშეშდი. გონება მქონდა დაბინდული, ვერ გამეგო, სიზმარში
იყავი, თუ ცხადში. ფოთლებიდან წვიმის წვეთები მეცემოდა. ბაღში შევედი,
რომელიც მდინარის პირას იყო გაშენებული. სადღაც ბოლოში, პატარა ქოხის
გვერდით ვიპოვე დემიანი; მეტად უჩვეულო ფორმაში ვიხილე იგი. ტანს ზე-
მით გაშიშვლებულიყო და ჩამოკიდებულ ქვიშიან ტომრებზე ვარჯიშობდა. გაკ-
ვირვებული მივაჩერდი, არასოდეს მენახა დემიანი ასეთი: მხარბეჭიანი, დაკუ-
ნთული მკლავები, განიერი მკერდი, ღონიერი ჩანდა. მოძრაობისაგან მოელი
ტანი უთამაშებდა:

„დემიან, აქ რას აკეთებ?“

„კვარჯიშობ, — გამიცინა, — იმ პატარა იაპონელს დაეპირდი, რომ რინ-
გზე შევხვდებოდი. კატასავით მკვირცხლი კია ის ყმაწვილი, მაგრამ მაინც ვერ
მოშერევა. არც მე დავრჩები ვაღში“.

პერანგი და პიჯაკი გადაიცვა.

„ნახე დედა?“

„კი, დემიან, შესანიშნავი დედა გყავს. ქალბატონი ევა, სახელიც ისეთივე
მშვენიერი აქვს, როგორც თავად არის. ასე მგონია, იგი ყველას დედაა“.

ერთი წუთით დაკვირვებით შემომხედა:

„სახელიც იცი უკვე? შეგიძლია იამაყო. პირველი ხარ, ვისაც შეხვედრის
თანავე უთხრა თავისი სახელი“.

ამ დღიდან მოყოლებული ამ სახლში ისე შევდიოდი და გამოვდიოდი, რო-
გორც შვილი, ძმა, თუმცა მაინც შეყვარებული. შორიდან, როგორც კი მათ
ბაღს მოვკრავდი თვალს, სიხარულისაგან დავფრინავდი. გარეთ „სინამდვილე“
იყო: ქუჩები, სახლები, ადამიანები, ბიბლიოთეკები თუ სასწავლო დაწესებუ-
ლებები — იქ შიგნით კი სული და სიყვარული, სიზმარი და ზღაპარი გამეფებუ-
ლიყო, მაგრამ მაინც რეალური ეთქმოდა. ჩვენს ფიქრებსა თუ საუბრებში მა-
ინც გვალეღვებდა გარეთ მიმდინარე მოვლენები. ადამიანთა უმრავლესობას რა-
იმე ზღვარით კი არ ვეზიჯებოდით, არამედ — ჩვენი შეხედულებებით. ჩვენს
დანიშნულებად მიგვაჩნდა შეგვექმნა გამორჩეული კუნძული, ყოველ შემთხვევა-
ში, გვსურდა, სამყაროს არსებობის სხვაგვარი შესაძლებლობები დაგვესახა.
ქალბატონ ევას სახლში თავს იყრიდნენ სხვადასხვა საზოგადოებები თუ ადამი-
ანები, რომელთაც ნაკლები ჰქონდათ მარტოობის ხვედრი. მათი შემხედვარე ჩავწ-
ვდი მარტოსულთა ნიშნის საიდუმლოებას.

ჩვენ ნიშანდებულებს სამართლიანად მიგვაჩნდა სამყარო უცნაურად, ღია,

შეშლილად და სახიფათოდაც კი. როცა ჩვენ თითქოს გამოფხიზლების პროცესში ვიმყოფებოდით და სრულ გამოფხიზლებას ვესწრაფვოდით, სხვების სწრაფვა და სიხარული ერთში მდგომარეობდა მხოლოდ: თავიანთი აზრები, იდეალები თუ მოვალეობები, თავიანთი ცხოვრება და ბედნიერება უფრო მჭიდროდ დაეკავშირებინათ მასებთან. იქაც იყო, რაღა თქმა უნდა, თავისებური ძალა, სიდიადე. მაგრამ იმ დროს, როცა ჩვენ, ჩვენის აზრებს, იდეებს, ნება-სურვილს განახლებისათვის, მომავლისათვის გამოუხატავდით, მანარჩენი ერთსა და იმავე მოყირჭებულ სურვილებში სულდგმულობდა. მათთვის კაცობრიობა — რომელიც ისევე უყვარდათ, როგორც ჩვენ — ცოტა არ იყოს მზამზარეული იყო უფრო და ცდილობდნენ ასეთად დაეცვათ და შეენარჩუნებინათ. ჩვენ კი კაცობრიობა შორეულ მომავლად გვესახებოდა, რომელზეც არც არსად დაწერილა და არც ის ვიცოდით, როგორი უნდა ყოფილიყო. ჩვენ, ყველანი, მისკენ სავალ გზას ვადექით მხოლოდ.

როგორც ზემოთ ვთქვი, ქალბატონ ევასთან სხვადასხვა საქმიანობისა და შეხედულების ადამიანები იყრიდნენ თავს: ასტროლოგები, კაბალისტები, გრაფიკოსები, ტოლსტოის მიმდევრები, ყველაზე მოკრძალებული, მორიდებული ადამიანები — სექტანტები, ინდური ვარჯიშის მიმდევრები, ვეგეტარიანელები და სხვები. ჩვენ არც ერთ მათგანთან არ ვგრძნობდით სულიერ ნათესაობას, მხოლოდ აზრებს, ოცნებებს იღუმალი ცხოვრებისას თუ ვუზიარებდით ერთმანეთს. ჩვენთან უფრო ახლოს დვითისკენ მიმავალ გზაზე მდგომნი იყვნენ, ოცნებებით წარსულს რომ ჩაჰბლაუჭებოდნენ ჩემი პისტორიუსის მსგავსად. მათ მოჰქონდათ წიგნები, გვითარგმნიდნენ უძველესი ენებიდან, გვიჩვენებდნენ ილუსტრაციებს, გვიხსნიდნენ სიმბოლურ გამოსახულებებს, რიტუალებს და ცდილობდნენ გაეგებინებინათ ჩვენთვის, რომ დღემდე კაცობრიობა სიზმრისეული, გაუცნობიერებელი იდეალებისაგან და სულისაგან შედგებოდა, გაუგებრად მიჰყვებოდა წინათგრძნობებს შესაძლო მომავლისაკენ. და ასე მივდევდით სხვადასხვა ღმერთების ნაკადს, ქრისტიანობის შემოღებამდე. ყოველი ჩვენი საუბარი ბოლოს მაინც ევროპის კრიტიკამდე მიდიოდა. ევროპა თავისი ტექნიკური განვითარებითა და ძლევამოსილი შეიარაღებით საბოლოოდ და გამანადგურებლად შეიჭრა ადამიანთა გაუკაცრიელებულ სულებში. მსოფლიომ დაკარგა თავისი ჭეშმარიტი სული.

ამ საზოგადოებათა შორის იყვნენ მორწმუნენიც; ქრისტიანული სარწმუნოების დვთისმსახურები, რომელთაც სურდათ ევროპის გამოჯანმრთელება და გარკვეულ იმედებსაც იძლეოდნენ. ჩვენ, ნიშანდებულნი ყოველნაირ თეორიას სიმბოლურად მივიჩნევდით. ვიცოდით, ეს მოძღვრებები და აღიარებანი უკვე გამოუსადეგარი იყო. ერთადერთ ჭეშმარიტებად მიგვაჩნდა ის, რომ ყოველი ადამიანი იმ გზას გაჰყოლიდა, რაც ბუნებამ ჩადო თითოეულ მათგანში და ბუნების ნება-სურვილი აღესრულებინა. ვგრძნობდი, საშინელი განსაცდელი გველოდა და ჩვენც მზად უნდა ვყოფილიყავით ამისთვის.

რაც ითქვა და რაც არ ითქვა, ყველაფერ ამას იქამდე მივყავდით, რომ ძველი ევროპის ნგრევისა და ახლის დაბადების დღე მოახლოვებულიყო. ბევრჯერ უთქვამს დემიანს: დაუჯერებელია, მაგრამ ევროპის სულში მხეცი განახლებულია, რომელიც უკვე კარგა ხანია ჯაჭვითაა დაბმული. ჯაჭვიდან მხეცის აშეება კი სასიკეთო შედეგს არ გამოიღებს. მისი პირველი ქმედება, ბოროტებას მოიტანს მხოლოდ. ხსნის ძეგლი კი პირდაპირი თუ შემოვლითი გზით უაზრობაა, რადგან ადამიანის სულია უკვე დასახიჩრებული; ადამიანთა

სულეშია ჭეშმარიტი გასაჭირი. დღემდე მხოლოდ თავს ვიტყუებდით; და ალბათ დადგება დღე, როცა ჩვენ საჭირონი ვიქნებით, ჩვენ არ გავხდებით მმართველნი, არ დავწერთ კანონებს, ჩვენ იქ დავდგებით, სადაც ბედისწერა გვიხმობს და ვისაც სურვილი ექნება, გვერდში ამოგვიდგება. ძველ იდელებს კი უცნობლად დამსხვრევა ელით. მეს ხახე, დაუჯერებელსაც მოამოქმედებენ ეს ადამიანები, როცა მიხვდებიან, რომ მათ იდელებს დაუპყვერებლად და ერთიც კი არ აღმოჩნდება მათ შორის ისეთი, რომ გამოგვხედავს. გული შეუტოკდეს იდელების ამ სახიფათო მოწოდისაგან და ახალი აზრი დაეხადოს. ჩვენ, უმცირესობა, უნდა დავდგეთ ამ სადარაჯოზე. ესაა ჩვენი დანიშნულება — როგორც თავის დროზე კაენის დანიშნულება იყო ის, რომ შური და ზიზღი დაენერვა, რათა იმ იდილიდან სახიფათო გზაზე გამოეყვანა ხალხი. დასაბამიდან დღემდე, განურჩევლად ყველა, მზად იყო დამორჩილებოდა ბედს. ეს ეხება მოსესაც, ბუდასაც, ნაპოლეონსაც, ბისმარკსაც; რადგან მათი ქმედითი ვიდეები იმაზე იგებოდა, რომელი პოლუსიდანაც ისინი იძარბებოდნენ, ეს კი მათ არჩევანს არ ექვემდებარებოდა. როცა ბისმარკმა სოციალ-დემოკრატების აზრები გაიზიარა, ჭკვიან ადამიანად ჩაითვალა და არა განგების მიერ მოვლენილად. ასევე ნაპოლეონიც, ცეზარიც, ლოიოლაც და ყველა. ადამიანმა ყველაფერი ბიოლოგიური და ისტორიული განვითარების მიხედვით უნდა გაიზაროს. როცა დედამიწამ ცვლილება განიცადა, ზოგიერთი ხმელეთის ცხოველი წყალში ჩავიდა, წყლისა კი ზედაპირზე ამოვიდა. ე. ი. მათ შესძლეს სიახლისადმი გაუგონარი შეგუებადობის უნარით გადარჩენა და ახლებურად ცხოვრება. ასევე კაცობრიობის მოსპობის დროსაც გადარჩება ის, ვინც შეეგუება ბედს, ვინც მზად ექნება სიახლისათვის, განურჩევლად იმისა, ადრე კონსერვატორი იყო, ნეიტრალური, რევოლუციონერი თუ ინდივიდი. ახლაც ამდაგვარია მოსალოდნელი, ვგრძნობ ამას.

ასეთ საუბრებს ხშირად ესწრებოდა ქალბატონი ევა, მაგრამ თავად არ ერეოდა. მხოლოდ გვისმენდა. ასეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, თითქოს ყველა ფიქრი მისგან მოდიოდა და მასვე უბრუნდებოდა. მის სიახლოვეს ჯდომა, დროდადრო მისი ხმის გაგონება, მისი სულისა და სიდიადის შეგრძნება ერთ ბედნიერებად მილირდა.

ქალბატონი ევა ჩემს ოდნავ ცვლილებასაც კი გრძნობდა. ასე მგონაა, სიზმრებიც მისგან მქონდა შთაგონებული. ხშირად ვუყვებოდი ჩემს სიზმრებს. ყველაფერს შესაჩიშნავად უღებდა აღლოს. მისთვის არაფერი არსებობდა გაუგებარი და უცნაური. ერთიხანობა ჩვენი საუბრების ზუსტი ანარეკლიც მესიზმრებოდა, თითქოს მთელი სამყარო მოუსვენრობას მოეცვა, და რომ მე, მარტო, თუ დემიანთან ერთად ბედისწერის მოლოდინში საოცრად ვღელავდი. და ამ ბედისწერაში, მიუხედავად იმისა რომ შენიღბული იყო, ქალბატონი ევა შევიცანი — გახდებოდი მისი რჩეული თუ უარყოფილი, ეს იყო ჩვენი ბედისწერა“. ეს სიზმარიც მოუუყივა ქალბატონ ევას. მან გაიცინა და მითხრა: „თქვენი სიზმარი არაა სრულყოფილი, ზინკლაირ, მთავარი და ყველაზე საუკეთესო გავიწყდებათ“

თავს ძალას ვატანდი, ვიხსენებდი, როგორ შემქმლი რაიმე დამვიწყნოდა სიზმრიდან. სევდა მერეოდა, ვიტანჯებოდი, ვფიქრობდი, რა მეშველებოდა, როცა ვეღარ ვნახავდი მას, როგორ გავძლებდი უმისოდ. ქალბატონმა ევამ შემამჩნია ეს და ერთხელ რამოდენიმე დღით დაკარგული უკან რომ დავბრუნდი, გვერდზე გამიხმო: „ეს სურვილები უნდა ჩაიხშოთ, ან ისე მოისურვოთ, თავადვე

იყო დარწმუნებული მის აღსრულებაში. თან გინდათ, თან თითქოს ნანობთ, თუ გეშინიათ?! თავს უნდა სძლიოთ და გადალახოთ ეს ყველაფერი“ და აქ ასეთი ზღაპარი მომიყვანა: „ცხოვრობდა ვარსკვლავზე უიმედოდ შეყვარებული ერთი ჭაბუკი. დღედაღამ ზღვის ნაპირთან იდგა, ხელებს მაღლა იწვდოდა და ვარსკვლავს სიყვარულს შესთხოვდა. დღენიადავ მასზე ფიქრობდა, ესზმრებოდა. კარგად იცოდა, ადამიანს არ შეეძლო მოხვეოდა ვარსკვლავს, მაგრამ ვარსკვლავი თავის ბედისწერად მიაჩნდა. ამ სევდიანი ფიქრების დროს ცხოვრებისეული პოემა ააგო უარყოფაზე, დუმილზე, ტანჯვაზე, რასაც უნდა განეწმინდა იგი, მაგრამ საშუელი არ ჩანდა. ერთხელ დამით ზღვის ნაპირას, შემადღებულ ქვაზე შედგა; იმდენად სწვადა, იმდენად მოეძალა ვარსკვლავის სიყვარული, ნახტომი გააკეთა, ეგონა აფრინდებოდა, მაგრამ სიცარიელეს წააწყდა, და ეს მოხდა იმიტომ, რომ აფრინისას ასეთმა ფიქრმა გაუელვა, ეს ხომ შეუძლებელია. ამიტომაც დაეცა ძირს და დაიძვრა. მას რომ იმ წუთში მთელი სულიერი ძალა მოეკრიბა, მეტი რწმენა შთაეგონებინა თავისთვის, სურვილიც აუსრულდებოდა, აფრინდებოდა და ვარსკვლავს შეერწყმოდა.“

სიყვარული არ უნდა ითხოვო, არც უნდა მოითხოვო; სიყვარული უნდა მოისურვო. თავად სიყვარული უნდა იყოს ისეთი ძლიერი, რომ რწმენა მოგცეს. მაშინ სხვისი ბიძგიც აღარ დაგჭარბება. ძლიერი სიყვარული თავად გაიკვლევს გზას, ზინკლაირ; თქვენი სიყვარული ჩემგან მომდინარეობს; თქვენს სულში რომ მოსძებნოთ ისეთი ძალა, რომლითაც მე მომიხმობთ, ვიგრძნობ და თავადვე მოვალ. მე არ მინდა საჩუქრის გაღება, მე მოპოვებულ უნდა ვიქნე“

მეორე ზღაპარიც მომიყვანა: „ცხოვრობდა ერთი უიმედოდ შეყვარებული ყმაწვილი; მხოლოდ საკუთარ თავში იყო ჩამირული და იწვოდა უცხო ასულისადმი სიყვარულით. სამყარო დაკარგულად ესახებოდა, ვეღარც ცისფერ ცას აღიქვამდა, ვერც ტყის სიმწვანეს, არც ნაკადულის დუღუნა ესალბუნებოდა მის სულს. სასოწარკვეთას მისცემოდა და უბედურად სთვლიდა თავს. ერჩივნა უმაღლესი მკვდარიყო, ვიდრე მშვენიერ ასულზე ეთქვა უარი. იგი გრძნობდა, რომ ამ სიყვარულმა მასში ყველაფრის აზრი წაშალა, მაგრამ სიყვარულის ძალა დღითი დღე იზრდებოდა და ბოლოს იმდენად გაძლიერდა, რომ თვითონვე მოვიდა ეს მშვენიერი ასული. ბიჭი კი იდგა და ხელგაწვდილი ელოდა. მოეხვია თუ არა ქალს, მაშინვე შეიგრძნო, როგორ დაუბრუნდა უმაღლესი დაკარგული სამყარო. შინაგანი ხმა ჩასძახოდა, რომ ირგვლივ ყველაფერი: ცა, ტყე, დედამიწა მას ეკუთვნოდა. ნაცვლად ერთი ასულისა, მთელი სამყარო ჩაიკრა გულში. მან ამ სიყვარულით საკუთარი თავი აღმოაჩინა, ბევრი კი სიყვარულისაგან თავს კარგავს“

ქალბატონ ევასადმი სიყვარულში ვხედავდი ჩემი ცხოვრების ერთადერთ აზრს. თუმცა დროდადრო ეჭვი მიჩნდებოდა, ვცდილობდა დამერწმუნებინა თავი, ნამდვილად იყო ეს ის ადამიანი, ვისკენაც მთელი არსებით მივიღებოდი, თუ ეს ჩემი შინაგანი შესივლილი გამობატულება იყო მხოლოდ, რომელსაც სურდა კიდევ უფრო ჩავეძირე საკუთარ თავში. ხანდახან ქალბატონ ევას სიტყვებში ჩემი მტანჯველი, გაუცნობიერებელი კითხვების პასუხებს ვპოულობდი. ისეთი წამებიც მქონდა, მისდამი სიყვარულით რომ ვიწვოდი და მის ხელშენახებ საგნებს ვკოცნიდი. ჩემში ერთმანეთს ებრძოდა გაუცნობიერებული და გაუცნობიერებელი სიყვარული, რეალობა და არარეალობა. ერთხელ ისეთი რამ დამემართა, ვეღარც გავერკვიე სიზმარი იყო თუ ცხადი: ოთახში ვიჯექი და მასზე ვფიქრობდი. სრულიად დამშვიდებულად ვგრძნობდი თავს. აშკარად ვხედავ-

ლი მის სახეს, მესმოდა მისი ხმა, თითქოს მისი ხელიც მეჭირა, მისი ბაგეების შეხებასაც კი ვგრძნობდი. მეორედაც დამეუფლა ასეთი შეგრძნება: წიგნს კვითხულობდი, ისეთი რამ ამოვიკითხე, უეცრად სასიამოვნო სიტბომ დამიარა მოელს სხეულში, თითქოს ქალბატონმა ევამ თავზე ხელი გადამისვა და მაკოცაო, ასე მეგონა, კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგი საკუთარ თავში. ყველაფერი ჩემთვის მნიშვნელოვანი მის სახეს ღებულობდა, ის განაგებდა ჩემს ყოველ მოქმედებას, როგორ მინდოდა შეძლებულიყო სიყვარულის განხორციელება და უკვდავყოფა.

საშობაოდ მშობლებთან მიწვევა წასვლა. მეშინოდა, არ ვიცოდი, როგორ გამეძლო უიმისოდ. მაგრამ უსაფუძვლო გამოდგა ეს შიში. ჩემდა გასაოცრად სიმორით გამოწვეული ტკივილები და სიყვარული უფრო მომხიბვლელი აღმოჩნდა. უკან რომ დაებრუნდი ქალაქ H-ში, ორი დღე კიდევ შევიცადე, მინდოდა ცოტა ხნით კიდევ გაგრძელებულიყო ამ სიყვარულის ძალით მონიჭებული სულის თავისუფლება. სიზმრებიც უფრო სხვაგვარად მქონდა გასულიერებული. თითქოს ის ზღვა იყო, მე კი ტალღებად ვერთვოდი მას. ხან ვარსკვლავებად ქცეულნი ერთიმეორისაკენ მივისწრაფვოდით და მთელ სამყაროს ასე ერთმანეთთან მურწყმულნი, ბედნიერები ვუვლიდით გარს“)

პირველივე შეხვედრისას მოუყევი ეს სიზმარი.

(„მშვენიერი სიზმარია, — მომიგო მან მშვიდად, — ეცადეთ რეალობაშიც განახორციელოთ“).

ადრეული გაზაფხულის დღე იდგა, არ მაკვიწყდება ეს დღე. მოსაცდელში შევედი, ფანჯარა ღია იყო, ჰაერში გარედან შემოჭრილი სუმბულის დამათრობელი სუნის ტრიალებდა. არავინ ჩანდა ოთახში, კიბეს ავუყევი, მაქსის სამუშაო ოთახს მივაშურე, კარზე მსუბუქად დავაკაკუნე, პასუხს არც დავლოდებივარ, შევედი: ოთახში ბნელოდა, ყველა ფარდა ჩამოფარებული იყო, მხოლოდ გვერდითი ღია კარიდან, სადაც ლაბორატორია ჰქონდა დემიანს, ოდნავ აღწევდა მზის შუქი. მეგონა, არავინ იყო ოთახში და ერთი ფარდა გადავწიე. ცა მოღრუბლულიყო. (გვერდზე რომ გავიხედე, იქ ფარდებით დაბინდულ ფანჯარასთან, პატარა სკამზე ჩამომჯდარი დემიანი შევამჩნიე. მოკრუნჩხული, საოცრად შეცვლილა მჩვენა, თითქოს ასეთი, ერთხელაც ვნახე იგი: ხელები გაუნძრევლად დაეწყო მუხლებზე, თავი წინ გადაეწია, თვალები კი ეხალა, მაგრამ მზერა უსიცოცხლო, ჩამკვდარი ჰქონდა. თავის თავთან განმარტოებულს, არაფერი ესმოდა ირგვლივ. ტაძრის თაღზე გამოქანდაკებულ შემზარავ მხეცს დამსგავსებოდა, არც სუნთქავდა)

დაემეცრებინა რაღაც

გამახსენდა, ეს იგივე დემიანი იყო, ამ ექვსი წლის წინ, ბავშვობაში, კონფირმაციის გაკვეთილზე რომ ვნახე ერთხელ. შეშინებული, უჩუმრად გამოვედი ოთახიდან, შემოსასვლელში ქალბატონ ევას შევხვდი. ფერმკრთალი, ვადღლილი ჩანდა ისიც, არასოდეს მენახა ასეთი. უცბად ჩამოიქუფრა, მზე დრუბლებში გაუჩინარდა.

„მაქსთან ვიყავი, — ამოვიღულულულე ნაჩქარევად, — რა მოუვიდა, სძინავს თუ რა სჭირს?“

„ხომ არ გამოგიფხიზლებიათ?“ — მკითხა შემფოთებულმა.

„არა, არც კი გაუგონია ჩემი შესვლა, მალევე გამოვბრუნდი. ქალბატონი ამიხსენით რა ხდება?“

მან ხელით მოისრისა შუბლი.

„დამშვიდდი, ზინკლაირ, არაფერიც არ ხდება, უბრალოდ თავის თავში ჩაძირული; დიდხანს არ გაგრძელდება ასე“.

წამოდგა. წვიმდა, მაგრამ მაინც გავიდა ბაღში. მივხვდით, არ უნდა გაეყოლოდი. აქეთ-იქით ვაწყდებოდი, სუმბულის დამატრობელ სურნელს ვისუნთქავდი, ვუყურებდი ჩემს ნახატს და ვგრძნობდი, უცნაური არდილებით ავსებულიყო ამ დილით სახლი. რა ხდებოდა, რას ნიშნავდა ეს ყველაფერი?

ქალბატონი ევა მალევე დაბრუნდა უკან. მუქ თმაზე წვიმის წვეთები ეფინა, თავის სავარძელში ჩაჯდა და საზურგეს მიეყრდნო დაღლილი. მივუახლოვდი მისკენ დავიხარე და წვიმით დანამულ თმაზე ვეაძბორე. თითქოს წვიმის წვეთებში ცრემლების გემო შევიგრძენი. „არ უნდა შევსულიყავი დემიანთან?“ – ჩავიჩურჩულე.

ნახად შემომცინა: „ნუ ბავშვობთ, ზინკლაირ, ახლა წადით, ლაპარაკის თავი არა მაქვს და მოგვიანებით დაბრუნდით“, – მის ხმაში რაღაც ძალდატანება იგრძნობოდა, თითქოს საკუთარ თავს ებრძოდა.

სახლიდან გავედი, ქალაქის გარეუბნისკენ გავიქეცი, მერე გზიდან გადავუხვიე და მთისკენ ავიღე გეზი, ცოტათი ისევ სცრიდა, ღრუბლები ნე-ნელა ქვემოთ მიექანებოდნენ, თითქოს ვიღაც ძალით, შიშით მიერეკებოდა მათ. ქარიც ამოვარდა, ქუხდა, დროდადრო მზეც გამოდიოდა და ფოლადისფერ ღრუბლებს ამოფარებული სუსტად, მკრთალად ანათებდა.

უეცრად ცაზე უზარმაზარი ყვითელი ღრუბელი აღიმართა, რამოდენიმე წუთში კი ნაცრისფერ კედლად გარდაისახა, სადაც ქარმა ცისფერ და ყვითელ ფერებში უცნაური სურათი გამოსახა: ეს იყო ბურუსიდან გამოღწეული, გაძონთავისუფლებული ფრინველი, რომელიც განიერი ფრთების ფრთხილით მალდა, ცაში აიჭრა და გაუჩინარდა. მერე იჭექა და თქრიალით წამოვიდა წვიმა. შიგადაშიგ სეტყვაც მოდიოდა. სადღაც, თითქოს დამფრთხალმაო, კიდევ გაიელვა სუსტად, მერე კი მზემ გამოაშუქა და შემოღამებულ დღეს მკრთალად დაეფინა.

მთლად სველი, ფერმიხდილი დავბრუნდი შინ. დემიანმა გამიღო კარი. თავის ოთახში ამიყვანა. ირგვლივ ქალაქლები ეყარა, ეტყობა, მუშაობდა.

„დაჯექი, – მითხრა, – დაღლილი ჩანხარ. საზიზღარი ამინდია, საქმეზე იყავი გარეთ გასული? ახლავე მოგვიტანენ ჩაის“.

„დღეს რაღაც ხდებოდა მართლა, – ვთქვი გაღიზიანებულმა, – ამინდი აქ ალბათ არაფერ შუაშია“.

მან გამომცდელად შემომხედა.

„ხომ არაფერი გინახავს?“

„კი, ღრუბლებში გარკვევით დავინახე გამოსახულება“.

„რის გამოსახულება?“

„ფრინველის“.

„მიმინო? შენი სიზმრის მიმინო ნახე?“

„დიახ, ჩემი მიმინო, ყვითელი და უზარმაზარი; მალლა აიჭრა და ცაში გაუჩინარდა“.

დემიანმა ღრმად ამოიოხრა.

კარზე დააკაკუნეს. მოხუცმა მსახურმა ჩაი შემოიტანა.

„აიღე, ზინკლაირ. ვგონებ, შემთხვევით არ უნდა გენახა ეგ“.

„შემთხვევით? განა შეიძლება შემთხვევით ნახო ასეთი რამ?“

„კარგი, მაგრამ, იცი, რას ნიშნავს?“

„არა, თუმცა ვგრძნობ, რაღაც განსაკუთრებულს უნდა ნიშნავდეს. საოცრად შემძრა ამ სანახაობამ. თითქოს განგებამ მომცა ნიშანი და ეს ჩვენ, ყველას გვეხება“.

დემიანი ნერვიულად სცემდა ბოლთას.

„განგებამ მეც იგივე მასიზმრა დღეს! — წამოიყვირა მან — გუშინ დღესაც მქონდა მსგავსი წინათგრძნობა. მესიზმრა, სადღაც მალლა, კიბეზე, ^{ჩის ტოტ-}ზე თუ კოშკზე ავედი, მალლიდან გადმოვხედე ქვეყანას, ცეცხლს ^{მოდებდა} ზღვაში, ლაფერი: ქალაქები, სოფლები, მაგრამ ბოლომდე ვერ მოვყვები, ^{ჯერ ყველა-}ფერი არაა ჩემთვის ნათელი“.

„სიზმარი შენ გეხება?“

მეც, რაღა თქმა უნდა, მაგრამ არა მარტო მე. ისე, ორგვაროვანი სიზმრები მაქვს: ერთნი საკუთარ სულში მიმდინარე ძვრებზე მიმანიშნებენ, მეორენი კი მთელი კაცობრიობის ბედზე. თუმცა ასეთი სიზმრები იშვიათად მქონია და ახსნაც არ მიძებნია. არ შეგონა, თუ ეს წინასწარმეტყველური სიზმრები იქნებოდა და აღსრულდებოდა. მაგრამ ამკარად ვგრძნობ, წუხანდელი სიზმარი ყველას გვეხება. ადრეც ვნახე მსგავსი რამ. გახსოვს, ერთხელ სამყაროზე რომ გელაპარაკე; მართალია, დღევანდელი სამყარო გადაგვარებულია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იძლევა საფუძველს, მისი მზის ჩასვენებაზე ვიფიქროთ. თუმცა ჩემი სიზმრებიდან კარგა ხანია ვგრძნობ, დღემდე მხოლოდ ეჭვით, ახლა კა ამკარად, რომ გარდაუვალია დღევანდელი სამყაროს ნგრევა. ჯერ ზუსტად არ ვიცი, მაგრამ საშინელებაა მოსალოდნელი. ძნელია, ჩემო ზინკლაირ, თუმცა უნდა გავუძლოთ, სამყარო განახლებას საჭიროებს. სიკვდილის სუნი შეიგრძნობა. ახალი კი უმსხვერპლოდ არ იბადება. წუხანდელი სიზმრის გახსენებაც კი მზარავს“.

გაოგნებული ვუყურებდი.

„შეგიძლია ზუსტად განმიმარტო შენი სიზმარი?“

„არა“.

კარი გაიღო და ქალბატონი ევა შემოვიდა.

„აქა ხართ, ბავშვებო, რატომ დაღონებულხართ?“

მშვენივრად გამოიყურებოდა, აღარც დაღლილობა ემჩნეოდა. დემიანმა გაუღიმა.

„დაღონებულები არა ვართ, დედა, ჩვენ ახალ მიწიშნებებზე ვმსჯელობთ. მაგრამ რა იგულისხმება მათში არ ვიცი. უცბად მოხდება ალბათ, რაც მოსახდენია და მერე გავიგებთ, რისი ცოდნაც ახლა გვჭირდება“.

ცუდად ვგრძნობდი თავს და გულდამძიმებული გამოვემშვიდობე მათ. როცა შემოსასვლელში გამოვედი, სადღაც გამქრალიყო სუმბულის საამო სუნი და საზარელი მძორის სუნი ტრიალებდა. უცრად გამოუცნობი რამ დაგვატყდა თავს აჩრდილივით.

თავი მერვე

აღსასრულის დასაწყისი

ზაფხულის არდადეგებზეც ქალაქ H-ში დავრჩი. იშვიათად შევდიოდით სახლში, მეტწილად მდინარის პირას, ბაღში ვატარებდით დროს. იმ იაპონელმა რინგზე წაავო და სამშობლოში დაბრუნდა. სხვებიც დაიფანტნენ, აღარც

ტოლსტოის მიმდევრები გამოჩენილან. დემიანი მთელ დღეს ცხენს დააჭენებდა, მე კი ხშირად მიწვევდა ქალბატონ ევასთან მარტოდ დარჩენა.

საოცრად მშვიდი დღეები მქონდა. ადრე ისე ვიყავი განმარტოებას შერვეული და სიმარტოვეში მოძალებული ტკივილებისაგან დატანჯულს იმდენად მქონდა ვველაფერზე იმედი გაცრუებული, რომ ქალაქ H-ში გატარებული თვეება ოცნების კუნძულად მეჩვენებოდა. თითქოს ამ კუნძულში ვხვდებოდი გამოძახილს იმ ახალი ამალეებული საზოგადოებისა, რომელზეც ვიცნობდით და ვფიქრობდით. ზოგჯერ უსაზღვროდ ბედნიერს, სევდა მიპყრობდა, როცა გაეიაზრებდი, რომ არაფერია ამქვეყნად მარადიული. კარგად მქონდა შეგნებული, რომ დადგებოდა დღე ამ სიზმრისეული ცხოვრებიდან გამოღვიძებისა და მე ისევ მარტო აღმოვჩნდებოდი უმრავლესობათა გაყინულ სივრცეში, სადაც მხოლოდ ტკივილები, კვლავ ტანჯვა და ამაოება მელოდა, სადაც არც სითბო, არც სიყვარული და გაგება აღარ მექნებოდა.

დაკარგვის შიშით გაორმაგებული სიყვარულით ვისრუტავდი ქალბატონ ევას სიახლოვეს. ვეშურებოდი ამ მშვენიერ დღეებს.

ზაფხულმა სწრაფად ჩაიარა. სემესტრი მთავრდებოდა. მალე დადგებოდა გამომშვიდობების დღე. გაფიქრებაც კი მზარავდა ამაზე. ვველანაირად ვცდილობდი მთელი არსებით ჩავბლაუჭებოდი ამ განუმეორებელ საათებს. ეს იყო ჩემი ბედნიერების ხანა, ჩემი ოცნების პირველი აღსრულება. რა იქნებოდა ამის მერე? ისევ საკუთარ თავთან ჭიდილი, ისევ მარტოობა, ისევ ოცნებები და სიზმრები.

და ამგვარი ფიქრები ისე მომეძალა, რომ ქალბატონ ევასადმი სიყვარული ტანჯვად მექცა. ღმერთო ჩემო, ნუთუ ველარ ვნახავ, ველარ გავიგებ მის ხმას, ველარ შევისუნთქავ მის მიერ ჩემს ოთახში შემოტანილი ყვავილების სურნელს? არადა, სინამდვილეში ხომ მცირედს მივალწიე? მხოლოდ საამო გრძნობებს. მე ვერ მოვიპოვე იგი, ვერ დავეუფლე მის გულს. გამახსენდა, ერთხელ სიყვარულზე რაღაც რომ მითხრა. ამ სიტყვებში იყო თითქოს გაფრთხილება, იმედის მომცემიც და მაცდუნებელიც. არადა, რა ვიღონე ამისთვის? არაფერი, არაფერი!

ერთ დღეს შუა ოთახში დავდექი. მთელი ჩემი გონება დავძაბე და ქალბატონ ევასადმი წარვმართე, მინდოდა მთელი ჩემი სულიერი ძალები მომეკრიბა, რათა მისთვის მეგრძნობინებინა ეს სიყვარული და მომეზიდა. ის უნდა მოსულიყო, მომხვეოდა და მეც ხარბად დავწაფებოდი მის ბაგეებს.

უეცრად თითის წვერებამდე სიცივემ დამიარა, თითქოს მართლა მოდიოდა ჩემში რაღაც ძალა, ერთ ადგილას მჭიდროდ და მყარად ქუჩდებოდა და ფრუანტელს მგვრიდა. მეგონა, საუნჯე აღმოვაჩინე ჩემში და ეს საუნჯე მე მეკუთვნოდა.

გონს რომ მოვეგვი, მომაკვდავივით ვიყავი დაუძლურებული, გამოფიტული. თუმცა ქალბატონი ევა რომ შემოსულიყო, მაინც შევძლებდი და მივეგებებოდი.

უეცრად ცხენის ჭიხვინი შემომესმა. წამოვხტი, ფანჯარას მივვარდი. დემიანი დაბრუნებულიყო. დაბლა ჩავირბინე.

„რა მოხდა, დემიან? დედას ხომ არაფერი შეემთხვა?“

თითქოს ჩემი შეკითხვები არც გაუგონიაო, პასუხი არ გამცა. ფერმკრთალი ჩანდა, წურწურით ჩამოსდიოდა სახეზე ოფლი. გახელებული ცხენი სადავით მიაბა ღობეზე და გვერდზე გამიხმო:

„გაიგე უკვე?“

ვერ მივხვდი, რაზე მეუბნებოდა.

ხელი მომჭიდა, თავისკენ მიმაბრუნა და უცნაურად შემომხედა.

„ჰო, ჩემო მეგობარო, დაიწყო ის, რისაც ასე გვეშინოდა. რუსეთთან დაძაბული ურთიერთობა გვექონდა, ხომ იცი?“

„რა, ომი დაიწყო? ვერ დავიჯერებ!“

თუმცა ირგვლივ კაციშვილი არ ჭაჭანებდა, მაინც ჩუმად

„ჯერ მთლად არაა გარკვეული, მაგრამ ომია. შენთვის არ მიბრწყინდება“

ჯერ მქონდა მას მერე კიდევ ხილვა: ეს არ ყოფილა სამყაროს აღსასრული, არც ბიწისძვრა, არც რევოლუცია. ეს ომი იყო. ჩემი თვალით ვხედავდი, როგორ იმსხვრეოდა ირგვლივ ყველაფერი. (შენ ნახე, უკვე როგორ უხარია ხალხს ამ ბრძოლის დაწყება. ბრძოლაში ხედავენ ისინი ნეტარებას, იმდენად ჰქონდათ მოყვარებული ცხოვრება. თუმცა ეს ჯერ დასაწყისია. დიდი ომია მოსალოდნელი, მაგრამ ამითაც არ დამთავრდება. რაღაც ახალი იწყება, ახალი იმართვის, ვინც ძველს ჩაბლაუჭებია. საშინელება დატრიალდება. შენ რას აპირებ?“

იმდენად მოულოდნელი და დაუჯერებელი იყო ეს ჩემთვის, რომ საგონებელში ჩავეარდი.

„არ ვიცი. შენ?“ – თან მხრები ავიჩეჩე.

„ვიდრე მობილიზაციას მოახდენენ, გადავდგები. მე ხომ ლეიტენანტი ვარ“.

„ლეიტენანტი? არაფერი ვიცოდი“.

„დიახ, გარეგნულად არაფერს ვიტყობ და ვამჟღავნებ, მაგრამ ყოველთვის გაცილებით მეტის გაკეთება მიხდებოდა. ვდგავარ და ვერ ვიჯერებ, რომ რვა დღეში უკვე ცარიელ სივრცეში ვიქნები გამოკიდებული“.

„ღვთის გულისათვის, რას ამბობ?“

„არა, ყმაწვილო, სენტიმენტალობაში ნუ ჩამომართმევ, უბრალოდ, არავითარი სურვილი არ გამაჩნია ვბრძანო „ცეცხლი გაუხსნან“ ცოცხალ ადამიანებს. თუმცა ეს ყველაფერი უკვე მეორეხარისხოვანი გახდება, რადგან ჩვენ ყველანი საერთო ტაფაში მოვხვდებით. შენც უნდა დასძლიო თავს და გამხნედე“.

„დედაშენი, დემიან?“

ახლადა გამახსენდა, რაც ამ ნახევარი საათის წინ განვიცადე. რა მოხდა, რატომ შეიცვალა, გადასხვაფერდა ასე მალე სამყარო?! თავს ვიკავებდი, არ მინდოდა რამე შეეტყო დემიანს. მთელი სული ამ საამო სიზმარს შევწირე, ახლა კი ბედი, შემზარავი ნიღბიდან რომ მიმზერდა, წართმევას მიქადდა.

„დედა? მას არ სჭირდება ჩვენი ზრუნვა. იმას არაფერი შეეშლება, ჩვენი კი არა გვკავს. მართლა ასე ძლიერ გიყვარს დედაჩემი?“

„შენ საიდან იცი, დემიან?“

მან მეგობრულად გამიღიმა.

„ვიცი, პატარავ. დღემდე არავის ჰქონია უფლება, დედაჩემისათვის უსიყვარულოდ ქალბატონი ევათი მიემართოს. ჰო, მართლა, დღეს უხმობდი მას?“

„დიახ, ვუხმობდი, ვეძახდი“.

„მან იგრძნო და გამოგზავნა, რომ მენახე. თავად ვერ შესძლო, რადგან ახალი ამბავი, ომის დაწყება ვამცნე“.

ამის მერე დემიანი მალევე წავიდა. მე კი შინ შევბრუნდი. ჩემს ოთახში ავედი. ჯერ კიდევ დილანდელი განცდებისაგან დაძაბუნებულს, დემიანის ნათქვამმა მთლად გამომაცალა ძალა. როგორ, ქალბატონმა ევამ გაიგონა?! მე ამას მივაღწიე ჩემს ფიქრებში?! მოვიდოდა ალბათ, რომ არა... რა უცნაური და ლამაზი ელფერი დაჰკრავდა ყოველივე ამას. საცაა ჩემი ოცნება უნდა აღსრუ-

ლებულიყო, რომ არა ეს საშინელი ომი. რამდენი რამ იცოდა დემიანმა წინასწარ. სამყარო ახლა ჩვენ მიღმა კი აღარ სუნთქავდა, პირდაპირ ჩვენს გულეში შემოიჭრა. დაუნდობელი, ქარიშხლიანი ბედ-იღბალი გვიხმობდა, გვეძახდა თავისთან. დგებოდა სამყაროს განახლების დღე და ჩვენი დანიშნულებაც გამოჩნდებოდა. დემიანი მართაღს ამბობდა, სენტიმენტალობის დრო არ იყო! საკვირველება ის იყო, რომ მე მარტოსულს, მთელ სამყაროსთან, ყველასთან ერთად უნდა განმეცადა ეს განსაცდელი.

(მეც მზად ვიყავი ამისთვის. საღამოს ქალაქში გავვედი. საერთო მღელვარება შეიმჩნეოდა ყველგან. მხოლოდ ერთი სიტყვა ისმოდა „ომი“!)

დემიანთან დავბრუნდი. მე და ქალბატონმა ევამ ბაღში ვივახშმეთ. დღეს მისი ერთადერთი სტუმარი ვიყავი. ომზე სიტყვაც არ დაგვცდენია. მოგვიანებით, წამოსვლისას შემანერა ქალბატონმა ევამ და მითხრა: (ზინკლაირ, დღეს თქვენ მიხმობდით. რატომაც არ მოვედი, იცით ალბათ, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, თქვენ უკვე ფლობთ თქვენს თავს, შეგწევთ უნარი გამოუხმოთ მას, ვინც გვირდებათ, ვინც ნიშანდებულია) — და ბაღიდან გავიდა.

დასასრულიც მოახლოვდა. ყველაფერი თავისი დინებით მიდიოდა. ომა დაიწყო. სამხედრო ფორმაში გამოწყობილი დემიანი უცხოდ გამოიყურებოდა. ძალე მომიწია ქალბატონ ევასთან გამოთხოვება. გამომშვიდობებისას მან ტურნებზე მაკოცა და მკერდზე მიმიხუტა. საოცარი სიძლიერე, სიმტკიცე მოდიოდა მისგან. ისე ახლოს იდგა ჩემთან, რომ ჩემი თვალები მის მზერაში იწვიოდა.

იმ საბედისწერო ჟამს უცნაური სითბო ემჩნეოდა ყველას. ისინი სამშობლოზე ფიქრობდნენ მხოლოდ და პირდაპირ სახეში უმზერდნენ შეუნიღბავ ბედისწერას. ახალგაზრდა მეომრებით ივსებოდა მატარებლები. საერთო ნიშანი ეტყობოდათ მათ, მაგრამ ეს არ იყო ჩვენი ნიშანი, ეს იყო ღირსებით აღსავსე ნიშანი, საოცარი ნიშანი, სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილისა. იცნობდნენ თუ არ იცნობდნენ, ერთმანეთს ეხვეოდნენ, ემშვიდობებოდნენ; მეც მეხვეოდნენ, და მე შესმოდა მათი.

საშინელმა ქაოსმა დაისადგურა ადამიანებში. თუმცა ეს არ ყოფილა განგებას ნება, თავისი ხასიათით ეს გაურკვეველობა თუ ქაოსი საოცრად სუფთა და ბუნებრივი იყო. მოხდა ისე, რომ ამ პატარა შემანჯღრეველმა ბიძგმა ყველანი ბედისწერის წინაშე დააყენა.

ზამთარი იყო, როცა მე ბრძოლის ველზე წავედი. მიუხედავად დასაწყისში ომის სენსაციურობისა, საშინლად იმედგაცრუებული დავრჩი. აღრე ვერ გაბეგო, როგორ შეეძლოთ ადამიანებს მხოლოდ ერთი იდეალით ეცოცხლათ და თავიანთი სიცოცხლაც შეეწირათ მსხვერპლად ამ იდეალისათვის. და ეს არ იყო პიროვნული, გამორჩეული, ეს იყო საერთო, მეტად საპასუხისმგებლო იდეალი.

დროთა განმავლობაში მივხვდი, ზედმეტად გადავაფასე, ბოლომდე ვერ ჩავწვდი ადამიანებს. საერთო საფრთხემ და მოვალეობამ საერთო მუნდირში გამოაწყო ისინი. ბევრში საოცარ რწმენას ვხედავდი, ზოგიერთ მომაკვდავშიც კი. გაბედულად რომ უახლოვდებოდნენ ბედისწერას. ისეთებიც მხვდებოდნენ, რომელთა შეშინებულ მზერაშიც ყოველგვარ იმედგაცრუებას ვკითხულობდი. თითქოს საერთო ურჩხულს დამორჩილებოდა ყველა. მათ სწამდათ, ეგონათ, მოვალეობას აღასრულებდნენ, წვლილი შეჰქონდათ სამყაროს განახლებაში. მაგრამ, რაც მეტად მიილტვოდა მსოფლიო ომისა და „საგმირო საქმეებისაკენ“, დიდებისა და მოძველებული იდეალების დაცვისაკენ, მით უფრო დაუჯერებლად და

შორეულად ჟღერდა კაცობრიობის ხმა. ყოველივე ამაში იყო რაღაც მოჩვენე-
ბითობა და ზედაპირულობა, ისევე როგორც თვით ომის გარეგნულ მხარეში
და პოლიტიკურ მიზნებში. თუ ჩავუფიქრდებით და ღრმად გავაანალიზებთ, მი-
მდინარეობდა პროცესი ახალი კაცობრიობის ფორმირებისა, ჩვენ გვერდით
კვდებოდნენ ადამიანები, რომელთაც კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ სიმულ-
ული თუ ტანჯვა, სიკვდილი თუ განადგურება რაღაც კონკრეტულზე უკეთესი
დამოკიდებული, არამედ შემთხვევითია, ისევე როგორც ეს მოვლენები
მიზნები. ეს სისხლიანი ქმედებაც ვერ ჩაითვლებოდა ბოროტების გამოვლინე-
ბად, რადგან ამ სისხლიან ქმედებაში ადამიანთა სულებმა, მათმა დაჩეხილმა
და გაუკაცრიელებულმა სულებმა ჰპოვეს გამოხატულება. ამ განადგურებაში და
კვლამაში ეძებდნენ ისინი ხსნას, ახლის შექმნის შესაძლებლობებს. უზარმაზა-
რმა ჩიტმა თავი რომ დააღწიოს კვერცხს, ნაჭუჭებად უნდა აქციოს იგი. კვე-
რცხში სამყარო იგულისხმება. და თუ ახლის დაბადება გვსურს, ეს სამყაროც
უნდა დაიმსხვრეს.

ადრეული გაზაფხულის ღამე იყო. ჩვენს ეზოში ვიდექი. სუსტი ქარი უბე-
რავდა, ცაზე ღრუბელთა ჯარი დაჯირითობდა, მათ მიღმა მთვარე ანათებდა.
მთელ დღეს უცნაური მოუსვენრობა მღევდა თან, რაღაც ძალეღვებდა, რა, თავა-
დაც ვერ გამეგო. ვიდექი ხის ძირში, სიბნელეში და წარსულზე ვფიქრობდი.
გამახსენდა დემიანი, ქალბატონი ევა. სუსტად მიცემდა მაჯა. გარე სამყაროდან
შემოდრეულ ხმაურს კი არა, ნიავისაც ვერ ვგრძნობდი, მაგრამ სულიერად
უცნაურად ვიყავი დამაბული.

უეცრად ღრუბლებში დიდი ქალაქი გამოისახა. შიგ მილიონობით ადამიანი
მიმოდინდა. მათ შორის დუთის გამოსახულება გამოჩნდა. ქალბატონი ევას ნაკ-
ვთები ჰქონდა. თავს მოციმციმე ვარსკვლავები დასთამაშებდა. მასში, როგორც
ერთ ფართო მღვიმეში, უამრავი ადამიანის სახე იკარგებოდა და უჩინარდებო-
და. ქალღმერთი დედამიწისაკენ ეშვებოდა. შუბლზე ნათლად გამოჰკვეთოდა ნი-
შანი. თვალები დაეხუჭა, საშინელი ტკივილი და ტანჯვა ეხატა სახეზე. ავის-
მაუწყებელ სიზმარს თუ ნახულობდა. უცბად ისე წამოიყვირა, რომ შუბლიდან
მოციმციმე ვარსკვლავები წამოცვივდნენ, მის გარშემო, ჩამობნელებულ ცაზე
კამარა შეკრეს და მიმოიფანტნენ. ერთი ვარსკვლავთაგანი ჩემკენ წამოვიდა,
მე მეძებდა თითქოს. უეცრად დაიქუხა, ათასი ნაპერწკალი გადმოიფრქვა ზემო-
დან. რაღაცამ ძალდა ამისროლა და ისევ დედამიწაზე დამანარცხა. სამყარო ჭე-
ქა-ქუხილით დამემსხვრა თავზე.

ალვის ხის ძირში მიპოვეს დაჭრილი, ზედ მინების ნამსხვრევები მეყარა.
როცა გამოვეფხიზლდი, ერთ სარდაფში ვიწექი, ჩემს თავზე ქვემეხები ზუზუნებდ-
ნენ. მერე ოთხთვალთ მიმაქანებდნენ სადღაც, ტრიალ მინდორზე. უგონოდ ვი-
ყავი და მეტწილად მეძინა. აშკარად ვგრძნობდი, რაღაც ძალა თავისკენ მე-
ქაჩებოდა და მეც მივყვებოდი.

გომურში ვიწექი, ჩალაზე. სიბნელე იყო, ვიღაცამ ხელზე დამაბიჯა. ჩემი
სული შეუსვენებლივ მიილტვოდა სადღაც. ისევ ოთხთვალაზე, ისევ საკაცე-
ზე. ველარაფერს ვგრძნობდი, გარდა იმ შინაგანი, იღუმალის სწრაფვისა, რო-
მელიც გამაღებთ მიხმობდა თავისკენ.

და აი თითქოს მიზანსაც მივუახლოვდი. ღამე იყო. გონს მოვეგე. მთელ
არსებაში გაძლიერებული ბიძგი შევიგრძენი. მიმოვიხედე, დიდ ოთახში და-
გებულ ლოგინზე ვიწექი, გვერდით ვიდაც იწვა, ჩემკენ გადმოიხარა და დამხედა.
შუბლზე ნიშანი შევნიშნე. ეს დემიანი იყო.

ლაპარაკი არც ერთს არ შეგვეძლო, თუ მას არ სურდა თითქოს, მხოლოდ
შიფურებდა. სახეზე ნათურის შუქი დასთამაშებდა, თავთან რომ ეკიდა.

ერთხანს თვალს არ მაშორებდა, მერე სახე მომიახლოვა, ისე ახლოს გად-
მოიწია ჩემკენ, ერთმანეთს შევეხეთ:

„ზინკლაირ“, — ჩამჩურჩულა მან.

თვალებით ვაგრძნობინე, რომ მესმოდა.

კვლავ გამიცინა, მაგრამ თითქოს სიბრაღულით.

„პატარავ,“ — ჩაილაპარაკა მან ღიმილით.

მის სახეს ჩემს სიახლოვეს ვგრძნობდი.

„გახსოვს ფრანც კრომერი?“ — შემეკითხა ჩუმად.

თვალი ჩავუკარი და გავიცინე.

„ჩემო პატარავ, ყური დამიგდე. მე უნდა წავიდე. ოდესმე შეიძლება კიდევ
დაგჭირდეს კრომერისა თუ მისთანების წინააღმდეგ, მაგრამ როცა მომიხმობ,
მე ვეღარ მოვალ შენთან, უფრო სწორად, უხეშად რომ ვთქვათ, ვეღარ მოვალ
ცხენით, მატარებლით. თავად უნდა შესძლო ყური მიუგდო შენს სულს, შენს
შინაგან ხმას და იქ მიპოვი. გამიგე? და კიდევ! ქალბატონმა ევამ დამაბარა, რო-
ცა გნახავდი, მისი კოცნა გადმომეცა. თვალები დახუჭე, ზინკლაირ!“

დავემორჩილე. დავხუჭე თვალები და მსუბუქი შეხება ვიგრძენი ტუჩებზე,
სადაც ჯერ კიდევ არ შემშრობოდა სისხლი. მერე ჩამეძინა.

ღილით, ძილბურანშივე ვიგრძენი, ნახვევები მეღო. კარგად რომ გამოეფხი-
ზლდი, გვერდზე გავიხედე, მაგრამ იქ ვიღაც უცხო იწვა.

ჭრილობები მტკიოდა. და მას მერეც, რაც კი ცხოვრებაში გადამხდენია, მხო-
ლოდ ტკივილები მოუტანია. მაგრამ ხანდახან, როცა თავს ვძლევი, საკუთარ
სულში ვიძირებოდი, იქ ბნელ სარკეში ჩემი მიძინებული ბედის სურათებს ვაწ-
ყდებოდი. ამ იდუმალი სარკისკენ ვიხრებოდი და მასში საკუთარ, შინაგან ხმას
ეხედავდი, რომელსაც ჩემი მეგობრის, დემიანის, ჩემი სულიერი წინამძღოლის
სახე ჰქონდა.





ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ჩემი „სსრკ-დან დაბრუნების“ შესწორებები*

(ივნი, 1937)

I

„სსრკ-დან დაბრუნების“ გამოქვეყნების გამო ბევრი მლანძღავდა. რომენ როლანის გაძოსვლამ გული მატკინა. მე მისი ნაწერებით განსაკუთრებით არასოდეს აღვფრთოვანებულვარ, მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, დიდად ვაფასებ მის მორალურ ავტორიტეტს. და, აი, რამ დამამწუხრა: იშვიათად რომ ვინმემ გალიოს სიცოცხლე ისე, რომ თავისი სიდიადის სიმაღლეზე დარჩეს. ვფიქრობ, რომ ავტორმა წიგნისა „შეტაკების თავზე“ მკაცრად უნდა დასდოს მსჯავრი დაბერებულ როლანს. არწივმა თავისთვის ბუდე მოიწყო, ის მასში ისვენებს.

მაძაგებლებთან ერთად რამდენიმე კეთილგანწყობილი კრიტიკოსიც აღმოჩნდა, მე ამ წიგნს მათ საპასუხოდ ვწერ.

ჩვეულებრივ ძალზე გონიერი პოლ ნიზანი უცნაურ რამეს მსაყვედურობს: „სსრკ უცვლელ სამყაროდაა წარმოდგენილი“. არ ვიცი, როგორ დაინახა მან ჩემს წიგნში ასეთი რამ. საბჭოთა კავშირი ყოველთვიურად იცვლება და მე ამას ვწერდი. და სწორედ ეს მაშინებს. საბჭოთა კავშირში მდგომარეობა თვიდან თვემდე უარესდება. ის სულ უფრო და უფრო უზვევს იმ გზიდან, რომლის ხილვასაც ჩვენ ვიმედოვნებდით.

რასაკვირველია, მე აღტაცებული ვარ თქვენი რწმენით, თქვენი სიყვარულის სიმყარით (ამას უიროსიოდ ვამბობ), მაგრამ, ამავე დროს, ამხანაგებო, აღიარეთ, რომ თქვენ მღელვარება გეუფლებათ. იძულებული ხდებით მომეტებული შეშფოთებით ჰკითხოთ თქვენს თავს, მაგალითად, მოსკოვში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით: როდემდე შეიძლება ყოველივე ამის გამართლება? ადრე თუ გვიან თვალი აგეხილებათ. უნდა აგეხილოთ. და მაშინ თქვენ იძულებული იქნებით ჰკითხოთ თქვენს თავს: როგორ შეგვეძლო ამდენ ხანს ბრძევი ვყოფილიყავით?!

თუმცა, პატიოსან ადამიანთაგან საქმეში ყველაზე უფრო ჩახედულნი არ უარყოფენ ჩემს მტკიცებებს. ისინი ცდილობენ ახსნათა ძიებასა და პოვნას. დიან, სწორედ ახსნათა, რომლებიც იმავდროულად სამწუხარო ვითარების გამარ-

* დასაწყისი იხილეთ „საუნჯე“ № 3-4-ში — „ჩემი სსრკ-დან დაბრუნება“.

1 ეკ, უკვე რამდენი არიან ისინი, პატიოსანი წმინდა სულები, რომელთა ტანჯვაც იწვება! და სულ უფრო და უფრო მეტად დაინტანჯებიან, ვიდრე იძულებული არ გახდებიან, ბოლოს და ბოლოს, აღიარონ შეცდომა.

„ძველი კომუნისტი, საბჭოთა ფუნქციონერი, რომელმაც სსრკ-ის პრესაში სამ წელიწადზე მეტი იმუშავა, მტანჯველი შინაგანი ბრძოლის, ჩემს ცხოვრებაში უსაშინელეს იტყენულობათა შემდეგ, თქვენ რომ მიხვედით, იმავე დასკვნამდე მივედი“ — მწერს ა. რუდოლოფი, ავტორი წიგნისა „Abschild von Sowjetrusland“.

თლებაც იქნებოდა. იმიტომ, რომ მათთვის საუბარი ეხება არა მარტო იმის ჩვენებას, როგორ შეიძლებოდა ყველაფერი ეს მომხდარიყო (რისი გაგებაც საბოლოო ანგარიშით მაინცდამაინც ძნელი არაა), არამედ იმის დამტკიცებას, რომ სწორედ ასე უნდა მომხდარიყო, რომ ყველაფერი საქართველოს, ან უკიდურეს შემთხვევაში, რომ ყველაფერ ამას უნდა გადაეველო მათ თავზე, რომ გზა, რომელსაც სოციალიზმისა და ოქტომბრის რევოლუციის შედეგად უნდა მიუყვებოდნენ, მაინც კომუნიზმისკენ მიდის და, რომ სწორედ ასე უნდა მომხდარიყო ხდება და, რომ მხოლოდ მე ვარ ის, ვისაც ამისა არაფერი გაეგება.

„ზედაპირული ანალიზი, ნაჩქარევი დასკვნები“, — თქვენს ჩემს წიგნზე. თითქოს სსრკ-ს სწორედ ზედაპირული, გარეგნული გამოვლინებებით არ მოვეჯადოებინეთ! და თითქოს, უფრო თვალჩაინებებით დაკვირვების გარეშე ვიწყეთ იქ ავის შემჩნევა!

ჭია ნაყოფის სიღრმეში ბუდობს. მაგრამ როცა მე ვითხარით, ეს ვაშლი ჭიანია-მეთქი, ბრალი დამდეთ, თითქოს მე ცუდად ვხედავ, ან ვაშლი არ მიყვარს.

მე რომ მხოლოდ აღფრთოვანებულიყავი, ასეთ საყვედურს (დასკვნათა ზედაპირულობა) არ მეტყვოდით. მაგრამ სწორედ მაშინ ვიქნებოდი გაცილებით მეტი საყვედურის ღირსი.

თქვენს კრიტიკას არ ვიზიარებ. ის ისეთივე რეაქციაა, როგორც თავის დროზე გამოიწვია წიგნებმა „კონგოში მოვზაურობა“ და „ჩადიდან დაბრუნება“. მე მაშინ, აი, რას მიმტკიცებდნენ:

1. რომ ჩემს მიერ აღნიშნული ბოროტმოქმედებანი კერძო ხასიათისა იყო და მათ შედეგები არ მოჰყოლია (იმიტომ, რომ მათი უარყოფა შეუძლებელი გახლდათ);

2. იმისთვის, რომ საქმეთა ახლანდელი ვითარება შესანიშნავი აღმოჩნდეს, საკმარისია ის შეედაროს უწინდელ ვითარებას, იმას, რომელიც დაპყრობამდე (ლამის რევოლუციამდე ვთქვი) იყო.

3. ყველაფერს, რასაც მე განვსჯიდი, მქონდა არსებობის კანონიერი უფლება და თითქოს მხოლოდ მე ერთადერთს არ მესმოდა, რომ ეს იყო დროებითი ბოროტება მომავალი დიდი კეთილდღეობის განჭვრეტით.

იმ დროს კრიტიკით თავს მესხმოდნენ და შეურაცხყოფდნენ მემარჯვენეები. თქვენ კი, მემარცხენეებს, მაშინ არც კი ვიფიქრიათ გემზილებინეთ აშკარა „არაკომპეტენტურობაში“, რაკი თქვენთვის მომგებიანი იყო ჩემი მტკიცებების გამოყენება, იმიტომ, რომ ისინი ესადაგებოდნენ თქვენს განზრახვებს, ემსახურებოდნენ თქვენს ამოცანებს. იგივე ხდება ამჟამადაც — თქვენ მე არ მისაყვედურებდით, არაკომპეტენტურა ხარო, მე რომ სსრკ მექო და განმეცხადებინა, რომ იქ საქმე წინებულადაა.

და მაინც (და ჩემთვის მხოლოდ ამას აქვს მნიშვნელობა) კონგოში მიემამ შემდგომში დაადასტურა ყველაფერი, რაზეც მე მაშინ ვწერდი. ამჟამადაც ასეა სხვადასხვა ცნობები, რომლებიც ჩემამდე აღწევენ, და რომელთა შეკრებაც მე შევძელი, თვითმზილველთა არაწინასწარაკვიატებული მონაცემები (როგორი დიდი „სსრკ-ს მეგობრებიც“ არ იყვნენ ისინი იქ ჩასვლამდე და იქიდან წამოსვლის შემდეგ) — ყველაფერი ეს ადასტურებს ჩემს დასკვნებს სსრკ-ში და კიდევ უფრო მიძლიერებს შიშს.

აი, რა იყო ჩემი „კონგოში მოგზაურობის“ სისუსტე და მოწყვლადობა. მე არ შემიძლია ვინმეს დამოწმება, წყაროების მითითება, პიროვნებათა დასახელება და ამით საფრთხის შექმნა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც, ჩემდამი მოწოდებები, შესაუბრებოდნენ ან საშუალებას მაძლევდნენ გავცნობოდი დოკუმენტებს, რომელთა ჩვენებას, ჩვეულებრივ, საჭიროდ არ მიიჩნევენ და, აქედან გამომდინარე, მე მათი ციტირების უფლება არ მქონდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II

მე მსაყვედურობდნენ, ვათომ ჩემს მოსაზრებებს მტკიცე საფუძველი არ ჰქონდეს, თითქოს მე ეპიზოდურ ფაქტებზე დაყრდნობით ნაჩქარევად გავაკეთე საბოლოო დასკვნები. აღნიშნული ფაქტები, შესაძლოა, ზუსტიც იყოს, მაგრამ შემთხვევითია და არაფერს ამტკიცებენო.

ჩემი დაკვირვებებიდან მე ვარჩევდი მხოლოდ ყველაზე ტიპურ მაგალითებს (შემდგომ მომხდება თქვენთვის სხვა დაკვირვებების გაზიარებაც). უხარგბლოდ მეჩვენებოდა წიგნის გაბერვა ციფრებით, სტატისტიკური ტაბულებით. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ მე წუსადა მაქვს დავიმოწმო ის, რაც თვითონ ვნახე ან თვითონ გავიგონე. მეორეც, იმიტომ, რომ მე ოფიციალურ ციფრებს მაინცდამაინც არ ვენდობი. და განსაკუთრებით კიდევ იმიტომ, რომ ეს ციფრები, ეს „ტაბულები“ (სხვათა შორის, მე მათ ვიცნობდი) სხვაგანაც შეიძლება მოინახოს.

მაგრამ რამდენადაც საკითხი ამგვარად დგება, იძულებული ვარ ზოგი რამ დავაზუსტო.

ფერნან გრანიე, ჟან პონსი და ალესანდრი, მე ვფიქრობ, ერთად მოგზაურობდნენ, მათსავით „სსრკ-ს მეგობრების“ ასორმოცდაცხრამეტკაციანი ჯგუფის შემადგენლობაში. არაფერია გასაკვირი იმაში, რომ სამი ბრალმდებლის (ბრალდებული მე გახლავართ) ჩვენებები ერთმანეთს ემთხვევა. ციფრები, რომლებიც მათ მოაქვთ ჩემს დასარწმუნებლად, თითქოს მე შევცდი, ის ციფრებია, რომლებიც მათ მიაწოდეს და რომელთა გადამოწმებითა თავი არ შეუწუხებიათ.

შევეცდები ავხსნა, რატომ არ შეესაბამება ეს ციფრები სსრკ-ში დიდხანს მომუშავე პიროვნებებისგან, საქმეში ჩახედული მოწმეებისგან მიღებულ მონაცემებს. ამ პიროვნებებს და მოწმეებს ხომ საშუალება ჰქონდათ დაენახათ „შიდა პირიც“, — მაშინ, როცა ას სამოცდაორი მოგზაური სსრკ-ში გავლით იმყოფებოდა. მთელი მათი მოგზაურობა ოც დღეს გაგრძელდა, ისინი რუსეთში მხოლოდ ორი კვირა იყვნენ: 14-დან 28 აგვისტომდე. ამ ხანმოკლე დროის მანძილზე მათ შეეძლოთ დაენახათ ბევრი რამ, მაგრამ შეეძლოთ მხოლოდ ის დაენახათ, რასაც მათ უჩვენებდნენ. (ჩემს სამ ბრალმდებელს ვგულისხმობ) რუსულად არცერთი არ ლაპარაკობს. ვიმედოვნებ, რომ ისინი არ შემედაეებიან, თუ ჩემის მხრივ ვიტყვი, რომ მათ მტკიცებებს რამდენადმე ზედაპირულად ჩავთვლით.

მე უკვე ვთქვი: როცა აფრიკაში ვმოგზაურობდი „თანხლებით“, თითქმის ყოველთვის ყველაფერი მშვენიერი მეჩვენებოდა. ყველაფრის ცხადად დანახვა და სათანადოდ გაგება დავიწყე მხოლოდ მაშინ, როცა გუბერნატორის ავტომობილიდან ჩამოსვლის შემდეგ გადავწყვიტე ქვეყანაში მარტოვას, ფეხით შემოგზაურა, რათა ნახევარი წლის განმავლობაში უშუალო ურთიერთობა მქონოდა ადგილობრივ მცხოვრებლებთან.

ეს, რას იზამ. სსრკ-ში მეც ვნახე საკმაოდ ბევრი სანიმუშო ფაბრიკა, კლუ-

პი, სკოლა, კულტურის პარკი, საბავშვო ბაღი, რომლებმაც მეც აღმაფროთოვანეს, და ისევე, როგორც გრანიე, პონსი ან ალესანდრი, მეც იოლად მოვიხიბლე, რათა სხვებისთვისაც შემექმნა ილუზიები. და რამდენადაც ძალზე სასიამოვნოა იყო ცდუნებული ან მაცდუნებელი, მათ, ვინც დავასახელე, ვისურვებდი დაეჯერებინათ: ვიდრე ამგვარი ცდუნების წინააღმდეგ ხმის ამოღებას გადავწყვეტდებოდა ხელთ უნდა მქონდეს ძალზე სერიოზული დოკუმენტები და დაუფიქრებლობის, ფუქსავატობის გამო სულაც არ ვიქცევი.

ჟან პონსის კეთილსინდისიერება დიდი პატივისცემის ღირსია, ისევე, როგორც მისი ბავშვური გულის ამაჩუყებელი მიმნდობლობა².

როცა დავყურებ მის მიერ მოტანილ ციფრებს (ან ციფრებს, რომლებიც ალესანდრისა და გრანიეს მოაქვთ) ერთ-ერთი ქარხნის პროდუქციის შესახებ და რომლებიც შეუძლებელია გასამტერებელ ციფრებად არ ჩავთვალოთ, მე ამ ამხანაგებს ფიქრთათვის ვთავაზობ 1936 წლის 12 ნოემბრის „პრავდაში“ გამოქვეყნებულ ცნობებს:

„მეორე კვარტალში იაროსლავის ქარხნის მიერ გამოშვებული ავტომობილის სათადარიგო ნაწილების საერთო რაოდენობიდან (და ოფიციალური სტატისტიკა სწორედ ამ ციფრებით იწონებს თავს ზარ-ზეიმით — ა. ჟ.) წუნდებული აღმოჩნდა 4000, მესამე კვარტალში კი — 2 200 ცალი“.

14 დეკემბრის ნომერში ფოლადის გამოშვების თაობაზე „პრავდა“ წერდა: „თებერვალ-მარტის განმავლობაში ამოღებულია 4,6 პროცენტი წუნდებული ლითონი, სექტემბერ-ოქტომბერში — 16,2 პროცენტი“.

მეტყვიან, ეს „საბოტაჟიაო“. ამ ცოტა ხნის წინანდელმა პროცესებმა თითქოს ეს ვარაუდი უნდა დაადასტუროს. მაგრამ ეს წუნი შეიძლება წარმოების საგანგებო და გაუმართლებელი ინტენსიფიკაციის გამო სამაგიეროს მიზლად ჩაითვალოს.

პროგრამები, რასაკვირველია, შესანიშნავია, მაგრამ, ვფიქრობ, რომ „კულტურის“ ამჟამინდელ დონეზე წარმოების გარკვეული მოცულობა მხოლოდ უკიდურესად დიდი დანაკარგების ფასად მიიღწევა.

უბედური შემთხვევები საავტომობილო ტრანსპორტზე გაპირობებულია როგორც მძლოლთა გადაღლით, ისე ავტომობილთა ცუდი ტექნიკური მდგომარეობით: 1936 წელს შემოწმებული 1992 მანქანიდან 1958 გაუმართავად აღიარეს, ერთ-ერთ გარაჟში ოცდაოთხი მანქანიდან 23 ექსპლუატაციისთვის უვარჯისად აღიარეს, მეორეში — 52-დან — 44 („პრავდა“, 1936, აგვისტო).

1935 წლის პროგრამით გათვალისწინებული 50 მილიონი გრამფირფიტიდან 4 მილიონი ნოვინის ქარხანას უნდა გამოეშვა, მაგრამ გამოეშვა მხოლოდ 1 992 000, მათ შორის წუნდებული — 309 800 (ამ მონაცემებს ვეამცნობს „პრავდის“ 1936 წლის 18 ნოემბრის ნომერი).

² თუ ეს მიმნდობლობა სიცილს არ იწვევს, როგორც, მაგალითად, ასეთ შემთხვევაში: „სასტუმრო ოთახში... ვხედავ მინერვას, იუპიტერს, ღიანას, მუშებმა, რაიმეს შეუცვლელად, აქაურობას მხოლოდ ლენინის ბრინჯაოს ბიუსტი დაუმატეს.“

მინერვასა და ლენინის მსგავსება გაუგებარი ჩანს, არადა, ეს მსგავსება არსებობს, ის ჩვენს თვალწინაა. ეს იმას ამტკიცებს, რომ კომუნიზმი ბუნებრივი, ლოგიკური, გარდუვალი დაგვირგვინებაა კაცობრიობის ისტორიის მრავალი საუკუნისა, მრავალი საუკუნის მანძილზე შექმნილი უმაღლესი კულტურის მემკვიდრეა“.

1936 წლის პირველ კვარტალში გამოშვებული პროდუქციის მოცულობამ გათვალისწინებული პროდუქციის 49,8 პროცენტი შეადგინა, II კვარტალში — 32,8 და მესამეში — მხოლოდ 26 პროცენტი.

ერთის მხრივ, ეცემა პროდუქციის გამოშვების მრუდი, მეორეს მხრივ — მზრდება უხარისხო საქონლის გამოცემის პროცენტი.

I კვარტალი... 156 200 ცალი წუნი.

II კვარტალი... 259 400 ცალი წუნი.

III კვარტალი... 614 000 წუნი.

მეოთხე კვარტალს რაც შეეხება, მისი საბოლოო შედეგები ჯერ უცნობია, მაგრამ უნდა მოველოდეთ, რომ ისინი კიდევ უფრო უარესი იქნება იმიტომ, რომ მხოლოდ ოქტომბერში 607 600 წუნია რეგისტრირებული! შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ რა დაჯდება ყოველი ვარგისი დეტალის თვითღირებულება.

ქარხანა „შრომის გმირის“ მიერ გამოშვებული ორი მილიონი სასკოლო რვეულიდან 99 პროცენტი წუნდებულია, მათი გამოყენება შეუძლებელია („იზვესტია“, 1936, 4 ნოემბერი). როსტოვში იძულებული გახდნენ გადაეყარათ 8 მილიონი რვეული („იზვესტია“, 1936, 12 დეკემბერი).

მეავეჯეთა კოოპერატიული არტელის მიერ გაყიდული 150 სკამიდან 45 მათზე დაჯდომის პირველივე ცდისას იმტვრევა. სავაჭრო ქსელში შეტანილი 2345 სკამიდან 1300-ის გამოყენება შეუძლებელია („პრავდა“, 1936 წ., 23 სექტემბერი). ამავე დღეშია ქირურგიული ინსტრუმენტებიც. სსრკ-ში ცნობილი ქირურგი პროფესორი ბურდენკო განსაკუთრებით ჩივის ფაქიზი ოპერაციებისთვის საჭირო ინსტრუმენტთა დაბალი ხარისხის გამო. ნემსები ოპერაციის დროს იღუნება ან ტყდება („პრავდა“, 1936 წ., 15 ნოემბერი) და ა. შ.

ამ მონაცემებმა, მრავალ სხვა მონაცემთან ერთად, მეხოტბენი უნდა დააფიქროს. მაგრამ პროპაგანდას არ სურს მათთვის ანგარიშის გაწევა.

აქვე შევნიშნავთ, რომ წუნი და შეფერხებები არცთუ იშვიათად ხდება რეკლამაციებისა და იმ სასამართლო პროცესების მიზნითაც კი, რომლებიც მკაცრი სანქციებით მთავრდება. და თუ გაზეთები იუწყებიან მათზე, მხოლოდ ვითარების გამოსწორების იმედით.

თვითკრიტიკა ასე არასაკმარისადაა, როცა პრინციპებსა და თეორიაზეა საუბარი, მაგრამ კრიტიკის ხმები გაუთავებლად გაისმის, როცა მიღებული გეგმების შესრულებაზეა ლაპარაკი. „იზვესტიიდან“ (1936 წ. 3 ივნისი) ვიგებთ, რომ მოსკოვის რიგ რაიონებში ერთი აფთიაქი ემსახურება 65 ათას მცხოვრებს, სხვებში — 79 ათასს და რომ ქალაქში მხოლოდ 102 აფთიაქია.

1937 წლის 15 იანვრის „იზვესტიის“ ნომერში ვკითხულობთ:

„აბორტების აკრძალვის შესახებ კანონის ძალაში შესვლის შედეგად ახალშობილთა რიცხვმა მოსკოვში მიაღწია 10 ათასს, ესე იგი, წინა პერიოდთან შედარებით 65 პროცენტით გაიზარდა. ამავე დროში სამშობიარო სახლებში საწოლების რაოდენობა მხოლოდ 13 პროცენტით გაიზარდა“.

საბავშვო ბაღები და ბავები ხშირად ჩინებულია. მაგრამ, უოლტერ სიტრაინის მონაცემებით³, 1932 წელს მათში რვიდან მხოლოდ ერთი ბავშვის მოთავსება იყო შესაძლებელი. ახალი გეგმების შესაბამისად, თუ მათი განხორციელება მოხერხდება, ეს პროპორცია ორჯერ გაიზარდება, ანუ რვიდან ორი ბავშვის მო-



³ Sir Walter Citrine. I Search for Truth in URSS, pg. 296.

თავსება გახდება შესაძლებელი. ეს არ კმარა, მაგრამ ვითარების გარკვეული გაუმჯობესება მაინც ისახება. ძალიან ვშიშობ, ვართუ, მუშების საბინაო პირობები გაუარესდეს. მშენებლობის გეგმები მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებენ, მხედველობაში თუ მივიღებთ მოსახლეობის მატებას. იქ, სადაც ერთ თთახში სამ ადამიანს ასახლებენ, შეიძლება ოთხიც და ხუთიც კი შეასახლონ. დავძენთ, რომ მუშებისთვის ამასწინათ ჩაბარებული მრავალი საცხოვრებელი სახელები სახელდახელოდ ან, უფრო ზუსტად, ისე დაუდევრად, ისე ცუდმა მასშტაბის ნაშენები, რომ ისინი ძალე გახდება გასარემონტებელი.

საცხოვრებელი ბინის საკითხი ერთ-ერთი ის საკითხია, რომელიც უოლტერ სიტრაინს ყველაზე მეტად აინტერესებს. აი, რას ამბობს ის ბაქოს მიდამოებში მენავთობე მუშათა ბინების მონახულების შემდეგ (ოფიციალურმა თანმხლებმა პირებმა ძალიან კი სცადეს მისთვის ამ ბინების მონახულების საშუალება არ მიეცათ, მაგრამ ამაოდ): „აქ, კაცმა რომ თქვას, მთელ ქვეყანაში ჩემს მიერ ნახულ ბინებთან შედარებით ყველაზე კეთილმოწყობილი, ყველაზე გამოუსადეგარი ბინებია. ყველაფერი ეს საშინელი სანახავია“. და გიდი ამაოდ ცდილობდა ის დაერწმუნებინა, რომ ეს „წარსულის მემკვიდრეობა“ იყო. სიტრაინი იძულებული გახდა არ დათანხმებოდა: „ახლა ნავთობის ჭაბურღილები მილიონერების საკუთრება არაა. რევოლუციიდან თვრამეტი წლის შემდეგ თქვენ უშვებთ, რომ თქვენმა მუშებმა ასეთ ბეჩავ, უბადრუკ პირობებში იცხოვრონ. საშინელებაა ამის გაფიქრება, რომ თვრამეტი წლის მანძილზე ასიათასობით მუშა ამგვარ ეთხმახებში დაფავს სულს“. ივონს თავის ბროშურაში „რად გადაიქცა რუსული რევოლუცია“ თავზარდამცემა სილატაკის სხვა მაგალითები მოჰყავს და დასძენს: „საბინაო კრიზისის მიზეზი ისაა, რომ „კაპიტალიზმისთვის გაესწრო“ გიგანტური ქარხნების მშენებლობაში და ადამიანები დაერაზმა პროდუქციის შესაქმნელად. ამ ადამიანთა კეთილდღეობაზე გაცბილებით ნაკლებად ზრუნავდა. შორიდან ეს შეიძლება გრანდიოზულ მოვლენად მოგეჩვენოს კაცს... მაგრამ ახლოდან ყველაფერი ეს შესაბრალის და მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს“.

III

„სსრკ-ში დაბრუნებასთან“ დაკავშირებით ჩემს მიმართ გამოთქმული ერთ-ერთი ყველაზე უფრო სერიოზული საყვედური ისაა, თითქოს მე მეტიმეტად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ინტელექტუალურ საკითხებს, — ვიდრე სხვა, უფრო გადაუდებელი პრობლემები არ გადაიჭრება, ისინი წინა პლანზე არ უნდა წაღიწიონო. ეს იმითაა გამოწვეული, რომ მე აუცილებლად ჩავთვალე აღმედგინა ჩემს მიერ იქ წარმოთქმული ზოგიერთი სიტყვა⁴, რომლებმაც კამათი გამოიწვია. ასეთ პატარა წიგნში ამ სიტყვებმა მეტიმეტად დიდი ადგილი დაიკავეს და ისინი ლამის მკითხველთა ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. ამას გარდა, ისინი წარმოითქვა ჩემი მოგზაურობის დასაწყისში, როცა მე ჯერ კიდევ მჯეროდა (დიახ, მე იმდენად მიამიტი ვიყავი), რომ სსრკ-ში გულწრფელად შეიძლებოდა კამათი კულტურაზე, მაგრამ მაშინ მე არ ვიცოდი, თუ როგორი ჩამორჩენილი იყო ეს ქვეყანა სოციალური თვალსაზრისით და როგორი უძრავობის ატმოსფერო სუფევდა აქ.

⁴ „სიტყვა მაქსიმ გორკის შესახებ“, „მოსკოველ სტუდენტთა წინაშე წარმოთქმული სიტყვა“, „ლენინგრადელი მწერლების წინაშე წარმოთქმული სიტყვა“.

მაგრამ მე მაინც პროტესტს ვაცხადებ, თუ იმაში, რასაც მე ვამბობდი, მხოლოდ ლიტერატორის პრეტენზიას ხედავენ. მეცნიერება თანაბარწილად იტეხს სახელს ვინმესთვის სამსახურის გაწევით. ცნობილი მეცნიერი იძულებულია უარყოს აქორია, რომლის მიმდევარიც ის იყო და რომელიც არაორთოდოქსალური აღმოჩნდა. აკადემიკოსი თავის თავს გამოხს და კრულავს თავისი იმ „წარსულის შეცდომების“ გამო, რომლებიც, როგორც თვითონ საჯაროდ განაცხადებდა: „იძულებოდა ფაშისტებს გამოეყენებინათ“ („იხვესტია“, 1936 წ., 28 დეკემბერი) მას იძულებენ აღიაროს „კონტრრევოლუციური ციებ-ცხელების“ სამარცხვინო სიმბოლოების თავგადაკლულად მაძიებელი „იხვესტიას“ ბრძანებით მისთვის წაქეზებული ბრალდებები.

ეიზენშტეინი იძულებულია მუშაობა შეწყვიტოს. მან უნდა აღიაროს თავისი „შეცდომები“, უნდა განაცხადოს, რომ ცდებოდა და ახალი ფილმი, რომელზეც ის მუშაობდა და რომელზეც უკვე ორი მილიონი დაახარჯა, არ პასუხობს იმ დოქტრინის მოთხოვნებებს, რომლის საფუძველზეც ის სამართლიანად აიკრძალა.

ახლა მართლმსაჯულებას არ იკითხავთ! ხომ არ ფიქრობენ ისინი, რომ უკანასკნელი პროცესები მოსკოვსა და ნოვოსიბირსკში მე მაიძულებს ვინანო წარმოთქმა ფრაზისა, რომელიც თქვენს ასეთ აღშფოთებას იწვევს: „არა მგონია, რომ დღეს რომელიმე სხვა ქვეყანაში, ჰიტლერულ გერმანიაშიც კი, ცნობიერება ასეთი არათავისუფალი, უფრო შევიწროებულ-დაბეჩავებული, უფრო დაშინებული (ტერორიზებული), უფრო დამონებული იყოს“.

მაშინ — რამდენადაც დამარცხების აღიარება არ უნდათ — ხელს სჭიდებენ „მიღწეულ შედეგებს“: არ არის უმუშევრობა, არ არის პროსტიტუცია, ქალს მამაკაცის თანასწორი უფლებები აქვს, უზრუნველყოფილია ადამიანის ღირსება, საყოველთაო განათლება... მაგრამ ახლოდან განხრეკის შემდეგ ეს შედეგები არცთუ ისე მშვენიერია.

დეტალურად მხოლოდ განათლების პრობლემებზე შევჩერდები, სხვა პრობლემებს ვხადავხა შევხები.

ეს სიმართლეა: სსრკ-ში მოგზაური ხვდება ცოდნის წყურვილით შეპყრობილ, კულტურისკენ მისწრაფებულ ბევრ ახალგაზრდა კაცს. ამაზე უფრო ამაღელვებელი სხვა არაფერია და ჩვენ გაუთავებლად ვკაიძულებენ აღვფრთოვანდეთ მათ ხელში საამისოდ მოქცეული საშუალებებით. სულთა და გულით მივესალმებით მთავრობის 1936 წლის თებერვლის ბრძანებულებას, რომლითაც მიზნადაა დასახული „1936-1937 წლების მანძილზე წერა-კითხვის უცოდინარი თხზი მილიონი და წერა-კითხვის ოდნავ მცოდნე ორი მილიონი მუშის წერა-კითხვის უცოდინარობის სრული ლიკვიდაცია“. მაგრამ...

„წერა-კითხვის უცოდინარობის“ ლიკვიდაციის საკითხი ჯერ კიდევ 1923 წელს იდგა. ამ ლიკვიდაციის „ისტორიული“ (როგორც იყო ნათქვამი) დასრულება უნდა დამოხვეოდა ოქტომბრის რევოლუციის ათი წლისთავის (1927 წ.) ზეიმს, ლუნაჩარსკი კი 1927 წელს უკვე „კატასტროფაზე“ ლაპარაკობდა: შეძლებს 50 ათას დაწყებით სკოლაზე ნაკლების შექმნა, მაშინ, როცა რევოლუციამდე გაცილებით ნაკლები მოსახლეობისთვის 62 ათასი დაწყებითი სკოლა ჰქონდათ.

და ამის შედეგად — რამდენადაც ჩვენ განუწყვეტლივ ვკვიბობებენ სსრკ-ის ამჟამინდელი მდგომარეობა მის რევოლუციამდელ მდგომარეობას შევადაროთ —

იმულებული ვართ დავადასტუროთ, რომ ბევრ სფეროში ჩაგრული კლასის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. მაგრამ სკოლის საკითხს დავუბრუნდეთ.

ლუნახარსკი (1924 წ.) წერს, რომ სოფლის მასწავლებლებს ხელფასი ნახევარი წლის დაგვიანებით ურიგდებათ, ზოგჯერ კი სულ არ ეძლევათ. ეს ხელფასი ზოგჯერ თვეში 10 მანეთზე ნაკლებიაო (!). მართალია, მაშინ მანეთი უფრო ძვირად ფასობდა, მაგრამ, როგორც ამბობს კრუსკაი, ლუნინსკი ქერივი, „პური გაძვირდა, და თვიური ხელფასით – 10-12 მანეთით მასწავლებელს ახლა ნაკლები პურის ყიდვა შეუძლია, ვიდრე ადრე შეეძლო ოთხი მანეთით (მასწავლებლის ხელფასი 1923 წლის ნოემბრამდე)“.

და 1927 წელს, სწორედ იმ წელს, როცა წერა-კითხვის უცოდინრობა, დაპირების თანახმად, მოსპობილი უნდა ყოფილიყო, ის ჯერ კიდევ არსებობდა, 1928 წლის 2 სექტემბერს „პრავდა“ წერს მის „სტალინიზაციაზე“.

მას შემდეგ რაიმე წარმატების მიღწევა თუ მოხერხდა?

„იზვესტიის“ 1936 წლის 16 ნოემბრის ნომერში ვკითხულობთ: „ახალი სასწავლო წლის პირველ დღეებში მრავალი სკოლიდან მოგვდის ცნობები მოსწავლეთა საშინელ უწიგნურობაზე“.

უუნარო მოსწავლე განსაკუთრებით ბევრია „ახალ“ სკოლებში – 75 პროცენტამდე (იმავე „იზვესტიის“ ცნობით). მოსკოვში 64 ათასი მოსწავლე ვალდებულია გამეორებითი სწავლება გაიაროს, ლენინგრადში – 52 ათასი; 1 500 მოსწავლე მესამედ ჩატოვებს კლასში. ბაქოში რიცხვი რუსი მოსწავლეებისა, რომლებიც პროგრამას ვერ სძლევენ, 20-დან 45 ათასამდე გაიზარდა, ნაციონალური სკოლების მოწაფეთა შორის 7-დან 21 ათასამდე („ბაკინსკი რაბოჩი“, 1937 წ. 15 იანვარი). ამას გარდა უამრავი მოსწავლე სწავლას საერთოდ ანებებს თავს. უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში რსფსრ-ში სკოლიდან „გაქცეულთა“ რიცხვა 80 ათასს მიაღწია. ყაბარდო-ბალყარეთის ინსტიტუტი მიატოვა მისი საერთო შემადგენლობის 24 პროცენტმა, ჩუვაშეთის პედაგოგიური ინსტიტუტი – 30 პროცენტმა. გაზეთი დასძენს: „პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები გულისდამამძიმებელ უცოდინრობას ამჟღავნებენ“.

და ყველაფერი ეს ხდება ისეთ ვითარებაში, როცა რსფსრ-ს ინსტიტუტებში ირიცხება საჭირო, მოთხოვილი კადრების 54 პროცენტი, ბელორუსიაში – 42, ტაჯიკეთში – 48, აზერბაიჯანში 40-დან 60 პროცენტამდე და ა. შ.

„პრავდის“ 1936 წლის 26 დეკემბრის ნომერი იუწყება, რომ გორკის ოლქში 5 ათასი ბავშვი არ დადის სკოლაში. ამას გარდა, 5 984 მოსწავლემ სკოლა მიატოვა პირველი კლასის, 2 362-მა მეორე კლასის, ხოლო 3 012-მა მესამე კლასის შემდეგ. ისინი, ვინც სკოლაში ძლებენ, ალბათ, ასევე ხდებიან.

სკოლიდან გაქცევის თავიდან ასაცდენად ერთმა მუშათა კურსების დირექტორმა წამოაყენა წინადადება: გაქცეულები 400 მანეთით დავაჯარიმოთო! („პრავდა ვოსტოკა“, 23 სექტემბერი). არაა ნათქვამი, მთელი თანხის ერთდროულად გადახდაა საჭირო თუ არა, – ეს ძალზე ძნელი იქნებოდა იმ მშობლებისთვის (ჯარიმა კი სწორედ მათ უნდა გადაეხადათ), რომლებსაც თვიური ხელფასი მხოლოდ 100-150 მანეთი აქვთ.

სკოლა სახელმძღვანელოების დიდ ნაკლებობას განიცდის, არსებული სახელმძღვანელოები კი სავსეა შეცდომებით; „პრავდა“ (1937 წლის 11 იანვარი) აღშფოთებული იყო იმით, რომ მოსკოვისა და ლენინგრადის გამომცემლობები

უშვებენ სახელმძღვანელოებს, რომლებითაც სარგებლობა შეუძლებელია. პედაგოგიურმა გამომცემლობამ დაბეჭდა ევროპის რუკა, რომელზეც ირლანდიას კარს არალის ზღვა აკრავს, შოტლანდიის კუნძულები კი კასპიის ზღვაშია გადატანილი. სარატოემა ვოლგის ნაპირებიდან ჩრდილოეთის ზღვას სანაპიროზე გადაინაცვლა და ა. შ.



სკოლის მოსწავლეთა რვეულების ყდებზე იბეჭდება გამრავლებები $8 \times 3 = 18$; $7 \times 6 = 42$; $8 \times 6 = 48$; $8 \times 9 = 72$ („პრავედა“, 1936 წ. 17 სექტემბერი). გასაგებია, სსრკ-ში ბულალტრები რატომაც ვერ ელევიან საანგარიშოებს.

იმ დროს, როცა წერა-კითხვის ლიკვიდაციის რეკლამირებული კამპანია ვერ კიდევ არ დამთავრებულა, ბედკრული მასწავლებლები თავიანთ მწარ ხელფასსაც კი ვერ იღებენ და, თავის გასატანად, იძულებული არიან დამატებით სხვაგანაც იმუშაონ. „იზვესტია“ 1 მარტის ნომერში მასწავლებლებს უხსნის: თქვენი ხელფასის დაგვიანებას მიზეზი ან ბიუროკრატიული გაჯანჯლებებია ან თანხების არადანიშნულებისამებრ გამოყენება, რის გამოც სახელმწიფოს მასწავლებლებისა მხოლოდ კუიბიშევის ოლქში ნახევარი მილიონი მართებს, ხოლო ხარკოვის ოლქში ეს ვალი 724 ათას მანეთს აღწევს და ა. შ. უნებლიეთ იბადება კითხვა: აქამდე როგორღა უდგათ სული მასწავლებლებს და, ვიდრე წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციას შევძლებთ, მასწავლებლების ლიკვიდაციის მოწმენი ხომ არ გავხდებით?

მე არ მინდა ვინმე შევაცდინო — ეს საშინელი ციფრები გულისტკივილით მომაქვს. მხოლოდ ის შეგაძლია, რომ მწუხარებით აგვესოს გული ასეთი სავალალო ვითარების გამო. მაგრამ მე პროტესტს ვაცხადებ, როცა თქვენ თქვენა სიბეცის გამო განზრახ ცდილობთ ეს უბედურე, საცოდავი შედეგები აღტაცების ღირს მოვლენებად წარმოისახოს.

IV

სწორედ ამ თვალში ნაცრის შეყრამ ასე ძალიან, ასე მტკიცებულად ჩამიმწარა სიხარული, გამიქარწყლა ნდობა და აღტაცება. სსრკ-ს იმას კი არ ესაყვედურობ, რომ მან მეტს ვერ მიაღწია. ახლა მიხსნიან, რომ ის ასე ჩქარა მეტს ვერ მიაღწევდა და მე ეს უნდა გამეგო. მირჩევენ გავითვალისწინო ის ფაქტი, რომ სსრკ-მა არსებობა დაიწყო უაღრესად დაბალ დონეზე, რომლის წარმოდგენაც კი ძნელია და რომ მუშათა ამჟამინდელი სიღატაკე რევოლუციამდე ჩაგრულთათვის სასურველ სიმდიდრედ მოეჩვენებოდა კაცს. თუმცა, ვფიქრობ, რომ ეს მაინც

² „პრავედა ვოსტოკი“ (1936 წ. 20 დეკ.) გულისტკივილით აღნიშნავს, რომ წერა-კითხვის უცოდინრობის ლიკვიდაციის გეგმას მოალოდნელი შედეგები არ მოჰყვა. 700 ათასი წერა-კითხვის სრულიად უცოდინართა ან ნაწილობრივ მცოდნეთა მხოლოდ 30 ან 40 პროცენტია თანახმა იწვილოს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთი ადამიანის სწავლის ქირა, ნაცელად განზრახული 25 მანეთისა, 500 მანეთს აღწევს. ერთ-ერთ ქალაქში (კოკაინში), სადაც 1936 წლის ბოლოსთვის წერა-კითხვის უცოდინრობის სრულ ლიკვიდაციას იმედოვნებდნენ, მაისში იყო 8023 წერა-კითხვის უცოდინარი, აგვისტოში — 9567, სექტემბერში — 11014 და 1 ოქტომბერს — 11645 კაცი. უნდა ვიფარაუდოთ, რომ ქალაქის მოსახლეობა სოფლიდან მიგრაციის ხარჯზე იზრდება, ხომ არ შეიძლება ვაფიქროთ, რომ წევნიერნი სწავლობენ სკოლებში. დიდ ქალაქ ტამბენტში აღრიცხულია დაახლოებით 60 ათასი უწიგნური, მაგრამ სწავლებაზე ჩაწერილი 757 ფაქციანიდან შეცადინებებს მხოლოდ 60 კაცი ესწრება. მოგზაურები სწორედ ამითი არიან აღფრთოვანებული.

გაზვიადებაა! მე სსრკ-ს იმას ვსაყვედურობ, რომ ვვატყუებს, როცა თავისი მუშების მდგომარეობას ყველასთვის სანიმუშოდ ასაღებს. და მე იმას ვსაყვედურობ ჩვენს კომუნისტებს (იგულისხმება, რომ მოტყუებულ, შეცდენილ ამხანაგებზე კი არა, იმათზე ვლაპარაკობ, რომლებმაც ყველაფერი იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ), რომ ისინი ატყუებდნენ მუშებს გაუცნობიერებლად ან განზრახ (უკანასკნელ შემთხვევაში მხოლოდ პოლიტიკური მოსაზრებების გამო).

საბჭოთა მუშა ისეა მიჯაჭვული ქარხანასთან, სოფლის-მუშაკს კი კოლმეურნეობასთან ან საბჭოთა მეურნეობასთან, როგორც იქსიონი თავის ბორბალთან. და თუ ის უკეთესი ხვედრის ძებნას დაიწყებს, მაგალითად, სხვაგან, უნდა გაფრთხილდეს: ის — აღრიცხული, დაჯგუფებული, უუფლებო პიროვნება რისკავს, რომ საერთოდ მიუსაფარი დარჩეს. თვით ქალაქის ფარგლებშიც კი რომ მოისურვოს ქარხნის შეცვლა, ის კარგავს ბინას (რასაკვირველია, არა უფასოს), რომელიც მან ასეთი ძალისხმევით მიიღო სამსახურიდან. სამუშაოდან გათავისუფლებისას მუშა კარგავს ხელფასის მნიშვნელოვან ნაწილს, კოლმეურნე-კოლექტივში თავისი შრომის შესატყვისი გასამრჯელოს წილს. მეორეს მხრივ, თუ მუშას შესთავაზებენ სამუშაოს ან საცხოვრებელი ადგილის შეცვლას, მას არ შეუძლია არ დათანხმდეს. მას არა აქვს ადგილის არჩევის უფლება, არც სადმე წასვლა შეუძლია და არც იმ ადგილას დარჩენა, სადაც მოსწონს, და რომელთანაც სიყვარული ან მეგობრული ურთიერთობები აკავშირებს⁶.

ის თუ უპარტიოა, პარტიული ამხანაგები დაჯაბნიათ. პარტიაში შესვლა, მისი წევრობა (რაც ადვილი საქმე არაა და, საგანგებო ცოდნათა გარდა, უკიდურეს თრთოლოქსაღურობასა და შემგუებლობას მოითხოვს) წარმატების პირველი და აუცილებელი პირობაა.

პარტიაში თუ შევიდა კაცი, იქიდან ისე ვერ გამოვა⁷, რომ თავისი მდგომარეობა, სამსახური და მანამდე შრომით მიღწეული პრივილეგია არ დაკარგოს, საერთო ეჭვნეულობა არ დაიმსახუროს, დასასრულს, რეპრესიების მსხვერპლი არ გახდეს. არადა, რისთვის, რატომ უნდა გამოვიდეს პარტიიდან, სადაც შეუძლია თავი ასე კარგად იგრძნოს? ასეთ პრივილეგიებს სხვა კიდე ვინ შესთავაზებს? თანაც, სანაცვლოდ რაიმეს მოუთხოვნელად, თლინდ კი ყველაფერზე დაეთანხმე და არაფერს დაუფიქრდე. ანდა, დაფიქრება რაღად გინდა, როცა გადაწყვეტილია, რომ ყველაფერი ასე კარგად მიდის. თუ დაფიქრდი, ე. ი. „კონტრ-რევოლუციონერი“ ხარ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ციმბირისთვის მომწიფებულ-ხარ⁸.

დაწინაურების საუკეთესო ხერხია დასმენა, ეს უზრუნველყოფს თქვენს

⁶ ისევე, როგორც ეკონომიკურ საწარმოში საბელმწიფო სრულუფლებიანად მართავს მატერიალურ რესურსებს, ასევე მართავს ის ადამიანებსაც, მშრომელებს უფლება არა აქვთ თავიანთი შრომითი ძალები თავიანთი ნების შესაბამისად წარმართონ — ეს ძალები იქ ვაყილონ, სადაც მათ სურთ და როგორც მათ სურთ. მათ არა აქვთ სსრკ-ის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების უფლება (ადგილობრივი პასპორტების). გაფიცვის უფლება აკრძალულია და სტახანოვეური მოძრაობისთვის ნებისმიერი სუსტი წინააღმდეგობის გაწვევაც კი ნაკარად ისჯება“.

⁷ და პირიქით, ძალზე ხშირად შეიძლება პარტიიდან გარიცხონ კაცი „წმენდის“ შედეგად და მაშინ ციმბირი არ ასცდება.

⁸ როგორ ჩინებულად ამბობს ივონი: „პარტიაში შესვლა ნიშნავს, ერთდროულად ემსახურო ხელისუფლებას, ქვეყანასა და საკუთარ თავს“. სრული პარმონიაა, რომელზედაც უამოკიდებელია პიროვნების პირადი ბედნიერება.

კარგ დამოკიდებულებას პოლიციასთან, რომელიც მაშინვე იწყებს თქვენს მფარველობას და, იმავედროულად, გიყენებთ კიდევ. იმიტომ, რომ ამ გზაზე ერთხელ უკვე შემდგარი ადამიანისთვის არც ღირსებასა აქვს მნიშვნელობა და არც მეგობრობას, დაწყებული საქმე უნდა განაგრძოს. სხვათა შორის, პოლიციასთან აღიანსში შესვლა ადვილია. და დასმენს საფრთხე არ ემუქრება.

როცა საფრანგეთში პარტიულ გაზეთს უნდა ვინმეს დისკრედიტაცია მოეპოვებინა, ლიტერატორი მოსახრებით, ის ამ ბინძურ საქმეს ამ კაცის მტერს აქცევს. მისი საქმეში ამას უახლოეს მეგობარს ავალდებენ. და კი არ სთხოვენ — მოითხოვენ. საუკეთესო ქმედება ის ქმედებაა, რომელიც გამცემლობითაა გამაგრებული. მთავარია, რომ მეგობარი გაემიჯნოს კაცს, რომელსაც დაუპყვას უპირებენ და წარმოადგინოს მტკიცებები (ზინოვიევის, კამენევსა და სპირნოვის მათი ყოფილი მეგობრები — რადეკი და პიატაკოვი მიუსიეს. საჭირო იყო, თავიდან მათთვის სახელის გატეხვა. რათა ცოტა ხნის შემდეგ ისინიც დაეხვრიტათ). თუ არ იგარეწრებ და მეგობარს არ გაყიდი, მასთან ერთად დაიღუპები.

ამის შედეგი ტოტალური ეჭვნიულობაა. უწყინარმა ბავშვურმა ტიტინმა შეიძლება დაგლუპოთ — ბავშვების დასწრებით საუბარი საშიში ხდება. ყველა მოქალაქე სხვასაც უთვალთვალებს და თავის თავსაც, და მასაც უთვალთვალებენ. არავითარი ბუნებრიობა, არავითარი თავისუფალი ლაპარაკი — თავისუფლად მხოლოდ შენს ცოლს შევიძლია ელაპარაკო საწოლში. X ხუმრობდა, რომ ამით შეიძლება აიხსნას ქორწინებათა რიცხვის მატება. უქორწინო ურთიერთობები ასეთ უსაფრთხოებას ვერ უზრუნველყოფენ. აბა, დაფიქრდით: ადამიანებს ათი წლის წინანდელი ნალაპარაკებისთვის აპატიმრებენ! და ბუნებრივია, ამ ყოველდღიური განუწყვეტელი ტანჯვისგან საშველს შინ, ოჯახურ სიმყუდროვეში ეძებდე.

დასმენის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალება ისაა, რომ თავად დაასმინო. სიტყვამ მოიტანა და, ადამიანებს, რომლებიც მკრეხელურ საუბარს შეესწრნენ და მოსაუბრენი არ დაასმინეს, აციმბირებენ და ციხეში სვამენ. დასმენა ძოქალაქეობრივი სათნოების, ზნეობრიობის რანგშია აყვანილი. მასთან ზიარება ბავშვობაში ხდება. ბავშვს, რომელიც „აცნობებს“, ახალისებენ. ბოლშევიკში — ამ სანიმუშო, საჩვენებელ სამოთხეში რომ შეგიშვან, არ კმარა მომნანიებელი ბანდიტი იყო, ამისთვის თანამოაზრეთა „ჩაშვებაცაა“ საჭირო. დასმენისთვის დაჯილდოება სახელმწიფო პოლიტსამმართველოში ძიების ერთ-ერთი საშუალებაა.

კიროვის მოკვლის მომენტიდან პოლიციამ კიდევ უფრო დარაზმა თავისი ძალები. გავიხსენოთ თხოვნა, რომელიც ახალგაზრდებმა გადასცეს ემილ ვერჰარნს რუსეთში ომამდე მისი მოგზაურობის დროს და რომლითაც აღტაცებული ვილდრაკი ასე შესანიშნავად მოგვითხრობდა მასზე. ასეთი რამ ამჟამად სრულიად შეუძლებელია. ისევე, როგორც შეუძლებელია რევოლუციური მოღვაწეობა (გნებავთ, კონტრრევოლუციური) დედისა და მისი შვილისა (გორკის ძალიან კარგ წიგნში). იქ, სადაც აღრე ურთიერთდახმარება, მხარდაჭერა, თანხმობა იყო, ახლა მხოლოდ დასმენა და თვალთვალია.

თავიდან ბოლომდე დეფორმირებულ სოციალურ კიბეზე ყველაზე უკეთეს დღეში ყველაზე უგვანონი, ყველაზე თახსირნი, ყველაზე ყურმოჭრილი ყმები არიან. მათ კი, ვინც საერთო დონეზე ოდნავ მაინც ძალდა დგება, ერთიმეორეზე

მიყოლებით იცილებენ ან ასახლებენ. შესაძლოა, წითელი არმია⁹ მაინც რჩებოდეს რამდენადმე უსაფრთხო ვითარებაში? იმედი ვიქონიით, რომ სხვაგვარად ამ შესანიშნავი გმირი ხალხისგან, რომელიც ესოდენ ღირსია სიყვარულისა, მალე სპეკულანტთა, ჯალათთა და მსხვერპლთა გარდა აღარავინ დარჩება.

საბჭოთა მუშა გადაიქცა ქანცაწყვეტილ არსებად, რომელიც მოკლებულია ადამიანური არსებობას პირობებს. გატანჯული, დაბეჩავებული მოკლებულია პროტესტის გამოხატვისა და ხმამაღლა დაჩივლების უფლებასაც კი; და რა გასაკვირია, რომ ეს მუშა კვლავ ღმერთს მიმართავს და ლოცვაში კპოვებს შვეტას. რაიმე ადამიანურის იმედი კიდევ შეიძლება მას ჰქონდეს?..

როცა ჩვენ ვკითხულობთ, რომ საშობაო ღვთისმსახურების დროს ეკლესიები ხალხს ვერ იტყვდა, ეს სულაც არაა გასაკვირი. ეს ბედკრულთა „თბილში“ გახლავთ.

მე უკვე შევნიშნე ორი გაღვივებული თესლი გალიის კუთხეში, სადაც უკვე სამი თვეა ვუკლი ბუდიდან გადმოვარდნილ დედა არწივს. ისინი მოხვედრილან სარწყულებლის გვერდით, რომლიდანაც ზოგჯერ წყალი იღვრება. ეს ტენი ეყოფენილსა და გალიის კედელს შორის ვიწრო ღრეჩოში ჩაცვენილ თესლებს. ისინი უცებ (ე. ი. მე შევნიშნე უცებ ეს) ოთხი-ხუთი სანტიმეტრის სიმაღლის მკრთალ-წყვანე ღეროდ აღმოცენდნენ. და ამ, კაცმა რომ თქვას, საყსებით ბუნებრივმა მოვლენამ ისე განმაცვიფრა, რომ უკვე კარგა ხანია, სხვაზე ვერაფერზე ვფიქრობ. ასეა: მარცვლებს ითვლიან, წონიან, ისინი იოლად გორდება, მსგავსად პატარა, ნუგრიცი, თითქმის მრგვალი ბუროულებისა, რომლებსაც, თუ მოვისურვებთ, ყირაძალა გადასვლაც შეუძლიათ. და უცებ ერთი ასეთი მარცვალი ვამტკიცებთ თქვენ, რომ მას შეუძლია ცოცხალი იყოს. ის ამით დიდად ანცვიფრებს გალიისკენ დახრილ ოთახის ბინადარს, რომელსაც ასეთი რამ ფიქრადაც კი არ მოსვლია.

მარქსიზმის ზოგაერთ თეორეტიკოსს¹⁰, ჩემი აზრით, არ ყოფნის სწორედ ეს ადამიანური სიბოი, რომელიც აუცილებელია „მარცვლის აღმოცენებისთვის“. რასაკვირველია, აქ საქმე გრძნობებში არაა: თანაღმობას არ უნდა ელოდე იქ, სადაც სამართლიანობა კანონით უნდა იყოს უზრუნველყოფილი. ადამიანის გაკვირვებელი მდგომარეობის გამო სიბრაღულის გამოვლენა და ცრემლის ღერა რეალურს დახმარება არაა, ამით ადამიანის მდგომარეობა არ უმჯობესდება. (ამასთანავე, თოფისწამალი მზად უნდა გქონდეს, ის რევოლუციას ჯერ კიდევ სჭარბდება).

⁹ სევესტროპოლში მრავალი მეზღვაური ენახე — ოფიცრებიცა და უბრალო მეზღვაურნიც. ოფიცრების ერთმხედრითან და სსკეებთან ურთიერთობა იმდენად გულითადი და ძმური მეზღვენებოდა, რომ არ შეგეძლო ვეულო არ ამჩუყებოდა. გაზეთებში გაიქცევა შენიშვნამ: თითქოს მოსკოვის დიდ რესტორანში მე შენახოს, ოფიცრებს ჭკუფის შემოსვლისას აქ მყოფნი როგორ გაიქვიმენ „სმენაზე“. ამსურღული შენათხზია, იმდენად ამსურღული, რომ მისი უარყოფა სიპრობოდაც არ ჩავთვალე.

¹⁰ მოლიანობაში მარქსისა და ენგელსის მოღვაწეობა ნაკარნახევი იწვეითი თანაღმობით, მაგრამ კიდევ უფრო — სამართლიანობის აუცილებლობით.

შეიძლება ითქვას, რომ გული, რომელიც საჭირო აღარაა, „კვდება“¹¹. აქედან მოდის ერთგვარი სისასტიკე, რომელიც იოლად წარმოიშობა თავისთავად. — ესაა პიროვნების გალატაკება საყოველთაო კეთილდღეობის მილოდინში, ამ მოსახრებებმა შეიძლება ძალზე შორს გამიტაცოს, ამიტომ ვეშვები მათ.



ქართული
ბიბლიოთეკა

V

ფერნან გრანიეს ჩემი „სსრკ-დან დაბრუნებიდან“ მოჰყავს ბელსაც იწონებს: „ყოველ შემთხვევაში, უდაოა: სსრკ-ში უკვე აღარ არის ექსპლუატაცია ვისიმე სარგებლობისთვის. ეს შესანიშნავია“. და გრანიე დასძენს: „ეს შესანიშნავია, ამხანაგებო“, — რასაც აუდიტორია ტაშით ხვდება.

მართლაც, ეს შესანიშნავია. იყო შესანიშნავი. ახლა ასე აღარაა. და, მე დაჟინებით ვიმეორებ ამას, რადგან მთავარზე მთავარი ამის აღიარებაა. ივონი ამასზე ძალიან ზუსტად ამბობს: „კაპიტალიზმის დაღუპვას მუშისთვის აუცილებლად არ მოაქვს თავისუფლება“. კარგია, რომ საფრანგეთის პროლეტარიატს ეს ესმის. ანუ, უფრო ზუსტად, კარგი იქნებოდა, მას ეს რომ შეეგნო. საბჭოთა პროლეტარიატს რაც შეუხება, ის იწყებს იმ ილუზიების დაკარგვას, თითქოს თავისთვის მუშაობს და საკუთარ ღირსებას ამკვიდრებს. იგულისხმება, რომ იქ უკვე არ არიან მისი შრომის მაქსიმალური კაპიტალისტური აქციონერები, და მაინც, მას ექსპლუატაციას უწევენ. და ისეთი მოქნილი, ფარული ხერხით უწევენ, რომ არ იცის, ვის დასდოს ბრალი. სწორედ მუშის დაბალი ხელფასის ხარჯზე სხვების ხელფასი განუზომლად გაბერილი.

მუშა არ სარგებლობს თავისი შრომის, თავისი „დამატებითი შრომის“ ნაკოფით. ამით სარგებლობენ პრივილეგირებულნი, ისინი, ესაა „კარგი თვალთუყურებენ“, მაძღარნი, შემგუებულნი. მის მათხოვრულ ჯამაგირს ავლევენ იმას, რითაც პრივილეგირებულთათვის და მეტათათს მანეთს უჯობავენ.

მეტი სისრულისთვის მოვიყვან მ. ივონის მიერ შედგენილ ბევრის მლაღადებელ ტაბულას:¹²

გაზრდილი ხელფასი

- მუშა — 170-400 მან.
- დაბალი რანგის მოსამსახურე — 80-250 მან.
- შინამოსამსახურე — 50-61 მან. პლუს კვება და სადგომი.
- მოსამსახურეები და ტექნიკოსები, პასუხისმგებელი მუშაკები და სპეციალისტები, ფუნქციონერი მეცნიერნი, არტისტები, მწერლები — 1000-1500 და მეტი მან. ამბობენ, რომ 20-30 ათასი მანეთი ხელფასიც კი არსებობს.

ჩვეულებრივი ხელფასი

- მუშა — 125-200 მან.
- შინამოსამსახურე — 30-50 მან.

საპენსიო უზრუნველყოფის ტაბულაც არანაკლებ მეტყველია. მუშის პენსია შეადგენს 25-დან 80 მანეთს თუში და არავითარ შეღავათებს არ გულისხმობს,

¹¹ ამ სიტყვას მეც მარქსიზმის ლენსიკონიდან ვსესხულობ, ისევე, როგორც ლენინი, რომელიც თავის ნაშრომში „სახელმწიფო და რევოლუცია“ წერდა: „გამოიქმნა, „სახელმწიფო კვდება“ ძალზე მარჯვია, რადგან ის იმავდროულად ხაზს უსვამს პროცესის განგრძობად და განუწყვეტლობასაც“.

¹² M. Ivon: C'est qu'est devenue la Révolution russe.

ფუნქციონერის ან მაღალი რანგის სპეციალისტის ქვრივის პენსია — 250-დან 1000 მანეთს თვეში, პლუს აგარაკი ან ბინა მთელი სიცოცხლის მანძილზე, სტიპენდია შვილებისთვის, ზოგჯერ შვილიშვილებისთვისაც კი.

ამას მოსდევს დაქვითვები ხელფასიდან (150 მანეთზე ნაკლები/ხელფასი ააწილობრივ არ იბეგრება) — 15-დან 20-მდე პროცენტი. არ შემძლება აქ მთელი თავის ციტატად მოტანა, მაგრამ მ. ივანის ამ ბროშურის მთლიანად წაკითხვა სამდვილად ღირს.

დღეში ხუთი მანეთი, ზოგჯერ უფრო ნაკლებიც. თავს უფლებას მივცემ ეს შევადაროთ ხელფასს ჩვენში და უმუშევრობისთვის დახმარებასაც კი. მართალია, პური რუსეთში უფრო იაფი ღირს, ვიდრე საფრანგეთში (კილო ჭვავის პური 1936 წელს 85 კაპ. ღირდა, თეთრი — 1 მან. 17 კაპ), მაგრამ ტანსაცმელი, ყველაზე ჩვეულებრივიც კი, პირველი მოთხოვნების საგნები — ხელმიუწვდომელია. მანეთის მსყიდველობითი უნარი ჩვენს ფრანკზე ნაკლები იყო მის „გათანაბრებამდე“¹³. და ნუ ლაპარაკობენ დამატებით შესაძლებლობებზე, რომლებიც ვითომ აქვს მუშას ხელფასთან ერთად, რადგან ეს დამატებანი უფრო ხშირად ასევე მაღალხელფასიანებსა აქვთ.

იბადება კითხვა: რატომ ღირს ასე ძვირი სამრეწველო ნაწარმი და სურსათიც კი (რძე, კარაქი, კვერცხი და ა. შ.), თუ თვით სახელმწიფოა მწარმოებელი? მაგრამ მანამ, სანამ საქონელი სამყოფი რაოდენობით არ იქნება, სანამ მოთხოვნილება კატასტროფულად მეტი იქნება, ვიდრე არსებული საქონელი, აჯობებს ეს მოთხოვნილება ცოტათი შეიკვეცოს. საქონელი მხოლოდ შეძლებულთათვის იქნება, უმეტესობა კი სიღარიბეში აღმოჩნდება.

ამ უმრავლესობამ შეიძლება მხარი არ დაუჭიროს რეჟიმს და, აქედან გამომდინარე, აზრის გამოთქმის უფლებაც არ მისცეს¹⁴.

როცა ჟან პონსი აღტაცებულია საშუალო ჯამაგირის მუდმივი ზრდით,¹⁵ ეს ზრდა კი ასეთია:

1934 წ. 180 მან. (საშუალოდ)

1935 წ. 200 მან. (საშუალოდ)

1936 წ. 360 მან. (საშუალოდ)

მისი ყურადღება მინდა მივაქციო იმას, რომ უბრალო მუშის გამომუშავებული გასამრჯელო მანამდე არსებულ დონეზე რჩება და ის „საშუალოდ“ აღნიშნავს პრივილეგირებულთა უმეტესობის გასამრჯელოს გაზრდას.

¹³ 1936 წელს ერთი თვის ხელფასით 225 კგ პურის ყიდვა შეიძლებოდა, 1914 წელს 30 მანეთად (საშუალო მუშის გამომუშავება თვეში) შეიძლებოდა 600 კილო იმავე პურის ყიდვა.

¹⁴ აქედან მოდის ამასწინანდელი შემადრწუნებელი რეპრესიები. სტალინი, სხვათა შორის, რამდენიმე წლის შემდეგ ამბობდა: „ორში ერთი: ან ჩვენ უარს ვიტყვით ოპტიმიზმს და ბიუროკრატიულ ნეთოდებზე, ჩვენი შეცდომებისგან დატანჯულ მუშებსა და უპარტიო გლეხებს მივცემთ ჩვენი გაკრიტიკების საშუალებას, ან უკმაყოფილება იმატებს, და ჩვენ საქმე გვექნება კრიტიკასთან ამბობის ფორმით“.

¹⁵ ფრანგმაღნი ცდილობს სტახანოვეური მოძრაობა განიხილოს როგორც ხელფასის გაზრდის ერთი ხერხი, არა მგონია, მასში საშუალო მუშის შრომის რაც შეიძლება მეტი ნაყოფიერების გზა დაეინახოს.

გამომუშავებული გასამრჯელო ფუნდოვებ ვერ მიჰყვება ცხოვრების დი-
რებულების ზრდასა და მანეთის მსყიდველობითი უნარის დაცემას¹⁶.

და პარადოქსული რამ ხდება: შრომის გასამრჯელო დღეში ხუთი მანეთი,
ხოგჯერ კი უფრო ნაკლებიც — სწორედ ეს მინიმუმი, — მშრომელთა უმრავლეს-
ობას უკიდურესად ალატაკებს და, იმავედროულად პრივილეგირებულთ უზრუნ-
ველყოფს დიდი ხელფასით¹⁷. და იძლევა მასობრივი პროპაგანდისტული სემინარ-
ების გაფლანგვის საშუალებას. იგულისხმება ის პროპაგანდა, რომელმაც ჩვენი
მუშები უნდა დაარწმუნოს რუსი მუშების ბედნიერებაში. ჩვენ გვერჩინა ამაზე
ნაკლები ეცოდეთ, მაგრამ ვისურვებდით, რომ ისინი მართლაც ცოტათი უფრო
ბედნიერი იყონ.

ლენინის წიგნში ვკითხულობთ:

„კაუცკის ასე გამოუდის: რაკი არჩევითი თანამდებობის პირნი დარჩებიან,
მაშასადამე, სოციალიზმის დროს დარჩებიან მოხელეებიც, დარჩება ბიუროკრა-
ტია! სწორედ ეს არ არის მართალი. სწორედ კომუნის მაგალითით გვიჩვენა მარ-
ქსმა, რომ სოციალიზმის დროს თანამდებობის პირნი აღარ არიან
„ბიუროკრატები“, აღარ არიან „მოხელეები“, აღარ არიან იმდენად, რამდენა-
დაც შემოღებული იქნება, გარდა არჩევითობისა, კიდევ მათი შეცვლა ყოველ
დროს, და კიდევ დაყვანილი იქნება გასამრჯელო მუშის საშუალო ხელფასის
დონემდე, და კიდევ ის, რომ შეიცვლება პარლამენტური დაწესებულებანი „მო-
მუშავე“ დაწესებულებებად, ე. ი. კანონების გამომცემ და მათ გამტარებელ და-
წესებულებებად“¹⁸.

რა შესანიშნავი რამაა ექსპლუატაციისგან თავისუფლების შეგრძნება! მაგ-
რამ ვესმოდეს, რომ ექსპლუატაცია გრძელდება, და არ იცოდე ექსპლუატატორი
ვინაა, არ იცოდე, ვისგან დაიხსნა თავი...

16 ოფიციალური სტატისტიკიდან ცხადია, რომ მძიმე მრეწველობის მუშათა ხელფასმა
ნოლიანად 1923-1925 წლებში 52 პროცენტით მოიმატა. მაგრამ ამავე დროს ფუნქციონერთა
გამაგრი 94,8 პროცენტით გაიზარდა, ვაჭრობის მუშაეებისა — 103,3 პროცენტით. სხვათა შო-
რის, მანეთის მსყიდველობითი უნარის კლებას შედეგად გასამრჯელოს გაზრდას მუშათა კეთილ-
დღეობა სრულდებითაც არ ვაღუშვებდეს.

17 საქმე იმას კი არ ეხება, რომ მუშა თავისი შრომის ყველა შედეგით სარგებლობდეს, ამას
არც მარქსი გულისხმობდა და არც ენგელსი.

„დამატებითი შრომა“, რომელიც კაპიტალიზმის დროს კლასობრივ ანტაგონიზმს წარმო-
შობს და რომლის ნეოზებითაც შესაძლებელია მცონარეობა უმცირესობისა, როგორც მარქსი
ამბობს, არ შეიძლება გამოირიცხოს (მარქსი სწორედ ამით მიუთითებს იმაზე, რომ მუშას არ
უნდა ჰქონდეს მთელი თავისი შრომის ერთობლიობიდან პირადი სარგებლობის იმედი.) „დამა-
ტებითი შრომა“ გარკვეული ნაწილი, — ამბობს ის, — უბედური შემთხვევისგან დასაზღვევად...
და ა. შ. ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია. ამასვე უნდა მივაკუთვნოთ რაღაც დანაზოგიც,
რაც საჭიროა არა მარტო ტექნიკის უზრუნველსაყოფად, არამედ „პროგრესის შემდგომი განვი-
თარებისთვის საჭირო პირობების შესაქმნელად“. ამასთან დავძენთ: იმის გარდა, რომ არასო-
ციალისტური გარემოცვა ნოითხოვს („ერთ ქვეყანაში“ სოციალიზმის გამარჯვების შემდეგ) წი-
თელი არმიის შესახებ ბარჯებს. მე ვფიქრობ, რომ ამას მარქსი მხარს დაუჭერდა. მაგრამ ის
წინააღმდეგობად ჩათვლიდა ერთთა სასარგებლოდ შეორთვა — უმრავლესობის — დამატებითი შრო-
მის ხარჯზე უსაშველოდ დიდი სახსრების გაცემას, რამეთუ ყველაფერი ეს ხელს უწყობს პრი-
ვილეგირებული კლასის შექმნას და არა „მატერიალური წარმოებისთვის საჭირო დროის დანა-
კარგთა შემცირებას“.

18 „პროლეტარული რევოლუციის პირველი ეტაპი — ენაა პროლეტარიატის გადაქცევა გა-
ბატონებულ კლასად. დემოკრატიის გამარჯვება“. — ამბობდნენ მარქსი და ენგელსი თავიანთ
სახელგანთქმულ მანიფესტში. დიახ, „დემოკრატიის გამარჯვება“, მაგრამ პროლეტარიატმა ვერ
გამარჯვა, ის დამარცხდა.

ვფიქრობ, რომ მართალი იყო ხელინი, რომელმაც ეს ტრაგედია გაიცი-
ბიერა.

ჩვენ კვლავ, რაც იყო, იქამდე მივდივართ! სასაცილოა! რად გვინდა ამდენი
ლაქლაქი! ბედისწერის შეჩვენებულობა შეიძლება სისხლისმსმელი მივაწეროთ!
და „ექსპლუატაციის“ სიმსივნეს! და ისე დაეჭიროთ თავი, როგორც უკანასკ-
ნელმა არამხადამ – არაფერი მინახავს, არაფერი ვიცი!.. და რა უფროების შეც-
ვლის უფრო მეტი უფლება არა მაქვს, ვიფიქრო? ~~უფროების შეც-
ვლის უფრო მეტი უფლება არა მაქვს, ვიფიქრო?~~ უფროების შეც-
ვლის უფრო მეტი უფლება არა მაქვს, ვიფიქრო?

დღეს დილით (1937 წ. 8 თებერვალს) X-მა მიჩვენა გუშინდელი გაზეთი
„ტაიმსი“: „ორი ხუთწლეულის მანძილზე უკრაინის ბიუჯეტი შვიდჯერ და მეტად
გაიზარდა“. ახალი ბიუჯეტის გასავლის დიდი ნაწილი გათვალისწინებულია სო-
ციალურ და კულტურულ საჭიროებათა დაკმაყოფილებისთვის, სახალხო განათ-
ლებისთვის 1227 მილიონის და ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისთვის
1227 მილიონი მანეთის ნათვლიათ. „აბა, ამაზე რაღას იტყვი?“

ვხსნი ლუი ფიშერის წიგნს – სსრკ-სადმი ფრიად კეთილგანწყობილს –
196-ე გვერდზე და პასუხად ვუკითხავ X-ს: „მე ისეთი შთაბეჭდილება პრჩება,
რომ გაძეფებული პროლეტარიატი კონკურენტების დაწოლით თმობს პოზიცი-
ებს: კასლოვოდსკის (მსოფლიოში უდიდესი ბალნეოლოგიური კურორტის) 16
რშენებარე სახატორიუმიდან თითქმის ყველას აგებს სამთავრობო დაწესებულე-
ბები, როგორიცაა, ვოქვათ, სახელმწიფო ბანკი, მძიმე მრეწველობის კომისარია-
ტი, კავშირგაბმულობის კომისარიატი, გაზეთი „პრავდა“ და ა. შ. ყველა ამ და-
წესებულებაში მუშებიც მუშაობენ, მაგრამ, ვფიქრობ, საგზურებზე მოსამსახუ-
რეებს მუშებზე გაცილებით ადვილად მიუწვდებათ ხელი“¹⁹.

შესანიშნავია ლუი ფიშერის მსჯელობა „პროფკავშირების უმოქმედობა-
ზე“. მისი თქმით, ისე გამოდის, თითქოს მხოლოდ პროფკავშირებს შეუძლიათ
ხელი შეუშალონ „სახელმწიფო მოხელეებსა და სტრატეგიული მიმართულების
სხვა ჯგუფებს“ კუთვნილზე მეტი ბინების, სახატორიუმების საგზურთა და ა. შ.
მიღებაში. არა, არა, იქ, სადაც ძალაუფლება ბიუროკრატიას უჭირავს, პროფკავ-
შირები უძლურია. ჩვენ გვეუბნებიან: პროლეტარიატის დიქტატურააო. ჩვენ უფ-
რო და უფრო ვრწმუნდებით, რომ ეს ასე არაა. სულ უფრო და უფრო მტკიცდე-
ბა ბიუროკრატია დიქტატურა პროლეტარიატზე“²⁰. იმიტომ, რომ პროლეტა-
რიატს უკვე არა აქვს იმის საშუალება, აირჩიოს თავისი წარმომადგენელი, რო-
მელიც დაიცავდა მის შეღავთულ ინტერესებს. სახალხო არჩევნები – ღია ან ფა-
რული კენჭისყრით – მხოლოდ მოჩვენებითობაა, პროფანაციაა: ყველაფერი ხე-
მით წყდება. ხალხს მხოლოდ ამ კანდიდატების არჩევის უფლება აქვს, რომლე-
იც უკვე აღრევე არიან დამტკიცებული. აღიკაპამოდებულ, ყოველმხრივ შევიწ-
როებულ, დაბეჩავებულ ხალხს წინააღმდეგობის გაწვის უფლება თითქმის წარ-

¹⁹ ლუი ფიშერის წიგნი სსრკ-ზე ძალიან საინტერესოა. ის მეტისმეტად კეთილგანწყო-
ბილია სსრკ-სადმი, კრიტიკას თითქმის არ შეიცავს, მაგრამ მათთვის, ვისაც კობეა შეუძლია,
იქ ეს კრიტიკა არის. კავკასიის რესპუბლიკათა ჩინებული აღწერა გვიბიძგებს ვიფარაუდოთ,
რომ საბჭოთა ხის რომელიღაც ტოტები ჭერ ისევ მწვანეა, ისრწნება თავად ხის ტანი.

²⁰ პროფკავშირებში, არსებითად, ისევე, როგორც საბჭოებში, არსებობა შეწყვეტეს (1924 წ.).
მუშები არც დახმარებას ელოდნენ და არც დაცვას ამ ძვირადღირებული ხელმძღვანელობისგან,
ამ ხელმძღვანელობის სადავეები კი უშუალოდ პოლიტბიუროს დამორჩილებულ 25000 მონამ.
სახურისგან შედგენილ „აპარატს“ უბერია ხელი.

თმეული აქვს. ვაი რომ, ბრძოლა ყველა წესის დაცვით წარიმართა და ის უკვე წიგო სტალინმა, — მოიგო მთელი მსოფლიოს კომუნისტების მხურვალე ოცა-ციების თანხლებით, კომუნისტებისა, რომლებსაც ჯერ სწამთ და კიდევ დაიხანს წაძებათ, რომ მათ, ყოველ შემთხვევაში სსრკ-ში, უკვე გაიმარჯვეს და მტრე-ბად და გამყიდველებად ჩათვლიან ყველას, ვინც მათ ტაშს არ უკრავს.

ნების დასასრულს მნიშვნელოვნად გაძლიერებული ბიუროკრატული მანქანისა და საბჭოთა მუშაკების საქმეებში ერევა. „პრაქტიკური“ 16 სექტემბერს კომისიის მუშაობაზე დაყრდნობით ასკვნის, რომ მანქანა-ტრაქ-ტორთა სადგურების (მტს) მუშათა და მოსამსახურეთა 14 პროცენტზე მეტი სა-ჭირო აღარაა²¹.

არის აზრი, რომ ჯერ მართვისთვის, ხოლო შემდეგ ჩაგვრისთვის შექმნილი ამ ბიუროკრატის მსხვერპლი გახდა თვით სტალინი. უნიჭო უსაქმურთათვის ბანკურას მოსაპობაზე უფრო ძნელი არაფერია. უკვე 1929 წელს ორჯონიკიძეს ამრწუნებდა ეს „უზარმაზარი რაოდენობა „მუქთამჭამელებისა“, რომლებსაც არ უნდათ რაიმე იცოდნენ სოციალიზმზე და მხოლოდ იმიტომ მუშაობენ, რომ ხელი შეუშალონ მის განვითარებასა და წარმატებას. „სარევიზიო კომისიები ნიშნავენ ამ ადამიანებს, რომლებსთვისაც ვერაფერი მოუხერხებიათ, და რომლებიც არა-ვის არაფერში სჭირდება“, — ამბობდა ის. მაგრამ რაც უფრო არაფრის მაქნისნი არიან ეს ადამიანები, მით უფრო მეტი იმედი აქვს სტალინს, რომ ისინი მონუ-რად უერთგულებენ, რადგან პრივილეგირებული მდგომარეობა მათთვის თითქოს ნაჩუქარია. თავისთავად იგულისხმება, რომ რეჟიმს სწორედ ისინი უჭერენ მხარს ალტყინებით. ემსახურებიან რა სტალინს, ისინი იმავდროულად თავიანთ საკუ-თარ ინტერესებსაც ემსახურებიან.

ამისთვის, რომ მოსამსახურეები არ გაბიუროკრატებულიყვნენ, ლენინის აზ-რით, აუცილებლად უნდა დაცულიყო სამი პირობა:

1. შეცვლა და არჩევითობა ნებისმიერ დროს; 2. მუშის საშუალო ანაზღაუ-რების ოდენობის ხელფასი; 3. ყველას იმგვარი კონტროლი ყველაზე, რომ ყვე-ლას შეეძლოს დროებით გახდეს მოსამსახურე, მაგრამ არავის შეეძლოს გაბი-უროკრატება.

ამ სამი პირობიდან არცერთი არ შესრულებულა.

სსრკ-დან დაბრუნების შემდეგ ლენინის წიგნს „სახელმწიფო და რევოლუ-ცია“ გულისტკივილით კითხულობ იმიტომ, რომ სსრკ ახლა უფრო შორსაა, ვიდრე აღრე იყო, არა მარტო შეპირებული კომუნისტური საზოგადოებიდან, არამედ იმ გარდამავალი სტადიიდანაც კი, რომელიც მის მიღწევას შესაძლებელს გახდიდა.

და ისმის კითხვა: ვინაა ახლა მართალი? და ახლა ციხეში რომელს ჩასვა-და ან დახვრეტდა სტალინი — კაუცკის თუ ლენინს?

VII

ახალ კონსტიტუციაში შესამჩნევია შესაძლებელი კრიტიკის გათვალისწი-ნების ცდა, ცდა იმისა, რომ პასუხი გაეცეს იმ საწინააღმდეგო აზრებს, რომლე-

²¹ პირველი მსოფლიო ომის წინ ბიუროკრატის შენახვა ეროვნული შემოსავლის 8,5 პრო-ცენტს ნიჭავდა, 1927 წ. — 10 პროცენტს. ამ ბოლო წლებში ცნობები არა მაქვს.

ბიც შეიძლება წარმოშვას ახალი კონსტიტუციის შინაარსმა. ხელმძღვანელებმა ჩინებულად უწყიან, რომ ხალხი ნანჩანას არ მართავს, ხალხსა და იმათ შორის, ვინც მის განმგებლად დასიშნულა, რეალური კონტაქტი არ არსებობს. მაგრამ ვითარება სულ სხვაგვარად დეკლარირდება. ამიტომ უკიდურესად საჭირო შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეს კავშირი, ახლა რომაა, იმაზე უფრო მჭიდრო იყოს. მხარდასაჭერია ის, რომ „ძლიერდება მასებში კონსტიტუციური საბჭოთა ორგანოებზე და იზრდება მასების წინაშე საბჭოთა ორგანოების პასუხისმგებლობა“, როგორც ამას წერს „ლუმანიტეს“ 13 მარტის ნომერი. გაზეთი აცხადებს: „ახალი საარჩევნო სისტემა განამტკიცებს ხალხის რჩეულთა და ამომრჩეველთა მასების კავშირს“. ჩინებულია! მით უფრო, რომ ამავე სტატიამი წარმოჩენილია ფარული სარჩულიც — აქ საუბარია არჩევნების ხელმძღვანელობაზე, ამაზე, რომ „გაკრიტიკებულ იქნან უღირსი კანდიდატები და მათ დაუპირისპირდნენ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ისინი ფარული კენჭისყრის შედეგებით დამარცხდებოდნენ“. ეს წინასწარმეტყველება აღტაცების მომგვრელია. აბა, დაუფიქრდით — ძალზე გულსატკენი იქნებოდა გამეორება 1934 წლის 19 ოქტომბერს დაშვებული შეცდომისა, როცა (რესპუბლიკურ პლენუმზე, კიევში) ხალხმა აირჩია „ადამიანები, რომლებიც შემდეგ მხილებულნი იქნენ, როგორც ხალხის იტრები“. ამიტომ საჭიროა ჯერ კიდევ არჩევნებამდე სასწრაფოდ „მოუულოთ ბოლო ყველაფერს, რაც ხელს უშლის პარტიული აქტივის ფორმირებას“. და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება არჩევნები „თავისუფალი“ იყოს.

ამასთან დაკავშირებით ვშიშობ, უსიამოვნება არ შეხვდეს გაზეთის რედაქტორს, ახალი კონსტიტუციის მომხრე და სტალინური სსრკ-ის ენთუზიასტს — მას არ დაეახახელებ, რათა არ ვავნო, — რომელიც, საერთო შექებასთან ერთად, ბედავს ასეთი უწყინარი შენიშვნის გამოთქმას (1937 წ. 21 თებერვალს): „ჩვენ ის ვვაშინებს, რომ ამჟამინდელ ვითარებაში სახელმწიფო ორგანოები არათუ არ ერწყმიან მასებს, როგორც ეს საბჭოების სასტემაში იყო, არამედ, პირიქით, აქვთ მათგან დაცალგების ტენდენცია.

— რატომ?

— ამომრჩეველთა გათიშულობის გამო; ამომრჩეველთა და მათი დეპუტატების ერთმანეთისგან დაშორებულობის გამო“.

და სიფრთხილეს მოკლებული კრიტიკოსი შეახსენებს მკითხველებს, რომ „უკანასკნელი სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებენ: სამოცი მოქალაქიდან ერთი ირჩეოდა რომელიმე საბჭოს დეპუტატად“ და „ეს საბჭო, რომელიც არ უნდა იყოს ის, მაინც საერთო შენობის აგური იყო, გავლენას ახდენდა საერთო-სახელმწიფო პოლიტიკაზე“. ეს კი უკვე ზედმეტი იყო. აქაც საჭირო იყო წესრიგის დამყარება: „ძირეული პოლიტიკური უჯრედი უკვე არ არსებობს“.

ამიტომ ჩვენ სავსებით ვიზიარებთ უოლტერ სიტრაინის აზრს იმაზე, რომ „სსრკ-ს, ისევე, როგორც დიქტატორული რეჟიმის სხვა ქვეყნებს, მართავს ადამიანთა მცირე ჯგუფი და რომ ხალხის მასები ქვეყნის მართვაში არავითარ მონაწილეობას არ იღებენ²², ან, ყოველ შემთხვევაში, ეს მონაწილეობა ძალზე უმნიშვნელოა“.

მაგრამ ყოველთვის ბოლოს მაინც ხალხი ზღავს, როგორც არ უნდა გამოიხატოს ეს. ასეა თუ ისე — ხალხის გაჭირვების მიუხედავად, სურსათ-სანოვავის

²² სიტრაინი წერს: „იმაზე“. მაგრამ ის, რაც მან 1935 წელს თქვა, შეეწოდა გაუმჯობესებას ახლაც, და ახალი კონსტიტუციის გამოქვეყნების შემდეგაც კი — ნეტი დაბეჭდილებით.

გაზიდვის, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების თვითღირებულებისა და მისი სახმარი ღირებულების საოცარი ურთიერთშეუსაბამობის თუ საგადასახადო ასაკრეფების გამოისობით მუშისა და გლეხის ინტერესები ილახება, სწორედ მათი ფონდების ხარჯზე იქმნება სამდიდრე, რომელიც განუწყვეტლივ სჭირდება სახელმწიფოს. ასეთი ვითარება იყო პირველი ხუთწლეულის დროს და ასეთი ვითარებაა ახლაც. როცა სახელმწიფოს არსებობისთვის აუცილებელია ~~საქონლის~~ წული სიმდიდრე პრაქტიკულ, მიმდინარე, საქველმოქმედო საჭიროებებშია. ა. შ. იხარჯება, ამის გაგება შეიძლება. შეიძლება ირწმუნო ის, რომ საავადმყოფოები, დასასვენებელი სახლები, კულტურული დაწესებულებები და ა. შ. ხალხისთვის არსებობს. ან, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება იმედი იქონიო, რომ ხალხი ყოველივე ამით ისარგებლებს. მაგრამ რა უნდა იფიქრო, როცა ასეთი სილატაკის ვითარებაში აპირებენ ეროვნული სახსრები, ამხანაგ ჟან პონსისთვის სასიამოვნოდ, საბჭოების (განსვენებული საბჭოების) სასახლის მშენებლობას მოახმარონ. გესმით! 415 მეტრი სიმაღლის ნაგებობა („ნიუ-იორკის მცხოვრებლები, — წერს პონსი, — შურისგან გაფითრდებიან“) დაგვირგვინდება უჟანგავი ფოლადისგან გაკეთებული ლენინის 70-80 მეტრიანი ქანდაკებით, ლენინის თითი რომ თითია, ის 10 მეტრი სიგრძისა იქნება²³. აი, მესმის! ისიც საქმეა, რომ მუშას ეცოდინება, თუ რისთვის კვდება შიმშილით. მან ისიც კი შეიძლება გაიფიქროს, ამისთვის სიკვდილი ღირსო. პური არა აქვს, მაგრამ სამაგიეროდ, იამაყებს (თუმცა, უფრო სწორედ, სხვები იამაყ-იამპარტაუნებენ.) და რაც ყველაზე უფრო შესანიშნავია — აი, ნახავთ, რომ მასებს აიძულებენ დაუჭირონ, თანაც ერთსულოვნად, ერთხმად დაუჭირონ მხარი ამ სასახლის აგებას: მას — რუს ხალხს — ჰკითხავენ, თუ რა უნდა მას პირველ რიგში: კეთილდღეობა თუ სასახლე? და არ აღმოჩნდება ადამიანი, რომელიც არ იტყოდა, თავის თავს მოვალედ არ ჩათვლიდა ეთქვა: ჯერ სასახლე მინდაო.

„ყოველთვის, როცა ვხედავ, როგორ აგებენ დედაქალაქში სასახლეს, მე იმაზე ვფიქრობ, რომ ამით მთელ ოლქს სწირავენ ქოხმახებში საცხოვრებლად“, — წერდა ჟან-ჟაკი („საზოგადოებრივი ხელშეკრულება“, III, 13). საბჭოთა მუშები — „ქოხმახებში?“ ვაი რომ, სტალინის ნებით ისინი ჯურღმულებში შერეკვს.

როცა სსრკ-ში ვიყავი, არაფერი ეს არ ვიცოდი, ისევე, როგორც კონგოში მოგზაურობისას არ ვიცოდი იქ მოქმედი საკონცესიო კომპანიების ამბავი.

ორივე შემთხვევაში მე მხოლოდ აღვნიშნავდი ნგრევით მოვლენებს — ჩემთვის უცნობ მიზეზთა შედეგებს. მე თვალი სსრკ-ზე წიგნის დაწერის შემდეგ ამეხილა. ჩემთვის დოკუმენტები მხოლოდ სიტრაინის, ტროცკის, მერსიეს, ივონის, ვიქტორ სერჟის, ლეგეის, რუდოლფისა და ბევრ სხვათა ნაშრომების გაცნობის შემდეგ გახდა ხელმისაწვდომი. იმან, რაც მათში ვნახე და რასაც მხოლოდ ბუნდოვნად ვხედავოდი, ჩემი დასკვნები დაადასტურა და განამტკიცა. დადგა დრო, რომ საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას თვალი აეხილოს, დადგა იმის დრო, რომ არ ვეცროთ მას. ან, სხვაგვარად თუ ვიტყვით, დადგა დრო, მშრომელები მიხვდნენ, რომ კომუნისტები მათ ისევე ატყუებენ, როგორც თვით კომუნისტებს ატყუებს მოსკოვი.

²³ ჩვენ არ შეგვიძლია — არც აწ, არც სხვაგან, — ეპიკურე დაეყენოთ პონსის მიერ მოტანილი ციფრები. მაგრამ 70-80 მეტრი სიმაღლის ქანდაკებას ათმეტრიანი თითი ექნება?.. იმის იმედი მაინც ვიქონიოთ, რომ ლენინი დამჭლარი იქნება.

ამ უკანასკნელ წელიწადში საკმაოდ ბლომად ვიკითხე მარქსისტული ლიტერატურა, რამაც ის გამოიწვია, რომ სსრკ-ში მყუდროებადარბევული ვიყავი. მეორეს მხრივ, მე სსრკ-ში მოგზაურობაზე დაწერილი ალტაცებული მოკონებებიც ბლომად წავიკითხე. მე დამნაშავე ვარ, რომ ხოტბებს და ვეფხვები ახმს მეტიმეტად მივენდე. ის კი, რასაც შეიძლება შევეფხვნი, არაა მარქსისტული ტონით იყო დაწერილი. მე უფრო მეტი ხალისით სიძულვილზე უფრო სიყვარულს ვერწმუნები. დიახ, მე ყველაფერს მინდობილად მოვეყიდე და ყველაზე მეტად ნაკლოვანებები კი არ შაცბუნებდა. არამედ იქ დანახული პრივილეგიები, რომლებსაც გაუქმებულად ვთვლიდი, რასაკვირველია, სავსებით ბუნებრივია, რომ ცდილობენ სტუმარს რაც შეიძლება უკეთ შეხვდნენ, მას ყველგან აჩვენებენ ყველაფერს საუკეთესოს, რაც კი აქვთ. მაგრამ რამაც განმაცვიფრა, ეს იყო საუკეთესოსა და ჩვეულებრივს, მრავალ პრივილეგიასა და სავალალო, უბადრუკ საერთო დონეს შორის არსებული უფსკრული.

შესაძლოა, რომ ეს ჩემი გონების ხარვეზები და პროტესტანტული აღზრდის შედეგებია: მე ვერიდები, ვუფროთხი მოძვებიან იდეებსა და „მოხერხებულ“ აზრებს — ვგულახმობ იმ იდეებს, რომლებსაც შეუძლიათ მათს აღმასრულებლებს დივიდენდები მოუტანონ.

და მე კარგად მესმის — აქ პირდაპირ კორუფცია რომც არ იყოს, — რაოდენ მოძვებიანია საბჭოთა მთავრობისთვის გულუხვობა მხატვრებთან და ლიტერატორებთან, სხვებთანაც დამოკიდებულებაში, ვისაც ძალუძს მისთვის ხოტბის შესხმა... მაგრამ, მეორეს მხრივ, შეუძლებელია არ დაინახო ის სარგებელიც, რომელიც შეიძლება მიიღოს ლიტერატორმა, რომელიც მხარს დაუჭერს კონსტიტუციას და მის შემოქმედ მთავრობას. და მე მაშინვე ვიძაბები, ვუფროთხი ცდილობას. უზომო მოგება, რომელსაც იქ მთავაზობენ, მაშინებს. საბჭოთა კავშირში მე სარგებლისა და პრივილეგიებისთვის არ მივდიოდი, პრივილეგიები, რომლებსაც მე იქ წავაწყდი, თვალშიმსაცემი იყო.

და რატომ არ უნდა მეთქვა ეს? მოსკოვის გაზეფებიდან შევიტყვე, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში ჩემი წიგნების 400 000-ზე მეტი ეგზემპლარი გაიყიდა. ადვილი წარმოსადგენია ავტორისთვის გადარიცხული პონორარის რაოდენობა. ახლა გულუხვად ანაზღაურებული სტატიები! დითირამები ალუკლინე სტალინსა და სსრკ-ს და მაშინვე მდიდრდები კაცი!

მე ეს მოხაზრებები თავს არ შემაკავებინებდა ხოტბისგან, ისინი ვერც ჩემს კრიტიკულ შეფასებებს გადასხვაფერებდნენ და უნდა ვადიარო, რომ მეტისმეტად მოძვებიანი მდგომარეობა (ვაცილებით მოძვებიანი, ვიდრე ევროპის რომელიმე სხვა ქვეყანაში), რაც უზრუნველყოფილი აქვს ყველას, ვისაც კი ხელში კალმის ალება შეუძლია, — თღონდ კი ის წეროს, რასაც მოითხოვენ, — თავისთავად საგონებელში მაგლებდა, მაფიქრიახებდა. სსრკ-ში ლიტერატორები ვაცილებით უფრო სახარბიელო დღეში არიან, ვიდრე ნებისმიერი მუშები ან ხელოსნები. მოგზაურობაში ჩემი ორი კომპანიონი (ორივეს წიგნი უნდა გამოსულყო რუსულად) ანტიკვარულ და საკომისიო მაღაზიებში დარბოდა, რაკი არ აცოდნენ, თუ როგორ, რაში დაეხარჯათ ავანსის სახით მიღებული რამდენიმე თასი მანეთი, თანხა, რომლის თან წამოდება არ შეუძლიათ. თვითონ მე რაც შემეზება, მხოლოდ ის შევძელი, რომ ცოტაღა მომეკლი ჩემი ფულისთვის, რადგან ჩვენ არაფერი გვაკლდა, ყველაფრით უზრუნველყოფილი ვაყავით. დიახ, ყვე-

ლაფრით — მოგზაურობის ხარჯებით დაწყებული და სიგარეტებით დამთავრებული. და ყოველთვის, როცა საფულეს ვაღებდი ჯიბიდან, რათა რესტორანში ან სასტუმროში ფული გადამეხადა, მარკები ან გაზეთები მეყიდა, ჩვენი ვიღი მომავადობელი ღიმილითა და მბრძანებლური მოძრაობით მაჩერებდა: „თქვენ ხეობთ, ხომ ასეა! თქვენ და თქვენი ამხანაგებიც ჩვენი სტუმრები ხართ“.

იგულისხმება, რომ პირადად მე სსრკ-ში მთელი ჩემი მოგზაურობის დროს არ მომცემია რაიმეს გამო დაჩვილების საბაბი და არ შემიძლებია ჩემში კრიტიკული შეფასებისა და შენიშვნების რაიმე მზაკვრულა ხრიკებით ახსნა — სრული აბსურდია მისი მიჩნევა პირადი უკმაყოფილების გამონატულებად. ასეთ ჩინებულ პირობებში არასოდეს მიმოგზაურია. სპეციალური ვაგონი და საუკეთესო ავტომობილები, საუკეთესო ნომრები საუკეთესო სასტუმროებში, ყველაზე გულუხვი და ყველაზე ნათიფი სუფრები. როგორი მიღებები! როგორი გულსყურა! როგორი თავაზიანობა! ყველგან მხვდებოდა, მელოლიავებიან, პურმარილს მიშლიან, ნებისმიერ სურვილს მიკმაყოფილებენ და სინანულს გამოთქამენ, რომ ჯერჯერობით მეტის გაკეთება არ შეუძლიათ. ჩემის მხრივ ყოველთვის ამის დაუნახაობა უმაღურობა იქნებოდა. და მე ჩემს არსებაში ვინახავ უმშენსურეს მოგონებებს და უგულითადესი მადლიერების გრძნობითა ვარ გამსჭვალული, მაგრამ ეს ყურადღება, ეს ზრუნვა გამუდმებით მახსენებს პრივილეგიებს, განსხვავებებს იქ, სადაც მე თანასწორობის დანახვას ვიმედოვნებდა.

როცა ეაი-ვაგლანით ვახერხებდი ოფიციალური შეხვედრებისა და მეთვალყურეობის არიდებას და მუშების გაცნობას, რომელთა ხელფასიც დღეში 4-5 მანეთია, რა შემდეგ მუფიქრა ჩემს საპატივცემულიად გამართულ ბანკეტზე. რომელზე მიუსვლელია არ შემდეგ. ასეთი ბანკეტები თითქმის ყოველდღე იმართებოდა და ისინი ისე ბარაქიანი იყო, რომ მხოლოდ საუზმეულითაც კი სამჯერ მაინც შეიძლებოდა ისე დანაყრებულიყავი, რომ ძირითად საკვებს არც მიკარებოდი. ეს ორსაათიანი და ექვსკერძიანი სადილები ქანცს მაცლიდა. რამდენა უნდა დამჯდომოდა მე ისინი! ერთხელაც ვერ შევძელი მენახა ანგარიში და ვერ ვასახელებ თანხას, რომლის გადახდაც მომიწევდა. მაგრამ ფასებში ჩახედული ერთ-ერთი ჩემი თანამგზაური მიიჩნევს, რომ ამგვარი ბანკეტი კაცზე ალბათ, 300 მანეთზე მეტი ჯდება ღვინოებისა და ლიქიორების საფასურის ჩათვლით. ჩვენ კი ექვსნი ვიყავით, შეიღნიც კი თარჯიმნიანად, ამას გარდა, ხშირად კიდევ ერთი მდენი, ზოგჯერ კი გაცილებით მეტი მოწვეული პიროვნებაც უჯდა სუფრას²⁴.

მთელი მოგზაურობის მანძილზე ჩვენ, კაცმა რომ თქვას, მთავრობის კი არა, მდიდარი საბჭოთა მწერლების კაცშირის სტუმრები ვიყავით. როცა ჩვენთან და-

24 აქ მომაქვს ერთი გვერდი ჩემი უბის წიგნაკიდან, რომელშიც ყოველდღე ვაგებოდა ჩანაწერებს: „მ საათზე დანიშნული სადილი ცხრის ნახევარზე დაიწყო. 9.15-ზე საუზმევ არ გეჭონდა ნომთავრებელი. (ჩვენ — ერბარჟა, დაბიჟ, კოლცოვმა და მე — კულტურის პარკში ვიბანივეთ და ძალიან მოგვშოვდა). რამდენიმე ღვეჯელი შევკვანე. უხსნი შეხვედრას დასასვენებელ სახლში. 9.30-ზე მოაქეთ ბოსტნეულის წვნიანი შიგ ჩაწყობალი წათმის დიდი ნაჭრებითურთ, ცომში შემწვარი კრევეტები, მათ ნობკვება შემწვარი სოკო, შემდეგ თევზი, ნაირ-ნაირი მოხრავული და მწვანელი... გავდივარ, რომ ხელბარგი ჩავაწყო ჩემოდანში, რამდენიმე სტრიქონი დავწერო „ბრავდისტოვის“ იმ დღის ამბებზე. ხწორედ რომ დროზე ვბრუნდები — ნაყინის დიდი ულუფის გადაყლაბვა მაწევს. ეს ღორმუცელობა არა მარტო გულს მირევს, არამედ მას უგმობ კიდევ. (ეს უნდა ავუხსნა კოლცოვს) ეს ღორმუცელობა არა მარტო აბსურდული, არა მუდ ამორალური, ანტი-სოციალურია.“

კავშირებულ მის დანახარჯებზე ვფიქრობ, ვშიშობ, რომ ჩემი საავტორო უფლებების ოქროვანი ძარღვი, რომელიც იქ დავტოვე, არ იკმარებს მათს ასანახლაურებლად, ნათელია, რომ როცა ასეთ ავანსს იძლეოდნენ, სულ სხვა შედეგს მიღებას ვარაუდობდნენ. და, ვფიქრობ, რომ „პრავდის“ უკმაყოფილება ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ მე მაინცდამაინც „რენტაბელური“ არ გამოვდექი.

გარწმუნებთ, რომ ჩემს საბჭოურ თავგადასავლებზე არც ერთი ტრაგიკული, მე ახალი სამყაროთი აღსაფრთოვანებლად მივემხროვარ, როგორც მისი დაბეჯითებული მომხრე, ენთუზიასტი, აქ კი უნდათ, რომ მიყიდონ პრივილეგიებით, რომლებიც ასე მძულდა ძველ სამყაროში.

— თქვენ ამისა არაფერი გაგეგებათ, — მეუბნება ერთი სანიმუშო მარქსისტი. — კომუნიზმი უარყოფს მხოლოდ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციას, — რამდენჯერ უნდა გაგიმეოროთ ერთი და იგივე?! თქვენ შეგიძლიათ ალექსეი ტოლსტოისავეთ ან დიდი თეატრის მსახიობსავეთ მდიდარი იყოთ, ოღონდ თქვენი ქონება თქვენი პირადი შრომით თუ გექნებათ მოპოვებული. იმაში, რომ ჩვენ ფული, საკუთრება ასე გვძულს, გვეზიზღება, პირადად მე ჩვენი დასაბამიური ქრისტიანობის გადმონაშთს ვხედავ.

— შესაძლოა, ასეც იყოს.

— და დამეთანხმეთ, რომ ამას მარქსიზმთან არავითარი კავშირი არა აქვს.

— ვაი რომ, აქვს...

მე კარგად ვიცი და არაერთხელ მომისმენია, რომ ადამიანის ბუნების საუკეთესო თვისებები, რომლებიც საპასუხო სიმპათიას წარმოშობენ, — როგორცაა გულითადაობა, დიდი გულუხვობა, — ისევე, როგორც ამ ბუნების აშკარა ნაკლებობები, ახალი რეჟიმით კი არა, არამედ რუსი კაცის ნახევრად აღმოსავლური ბუნებითაა გაპირობებული. ამიტომ, ჩემის აზრით, ამათა იმის ლოდინი და იმედი, რომ შეცვლილი სოციალური გარემოებები შეცვლიან ადამიანის ბუნებას. მინდა სწორად გამიგონ: ამას გარემოებები უწყობენ ხელს, მაგრამ ამათ შორის მიზეზობრივი კავშირი არაა. აქ ფონს უბრალო ლოგიკით ვერ გახვალ, ანდივიდუალური შინაგანი გარდაქმნაა საჭირო, სხვაგვარად ბურჟუაზიული საზოგადოება ახალი სახით აღორძინდება, „გარდასული კაცი“ კვლავ იშობა და კვლავ განიმტკიცებს ადგილს ამქვეყნად.

ვიდრე ადამიანი დაბეჩავეებულია, ვიდრე ის დათრგუნულია სოციალური უსამართლობით, უფლება გვაქვს ვიიმედოვნოთ, რომ მისი საუკეთესო თვისებები მომავალში გამოვლინდება. ეთქვას, ბავშვებისგან იშვიათად როდი ელიან საოცრებებს, მაგრამ, როცა ისინი ასაკოვანნი ხდებიან, ირკვევა, რომ ფრიად საშუალო უნარისანი არიან. ცდება ყველა, ვინც ფიქრობს, თითქოს ხალხი საუკეთესო ადამიანებისგან შედგება. ვფიქრობ, რომ ხალხი უბრალოდ ნაკლებადაა წამხდარი, მაგრამ ფულს მისი წახდენაც ისევე შეუძლია, როგორც ყველა დანარჩენისა. და, აი, ნახეთ რა ხდება სსრკ-ში: მათს ახალ ბურჟუაზიას, რომელიც ეს-ესაა ყალიბდება, ისეთივე ნაკლოვანებები აქვს, როგორიც ჩვენსას. სილატაკეს ძლიერ თავსდაღწეულ სსრკ-ის ბურჟუაზიას უკვე სძულს ჩვენები. მან, დახარბებულმა ყველა იმ სიკეთეს, რომელიც ამდენხანს აკლდა, იცის, როგორ შეიმძლება მათი მოპოვება და ამადაც ბოლომდე, ქანცისგაცლამდე იბრძვის მათი

შენარჩუნებისთვის. „ნუთუ ისინი ნამდვილად ის ადამიანები არიან, რომლებმაც რევოლუცია მოახდინეს?“ – ვწერდი „სსრკ-დან დაბრუნებაში“. მათ შეუძლიათ პარტიის წევრები იყვნენ, მაგრამ მათ გულში კომუნისტური აღარაფერი დარჩა.

IX



მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: რუსი ხალხი ბედნიერი ჩანს. ვილდრაკი და პონსი ამაში კეთილშეშობები და მათი ხარკევეების წაკითხვის შემდეგ უკიდურესად გაის მსგავსი რაღაც განვიცადე. ეს იმიტომ, რომ მეც ვამტკიცებდი: სსრკ-ის გარდა, არცერთ სხვა ქვეყანაში ხალხი – ქუჩაში მიმავალნი (ყოველ შემთხვევაში, ახალგაზრდობა), კულტურის პარკებში დასასვენებლად გამოსული მუშები – არსადაა ასე მხიარული და სახეგაბადრული. ეს გარეგნული გამომეტყველება როგორ შევუთავსოთ მოსახლეობის დიდი უმრავლესობის შემადრწუნებელ ცხოვრებას?

ისინი, ვისაც სსრკ-ში ბევრი უმოგზაურიათ, ამტკიცებენ, რომ ვილდრაკი, პონსი და მე თვითონაც, ტურისტული მარშრუტებიდან რომ გადაგვეხვია და მხოლოდ დიდი ცენტრები არ გვენახა, სხვაგვარად აუჭიკჭიკლებოდიო. ისინი ლაპარაკობენ მთელ რაიონებზე, სადაც არასასიკეთო, ბედშავი ვითარება თვალშისაცემია და მაშინ...

სსრკ-ში სილატაკე შეუმჩნეველია. ის იმალება, – თითქოს რცხვენიაო. მასი სახე აშკარად რომ ჩანდეს, ის ჩვენს თანაგრძნობას, თანაღმობას კი არა, ზიზღს გამოიწვევდა. იმათი კეთილდღეობა კი, ვინც არ იმალება, ამ სილატაკის ხარჯზეა მოპოვებული. მაგრამ მაინც შეგიძლიათ ნახოთ ადამიანები, თანაც მშინერნი, ღიმილსა და სიხარულს რომ აფრქვევენ. მე უკვე ვთქვი, რომ მათი ბედნიერება დაფუძნებულია „ნდობასა, უცოდინრობასა და იმედზე“²⁵. და თუ ყველაფერი, რაც ჩვენ სსრკ-ში ვნახეთ, იქითკენაა მიმართული, იმისთვისაა გამიზნული, რომ სიხარულის შთაბეჭდილება შეგვიქმნას, გასაგებია, რომ ყველაფერ უსიხარულოს ეჭვის თვალთ შევხედავთ. იყო დაღონებული, მოწყენილი, ან, ყოველ შემთხვევაში, ეს არ დამალო, – მეტისმეტად საშიში რამაა. რუსეთი ის ქვეყანა არაა, სადაც დაჩივლება შეიძლება. ამისთვის არსებობს ციმბირი.

სსრკ მრავალმილიონიანი ქვეყანაა და ადამიანთა სულადობის „გამეჩხერება“ აქ შესამჩნევი დანაკლისის გარეშე ხორციელდება. შეუმჩნეველი რომაა, სწორედ ამითაა ეს „გამეჩხერება“ ტრაგიკულზე ტრაგიკული პროცესი. საუკე-

²⁵ თუმიცა გვმართებს რუსი ხალხის ცხოვრებასთან შემგუებლობის გასათვარი უნარის გათვალისწინებაც. ეს „კატისებური სიცოცხლისუნარიანობააო“, ამბობდა დოსტოევსკი, რომელსაც უცვირდა, გაუგონარ ტანჯვა-წამებათა გოჯთეთგამთვლილმა ხალხმა როგორ გადაირჩია თავი და როგორ არ იკლო რაოდენობრივად, მისი აღუხოცველი სიცოცხლისმოყვარეობა. შერწყმული ამათიასა და გულგრილობასთან, მათც უფრო მეტად და უფრო ხშირად შერწყმულია შინაგან მოღიანობასთან, სიმკვირცხლესთან, ლირიზმთან, სიღრმეებიდან ნჩქეფარე, აუხსნელ სიხარულთან – არ აქვს მნიშვნელობა როდის, სად, როგორ... მართლაც, ასეც შეიძლება ითქვას: განსაკუთრებული წინასწარგანწყობა, ბედნიერებისკენ ღებოლვა ყველაფრის მიუხედავად, და დოსტოევსკი სწორედ ამ მიმართებითაა ყველაზე უფრო საფულისხნო მოვლენა, ის ყველაზე მეტად, ყველაზე გულისშემძვრელად ამით მაღაღვებს. დოსტოევსკის მეოხებით სწორედ ასეთი ძნური გრძნობით ვეკიდები მთელ რუს ხალხს, უეჭველია, რომ არცერთი სხვა ხალხი არ დაპყვებოდა ასეთი დიდსულოვნებით ამგვარ ტრაგიკულ ექსპერიმენტს.

თესონი ქრებიან, საუკეთესოთ იცილებენ, საუკეთესოთ არა შრომის ფიზიკური ნაყოფიერების აზრით, არამედ მათ, ვინც ყველასგან განსხვავდება, გამოირჩევა საერთო მასიდან, რომლის ძალა და დარაზმულობა სწორედ საშუალოთა ერთობას ემყარება. საშუალოთა კი ყოველთვის მალლა, ხევით მისწვევენ და არა ქვევით.

სსრკ-ში კრიტიკასა და აზრის თავისუფლებას „ობოზრაციას“ ეყაბიან. სტალინი მხოლოდ ყველას მხარდაჭერას სცნობს. მათ, ვინც მას ტყუილად უკრავს, მტრებად მიიჩნევს, არცთუ იშვიათად ის თვითონაც ინტელექტუალურად მიმდინარე რეფორმას, მაგრამ ის თუ რაიმე იდეას ახარციელებს, ვერ ამ იდეის შემომთავაზებელს იცილებს, რათა ამით უფრო მკვეთრად გაუსვას ხაზი იმ აზრს, რომ ეს იდეა მისია. ეს მისი სიმართლის დამტკიცების წესია. მალე ის ყოველთვის სწორი იქნება, იმიტომ, რომ მის გარშემო არ ღარნიებიან იდეათა შემთავაზების უნარის მქონე ადამიანები. ასეთია დესპოტიზმის განსაკუთრებულობა — ტირანი მოაზრავნეთ კი არა, მონურად მორჩილთ აჩლოვებს.

ნებისმიერი მუშაკაცები, რა საქმის გამოც არ უნდა წარდგენენ ნებისმიერი სასამართლოს წინაშე და რაც არ უნდა მართალი იყოს, ვაი მათ დამცველ ადვოკატს, ხელმძღვანელობამ მათი გაწირვა თუ განიზრახა.

ახლა ათასობით გადასახლებულნი... ისინი, რომლებმაც ვერ შეძლეს, არ ისურვეს თავის ჩაღუნვა, ქედის მოხრა, რასაც მათგან მოითხოვდნენ. პირადად მე არავინ მემუქრება, მაგრამ მე არ შემიძლია, როგორც X-მა თქვა, ისე ვთქვა: „დალაზროს ეშმაკმა, ასეთი რამ ერთხელაც ხომ შეიძლებოდა მეც დამმართოდა...“ მე ვხედავ ამ მსხვერპლთ, მე მესმის მათი ხმები, მათ ვგრძნობ ჩემს ირგვლივ. სწორედ მათმა ჩახშობილმა ყვირილმა გამაღვიძა დღეს ღამით, მათი ღუმილი მკარნახობს ამ სტრიქონებს. ამ წამებულებზე როცა ვფიქრობდი, დავწერე სიტყვები, რომლებმაც თქვენი პროტესტი გამოიწვია, იმიტომ დავწერე, რომ მათა ღუმილით აღიარება ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი რამაა, ვიდრე „პრაკდის“ მიერ შექება ან მის მიერ ჩემი შეძულება.

მათ არავინ გამოესარჩლება. მათ მხოლოდ შემარჯვენე გახეთები თუ გაიხსენებენ იმისთვის, რომ გაღანძლიან რეუმი, რომელიც მათ ჭირის დღესავით ეჯავრებათ. ისინი კი, ვისთვისაც ძვირფასია თავისუფლებისა და სამართლიანობის იდეები, ვინც იბრძვის ტელმანისთვის — ბარბიუსები და როლანები — მიჩუმიდნენ. ისინი ღუმან. მათ გარშემო კი დაბრძავებული პროლეტარული მასებია.

მაგრამ როცა მე აღშფოთებას გამოვთქვამ, თქვენ მიხსნით (და თანაც, მარქსის დამოწმებით), რომ ეს ნამდვილი, თვალნათლივი უკეთურებაა (მე მხოლოდ გადასახლებებზე კი არა, მუშების სიღატაკებზეც, დაბალ ან ზომიერად დასულად დიდ ხელფასებზეც, ადგილილ პრივილეგიებზეც, კლასების შეუმჩნეველად აღორძინებაზეც, საბჭოების გაქრობაზეც, რევოლუციის ყველა მონაპოვრის თანმიმდევრულ გაქარწყლებაზეც ვლაპარაკობ), მეცნიერულად მისაბუთებთ, რომ ეს უკეთურება გარდაუვალია, რომ თქვენ, დიალექტიკაში (ხრიკიანობაში) გაწაფული ინტელექტუალები, ამას აღიქვამთ ღროებით უკეთურებად, რომელმაც ღიად სიკეთესთან, კეთილდღეობასთან უნდა მიგაყვანოთ. თქვენ, ჭკვიანი კომუნისტები, აღიარებთ, რომ ეს უკეთურება არსებობს, მაგრამ მიგაჩნიათ, რომ სჯობია ეს დაუმალოთ იმათ, ვინც თქვენზე ნაკლებ ჭკვიანია, იმიტომ დაუმალოთ, რომ ამის გაგება, ალბათ, მათ პროტესტს გამოიწვევდა.

შესაძლოა, ვინმეს არგოს ჩემმა ნაწერებმა — მე ამას ხელს ვერ შევუშლი. მეტიც, რომც შემძლებოდა, მაინც არ შევუშლიდი. მაგრამ რომელიმე პოლიტიკური პარტიის სასარგებლოდ წერაზე უარს ვამბობ, — ეს საქმე სხვებისთვის გადამილოცნია. ჩემი ახალი მეგობრები — კომუნისტები გაცნობასთანავე გაფრთხილეს, რომ არასოდეს გავხდებოდი მათი რეკრუტირებული თანამშრომლები. იმის მიერ შემთხვევაში მათი შეხედულების მქადაგებელი.

„ინტელექტუალ კომუნისტებს პარტია უნდა მოეკიდოს, როგორც მძიმე მუშაკებს, რომელთაც დაფრთხობაც შეუძლია, მაგრამ რომლის ძირიდანაც ყოველთვის მართებს“, — წავიკითხე სადღაც ამასწინათ. ო, რა ზუსტადაა ნათქვამი! ოდესღაც ამასვე ხშირად ვუბნებოდი ვაიან კუტიურეს, მაგრამ მას ამის გაგონებაც კი არ სურდა.

არ არსებობს პარტია, რომელიც თავს შემაკავებინებდა, რომელიც შეძლებდა დაეშალა ჩემთვის ის, რომ ყველაფერზე მაღლა, თვით პარტიაზე მაღლაც კი, ჭეშმარიტება დამყენებინა. სიცრუე მაცოფებს, ჩემი მოვალეობაა ვამხილო ის, მე ჭეშმარიტებას ვემსახურები, და თუ პარტია მას უარყოფს, მაშინ მე პარტიას უარყოფ.

მე ძალიან კარგად ვიცი (და თქვენ ჩემთვის არაერთგზის გითქვამთ), რომ „მარქსისტული თვალსაზრისით“ ჭეშმარიტება, ყოველ შემთხვევაში, აბსოლუტური მაინც, არ არსებობს. ჭეშმარიტება მხოლოდ ფარდობითი შეიძლება იყოს. მაგრამ აქ საქმე ეხება სწორედ ფარდობით ჭეშმარიტებას, რომელსაც თქვენ ამახინჯებთ. და უფიქრობ, რომ ასეთ რთულ საკითხებთან დამოკიდებულებისას სხვათა შეცდენის გზა უკვე თავისთავადაა ცდომილება, შეცდომა, მაგრამ ის, ვისაც თქვენ ატყუებთ, გახლავთ ხალხი, რომელსაც თქვენ, როგორც ამას აცხადებთ, ემსახურებით, ღმერთმანი, კარგი სამსახურია, თუ თქვენ მას აბრმავეთ!

მთავარია საგნების ნამდვილ სახეს ვხედავდეთ და არა ისეოს, როგორის დანახვაც გვეჩვენა. საბჭოთა კავშირმა ვერ გაამართლა ჩვენი იმედები, არ შესრულა თავისი დაპირებები, თუმცა კვლავ და კვლავ ცდილობს ილუზიება მოგვახვიოს თავს, მეტიც, მან ყველა ჩვენს იმედს უღალატა. და თუ ჩვენ გვინდა, რომ ეს იმედები მაინც გადარჩეს, ბევრი რამის გადასინჯვა გვმართებს.

მაგრამ, დიადი და წამებულ რუსეთო, ჩვენს თვალსაწიერში დარჩება. თავიდან შენ თუ მაგალითი იყავი, ახლა — ვაი რომ! — შენ გვიჩვენებ, თუ როგორ განქარდა რევოლუცია.

თანამშრომლობა

I

რაკი ვშიშობდი, რომ მართლაც მოგზაურობა არ ივარგებდა, კიდევ ხუთი თანამგზავრი მოვნახე. ამას გარდა, მინდოდა სასიამოვნო მოგზაურობით სხვებისთვისაც შესიამოვნებინა. ყველა ჩემსავით წინასწარ აღტაცებული, ზომიერად ეგზალტირებული, ახალი რეჟიმის დაჯერებული, მოჯადოებული, გულმხურვალე თაყვანისმცემელი იყო. მათ ღრმად სწამდათ, რომ სსრკ-ს დიდებული მომავალი ჰქონდა. ჩემი თანამგზავრები ძალიან განსხვავდებიან ჩემგან, სხვადასხვა

ასაკისა არიან (ყველა ჩემზე საგრძნობლად ახალგაზრდაა), ერთმანეთისგან გამორჩევიან ტემპერამენტით, აღზრდითა და წრით, და, ამის მიუხედავად, ჩინებულად ვეგუებით ერთმანეთს. დიახ, მე ნამდვილად ვფიქრობდი, რომ იმისთვის, რათა უკეთ დაინახო და უკეთ გაიგონო, ექვსი წყვილი ყური და თვალი ხელმეტი არ იქნებოდა და ეს ხელს შემიწყობდა სხვადასხვა შთაბეჭდილებები / გამეერთინიშვნელებინა.

ეროვნული

თქვენ იცნობთ ამ თანამგზავრებს. შეგახსენებთ: ჯეფ ბლასტეიშეფრინი, ეჟენ დაბი, პიერ ერბარი, ლუი გიიიუ.

ამათგან ორნი დიდი ხანია პარტიის წევრები არიან, ძალზე ერთგული და აქტიური წევრები.

ორმა რუსული იცის, ამას გარდა, ჯეფ ლასტი უკვე მეოთხედ მოგზაურობს სსრკ-ში. პიერ ერბარი ნახევარ წელიწადზე მეტ ხანს ცხოვრობდა მოსკოვში, იქ ხელმძღვანელობდა ოთხ ენაზე გამოძავალ პროპაგანდისტულ ჟურნალ „ინტერნაციონალურ ლიტერატურას“, ამის გამოისობით ყველა ინტრიგის, ყველაფრის საქმის კურსში იყო, რაც კი ხდებოდა. თანაც ეს ძალზე გამჭრიახი გონების კაცი, უდავოდ, ბევრ რამეში დამუხმარა, ანუ ამიხსნა ბევრი რამ, რასაც მე ჩემით, რასაკვირველია, ვერც მოვიანზრებდი. პატარა მაგალითს მოვიტან:

მოსკოვში ჩვენი ჩასვლის მეორე დღეს (მე და პიერ ერბარი პარაზიდან ჩაფურინდით, — ერბარი პარიზში სამი დღით იყო, — დანარჩენები ათი დღის შემდეგ გემით უნდა ჩამოსულიყვნენ ლენინგრადში) მესტუმრა ბუხარინი. ის ჯერ კიდევ ძალზე პოპულარული იყო. უკანასკნელად, როცა რაღაც კრებაზე მივიდა, ხალხი ოვაციებით შეხვდა. მაგრამ უკვე შეუშინეველად ახლოვდებოდა მისი შერისხვის უამი და პიერ ერბარი, რომელიც ცდილობდა თავის ჟურნალში დაებეჭდა ბუხარინის შესანიშნავი სტატია, ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა. ყველაფერი ეს უნდა მცოდნოდა, მაგრამ მე ეს მხოლოდ მოგვიანებით გავიგე. ბუხარინი მარტო მოვიდა, მაგრამ სასტუმრო „მეტროპოლში“ ჩემთვის შემოთავაზებული დიდებული ნომრის ზღურბლზე გადმოაბიჯა თუ არა, ფეხდაფეხ შემოიყვანა კაცი, რომელიც ჟურნალისტად გაგვეცნო. ჩვენს საუბარში წარამარა ერეოდა და, უბრალოდ, ჩაგვიშალა საუბარი. ბუხარინი თითქმის მაშინვე წამოიღვა, მე წინკარამდე მივაცილე და იქ მითხრა, იმედი მაქვს, რომ კიდევ გნახავთო.

სამი დღის შემდეგ მას შევხვდი გორკის დაკრძალვაზე, უფრო ზუსტად, მისი დაკრძალვის წინააღმდეგ, როცა ცოცხალი რიგი მიემართებოდა ვარდებით მორთული მონუმენტური კატაფალკისკენ, რომელზეც გორკის ცხედარი ესვენა. ნეზობელ, გაცილებით პატარა დარბაზში შეიკრიბნენ „პასუხისმგებელი პირები“. მათ შორის იყო დიმიტროვი, რომელსაც არ ვიცნობდი და მისასაღმებლად მივეახლე. მის გვერდით იდგა ბუხარინი. როცა დიმიტროვს მოეცილდი, ბუხარინმა ხელმკლავი გამიყარა, ჩემკენ დაიხარა და მკითხა:

— შემიძლია თუ არა ერთ საათში „მეტროპოლში“ შემოვიაროთ?

პიერ ერბარმა, რომელიც მე მახლდა და ყველაფერს ისმენდა, ხმადაბლა მითხრა: „სანამდღოს დავდებ, რომ ის ამას ვერ შეძლებს“.

და, მართლაც, კოლცოვმა, რომელმაც დაინახა, თუ როგორ მოვიდა ჩემთან ბუხარინი, მაშინვე გვერდზე გაიყვანა ის. არ ვიცი, რა შედეგო მისთვის ეთქვა, მაგრამ რა ხანიც მოსკოვში ვიყავი, ბუხარინი მეტად აღარ მინახავს.

ეს რეპლიკა რომ არა, ვერაფერს გავიგებდი. ბუხარინს გულმაევიწყად მივიჩნევდი, ვიფიქრებდი, რომ მისთვის, ბოლოს და ბოლოს, მაინცდამაინც დიდი

მნიშვნელობა არც ჰქონდა, მნახავდა თუ არა, მაგრამ ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ ის ამას ვერ შეძლებდა.

ლენინგრადიდან — პიერ ერბარი და მე იქ დავხვდით გემს, რომლითაც ჩა-
ბოვიდნენ გიიუ, შიფრინი, ლასტი და დაბი — ყველანი საგანგებო ვაგონით გა-
კემზავრეთ მოსკოვს. რამდენიმე დღის შემდეგ ამავე ვაგონით ორჯერ დავესვენე
გავიშურეთ, შემდეგ სამი კომფორტაბელური ავტომობილით კავკასიისაკენ
და თბილისში აღმოჩნდით. საქართველოს დედაქალაქში ერთი დღის დაგვიანუ-
ბით ჩავედით. ამის გამო ჩვენს შესახვედრად წამოსული გულისხმიერი ქართვე-
ლი პოეტები იძულებულნი იყვნენ მთელი დღე-ღამე დაგვლოდებოდნენ მთებში,
სასაზღვრო პუნქტთან. ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა ვთქვა, თუ როგორ
ამაღელვა და ამიჩუყა გული მათმა მიღებამ, მოკრძალებულობამ, დახვეწილმა
თავაზიანობამ და გულითალობამ. თუ რაღაც საოცრებით ეს წიგნი მათ ხელში
მოხვდება, დაე, უწყოდნენ, რომ მათ მიმართ — რაც არ უნდა უთხრან — უაღრესი
მადლიერების გრძნობითა ვარ გამსჭვალული.

II

თბილისი, რომელმაც თავიდან იმედი გაგვიცრუა, დღითი დღე უფრო და
უფრო მომწონდა. ჩვენ იქ ორი კვირა დავყავით და იქიდან ოთხი დღით გავემ-
მზავრეთ კახეთში — ყველა თვალსაზრისით საინტერესო და შესანიშნავი მოგ-
ზაურობა იყო, მაგრამ კარგა გვარიანად დაგვღალა. შიფრინმა და გიიუმ, რომ-
ლებიც მოგზაურობის სიძნელეებს ნაკლებ იყვნენ შეჩვეული, ბოლოს განაცხა-
დეს, შთაბეჭდილებებისგან, ემოციებისგან დავიქანცეთ და საფრანგეთში დაბრუ-
ნება გვინდაო.

სინანულით გამოვეთხოვეთ მათ — ისინი ჩინებული თანამგზავრები იყვნენ,
თუმცა შემდეგში, როცა აუტანელი სიცხე დადგა, მათ შევნატროდით.

მაგრამ ჩვენი მოგზაურობის ეს მეორე ნახევარი გაცილებით უფრო ჭკუის
სასწავლებელი იყო. ჩვენ მეტი თავისუფლება ვიგრძენით, ნაკლებ გვატყუებდ-
ნენ, მოგვეცა ადამიანებთან უშუალო ურთიერთობის საშუალება და თვალი უკვე
ნამდვილად აგვეხილა.

აქ ამ უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე (ზოგნი ამბობენ, ორმოცდაათი
წელიაო) ასეთი სიცხე არ ყოფილა. თუმცა, ჩვენ მაინცდამაინც არ გვიმძიმდა ამ
სიცხის გაძლება და არაფერი მიგვანიშნებდა იმაზე, რომ დაბის უბედურება და-
ატყდებოდა თავს. მე აღშფოთებით ვაცხადებ პროტესტს იმის გამო, რაც დაბის
ავადმყოფობასთან დაკავშირებით შეითხზა. ყველაზე უფრო კეთილმოსურნე
ადამიანები არასწორ დიაგნოზზე ლაპარაკობდნენ. შესაძლოა, სსრკ-ში სკარლა-
ტინას (ქუნთრუშას — მთარგმ.) ეძახოდნენ სხვადასხვა სტრუქტოკოკებით გა-
ძოწვეული ინფექციური დაავადებების მთელ წყებას, მაგრამ დაბის არ ჰქონდა
დამახასიათებელი ღებინება, რომლითაც იწყება ნამდვილი ქუნთრუშა. უკვე პა-
რიზში ვნახე სტატისტიკური სამედიცინო დასკვნა და გამაოცა სსრკ-ში ამ და-
ავადების არაპროპორციულად მაღალმა პროცენტმა სხვა ქვეყნებთან, აგრეთვე სხვა
დაავადებებთან შედარებით. სწორედ ამ ფაქტმა მაიძულა მევარაუდა, რომ ტერმინი
„სკარლატინა“ იქ გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობით გაიაზრება, ვიდ-
რე ჩვენთან. როცა ამას ვაქცევ ყურადღებას (რაც არ გამორიცხავს დიაგნოზის
დასმის შეცდომას — ეს არც პარიზშია გამორიცხული, — შემძლია დავიმოწმო

ორი სამწუხარო მაგალითი, როცა შარლ-ლუი ფილიპსა და ჯაკ რივიერს უბრალო გრიპისგან არჩენდნენ, სინამდვილეში კი, როგორც შემდგომ გაირკვა, ეს ტიფის ციებ-ცხელება ყოფილა), მე ვამტკიცებ, რომ დაბი უზრუნველყოფილი იყო მუდმივი და ყველაზე საგულდაგულო მოვლით, მის მდგომარეობას კონტროლს უწევდა სევესტობოლის სამი საუკეთესო ექიმი, აგრეთვე ამხანაგი ბოლია, რომელმაც განსაკუთრებული თაყვანება გამოიჩინა.

იძულებული ვარ პროტესტი განვაცხადო დაბის უჩვეულოდ დასრულებული და დაკვირვებით შეთხზულა სიცრუის გამოც. ისინი, ისევე, როგორც დაბის კუთვნილი სხვა ქალაქებიც, მის ოჯახს გადავეცი — მართალია, ისინი ერთხანს ჩაბოკვართვეს, მაგრამ მათში არაფერი აღმოჩნდა ისეთი, რომ ცენზურას ყურადღება გაემახვილებინა. დაბი უაღრესად ფროთხილი კაცი გახლდათ. მან არაერთხელ მითხრა, რომ, საუბრებს რაც შეეხებოდა, ყველაფერში მუნდობოდა²⁶. თვითონ ყველანაირად ერიდებოდა დისკუსიებში ჩაბმას, რომლებსაც შეეძლოთ მისი სიმშვიდე დაერღვიათ და მუშაობაში ხელი შეეშალათ.

²⁶ ეს იცოდნენ ჯეფ ლასტმა და პიერ ერბარმა, რომლებიც უკანასკნელ ხანს როგორცობით ცნობრობდნენ მასთან ერთად ნომერში და რომლებთანაც უფრო ხშირად და უფრო გულახდილად საუბრის საშუალებაც ჰქონდა, ვიდრე ჩემთან. ისინი სწორედ ამიტომ გამოთქვამდნენ პროტესტს პიერ შიზის იმ ბრალდების გამო (ეს ბრალდებები ძალიან თავაზიანი ფორმით იტყუებოდა), ვითომ მე გარკვეული თვალსაზრისით გამოიყენებინა დაბის სახელი. როცა მის მიმდევრები ჩემი წიგნი — „მია გვერდით, მასთან ერთად განცდილასა და ნაფიქრალის ინარჩუნება“.

აი, პ. ერბარის სტატიის ნაწილები: „მე მინდა ვაუწყო ფროდმანს — „სარკ-დან დაბრუნების“ ექვნი დაბისადმი მიძღვნილ გამო“ — თუ რაზე ვილაპარაკებ მე და დაბიმ სევესტობოლში მას სიკვდილის წინაღობა.

მას ძალიან ეწადა, რომ საფრანგეთში დაბრუნებულ ყოფს გამოეხატა ის შიში, რომელიც ორივეს იპყრობდა მოგზაურობის დროს. „ის ამბულებს საზოგადოებას, რომ მოუხმინონ, — ამბობდა დაბი, — ადამიანები მიხვდებიან, რომ მეგობარია ლაპარაკობს“.

როგორადაც არ უნდა გაიგონ ამგვარი მიძღვნები, არავის შეუძლია ექვი შეიტანოს იმაში, რომ ყიღა უფლება აქვს — და ეს შეუძლია თავის მოვალეობადაც ჩათვალოს — სარკ-ზე თავის განსჯისას მოიხსენიოს ჩვენი მეგობარი“.

(„Vendredi“, 1937 წ. 29 იანვარი)

და აი, ჯეფი ლასტის წერილიც:
„მვირფასო ფროდმან, ძალიან გამაკვირვებ თქვენს სტატიაში შემდეგმა შენიშვნამ: „მაგრამ განა თვითონ დაბინე არ გააკრიტიკებდა, არ შეაკვებდა ამ შთაბეჭდილებებს (ის ვარაუდობდა გაეგრძელებინა სარკ-ში ყოფნის ვადა, ამბობდა, რომ იქ დაბრუნებას აპირებდა)?“

განა ის ყიდზე მეტად ვერ შეიგნებდა, რომ ეს შთაბეჭდილებები მხოლოდ ფსიქოლოგიურ ინტერესს არ იწვევდნენ? განა ის არ დაუფიქრებოდა იმას, რომ ამ შთაბეჭდილებებს (მათს არასაკმარისობაზე თვითონ მელაპარაკა შავ ზღვაზე შეჩვედრის დროს) შეიძლებოდა ეკოდნე დიდი პოლიტიკური რეზონანსი პტონოდა და ისიც ასეთ ნომენტში?

რამდენადაც ეს კითხვები შეიძლება დაისვას, უფლება არა მაქვს გაერქმდე“.

არა მგონია, რომ ეს მთლად ზუსტი მოსაზრება იყოს.
უკვე თბილისში დაბის შევტყუო, რომ შესამჩნევად უნდებოდა ინტერესი ამ მოგზაურობისადმი. მე ბევრჯერ ვესაუბრე მას, მაგრამ ერთხელაც არ გამოუხატავს სარკ-ში ყოფნის გახანგრძლივების ან იქ ხელახლა ჩასვლის სურვილი. პირიქით, ის ჭიუტად ეწინააღმდეგებოდა ჩვენს განზრახვას, რომ გაგვეგრძელებინა მოგზაურობა და კიევში შეგვეღლო. მას უნდოდა ჩვერა დაბრუნებულიყო მოსკოვში, იქიდან კი საფრანგეთში, ხშირად გამოიჩენებოდა სურვილს მშვიდად ემუშავა ესპანურ პატარა სოფელში და დაემთავრებინა წიგნი ელ გრეკოზე: სარკ-ში მას ბევრი რამ არ მოსწონდა ისევე, როგორც ჩვენ — ყველას, მაგრამ რეაქცია ყველას სხვადასხვაგვარი გვექონდა. დაბი ხშირად საუბრობდა ამაზე ვიდრე და, რამდენადაც ის მებრძოლი არ იყო, ყიდზე ამყარებდა იმედს. მიმაჩნია, რომ ყიდის მიერ დაწერილი წიგნი სწორედ ისეთი წიგნია, როგორც დაბის სურდა, როგორსაც ელოდა ყიდისგან.

„ჯეფ ლასტი“.

ბოლო დღეებში ის მხოლოდ ამაზე ფიქრობდა — რამდენჯერმე მელაპარაკა რომანზე, რომლის გადაკეთებას და გადაწერას აპირებდა, რამდენადაც მისი თავდაპირველი ჩანაფიქრი შეიცვალა. და, ვფიქრობ, ის არაფერს დატოვებდა სსრკ-ში გამომგზავრების წინ დაწერილი ასობით გვერდიდან.

„როგორც კი დაბრუნდები, მაშინვე ჩავუჯდები, მაშინვე“, — სულ ასე ამბობდა. ეს სანუკვარი სურვილი არ ასვენებდა, მზად იყო თუნდაც მარტო წამოეღო სულიყო იქიდან, რადგან ლაპარაკი იყო იმაზე, რომ სამშობლოში დაბრუნებისას გზად ოდესასა და კიევშიც შეგვევლო.

დაბის, ისევე როგორც მე, როგორც ჩვენ ყველას, საბჭოთა კავშირით აღტაცების მიუხედავად, ბევრი რამ აწუხებდა, ის კი, ისევე როგორც ჩვენ, ვარაუდობდა, რომ მხოლოდ იმას ნახავდა, რაც აღაფრთოვანებდა. უბრალო ხალხიდან გამოსული, სულითა და გულით პროლეტარიატის საქმის ერთგული დაბი თავისი ტემპერამენტით არ გახლდათ მებრძოლი. ის უფრო სანჩო პანსა იყო, ვიდრე დონ კიხოტი. მონტენით გაზრდილი დაბი სიცოცხლეს ყველა სხვა იდეალზე ძაღლა აყენებდა და თვლიდა, რომ არცერთი იდეალი არ ღირს იმად, რომ მისთვის სიცოცხლე გასწიროს კაცმა. ის ძალზე შეფიქრიანებული, შეწუხებული იყო ესპანეთის მოვლენებით და არამც და არამც არ უშვებდა, რომ ვინმე თუნდაც წუთით შეეჭვებულებოდა იქ მთავრობის ჯარების გამარჯვებაში. მისთვის საკმარისი არ იყო მხოლოდ წარმატების რწმენა ჰქონოდა. მას უნდოდა ეფიქრა, რომ გამარჯვება უკვე მიღწეულია. მაგრამ ძალიან ძრახავდა ჯეფ ლასტს, როცა ის ესპანეთში მოხალისედ წასვლაზე ლაპარაკობდა, რაც შემდეგ განახორციელა კიდეც. ერთ საღამოს სევასტოპოლში, ერთად გატარებული უკანასკნელი დღის წინაღვეს, მე დავინახე ის, ჩვეულებრივ ძალზე მშვიდი კაცი, უცებ როგორ შეტოკდა, როცა ჯეფ ლასტმა განაცხადა, ფაშისტურ ქვეყანაში ცხოვრებას შირჩენია ჩემი შვილები დახოცილი ვნახოთ.

„ის, რასაც შენ ახლა ამბობ, შემზარავია, — იფეთქა დაბიმ (ასეთი მისი ლაპარაკი პირველად მესმოდა), მუშტი დაარტყა მაგიდაზე, რომელსაც ჩვენ სამნი ვუსხედით, — შემზარავია! შენ არ გაქვს უფლება, რომ იდეისთვის გასწირო სხვების სიცოცხლე. შენ შენი საკუთარი სიცოცხლის გაწირვის უფლებაც კი არ გაქვს“.

ის ამაზე დიდხანს, დიდი აღმაფრენითა და მჭევრმეტყველურად ლაპარაკობდა. სხვათა შორის, ჯეფიც. მე ერთის ლაპარაკიც მომწონდა და მეორესიც ცალკე-კაცმა რომ თქვას, მე აღმაფრთოვანებდა ჯეფის მგზნებარება, მაგრამ აღმაფრთებული დაბის საღი აზროვნება უფრო მომწონდა. „კარგი იქნებოდა, — ვფიქრობდი მე, — ცხოვრებაში წონასწორობისთვის ერთიც იყოს და მეორეც“. მაგრამ როცა დაბის საპასუხოდ ჯეფიმ „უნამუსობაზე“ წამოიწყო ლაპარაკი, იძულებული გავხდი ამ კამათში ჩავრეულიყავი. ვითხოვე, რომ ეს სიტყვა საერთოდ არ ეხსენებინათ საუბარში, რადგან, ზოგჯერ თუ დიდი მამაცობაა საჭირო ბრძოლისთვის, შეიძლება არანაკლები სიმამაცე დასჭირდეს ბრძოლაში ჩაურევლობას.

ეს დავწერე და გამახსენდა ეიონო და მისი „მორჩილებაზე უარის თქმა“. დაბის ძალიან უყვარდა ეიონო და რაღაცით ჰგავდა მას. ერთსაც და მეორესაც მსჭვალავდა „ფესვების გრძნობა“ (თუ რა იგულისხმება, ამას მთელი სიგრძე-

სივანით მხოლოდ ის გაიგებს, ვისაც თვითონა აქვს ეს გრძნობა)²⁷. ჩვენ ხშირად გლამარაკობდით ჟიონოზე საქართველოში, გვეჩვენებოდა, რომ ეს ძლიერი, ნაცოფიერი ქვეყანა სწორედ მისთვის იყო შექმნილი.

არ შეიძლება ითქვას, თითქოს დაბი ინტერესს კარგავდა მოგზაურობისადმი, მაგრამ ჩვენზე ნაკლებად კი იზიდავდა. ის სულ უფრო და უფრო ხშირად განმარტოვდებოდა, კითხულობდა, წერდა ან ფლირტობდა²⁸. „ის“ იმდენად კითხულობდა „შკვდარ სულებს“, რომელიც მე წამოვიღე და სხვადასხვა მიმართავდა რომელიმე გვერდს. კერძოდ, მეორე ტომის დასაწყისში მოქცეული გოგოლის ოთხი წერილიდან მან შემახსენა ის სტრიქონებიც, უკვე რომ მოვიტანე ციტატად, და ბევრი სხვაც, რომლებიც დაგაეჭვებს იმაში, თითქოს მეფის დროს, როგორც ახლა ამბობენ, არაფერი, ყოველ შემთხვევაში, საამაყო არაფერი გაკეთებულა ხალხისთვის.

„აი, უკვე თითქმის საუკუნე-ნახევარი გავიდა იმ დროიდან, რაც ხელმწიფე პეტრე პირველმა თვალთახედვა დაგვიწმინდა ევროპული განათლების განსაწმენდელით და ხელთ მოგვცა სახსრები და იარაღები ჩვენთა საქმეთა საკეთებლად...“

მას შემდეგ „მთავრობა ყველა დროში დაუღლელად მოქმედებდა, ამას მოწმობს დადგენილებათა, დაკანონებათა და დაწესებათა მთელი ტომები, მრავალი საზოგადოება, აურაცხელი გამოცემული წიგნი, მრავალი სხვადასხვა დაწესებულება — სასწავლო, საქველმოქმედო, სათნოების დაწესებულებები, ისეთებიც კა, რომელთა მსგავსთაც არსად, არცერთ სხვა სახელმწიფოში არ დააარსებენ მთავრობები“.

ეს თუ თვალში ნაცრის შეყრაა, მაშინ გამოდის, რომ ეს ჩვენი დღეების გამოგონება არ ყოფილა.

უბის წიგნაკიდან

ჩვეულებრივ თავაზიანი კოლცოვი ძალიან გულწრფელი კაცი ჩანს. კარგად ვიცი, რომ ის არ იტყვის რაიმე ზედმეტს, მაგრამ ჩემთან ისე ლაპარაკობს, რომ მე მისი ნდობით კმაყოფილი დავრჩე, სიამოვნება ვიგრძნო. ახდენს რა მიმნდობლობის დემონსტრირებას, ასე იწყებს საუბარს:

— თქვენ ვერ წარმოიდგენთ, ყოველ ნაბიჯზე რამდენი ახალი და უჩვეულო პრობლემის გადაჭრა გვიწევს. წარმოიდგინეთ, რომ ჩვენი საუკეთესო მუშა-სტახანოველები მასიურად გარბიან ქარხნებიდან.

— და თქვენ რითი ხსნით ამას?

— ეს ადვილი ასახსნელია. ისინი იმხელა ჯამაგირს იღებენ, რომ ვერ ახერხებენ მის დახარჯვას, ძალიანაც რომ მოინდომონ, რადგან ამ ფულით ჯერჯერობით ცოტა რამის ყიდვა თუ შეიძლება. აი, ესაა ჩვენი დიდი პრობლემა. საქმე ისაა, რომ ეს ადამიანები ფულს აქუჩებენ და როცა რამდენიმე ათასი მანეთი

²⁷ „ისინა ცრუობენ. ყველანი ცრუობენ. — გვეუბნებოდა ჩვენ თბილისში X. — მათ დაკარგეს ყოველგვარი წარმოდგენა რეალობაზე. ისინი განყენებული თეორეტიკოსები არიან“. ხმა აღელვებისგან უცახცახებდა. და, ბოლოს, ამოთქვა ფრაზა, რომელსაც თავიდან ყურადღება არ მივაქციე და რომელიც შემდგომ შემახსენა ერბარმა — მას ის ფრაზა ძალიან მოეწონა (მართლაც შესანიშნავი ფრაზაა) და ხშირად იმეორებდა: „მათ დაავიწყდათ, თუ რა არის ფესვები“.

²⁸ „სიმშვიდისა და სიწყნარის როგორი სურვილია ჩემში!“ — წერდა ის უბის წიგნაკვი სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე.

უგროვდებათ, ჯგუფ-ჯგუფად მიემგზავრებიან ჩვენს რივიერაზე განცხრომით დასასვენებლად. და ჩვენ მათ ვერ ვაჩერებთ. რამდენადაც ისინი საუკეთესო მუშე-ბი არიან, იციან, რომ მათ ყოველთვის აღადგენენ. ერთი-ორი თვის შემდეგ — როგორც კი ფული გამოელეკათ, — ბრუნდებიან. ადმინისტრაცია იძულებულია ისინი მიიღოს, რადგან უიმართოდ არაფერი გამოვა.

— ეს თქვენთვის რთული საქმეა? ასეთი მუშა-სტახანოველი ბუკრესტში?

— ათასობით. გაითვალისწინეთ, რომ ყოველ მუშას უფლება ანაზღაურებული შვებულება გარკვეულ დროს. ცხადია, ყველამ ერთად არა — ქარხანამ ხომ უნდა იმუშაოს. მაგრამ ამ შემთხვევაში ყველაფერი სხვაგვარად ხდება. ისინი თვითონ იხდიან ყველაფერს და შვებულებაში თავიანთი ხარჯით ყველანი ერთად გადიან.

ის იღიმება. გულში ვფიქრობ: ეს რომ სერიოზული საქმე იყოს, ასე არ ილაპარაკებდა. ყველაფერი ეს ასე იმიტომ ხდება, რომ საბაბი გაჩნდეს იმისთვის, რომ ხაზი გაესვას სტალინის ცოტახნისწინანდელ გამჭრიახობა-გერგილიანობას. განა მან არ მოიწონა ამას წინათ ქალური კეკლუცობა, როცა მოდური ტანსაცმლის ჩაცმისა და სამკაულებით მორთვისკენ მოუწოდა მათ²⁹.

— მოდიეთ, ამხანაგებო, იზრუნეთ თქვენს ცოლებზე. აჩუქეთ მათ ყვავილები, მათთვის ფულს ნუ დაზოგავთ!

ბოლო ხანს ბევრი ახალი მაღაზია გაიხსნა და მიკვირდა, „მანიკურის“ ფირნიშებსა და გაპუდრულ, შეღებილფრჩხილებიან ქალებს რომ ვხედავდი.

— რამდენს ვიხდიან თვეში? — ეკითხება ამხანაგი X სასტუმროს კოსმეტიკური კაბინეტის გამგეს.

— ასორმოცდაათ მანეთს.

— ბინა ვეკუთვნი?

— არა და კვებითაც არ მკვებავენ. ოთახის ქირას თვეში ოც მანეთს მაინც ვიხდი.

— გამოდის, რომ მხოლოდ ასოცდაათი გრჩებათ. კვება რამდენი ჯდება?

— ეჰ, ორას მანეთზე ნაკლებად ვერ გამოხვალ.

— ჰოდა, როგორ არსებობთ?

ნაღვლიანი ღიმილი.

— ვიძერწნთ თავს.

სევასტოპოლში ჯეფი დაუახლოვდა ერთ სტუდენტს, რომელიც სხვებისგან განსაკუთრებული რაიბეთი არ გამოირჩეოდა, მაგრამ ჯეფისთვის სწორედ თავისა ორდინარულობით იყო საინტერესო. მასთან საუბრის შემდეგ, აი, რა გვიამბო ჯეფიმ:

X რეჟიმის გულმხურვალე მომხრეა, გულწრფელად სწამს და იმედი აქვს მისი. როგორც პარველკურსელი სტუდენტი, თვეში სამოც მანეთს იღებს. უხარია, რომ გაისად სამოცდაათს მიიღებს, მესამე კურსზე კი ოთხმოცს. მას შეეძლო სტუდენტობაში ეცხოვრა და იქაურ სასადილოში მანეთად ან ორ მანეთად

²⁹ „პრავდის“ 1936 წლის 31 ნომერში გამოქვეყნებულია კოლმეურნე ქალების წერილი, რომელშიც ლაპარაკია ტანსაცმელზე: „ჩვენც შეგვიძლია ელეგანტურად ჩავიცვათ, იმიტომ, რომ გემოვნება გვაქვს და მოღას თვალს ვადევნებთ. ჩვენ, მაგალითად, უკვე არ მოგვწონს კლოშიანი ქვედატანები და ბლუზი-აეროპლანები. მაგრამ ჩვენ ისინი გვაცვია, რადგან სხვა მოდელები არაა. ჩვენ გვაქვს ფული“.

გამოკვებილიყო, მაგრამ არ უნდა მართო დატოვოს მოხუცი დედა — მზარეული, რომელიც თვეში 90 მანეთს იღებს. ისინი ორნი ცხოვრობენ ოთახში, რომელშიც თვეში ათ მანეთს იხდიან და თითქმის მხოლოდ შავ პურს ჭამენ და ისიც ცოტა აქვთ (ოთხასი გრამი დღეში). მაგრამ ის ამას „სრულ კმაყოფილებას“ ეძახის და, რა წუწუნი, რის წუწუნი, ამდაგვარი არაფერი! ოთახში, სადაც დედასთან ერთად ცხოვრობს, სიამოვნებით მოიყვანდა ქალს. დედამისი უნდა მან ცოლი მოიყვანოს, მაგრამ ჩვენი სტუდენტი საშინლად დააფრთხილა — მისი სტუდენტობამ აბორტების შესახებ.

— აბა, დაუფიქრდით, ისედაც ხომ ასე ძალიან ჭირს ცხოვრება! ახლა კიდევ ბავშვიც თუ გახდა შესანახი... ეჰ, ვიცი, ვიცი, რასაც მეტყვით, მაგრამ პრეზერვატივები არ იშოვება ანდა ისეთი ხარისხისაა, რომ მათი იმედი არ უნდა გქონდეს. სიფრთხილის წინასწარი ზომების მიღებას რაც შეეხება, ჩვენს პირობებში ეს არარეალურია.

მაგრამ შემდეგ ჩვეულება ოპტიმიზმმა იმძლავრა და მან მზიარულად შენიშნა: ჩემნაირად რომ კაცი იკვებება, იმან ჯობია ცოლის შერთვისგან თავი საერთოდ შეაკავოსო.

ერთ საბჭოთა ექიმს თუ დაეჯერება, სსრკ-ში საყოველთაოდაა მოღებული ონანიზმი.

განიხილება ახალ ნაგებობათა პროექტები. X, არქიტექტორი, ბინის გეგმას სთავაზობს კომისიას.

— ეს რა სათავსია?

— მოახლის ოთახია.

— მოახლისა? თქვენ ხომ კარგად იცით, რომ ახლა ჩვენში მოახლეები არ არიან.

და რამდენადაც თეორიაში მოახლეები აღარ არსებობენ, შესანიშნავი საბაბი აქვთ იმისთვის, რომ აიძულონ ის დერეფანში ან სამზარეულოში, სადაც გუბაუა, იქ იძინოს.

როგორი საქმე იქნებოდა — საგანგებოდ მოახლისთვის გათვალისწინებული ოთახი! და თუ სსრკ-ში მოახლე მაინც არსებობს, მით უარესი მისთვის.

თითქმის ყველა, ვინც კი მოსკოვში ჩამოდის სამუშაოდ თვეში ორმოცდაათ მანეთად, მშობლიური სოფლებიდან ქალაქად ქარხანაში ან სხვაგან სამუშაოს მოვნის იმედით წამოსული ღარიბი გლეხის ქალიშვილები არიან. ისინი პირველ ხანებში, ვიდრე შესაფერისი საქმე გამოუჩნდებათ, ოჯახებში ეძებენ თავშესაფარს — შინამოსამსახურეებად ღვებიან. ჩემი მეგობრების მეზობლების შინამოსამსახურე ორსულია, ის შეებრალო და ამიტომ აიყვანეს. მას სძინავს კედლის ნიშში, სადაც მოუკუნტაჟად ვერ ეტევა. საჭმელი კი... მან სთხოვა ჩემს მეგობრებს: „უოხარით, რომ ჩემმა დიასახლისმა საჭმლის ნარჩენები არ გადაყაროს“. ის ამ ნარჩენებს სახარეცხე ვედროში იგროვებდა.

ოჰ, მე არ ვაპირებ იმის მტკიცებას, რომ ფორმირებული საზოგადოებრივი აზრი უკლებლივ ყველას ოფიციალური ხაზის ერთგულ მიმდევარს ხდის. ზოგიერთის, კთქვათ, სერგეი ესენინის გვარ-სახელი ჩურჩულით წარმოითქმის, მაგრამ მაინც წარმოითქმის, უფრო ზუსტად: ჯერ კიდევ წარმოითქმის, მაგრამ ჩურჩულით. მე ესენინის პოეზიას კარგად არ ვიცნობ, მაგრამ ისე მოხდა, რომ მომინ-

და ის უკეთ გამოეცნა. ესენინმა, ისევე როგორც მაიაკოვსკიმ, თავი მოიკლა. ამ-
სობენ ეს ტრაგიკული სიყვარულის გამო მოხდაო. შესაძლოა, ასეც იყოს. მაგრამ
თვითმკვლელობის უფრო სიღრმასეულ მიზეზებზე დაფიქრების უფლებაც
გვაქვს.

მაშ ასე, ერთხელ სოჭში, დიდებული სადილის შემდეგ, გული გაღაქუმა-
ლეთ ერთმანეთს. ამას ლეინი და არაეიც უწყობდა ხელს. გვარიანად შეხებულ
შებული X ლირიკულად იყო განწყობილი. ჩვენს გიღსა და მთარგმნელს
ყოფთება შეეცო. X ენად გაიკრიფა... გამოგვიცხადა, რომ ესენინს წავვიკით-
ხავდა ზეპირად. და ამჯერად უკვე მთარგმნელი ჩაერია:

— თქვენ ძალიან მთვრალი ხართ, არ გაგვეგებათ, რას ამბობთ, გაჩუმდით...

მიუხედავად იმისა, რომ კარგა ბლომად დალია, X სულაც არ იყო უგონოდ
და ჩინებულად ეჭვრა თავი, მაგრამ გაჩუმდა. შემდეგ, აქაოდა, ძალიან მთვრალი
ვარო, მთარგმნელს სიგარეტის მოტანა სთხოვა და, როგორც კი ის გავიდა, მა-
შინვე დაიწყო კითხვა შესანიშნავი ლექსისა, რომელიც ზეპირად ვრცელდებოდა
ხალხში. ლექსი ესენინს ერთი მკრეხელური სტატიის პასუხად დაუწერია.

— „როცა შენ მღვდლების წინააღმდეგ ილაშქრებ, — მიმართავდა ესენინი
სტატიის ავტორს, — ჩვენ მხარს გიჭერთ. ჩვენ შენთან ვართ, როცა დასცინი
ხესკნელსა და ქვესკნელს, სამოთხესა და ჯოჯოხეთს, მაგრამ როცა ქრისტეზე
ლაპარაკობ, სიფრთხილე, მოკრძალება გმართებს. არ დაგაევიწყდეს, რომ ის,
ვინც თავისი სიცოცხლე ადამიანებისთვის გაიღო ზვარაკად, ამა ქვეყნის ძლიერ-
თა გვერდით კი არა, ბედვრულთა და უპოვართა გვერდით იდგა და თავის დიდე-
ბად იმას მიიჩნევდა, რომ მას, ძეს ღვთისას, ეძახდნენ ძეს კაცისას“.

X ამ ლექსს რომ კითხულობდა, ხმა უთრთოდა — არა იმიტომ, რომ მთვრა-
ლი იყო. და როცა დაამთავრა, სახეზე ერემლის ღვარი ჩამოსდიოდა. მთელი სა-
ღამო ფუჭ, უთავბოლო საუბარში გავლიეთ... თუმცა, არა, მე მთლად სამართლი-
ანი არა ვარ არც X-ისა და არც ჩვენი თავის მიმართ. X სულ უფრო და უფრო
გვიწვევდა, აგვაგზნებდა. ჩვენ აღგვაფრთოვანებდა მისი საუბარი ჩინეთში გა-
დახდენილ უჩვეულო ფათერაკებზე, იმაზე, თუ როგორ ჩავარდა ტყვედ რამდენ-
ჯერმე და როგორ გადარჩა. არა, ის ლამაზი არ იყო, მაგრამ მის ნაკვთებს რა-
ღაცნაირი ველური მიმზიდველობა ამშვენებდა. როცა ლექსებს კითხულობდა,
ნისი ხრინწიანი და მღელვარე ხმა რბილდებოდა, და როგორი უცხო იყო ამ
ხმისთვის წინააღმდეგ წარმოთქმული სიტყვების უხეში ცინიზმი. მასში თითქოს
მულავნდებოდა ფარული სინაზე, რაღაც ღრმად ჩამარხული, ის, რაც იყო ჭეშ-
მარიტი, ნამდვილი, სხვა ყველაფერი კი — ცინიზმი და სიუხეშე — გეჩვენებოდათ
რაღაც ხელოვნურ გარზად, რომლის მიღმაც იმალებოდა ყველაფერი, რაც კი
მასში საუკეთესო იყო. მაგრამ ეს თითქოს მოურიდელებელი, კადნიერი თვალთვა-
ლი წამიერ გაელვებას ჰგავდა. მთარგმნელი დაბრუნდა და ხმაურიანმა, აბლა-
უბდა საუბარმა უწინდელი მიმართულება მიიღო³⁰.

მხოლოდ მაგარი ვაგონით მგზავრობისას, ჩემი ნაცნობი მანდილოსნის პი-
რისპირ შვიდი საათის ჯდომის შემდეგ ვაბედა ახალგაზრდა რუსმა კაცმა მას

³⁰ მე ვთხოვე ჩემს რუსულად მოლაპარაკე მეგობრებს, რომ მოენახათ ესენინის ის ლექსი.
რომლის აზრიც მე, უეჭველია, ძალზე არაზუსტად გადმოვეცი. მათ ვერ მონახეს, რაც მიიძუ-
ლებს ვიფიქრო: ხომ არ ამოიღეს ის ლექსი უკანასკნელი ოფიციალური გამოცემებიდან? ამის
შეშოწმება შეუძლებელია. ამას გარდა, მე მითხრეს, რომ ესენინის ბევრი ლექსი ხელნაწერების
სახით ვრცელდება.

გამოლაპარაკებოდა. ამ ახალგაზრდა რუსმა კაცმა თავიდანვე მიიქცია ჩემი ხატობი მანდილოსნის ყურადღება.

ოცდაათიოდე წლისა იყო, მაგრამ იგრძნობოდა, რომ ცხოვრებას უკვე საფუძვლიანად გაეცვითა. ის კითხვებზე პირდაპირ პასუხის გაცემას თავს არიდებდა და მე ვცადე მისი ლაპარაკში ჩათრევა. განსაკუთრებით იმაში ვარწმუნებდი, უცხოელი ვარ და საშიში არაფერი გაქვს, შენ რესპუბლიკის ველარავინ გაიგებს-მეთქი...

მას ცოლი და საში წლის ვაჟიშვილი ახლდნენ. მათგან გავიგე, რომ მას ორი შვილი X-ში დაუტოვებია, რათა ხარჯები აეცდინა თავიდან და თანაც შიშის გამო, — მან არ იცოდა, თუ რა ელის მოსკოვში.

ავადმყოფური შესახედაობა რომ არა, მისი ცოლი შეიძლებოდა ლამაზიცი მოჩვენებოდა ადამიანს. ჩემდა გასაოცრად, მე ვნახე, თუ რამდენჯერ აჭამა მან ძუძუ ბავშვს, რომელიც, ყველაფრით ჩანდა, კარგა ხნის მოცილებული იყო ძუძუდან. არ ვიცი, რა გამოწოვა მან ამ მომჩივარული, ცარიელი მკერდიდან, მაგრამ გზაში სხვა საკვები მას არ ჰქონდა.

მისი მშობლები ძალზე დაძაბუნებულნი ჩანდნენ. როცა ქმარმა, როგორც იქნა, გაბედა გასაუბრებოდა უცხოელ მანდილოსანს, ცოლი აღელდა. აქეთ-იქით იყურებოდა, — შიშობდა, ვაითუ ვინმე გვისმენსო. მაგრამ კუბეში ბენტურა დიდბრისა და მთვლემარე ლოთის გარდა სხვა არავინ იყო და, თითქოს ბოდიშს იხდისო, ქალმა თქვა:

— ეგ მუდამ ძალიან ბევრს ლაპარაკობს და ეს გვლუბავდა ყოველთვის.

ახალგაზრდა კაცი კი თავის ცხოვრებაზე მიაბზობდა. კიროვის მოკვლამდე ყველაფერი კარგად იყო. შემდეგ — არ იცის, ვისი დასმენით — მას ეჭვის თვალთ დაუწყეს ყურება. რამდენადაც ის კარგი მუშაკაცია და ვერაფერს უსაყვედურებდი, ქარხნიდან მაშინვე არ დაუთხოვიათ. მაგრამ უკვე ამჩნევდა, რომ მეგობრები და ამხანაგები გაურბოდნენ. ყველას ეშინოდა მასთან საუბრით სახელი არ გატეხოდა. ბოლოს ქარხნის დირექტორმა გამოიძახა და, ფორმალურად, გაუთავისუფლებლად — რადგან არავითარი ბრალდება არ ჰქონდა, — ურჩია სხვაგან მოეძებნა სამუშაო. მას აქეთ ის ქალაქიდან ქალაქში გადადიოდა რომელიმე ქარხანაში სამუშაოს შივნის იმედით და სულ უფრო და უფრო მეტ ეჭვს იწვევდა, ყველგან უარს ეუბნებოდნენ და დარჩა ყოველგვარ მხარდაჭერას, დახმარებას სოკლებულ, შვილების ვერმარჩენალ, საშინელი სიღატაკისთვის განწირულ, ვარიფულ, ქანცვაცლილ კაცად.

— ყველაფერი ეს წელიწადზე მეტი ხანია გრძელდება, — თქვა მისმა ცოლმა, — ჩვენ უკვე სულს ვღაფავთ. ორ კვირაზე მეტ ხანს არსად გვაჩერებენ.

— ის მაინც ვიცოდე, — ჩაურთო ქმარმა, — რაში მადანაშაულებენ. ნეტა ამის გაგება მაინც შეეძლოს. ალბათ, ვიღაცამ რაღაც თქვა ჩემს წინააღმდეგ. არ ვიცი ვინ იკადრა ეს, არც ის ვიცი, რა თქვა. მხოლოდ ეს ვიცი — არაფერი დამიშავებია.

მან თქვა, რომ გადაწყვიტა მოსკოვში გაემგზავროს და ყველაფერი გაიგოს, თუ შესაძლებელი იქნება, თავი იმართლოს, ანდა ყველაფერს დაუსვას წერტილი და ამით გამოხატოს პროტესტი უსაფუძვლო ეჭვების გამო.

არსებობს რვაკაპიკიანი და ექვსკაპიკიანი სიგარეტებიც კი, რომლებსაც „პროლეტარულს“ უწოდებენ, — საძაგელი სიგარეტებია. „პაპიროსები“, რომლებ-

რაც ჩვენ ვეწევით და რომლებსაც აქ მხოლოდ უცხოელები ეწევიან (ზოგ მათგანს ასეც ჰქვია — „ინტურისტები“), კოლოფი ხუთი ან ექვსი მანეთი ღირს. უფრო სწორედ არსებობს.

რაკი არ იცოდა, სად იყო თამბაქოს წერტი (ეს ხდებოდა გორში, სადაც ჩვენ რამდენიმე საათი დავყავით), პიერ ერბარი სთხოვს მუშას, რომ მუშასთან ერთად ის ბაასობს მდინარის პირას, რომ უყიდოს კოლოფი პაპიროსი.



— რამდენი მანეთისა?

— ხუთი მანეთისა.

მუშა ჩინებულ გუნებაზე და მხიარულად ამბობს:

— ეს მთელი დღის ხელფასია.

მადამ X მიემგზავრება აგარაკზე, პოდმოსკოვიეში, „პასუხისმგებელ მუშაკთან“ (დიდჩინოსან ხელმძღვანელებს იქ ასე ეძახიან) ერთად. „პასუხისმგებელი მუშაკი“ ძმაბიჭურად, შინაურულად ექცევა ყველა შეხვედრილ მუშას: „მე მსურს, რომ ისინი ჩემთან თავს თავისუფლად გრძნობდნენ. მე მათ ისე ვექცევი, როგორც ამხანაგებსა და ძმებს და ჩემთან ლაპარაკისა არასოდეს ეშინიათ“.

აგერ, რომელიღაც მიწის მთხრელი მოდის და, თითქოს, რაც ეს-ესაა თქვა, იმის დადასტურება უნდაო, პასუხისმგებელი მუშაკი ასე მიმართავს მას: „აბა, როგობარო, როგორაა საქმეები? თქვენ კმაყოფილი ხართ?“ ის კი ასე პასუხობს: „ნებას მომცემთ, ამხანაგო, რომ ერთი კითხვა მოგცეთ?“ — „რას ამბობთ, რასაკვირველია, მეგობარო, მე მზადა ვარ გიპასუხოთ“. — „თქვენ ყველაფერი იცით და, რასაკვირველია, მეც ამიხსნით. მითხარით, როდის მოვა ის დრო, როცა ჩვენ შემდეგისამებრ ვიმუშავებთ და გულმოჯერებით გავძლებით?“

— და რა თქვა პასუხისმგებელმა მუშაკმა? — ვკითხე მე X-ს.

— ლექცია წაუკითხა.

ბათუმისკენ მივდივართ ავტომობილით, ჩემი თანამგზავრები აღფრთოვანებული არიან გზის ორივე მხარეს ჩარიგებული ცოტა ხნის წინათ დარგული ხეებით — რამდენიმე წლის შემდეგ მათი ჩრდილი ჩინებულა რამ იქნება! მე აღარ ვეუბნები, რომ ყველა ხე დამჭკნარია. უეჭველად, უდროოდ დროს დაურგავთ, ამიტომაც ვერ გაიხარეს. ალბათ, ადამიანებმა, რაკი შეკამათება ვერ გაბედეს, შეასრულეს ზემოდან დაშვებული ბრძანება, ხოლო ბრძანებას ხეც უნდა დაემორჩილოს და ადამიანიც.

ვორონცოვის აცრებთან და სხვა ექსპერიმენტებთან დაკავშირებით სოხუმში დიდი მაიმუნსაშენია. მე მოვისურვე გამოვლო, საიდან მოჰყავთ ცხოველები. მაგრამ აღმოჩნდა, რომ აქ ისეთსავე გაჭიანურებულ და წინააღმდეგობრივ ცნობებს იძლევიან, როგორც ზღვისიქითურ კოლონიებში. არიან ადამიანები, რომლებიც უაზრო, უშინაარსო მრავალსიტყვაობისკენ არიან მიდრეკილი. აგერ, ა, მომხიბვლელი ქალბატონი ამხანაგი ბოლია, რომელიც გიდად და თარჯიმნად გვყავს მომავრებული. მას არაფერი აცბუნებს, ნებისმიერ კითხვაზე გეპასუხობს. თანაც ამა თუ იმ საკითხზე რაც უფრო ნაკლები იცის, მით უფრო მეტი დაჯერებით ლაპარაკობს. მას თავისი უვიცობა სულაც არ ადარდებს, და ეს გვაფიქრებინებს, რომ ყველაზე კატეგორიული მტკიცებების მიზეზი შეიძლება სწორედ

შეუგნებელი უვიცობა იყოს. სწორედ ასეთია ამ ადამიანთა თავისებურება, ასეა ცოწყობილი მათი გონება, რომელიც გაურკვევლობით, მიახლოებითობით, სუფთა გარეგნული ნიშნებით კმაყოფილდება.

— შეგვიძლია გავიგოთ, თუ საიდან მოიყვანეს ეს მაიმუნები?

— რასაკვირველია. ეს იოლი საქმეა (და ბოლია ამას უკვე ჩვენს თანმხლებ პიროვნებას ეკითხება).

— მაიმუნების უძეტესობა აქ დაიბადა. დიახ, თითქმის ყველასაც დაიბადა.

— მაგრამ ჩვენ გვითხრეს, რომ აქაურ ტყეებში მაიმუნები არ არიან, მაშასადამე, ისინი საიდანღაც უნდა შემოეყვანათ.

— სავსებით სწორია.

— ჰოდა, თუ ასეა, მაინც საიდან შემოიყვანეს ისინი?

და ბოლია, რომელიც ახლა უკვე აღარავის სთხოვს დახმარებას, აზრიანი დარწმუნებით გეპასუხობს:

— ცოტ-ცოტა ყოველი მხრიდან შემოჰყავთ.

ჩვენი მომხიბვლელი თარჯიმანი ფრიალ კეთილმოსურნე და თავგანწირული ადამიანია. მაგრამ ცოტათი, აი, რითი გვექანცავს: თუ ცნობები, რომლებსაც ის გვაუწყებს, ზუსტია, მაშინ შეგიძლიათ დარწმუნებული იყო, რომ ეს ცნობები არასწორია.

ისინი კარიზს ბრუნდებიან

— საიდან მოიტანეთ, რომ დიდჩინოსანი ხელმძღვანელები მნიშვნელოვანი პრივილეგიებით სარგებლობენ? — მეკითხება X, რომელიც ეს-ესაა დაბრუნდა იქიდან და თავის აღტაცებას არ მალავს. მე ხშირად ვხვდებოდი Y-ს, ის ძალზე უბრალო და კეთილმოსურნე კაცია. მე მის სახლში ვიყავი და არც ფუფუნება შემინიშნავს და არც ზედმეტობები, და მისი ცოლიც, რომელიც გამაცნო, მასავით უბრალო ადამიანია.

— რომელი ცოლი?

— რას ნიშნავს რომელი? ცოლი ცოლია...

— გასაგებია, კანონიერ ცოლს გულისხმობთ. თქვენ არ იცით, რომ მას სამი ცოლი ჰყავს. და ორი სხვა ბინაც აქვს და, ამას გარდა, შეიძლება სხვა აგარაკებიც ჰქონდეს. და სამი ავტომობილი. ამასთან, თქვენ მათში ყველაზე უბრალო — ოჯახური საჭიროებისთვის განკუთვნილი მანქანა ნახეთ.

— ნუთუ ეს შესაძლებელია?

— არა მარტო შესაძლებელია, არამედ ასეცაა.

— და როგორ უყურებს ამას პარტია? სტალინი...

— მეტისმეტად გულუბრყვილო ნუ იქნებით. სტალინს მხოლოდ იმათი ეშინია, ვინც ცოტას სჯერდება, ვინც პატიოსანი და მოუსყიდველია.

მოუხედავნი

დოქტორი ა. დენი

1936 წ. 4 დეკემბერი

მოსკუ,

მე ვიყავი მოსკოვში გორვის დაკრძალვის დღეს, მოვისმინე თქვენი სიტყვა. მან მე მაშინ გული მატკინა, რადგან, რაკი თქვენ გულწრფელ ადამიანად ვიც-

ნობლით, ვშიშობდი არ მოტყუებულიყავით, ახლა ეს-ესაა წაეიკითხე „სსრკ-დან დაბრუნება“ და შეებით ამოვისუნოქე. მე ვიყავი რუსეთში, იქ ბიოფიზიკის პრობლემებზე ვმუშაობდი, თავისუფალი ურთიერთობა მქონდა კოლეგებთან არა-ოფიციალურ ვითარებაში და უთარჯიმნოდ, სიამტკბილობით ვცხოვრობდი მათ გვერდით და – ვიტანჯებოდი. თქვენ შესანიშნავად ბრძანეთ: იმ ცხოვრები-დან ყოველგვარი თავისუფალი აზროვნება გამორიცხულია. ყველა ჩემი კოლეგა-ვანსაკუთრებით „გესლიანი“ – ახშობს თავის თავში ფაქრისა და წყნარების ყველა-ველგვარ სწრაფვას, გამუდმებით განიცდის დაწოლას გარედან, უმცირესი არა-ურთიერი ნაბიჯის გადაღმისაც ეშინია. ჩემი მეგობრები – თავისუფლად მოაზროვნე ადამიანები (მათ შორის არიან პრაქტიკოსები და ცნობილი მეცნიერები). იძულებულნი არიან გაორდნენ: ერთი ადამიანი ისაა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, რომელიც ლაპარაკობს, რომელიც გარეგნულად ავლენს თავის თავს; მეორეა თავის თავში დანთქმული არსება, რომლის ვინაობაც მხოლოდ ახლო ნაცნობობას შემთხვევაში შეგიძლია გაიგო.

პატივისცემით ა. დანიე.

აზონარიდი

1936 წლის ოქტომბერი საზღვარგარეთ ფაკულტეტზე
გაკეთებული შეტყობინებებიდან

ვის შეუძლია სსრკ-ში იყოს ექიმი? მუშებს, რომლებიც ესწრებიან საღა-მოს მეცადინეობებს ინსტიტუტში, ან სტუდენტებს, რომლებიც იხდიან 110 მანეთს თვეში, ერთ ოთახში ათნი-თხუთმეტნი ცხოვრობენ.

მათ მეტ-ნაკლებ თანხას უხდიან – გამოცდის შედეგების მიხედვით. ინსტიტუტის შემდეგ გზავნიან სოფელში ფერმლებად ან სანიტრებად. ამჟამად ქვეყანაში ასე ათასი ექიმი, საჭიროა კი ალბათ ოთხასი ათასი.

ჯერ კიდევ ამ ორი წლის წინათ ექიმს უხდიდნენ 110 მანეთს თვეში, ამდენად უმნიშვნელო თანხას, რომ ზოგი მათგანი მუშის კვალიფიკაციას ღებულობდა. რადგან მუშებს მეტი უხდიან, ამიტომ ინსტიტუტებში ჭარბობდნენ ქალები. რაკი გაირკვა, რომ ექიმები, რომლებიც მატერიალურ ფასეულობებს არ ქმნიან, მაინც სჭირდება სახელმწიფოს, მათი ხელფასი ასწიეს 400 მანეთამდე. ამჟამად ექიმების მომზადებაც, რომელიც ფელდშერების მომზადების დონეზე იყო.

1930-33 წლების გამოშვების ყველა ექიმს აკლდა ცოდნა. ისინი იძულებულნი არიან ნახევარი წლით დაბრუნდნენ ფაკულტეტზე კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

სამუშაო დღის ხანგრძლიობა შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს, მაგრამ ეს ასე ვთქვათ, თეორიაში, რადგან ექვსი საათი ძალზე ცოტანი თუ მუშაობენ. 400 მანეთით ვერ იარსებებს, ამიტომ ექიმი, როგორც წესი, იძულებულია ეძებოს შეთავსება, რათა თვეში 800 ან 1200 მანეთამდე აკიდეს, – ხომ ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, თუ როგორია მანეთის მსყიდველობითი უნარი: ჩვეულებრივი კოსტიუმი 800 მანეთი ღირს, კარგი ფეხსაცმელი – 200-დან 300 მანეთამდე კილო პური – 1 მან. 90 კაპ.; მეტრი დრაფი – 100 მანეთი, ამას გარდა. 1936 წლამდე აუცილებელი იყო სახელმწიფოსთვის ერთი თვის ხელფასის სესხის

სახით მიცემა. ერთადერთი ოთახი, რომელშიც ექიმი ცხოვრობს ოჯახთან ერთად და რომელიც იმაუბნოულად სტუმრების მისაღებიცაა, საწოლი ოთახიც, ბიბლიოთეკაც, სამზარეულოც და ა. შ., თვეში 50 მანეთი ღირს. კიდევ კარგი, ოჯახს ბავშვები მაინც თუ არა ჰყავს.

მატერიალური პირობები ხომ მძიმეა, მაგრამ გაცილებით უფრო მძიმეა საშინელი მორალური ტანჯვის გაძლება. ანგარიში უნდა გაუწიო მეეზოვეს — სახელმწიფო პოლიტსამმართველოს აგენტს, არ შეიძლება შენა — მისაზრებები გაუზიარო საავადმყოფოს თანამშრომლებს. პლაკატი, რომელიც ჩვენში ეკიდა ომის წლებში — „ფრთხილად იყავით — თქვენ მტერი გაყურადებთ!“ — იქ ახლა ძალზე აქტუალურია.

ერთი ცნობილი მეცნიერი, მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ორ წელიწადს აჯდა ციხეში. უცხოელებს ეუბნებოდნენ, აეადაათ. მეორე მეცნიერს კათედრისა და ლაბორატორიის თანამშრომლები გაურეკეს მეცნიერული იდეებისთვის, რომლებიც მარქსისტულ თეორიას არ ემთხვეოდა, თვითონ ის კი იძულებული იყო, გალილეის მსგავსად, საჯაროდ უარი ეთქვა ამ იდეებზე, რათა გასახლება თავიდან აეცდინა. რატომ ვერ შევძელი მე ჩემი კოლეგა-მეცნიერის ნახვა, თუმცა ის ადგილზე იმყოფებოდა? ჩემი დეპეშა მან ჩემი წამოსვლიდან ერთი თვის შემდეგ მიიღო. როცა მასთან მივდიოდი, მატყუებდნენ: არ არისო.

პარიზი, 1936 წ. 29 ნოემბერი

მოსიე,

როცა მე თქვენ სოჭში ვნახეთ, ძალიან მეშინოდა, რომ არ მოეცემა და პარტიული მიკერძოების — პროგრესის ყველაზე უარესი მტრის გამო არ შედგომოდით ახალი სახელმწიფოსთვის ხოცბის შესხმას. მაგრამ „სსრკ-დან დაბრუნებამ“ ჭეშმარიტად მაამა.

რუსული კარგად ვიცი და ჩემი თვალით ვხედავდი და ჩემი ყურით ვისმენდი ყველაფერს, რაც თქვენ ნახეთ და გაიგონეთ. სავსებით გიჭერთ მხარს. და გმადლობთ იმისთვის, რომ ამის თქმა გაბედეთ.

მადლობის ნიშნად ნება მიბოძეთ შემოგთავაზოთ იქ გაკეთებული ზოგიერთი ჩანაწერი.

ღმერთიმც მოუმართავს ხელს ჩვენს საფრანგეთს, რომ მან ბრძნული სიმშვიდით იაროს თავისი ახალი გზით.

მე რუსეთიდან ვბრუნდები მესამეჯერ, სამი წლის შუალედით. სისაძაგლისა და სისასტიკის ლაფში ამოსვრილმა რეჟიმმა იმთავითვე ფეხქვეშ გათელა ხელოვნება, კულტურა, ადამიანური გრძნობები.

ეს ბარბაროსების შემოსევის სრულყოფილი ფორმაა.

რევოლუციის ოცი წლის თავზე ჯერ კიდევ არსებობს მეორე და მესამე კლასის ვაგონები. ამ სულ ცოტა ხნის წინათ აშენებულ დიდ რუსულ თბომავალზე სამგზავრო ადგილები ასე ნაწილდება: 75 პროცენტი — მესამე კლასისა, 20 — მეორისა, 5 — პირველისა. ასევე ნაწილდება კვების, ტანსაცმლის, სასტუმროების კლასები. ისინი, ვისაც გადახდის საშუალება აქვთ, საუკეთესო ადგილებს ისაკუთრებენ.

მუშა ხუთ დღეში 40 საათს მუშაობს. მას წელიწადში ხუთი საზვიამო დღე აქვს და ფრანგ მუშასთან შედარებით 400 საათით მეტი სამუშაო საათი გამოსდის, ისიც რომ კვირაში 40 საათს მუშაობდეს. მაგრამ საბჭოთა მუშის ხელფასი

იმდენად დაბალია, რომ ის არცთუ იშვიათად ორ ადგილას მუშაობს 12-16 საათს.

როგორც არასდროს, ისე იფურჩქნება ნარდი მუშაობა. ვინც უფრო უნარიანაა, ის თავის ამხანაგზე მეტს ღებულობს, იმ ამხანაგს კი, როგორც ნაკლებ მარჯვეს, შურს მისი.

როცა სამუშაო არაა, მუშა დაუსაქმებელი რჩება და ხელფასს ვერ იღებს. სახელმწიფო თავს არ იწუხებს სანტიმენტებით: თუ არის სამუშაო, მუშაობს მუშას, რომელმაც ის ჩქარა და კარგად უნდა შეასრულოს. თუ არ არის, თვითონ უნდა იხლაფორთოს რამე, სხვა ხელობას უნდა დაეუფლოს, რომ შიმშილით სული არ ამოხდეს.

შური და წვრილმანობა ყველგან ერთნაირია. გონიერ და კეთილსინდისიერ მუშას, რომელმაც „დამკვრელს“ ეძახიან, შეუძლია თავის ამხანაგებზე მეტი თანხა გამოიმუშაოს და მისი ანაზღაურებული შვებულება ორი კვირის ნაცვლად მთელი თვე გაგრძელდეს.

გულმოღვინებას, როგორც იტყვიან, ამჩნევენ და ახალისებენ, მაგრამ თავისი ძალა არც ფავორიტიზმს დაუკარგავს: მორიდებულობა და სხვა ღირსებები, თუ ისინი ხელისუფლების თვალსაწიერში არაა მოქცეული, შეუმჩნეველი რჩება.

ზოგ-ზოგები, ყველაზე უფრო მოქნილი, ჭკვიანი, პატივმოყვარე, ან ძლიერი ნათესაური კავშირების მქონე ადამიანები ახერხებენ განსაკუთრებით პრივილეგირებული მდგომარეობის მიღწევას. ხელფასი თვეში 150-დან 500 მანეთამდე მერყეობს. ერთნი ძალზე ცოტას იღებენ, მეორენი — ძალზე ბევრს.

65 წლის მუშა, რომელმაც 25 წელი ფიზიკურად, ხელით იმუშავა, თვეში 37 მანეთს იღებს პენსიის სახით.

ის, ვინც დაზოგვა ვერ შესძლო და ვისაც არ უნდა შვილებს დააწვეს ტვირთად, — მუშათა უმეტესობა, — განაგრძობს მუშაობას.

ქვეყნის რეკონსტრუქციის პერიოდი ქმედებას, გარჯას ისევე ააქტიურებდა, როგორც ეს იყო ჩვენში ომის შემდგომ... მაგრამ რუსეთში აქტიური გარჯა აუცილებლად კომფორტს ან სიმდიდრეს არ ნიშნავს.

ადამიანები ყველგან ნორმაზე მეტს მუშაობენ, იმიტომ, რომ ყველაფერი წარმოუღვენლად ძვირი ღირს.

უფროსებს რაც შეეხება, ისინი იღებენ ბრძანებას: ესა და ეს ამა და ამ დროისთვის უნდა დაბთავრდეს! თუ მათი მუშეობა ან მოსამსახურენი საქმეს თავს ვერ ართმევენ, თვითონ უნდა იმუშაონ ზეგანაკვეთურად, თუ საჭირო იქნება, 18-18 საათს, რადგან თავად აგებენ პასუხს მწარმოებლურობასა და შედეგზე.

მათ უჭირთ. აქეთ — ხელისუფლების წინაშე ვალდებულება, იქით კიდევ შემსრულებლის არაკეთილსინდისიერება.

სამგზის გაფრთხილების შემდეგ ნებისმიერი მუშის დათხოვნა შეიძლება წინასწარი გაფრთხილებისა და დახმარების გარეშე.

ზეგანაკვეთური მუშაობისთვის უფროსი ან მისი მოადგილე დანამატს არ იღებენ. თუმცა მან შეიძლება იმედი იქონიოს, რომ ანაზღაურებულ შვებულებას ორჯერ გაუზრდიან და პრემიას მისცემენ. ხშირად ხდება ასე, მაგრამ ეს კანონდებლობით არაა გათვალისწინებული და უმეტესად უფროსის ახირებაზეა დამოკიდებული.

როცა სახელმწიფოს სახსრები აკლია, ის ზრდის გადასახადებს, რომლებიც

უშუალოდ ხელფასიდან იქვითება, ან სავალდებულოდ აცხადებს სახელმწიფო სესხს და ამ გზით იზოგავს საჭირო ფულს.

ძირითადი ხარჯების გასავლის გადასაფარად სახელმწიფო ბრძანების საქონლის ფასებს, ყველაზე უბრალო აბრეშუმის ქსოვილის მეტრი 165 ფრანკი ღირს, და ვერავის გაბედავს უნიველს ამგვარ კომერსანტს — ნუეორიშს (ნუეორიში — ფრანგ.: „ახალი მდიდარი“ — კაპიტალისტურ ქვეყნებში: ინტერნაციონალური შიზ-ნიშნის).
შედეგად გამდიდრებული ადამიანი — მთარგ.)

რვა აგვისტოს გამოაცხადეს, რომ მიუღ ქვეყანაში დააკავებენ ხელფასის ნაწილს ესპანეთში ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფონდისთვის. ეს მთავრობის უფლებაა. ვერავის წავა ამის წინააღმდეგ და კონკრეტული ადამიანის ბიუჯეტის გარღვევა არავის ენაღვლება.

სამაგიეროდ სახელმწიფო აშენებს სკოლებს, ქარხნებს, საავადმყოფოებს, საბავშვო სახლებს და ბაგებს და გარეგნულად მიძხიდველ დასასვენებელ სახლებს, სადაც მუშათაგან ვალდ-ვილაცებს შეუძლიათ შვებულება გაატარონ, მაგრამ სადაც ოთახში რამდენიმე კაცი ცხოვრობს. მთავრობა ენერგიულად ებრძვის ქურდობასა და დანაშაულს, სიკუდილით სჯის ან ასახლებს დამნაშავეთ, ცდილობს აამაღლოს მორალი, ახალისებს დუღობას, ყველგან ძირკვავს პროსტიტუციას, მანამდე არნახული მასშტაბებით უზრუნველყოფს განათლებასა და საბჭოთა მოქალაქეების 80%-ს ფეხსაცმელი ან ჩუსტები აცვია, მაშინ, როცა მეფის რეჟიმის დროს 80% ფეხშიშველი დადიოდა.

ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების ნასახიცი არაა. გაზეთებში სისხლის სამართლის ქრონიკას ვერ წააწყდებით. სამაგიეროდ, პრესას შეუძლია დიდხანს მხოლოდ პოლიტიკური დანაშაულობანი წარმოაჩინოს, საზოგადოებრივი აზრი რომ მთლად დათრგუნულია.

გაზეთებს შეუძლიათ ცნობილ ადამიანებთან — მფრინავებთან, მეცნიერებთან, პოლიტიკოსებთან დაკავშირებული უძვირესი ფაქტებიც კი კვირიდან კვირამდე აშუქონ. ეს ჰიპნოზის მსგავსი რაღაცაა და იქ სტალინია ღმერთია.

ნუთუ მართლა ისე დააღია მასების მონაპოვარი, რომ გამართლდეს 1917 წლის სისხლიანი ნამუშაკევი და, თანასწორობის მიღწევისთვის საჭირო თვალსაჩინო ძალისხმევათა მიუხედავად, ნუთუ მართლა მიღწეულია ეს თანასწორობა?

უკვე ყველგან კვლავ წარმოშობილი უთანასწორობა ძველ სამყაროს გვახსენებს. ეს უთანასწორობა ღლითიდლე იზრდება, რაც ერთმანეთზე რეგულარულად მიხლილი ტალღებითაც დასტურდება.

ვფიქრობ, რომ უწინდელი სოციალური უთანასწორობა ათ წელიწადზე ნაკლებ დროში აღორძინდება.

1936 წ. 2 დეკემბერი.

მკირფასო მოსიე ჟიდ.

ეს-ესაა წავიკითხე „სსრკ-დან დაბრუნება“. იქიდან ჩემი დაბრუნების შემდეგ 1934 წლის დეკემბერში კიროვის მოკვლასთან დაკავშირებული რეპრესიების შთაბეჭდილებით, ვცდილობ არ გამოვტოვო არცერთი უწყება რუსეთზე. ახლა, როცა წავიკითხე თქვენი წიგნი, — მანამდე კი თქვენდამი მოწერილი წერილები ვიქტორ სერუისა და იგნაციო სილონესი, — გიცხადებთ: ბედნიერი და მკედროულად დათრგუნული ვარ. ბედნიერი ვარ იმით, რომ თქვენმა წიგნმა ერთხელ კიდევ დაადასტურა ის ჭეშმარიტება, რომელსაც მე მივიჩნევ მთავარ,

ფუნდამენტურ გარემოებად ცხოვრების აზრის გაგებაში. კერძოდ: არაფერი არსებობს ტყუილარტებაზე მნიშვნელოვანი. მე, ყოფილი კომუნისტი და საბჭოთა მოსამსახურე, ვინც სამ წელიწადს იმუშავა პრესაში, პროპაგანდისტულ აპარატში, დაწესებულებათა ინსპექციის ჯგუფში, ერთი სიტყვით, სხვა წრის წარმომადგენელი და სხვა ქვეყნის მოქალაქე, მძიმე და მტანჯველი შინაგანი ბრძოლის შემდეგ თქვენ რომ მიხვედით, იმავე დასკვნამდე მივედი. და ჩვენ ვფიქრობთ, თან სერჟიც, სილონეც, ჩვენთანაა კაცობრიობის ნაწილი, რომლისთვისაც მთელი კონფორმაზმი, რომელზეც ლაპარაკობთ თქვენს წიგნში.

შესაძლებელია, თქვენ დაგაინტერესოთ იმან, რაც მე დავწერე სსრკ-ს შესახებ. ამავდროულად გიგზავნათ ჩემს პატარა წიგნს „Die Wiender entdeckung Europas“³¹, და ბროშურას „Der Moskauer Prozess“³², ამას გარდა, თვით ვიხივთ Schweizer Spiegel-ის გამოცემულს ციურებში გამოგიგზავნოთ ჩემი წიგნი „Abschied von Sovjetrussland“³³, რომელიც ამ ერთი წლის წინათ გამოვიდა.

ვამთავრებ რა წერილს, ნება მომეცით შევეხო ერთ საკითხსაც, რომელიც განუწყვეტლივ მაწუხებს. საუბარია იმაზე, რაზეც თქვენ ლაპარაკობთ წიგნის ბოლოს: იმ ყველაფერმა, რაც ხდება სსრკ-ში, შეიძლება თვით იდეას მოცხოს ჩირქი. მე ეს საშიშროება უზარმაზარ საშიშროებად მიმაჩნია. უზარმაზარ საშიშროებად იმიტომ, რომ საბჭოთა პროპაგანდას არ ჰყოფნის სიმამაცე უარი თქვას სიტყვებით თამაშზე. აღიაროს, რომ რევოლუციური სულისკვეთება გაქრა. მაგრამ რამდენადაც ეს არ გაკეთებულა, ძრავალი გულწრფელი რევოლუციონერი სსრკ-ს გააიგივებს სოციალიზმთან და სტალინის პოლიტიკას – სოციალურად სამართლიან წყობასთან. და, უნდა ითქვას, რომ ეს შეცდომა დამბლას დასცემს კაცობრიობის პროგრესისთვის მებრძოლ საუკეთესო ძალებს. რა უნდა გაკეთდეს ამ ტრაგიკული შეცდომის თავიდან ასაცილებლად?

მე არ ვიცი თქვენი შეხედულება კამენევ-ზინოვიევის გასამართლების ამასწინანდელ პროცესზე, მასობრივ დაზვრეტებზე, საკონცენტრაციო ბანაკებზე თეთრი ზღვის სანაპიროზე, ციმბირსა და თურქესტანში, სადაც ათასობით „კონტრ-რევოლუციონერი“ იტანჯება. იქ რუს ამხანაგებთან ერთად იმყოფებიან უცხოელებიც, Schutzbund-ის წევრები, რომლებიც წითელი მომავლისთვის ორ წელიწადს იბრძოდნენ ოტარკინგის ბარიკადებზე. იქ იმყოფებიან ისინი, ვინც პეტროპავლოვსკის ციხეში იტანჯებოდნენ. საბჭოთა ციხეში ზის ზენზი მიუზამი, ქერავი (როგორი მრავალმნიშვნელოვანი და ტრაგიკული დამთხვევაა) პიტლერულ საკონცენტრაციო ბანაკში დაღუპული კაცისა. იქ იმყოფება – შესაძლოა, ისინი უკვე მკვდრები ან ცოცხალი ლეშები არიან – არა მარტო ბევრი ჩემა მეგობარი, არამედ ის რევოლუციონერებიც, რომლებსაც კარგად იცნობენ პროგრესის მეგობრებიც – ყველა ბანაკში ჩამწყვდეული სოციალისტ-კომუნისტები.

მაგრამ საზოგადოებრივი აზრი, საზოგადოებრივი სინდისი, ვგონებ, იქ უკვე აღარ არსებობს. როგორი სუსტი იყო გამოძახილი მოსკოვის პროცესის ნოვისიბირსკში ტრაგიკულ გამეორებაზე: იქ ორდღიანი პროცესის შემდეგ ექვსი კაცი დაიხვრიტა. თან ეს პროცესი ჩატარდა უმოწყობოდ და ის დაეყრდნო

³¹ „ვეროპის ახალი აღმოჩენა“ (გერმ.).

³² „მოსკოვის პროცესი“ (გერმ.).

³³ „დამშვიდობება საბჭოთა კავშირთან“ (გერმ.).

„აღიარებას“, რომელიც მის ერთადერთ და სასაცილო „გამართლებას“ ემსახურება: დახოცილთ ველარ გააცოცხლებ, მაგრამ შეიძლება იმას შეეშალოს ხელი, რომ სხვებიც ასე არ დაიხოცონ. და შეიძლება სიცოცხლეს დაუბრუნდნენ ისინი, ვინც ჯერ კიდევ სუნთქავს ციმბირის ტუნდრაში და სახელგანთქმულ ბუბიანკაზე — სახელმწიფო პოლიტსამმართველოს მიწისქვეშეთში.

მე ძალ-ღონის დაუზოგავად ვიბრძვი, მაგრამ ბევრი რაეტი შემიძლება. ჩემი მოწოდებები ცოტა ვინმემდე აღწევს. ეს მოწოდებები შეტყობის იმისთვის, რომ ციხის კედლები დაინგრეს.

თქვენ კი გიცნობენ. და ისინი, ვინც კაცობრიობის მიერ წამოყენებული უდიადესი იდეის სახელით ტრაგიკულ უკანონობებს ჩადიან, ვერ გაბედავენ ყური არ მიუგდონ თქვენს ხმას.

ოსეცკი, ჰიტლერის მსხვერპლი, გაათავისუფლეს.
დაგვეხმარეთ სტალინის მსხვერპლთა გათავისუფლებაში!
ნება მომეცით ხელი ჩამოგართვათ.

ბ. რულოლფი.

1936 წ. 5 ნოემბერი

მოსიე,

მე ეს-ესაა მადლიერების გრძნობით წავიკითხე თქვენი სტატია „Vendredi“-ში და თავს ნებას მივცემ მოგმართოთ. თქვენ დაამსახურეთ იმის უფლება, რომ მადლობა გითხრან იმათ, ვისთვისაც რევოლუცია, უბირველეს ყოვლისა, სოციალური სამართლიანობა და ადამიანის ღირსებაა. მე ვიცი, როგორ უჭირთ იმ ძწერლებს, რომლებიც აბიჯებენ ისეთ უცნობ, გამოუკვლევებელ მატერიკზე, რასაც მათთვის წარმოადგენს რევოლუცია, ჭეშმარიტების დანახვა და მათი ყველას გასაგონად გაცხადება. მაგრამ ისიც ვიცი, რომ „თავის თავად დარჩენის სურვილი“ მხოლოდ სრული გულწრფელობის შედეგად მიიღწევა, და, მოსიე ჟად. შეუძლებელია ეს სიწრფელე ვნებდეს მუშათა კლასის საქმეს. ამ საქმეს არაგულწრფელობა და შემგუებლობა ვნებს.

ვკითხულობ თქვენს სტრიქონებს და, ვფიქრობ, რომ თქვენ ახლა გაიგებთ, თუ რა შეიძლებოდა განეცადათ ადამიანებს, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციას იცაუდნენ რა პირველი დღიდანვე და აღიარეს იგი, იმიტომ, რომ ის იყო დაგვირგვინება ომის წინააღმდეგ მათი ბრძოლისა, — როცა დაინახეს, თუ ნელ-ნელა როგორ უღებს მას ბოლოს ძველი სამყარო, როგორ ეცხება ჩირქი მის იდეებს, რომელთა სახელითაც ის მოხდა.

მარსელ მარტინე

1936 წ. 25 ოქტომბერი

დროულია კი სსრკ-ს კრიტიკა? დიახ, დროულია.

საჭიროა რუსული რევოლუციური გამოცდილების გაანალიზება და, თუ აუცილებელია, მისი გაკრიტიკებაც, როგორც ამას სხვა ქვეყნების კომუნისტებისგან თვითონ ლენინი მოითხოვდა. მაგრამ სად გაქრა ის დრო? კომუნისტს არ შეუძლია არ დაინახოს ის, რაც ირგვლივ ხდება. ეს მარქსიზმის უარყოფა იქნებოდა. სწორედ კომუნისტებს არ შეუძლიათ მოვლენებზე თვალის დახუჭონ, რადგან სწორედ ისინი ასხამენ ხორცს მუშათა მოძრაობის მომავალს. მათ არა აქვთ პროლეტარიატის მოტყუების, რევოლუციური გამოცდილების შეცდომათა დაფარვის უფლება.

პირიქით, მათი უფლებაა, მათი ვალია შესწავლა გზისა, რომლითაც მიემართება რუსული რევოლუცია, და განსაკუთრებით შესწავლა ამ გზისა საფრანგეთში, სადაც პროლეტარიატის პოლიტიკური სიმწიფე მას საკუთარი შედეგების ვაცნობიერების ნებას აძლევს, მაგრამ მოტყუებისგან ვერ იცავს. ეს შესწავლა გვიჩვენებს, რომ სსრკ-ში სოციალიზმი არ აშენებულა, რომ მისი რევოლუციური გამოცდილება შეიძლება ძვირფას გაკვეთილად იქცეს პროლეტარიატისთვის მის მომავალ ბრძოლაში. მთავარია ბურჟუაზიის წისქვილს არ დაეხმას წყალი. თავისი როლის ასეთი ვაგება ავითარებს მუშათა კლასის შეგნებას, განამტკიცებს მისი ბრძოლის რევოლუციურ ხასიათს, იფარავს მას საშიში ილუზიებისა და გაუმართლებელი ოპტიმიზმისგან.

სსრკ-ის ეკონომიკა აღმავლობის გზაზეა, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ის თავის თავში შეიცავს კაპიტალიზმის ჩანასახებს, თავისუფალი ბაზრისგან თავდახსნილი არაა და არსებობს განსხვავებული ხელფასები ყველა აქედან გამომდინარე შედეგით.

შ. სანო.



პროზიკა და მოსაზრება

(განახლებილი რუსი ინტელიგენციის ბუნებისმეტყველებული ჟიურის მიერ)



I

რუსეთმა გადაიტანა რევოლუცია. ამ რევოლუციამ არ მოიტანა ის, რასაც მისგან მოელოდნენ. ბევრის აზრით, ჯერ კიდევ საკითხავია, დღემდე გამათავისუფლებელ მოძრაობას რაიმე დადებითი მონაპოვარი გააჩნია თუ არა. გადატანილი ღაძაბულობისა და წარუმატებლობისაგან დაუძლეურებული რუსული საზოგადოება განიცდის რაღაც გაბევებულობას, აპათიას, სულიერ დაქსაქსულობას, გულგატეხილობას. რუსეთის სახელმწიფოებრიობა „ერჭერობით“ არ ამჟღავნებს განახლებისა და განმტკიცების ნიშნებს, რაც მისთვის ესოდენ აუცილებელია: თითქოს სიჭმარეულ სამეფოში იმყოფებოდეს. მასში ყველაფერი ისევ გაქვავებულია, გაურღვეველს ძალ-ბურანით არის შებოჭილი. სიკვდილით მრავალრიცხოვანი დასჯების, დანაშაულობის უწყვეტო ზრდისა და ზნე-ჩვეულებათა ხაერთო გატლანქების გამო გუნებაჩაუამული რუსული მოქალაქეობრიობა აშკარად უკან წავიდა. რუსული ლიტერატურა პორნოგრაფიისა და სენსაციურ ნახელავთა მღვრიე ტალღამ წაღვია. ბუნებრივია, კაცს გული გაგიტყდეს და რუსეთის მომავალზე ღრმა ეჭვი დაგეუფლოს. ყოველ შემთხვევაში ახლა მაინც, როცა ამდენია გადატანილი, შეუძლებელია არ სებობა როგორც მიაპიტი, რამდენადმე გულხალვათი სლავოფილური რწმენისა, ასევე ძველი „ზაპადნიკების“ ვარდისფერი უტოპიებისა. რევოლუციამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა რუსული მოქალაქეობრიობისა და სახელმწიფოებრიობის სიცოცხლისუნარიანობა. ამ ისტორიული გამოცდილების, რევოლუციის ისტორიული გაკვეთილების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია რუსეთის შესახებ რაიმეს მტკიცება, დაუშვებელია გინდ სლავოფილური, გინდ „ზაპადნიკური“ აზრების დექვა.

პოლიტიკურ კრიზისს მოჰყვა სულიერი კრიზისი, რაც მოითხოვს ღრმა, გულისყურიან განხილვას, თვითჩადრმავებას, თვითშემოწმებას, თვითკრიტიკას. თუ რუსული საზოგადოება ჯერ კიდევ ცოცხალია ან სიცოცხლის უნარი გააჩნია, თუ ნომადლის დვრიტას კიდევ შეიცავს, მაშინ

ეს სიცოცხლისუნარიანობა უპირველესად და უმოთვრესად იმის მზადყოფნასა და შეძლებაში უნდა გამჟღავნდეს, რომ ჭკუა ისწავლოს ისტორიისაგან, რამეთუ ისტორია არაა მხოლოდ ქრონოლოგია, რომელიც მოვლენათა თანმიმდევრობას აღრიცხავს, იგი სიცოცხლისმეორე გამოცდილებაა სიკეთისა და ბოროტების გამოცდილება, რაც სულიერი ზრდის პირობას წარმოადგენს და არაფერია ისე ხანოფათო, როგორც გონებისა და გულის სამარხებრი უძრავობა, დაბავებული კონსერვატიზმი, როცა ერთ ადგილას ტყეპნას სჯერდებიან ანდაც არად ავადებენ ცხოვრების გაკვეთილებს და გულში ფარულ იმედებს ატარებენ, ვინაშთ დაწყოს ახალი „ომადლობა სულისკვეთებისა“ — სტიქიური, შემთხვევით და გაუაზრებელი.

თუ ჩავუფიქრებთ, რაც ბოლო ხანებში თავს გადაგენდა, არ შეიძლება ყოველივე ამაში ისტორიული შემთხვევეითობა ან მხოლოდ სტიქიური ძალთა თამაში დავინახოთ. აქ გამოტანილი უქნა ისტორიული განაჩენი, შეფასება მთელ ისტორიული დრამის სხვადასხვა მონაწილეს. შეჭამდა მთელი ისტორიული ეპოქა. „გამათავისუფლებელმა მოძრაობამ“ არ გამოიღო ის შედეგი, რაც უნდა გამოეღო, არ მოიტანა შერაცება, განახლება, ერჭერობით არც სახელმწიფოებრიობის განმტკიცება (თუმცა კი დაგვიტოვა სამომავლო დივი — სახელმწიფო სათათბირი) და არც სახალხო მეურნეობის ზრდა. ამის მიზეზი მხოლოდ ის არ იყო, მეტი სპეტად სუსტი რომ აღმოჩნდა ისტორიული ბნელი ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, არა, გამარჯვება კიდევ იმითომ ვერ შესძლო, რომ თავად არ აღმოჩნდა საკუთარი მიზნის სიმაღლეზე, თავად დაესუსტებინა შინაგან წინააღმდეგობებს. რუსულმა რევოლუციამ უზარმაზარი დამანგრეველი ენერჯია განავითარა, იგი მგავდა უდიდეს მიწისძვრას, მაგრამ შემოქმედი ძალები დამანგრეველ ძალებზე სუსტი აღმოჩნდა. ზოგს სულში ჩარჩა ეს მწარე შეგნება, როგორც გადატანილის უზოგადესი შეჯამება. არის კი საჭირო ამ შეგნების ჩახშობა? იქნებ

სკობდეს მისი გამოთქმა, რათა ჩავუფიქრდეთ კითხვას, რამ განაპირობა ეს?...

მკითხველ საზოგადოებას უკვე გავაცანი ჩემი შეხედულება, რომ რუსული რევოლუცია ინტელიგენციისეული იყო. სულიერი წინამძღოლი ჩვენი ინტელიგენცია იყო თავისი მხოფბედველობით, ჩვევებით, გემოვნებით, სოციალური ხუსტურებით. რა თქმა უნდა, თავად ინტელიგენტები ამას არ აღიარებენ, ამიტომაც არიან ინტელიგენტები, და თითოეული თავისი კატეხიზისის მიხედვით რევოლუციის ერთ-ერთ მამოძრავებლად დაასახელებს ერთადერთ საზოგადოებრივ კლასს. უდავოა, რომ მთელ რიგ ინტორიულ ვითარებათა ერთობლიობის (რომელთა შორის პირველი ადგილი, ცხადია, ომს ეკუთვნის) და სხვადასხვა საზოგადოებრივი კლასებისა თუ ჯგუფების სერიოზული სასიცოცხლო ინტერესების არსებობის გარეშე ადგილიდან მათი დაძვრა და ათუხთუხება არ მოხდებოდა, მაგრამ მაინც ვამტკიცებთ, რომ მთელი იდეური ავლა-დიდება, მთელი სულიერი აღქურვილობა მოწინავე მებრძოლებთან, მოთავეებთან, პრობაგანდისტებთან ერთად რევოლუციას ინტელიგენციამ მიაწოდა. მასათა ინსტინქტური ღტოლვები მან სულიერად გააფორმა, თავისი ენთუზიაზმით ცეცხლი შეუნთო, ერთი ხიტყვით, რევოლუციის გოლიათური სხეულის ნერვები და ტვინი ინტელიგენცია იყო. ამ აზრით რევოლუცია ინტელიგენციის სულიერი პირმშოა და, მაშასადამე, მისმა ინტორიამ ამ ინტელიგენციას ისტორიული მსჯავრა უნდა გამოუტანოს.

ინტელიგენციის, ამ პეტრეს კმნილების სული, ამავე დროს მომავალია რუსული სახელმწიფოებრიობისა და საზოგადოებრიობის განადგობაცა. ავია თუ კარგი, პეტრესეული რუსეთის ბედი ინტელიგენციის ხელშია. რაც არ უნდა დაწიოკებული და დევნილი იყოს, რაც არ უნდა სუსტი და უღონოდ ჩანდეს მოცემულ მომენტში, ინტელიგენცია არის სწორედ პეტრეს მიერ ევროპაში გაქრილი ის სარკმელი, რომლიდანაც შემოდის ჩვენში დასავლეთის შაერი, ერთდროულად მაცოცხლებელი და მომშხამველიც. ამ ერთ მუჭა ინტელიგენციას ეკუთვნის ევროპული განსწავლულობისა და განათლების მონოპოლია რუსეთში, იგია მთავარი გზამკვლევი ასმილიონიან ხალხში და თუ რუსეთს პოლიტიკური და ეროვნული სიკვდილის შიშით ამგვარი განათლების გარეშე ფონს გასვლა არ შეუძლია.

„ნარკვევში „რელიგია და ინტელიგენცია“ („რუსეთის ნისი“, 1905, III) გამოცემულია ცალკე.

მაშინ რაოდენ მაღალია და მნიშვნელოვანი ინტელიგენციის ეს ისტორიული მისია, რაოდენ თავზარდამცემად დიდია მისი ისტორიული პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნის როგორც უახლესი ისე შორეული მომავლის წინაშე პატრიოტიზმის, თავისი ხალხი რომ უყვარს და რუსული სახელმწიფოებრიობის შექმნა-გამოგული შესტკივა, არ არსებობს განსაზრებლად იმაზე უფრო მიმზიდველი თემა, ვიდრე რუსი ინტელიგენციის ბუნებაა, ამათთან, არ არსებობს უფრო მომქანცველი და საგანგაშო საზრუნავი, ვიდრე ფიქრი იმაზე, დადგება თუ არა რუსი ინტელიგენცია თავისი მიზნის სიმაღლეზე, მიიღებს თუ არა რუსეთი მისთვის ეგზომ საჭირო, რუსული სულის, ნათელი გონების, მტკიცე ნებესყოფის, განათლებულ კლასს, სხვა შემთხვევაში ჩვენი ინტელიგენცია, ხელიხელ ჩაკიდებული „თათრობასთან“, რასაც ჯერ კიდევ დიდი ძალა აქვს ჩვენს სახელმწიფოსა და საზოგადოებაში, დაღუპავს რუსეთს, ბევრმა რევოლუციის შემხედვარემ ინტელიგენციითა და მისი ისტორიული ვარჯისიანობით მძაფრი გაწბილება განიცადა. წარუმატებლობამ დაანახათ ინტელიგენციის უნიათობაც. რევოლუციამ გააშიშვლა და გაამძაფრა ინტელიგენციის სულიერი იერსახის ისეთი მხარეები, რომელთა ნამდვილ მნიშვნელობას ადრე მხოლოდ მცირედნი თუ ხვდებოდნენ (პირველ რიგში დოსტოევსკი). იგი თითქოს მთელი რუსეთის, განსაკუთრებით კი ინტელიგენციის, სულიერი ხარკე შეიქნა, გაჩუმება არათუ დაუშვებელია, არამედ პირდაპირ დანაშაულია. აბა, რას უნდა დაემყაროს ჩვენი იმედები, თუ არა იმას, რომ საზოგადოებრივი დაცემის წლები მხსნელი მონანიების წლები შეიქნება, რომ სულიერი ძალები აღორძინდება და ახალი ადამიანები აღიზრდებიან, ახალნი მუშაკნი რუსული უანობიისა, რუსეთი-ვერ განახლდება, თუ არ განახლა (სხვა მრავალთან ერთად) პირველ რიგში თავისი ინტელიგენცია. ხმამაღლა და დაუფარავად ამაზე ლაპარაკი რწმენისა და პატრიოტიზმის ვალია. რუსი ინტელიგენციის სულიერი იერსახის ზოგიერთი მხარის კრიტიკა სულაც უკავშირდება ერთ რომელიმე განსაზღვრულ, მისთვის უველაზე უცხო მსოფლმხედველობასაც კი. ამ მიმართებით ერთმანეთისგან დაშორებულ, სხვადასხვა მსოფლმხედველობის ადამიანებს შეუძლიათ გაერთიანდნენ, რაც უველაზე უკეთ დაგვანახებს, რომ ამგვარი თვითკრიტიკის დრო მართლა მოვიდა, და უპასუხებს თუნდაც იმავე ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის სასიცოცხლო მოთხოვნილებებს.

რუსი ინტელიგენციის ხასიათი ზოგადად ორი ძირითადი, გარეგანი და შინაგანი, ფაქტორის

ზემოქმედებით უაღიბდებოდა. ერთი იყო პოლიციური წნეხის განუწყვეტელი და დაუნდობელი დაწოლა. რასაც შეეძლო ხავხებით გაენადგურებინა სულიერად შედარებით სუსტი ჩგუფი. და თუ მან სიცოცხლე და ენერჯია შეინარჩუნა ამ წნეხის ქვეშაც, ეს უოველ შემთხვევაში მოწმობს მის სრულიად გამორჩეულ შეუპოვრობასა და სიცოცხლისუნარიანობას. ცხოვრებისაგან იზოლირებას, რაშიც ძველი რეჟიმის მთელი ატმოსფერო ამყოფებდა ინტელიგენციას, აძლიერებდა „იატაკვეშური“ ფსიქოლოგიის თვისებებს, ისედაც რომ ახასიათებდა ინტელიგენციის სულიერ იერსახეს, უინავდა მას სულიერად, მხარს უბამდა და გარკვეულწილად ამართლებდა მის მონოდიეიზმს (თვითმპყრობელობასთან ბრძოლის „პანიბალის ფიცს“) და უძნებებდა ნორმალური სულიერი განვითარების შესაძლებლობას. შედარებით სასიკეთო გარეგანი ვითარება მხოლოდ ახლა იქმნება და ამაში არ შეიძლება განმათავისუფლებელი მოძრაობის სულიერი მონაპოვრები არ დავინახოთ. მეორე, შინაგანი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი ინტელიგენციის ხასიათს, მისი გამორჩეული მსოფლმხედველობაა და მასთან დაკავშირებული სულიერი წყობა. ამ მსოფლმხედველობის დახასიათებასა და კრიტიკას მიეძღვნება მთლიანად ეს ნარკვევი.

ინტელიგენციის რელიგიისადმი მიმართებაში არ შეიძლება უმთავრესი თავისებურება არ დავინახო. რუსული რევოლუციის ძირითად თავისებურებათა გაგებაც ვერ მოხერხდება, თუ უურადღების ცენტრში ინტელიგენციის რელიგიისადმი ეს მიმართება არ დავაუენეთ. და იი, რუსეთის ისტორიული მომავალიც ასევე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაიდგენს თავს ინტელიგენცია რელიგიისადმი მიმართებაში: დარჩება უწინდელ, უსიცოცხლო მდგომარეობაში თუ ამ სფეროში კიდევ გველის გადატრიალება, ნაღდი რევოლუცია სულსა და გულში.

II

მრავალგზის იყო მითითებული (დოსტოევსკის კვალად), რომ რუსი ინტელიგენციის სულიერ იერსახეში რელიგიური, ზოგჯერ ქრისტიანობასთან მიახლოებული ნიშან-თვისებები შეიმჩნევა. ამ თვისებებს უპირველეს უოველი. სა გარეგანი ისტორიული გარემოებანი აუალიბებდა: ერთის მხრივ, მთავრობის მიერ დევნა, რაც მარტვილობისა და აღმსარებლობის განცდას ბადებდა, მეორეს მხრივ, ცხოვრებისა-

გან იძულებითი განდგომა, რაც ავითარებდა მეოცნებეობას, ზოგჯერ გულხალვათობას, უტოპიზმს, ზოგადად — სინამდვილის უმარის გრძნობას. ამას უკავშირდება ის თვისებაც, რომ მისთვის ფსიქოლოგიურად უცხოა — თუმცა ხვათა შორის შესუფთავებულად ქერქერობით — დასავლეთ უკუქველღე უკუცხოვრების მყარად ჩამოყალიბებული „მეშჩანური“ წყობა თავისი უოველდღიური სიქველღებით, ინტენსიურ შრომაზე აგებული მეურნეობით, მაგრამ, ამავე დროს ფრთაშეკვეცილობითა და შეზღუდულობით. რუსი ინტელიგენტის ევროპულ „მეშჩანობასთან“ სულიერი შეჭახების კლასიკური გამოხატულება გერცენის თხზულებებშია.* მონათესავე განწყობილება არაერთხელ გამოხატულა უახლოეს რუსულ ლიტერატურაშიც. ამ უოფის დასრულებულობა, მიწასთან მიბმულობა, სულიერი ღოღიალი რუს ინტელიგენტს თვალში არ მოხდის, თუმცა კი უველამ ვიციით, დასავლელი კაცისაგან რამდენი რამ აქვს შესასწავლი, სხვა რომ არა ვთქვათ. ცხოვრებისა და შრომის ტექნიკა მაინც. თავის მხრივ, დასავლური ბურჟუაზიისათვისაც აუტანელი და გაუგებარია ეს მოხეტიალე რუსეთი, ემიგრანტული სანავარდო, დღემდე ნაკვეები სტენკა რაზინისა და ემელკა პუგაჩოვის შთაგონებით, რაც თანამედროვე რევოლუციურ უარგონზეა თარგმნილი. ბოლო წლებში ამ სულიერმა ანტაგონიზმმა, როგორც ჩანს, უდიდეს დაძაბულობას მიაღწია.

თუ შევეცდებით რუსი ინტელიგენციის ეს „ანტიბურჟუაზიულობა“ გავაანალიზოთ, იგი ძალიან განსხვავებულ ელემენტთა შედგენილობასა აღმოჩნდება. არის მასში ელემენტი მემკვიდრეობითი ბატონკაცობისა, რომელიც თაობათა მანძილზე თავისუფალი იყო არსობის პურსა და საერთოდ ცხოვრების „მეშჩანურ“ მხარეზე ზრუნვისაგან, მნიშვნელოვანია დოზა უბრალოდ უკულტურობისა, მუყაითი, დისციპლინიანი შრომისა და ცხოვრების ზომიერ წესთან შეუჩვევლობისა. მაგრამ, უეჭველია, არის გარკვეული, სხვათა შორის არც ისე დიდი დოზა ალბათ გაუცნობიერებელი რელიგიური ზიზღისა სულიერი „მეშჩანობისადმი“, „მიწიერი სამეფოსადმი“, მისი მშვიდი თვითკმაყოფილებისადმი.

საუოველთაოდ ცნობილი არაამქვეყნიურობა, ესქატოლოგიური ოცნება დვთის ქალაქზე, მომავალ სიძარტლის საუფლოზე (სხვადასხვა სოციალისტური ფხვედონიებებით), და სწრაფვა კაცობრიობის ხსნისა თუ ცოდვისაგან არა,

* ამის შესახებ იხილეთ ჩემი ნარკვევი „გერცენის სულიერი დრამა“.

ტანჯვათაგან მანც, — შეადგენს. როგორც ცნობილია, რუსი ინტელიგენციის უცვლელსა და გამორჩეულ თავისებურებას. ცხოვრების დისპარმონიულობით მინიჭებული ტკივილი და პისი დაძლევის ლტოლვა საკმაოდ თავისაჩინო მწერალ-ინტელიგენტებსაც ახასიათებთ (გლ. უსპენსკი, გარშინი). ამ ლტოლვაში მომავალი დღის საუფლოსადმი, რომელთან შედარებით მიწიერი სინამდვილე გახუშებულია, ინტელიგენციამ შემოინახა შედარებით საცნაური ფორმით დაკარგული ეკლესიურობის ნიშნები. მეორე სახელმწიფო სათათბიროში ათეისტური მემარცხენე ბლოკის ქარიშხლიან სიტუაციაში რამდენჯერ მომხვედრია ყურში — უცნაურია სათქმელად! — მართლმადიდებლური ფსიქოლოგიის გამოძახილი, მოულოდნელად თავი გაუმედავებია ხოლმე მისი სულიერი აცრის გავლენას.

საზოგადოდ, ეკლესიის მიერ ჩამოყალიბებული სულიერი ჩვევებით აიხსნება რუსი ინტელიგენციის არა ერთი საუკეთესო თვისება, რომელთაც იგი კარგავს ეკლესიისთან დაშორების შესაბამისად. მაგალითად, გარკვეული პურიტანიზმი, რიგორისტული ზნე-ჩვევები, თავისებური ასკეტიზმი, ზოგადად პირად ცხოვრებაში სიმკაცრე. მაგალითად, რუსი ინტელიგენციის ბელადები დობროლუბოვი და ჩერნიშევსკი (ორივე სემინარისტია იყო, აღიზარდნენ სასულიერო პირთა რელიგიურ ოჯახებში) თითქმის ხელშეუხებლად ინარჩუნებენ თავის უწინდელ ზნეობრივ სახეს, რომელსაც უკვე მათი ისტორიული შვილები და შვილიშვილები თანდათანობით კარგავენ. რუსული რევოლუციის საუკეთესო და უდიდეს მოღვაწეთა სულიერ იერსახეში კვივის ქრისტიანული ნიშან-თვისებები, შეთვისებული ზოგჯერ შეუგნებლად და უნებლიეთ გარემოს, ოჯახის, ვადის, ეკლესიურობით გაგრეობული სულიერი ატმოსფეროს გზით. მაგრამ იმიტომ, რომ ამის წყალობით მხოლოდ იჩრდილება ქრისტიანობის და ინტელიგენციის სულიერ წყობათა მთელი დაპირისპირებულობა, მნიშვნელოვანია, დავადვინოთ, რომ ამ ნიშან-თვისებებს მიტმანნილი, ნასესხები, გარკვეული აზრით, ატავისტური ხასიათი გააჩნია და უჩინარდება უწინდელ ქრისტიანულ ჩვევათა შესუსტების შესაბამისად, საინტელიგენციო ტიპის უფრო სრულყოფილად გამომქლავებისას უდიდეს ინტენსიურობას რომ მიადწია რევოლუციის დღეებში და საბოლოოდ ჩამოიფრთხა ქრისტიანობის უკანასკნელი ვადმონაშთები.

რუს ინტელიგენციას, განსაკუთრებით წინათაობებს, ახასიათებს ხალხის წინაშე დანა-

შაულის გრძნობა, ეხაა თავისებური „სოციალური მონანიება“, რა თქმა უნდა, არა ღმერთის წინაშე, არამედ „ხალხის“ ან „პროლეტარიატის“ წინაშე. თუმცა „მონანიე“ ბატონის ან „უკლასო ინტელიგენტის“ ამ გრძნობებსაც თავისი ისტორიული წარმოსობით „ბატონკაცობის“ სოციალური ელფერი დაჭრა და ინტელიგენციის სახეზე განსაკუთრებული ჩაღრმავებულობისა და ტანჯვის კვალი აღუბეჭდავს. ამას უნდა დაემატოს მსხვერპლშეწირულობა, ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლების მუდმივი მზადყოფნა, გაიღონ მსხვერპლი ან ეძებონ ასეთი შემთხვევა. რანაირიც არ უნდა იყოს მსხვერპლშეწირულობის ფსიქოლოგია, ის შინც განამტკიცებს ინტელიგენციისეულ არაამქვეყნიურობის განცდას, გამოჩნავს მეშინაობისაგან და განსაკუთრებული რელიგიურობის იერს ანიჭებს მას.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ცნობილია, რომ რუს ინტელიგენციაზე უფრო ათეისტური ინტელიგენცია არ არსებობს. ათეიზმი საზოგადოდ რწმენაა, რომლითაც ინათლებიან საინტელიგენციო ჰუმანისტური ეკლესიის წიაღში შემსვლელნი არა მარტო განათლებული კლასიდან, არამედ ხალხიდან. გამოსულებიც, ახე მოგვედგამს დასაბამიდან, ჯერ კიდევ რუსი ინტელიგენციის სულიერი მამიდან — ბელინსკიდან. როგორც ყოველი საზოგადოებრივი გარემო შეიმუშავებს თავის ჩვევებს, თავის განსაკუთრებულ რწმენებს, ასევე რუსი ინტელიგენციის ტრადიციული ათეიზმიც მიიჩნევა თავისებურებად, რაც თავისთავად იფულისხმება, და მასზე აღარც კი ლაპარაკობენ თითქოსდეკარგ ტონის ნიშნად. ჩვენი ინტელიგენციის თვალში რამენაირი წიგნიერება რელიგიური ინდიფერენტისა და უარყოფის სინონიმად ითვლება. განსხვავებულ ფრაქციებში, პარტიებში, „მიმართულებებში“ ამაზე არ კამათობენ. ეს ყველას აერთიანებს. ამითაა გაყვანილი ძირისძირამდე მწირო საინტელიგენციო კულტურა თავის გაზეთებიანად, შურნალებიანად, პროგრამებიანად, წესებიანად, აკვიატებულ შეხედულებებიანად, მსგავსად სუნთქვისა, რომლის მეონებითაც სისხლში ჟანგვითი პროცესი მიმდინარეობს და მთელ ორგანიზმში ვრცელდება ჟანგბადი. რუსული განმანათლებლობის ისტორიაში ამაზე მნიშვნელოვანი ფაქტი არ არსებობს. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ რუსული ათეიზმი ხულაც არ წარმოადგენს შეგნებულ უარყოფას, გონების, გულის, ნების, რთული, მტანჯველი და ხანგრძლივი მუშაობის შედეგს, პირადი ცხოვრების შექამებას. არა, უპირავლეს შემთხვევაში მისი აღიარება ბრმა

რწმენის საფუძველზე ხდება და ინარჩუნებს შიამიტი, ოღონდ გადაბრუნებული რელიგიური სარწმუნოებების თვისებას, იგი არ იცვლება იმის გამო, რომ იღებს ხოლმე მებრძოლ, დოგმატურ მომეცნიერო ფორმებს, ეს სარწმუნოება თავის საფუძველად იღებს უკრიტიკო, შეუმოწმებელ, თავის დოგმატურ ფორმაში არასწორ დებულებებს, სახელდობრ, იმას, რომ მეცნიერება კომპეტენტურია, საბოლოოდ გადაწყვიტოს რელიგიის ხაკითხები და თანაც — უარყოფითად. ამას ემატება კიდევ ფილოსოფიისადმი ექვიანი დამოკიდებულება, განსაკუთრებით, ასევე წინდაწინ დაგმობილი და განკიცხული მეტაფიზიკისადმი.

ამ რწმენას იზიარებენ სწავლულნიცა და უსწავლელნიც, ხანდაზმულნიცა და ახალგაზრდანიც. მას ითვისებენ ურბოების ასაკში, რაც ბიოგრაფიულად, რა თქმა უნდა, ზოგისთვის ადრე დგება, ზოგისთვის — გვიან. ამ ასაკში ჩვეულებრივ იოლად და ბუნებრივადაც კი იღებენ რელიგიის უარყოფას და მაშინვე უნაცვლებენ მეცნიერების, პროგრესის რწმენას, ჩვენი ინტელიგენცია, რაკი ერთი დადგება ამ ნიადაგზე, უმრავლეს შემთხვევაში მთელი ცხოვრება ამ რწმენით რჩება, მიიჩნევენ, რომ ეს კითხვები უკვე საკმარისად ახსნილია და საბოლოოდ გადაწყვეტილი. ამ შეხედულების თაობაზე საყოველთაო ერთხულოვნება მიპნოზის მდგომარეობაში ამყოფებს. უმაწვილები მოწიფული ვაჟები დგებიან, ზოგი მათგანი სერიოზულ მეცნიერულ ცოდნასაც იძენს, ცნობილი სპეციალისტიც ხდება. ასეთ შემთხვევაში სიუმაწვილეში აღიარებული, სკოლის მერხზე დოგმატურად აღქმული ათეიზმის სასარგებლოდ ამძიმებენ სასწორის პინას სწავლული სპეციალისტების ავტორიტეტით. ამგვარად იქმნება სულიერი ატმოსფერო ჩვენს უმაღლეს სკოლაში, სადაც მომავალი ინტელიგენცია უაღიბდება. გამოაცხებელია, რაოდენ მცირე შთაბეჭდილებას ახდენდნენ რუს ინტელიგენციაზე ღრმა განათლების, გონების, გენიის ადამიანები, როდესაც ისინი მოუწოდებდნენ რელიგიური ჩაღრმავებისაკენ, დოგმატური ძილისაგან გამოღვიძებისაკენ, რანაირად ვერ შეამჩნიეს ჩვენი რელიგიური მოაზროვნეები და მწერალი ხლავოფილები ვლ. სოლოვიოვი, ბუხარევი, თავადი ს. ტრუბეცკოი და სხვანი, რა ურუ იყო ჩვენი ინტელიგენცია დოსტოევსკის და თვით ლ. ნ. ტოლსტოის რელიგიური ქადაგებების მიმართ, მიუხედავად ამ უკანასკნელის სახელის გარეგნული კულტისა.

რუსულ ათეიზმში უკელაზე უფრო განმაცვიფრებელია დოგმატიზმი, ეს, შეიძლება ითქვას, რელიგიური ქარაფშუტობა, რითაც ათე-

იზმი შეითვისება, უკანასკნელ დრომდე რელიგიურ პრობლემებს მთელი შათი უხაზდვრო, განსაკუთრებული მნიშვნელობითა და სიმწვავეთ რუსული „განათლებული“ საზოგადოება უბრალოდ არ ამჩნევდა და არ უხმენდა საზოგადოდ, რელიგიით მხოლოდ იმდენად ინტერესდებოდნენ, უკმაყოფილოები უკავშირდებოდა პოლიტიკას და რელიგიის ქადაგებას გამოგნებელია ჩვენი ინტელიგენციის უმეტრება რელიგიის საკითხებში. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ბრალი დავდო, — მას აღბან საკმარისი ისტორიული გამართლება გააჩნია, არამედ იმიტომ, რომ მის სულიერ მდგომარეობას სწორი დიაგნოზი დავუსვამთ. ჩვენი ინტელიგენცია რელიგიისადმი მიმართების საკითხში, უბრალოდ, ჭერ კიდევ ურბოების ასაკიდან არ გამოსულა, ჭერ კიდევ სერიოზულად არ ჩაფიქრებია რელიგიას და გაცნობიერებული რელიგიური თვითდადგენისთვის არ მიუღწევია, მას ჭერ კიდევ არ უცნოვრია რელიგიური აზროვნებით და ამიტომ ის, მკაცრად რომ ვთქვათ, დგას არა რელიგიის ზემოთ, როგორც თავად ფიქრობს, არამედ — რელიგიის გარეთ. რუსული ათეიზმის ისტორიული წარმომავლობა უოველივე ამის საუკეთესო საბუთად გამოდგება. ათეიზმი ჩვენში დასავლეთიდან აითცისეს (ტუუილად კი არ იქცა იგი ჩვენი „ზაპადნიკობის“ რწმენის სიმბოლოს პირველ მუხლად). ჩვენ იგი დასავლური ცივილიზაციის უკანასკნელ სიტყვად მივიღეთ ჭერ ვოლტერისანობისა და ფრანგი ენციკლოპედიისტების მატერიალიზმის, შემდეგ ათეისტური სოციალიზმის (ბელინსკი), მოგვიანებით ნმ-იანი წლების მატერიალიზმის, პოზიტივიზმის, ფოიერბახისეული ჰუმანიზმის, უახლოეს ხანებში ეკონომიკური მატერიალიზმის და სულ ბოლო წლებში კრიტიციზმის საბით. დასავლური ცივილიზაციის მრავალშტოვან ზეზე, რომელსაც ისტორიაში ღრმად აქვს გადგმული ფესვები, ჩვენ ვეტრფილეთ მხოლოდ ერთ ტოტს, არ ვიცნობდით და არც გვინდოდა სხვა დანარჩენი გვეცოდნოდა. ღრმად გვწამდა, რომ ჩვენში ვამყნობდით ნაღდ ევროპულ ცივილიზაციას, მაგრამ ევროპულ ცივილიზაციას გააჩნია არა მარტო სხვადასხვანაირი ნაყოფი და მრავალრიცხოვანი ტოტი, არამედ — ფესვიც, ხეს რომ კვებავს და გარკვეულ დონემდე თავისი საღი წვენებით უვნებელყოფს მრავალ შხამიან ნაყოფს. ამიტომაც თავის სამშობლოში უარყოფით მოძღვრებებსაც კი მათი საპირისპირო მძლავრი ხულიერი მიმდინარეობების გვერდით სრულიად განსხვავებული ფსიქოლოგიური და ისტორიული მნიშვნელობა გააჩნია და სულ სხვა — როცა კულტურის უდაბნოში ჩნდებიან და თავი

მოქვე რუსული განათლებისა და ცივილიზაციის ერთადერთ საძირკველად. ასეთ საძირკველზე ჭერ არც ერთი კულტურა არ დაშენებულა.

ამჟამად ხშირად ივიწყებენ, რომ დასავლურ ევროპულ კულტურას რელიგიური ფესვები გააჩნია, უოველ შემთხვევაში, ნახევრად მაინც შუა საუკუნეებისა და რეფორმაციის ჩაყრილ საძირკველზე დგას. რანაირიც არ უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება რეფორმაციული დოგმატიკისა და საზოგადოდ პროტესტანტიზმისადმი, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ რეფორმაციამ მთელს დასავლურ სამყაროში უზარმაზარი რელიგიური აღმავლობა გამოიწვია მისი იმ ნაწილის ჩათვლით, რომელიც კათოლიციზმის ერთგული ღარჩა, მაგრამ იძულებული შეიქნა მტრებთან საბრძოლველად განახლებულიყო. ამ აზრით, ევროპელი ადამიანის ახალი პიროვნება რეფორმაციამ შუა (ანთმა წარმოშობამ მას თავისი კვალი დააჩნია), პოლიტიკური თავისუფლება, სინდისის თავისუფლება, ადამიანის და მოქალაქის უფლებანიც რეფორმაციამ წამოაყენა (ინგლისში): უახლესი გამოკვლევებით ცხადი ხდება აგრეთვე პროტესტანტიზმის მნიშვნელობა, განსაკუთრებით რეფორმატორობაში, კალვინიზმსა და პურიტანიზმში, სამეურნეო განვითარების საქმეში, იმ ინდივიდების ჩამოყალიბებაში, რომელთაც შეუძლიათ სახალხო მეურნეობას უხელმძღვანელონ. პროტესტანტიზმშივე უპირატესად ვითარდებოდა უახლესი მეცნიერებაც და განსაკუთრებით ფილოსოფიაც, ხოლო მთელი ეს განვითარება მიმდინარეობდა მკაცრი ისტორიული შემკვიდრებით და თანდათანობით უოველგვარი ნაბრალეებისა და ჩამოშლევების გარეშე. დასავლურ-ევროპული სამყაროს კულტურული ისტორია წარმოადგენს ერთად შეკავშირებულ მთლიანობას, რომელშიც ახალი დროის მონაბერთა გვერდით ჭერ კიდევ ცოცხლობს და თავისი აუცილებელი ადგილი უკავია შუა საუკუნეებსაც და რეფორმაციასაც.

ჭერ კიდევ რეფორმაციის ეპოქაში გამოიკვეთა ის სულიერი კალაპოტი, რომელიც რუსი ინტელიგენციის განმსაზღვრელი აღმოჩნდა რეფორმაციის პერიოდში, ჰუმანიტური რენესანსის, კლასიკურ სიძველეთა აღორძინების ხანაში ხდებოდა წარმართობის ზოგიერთი ნიშან-თვისების აღდგენაც. რეფორმაციის რელიგიური ინდივიდუალიზმის პარალელურად ძალას იკრებდა ნეოწარმართული ინდივიდუალიზმიც, რომელიც განადიდებდა არა აღორძინებულ ბუნებრივ ადამიანს, ამ შეზღუდულების თანახმად, ადამიანი თავისი არსით კეთილია

და მშვენიერი. მას მხოლოდ გარეგანი პირობები ამახინჯებს. საკმარისია, ბუნებრივი მდგომარეობა აღუდგინოთ, რომ ამით უველაფერი იქნება მიღწეული. აქა ძირს სხვადასხვა ბუნებრივი სამართლის თეორიებისა, აგრეთვე უახლესი მოძღვრებებისა პროგრესისა და ადამიანური ტრაგედიის ტრადიციული გარეგან რეფორმათა უოველმშვენიერებისა შესახებ, მაშასადამე, მთელი უახლესი ჰუმანიზმისა და სოციალიზმის შესახებ. რელიგიური წარმართული ინდივიდუალიზმის გარეგანი მოჩვენებითი სიახლოვე არ აუქმებს მათ ღრმა შინაგან სხვაობას, ამიტომ უახლოეს ისტორიაში ჩვენ თვალს ვადევნებთ არა მართო პარალელურ განვითარებას, არამედ ანორივე მიმდინარეობის ბრძოლას. ჰუმანიტური ინდივიდუალიზმის მოტივების გაძლიერება აზროვნების ისტორიაში მოახწავებს ვგრეთ წოდებული „ბანმანათლებლობის“ ეპოქას XVII, XVIII, ნაწილობრივ XIX საუკუნეებში, ჰუმანიზმის წანამძღვარებიდან განმანათლებლობას რადიკალურად უარყოფითი დასკვნები გამოაქვს. რელიგიის სფეროში დეიზმის გავლით იგი მიდის სკეპტიციზმთან და ათეიზმთან; ფილოსოფიის სფეროში რაციონალიზმის და ემპირიზმის გავლით პოტიცივიზმთან და მატერიალიზმთან; მორალის სფეროში „ბუნებრივი“ მორალის გავლით — უტილიტარიზმთან და ჰედონიზმთან. მატერიალისტური სოციალიზმიც შეიძლება განვიხილოთ როგორც განმანათლებლობის უველაზე გვიანი და მწიფე ნაყოფი. ეს მიმართულება, რომელიც ერთის მხრივ, რეფორმაციის გახრწნის პროდუქტია, მეორეს მხრივ, ერთ-ერთი გამხრწნელი საწყისია დასავლეთის სულიერ ცხოვრებაში, საკმაოდ გავლენიანია უახლოეს ისტორიაში. მისით იყო შთაგონებული დიდი ფრანგული რევოლუცია და XIX საუკუნის რევოლუციათა უმეტესობა. ამავე დროს აძლევს იგი გონით საფუძველს ევროპულ მეშჩანობას, რომლის ბატონობამ შეცვალა ჭერჭერობით განმანათლებლობის ჰეროიკული ეპოქა. ოღონდ ძალზედ მნიშვნელოვანია, არ დავივიწყოთ, რომ, თუმცა კი ევროპა სულ უფრო და უფრო მახინჯდება მასებში გავრცელებული განმანათლებლობის პოპულარული ფილოსოფიით და მეშჩანობის სიცივეში ითხოება. კულტურის ისტორიაში განმანათლებლობა არასოდეს თამაშობდა და არ თამაშობს გამორჩეულ ანდაც გაბატონებულ როლს. ევროპული კულტურის ხე დღემდე თვალისთვის შეუმჩნევლადაც ძველი რელიგიური ძირების სულიერი წვენიტ საზრდოობს. ეს ძირები, ეს განსაღი ისტორიული კონსერვატიზმი ინახავს ამ ხეს, თუმცა კი

იმ ზომით, რა ზომითაც განმანათლებლობა აღწევს ძირებსა და ზროში, ხე იწყებს ჭკობას და ლობას, ამიტომ არ შეიძლება დასავლურევეროპული ცივილიზაცია მის ისტორიულ საფუძველში არარელიგიურად ჩაითვალოს, თუმცა ნამდვილად სულ უფრო და უფრო ხდება ასეთი ბოლო თაობათა ცნობიერებაში. ჩვენი ინტელიგენცია თავის „ზაპადნიკობაში“ დასავლეთის უახლესი პოლიტიკური და სოციალური იდეების გარეგნულ ათვისებაზე შორს არ წასულა, ამასთან ისინი განმანათლებლობის ფილოსოფიის უკიდურესსა და მძაფრ ფორმებთან კავშირში აითვისა. ამ შეჩენვაში, რომელიც თავად ინტელიგენციამ მოახდინა, არსებითად ბრალი არც კი მიუძღვის დასავლურ ცივილიზაციას. მის ორგანულ მთლიანობაში, მისი ისტორიის პერსპექტივაში რუს ინტელიგენტს სრულიად რჩება მხედველობიდან „პირქუში“ შუა საუკუნეები, მთელი რეფორმაციის ეპოქა, მისი უდიდესი გონითი მონაპოვრები, მეცნიერული და ფილოსოფიური აზრის მთელი განვითარება გარდა უკიდურესი განმანათლებლობისა. დასაბამით იყო ბარბაროსობა, ხოლო შემდეგ ამობრწყინდა ცივილიზაცია, ე. ი. განმანათლებლობა, მატერიალიზმი, ათეიზმი, სოციალიზმი — აი, საშუალო რუსი ინტელიგენტის მარტივი ფილოსოფია. ამიტომ რუსული კულტურისთვის რომ ვიბრძოლოთ, საჭიროა ვიბრძოლოთ, სხვათა შორის, უფრო ჩაღრმავებული ისტორიული ცნობიერების მქონე „ზაპადნიკობისთვისაც“ კი.

რატომ მოხდა, რომ ჩვენმა ინტელიგენციამ ასე იოლად სწორედ განმანათლებლობის დოგმატები შეითვისა? შეიძლება მრავალ ისტორიულ მიზეზზე მავუთითოთ. მაგრამ გარკვეულწილად ეს არჩევანი თავად ინტელიგენციის თავისუფალი ნების საქმე იყო, ამდენად იგია პასუხისმგებელი სამშობლოსა და ისტორიის წინაშე.

ყოველ შემთხვევაში, მისი წყალობით წუდება დროთა კავშირი რუსულ განმანათლებლობაში და ამ გაწყვეტით სულიერად ავადა ჩვენი სამშობლო.

III

ქრისტიანობისა და მის მიერ დადგენილი ცხოვრების ნორმების გადაადგებით ჩვენი ინტელიგენცია ათეიზმთან ერთად, ჯობია ითქვას, ათეიზმის ნაცვლად, აღიარებს კაცლვთაების რელიგიის დოგმატებს, მის ამა თუ იმ ვარიანტს, რომელიც დასავლეთევეროპულმა განმანათლებლობამ შეიმუშავა და გადადის ამ რელიგიის კერპთაყვანისმცემლობაში. ძირითადი დოგმატი, რომელიც ყველა მის ვარიანტს ახასიათებს,

არის რწმენა ადამიანის ბუნებრივი სრულყოფილებისა, უხასრულო, ადამიანის ძალებით განხორციელებული პროგრესისა, მაგრამ ამ რელიგიის პროგრესიც შექანიურად ესმის. რადგან მთელი ბოროტება ამსილია ადამიანური თანაცხოვრების გარეგანი მოუგვარებლობით, აღარაა არც პირადი დასახმარებელი, აღარც პირადი პასუხისმგებლობა, ამიტომ საბოლოოდ რელიგიური მოწესრიგების მთელი ამოცანა ამ გარეგან მოუგვარებლობათა გადალახვაში მდგომარეობს. რა თქმა უნდა, ისევ გარეგანი რეფორმებით ადამიანი, უარყოფს რა განგებას ან რაიმე ისტორიაში განხორციელებად თავდაპირველ გეგმას, განგების აღგილას თავის თავს აყენებს და მხსნელს თავის თავში ხედავს. ამ თვითგანდიდებას წინ არ ედობება აშკარად მასთან წინააღმდეგობაში მყოფი მექანიკური, ისტორიული პროცესის ზოგჯერ უხეშად მატერიალისტური გაგება, რომელსაც იგი სტიქიურ ძალთა მოღვაწეობაზე დაჰყავს (როგორც ეკონომიკურ მატერიალიზმშია); ადამიანი მაინც რჩება ერთადერთ გონიერ, შეგნებულ აგენტად, თავის საკუთარ განგებად. ასეთია განწყობილება დასავლეთში, სადაც ეს გამოვლინდა უკვე კულტურული აქცევიების, ადამიანის ძალის შემგრძნობ ეპოქაში. იგი ფსიქოლოგიურად შეფერილია გამდიდრებული ბურჟუის კულტურულა თვითკმაყოფილების გრძნობით. თუმცა რელიგიური შეფასებისათვის ევეროპული მემჩანობის ეს თვითგამმერთება — სულ ერთია, სოციალიზმში თუ ინდივიდუალიზმში — წარმოადგენს საზიზღარ თვითკმაყოფილებას და სულიერ მტაცებლობას, ცნობიერების დროებით დაჩლუნგებას, მაგრამ დასავლეთში ეს კაცლვთაება, რომელსაც გააჩნია თავისი ქარიშხალი და შეტევა, უკვე დიდა ხანია (თუმც ვერავინ იტყვის, დიდი ხნით თუ არა) მოშინაურდა და დამშვიდდა, როგორც ევეროპული სოციალიზმი. ყოველ შემთხვევაში, იგი ჭერჭერობით უძღურია შეარყიოს (თუმცა ნელა და განუბრელად ამას მაინც აკეთებს) ევეროპული კულტურის შრომითი საფუძვლები, ევეროპული ხალხების სულიერი სიჭანხალე. საუკუნო ტრადიციები და შრომის ისტორიული დისციპლინა პრაქტიკულად თვითგამმერთების გამბრწყნელ გავლენას ჭერ კიდევ ჯაბნის. სხვაგვარადაა საქმე რუსეთში, სადაც ისტორიულ დროთა კავშირი გაწყვეტალია. კაცლმერთობის რელიგია და მისი არსი — თვითგამმერთება — რუსეთში არა მარტო ჭაბუკური მგზნებარებით იქნა ატაცებული, არამედ ცხოვრებისა და საკუთარი ძალების ბავშვური უცოდინრობითაც და მათ უმწვავეს ფორმებს მიაღწიეს. მათი

შთაგონებულმა ჩვენმა ინტელიგენციამ იგრძნო
ჩიწოდება, სამშობლოს წინაშე წინასწარმეტ-
ყველის როლი ეთამაშა, თავი მიიჩნია ხინათ-
ლისა და ევროპული ცივილიზაციის ერთადერთ
მატარებლად იმ ქვეყანაში, სადაც ყველაფერი
შეუვალი წყვილია მოცული, ბარბაროსული
და გაუგებარი ეჩვენებოდა. თავი ქვეყნის სუ-
ლიერ მეურვედ ცნო და მოინდომა მისი
ხსნა, ისე როგორც ესმოდა და როგორც შე-
ეძლო.

რუსული ისტორიისა და თანამედროვეობის
მიმართ ინტელიგენციამ პეროიკული გამოწვე-
ვისა და პეროიკული ბრძოლის პოზიცია დაი-
კავა, ეყრდნობოდა რა ამ დროს თვითშეფასე-
ბას. პარტიზმი, ჩემი აზრით, ზუსტად ის
პიტყვაა, რომელიც საინტელიგენციო მსოფლ-
მხედველობისა და იდეალის გულისგულს გამო-
ხატავს, იგულისხმება სწორედ თვითგაღმერთე-
ბის პეროიკიზმი. მისი სულიერი ძალების ეკო-
ნომია ამ თვითშეგრძნებას ეფუძნება.

ქვეყანაში ინტელიგენტის იზოლირებული
მდგომარეობა, მისი უნიადაგობა, მკაცრი ის-
ტორიული გარემო, სერიოზული ცოდნისა და
ისტორიული გამოცდილების უქონლობა პერო-
იკიზმის ფსიქოლოგიას ამჟღავნებდა. ინტელიგენ-
ტი დროდადრო პეროიკულ ექსტაზში ვარდ-
ებოდა, რასაც აშკარად ისტერიულობის მომენ-
ტი ახლდა. რუსეთი გამოხსნილ უნდა იქნას
და მისი მხსნელი შეიძლება იყოს და უნდა
იყოს ზოგადად ინტელიგენცია და, კერძოდ,
მავანი და მავანი კაცი. და თვინიერ მისა არ
არის მხსნელი და არ არის ხსნა. პეროიკიზმის
ფსიქოლოგიას ისე არაფერი განამტკიცებს, რო-
გორც გარეგანი დევნა, ბრძოლა, სა-
ფრთხე და დაღუპვა კი. რუსულ ისტორიაში,
ვიცი, რომ ეს ყველაფერი უხვად იყო, რუსი
ინტელიგენცია ვითარდებოდა განუწყვეტელი
მოწამეობის ატმოსფეროში და არ შეიძლება მის
ტანჯვა-წამებათა ბომონს თაყვანი არა სცე-
მაგრამ ვერც უკიდევანო წარსულისა და
მომავალ აწმყოს ტანჯვა-წამების, ამ ნებით თუ
უნებლიე „ჭვრის“ წინაშე მუხლის მოდრეკა
ვერ გვაიძულებს, ხმა არ ამოვიღოთ იმის შე-
სახებ, რაც მიუხედავად ყველაფერისა, რჩება
ჭეშმარიტებად, რაზეც არ შეიძლება გაჩუმება,
თუნდაც ინტელიგენციის მარტიროლოგიის წი-
ნაშე პიეტეტის გამო.

ამგვარად, ტანჯვა და დევნა ყველაზე მე-
ტად ახდენს გმირის კანონიზაციას როგორც
საკუთარ, ისე გარშემომყოფთა თვალში. რამ-
დენადაც რუსული ცხოვრების თავისებურე-
ბათა შედეგად ამგვარ ხვედრს ეწიარებიან
ხოლომე არცთუ იშვიათად უკვე ადრეულ
ასაკში, ამგვარი ცნობიერებაც ჩნდება ად-

რე და შემდგომი ცხოვრებაც აღებული მი-
მართულების თანმიმდევრულ განვითარებას
წარმოადგენს მხოლოდ. ლიტერატურასა და
საკუთარ თავზეც დაკვირვებითაც ყველა ად-
ვილად მოძებნის მრავალ მაგალითს იმხანს, თუ
ერთის მხრივ, როგორ ამახინგებს პოლიცი-
ური რეჟიმი ადამიანებს, არ აწვდის მათ
სახარებლო შრომის საშუალებას, და, მეორეს
მხრივ, როგორ უწყობს ხელს მის მსხვერპლთა
შორის განსაკუთრებული სულიერი არისტოკ-
რატიზმის, ასე ვთქვათ, პატენტირებული პე-
როიკიზმის გამომუშავებას. მწარეა ფიქრი იმა-
ზე, თუ რაოდენ დიდია პოლიციური რეჟიმის
გაშუალებული გავლენა რუსული საინტელი-
გენციო პეროიკიზმის ფსიქოლოგიაზე, თუ რაოდენ
დიდი იყო ეს გავლენა ადამიანთა არა მარტო
გარეგან ბედზე, არამედ მათ სულზე, მათ
მსოფლმხედველობაზე. უოველ შემთხვევაში
დასავლური განმანათლებლობის, კაცღმერთო-
ბისა და თვითგაღმერთების გავლენამ ცხოვრე-
ბის რუსულ პირობებში მონახა მოულოდნელი,
მაგრამ მძლავრი მოკავშირე. თუ ურმა
ინტელიგენტს, ვთქვათ, სტუდენტს ან კურსისტ
გოგონას კიდევ ეპარებათ ეჭვი, რომ მომწიფ-
ებულნი არიან სამშობლოს ხსნის ისტორიული
მისიისათვის, შინაგან საქმეთა სამინისტროს
მხრიდან ამ მომწიფებულობის აღიარება, ჩვე-
ულებრივ, ამ ეჭვსაც აქარწყლებს. რუსი კა-
ბუკის ან გუშინდელი „ობივატელის“ პერო-
იკულ ტიპად გადაქცევა საამისოდ საჭირო
შინაგანი საწუშაოს მიხედვით არის მარტივი,
მეტწილად ხანმოკლე პროცესი ღმერთკაცობის
რელიგიის ზოგიერთი დოგმატისა და რომე-
ლიმე პარტიის მეცნიერული „პროგრამის“ შე-
თვისებისა. ამას მოპყვება შესაბამისი გუნე-
ბა-განწყობილების შეცვლა, რის მეტყვე თავის-
თავად ამოიწრდება პეროიკული კონტურები.
შემდგომში ტანჯვის გაძლიერება, ხელისუფლე-
ბის სიმკაცრის საპასუხოდ, გაავება, მძიმე
მსხვერპლი, დანაკარგები ასრულებს ამ ტიპის
გამომუშავებას, რომელსაც შეიძლება ახასია-
თებდეს ყველაფერი გარდა საკუთარ მისიაში
შეეჭვებისა.

ამიტომ პეროიკული ინტელიგენტი არ
კმაყოფილდება თავმდაბალი მუშაკის როლით
(შაშინაც კი, როცა იძულებულია, ამით შე-
მოიზღუდოს). მისი ოცნებაა, იყოს კაცობრი-
ობის ან უკიდურეს შემთხვევაში რუსი ხალხის
მხსნელი. მისთვის აუცილებელია (რა თქმა უნ-
და, ოცნებაში) არა უზრუნველყოფილი მინი-
მუმი, არამედ პეროიკული მაქსიმუმი. მაქსი-
მალიზმი ინტელიგენტთა განუყოფელი თვი-
სებაა, რაც ასეთი განსაკუთრებული სიცხადით
გამომჟღავნდა რუსული რევოლუციის წელს.

ეს არაა რომელიმე პარტიისადმი მიკუთვნებულიობა, არა, ესაა თავად სული ჰეროიზმისა, რადგანაც ზოგადად გმირი მცირედს არ სჯერდება. მაშინაც კი, როცა ვერ ხედავს ამ მაქსიმუმის დაუყოვნებელი განხორციელების შესაძლებლობას და ვერც ვერასოდეს დაინახავს, ფიქრში მაინც მისით არის დაკავებული. იგი თავის წარმოსახვაში აკეთებს ისტორიულ ნახტომს, მანძილი ნაკლებად აინტერესებს, მხოლოდ პორტონტის კიდევ ნათელ წერტილს აპყრობს მზერას. ასეთ მაქსიმალიზმს იდეური ატრაცებულობის, ზვითპიპნოზის ნიშან-თვისებები გააჩნია. იგი ბოჭავს აზრს და ფანატიზმს ავითარებს, ცხოვრების ხმაზე კი ყურს არ იბერტყავს. ამით პასუხი გაიცემა იმ ისტორიულ კითხვაზე, თუ რატომ გაშალეს ფრთები რევოლუციის უკიდურესმა მიმართულებებმა, ხოლო მოცემული მომენტის უშუალო ამოცანები განისაზღვრებოდა სულ უფრო მაქსიმალურად და მაქსიმალურად (სოციალური რესპუბლიკის ანდაც ანარქიის განხორციელებამდეც კი). ამის გამო ეს უკიდურესი და აშკარად უგუნური მიმართულებანი სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდნენ და ძალის წინაშე ჩვენ იოლად ქედდადრეკილი, მშინარა და პახიური საზოგადოების ხაერთო მოწოდებისას ავიწროვებდნენ უფრო ზომიერებს (საკმარისია, გავიხსენოთ „მარცხენა ბლოკის“ მიერ „კადეტების“ სიძულვილი).

ყოველ გმირს კაცობრიობის გამოხსნის თავისი მეთოდი გააჩნია, რომლის შესატყვისი პროგრამაც უნდა გამოიმუშავოს. ჩვეულებრივ ასეთად ცხადდება არსებული პოლიტიკური პარტიის ან ფრაქციის ერთ-ერთი პროგრამა, რომლებიც მიზნის მიხედვით კი არ განსხვავდებიან (ჩვეულებრივ ისინი მატერიალისტურ სოციალიზმის, ბოლო ხანებში კი ანარქიზმის იდეალებზეა დაფუძნებული), არამედ გზებისა და საშუალებების მიხედვით. მცდარი იქნებოდა, გვეფიქრა, რომ პოლიტიკურ პარტიათა პროგრამები ფსაქოლოგიურად დასავლეთ ევროპული სამყაროს პარლამენტური პარტიების პროგრამებს შეესაბამებოდეს. ეს გაცილებით მეტია. იგია რელიგიური კრედო, კაცობრიობის ხსნის ექვიუტანელი საშუალება, რომელიც შეიძლება მიიღო ან უკუაგდო. ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები ამ პროგრამის რწმენას მსხვერპლად სწირავენ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, თავისუფლებას, ბედნიერებას. თუმცა ეს პროგრამები ჩვეულებრივ „მეცნიერულად“ ცხადდება, რითაც უფრო მიმზიდველად გამოიყურებიან. მაგრამ მათ ნამდვილ „მეცნიერულობაზე“, ჯობია, არც ვილაპარაკოთ. განვითარებისა და განათლებულობის დონის

მიხედვით მათი ყველაზე ცხარე ადეპტებიც ამ საკითხში შეიძლება ცუდი მსაჯულნი აღმოჩნდნენ.

თუმცა ყველას ერთნაირად თავი გმირი ჰგონია, წინასწარმეტყველი და მხსნელი, მაგრამ ხსნის საშუალებებისა და გზების საკითხში განსხვავდებიან, რადგანაც პროგრამული უთანხმოებისას სინამდვილეში სულს უმთავრეს სიმებს ეხებიან. პარტიული უთანხმოებანი სრულიად მოუცილებადი ხდება, იაკობინიზმით შეპყრობილი ინტელიგენცია, თავისი ხალხის სახელით „ხელისუფლების დაპყრობას“, „დიქტატურას“ რომ ესწრაფვის, აუცილებლად ირღვევა და იქსაქსება ერთმანეთს შორის გამტერებულ ფრაქციებად და ეს მით უფრო მძაფრად აღიქმება, რაც უფრო მატულობს ჰეროიზმის ტემპერატურა. შეუწყნარებლობა და ურთიერთჭიშკობა იმდენად ნაცნობი ნიშან-თვისებებია ჩვენი პარტიული ინტელიგენციისა, რომ ამის მხოლოდ შეხსენებაც კმარა. საინტელიგენციო მოძრაობას რაღაც თავის მოწამვლის მაგვარი რამ სჭირს. თავად ჰეროიზმის არსიდან გამომდინარეობს, რომ იგი გულისხმობს ზემოქმედების პასიურ ობიექტს — გამოსახსნელ ხალხს ან კაცობრიობას. ამასთან გმირი — კერძო პირი თუ კოლექტივი — გაიზრება ოდენ მხოლოდით რიცხვში. თუკი გმირი ან გმირული საშუალება რამდენიმე აღმოჩნდება, მაშინ მეტოქეობა და უთანხმოება გარდუვალია, რადგანაც შეუძლებელია ერთდროულად რამდენიმე „დიქტატურა.“ ჰეროიზმი, როგორც საზოგადოდ გაცრცელებული მსოფლზედა, კი არ აკავშირებს, არამედ — აცალკევებს, იგი წარმოშობს არა თანამშრომლებს, არამედ — მოქიშპეებს.*

ჩვენი ინტელიგენცია უკლებლივ ყველა კოლექტიურობას, ადამიანური არსებობის შესაძლო ტაძრულობას რომ ესწრაფვის, თავისი წყობით ანტიტაძრულობას, ანტიკოლექტიურობას წარმოადგენს, რადგან თავის თავში ჰეროიკული თვითდამკვიდრების გამთიშველ საწყისს მოიცავს: გმირი გარკვეული ხარისხით ზეადამიანია, რომელიც ახლობლებთან მიმართებაში მხსნელის გოროზსა და გამომწვევ კოზაში დგება. ინტელიგენცია, მიუხედავად მთელი მისი მისწრაფებისა დემოკრატიზმისაკენ, არის მხოლოდ წოდებრივი არისტოკრატიზმის

* შუღლი, რა თქმა უნდა, შეიმჩნევა ქრისტიანობის ასეა რელიგიურ სექტებსა და აღმსარებლობათა შორისაც. გარკვეული დონით ასეც შეიმჩნევა ჰეროიზმის ფსიქოლოგია, მაგრამ ამ ქიშპობებს საკუთარი სპეციფიკური მიხეზებიც გააჩნია.

განსაკუთრებული სახესხვაობა, „ობივატელებს“ ქედმაღლურად რომ უპირისპირდება. ვისაც ინტელიგენტია წრეებში უცხოვრია, კარგად მოეხსენება მისი ამპარტავნება და შედიდურობა, თავისი შეუცთომლობის ცნობიერება, სხვაგვარად მოაზროვნეთა აბუჩად ავდება და განყენებული დოგმატიზმი, რომელშიც გადადის ნებისმიერი მოძღვრება.

თავისი მაქსიმალიზმის გამო ინტელიგენციას განუვრცობს ისტორიული რეალიზმისა და მეცნიერული კოდნის არგუმენტები. თავად სოციალიზმი მისთვის კრებითი ცნება კი არაა, რაც თანდათანობით სოციალურ-ეკონომიკურ გარდასახვას ნიშნავს და მთელ რიგ კერძო და სრულიად კონკრეტულ რეფორმათაგან შედგება, არც ისტორიული მოძრაობაა, არამედ — ზენიტორიული „საბოლოო მიზანი“ (ბერნშტეინთან კამათის ტერმინოლოგიით), რომლის მიხედვითაც ინტელიგენტთა პეროიკულმა მოქმედებამ უნდა განახორციელოს ისტორიული ნახტომი. აქედანაა ისტორიული სინამდვილის გრძობის უქონლობა, მსჯელობათა და შეფასებათა გეომეტრიული სწორხაზოვნება, მათი უბადადებული „პრინციპულობა“. ინტელიგენტის ბაგეებს, მგონი, ამ სიტუვაზე ხშირად არცერთი სიტყვა არა სცდება, იგი ყველაფერზე, უპირველეს ყოვლისა, მსჯელობს „პრინციპულად“, ე. ი. სინამდვილეში განყენებულად, ვერ სწვდება სინამდვილის სიართულეს და ამით არცთუ იშვიათად თავს ითავისუფლებს მოცემული მდგომარეობის სათანადო შეფასების სიმძიმისაგან. ვისაც ინტელიგენტებთან საშუალო პირობებში საქმე ჰქონია, მისთვის ცნობილია, რა ძვირად ღირს ინტელიგენციის ეს „პრინციპული“ არაპრაქტიკულობა, ზოგჯერ კოდს გაცხრილვას და აქლემის შთანქმას რომ იწვევს.

მაქსიმალიზმიც წარმოადგენს უდიდეს დაბრკოლებას მისი განათლებულობის დონის ასაწევად იმავე სფეროში, რომელსაც თავის სპეციალობად მიიჩნევს — სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებში. თუ თავს შთააგონებ, რომ მოძრაობის მიზანი და საშუალება დადგენილია, ამასთან — „მეცნიერულად“. მაშინ, რა თქმა უნდა, სუსტდება ინტერესი გამაშუალებელი, უახლოესი რგოლებისადმი. ცნობიერად თუ არაცნობიერად, მაგრამ ინტელიგენცია ცხოვრობს სოციალური სასწაულის მოლოდინის, საყოველთაო კატაკლიზმის, ესქატოლოგიური განწყობის ატმოსფეროში*.

* ირია სვირო, ვაჩგენოთ, თუ ათენსტური ესქატოლოგია როგორ განსხვავდება ქრისტიანული ესქატოლოგიისაგან.

პეროიზმი ესწრაფვის, კაცობრიობა იხსნას მბვინი ძალებით და ამასთან ბარმბანი საშუალებებით. ამით აიხსნება განსაკუთრებული შეფასება პეროიკული ქცევებისა, მაქსიმალური ხარისხით რომ წარმოადგენს მაქსიმალიზმის პროგრამას. საჭიროა რაღაც შეარქონ, რაღაც ისეთი ჩაიღინო, შენს ძალებს რომ აღემატება, გაიღო ყველაზე ძვირფასი ნივთი, სიცოცხლე, — ასეთია ზეპირადი მცნება. გახდუ გმირი, ამასთან კაცობრიობის მხსნელი, შესაძლებელია მხოლოდ პეროიკული საქციელით, რომელიც დიდად სცილდება სადაგი ვალდებულებების საზღვრებს. ინტელიგენტის სულში მოფარფატე ეს ოცნება, თუშე კი ერთეულებისათვის არის მხოლოდ განხორციელებადი, წარმოადგენს მსჯელობათა საერთო მანუტაბს, ცხოვრებისეულ შეფასებათა კრიტერიუმს. ამგვარი რამის ჩადენა არაჩვეულებრივად ძნელიცაა, რადგან მოითხოვს ცხოვრების სიყვარულის და შიშის ინსტინქტების ჩაკვლას და არაჩვეულებრივად იოლიცაა, რადგან ამისათვის საჭიროა დროის შედარებით მოკლე პერიოდში ნების დაძაბვა, ხოლო ნაგულისხმევი თუ მოსალოდნელი შედეგები უდიდესი მნიშვნელობისად მიიჩნევა. ზოგჯერ ცხოვრებისაგან გაქცევა იმოტომ, რომ ცხოვრებას ფეხი ვერ აუწყევ, არა გაქვს ღონე მისი ტვირთი ზიდო, თითქმის განუსხვავებლად ერწყმის პეროიკულ თავგანწირვას. უნებლიეთ იბადება კითხვა: რა არის ეს? გმირობა თუ თვითმკვლელობა? რა თქმა უნდა, ინტელიგენტთა წმინდანებს შეუძლიათ ბევრი ისეთი გმირი დაასახელონ, რომელნიც თავიანთ ცხოვრებას ტანჯვისა და ნების ხანგრძლივ დაძაბულობად, გმირობად აქცევდნენ, მაგრამ, ცალკეულ ინდივიდუალობათა ძალთაგან გამომდინარე განსხვავების მიუხედავად, საერთო ტონი იგივე რჩება.

ნათელია, რომ ასეთი მსოფლმხედველობა უფრო ეგუება ისტორიის ქარიშხლებს, ვიდრე სიმშვიდეს. ეს უკანასკნელი ღლის გმირებს. პეროიკულ მოქმედებათა ნიადაგია „განწყობის აწეულობა“, ეგზალტირება, ერთგვარი პეროიკული ავანტიურის ატმოსფეროს შემქმნელი ბრძოლით თრობა — ყველა ეს პეროიზმის მშობლიური სტიქიაა. ამიტომაც ასე დალია რევოლუციური რომანტიზმის ძალა ჩვენს ინტელიგენციაში, მისი უბადადებული „რევოლუციურობა“. არ უნდა დავივიწყოთ, რომ რევოლუციის ცნება არის უარყოფითი, მას არ გააჩნია დამოუკიდებელი შინაარსი, მისი მახახიათებელია მის მიერ განადგურებულის უარყოფა, ამიტომ რევოლუციის პათოსი არის სიძულვილი და ნგრევა. მაგრამ კიდევ ერთი უდიდესი

რუსი ინტელიგენტთაგანი—ბაკუნინი გამოთქვამდა იმ აზრს, რომ ნგრევის სული იმავდროულად არის სული შემოქმედებისა. ამის რწმენა პეროიშჩის ფსიქოლოგიის ძირითადი ნერვია. იგი ამარტივებს ისტორიული მშენებლობის ამოცანას, რადგანაც ასეთი გაგების შემთხვევაში საჭიროა უპირველეს ყოვლისა მაგარი კუნთები და ნერვები, ტემპერამენტი და სითამამე; მიმოიხილავ რა რუსული რევოლუციის ქრონიკას, არაერთხელ გავონდება ეს გამარტივებული წარმოდგენა...

საინტელიგენციო პეროიშჩის ფსიქოლოგიას ყველაზე მეტად ეფოფინება გულზე ისეთი საზოგადოებრივი ჯგუფები და გარეგანი სიტუაციები, სადაც იგი ყველაზე უფრო ბუნებრივია მთელი თავისი სწორზაზობრივი მაქსიმალიზმის თანმიმდევრულობით. ამ პირობათა საუკეთესო კომბინაციას წარმოადგენს ჩვენში მოხწავლე ახალგაზრდობა. ახალგაზრდული ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის წყალობით, ცხოვრებისეული გამოცდილებისა და მეცნიერული ცოდნის ნაკლებობის გამო, რასაც ავსებს სიფიცხე და თავდაჯერებულობა, პრივილეგირებული სოციალური მდგომარეობის გამოისობით დასავლეთის სტუდენტობის ბურჟუაზიულ ჩაკეტილობამდე რომ არ მიდის, ჩენი ახალგაზრდობა სრულად გამოხატავს პეროიშჩის მაქსიმალიზმის ტიპს. და თუ ქრისტიანობაში უხუცესობა წარმოადგენს სულიერი გამოცდილების და ხელმძღვანელობის ბუნებრივ განხორციელებას, ჩენი ინტელიგენციის მიმართ ასეთ როლს, ცხადია, მოსწავლე ახალგაზრდობა ასრულებს. **სულიერი ბედობა*** ჩენი საზოგადოების უდიდესი ბოროტება და, ამასთან — ინტელიგენციის პეროიშჩის სიმპტომური გამოვლენაა, მისი ძირეული ნიშან-თვისებებისა, მაგრამ ხაზგასმულისა და გამუქებულისა. ეს მახინჯი შესაბამისობა, როცა მოსწავლე ახალგაზრდობის შეფასებანი და შეხედულებანი უხუცესთათვის ხდება სახელმძღვანელო, ყირამალა აყენებს საგანთა წესრიგს და ერთნაირად დამლუპველია, როგორც ერთის, ისე — მეორისათვის. ისტორიულად ეს სულიერი პეგემონია კავშირშია იმ მართლაც მოწინავე როლთან, რომელიც მოსწავლე ახალგაზრდობამ რუსულ ისტორიაში ითამაშა, ფსიქოლოგიურად კი ეს აიხსნება ინტელიგენციის სულიერი წყობით — მისი ყველაზე ქმედითი და თვალსაჩინო წარმომადგენლებიც კი რომ სიცოცხლის ბოლომდე მსოფმხედველობით ისევ მოსწავლე ახალგაზრდობად

რჩებიან. აქედან მოდის ღრმად სამწუხარო და ჩვეულებრივი გულგრილობა, და რაც კიდევ უფრო უარესია, ფარული ანდაც აშკარა მოწონება იმისა, რომ ჩენი ახალგაზრდობა ცოდნის, გამოცდილების გარეშე, მაგრამ საინტელიგენციო პეროიშჩის დამუხტულობით როგორ იბრძვის სერეჟულენ-სლუკალური ექსპერიმენტებისათვის, უკლებლად მოხალდნელია, საბიფათო შედეგები მოჰყვებს. რა თქმა უნდა, ამ თავისი მოღვაწეობით მხოლოდ აძლიერებს რეაქციას. არა მგონია, საქმარისი უურადლება ჰქონდეს მიპყრობილი და სათანადოდ იყოს შეფასებული ის ფაქტი, რომ ძალიან დაბალია ასაკობრივი შემადგენლობა ჯგუფებისა, რომელთაც მაქსიმალისტური მოქმედებანი და პროგრამები გააჩნიათ. და, რაც გაცილებით უარესია, ამას ბევრი ბუნებრივ რამედ მიიჩნევს. „სტუდენტი“ ინტელიგენტის საზოგადო სახელად იქცა რევოლუციის დღეებში.

ყოველ ასაკს თავისი უპირატესობა გააჩნია, განსაკუთრებით ძალებით სავსე ახალგაზრდობას. ვისაც მომავლის ბედი ადარდება, იგი ყველაზე მეტადაა შეწუხებული ახალი თაობის მდგომარეობით. მაგრამ მასთან ხულიერ დაქვემდებარებულობაში ყოფნა, მათი გულის მოგება, მათი შეხედულების მსახურება, კრიტიკურად მათი აღება — ეს ყოველივე მოწმობს საზოგადოების სულიერ სიძაბუნეს. ყოველ შემთხვევაში, მთელი ისტორიული ზოლის და ინტელიგენციის პეროიშჩის სულიერი წყობის სიგნატურად რჩება ის, რომ ქრისტიანული წმინდანის, მოსაგრის იდეალს აქ რევოლუციური სტუდენტის სახე ენაცვლება.

IV

მიზანთა მაქსიმალიზმს უკავშირდება საშუალებათა მაქსიმალიზმიც. ასე სავალალოდ რომ გამომჟღავნდა ბოლო ხანებში. ამ განურჩეველ საშუალებებში, ამ პეროიშჩულ „ყველაფერი ნებადართულია“-ში (ქერ კიდევ დოხტოევსკიმ რომ განჰვრიტა წინდაწინ „დანაშაულსა და სასჯელში“ და „ეშმაკებში“) დიდი დოზით იჩენს თავს ინტელიგენციის პეროიშჩის კაცდვთაებრივი ბუნება, მიხთვის დამახასიათებელი თავგადმერთობა, ღშერთის, ბედისწერის ადგილას საკუთარი თავის დაყენება. და ეს ხდება არა მარტო მიზნებისა და გეგმების, არამედ გზების და განხორციელების საშუალებათა შემთხვევაშიც. მე ხორცს ვასნამ იდეას და მისი გულისათვის ვთავისუფლდები ჩვეულებრივი მორალისაგან, თავს ნებას ვაძლევ, ვი-

* პედოკრატია — ბავშვთა ბატონობა.

ქონის უფლება სხვათა არა მარტო ქონებაზე, არამედ სიკვდილ-სიცოცხლეზეც, თუ ამას მოიხივებს ჩემი იდეა. ყოველ მაქსიმალისტში სოციალიზმის ან ანარქიზმის პატარა ნაპოლეონი ზის. ამორალიზმი, ან, როგორც ძველად იტყოდნენ, ნიპილიზმი თავგაღმერთების აუცილებელი შედეგია. აქ მას ჩასაფრებული მუცის თვით-გარჩენის საფრთხე და გარდუვალი კრახი ელის. ის მწარე გაწბილება, რაც მრავალს რევოლუციამ იგვია, თვითნებობის, ექსპროპრიაციის, მახობრავი ტერორის მენსიერებიდან ამო-უშვლელი სურათი შემთხვევითი არა ყოფილა. ეს იყო იმ სულიერ პოტენციას განხნა, აუცილებლად ნაშალული რომაა თავგაღმერთების ფსიქოლოგიაში.*

პეროიზმი სინამდვილეში მხოლოდ რჩეულ-თაუნისაა მისაწვდომი, თანაც ისტორიის განსაკუთრებულ მომენტში. ამასობაში ცხოვრებას ქმნის ყოველდღიურობა, ინტელიგენციას კი მხოლოდ პეროიკული პირები არ შეადგენენ. ნამდვილი გმირობის ან მისი გამოვლენის შესაძლებლობის გარეშე პეროიზმი იქცევა პრეტენზიად, გამომწვევ პოზიად, გამომუშაედება პეროიკული სიბეცე, უმასუსხისმგებლო კრიტიკანობის. მუდმივი „პრინციპული“ ოპოზიციის განსაკუთრებული, საკუთარ უფლებათა გადა-ქარბებული გრძნობა და მოვალეობათა და ზოგადად პირადი პასუხისმგებლობის სუსტი ენობიერება. ყველაზე ჩვეულებრივი „ობიგატელი“, რომელიც სულაც არ ამაღლებულა, ზოგჯერ კი დაბლაც დვას გარემოზე, რომელშიც იპოვება, საინტელიგენციო მუნდირს რომ მოირგებს, ამ გარემოს უკვე ქედმაღლურად და-პყურებს. ეს ბორბტება განსაკუთრებით ხაზრ-ძნობია ზვენი პროვინციის ცხოვრებაში. თავ-გაღმერთებას, ყოველთვის რომ ვერა ქმნის გმირს, აგანსად შეუძლია თავხედები აღზარ-დოს, ადამიანი შორდება პირადი და სოცი-ალური ქცევის აბსოლუტურ ნორმებსა და შეურყვეველ საწყისებს, ცვლის მათ თვითნებო-ბითა და თვითრჩეულობით. ამიტომ ნიპილიზმი არის ხაშინელი ქირი, შემადრწუნებელი სული-ერი წყლული, რაც ჩვენს საზოგადოებას ბოლოს უღებს. პეროიკულ „ყველაფერი ნებადართუ-ლია“-ს შეუმჩნევლად ცვლის უბრალოდ უპრინ-ციპობა ყოველივე იმაში, რაც ადამიანის პი-

რად ცხოვრებას, პირად საქციელს ეხება და რაც სადაც ცხოვრებას ავსებს. ესაა ერთი უმნიშვნე-ლოვანესი მიწეშთაგანი იმისა, თუ ჩვენში გმი-რთა ესოდენი სიუხვისას, ასე ცოტაა უბრალოდ წესიერი, დისციპლინიანი, შრომისუნარიანი ადამიანი, ხოლო სწორედ ის პეროიკული ახალ-გაზრდები, რომელთა კურსის მიხედვითაც უფ-როსი თაობა განსაზღვრავს თქვენს ცხოვრებაში შეუმჩნევლად და იოლად გადაიქცევიან „შედ-მეტ ადამიანებად“ ან კიდევ ჩეხოვის და გო-გოლის ტიპებად და ბოლოს ღვინითა და ბან-ქოთი ამთავრებენ თუ უფრო უარესით არა. პუშკინი თავისი გენიალობის სიპართლით ფარ-დას ხდის ტრაგიკულად და უდროოდ დაღუპუ-ლი ლენსკის საგარაუდო მომავალს და მასში სრულიად პროზაულ სურათს განჭვრეტს. შეე-ცადეთ იგივე გააყეთოთ სხვა ჭაბუკის მიმართ, რომელსაც ახლა გმირის შარავანდედი ადგას. წარმოიდგინეთ იგი უბრალო მუშაკის როლში(მას შერე, რაც პეროიზმის აფექტაციამ ჩაიარა და სულში ნიპილიზმის სიციარელე დატოვა. ინ-ტელიგენციისეული პროტი ნეკრასოვი, ავტორი „რაინდისა ერთი ხაათით“, ასე განსჭიდა, რომ ნაადრევი სიყვდილი ინტელიგენციისეული პე-როიზმის საუკეთესო ამოთეოზია.

ნუ დაკვნის ასეთი ვაგიტებით, კარგია ჭაბუკად სიყვდილი, ვერ ასწრება ნაშინ უხანსობა პრდილი დააფინოს თავისი და ა. შ.

პეროიზმის ამ ზედაპირული და მერყევი აფე-ქტაციით აიხსნება ინტელიგენციის გემოვნება-თა, განწყობილებათა განმაცვიფრებელი, მო-დოს ჭირვეულობათ აყოლილი დაუდგრომლობა. ახლა ბევრია ვაკვირვებული ბოლო წლებში განწყობილებათა ცვალებადობით, ნიპილისტუ-რისა და პორნოგრაფიულის მიერ პეროიკული-სა და რევოლუციურის ადგილის დაკავებით და კიდევ თვითმკვლელობის ეპიდემიით, რასაც, შეცდომა იქნებოდა, თუ პოლიტიკური რეაქცი-იითა და რუსული ცხოვრების მძიმე შთაბეჭ-დალებებით ავსნიდით.

მაგრამ ეს მონაცვლეობაც და ისტერიალო-ბაც ბუნებრივია ინტელიგენციისათვის, თავად რომ არ იცვლებოდა არსებაში. რაც უფრო და უფრო სრულად მყდავნიდებოდა ამ ისტორიუ-ლი დღესასწაულებისა და სადაგი დღეების მონაცვლეობისას. ინტელიგენციის სულიერმა მდგომარეობამ არ შეიძლება სერიოზულად არ შეგვაშფოთოს. ყველაზე მეტ შემოფოთებას იწვევს ახალგაზრდა, მოზარდი თაობა და გან-საკუთრებით ინტელიგენტთა შვილების ბედი. ყოფითობას დაშორებულნი, ცხოვრების ორ-

* ანულის საბუნლთან დაკავშირებულმა მზი-ლებებმა გამოაშკარავა, თუ რა შორს შეიძლე-ბა წავიდეს პეროიკული მაქსიმალიზმის საშე-ღებათა ეს მაქსიმალიზმი, როცა ჭირს გარკვევა, სად მთავრდება რევოლუციონერი და იწყება „ოხრანავი“ ან პროვოკატორი.

განულ წუობას მოწვევტილნი, საკუთარ მყარ საფუძვლებს მოკლებულნი თავიანთი ათეიზმით, სწორხაზოვანი რაციონალიზმით, საზოგადო მოშლილობითა და უპრინციპობით სადაც ცხოვრებაში ამავე თვისებებს გადასცემენ შვილებს. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენი ბავშვები ბავშვობაშიც კი მოკლებულნი არიან განსაღ წვენებს, მათი მშობლები რომ ხალხის წრიდან საზრდოობდნენ ვშიშობ, გადაგვარების ნიშნების გამომჟღავნება ამ შემთხვევაში უფრო დაჩქარდება.

ინტელიგენციაში უკიდურესად არაპოპულარულია პირადი ზნეობის, პირადი სრულყოფის, პირმშენებლად დადგომის ცნება (და პირიქით: გამორჩეულად საკრამენტული ხასიათი გააჩნია სიტყვას: სპომბაღო). თუმცა საინტელიგენციო მსოფლმხედველობა წარმოადგენს უკიდურეს თვითღამყვიდრებას, თვითგაღმერთებას, მაგრამ თავის თეორიებში ინტელიგენცია უწყალოდ დევნის ამ პიროვნებას, ზოგჯერ იგი უნაშთოდ დაჰყავს გარემოსა და ისტორიის სტიქიური ძალების ზეგავლენაზე (თანახმად განმანათლებლობის მოძღვრებისა).

ინტელიგენციას არ სურს დაუშვას, რომ პიროვნებაშია ცოცხალი შემოქმედებითი ენერჯია, იგი ურუა უველაფერ იმისადმი, რაც ამ პრობლემასთან ახლოა. ურუა არა მარტო ქრისტიანული მოძღვრებისადმი, არამედ ტოლსტოის მოძღვრებისადმიც (ეს უკანასკნელი მაინც მოიცავს თვითღამყვიდრებას [კანსაღ მარცვალს]) და სხვა უკიდურესი თეორიული მოძღვრებისადმი, რომელიც მოითხოვს, პიროვნებას ანგარიში გაეწიოს.

სინამდვილეში მთავარი სისუსტე პიროვნების შესახებ სწორი მოძღვრების უქონლობაა. პიროვნების გადაგვარება, მისი განვითარების იდეალის სიყალბე არის ძირეული მიზეზი, საიდანაც მომდინარეობს ჩვენი ინტელიგენციის სისუსტეები და ნაკლოვანებანი, მისი ისტორიული უძლეურება. ინტელიგენცია უნდა გაამართოს წელში არა გარეგნულად, არამედ შინაგანად, ხოლო ამას მოახერხებს მხოლოდ თავისუფალი სულიერი გმირობით, უჩინარით. მაგრამ ხავსებით რეალურით.

(გაგრილება შემდეგ ნონერში)